

9(05)  
თ 6-187

# საისტორიო მოკვება

წიგნი I

## BULLETIN HISTORIQUE

Livre I

# საისტორიო მოკვება

წიგნი I



## BULLETIN HISTORIQUE

Livre I

Handwritten vertical text: 46501-10



თბილისი 1925 TIFLIS

საქართველოს ს. ს. რ. ტელერადიოების გამოსცემა.

რედაქტორი: ს. კაკაბაძე

ს. კავაშაძე. საფეხის ისტორიის-  
თვის საქართველოში . . . . . 1—35

ს. კავაშაძე. ფულის გაძვირების  
და გაიაფების საკითხისთვის სა-  
ქართველოში მე-13—17 საუკ. . . . . 36—50

ს. კავაშაძე. ქართული მეტრო-  
ლოგია . . . . . 51—85

ს. კავაშაძე. იმერეთის ციხის-  
თავთა შესახებ მე-17 ს-ში . . . . . 86—95

გ. შაქაძე. ორი ფიქალწერი-  
ლი . . . . . 96—106

*Д. Гордеев.* Из эпиграфи-  
ческих материалов Зарзмы; к  
обследованию надписи Иване,  
сына Сулы. . . . . 107—112

*Д. Гордеев.* Материалы к об-  
следованию Гелатских древ-  
ностей . . . . . 113—132

*М. Клочков.* Судьба кавказ-  
ского наместничьего архи-  
ва . . . . . 133—145

გ. ჩაჩანიძე. თეიმურაზ I-ის სი-  
გელი 1612 წლისა, მიცემული  
ალავერდის ტაძრისადმი . . . . . 146—154

*М. Полиевктов.* Крестоце-  
ловальная запись имеретинска-  
го царя Александра III 9 окт.  
1651 г. . . . . 155—160

ს. კავაშაძე. ცნობები ილორის  
ყმათა შესახებ ხონს და კუხს 161—175

გ. შაქაძე. ფურცელაანთეული  
ქრონიკა . . . . . 176—181

ს. კავაშაძე. მასალები იმერე-  
თის სახელმწიფოებრივ მდგომარე-  
ობის შესახებ მე-17 ს-ში 182—218

გ. ვაჭაიშვილი. ულუ-დავი-  
თის დროინდელი საეკლესიო  
კრების დადგენილება . . . . . 219—224

ს. კავაშაძე. ქალაქ ტფილისის  
მოსახლეობის აღწერის ხუსხა  
1780—1781 წ. ახლო დროისა 225—232

**პატარა წერილები და შენი-  
შვნები:** . . . . . 233—263

ს. კავაშაძე. გარსევან ჯაჭავაძის  
მოხსენება ერეკლე მეფისადმი 1795  
წ. 16 სექტ. (233—237); თულას-  
ძეთა სიგელი, დავით ნარინის მიერ  
მიცემული (237—239); ზარზმის  
მხატვრობის ისტორიულ პირების  
ვინაობის შესახებ (239—242); მე-15  
საუკუნის ვახტანგ გორგასლის ვი-  
ნაობის გასარკვევად (243); ქუთაი-  
ის საყდრის დავითის უძველესი.

*S. Kakabadzé.* L'histoire de la  
monnaie en Géorgie . . . . . 1— 35

*S. Kakabadzé.* La question de  
l'augmentation et de la diminution  
de la valeur de la monnaie en Gé-  
orgie aux 13—17 siècles . . . . . 36— 50

*S. Kakabadzé.* Métrologie géor-  
gienne. . . . . 51— 85

*S. Kakabadzé.* Les Tsikhistavi  
(commandants des forteresses) en  
Iméréthie au 17 siècle. . . . . 86— 95

*G. Botchoridzé.* Deux inscripti-  
ons épigraphiques. . . . . 96—106

*D. Gordéeff.* Matériaux épigra-  
phiques de Zarzma; à propos de  
l'examen de l'inscription d' Ivané  
fils de Soula. . . . . 107—112

*D. Gordéeff.* Matériaux des re-  
cherches concernant les antiquités  
de Guéláthi. . . . . 113—132

*M. Klotchkoff.* Sort des archives  
du vice-roi du Caucase. . . . . 133—145

*G. Tchatchanidzé.* Charte de  
Theïmouraz I de 1612, donnée au  
couvent d' Alaverdy. . . . . 146—154

*M. Polievktoff.* Serment du roi  
d' Iméréthie Alexandre III du 9 oc-  
tobre 1651. . . . . 155—160

*S. Kakabadzé.* Donnée concer-  
nant les serfs d' Ilory à Khoni et  
à Koukhi. . . . . 161—175

*G. Botchoridzé.* Chronique des  
Phourtséladzé . . . . . 176—181

*S. Kakabadzé.* Matériaux concer-  
nant l'état du royaume d'Iméréthie  
au 17 siècle . . . . . 182—218

*G. Gzalichvili.* Decret du con-  
flicte de l'église, à l'époque d' Oulou-  
David. . . . . 219—224

*S. Kakabadzé.* Liste du dénom-  
brement des habitants de la ville  
de Tiflis vers les années 1780—1781 225—232

**Petits articles et remarques:** 233—263

*S. Kakabadzé.* Rapport de Gar-  
sevan Tchavtchavadzé au roi Hé-  
raclius le 16 septembre 1795 (233—  
237). Charte de Thouladzé, donnée  
par David Narine (237—239). Sur  
les personnages historiques des fres-  
ques de Zarzina (239—242). Recher-  
ches sur l'existence de Wakhtang  
Gorgasian au 15 siècle (243). La  
partie la plus ancienne du registre



ნაწილი. (244—247); საბუთი შერ-გელაიასთავის ქიაჩის ხატის კლიტის გადაცემის შესახებ (247—249); 1840 წლის საბუთი ბატონყმობის დასახასიათებლად სამეგრელოში (249—250); გადმოცემა იმერეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ დროის შესახებ (250—251); საბუთი შერმაზან აფხაზის მოკვლას შესახებ 1782 წ. (251—255); საბუთი ზემო-ქართლის სასარდლოს შესახებ (255—260).

პ. ჩანაძე. მე-7—8 საუკუნის ჯვარის კვარცხლბეკი (260—261); გრიგოლ ჯპატოსის ძეგლი (261—263).

**საინფორმაციო განყოფილება**

ბა 264—283

სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების მოქმედების შესახებ (264—267); *H. Северов*, Работы по охране памятников архитектуры: აცხეთის ჯვარი (267—270);

პ. ჩხეიძე, რუსეთიდან საქართველოს განძეულობათა რეევაკუციის შესახებ (270—274); პ. ჩხეიძე, სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა პირველ ყრილობისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალ-არქივების წარმოშადგენელთა თათბირის შესახებ (275—283)

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. 284—318  
Addenda 319—321

de la cathédrale de Koutaïs (244—247). Document concernant la transmission des clefs de l'image de Kiatchie à Cherguelaiâ (247—249). Document de l'année 1840 caractérisant le servage en Mingrélie (249—250). Légende sur les derniers temps de l'existence du royaume d'Iméréthie (250—251). Document, concernant l'assassinat de Chermazan Abkhasi en 1782 (251—255). Document concernant le commandement du Haut-Karthli (255—260). *G. Tchatchanidzé*: La base d'une croix du 7—8 siècle (260—261). Le monument de Grégoire Ipatoš (261—263).

**Articles informatifs: 264—283**

L'activité du département de la protection des monuments de l'antiquité, de l'art et de la nature (264—267). *N. Séverov*—Travaux sur la conservation des monuments de l'architecture: Mtkhethis-Djvari (267—270). *Ch. Tchkhétia*—Rapport sur la réevacuation des antiquités géorgiennes se trouvant en Russie (270—274). La première conférence des collaborateurs des archives de toute la Russie et des représentants des Archives centrales des Républiques confédérées (275—283).

Critique et bibliographie. 284—318  
Addenda 319—321

სარგის ეკუბამე.

## საზსის ისტორიისთვის საქართველოში.

საისტ. მ-ეში (II, 1924 წ.) წერილში სასისხლო სიგელების შე-  
სახებ (გვ. 71—102), ისე აგრეთვე იქვე დაბეჭდილ რეცენზიაში  
(გვ. 277—294) მოთავსებულია ცალკე დაკვირვებანი საფასის  
ისტორიისათვის საქართველოში. ჩვენ აქ წარმოვადგენთ მოკლე, სქემა-  
ტიურად აღწახსულ ცნობებს—ეკონომიურ ისტორიისთვის ამ ფრიად  
მნიშვნელოვან საკითხის გასარკვევად, ისე როგორც ეს საკითხი იხსნე-  
ბა დასახელებულ წერილებში მოყვანილ მასალების მიხედვით და აგ-  
რეთვე ზოგიერთ სხვა ცნობების დამატებით. უფრო დაწვრილებით და  
ერცლად საკითხს ჩვენ სხვა დროს შევხებით.

ქართული მოდემის ტომები მათი ურთიერთობის გამო კულტუ-  
რულ მიზობლებთან—სპარსელებთან და ბერძნებ-რომაელებთან ფულს  
უძველეს დროიდანვე იცნობდენ, თუმცა ქრისტეს დაბადებამდის, სა-  
გულისხმებელია, ფულს მათში ფრიად ნაკლებ-მნიშვნელოვანი როლი  
ექნებოდა. აქემენიდების სპარსეთში (მე-6—4 საუკ. ქრ. წ.), რამდენადაც  
ცნობილია, ფული საზოგადოდ ნაკლებ იხმარებოდა, ისიც უფრო ჯარის-  
თვის ჯამაგირის მისაცემად და ბერძნების ქვეყნებთან სავაჭრო ურთი-  
ერთობის საწარმოებლად. ფულთან ერთად აქემენიდების სპარსეთში  
იხმარებოდა ოქრო და ვერცხლი პირდაპირ ნაჭრებად (Пахомов,  
Монеты Грузии, 5). საყურადღებოა, რომ ძველს ქართულს შეგნებაში  
მცნება ოქრო-ვერცხლეულ განძეულობის შესახებ ტერმინის მხრივ  
დაკავშირებული იყო ოთხფეხ საქონელის გამოხატველ უფრო ძველ  
მცნებასთან. ფარნავაზის ცხოვრების ავტორი, რომელიც  
მე-5 საუკუნის დასასრულს ცხოვრობდა (ს. ეკუბამე, საისტორიო ძიე-  
ბანი, ტფ. 1924 წ.), განძს ოქროს და ვერცხლისა, — „სამსახურებელთ“  
ოქროს და ვერცხლისას—უწოდებს ხვასტაგს (ქართ. ცხოვ. I, 29—30).  
ხვასტაგი კიდევ თავდაპირველად ოთხფეხ საქონელის აღმნიშვნელია  
(შეად. ხვადაგი იმერულ კილოში ხარის მნიშვნელობით). სიტყვა  
ხვადაგი განძეულობის მნიშვნელობით უნდა წარმოადგენდეს იმ ეპოქის  
მონაგონარს, როდესაც მოსახლეობის სიძლიერე გამოიხატებოდა ოთხფეხ  
საქონელში.

ჩვენ აქ გვერდს ვუვლით ეგრედ წოდებულ კოლხიდის ვერცხლის  
ფულებს ერთნაირი ტიპისას, ხარის თავის სურათით, რომელიც ბლომად  
არის ნახული დასავლ. საქართველოს ტერიტორიაზე და რომელიც,

საფიქრებელია, იჭრებოდა თითქმის ერთნაირი სახისა მე-4—2 საუკ. ქრ. წ. (Шахомов, op. cit., 8). გვერდს ვუვლით აგრეთვე იმ საკითხსაც, რომ ჩვენამდის მოწვევნილია კოლხიდის მართველის არისტარხის დრაქმა ბერძნული წარწერით (50 წლ. ახლ. ქრ. წ.) 3,64 გრამის წონისა, და გადავალთ პირდაპირ ძველს ქართულში ხმარებულ საფასეთა საწელების მოკლე აღრიცხვაზე.

უძველესი ლიტერატურული დადასტურება ქართველებში მომქმედ ფულის სახელის შესახებ მიეკუთვნება მე-5 საუკუნეს. სახელდობრ სომხურიდან ნათარგმნ ქართულ სახარების ვერსიაში (ადიშ.) მარკ. 12<sub>1</sub> ვკითხულობთ: „დადგა ივ წე ფასისა შესწირავსა და ხედვიდა ვრ ერი იგი დასდებდა კერმას ფასის შესწირავსა მას ზა“. კერმას ექვივალენტად აქ სომხურ ტექსტში მოხსენებულია *պղինა* და ბერძნულში — *χαλκός* (სპილენძი). კერმა წარმოებულია ბერძნულ *κέρμα*-იდან, რაც წვრილ ფულს ნიშნავს. საყურადღებოა, რომ ამ ფუძეს უახლოვდება შემდეგ დროინდელი კირმანეული, რომელიც, როგორც ცნობილია, ტრაპეზუნტის მცდის კირმანოელ I-ის სახელს უკავშირდება. ბერძნული *κέρμα* შემდეგ თურქულში გადავიდა *კრمان* სახით და ამ გარემოებამ აფიქრებინა აუგერს მის ლექსიკონში ქართული კირმანეულის თურქულ კერმანისაგან წარმოშობა (აუგერის ეს აზრი მოხსენებული აქვს უარყოფითი აზრის დაფებით რეტოვიცკის — *Die Münzen der Komnenen von Trapez.*, 21). არის აქ კირმანეულსა და თურქულ კერმან-ს შორის მართლაც შემთხვევითი შეხვედრა ან თუ ამ შეხვედრას რაიმე რეალური საფუძველიც აქვს, ეს მომავლის საქმეა. საყურადღებოა, რომ სახარების შესატყვისის ადგილას ბერძნულთან შეთანხმებულ მე-6 საუკუნის ქართულ ტექსტში (ჯრუჭ., პარხ., ტბეთ..) კერმას მაგივრად მოხსენებულია რვალი (...დასდებდა რვალსა ფასის-საცავსა მას...) რვალი არის პირდაპირი თარგმანი ბერძნული ტექსტის *χαλκός*. აღსანიშნავია, რომ სახარების მე-5 საუკუნის ვერსიაში (ადიშ.) მეორე ადგილას წვრილი ფულის სახელად მოხსენებულია დასვი (მათ. 10<sub>29</sub>), რაც წარმოადგენს სომხური ტექსტის *դասնկ*-ის შესატყვისობას. მე-6 საუკ. ქართულ სახარების ვერსიაში, რომელიც ბერძნულთან არის შეთანხმებული (ჯრუჭ., პარხ., ტბეთ. ...) ამ ადგილას მოხსენებულია ასარი, რაც უდრის ბერძნულს *ἀσάριον*. ყველა ეს ტერმინები უნდა წარმოადგენდნ ძველს ქართლში ტრიალებულ საფასის სახელებს. განსაკუთრებით საინტერესოა ტერმინი კერმა (აქედან შემდეგდროინდელ ქართულში ტერმინი მეკერმე — მეზარაფე), რომელიც თუმცა ბერძნული წარმოშობისაა, მაგრამ მე-5 საუკუნეში უკვე გაქართულებული იყო, რაც მტკიცდება სახარების თარგმანში მისი დამოუკიდებელი ხმარებით. აგრეთვე ტერმინი დანგიც ამ დროს უნდა იყოს

უკვე ფეხმოკიდებული ტერმინი. მე-5 საუკუნის ტექსტში მისი მოხსენება ამას ცხადად უნდა ამტკიცებდეს. დანგი სპარსული წარმოშობის ტერმინია (შეად. ახ. სპარს. *سپاس*). ამ ტერმინების მიხედვით ყოველს შემთხვევაში ცხადაა, რომ ძველი ქართლის ეკონომიურ-კულტურული ცხოვრება ვითარდებოდა როგორც ბერძნულ, ისე სპარსულ ცხოვრების შესატყვის ფაქტორების ზედგავლენით (პომპეიუსის დროიდან მე-4 ს-მდის იბერაა რომის იმპერიის პოლიტიკურ ზედგავლენის ქვეშ იყო).

მართლაც მე 7 საუკ. ნახევარში შედგენილ „მეფეთა ცხოვრებაში“ (ს. კაკაბ., საისტორიო ძეგლები, 93—191) მოხსენებულია I საუკუნის ქრ. შ. თხრობაში დრამა და ისიც მცხეთაში მოჭრილი: „აღუთქვეს ქართველთა (სომეხთ), ვითარმედ ქალაქსა ჩუენსა დრამა არღამან მეფისა ხატითა დავსცეთ“-ო (ქ. ცხ. I, 51). ეს ცნობა დაკავშირებულია აზორკ და არამახელ მეფეების დროსთან და ყოველს შემთხვევაში ცხად ყოფს ტერმინის დრამის არსებობას ძველს ქართლში ფულის აღსანიშნავად. დრამა კლდე არის ბერძნული *δραχμή* და უდრის ახალ-სპარს. დირჰემს.

გარდა ამისა უძველეს დროიდანვე იხმარებოდა ფულის აღსანიშნავად ვეცხლი (სახარება, მე-5 საუკ. ქართული ვერსიები, მათ. 27<sup>5,6</sup>, მარ. 14<sup>11</sup>), როგორც ამას ადგილი ჰქონდა უძველეს დროშივე და შემდეგ ხანებშიდაც სხვა ხალხებს შორისაც (ბერძნებში, სპარს., რუსებში და სხ.), სადაც აგრეთვე ვეცხლი იხმარებოდა როგორც ლითონის, ისე ფულის აღსანიშნავად. ცნობილია, რომ ვეცხლი ფულის მნიშვნელობით იკითხება თამარ მეფის სპილენძის ფულებზედაც („იქმნა ქედავეცხლისა ამის“...).

მე-4 საუკუნის დასასრულიდან ქვემო- და შიდა-ქართლის ნაწილი სპარსეთის პოლიტიკურ ზედგავლენის ქვეშ მოჰყვა. ამის შედეგად მე-6—7 საუკ. ქართული დრამები იქედება სასანიანთ დრახმების წაბადვით.

დანგი და დრამა როგორც საფასის ტერმინი (ორივე ეს ტერმინი იხმარებოდა ბოლო დრომდის წონის საზომის აღსანიშნავადაც) ცოცხლობდა საკმაოდ დიდ ხანს. დანგი ფულის ერთეულად იხსენიება ანისის 1218 წლის ქართულ წარწერაში (Надг. Епиф., катол. Груз., ნ. მარრის გამ., ИИАН. 1910 г.: „ტფილური ასი დრამა იგი იყოს, დანგი გ მიეცეს“). ამის შემდეგ დანგი საფასეთ არ სჩანს (მე-15 საუკ. შემოდის მონგოლური თანგა—იმავე ძირის სიტყვა). დრამა ფულის ერთეულად კარგად ცნობილია საშუალო საუკუნეებში. ის იხმარებოდა ჩვენში, საგულისხმებელია, მე-14 საუკუნეშიც, რასაც სხვათა შორის უნდა ამტკიცებდეს ალბულას მიერ სამართალში მოხსენებული „ორიანი (ლოდრამიანი) თეთრი“.

მე-9 საუკუნეში ჯერჯერობით პირველად გვხვდება თეთრი საზოგადოდ ფულის აღსანიშნავად (სიგელი ფავენლთა შიო-მღვიმისადმი, თ. ყორღანია, შიო-მღ. ისტორ. საბუთები, 2). ეს სიტყვა უდრის ბერძ-



ნულის *ჭაპიცი* (ს-ო მ-ზე 24 წ. II, ს. კაკაბ., სასისხ. სიგელების შეს., 73). საფიქრებელია, რომ თეთრი, ფულის საერთო მნიშვნელობით, ქართულში ბიზანტიიდან შემოვიდა მე-13 საუკუნიდან. როდესაც *ჭაპიცი* ტრაპეზუნტის სამეფოში გარკვეულ ვერცხლის ფულის—დრამის შესატყვისის სახელს ღებულობს, საქართველოშიაც თეთრი თითქოს ხდება უმთავრესად დრამის სახელწოდებად, თუმცა ამის შემდეგაც ფულის საერთო მნიშვნელობითაც იხმარება. საყურადღებოა, რომ სვანურში თეთრი და ვერცხლი (თეთრ; ვარჩხილ) დღესაც იხმარება საზოგადოდ ფულის აღსანიშნავად (Н. Марр, Извлеч. из сван.-рус. слов., Петроград, 1922 г., 24, 17).

ბოლო საუკუნეებში, საფიქრებელია სპარსეთის ზედგავლენით, ფეხს იკიდებს სიტყვა ფული ჯერ გარკვეულის სპილენძის ერთეულის აღსანიშნავად, ხოლო შემდეგ საზოგადოდ ფულის მაგივრად. უკანასკნელი მნიშვნელობა შერჩა ამ სიტყვას აწინდელ დრომდის. სიტყვა ფული, ქართულში სპარსულ შესატყვის სახელიდან გადმოღებული, წარმოშობით უკავშირდება ბერძნულს *φάλλος* (ბიზანტიურ ოქროს ფულში 2ხმ ფოლისი ითვლებოდა), საიდანაც გადმოღებულია არაბული *فلس* ეს ტერმინი ფოლის სახით დადასტურებულია მე-11 საუკ. ერთ ქართულ ძეგლშიაც (ცხოვრება იოანე და ეფთვიმესი, საეკლ. მუხ. გამოცემა, ტფილისი 1901 წ. 14). ამ ტექსტში ნათქვამია, რომ თორნიკე ერისთავი იოანე ათონელის ისეთი მოჩივლი იყო, რომ „არცა თუ ფოლისა ერთისა ზედა უფალ იყო“-ო. რადგანაც ხსენებული ნაწარმოები ბიზანტიაში არის დაწერილი, ამიტომ შესაძლებელია ფოლი აქ ბიზანტიურ ცხოვრების ანარეკლს წარმოადგენდეს და იგივე ბერძნული *φάλλος* იყოს, თუმცა უნდა ითქვას, რომ მე-12 საუკ. დასასრულს და მე-13 საუკ. პირველ ნახევარს ქართულ სპილენძის ფულებზე აღნაბეჭდი ასომთავრული ფ შეიძლება დამადასტურებელი იყოს ქართულ პრაქტიკაშიდაც სიტყვის ფოლის თუ ფულის არსებობისა ამ ეპოქაში. დანამდვილებით ამის თქმა ჯერჯერობით მაინც არ შეიძლება, რადგან ამ დასკვნას რამოდენადმე ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ შიფრი შ. მოიბოვება რუსუდან მეფის ზოგიერთ ვერცხლის ფულებზედაც (ПашоMOV, დასახელ. შრ., 129).

ოქროს ფულის აღსანიშნავად ჯერ კიდევ მე-5—6 ს-ში ქართულად იხსენიება დრაჰაკანი (სახარ., მაგ., მათ. 22<sub>19</sub>), რომელიც უდრის ბერძნულს *δραχμή*, მაგრამ წარმოებულია სპარსულ შესატყვის სიტყვი-საგან (ახ.-სპ. *دراهم*). ეს გარემოება, ცხადია, ფულის მხრივ და მაშასადამე ეკონომიურადაც ძველი ქართლის უფრო ძველი სპარსეთზე დამოკიდებულების მაჩვენებელია. უნდა ითქვას, რომ სიტყვა ოქრო ხშირად იხმარებოდა საზოგადოდ ოქროს ფულის მნიშვნელობითაც (მაგ.,

მე-13 საუკ. სიგელებში ქრონ. II, 148, 152 და სხ., რკონის სიგელში 1259 წ. ქრონ. II, 133 და სხ.), ხოლო ბოლო საუკუნეებში, მე-16 — 18 საუკ., როგორც საგულისხმებელია სპარსეთის შავალითის მიხედვით (სპარსეთში ამ დროს დუკატს პირდაპირ ოქრო ერქვა, იხ. ქვემოლ), ოქრო ქართულად დადასტურებულია დუკატის აღსანიშნავად.

რადგანაც წინა-აზიის ყველა ხალხში საფასე მჭიდროდ ყოფილი იყო თმანეთთან დაკავშირებული, ამიტომ ცხადია ქართული საფასეც დამოკიდებული უნდა ყოფილიყო თავის სამხრეთ მეზობელთა საფასეზე. სასანიანთ დროის ქართული დრამები (მე-6—7 საუკ.) წარმოადგენენ სასანიანთ დრახმების მიბაძვას. არაბების დროს მათი ღირებულება ტფილისშიც (მე-8, მე-9 საუკ., მე-10 საუკუნის პირველი ნახევარი). მე-10 საუკუნიდან დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში შემოდის ბლომად ბიზანტიის საფასეც (Παχόμων, დასახ. შრ., 54). ძველებში და საბუთებში იხსენიება ბიზანტიური ოქროს ფულები — დუკატი, რომელიც შემდეგ ოქროს ფულის აღმნიშვნელ ჩვეულებრივ ტერმინად იქცა ბიზანტიის გარეშეც და რომელმაც სახელი მიიღო იმპერატორ კოსტანტინე X (1059—1067) და მიხეილ დუკასაგან (1071—1078), ასევე დრაჰკანი კოსტანტინატი, ბოტინატი. ტფილისში მე-13 საუკ. მეორე ნახევრის და მე-14 საუკ. პირვ. ნახ.-ში იჭრებოდა ოქროს ფული სრული მისხლიანი — ვერპერა (ბერძნული νησαρῆρες — ძლიერ მძიმე). ვერცხლის ფულის აღსანიშნავად კიდევ ცნობილია ბოტინატი (იმპერ. ნიკიტ. ბოტანიატი 1078—1081), რომელიც, როგორც ხოფის მე-15 ს-ში გადაწერილ იადგარიდან (ს. კაკაბ., დას. საქ. საეკლ. საბ. I, 2) სჩანს, მე-12 საუკუნეში საზოგადოდ ვაერცვლებული და ჩვეულებრივი საფასე ყოფილა (შეად. ს-ო მ-ზე, 1924 წ. II, წერილი სასისხ. სიგ-ბის შესახებ, 70; 1300 წ. ახლოს ვაჰანის ძველში ბოტინატი იხსენიება დუკატის შემადგენელ ნაწილად, თ. ყორდ., ისტ. საბ. შიო-მღვ. 36; შეად. კიდევ საფარის წარწერა, Такайшв., Археол. зкск. I, 84).

არაბების დინარის (ოქროს ფულის) ნორმალური წონა იყო  $4\frac{1}{4}$  გრ. ანუ 1 მისხალი (ერაყული როტლიდან, რომელიც 96 მისხალს იწონიდა, გამოდიოდა 96 დინარი). რომაულ-ბიზანტიურ ოქროს ფული ნორმალურად იწონიდა 4,548 გრამს ანუ  $\frac{16}{15}$  მისხალს (ერთი ლიბრადან, რომელიც 327,456 გრამს იწონიდა, გამოდიოდა 72 ოქროს ფული. მაგრამ ჩვეულებრივ არაბული დინარი მისხალზე ოდნავ მეტი იყო და ბიზანტიური სოლიდი  $\frac{16}{15}$  მისხალზე ოდნავ ნაკლები. (И. Кауфман, Русский вес, его развитие, 164, 174, 177).

არაბული ღირებულება წონით ნორმალურად წარმოადგენდა დინარის  $\frac{2}{3}$ -ს, მაშასადამე შეიცავდა  $\frac{2}{3}$  მისხალ ვერცხლს (ერაყული როტლიდან იჭრებოდა 144 ღირებულება). ტფილისში მოქრილი არაბული დრამები (მე-8 — 10 საუკ.) და შემდეგ დავით კურაპალატის დრამაც დაახ-

ლოვებით უახლოვდებოდენ არაბულ ღირჭემის ნორმალურ ზომას, თუმცა ცალკე ექვემპლიარები გვიჩვენებენ თვალსაჩინო განსხვავებას. ასე, მაგ., არაბული ღირჭემის ნორმალური ზომა უნდა ყოფილიყო  $2\frac{5}{6}$  გრამი. ჯაფარ ბენჰასურის (946 - 974 წ.) მიერ ტფილისში მე-10 საუკ. მოჭრილი ერთი ღირჭემი 3,51 გრამს იწონის, მეორე 2,1 გრამს და სხ., დავით კურაპალატის დრამა 3,05 გრ. წონის არის. დავით კურაპალატი ფაქტიურად იწყებს ქართული დრამების მოჭრას ქართული წარწერით. მე-11 საუკუნეში ეს ქართული დრამა განაგრძობს არსებობას, მაგრამ მთავრობის ფინანსიურ ხასიათის ზომების გამო დრამა წონაში თანდათან იწყებს კლებას. ბაგრატ III-ის დრამა იწონის 1,78 გრ., ბაგრატ IV-ის და გიორგი II-ის — 1 გრ. და დავით აღმაშენებლისა — 0,82—0,87 გრ.. მე-12 ს-ში და 1230 წლის ახლო დრომდის ვერცხლის საფასე საქართველოში თითქოს არ იჭრება. ყოველს შემთხვევაში აღმოჩენილად არა სჩანს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მხითარ გოში 1184 წ. თავის სამართალში იხსენიებს დრამას როგორც ჩვეულებრივ საფასეს (დრაჰკანი უღრიდა 13 დრამას, *Раштасианнаѳирѣ ჯაიიგ, 309*) და ანისის 1218 წლის ქართულ წარწერაშიც იხსენიება ტფილური დრამა (Н. Марр, Надп. Ешиф., катол. Грузии, ИИАН. 1910 г.).

რუსუდანის დროს კვლავ განახლდა ვერცხლის ქართული დრამის ქდღვა. წონით (2.6—2,67 გრ.) ის ნორმალურ ღირჭემის წონაზე მხოლოდ მკირეოდნად ნაკლები იყო. რუსუდანის შემდეგ 1247 წლიდან ქართული დრამა (თეთრა) იჭრება 3 დანგის ( $\frac{1}{2}$  მისხ.) ანუ 2,15 გრ. წონის. ამავე ზომის დაახლოვებით იჭრებოდა ჰულაგიდების ღირჭემი სპარსეთში მე-13 საუკ. ქვემოლ ჯუვეინის ცნობის მიხედვით ნაჩვენებია (ს. კაკაბ., ფულის გაძვირ. და გაათფების საკითხისათვის საქართველოში მე-13—17 საუკ., —ამავე წიგნში), რომ 1260 წ. ოქროს დინარიც სპარსეთში შემკირებულად სჩანს, მისხალის ნაცვლად ის იწონის მხოლოდ  $\frac{2}{3}$  მისხ. (4 დანგს). აღსანიშნავია ამასთანავე, რომ სპეციალურ ლიტერატურაში მიღებული აზრის მიხედვით, რაც მტკიცდება ნუმისმატიური ფაქტებით, ჰულაგიდების და შემდეგ ჯელაირიდების ოქროს დინარი ძლიერ ცვალებადი ზომის იყო. მაგრამ მაინც, როგორც სჩანს, ამ დროს ნორმალური დინარის მცნებაც არსებობდა.

მე-13 საუკ. მიწურულს ყაზან ყანმა მოახდინა ფულის რეფორმა. ღირჭემი აღებულ იქმნა ისევ  $\frac{1}{2}$  მისხ. ზომის (2,15 გრ.), მაგრამ მოჭრილ იქმნა 6 ღირჭემიანი ვერცხლის დინარი (В. Бартольд. Перс. надп. на стене анийск. меч. Мануче, 18). ამგვარად გაჩნდა ვერცხლის დინარი.

მე-14 ს-ში სპარსეთის ღირჭემი ტრაპეზუნტის ასპრთან ერთად თანდათან იწყებს კლებას (დაწვრილებით ს-ო მე, II, 1924 წ., ს. კაკაბ., სასი-სხლო სიგელების შესახებ, 78—79), ასე რომ 1316 წლიდან ის იწონიდა 1,75 გრ., 1333 წლიდან — 1,4 გრ., ჰასან-ბუზურგის

დროს (1336—1356) საშუალოდ—1,28 გრ., შეიხ-უვეისის დროს (1356—1374) —1,05 გრ., ხოლო მე-14 საუკ. დასასრულს ის იწონიდა მხოლოდ 0,85—1,05 გრამს. საყურადღებოა, რომ ნორმალური ოქროს ფული მე-14 საუკ. პირველ ნახევარში საქართველოში იწონიდა  $\frac{1}{2}$  მისხალს. ეს სჩანს იქიდან, რომ გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებით დრაჰკანი უდრის 6 თეთრს. ამ დროს საქართველოში თეთრი დირჰემის შემცირების გამო ორიანი იგულდისხმებოდა ანუ ორდრამიანი. ბექას სამართლისათვის აღბუღას მიერ დაწერილ წინასიტყვაობიდან საგულისხმებელია, რომ ორიანი თეთრი საქართველოში შემოღებული იყო ბექას დროსაც, შესაძლებელია ამიტომ ორიანი თეთრის სახელწოდების შემოღება დაკავშირებული იყოს ყაზან-ყენის მიერ ორ დირჰემიანი ფულის მოჭრის ფაქტთან. საფიქრებელია, რომ ამ დროს საქართველოში ორდირჰემიანმა ფულმა იწყოს უპირატესად ტრაალი. თუ მე-13 საუკუნეშიც თეთრის სახელით ცნობილი იყო ორდირჰემიანი და არა ერთ დირჰემიანი ფული, როგორც შემოთვინხენიებლით, — ეს კიდევ გამოსარკვევია. თეთრი მე-13 ს. თითქოს იყო დრამის და ასპრის შესატყვისი. ხოლო მე-14 საუკ. მრწურულიდან, ყაზან-ყენის დროს, აღმოს. საქართველოში უპირატესად ორდირჰემიანი ფულის შემოღების შეჰდეგ. ამ საფასეზე გადადის თეთრის სახელიც. მე-14 საუკუნეში ამგვარად თეთრი აღმ. საქართველოში არის ორი დრამის, ხოლო დასავლ. საქართველოში ისევე ტრაპეზუნტის ასპრის, resp. დირჰემის ექვივალენტი.

ამნაირად გიორგი ბრწყინვალის დროს დრაჰკანი უდრის 6 ორიან თეთრს, რომელთაგან თითო, აღბუღას მოწმობით, 5 დანგის წონის იყო (აბუ-სეიდის დირჰემიც 1316—1332 წლებში მართლაც  $2\frac{1}{2}$  დანგის წონის ითვლება). დრაჰკანი ამგვარად უდრის 30 დანგ ვერცხლს. ოქროს და ვერცხლის საფასეს შეფარდება მე-14—16 საუკუნეში წინააზიაში ჩვეულებრივ იყო 1:10, დრაჰკანი მაშასადამე უნდა ყოფილიყო 3 დანგის წონის. მართლაც ცნობილია, რომ აბუ-სეიდის დროს დინარი იჭრებოდა  $\frac{1}{2}$  მისხლიანი, წარწერით: ნახევარი მისხალი (მიტყალი) —  $\text{كامله}$  (A. Markov, Каталог джеланр. мон., LXXX). ცხადია ოქროს ფულის ნორმალური წონა 1260 წ. ახლო დროიდან (ამ დროს ოქრო ნორმალურად  $\frac{2}{3}$  მისხ. იყო) სპარსეთში კიდევ დაცემულა. საყურადღებოა, რომ სტეფანოს ორბელიანი 1294 წლის ახლოსთვის გადმოგვცემს, — 500 დრაჰკანი 5000 დრამას უდრისო (*ჟაჰანი-ქიზნ ზარ. შიხასკან*, ტფილ. გამ. 488). დრაჰკანში მაშასადამე 10 დრამა ითვლებოდა. დრამა ამ დროს 3 დანგს ვერცხლს შეიცავდა, დრაჰკანი, ცხადია, 30 დანგს ვერცხლს უდრიდა. აქაც მაშასადამე ვღებულობთ დრაჰკანს  $\frac{1}{2}$  მისხლის ოქროს შემცველს / დრაჰკ-



კანი ამგვარად უკვე მე-13 საუკ. დასასრულს შეიცავდა  $\frac{1}{2}$  მისხ. ოქროს. აღსანიშნავია აქასთანავე, რომ მე-13 საუკ. დასასრულს საქართველოში მაინც სჩანს სრული მისხლიანი ადგილობრივი ოქროს ფული, სახელწოდებით პერპერა, რომელიც ზაქარია ყაზვინის სიტყვით ტფილისში იჭრებოდა. შესაძლებელია ამიტომ ვიფიქროთ, რომ ამ დროს (მე 13 ს. დასასრ. და მე-14 საუკ. პირველი ნახ.) ტერმინებშიდაც განსხვავება იქნებოდა, პერპერა—სრულ მისხლიანი და დრაჰკანი— $\frac{1}{2}$  მისხლიანი ოქროს ფული იქნებოდა.

მაშინ როდესაც აღმ. საქართველოში მესხეთითურთ ამგვარად მე-14 საუკუნეში თეთრის სახელით იგულისხმება ორდრამიანი ფული, დასავლ. საქართველოში ჩვეულებრივ თეთრს—ტრაპეზუნტის სამეფოს ასპრის შესატყვისს, უმკვიდრდება კირმანეული თეთრის სახელი. ამის შემდეგ კირმანეული თეთრი განიცდის ტრაპეზუნტის ასპრის პარალელურად თანდათან შემცირების პროცესს, ვიდრე მე-14—15 საუკუნეთა მიჯნაზე ის არ დავიდა დაახლ. 1,2 დანგის ზომამდის. კირმანეული თეთრი ამის შემდეგაც იხსენიება, სასისხლო ნორმების განსაზღვრის დროს, კერძოდ დასავლ. საქართველოში მე-16 საუკ. ნახევრამდისაც, — ამ დროს აღზად როგორც წინანდელი დროის ნამოგონარი. აღმ. საქართველოში მე-15 საუკ. მეორე ნახევარში კირმანეული უკვე მკვდარი ტერმინი იყო, ამიტომ სასისხლო სიგელებში მოხსენების გამო საჭირო ხდებოდა მისი ზომის განსაზღვრა (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ს. კაკაბ., სასისხ. სიგელ. შესახებ ს-ო მე, 1924 წ. II, 76, შემდ.).

კირმანეულის თეთრის გარდა ლიხთ-იმერეთს ცნობილი იყო მე-13—15 საუკუნეში ცხუმური თეთრი, რომელიც მე-13 საუკუნეში და შემდეგაც, როგორც სჩანს, მიღებული იყო ვითარცა ჩვეულებრივი თეთრის  $\frac{1}{4}$ . ცხუმური თეთრი, სახელით თითქოს ცხუმთან დაკავშირებული, სახელისავე მიხედვით შეიძლება მიეკუთვნოს საკმაოდ ძველს დროს, თუმცა ჯერჯერობით ცნობილ საბუთებში ის პირველად იხსენიება მე-13—15 საუკუნეებში. მე-11 საუკუნეში ნიკორწმინდის სიგელში წვრილი ფულის სახელად იხსენიება აჟურა (ქრონიკ. II, 48). შესაძლებელია ეს ტერმინი აფხაზური პრეფიქსით ა დაკავშირებული იყოს სვანურ ზორ-თან, რაც ბაჟს ნიშნავს (აქედან ქართული მეზვრე). ამ შემთხვევაში ჩვენ გვეჩვენებოდა საქმე საფასის აღმნიშვნელ და სვანურ ნიადაგზე წარმომდგარის ძველი ტერმინის აფხაზური პრეფიქსით განმტკიცებისა (ა-ჟურა). მაგრამ შესაძლებელია, რომ აჟურა იყოს საფასის ტერმინის ასარი ს (ზემოდ. გვ. 2) შემდეგი განვითარება.

ლიხთ-იმერეთში მე-14—15 საუკუნეში ჯერ კიდევ დაცული ყოფილა ფულის სახელად ჩითახური, რომელიც, საფიქრებელია, ჩვეულებრივ შავი ფულის სახელად იხმარებოდა (ამის შესახებ ქვემოდ

ამავე წიგნში ს. კაკა, ქუთ. საყდ. დავთრის უძველ. ნაწილის შესახებ).  
 მე-15 საუკ. იმერეთში დადასტურებულია რკინა ალბად შავი  
 ფულის აღსანიშნავად (ს-ო მე II, 24 წ., 256). ეს ტერმინი, საფიქ-  
 რებელია, წინადაც იხმარებოდა და ძველი უნდა იყოს.

მე-13—15 საუკუნეში ქართველები იცნობდნენ მონგოლურ  
 ბაღიშს, რომელიც საჩუქარს წარმოადგენდა, მაგრამ ფულის მაგივრო-  
 ბასაც სწევდა და რომელიც, ნორმალური წონით, ოქროსი შეიცავდა 50  
 მისხ. და ვერცხლისა 500 მისხ. (ქვემოდ, ამავე წიგნში ს. კაკაბ., ფულის  
 ვაძვირ. და გაიაფებისათვის საქართველოში მე-13—17 ს.) მე-14—15  
 საუკუნეში იხსენიება სომეცი (ნ. მარრი, აღანი ჯუარის-მონასტ-  
 რისანი, 16, 29, 52, 58, ს. კაკაბ., ისტორ. საბუთ. III, 36). სომე  
 არის მონგოლური ტერმინი (საუკ), ვერცხლის გარკვეულ ნაკვეთის  
 აღმნიშვნელი, რომელიც ფულის მაგივრად იხმარებოდა. მე-14 საუკ.  
 დასაწყისში იბნ-ბატუტას სიტყვით სომე ხუთ ოყას იწონიდა  
 Défrémery, Fragments de géogr. et d'historiens arabes et pers..., Paris,  
 1840, p. 199). ოყა მე-16 ს. დასასრულს ოსმალეთში (ოსმალურ) 100  
 დრაქმას (ანუ 75,2 მისხალს) იწონიდა (H a m m e r, Geschichte des Osman.  
 Reiches, III, 566). მე-14 საუკუნის დასასრულს რუსეთში ტრიალებუ-  
 ლი საუემები 36 მისხლის წონისა იყო (И. Кавфман, Русский рубль.,  
 19), მაშინ როდესაც რუსული რუბლი ამ დროს 48 მისხლის წონის  
 იყო (იქვე). სომე იხმარებოდა მარტო ვერცხლისა, თუ ოქროსაც იყო,  
 არა სჩანს. ჯვარის მონასტრის ერთ მოსახსენებელში ნათქვამია: „მო-  
 გვიდა შვენიერ ყოფილისა მაკრინესი სამოცდა თოთხვეტი სომე, ორას  
 ორმოცდათი მუტყალი ოქრო“ (ნ. მარრის გამ., 52). ეს მოსახსენ-  
 ებელი, დედოფალ შვენიერის მოხსენების გამო, მიეკუთვნება მე-14  
 ს. მეორე ნახევარს (ს. კაკაბ., წერილი შტუდიები, ტუ. 1914 წ., 9).  
 თუ აქ 74 სომე და 250 მუტყალი ერთმანერთის ექვივალენტია, მაშინ  
 მივიღებთ, რადგანაც მუტყალი სრულ წონიანი (მისხლიანი) ოქროს  
 დინარი არის, რომ სომე უდრის 3,4 მუტყალს და ფლურს,  
 სომე, მაშასადამე იქნებოდა მე-14 საუკ. დასასრულს (რუსეთში  
 ტრიალებულ რუსულ და მონგოლურ საუემების მიხედვით) ვერც-  
 ხლის ფულად 34 მისხლის და ოქროდ 3,4 მისხ, ლითონის  
 შემცველ საფასის ექვივალენტი. ამ ცნობას მაინც დასჭირდება  
 კიდევ შეჯეობა, რადგან დანამდილებით არა სჩანს, ჯვარის  
 მონასტრის ატაბების ზემოდ დასახელებულ შემთხვევაში სომე და  
 მუტყალი დამოუკიდებელი იხსენიება, თუ ერთმანერთის ექვივა-  
 ლენტად.

ტერმინი სომე რუს. რუბლის შესატყვისად იხსენიება ერეკლე  
 კახ-ბატონიშვილის მიერ რუსეთში 1674 წლ. ახლოს გაგზავ.

ნილ წერილში (Поревиска грѹз. царей с. росе. госуд., 88—89). აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ცალკე პერიოდებში მე-13—15 საუკ. ჩვენ ვხედავთ საქართველოში როგორც ქართულ, ისე წმინდა უცხო საფასის მოჭრის ფაქტებსაც. რუსუდანი, მაგ., კრიდა ვერცხლის ფულს წმინდა ქართული ზედწერილით (სპილენძის ფული სპარსულ-ქართული ზედწერილით იქედებოდა), დავით IV და დავით V ფულს ქედვენ თავისი და აგრეთვე მონგოლების ყანების სახელით (642—652 წ.წ. ჰიჯრ.), არის აგრეთვე 642 წ. (1244—1245 წ. მაის.) მონგოლების მიერ საქართველოში მოჭრილი ფული შემდეგ ამას მისდევს მანგუყანის ღირებვები (652—658 წ.წ.), უსახელო საფასე (660—678 წ.წ.), ქართულ-ჰულაგიდური ღირებვები (680—694 წ.წ.), მკირე ხნით ქართული ზედწერილის საფასე დიმიტრი თავდადებულის, დავით VI-ის და ვახტანგ III-ის დროს და შემდეგ წმინდა ჰულაგიდური საფასე (689 წლიდან). ჰულაგიდების შემდეგ ტფილისში იჭრება მე-14 საუკ.-ში ჯუჩიდების და ამის შემდეგ ჯგლაირიდების სახელობის და ქართული ზედწერილის მოკლებული საფასე.

თემურლენგის შემდეგ ქართული სიქის საფასის ქედვა ისევ ვანახლდა, ჯერ მეფისა და ჯგლაირიდის სულთანის სახელის ზედწერილით, შემდეგ მხოლოდ საქართველოს მეფის სახელით, მაგრამ მარტო სპარსული ზედწერილით, ხოლო შემდეგ, ალექსანდრე I-ის დროს, წმიდა ქართული ზედწერილით. ალექსანდრე I-ის შემდეგ მე-15 საუკ. ნახევრიდან ქართული ზედწერილი ადგილობრივ მოჭრილ საფასეზე თითქოს ისევ ქრება, ვიდრე მე-18 საუკ. დასაწყისამდის (ე. პახომოვის დასკვნითი ცნობები, Зап. нумизм. отд. ИРАО, т. II, 117—118). დამოუკიდებელი ამისა, იჭრებოდა ტფილისში ქართული თუ უცხო სიქის ფული, მაინც საქართველოს საფასე მტკიცედ დაკავშირებულად სხანს მეზობელ ქვეყნების და უპირველესად ყოვლისა მონგოლურ-თურქულ დინასტიების ქვეშ მყოფ სახელმწიფოების (განსაკუთრებით სპარსეთის) საფასესთან.

როგორ ზემოთ მოხსენებული იყო, ყაზან-ყანის დროს (1295—1304) შემოღებულ იქნა ვერცხლის დინარი, 6 დირჰემიანი 12,9 გრამის (3,2 მისხ.) ზომის. ვერცხლის დინარი, ფულზე წარწერით დინარი (динар). დადასტურებულია ფრენის მიერ ჯუჩიდების სახელმწიფოში მე-14 საუკუნეში (ამის შესახებ იხ. ა. ლიხაჩევის წერილი Новый болгарский клад 1887 г., Зап. Вост. отд. ИРАО, т. III, 165—182. ლიხაჩევი ამ წერილში უარყოფს ფრენის აზრს და ხსენებულ ფულებს აკუთვნებს მე-12 საუკუნის ვოლგას ბულგარებს, მაგრამ ცნობილ ნუმისმატის ფრენის აზრი უფრო სამართლიანად სჩანს). ჯუჩიდების დინარი მე-14 საუკუნეში ორთაშუა რიცხვით მხოლოდ 1/2 მისხალს იწონიდა (37—56 რუს. დოლია). უკვე აქედან სჩანს ჯერ კი-

დევ მე-14 საუკუნეში დაწყებული დევრადაცია დინარისა. შემდეგ დინარი კიდევ უფრო ეკემა და სრულებით წვილ ერთეულად ჩდება, თუმცა პარალელურად რჩება დინარის სახელი ოქროს ფულის აღსანიშნავად. საქართველოში დინარის სახელწოდება თავისი პირვანდელი მნიშვნელობით, ე. ი. ოქროს ფულის აღსანიშნავად, დადასტურებულია მე-16 საუკუნეშიც. სახელდობრ სვიმონ მეფე ერთს თავისს ბრძანებაში 1572 წ. ათავისუფლებს სვეტიცხოვლის ყმებს ყოველგვარ გარდასახადისაგან გარდა სათათრო საურისა, ხოლო საური იმავე ბრძანების სპარსულ ტექსტში განსაზღვრულია როგორც من و ارنا كى — ერთი დინარი და (ხორბალი) ერთი ძანი (ARAK., I, 9—10; ქართულ ტექსტში თარიღი შეცდომით ნაჩვენებია ს ა, ამის მავივრად უნდა იყოს ს ა). დინარი აქ ოქროს უნდა ნიშნავდეს. მართლაც შარდენიცი ადასტურებს (Voyage... პარიზის გამ. 1811 წ. IV, 180), რომ სპარსეთში მის დროს ხმარობდნ ტერმინს დინარ შერაი (ე. ი. კანონიერი დინარი) ოქროს ფულის დუკატის აღსანიშნავად.

რადგანაც დინარი არსებითად მაინც ოქროს ფულს ნიშნავდა, ამიტომ თურქულ ტომებში ამის შესატყვის სიტყვად ალთუნი (ოქრო) იხმარებოდა (التون). თუმანში მაშასადამე ითვლებოდა 10 ათასი ალთუნი. ალთუნის (დინარის) დევრადაცია არაჩვეულებრივი სიძლიერით განხორციელდა თურქულ ტომების ნიდაგზე, ალბად ჩინეთის მიმართულებით შობინდარე თურქულ ტომების ტერიტორიაზე. დაწვრილებით ცნობების მოყვანა ალთუნის (დინარის) და თუმანის დევრადაციის შესახებ ჩვენ ახ შეგვიძლია სათანადო ცნობების ხელთ უქონლობის გამო. სპარსულ წყაროების გასინჯვა ამ მხრივ რაიმე დასკვნების მომცემი იქნებოდა. მაგრამ ხსენებულ წყაროების, ისე როგორც სათანადო სპეციალურ ნუშმატიურ ლიტერატურის გადათვალიერება ამ კითხვის გამოსარკვევად ამ ეჰმად ჩვენთვის შეუქლებელი იყო ლიტერატურის ხელთ უქონლობის გამო. შესაძლებელია თუმანის დევრადაცია სწარმოებდა იმავე გზით, როგორც ბალიშისა. ვასაფი იხსენიებს ჩინეთის მონგოლებში ბალიშ-ჩაოს (ქალაქის ფულს, اسچاچ), რომელიც უდრიდა მისივე სიტყვით ოქროს და ვერცხლის ბალიშის  $\frac{1}{20}$ -ს (ქვემოთ ს. კაკაბ, ფულის გაძირ. და გაიაფებისათვის საქართველოში მე-13—17 საუკ.). ცენკერი თავისს ლექსიკონში (გვ. 327) თუმანს განპარტავს სხვათა შორის როგორც 10 ათასი აყჩეს (ასპრის) ექვივალენტს. ეს ცნობა ალბად მიიკუთვნება უფრო მე-14 საუკუნის დასასრულს ან ამ ხანის ახლო დროს. მირზონდი იხსენიებს მე-15 საუკუნის დასაწყისისთვის ერაყულ თუმანს: დამარცხებულმა შირვან-შაჰმა 1412 წ. გადაიხადა ყარაიუსუჟ ყარა-ყონლის სასარგებლოდ 14 ათასი ერაყული თუმანი (Defrémery, Fragments de géogr et d'historiens arabes et pers, 249. ცხადია, აქ



ჩვენ საქმე უნდა გვეკონდეს ფრიად დეგრადიულ თუმანთან, სადაც დინარი ასპრის მკირეოდენ ნაწილად იგულისხმება. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა შირვან-შაჰის მიერ ამოდენა თანხის გარდახდის შესაძლებლობა, რადგანაც ცნობილია, რომ მე-14 საუკ. პირველ მესამედში, ჰამდალაჰ-ყაზვინის მიხედვით, შირვანის ხარკი უდრიდა 11,3 თუმანს (ამ დროანდელ ფულის ზომის მიხედვით 113 ათას სამ მისხლიან ვერცხლის დინარს—В. Бартольд, Персид. надп. на стене ашхиск. мая. Мануше, 24), ხოლო მე-1570 წლებში შირვანის შემოსავალი (საგულისხმებელია ხარკი და საბაჟო შემოსავალი) სპარსეთის შაჰის სასარგებლოდ უდრიდა 25,2 მილიონ ასპრს—Hammer, op. cit. II, 485), ვერცხლზე გადატანით 3,78 მილ. მისხ. ვერცხლს.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ მირზონდის მიერ მოხსენებულს ერაყულ თუმანს იხსენიებს ისკანდერ მუნშიც, მაგრამ მხოლოდ თბრობაში მე-16 საუკუნის შესახებ და მე-17 საუკუნის პირველ წლებშიც (B. Dorn, Beiträge zur Geschichte der kaukasischen Länder und Völker aus morgenländischen Quellen, Mém. de Acad. imp. des sciences de S.-Petersb., VI sér., t. VI, p. 335, 360, 367, 389; უკანასკნელად ერაყული თუმანი დასახელებულია 1615 წლის თბრობაში შაჰ-აბაზის მიერ კახეთის აოხრების შესახებ: ალავერდელის მიტრა შეფასებულ იქმნა 500 ერაყულ თუმანად). მაგრამ მე-17 საუკ. თბრობაში ისკანდერ მუნში იხსენიებს უკვე თავრიზულ თუმანს (იქვე, გვ. 427). ერაყულ და თავრიზულ თუმანს შორის განსხვავება უნდა ყოფილიყო, ამასთანავე მე-15—16 ს. სპარსეთში უფრო ერაყული თუმანი ყოფილა მიღებული. ამასთან დაკავშირებით ჩვენ აქ შევიჩრდებით მე-16 საუკუნის საფასის შესახებ ზოგიერთ ფაქტებზე.

მე-16 საუკუნეში საქართველოში ტრიალებული საფასე უმთავრესად იყო სპარსული ანდა დამოკიდებული სპარსულზე, მხოლოდ დასავლ. და სამხრეთ საქართველოში ზოგიერთ პერიოდებში, ოსმალეთის პოლიტიკურ ზედგავლენის გაძლიერებასთან ერთად, სჩანს ოსმალური საფასის გაძლიერება. სპარსული ფული მე-16—17 საუკუნეში იჭრებოდა ვერცხლის და სპილენძის. იქვე არი უსს თავისს წიგნში მოყავს მის დროის სპარსეთში ტრიალებულ ფულის სახეები, საიდანაც სჩანს, რომ 1637 წ. ახლოს სპარსეთში ოქროს ფულად ტრიალებდა ჭაიროში მოკრილი ეგვიპტური დუკატები (Voyages du s-r Adam Olearius, Leide, 1719, II, 771). ამას გარდა, როგორც სჩანს, იხმარებოდა ევროპული დუკატებიც. ტ ა ვ ე რ ნ ი ე პირდაპირ ამბობს, რომ სპარსეთში სხვა ოქროს ფული არ არის, გარდა ევროპიდან მოსულ გერმანულ, 17 პროვინც. და ვენეც. დუკატებისაო (Les six voyages, I, 136). შ ა რ დ ე ნ ი ს სიტყვითაც სპარსეთში ოქროს საფასე არ იჭრებოდა.

მე 16 საუკუნეში სპარსეთში უფრო გავრცელებული ვერცხლის ფული იქრებოდა ჩვეულებრივ 4,8 გრამის წონის. ამ წონის არის საქართველოს მუზეუმში დაცულ ეკზემპლიარების მიხედვით თავრიზში ისმაილ I-ის დროს მოჭრილი ფული. ეს ფული იყო გაგრძელებათიმურიდის შაჰ-რუხის (1404—1447) და ყარა-ყოინლუს ჯეჰან-შაჰის (1437—1467) 5 გრამიან ვერცხლის ფულისა და წარმოადგენდა, თუ არ ვცდებით, ექვსთანგიან საფასეს. მე-16 საუკუნის დასასრულს ამავე ზომის საფასეს სპარსეთში ერქვა ქელეშ ი. სპარსეთში გამგზავრებულ რუსის საელჩოს მოხელენი 1598 წ. სწერენ, რომ მათ სპარსელები ქალ. ლანგურში „давали корму на день по сту келешей, а противъ русскихъ денегъ семи рублей“. იქვე მოხსენებულია, რომ „в келешее по два алтына с новгородкою“ (Памятники дипломат. и торговыхъ сношений Московской Руси с Персией, под ред. Н. П. Веселовскаго, СПб. 1890 г., I, 432). რუსულ რუბლში ამ დროს იყო 33,3 ალტინი და 100 ნოვგოროდკა. ქელეში მაშასადამე ამის მიხედვით უდრის 7 ნოვგოროდკას. ამათი ნოვგოროდკა (კოპიენია დენგა) ამ დროს იწონიდა 0,68 გრ. (ი. კ ა უ ფ მ ა ნ ი ს ზემოდ დასახელებული წიგნი). 7 ნოვგოროდკაზე მოდის 4,76 გრ. ქელეში ამ გვარად არის ზემოდ დასახელებული 4,8 გრამიანი ვერცხლის ფული. ქელეშის ზომის ფულს მე-17 საუკუნეში ერქვა შაჰ-მუჰამედ-ხუდაბენდეს სახელი: ოლეარიუსი იხსენიებს ხ უ დ ა ბ ე ნ დ ე ს, როგორც აბაზის  $\frac{1}{2}$ -ს, ხოლო ტავერნიე მას უწოდებს მამუდი-ს. (ოლეარიუსის მოგზაურობის ფრანგ. თარგმანი — Voyages du Sr Olearius, II, 771, Tavernier, les six voyages I, 134, II, 691). 1598 წ. თუმანი უდრიდა რუსულ 7 რუბლს (Памятн. дипломат. и торг. снош., I, 437, 451), თუმანი მაშასადამე ყოფილა 100 ქელეში, რომელიც ამგვარად ორ შაურთან წარმოადგენს (ქელეში შეიძლება იყოს كلس كلى კული შაჰი — მთელი შაური).

თუმანის ღირებულობის შესახებ შაჰ-ო-აზის დროს საყურადღებო ცნობა აქვს დაცული იოანე ბოტერუსს, რომელიც, როგორც სჩანს შაჰ-ხუდაბენდეს დროს (1578—1587) დაუწერია სპარსეთის აღწერილობა, ის სწერს: ... „Tamasus, eius qui nunc regnat pater, toto suo regno sustulit vectigalia omnium exportatarum et importatarum mercium. Id vectigal redderat LX tomanorum millia, quae conficiunt millipnem et octigenta aureorum millia: unus enim Tomanus valet XX(X) aureos (Persia, seu regni persici status, anno 1633, p. 343). თუმანი ამ გვარად აქ 30 ოქროს ექვივალენტად არის ნაჩვენები. ტავერნიე უჩვენებს (Les six voyages, I 135—136), რომ სპარსეთში მის დროს ოქრო (or), ისე როგორც თუმანი, წარმოადგენდა საანგარიშო ერთეულს, ფული კი იქრებოდა ვერცხლისა — აბაზიანი, მამუდი (ორი შაური)

შაური და ბისტა, ზოლო სპილენძისა—ერთი და ორი კასბეკი. ოქრო შეიცავდა 8 ლარს (larin). ლარი იყო ვერცხლის გრძელი ნაქერი, ტავერნიეს სიტყვით ბალზარის და აბაგეთის ძველი ფული, რომელსაც ეხლა იმ ქვეყნის ხელმწიფის წარწერაც ჰქონდა, რომელ ქვეყანაშიდაც იქრებოდა. ოლეარიუსის სიტყვით (მისი მოგზაურობის ფრანგული თარგმანი, Voyages... Leide, 1719, II, 771) ლარი მოქრილი იყო შაპისმაილის დროს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ლარი თითქოს დადასტურებულია ჯვარის მონეტრის აღაპებში მე-14 საუკ. დასაწყისის მოსახსენებელში: „რვაა თავი ლაპრი“ (ნ. შარრის გამ., 51). ტავერნიეს სიტყვით, ოქრო მის დროს უდრიდა 5 აბაზს აბაზ II-ის აბაზი იწონიდა 7,5 გრამს (10,5 დანგს). ოქრო მაშასადამე ვერცხლზე გადატანით იყო 37,5 გრ. (52,5 დანგის) ვერც. ექვივალენტი. ამისდა თანახმად თუმანი მე-16 საუკუნეში ვერცხლზე გადატანით, ბოტერუსის მიხედვით, გამოდის (37,5 × 30 ოქრო =) 1125 გრამის ვერც. ექვივალენტი.

აქ ზედმეტი არ იქნება გარკვევით აღინიშნოს, რომ თუმანი თავით მე-18 საუკუნის დასასრულამდის წარმოადგენდა მხოლოდ თვლის ერთეულს. თუ მართლაც მე-15 საუკუნეშიც თუმანი 30 ოქროს უდრიდა, როგორც ეს იყო მე-16 საუკუნის მე-II ნახევარში შაპხოდამდენდეს დროს, არა სჩანს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში შირვან-შაპის მიერ ყარა-იუსუფ ყარა-ყონლუს სასარგებლოდ 1412 წ. გარდახდილ ერთდროულ ხარკის რაოდენობას (12 ათ. ერაყული თუმანი) და ამ თანხას შევადარებთ შირვანის გარდამხდელობის შესაძლებლობას მე-14 — 16 საუკუნეში, შეიძლება მივიღოთ, რომ ერაყული თუმნის ოდენობა მე-15 საუკუნის დასაწყისშიდაც არ უნდა ყოფილიყო თვალსაჩინოდ დაშორებული ბოტერუსის მიერ შაპხოდამდენდეს დროს თუმნისთვის ნაჩვენებ ოდენობას. ამ საკითხს აქვს საქართველოს ეკონომიკურ ისტორიის ცალკე საკითხებისთვისაც თავისი მნიშვნელობა, რადგანაც თუ მე-15 საუკუნის პირველ ნახევარში არა, მეორე ნახევარში მაინც შესაძლებელია დადასტურებულად ვიფიქროთ თუმნობით ანგარიში საქართველოს ტერიტორიაზედაც (ს. კაკაბ., სასისხლო სიგელების შესახებ, ს-ო მე 1924 წ., II).

თუმნის საკითხთან დაკავშირებით და თავისთავადაც საჭიროა აღინიშნოს, რომ მე-15 საუკუნეში და მე-16 საუკ. პირველ ნახევარში აღმოს. საქართველოში იხმარება თანგა. თანგა უდრის აღმოს.-თურქულს კანს და კანს, რომელიც თურქულად საზოგადოდ ფულსაც ნიშნავდა და სპეციალურ საფასესაც და რომელიც თურქესტანსა და იქიდან სპარსეთში შემოდის თემურლენგის დროდან, თურქული თანგა ანუ ტენგა წარმოიშვა სპარსულ დანეკ-ისაგან და მას ეშესატყვისებოდა. სპარსული დანეკი შეადგენდა დინარის  $\frac{1}{6}$ -ს, ამიტომაც აღმოს. თურქულ-თათრულ ქვეყნებში თანგა ითვლებოდა დინარის შესატყვისის—

ალთუნის  $\frac{1}{6}$ -ად, რუსეთშიც ამიტომ ალტინი (АЛТЫН) შეიცავდა 6 დენგას. თემურლენგის ერთი სიქის ვერცხლის ფული იწონიდა 6,2 გრამს (Маp-кoв, დასახელ. შრ., LXXX). ის, თუ არ ვცდებით, ექვსთანგისა უნდა ყოფილიყო. თანგა ამ შემთხვევაში გამოდის თანადროულ ღირებულებისა და ასპრების დაახლოვებით ერთი ზომის. მე-15 საუკუნეში შაჰრუხის, ყარა-ყოინლუს და აყ-ყოინლუს ერთი სიქის ფულის ზომა საქართველოს მუხეუმის ეკზემპლიარების მიხედვით 5 გრამს უდრიდა. ეს ფულიც, თუ არ ვცდებით, 6 თანგისა უნდა ყოფილიყო. ჩვეულებრივი თანგა ამგვარად საგულისხმებელია დაახლოვებით ღირებულების და ასპრის შესატყვისად. სასისხლო სიგელებიდან სჩანს, რომ მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში თანგა აღმ. საქართველოში გარკვეულად დრაჰის შესატყვისად არის საგულისხმებელი (სო მ-ე 1924 წ. II, — სასისხლო სიგელ. შესახებ, 81, ვაჩნასძეთა სიგელის და ყურულის შვილის სიგელის მინაწერის ცნობები).

თანგა, როგორც სჩანს, მარტო ვერცხლისა არ იყო. შერეფ-ედ-დინ ალ-იეზდის სიტყვით გიორგი მეფეს თემურ-ლენგისთვის საჩუქრად მოუჭრევენებია ათასი ოქროს თანგა თემურის სახელით. აქ თანგა, როგორც სჩანს, საჩუქრის სახით არის საგულისხმებელი, მით უმეტეს რომ ჰულაგიდების და ჯელაირიდების და თემურ-ლენგის დროს ოქროს ფული იჭრებოდა უმთავრესად საზღიშო შემთხვევისათვის. დოვლეტ-შაჰის მიხედვით, მე-15 საუკ. პირველ ნახევარში თურქესტანში და სპარსეთში მსვლელობაში ყოფილა სპილენძის თანგა, რომელიც ვერცხლის თანგას  $\frac{1}{4}$  უნდა ყოფილიყო.

მართლაც დოვლეტ-შაჰი გადმოგვცემს, რომ თიმურიდის ულუგ-ბეგისას (მეფობდა 1447—1449 წ., მაგრამ ფაქტიურად განაგებდა იმპერიას უფრო ადრეც, თავისი მამის შაჰრუხის დროსაც) თანგა და ღირებუმი იყო ორგვარი ანგარიშის—ვერცხლის და აგრეთვე სპილენძის: گویند که بعد او از یک جریب زمین که چهار خاروار محصول آن بود چهار دانگ فوس مال و خراج میگرفتند که بحساب دراهم تقریر یک دانگ باشد (The tadhkiratu 'sh-shu'ara of Dowlatshah edited by E. Brown, London, 1901, p. 362) ე. ი. — „ამბობენ-ო, რომ (ულუგ-ბეგის ბრძანებით) თითო გრივ მიწაზე, რომელსაც შემოჰქონდა 20 ხარვარი ხორბალი, გარდასახად (მალი და ხარაჯა) მიჰქონდათ 4 დანგი სპილენძისა, რაც ვერცხლის ღირებულის ანგარიშზე უდრიდა 1 დანგს“. ამ ცნობიდან შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ერთისა და იმავე სახელობის ვერცხლის და სპილენძის საფასეს შორის მე-15 საუკ. ნახევარში თურქესტანსა და სპარსეთში, ულუგ-ბეგის იმპერიის სივრცეზე, შეფარდება ყოფილა 1 : 4. თუ დოვლეტ-შაჰის დანგი თანგა არის, მაშინ შესაძლებელია მივიღოთ, რომ სპილენძის თანგა ვერცხლის თანგას ეფარდებოდა, როგორც 1 : 4.

რომ მართლაც საქართველოში, კერძოდ ლიხთ-იმერეთს მომქმედ



ფულის ერთეული მე-13—15 საუკუნეში წარმოდგენილი იყო ერთ მეოთხედ ნაწილადით, ეს უნდა დასტურდებოდეს იმ გარემოებითაც, რომ, როგორც ნაჩვენებია იყო (ს-ო მ-ზე 1924 წ. II, 90), ცხუმური უნდა ყოფილიყო ჩვეულებრივ თეთრის  $\frac{1}{4}$ . ამას გარდა ქუთაისის საყდრის დავთრის დამატებაში, რომელიც ჩვენის აზრით მე-14—15 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს, მოხსენებულია ჩითახურის  $\frac{1}{2}$  და  $\frac{1}{4}$  (ქვემოლ, წერილი ს. კაკაბაძისა, ქუთაისის საყდრის დავთრის უძველესი ნაწილი). შესაძლებელია სპილენძის თანგას ექვივალენტი იყოს მე-15 ს-ში ლიხთ-იმერეთს საფასედ მოხსენებელი რკინა (ს-ო მ-ზე, 24 წ. II, 256—257, ს. კაკაბ., ტერმინი რკინა ფულის მნიშვნელობით).


თანგა იხსენიება აღმ. საქართველოში (დასავლ. საქართველოში თანგა ჯერჯერობით არ სჩანს) მე-16 საუკუნის ნახევრამდის. მე-16 საუკუნის დასასრულიდან ქართლში გვხვდება შაურობით ანგარიშა, რაც გულისხმობს თუმნობით ანგარიშის საბოლოოდ დამკვიდრებას.

თანგასა და თუმნობით ანგარიშს შორის დამოკიდებულობის შესახებ ცნობა ჩვენს ხელთ მყოფ ლიტერატურაში არ შეგვხვებია. მაგრამ ჩვენ მაინც ნებას მივცემთ ჩვენს თავს ორიოდ მოსახრება ამის შესახებ გამოვსტკვათ. თუმანი, თანახმად მე-13—14 საუკუნეში მიღებულ ანგარიშისა, შეიცავდა 10 ათ. დინარს ანუ ალთუნს. სპარსეთში თუმანი ეხლაც 10 ათ. დინარს შეიცავს. უკნინეს ერთეულად სპარსეთში მე-17 საუკუნეში ითვლებოდა კაზბეკი, რომელსაც კიდევ ფული ეწოდებოდა და რომელიც 5 დინარს ანუ ალთუნს შეიცავდა. ფული (لوی)—ეს იგივე ბერძნული φάλλος არის. ბიზანტიურ ოქროს სოლიდში 288 ფოლისი ითვლებოდა. სპარსეთშიც თეორიულად მისხლიანი დუკატი ამდენივე კასბეკის ან ფულის შემცველი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადგანაც სპარსეთში მე-16—17 საუკუნეში ტრიალეზული ოქრომისხალზე ნაკლებს იწონიდა (ზემოდ, გვ. 14; ოქრო 52,5 დანგ ვერცხლის ექვივალენტი იყო, რაც ოქროს და ვერცხლის შეფარდებით 1:10 იძლევა 1 ოქროს თვის 5,25 დანგ ოქროს), ამიტომ ტავერნიეს დროს (I, 136) დუკატი 26 შაური ღირდა, ნაცვლად (0,1 შაური  $\times$  288 =) 28,8 შაურისა, როგორც უნდა ყოფილიყო 288 კასბეკის მიხედვით.

კასბეკი, ჩვენის აზრით, უნდა იყოს იმავე წარმოშობის, როგორც რუსული კოპეიკა. ხოლო რუსული კოპეიკას (копейная денга) ერთ დროს აწარმოებდენ, თანახმად რუსულ მემათიანის ცნობისა 1535 წ. ქვეშ, იმ ფაქტიდან, რომ მე-16 საუკუნის დენგაზე გამოხატული იყო მოსკოვის დიდი მთავარი ცხენზე მჯდარი შუბით. მაგრამ ეხლა უკვე დამტკიცებულია, რომ ტერმინი კოპეიკა იდენტურია, ისე როგორც დენგაზე შუბიანი ცხენოსანის სურათი მე-16 საუკ.

უწინარესადაც იყო (И. Кауфман, Серебряный рубль в России... 65—66, А. Марков, Русская нумизматика, СПб., 1905 г. 24—25). სიტყვა კოპეიკა წარმოსდგება თათრულ გამოთქმისაგან: დინარ კოპეიკი, რაც ნიშნავს—ყენის ყოპეიკის დინარს. კოპეიკი იყო ჯაგატაის (ჩინგიზ-ყენის შვილის) შტოს ყენი, რომელიც ფლობდა ტრანს-ოქსიანას, მავრიანაპრს და ბუხარას და რომელიც ყენობდა 1309 წ. და 1318—1321წ.წ. ერთი სპარსელი ისტორიკოსის სატყვიით, რომლის სახელს ა მარკოვი (Русск. нумизм., 25) სამწუხაროდ არ ასახელებს, თემურ-ლენგის დროს ტენგა შეიცავდა 6 დინარ-კოპეიკს. თანგა ამგვარად 6 დინარს შეიცავდა. აქ საქმე გვაქვს, რასაკვირველია, ფრიალ დეგრადიულ დინართან. სპარსეთში შემდეგ, როგორც სჩანს, კოპეიკ-ყენის სახელი დამკვიდრებულა ხუთ დინარიან საფასეზე, რის გამო 5 დინარის ანუ ალთუნის შემცველი ერთეული იწოდებოდა კასბეკად (მე-17 საუკუნეში, ძველი ნამოგონარის სახით, ეს გარკვევით სჩანს). ამგვარად ხუთ დინარიან ერთეულს შერჩა კებეკ (რუსული გამოთქმით—კოპეკ)ყენის სახელი, როგორც ეს მე-17 საუკუნიდან ვერცხლის ფულის განსაზღვრულ ერთეულს სპარსეთში (და ჩვენში აქამდისაც) დაუმკვიდრდა შაჰ-აბაზ I-ის სახელი—აბაზი.

როგორც მოხსენებული იყო, თანგა თემურ-ლენგის დროს 6 დინარს უდრიდა. მე-1380 წლებამდე რუსეთში ტრიალებული მონგოლური დენგა  $\frac{1}{3}$  მისხ. (2 დანგ.) ზომისა იყო (И. Кауфман, დას. შრ., 19). ოქროს ურდოს ყენის ტახთამიშის (1376—1391 წ.) დენგა იწონიდა 30—33 რუს. დოლიას, უფრო 31 დოლიას (П. Савельев, монеты джуч., джагат., джелавр., обращавшиеся в Зол. Орде в эпоху Тохтамыша, СПб 1859 г., 65—120, 308). საყურადღებოა, რომ ტახთამიშის სახელით შემახაში, ბაქოში და დარუბანდში მოქრილი ფული რომელიც, თუ არ ვცდებით, ორმაგი დირჰემი უნდა იყოს, იწონის  $39\frac{1}{2}$ —45 დოლიას, თუმცა მოიპოვება უფრო იშვიათად შემახაში და ბაქოში მისი სახელით მოქრილი 32 და 34 დოლიანი ვერცხლის ფულიც (იქვე, 121—127). თუ ორთაშუა რიცხვით 42 დოლიანი ვერცხლის საფასე აქ ორ დირჰემიანია და 32 დოლიანი საფასე—მონღოლური თანგა, მაშინ შეიძლება მივიღოთ, რომ ტახთამიშის დროს შირვანში ხდება ახალს საფასეზე—მონღოლურ ტენგაზე გადასვლის პროცესი. საყურადღებოა, რომ დაახლოვებით მონღოლურ ტენგას ზომის არის თემურ-ლენგის დროს მისი ბატონობის მეორე ნახევარში მაჰმუდ-ყენის და მისი სახელით მოქრილი ვერცხლი ლები (34— $35\frac{1}{2}$  დოლია; Савельев, დასახელ. შრ., 16). მაშინ როდესაც მისი ბატონობის პირველ ხანაში, სურიაგანში მონღოლურ დროს, გვხვდება როგორც 32—36 დოლიას, ისე 42 დოლიას



მქონი საფასე (იქვე, 165—167). თემურ-ლენგის თანგა ამგვართ თითქოს მისდევს ოქროს ურდოს თანგას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ტოხთაჰიშის შემდეგ ოქროს ურდოში ჩვენ გვხვდება თვალსაჩინოდ შემცირებული ტენგა 25—27 დოლიას წონისა, რაც გარდამავალ ხანის მაჩვენებელი უნდა იყოს და შემდეგ (თუ თითქმის ამის პარალელურად) ჰიჯრის 801 წლიდან (1398—1399 წ.)— $14\frac{1}{2}$ —18 დოლიას წონის საფასე (Савельев, დაახლ. შრ. 318—328). რუსეთში 1385 წლიდან და მე-15 საუკ. დასასაწყისში იჭრებოდა 24—19 დოლიას სიმძიმე დენგა (Кауфман, დასახ. შრ., 21).

ამისდა მიხედვით შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ტენგა, ქართულად თანგა, მე-15 საუკ. დასაწყისში დაახლ. 18 დოლიას ანუ 1,115 დანგის ახლოს ზომისა უნდა ყოფილიყო, ე. ი. დაახლოვებით ის მისდევდა ახლოდროინდელ ტრაპეზუნტის ასპრს ანდა სპარსეთის დირჰემს. ამიტომ თემურ-ლენგის შვილის შაჰ-რუხის (1404—1447 წ.) მიერ, თემურიდის აბუ-სეიდის და ყარა-ყოინლუს ჯეჰან-შაჰის (1437—1467 წ.) მიერ თავრიზში მოჭრილი 5 გრამიანი ანუ 7 დანგიანი ვერცხლის საფასე არსებითად უნდა წარმოადგენდეს ექვს თანგიანს საფასეს (ამ საფასეს ნუმიზმატები ტენგას ეძახიან). თითო თანგა საფასეზე თეორიულად ამგვარად მოდის 1,19 დანგი ვერცხლი. შაჰ-ისმაილის დროს (1502—1524 წ.) წინანდელი 5 გრამიანი საფასე თავრიზში ოდნავ დაკლებით იჭრებოდა, ორთაშუა რიცხვით 4,8 გრ. ანუ 6,7 დანგი, დინარზე მასასადამე ეხლა ზემოდ მოყვანილ მოსაზრებათა გამო თეორიულად მოდის ოდნავ ნაკლები—0,186 დანგი ვერცხლი. რადგანაც 1 თანგაში 6 დინარი ითვლებოდა; ამიტომ ამისდა მიხედვით თუმანი (=10 ათ. დინარი) შეიძლება ვიგულისხმოთ საფასეს მხრივ მე-15 ს.-ში 1900 დანგი ვერცხლის და მე-16 საუკ. პირველ ნახევარში 1860 დანგი ვერცხლის ექვივალენტად. როგორც ზემოდ ვნახეთ, ბოტერუსის სიტყვით შაჰ-თამაზის (1524—1576 წ.) და შესაძლებელია ხუდაბენდეს დროსაც თუმანი 30 ოქრო ღირდა, ვერცხლის საფასეზე გადატანით 1570 დანგი.

ზემოდ მოხსენებულის მიხედვით შესაძლებელია დაახლოვებით მაინც გამოტანილ იქნას შთაბეჭდილება, თუ როგორ მოხდა პირველად თურქესტანის ტერიტორიაზე თუმანის მცნების დეგრადაცია. სპარსული ერთეულის 5 დინარიან საფასის სახელიც კასბეკი ამასთან ერთად უკავშირდება იმავე ტრანს-ოქსიანის ტერიტორიას, მაშინ როდესაც ამავე 5 დინარიან საფასის მეორე სახელი ფული დაკავშირებულია არაბების შუაგობით ბიზანტიურ ფოლის-თან.

მე-16—17 საუკუნის მიჯნაზე, როგორც სჩანს 1600 წლის ახლოს, შაჰ-აბასმა დაიწყო აბაზის მოჭრა. თითო აბაზი ორთაშუა რიცხვით შაჰ-აბაზ I-ის დროს (საქართველოს მუზეუმის ეკვემპლიარების მიხედვით)

საშუალოდ იწონიდა 7,6 გრამს (10,64 დანგს). თუმანში (=50 აბაზი) ეხლა უკვე 380 გრამი ვერცხლი ირიცხებოდა, მაშინ როდესაც 1598 წელს 480 გრამი იყო, ხოლო შაჰ-თამაზ და ხუდაბენდეს დროს 30 ოქრო ყოფილა (ვერცხლზე გადატანით დაახლ. 1125 გრამი). საფასის ძირითად ერთეულის შემკირებასთან ერთად ამგვარად კლებულონდა თუმანიც, რომელიც მხოლოდ თეორიულ ფულის ერთეულს წარმოადგენდა.

მე-17 საუკუნეში სპარსული აბაზი დახლოვებით ერთი და იმავე ზომის იყო ოდნავ დაკლების ტენდენციით. აბას II-ის აბაზი საქართველოს მუხ. ეკზემპლიარების მიხედვით 7,7 გრამს იწონიდა, სულეიმან I-ისა (1667—1694)—7 გრამს (9,8 დანგს).

საქართველოში ტრიალებული საფასეც დახლოვებით ამავე ნორმებს მისდევდა. მე-16 საუკ. დასასრულს ქართლში, შეიძლება ითქვას, ფულის ერთეულად იხმარება შაური, როგორც ეს, სხვათა შორის, სჩანს სვიმონ მეფის 1590 წ. ბრძანებიდან მეკობრეთ-მძებნელთ სახელზე (საქართ. სიძვ. II, 24). მე-17 საუკუნეში სპარსული სიქის ფული იჭრებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოშიც. ტავერნიე გადმოგვცემს, რომ „ტფილისის მეფე ჭრის ფულს სპარსეთის შაჰის სახელით. ფულს ჭრიან ესპანურ რეალებიდან, ფრანგულ ეკუ და სხვა ფულებიდან, რომელნიც შემოაქვთ სომხებს ევროპიდან იქ გაყიდულ საქონლის მაგივრად“-ო (Les six voyages, I, 361).

სპარსულ ფულს სჭრიდა მე-17 საუკ. ნახევარში იმერეთის მეფეც. ტავერნიე ეს სიტყვით „იმერეთის მეფე ჭრის ფულს იმავე სიდიდის და იმავე ზომისას, როგორც სპარსეთის მეფის და ტფილისის ფულია. მაგრამ რადგანაც მისი ფული იმავე შინჯადობის არ არის და აკლია 2<sup>0</sup>/<sub>10</sub>, ამიტომ მას ვაჭრობაში მსვლელობა არ ექნებოდა, —ვაჭრობა სპარსეთს და იმერეთს შორის საკმაოდ დიდია, —რომ იმერეთის მეფეს არ მიემართა შემდეგი ზომისათვის. სახელდობრ ფულზე ის აკეთებინებს სპარსეთის შაჰის სახელთან ერთად თავისს სახელსაც, რის გამო ეს ფული თავისუფლად ვადის. იმერეთის მეფე მოაჭრევენებდა ფულს დიდი ხელმწიფის (იგულ. ოსმალეთის სულთანი) სახელზედაც და აქედან მას მეტი მოგებაც ექნებოდა, მაგრამ მოელს ოსმალეთში იჭრება მხოლოდ პატარა ფული —ასპრი, გარდა დუკატებისა, რომელსაც ქაიროში ჭრიან... იმერეთის მეფე, ისე როგორც ტფილისის მეფეც, თავისი ფულის მოსაჭრელად სარგებლობს ყოველგვარი უცხო ფულით“ (I, 365). ტოლოჩანოვის სიტყვით 1651 წელს იმერეთში მსვლელობაში იყო ოქროს ფული (იგულისხმება დუკატები) ხუთი აბაზის ღირებულობისა, ტალერი (эфимики), რომელიც 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> და 3 აბაზს უდრიდა, აბაზიანი და ბი-



სტი (Др.-росс. восточника, მე-2 გამ., IV, 246, შეად. ქვემ., 26). „ეტიმოკალ“ აქ აღბად იგულისხმება იგივე სპარსული სიქის ფული, რომელიც სპარსეთში იჭრებოდა და 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> აბაზს უდრიდა (ტავერნიე II, 661, იქვე ტაბულა).

მე-17 საუკ. პირველ ნახევარში ოდიშშიც სპარსული ფული იყო გავრცელებული. არქანჯ. ლამბერტი გადმოგვცემა, რომ ლევან II დადიანის დროს სომეხ ვაჭრებს აქ შემოჰქონდათ სპარსული აბაზები. როცა ლევანმა დაარსა ზარაფხანა, ამ ზარაფხანაში სჭრიდენ სპარსული-სავე ნიშნის ფულს, რომელსაც, ამბობს ლამბერტი, უფრო სომხებივე ხმარობდენ, როცა სპარსეთში მიდიოდენ სავაჭროდ, ვიდრე ადგილობრივი მკვიდრნი, რომელნიც უფრო აფასებდენ უცხო ფულს, მაგალითად უნგრულს ცეკკინოს და ესპანურ რეალებს“ (იტალიური ტექსტი 1654 წლის გამ., გვ. 183 და ქართული თარგმანი აღ. ქუნიასი, 166). აქ ნახსენები უნგრული ცეკკინო ოქროს ფული იყო, ხოლო რეალი— ვერცხლისა.

ამ გვარად ცხადია. რომ მე-17 საუკუნეში სპარსული სიქის ფული გავრცელებული ყოფილა დასავლ. საქართველოს ტერიტორიაზედაც, ადგილობრივად მოჭრილი ფულიც სპარსული შესატყვის ფულის სახის ყოფილა. ნუმისმატიური ფაქტების პრაქტიკულად შესწავლა, იმედია, ამ საკითხს მომავალში თვალსაჩინოდ გარკვევს.

რადგანაც საფასის სპარსული სისამა გაბატონებული იყო მე-17 საუკ. აღმოს. საქართველოში და თვალსაჩინოდ ფეხ მოკიდებული დასავლ. საქართველოშიც, ამიტომ ზედმეტი არ იქნება ამ სისტემის შესახები ცნობები მოკლედ აღნუსხულ იქმნას. ტავერნიე გადმოგვცემს, რომ მის დროს (მე-17 საუკ. ნახევარში 1640—1660 წ.) სპარსეთში ტრიალებდა შემდეგი სახელწოდების საფასე: ვერცხლისა—აბაზი, მამული (ორშაურიანი), შაიე (შაური) და ბისტი. ბისტი უკვე ცოტა იყო და იშვიათად იხმარებოდა, ხმარებაში იყო აგრეთვე ვერცხლის პატარა ნაღობი ლარი (larin), სპილენძის საფასე—კასბეკი და ორკასბეკიანი. ოქროს ფული იხმარებოდა უცხოეთის—გერმანული, 17 პროვინციის და ვენეციის (Les six voyages I, 134—136). ანგარიშისთვის კი იხმარებოდა ტერმინები ოქრო (=5 აბაზს) და თუმანი (იქვე. 136).

შარდენის ცნობებიდან სჩანს (Voyage..., პარიზ გამ. 1811 წ. IV, 180—187), რომ სპარსეთში მის დროს ფულის საანგარიშებლად იხმარებოდა ტერმინები—დინარ ბისტი (20 დინარი) და თუმანი. თუმანი 10 ათ. დინარს შეიცავდა. ორივე ეს ტერმინი იხმარებოდა საანგარიშებლად, ყველაზე მცირე საფასეთ კი ითვლებოდა შაიე (=შაური), ვერცხლის ფული. ორი შაიე იწოდებოდა მამული. მამულის სახელის წარმოშობას შარდენი შეკდომით უკავშირებს სულ:

თან მაჰმადის (ლაზნევიდის) სახელს. მაგრამ ოლეარიუსი გადმოკვცევს, რომ ორშაურაიანს მის დროს ერქვა ხო და ბენ დე (მოგზაურობის ფრანგული თარგმ. 1719 წ. ვამ., II, 770), საიდანაც სჩანს, რომ მამულის შემოღება მიეკუთვნება შაჰ-მუჰამედ-ხუდაბენდეს (1578—1587). ორშაურაიანი საფასე იწოდებოდა აბაზად. იყო კიდევ 10 შაურაიანი და 5 აბაზიანი ვერცხლის საფასე, მაგრამ იშვიათად, და ხალხში აღებ-მაცემობის მიზნისათვის არ იხმარებოდა. სპილენძის ფულად შარდენის დროს იყო კასბეკი და ნახევარკასბეკი. ოქროს ფული არ იჭრებოდა. მხოლოდ შაჰის ტახტზე ასვლას და ახალწლისთვის მოიჭრებოდა ოქროს ფული გერმანული დუკატის ზომის, მაგრამ ის აღებმაცემობისთვის არ იხმარებოდა, მას უფრო მედალის ხასიათი ქონდა. სპარსელები მას ეძახდნენ ტელა-ს (ე. ი. ოქროს ფულს) და კიდევ შერაჰ-ის (კეთილშობილას). საფასედ იყო კიდევ გრძელი ნაღობი ლარი (larin) რომლის სახელი წარმოებული იყო ლარის პროვინციიდან. ლარი შარდენის სიტყვით  $2\frac{1}{2}$  შაური ღირდა.

შარდენი იხსენიებს კიდევ დანგს, როგორც ფულის ერთეულს (IV, 175), რომელიც უნდა იყოს თანგა. ეს დანგი მისი სიტყვით იწონიდა 12 მარცვალს ანუ  $\frac{1}{4}$  მისხალს (დანგი როგორც წონის ერთეული შეადგენდა ამ დროს სპარსეთშივე  $\frac{1}{6}$  მისხალს). ამ ცნობიდან შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ჯერ კიდევ მე-1670 წლებში სპარსეთში სპორადიულად შენარჩუნებული იყო თანგას ხმარება\*).

ხსენებულ ცნობების მიხედვით გამოდის, რომ მე-1670 წლებისთვის (შარდენის დროს) სპარსეთში შეწყვეტილი იყო ვერცხლის ბისტის მოჭრა და შემოღებული ნახევარ კასბეკიან (ნახევარ ფულიან) სპილენძის საფასის მოჭრა.

ეხლა გადავიდეთ ქართლში მე-18 ს-ში ტრიალებულ საფასეზე.

ტურნეფორის ცნობის (Voyage... I, 131) მიხედვით 1700 წ. ტფილისში ტრიალებდა სპილენძის კასბეკი (ფული) და ვერცხლის შაურაიანი, ორშაურაიანი (უხალთუნნი) და აბაზი. გარდა ამისა იხმარებოდა პიასტრი (ალბად ოსმალური), უდრიდა  $10\frac{1}{2}$  შაურს, და ოქროს ფულად—ვენეციური კუკინო და ჰოლანდიური ოქრო, რომელსაც აღ-

\*) აღსანიშნავია, რომ შარდენის ამ ცნობის მიხედვით მის დროს სპარსეთში ჯერ კიდევ ტრიალებული თანგა 1,5 დანგის ( $\frac{1}{4}$  მისხლის) წონის ყოფილა, მაშინ როდესაც ზემოდ (გვ. 18) მოყვანილ ცნობების მიხედვით მე-16 საუკ. მეორე ნახევარში თანგა უნდა ყოფილიყო დაახლ. 1 დანგის ვერცხლის შემცველი, თუ რა ხასიათისა იყო შარდენის მოხსენებული დანგი (თანგა), ამ საკითხის საბოლოოდ გარკვევა შეიძლება ნუმისმატიურ ფაქტების პრაქტიკულად შესწავლისა და აგრეთვე საისტორიო ხასიათის ცნობების დეტალურად შეკრების შემდეგ.

მოსავლეთში ასლანს ეძახოდენ, რადგან მასზე ლომი იყო გამოხატული. ვახტანგის სამართალი (§16) ოქროს ეძახის ფლურს.

ვახტანგ სჯულმდებლის სამართლის მიხედვით აბაზი ქართლში მე-18 საუკ. დასაწყისს 9,6 დანგის (6,86 გრ.) წონის იყო. 1131 წ. ჰიჯრ. (1718—1719 წოებ.) ტფილისში შაჰ-სულთან-ჰუსეინის სახელით მოჭრილი აბაზი იწონის 5.4 გრამს (7,56 დანგს), 1730—1731 წ. \*) მოჭრილი აბაზი, გვლდენშტედტის მიხედვით (Reisen... I, 358), — 4,5 გრ. (6,3... დანგ.), 1183 წ. ჰიჯრ. (1769—1770 აპრ.) ერეკლე II-ის მიერ მოჭრილი აბაზი იწონიდა 3 გრ. (4,2 დანგს). ამავე 3 გრამის ზომის არის 1193 წ. ჰიჯრ. და 1202 წ. ჰიჯ. ერეკლე II-ისავე აბაზანები (გვლდენშტედტი ერეკლე II-ის 1183 წ. ჰიჯ. აბაზიანს უჩვენებს 50 გრანის წონის =  $4 \frac{2}{7}$  დანგის). ამ ცნობების მიხედვით ცხადია აბაზის თანდათან შემცირების პროცესი, ფისკის ინტერესების დასაცავად, მე-18 საუკუნის სიგრძეზე, სახელდობრ, აბაზი მე-18 საუკ. დასაწყისს იწონის 9,6 დანგს, 1719 წლიდან 7,56 დანგს, 1769 წლიდან 4,2 დანგს (ოთხ-დანგიანი აბაზი).

აბაზის ზომის ცვალებადობასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა მე-18 საუკუნეში სპილენძის ფულით ვითარების გათვალისწინებაც. ქართლის მართველის სვიმონის ფული იწონის 1114 წ. ჰიჯრ. (1702—1703 მაისი), 8,5 გრ., 1124 წ. ჰიჯრ. 8 და 8,5 გრ., ვახტანგ VI-ისა 1120 წ. ჰიჯრ. (1708—1709 წ.)—9 გრ., ბაქარ მეფისა ტფილისს 1131 წ. ჰიჯრ.—8 გრ. (აღებულია საქ. მუზეუმის ეკზემპლიარები). 1637 წ. სპარსეთში ფულით, ოლეარიუსის ცნობის მიხედვით (Voyages... II, 771) 2 დრახმას ანუ 10,5 დანგს (7,5 გრ.) იწონიდა (ამის შესახებ ს-ო მ.ბე II, 24 წლ., ს. კაკაბ., რეცენზია, გვ. 285—288)

რადგანაც აბაზის ზომა ოლეარიუსის შემდეგ მე-18 საუკ. დასაწყისამდე თითქმის ერთსა და იმავე დონეზე იდგა ოდნავ შემცირების მიდრეკილებით. ამიტომ ფულიც დაახლოვებით ერთსა და იმავე დონეზე სჩანს. თეიმურაზ II-ის მიერ 1747 წ. მოჭრილი საფასე,

\*) გვლდენშტედტს ამ ფულის თარიღი მოყავს 1143 ჰიჯრ. და ფრჩხილებში უჩვენებს 1749 წ. ნამდვილად კი 1143 წ. ჰიჯრ. უდრის 1730 წ. 17 ივლ.—1731 წ. 6 ივლ. ჩვენის აზრით 1731 წ. თარიღი უფრო სწორი უნდა იყოს, მით უმეტეს რომ გვლდენშტედტს უნახავს 1141 წ. ჰიჯრ. მოჭრილი სპარსული აბაზი 1 დრაქმა და 15 გრანის წონის, ე. ი. იმავე ზომის როგორც 1143 წ. ჰ. აბაზი, მის მიერ აწერილი (Reisen... I, 358). 1141 წ. ჰ. ტფილისში მოჭრილი აბაზიანი უნდა იყოს არა სპარსულ მართებლობის დროს, როგორც აღნიშნავს გვლდენშტედტი, არამედ ოსმალთა ბატონობის დროს, თუმცა ფულის ზედწერილში მოხსენებულია ალიც („არა არს ღმერთი გარეშე მხოლოდ-ღმერთისა, მაჰმადი მისი წინასწარმეტყველი და ალი მისი რწმუნებული“).

რომელიც ბისტი (4 ფული) უნდა იყოს, 15,3 გრამს იწონის ს.ო მე II, 24 წლ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, რეცენზია). 1752 წ. თეიმურაზ-ერეკლეს მიერ მოჭრილი ორმაგი ფული — 9,5 გრამის წონისაა. ერეკლე II-ის ფული ღერბის გამონახტულებით (სასწორი, ქვიწყის სფერო, ხმალი და სკიპტრა), რომელიც აწერილი აქვს გვლდენ-შტედტს, იწონის შემთხვევით აღებულ ეკზემპლიარების მიხედვით 7,3 — 8,3 და 8,5 გრამს. გვლდენ-შტედტს შეცდომით ერთ ფულად მიუღია ორ ფულიანი საფასე, ეს საფასე მისი სიტყვით  $2\frac{1}{2}$  დრახმას (9,35 გრ.) იწონიდა. ამისდა მიხედვით მე-1740—1760 წლებში ფული დაახლოვებით 3,65—4,62 გრამის ზომის გამოდის. ქართული სპილენძის ფული საზოგადოდ ძალიან უსწორ-მასწოროდ იჭრებოდა, ასე რომ მისი პუნქტუალური ზომის ჩვენება შეუძლებელი ხდება. ამით აიხსნება, რომ ერეკლე II-ის 1776 წლის სიქის სპილენძის საფასეც თევზის გამონახტულებით შემთხვევით აღებულ ეკზემპლიარების მიხედვით გვხვდება 5,1 და 6,3 გრამის წონის, ორმაგი კიდეც 9,38 და 11,5 გრამის, 1781—1789 წ. ორთავიანი არწივით ორმაგი ფულის 7,8 გრ. და, როგორც სავულისხმებელია, ბისტი, — 17,3, 17,5 და 18,5 გრ., 1796 წ. კიდეც ერთთავიანი არწივის სახით მოჭრილი, როგორც სავულისხმებელია ბისტი — 20,2 და 20,5 გრამის. ამისდა მიხედვით ფული 1776 წლიდან ორთა შუარიცხვით 5,7 გრამს, 1781 წლიდან 3,9 — 4,6 გრ. და 1796 წლიდან 5,2 გრამს იწონის.

ზემოაღნიშნულის მიხედვით ყოველს შემთხვევაში ერთი რამ უნდა იქნას. მე-18 საუკუნის დასაწყისში ფული ქართლში დაახლოვებით იმავე წონის იყო, როგორც სპარსეთში მე-1630 წლებში, ოლგარიუსის მიხედვით, ტრიალებული ფული. ოლგარიუსის დროს სპარსეთში ფული იწონიდა 2 დრახმას (10,5 დანგს), მაშინ როდესაც აბაზი 10,7 დანგის ზომისა იყო. შეფარდება ვერცხლის და სპილენძის საფასეს შორის გამოიხატებოდა მაშასადამე რიცხვით 1:39,2. მე-18 საუკ. დასაწყისს ქართლში ფული იწონიდა 8—9 გრ., ორთა შუარიცხვით  $8\frac{1}{2}$  გრ. ანუ 11,9 დანგს, მაშინ როდესაც აბაზი იწონიდა  $9\frac{3}{5}$  დანგს, შეფარდება ვერცხლის და სპილენძის შორის გამოიხატებოდა როგორც 1:49,6. მე-1730—60 წლებში ვიდრე 1776 წლამდის ფული ქართლში ორთა შუარიცხვით იწონიდა 4,27 გრ. (3,8—4,75 გრ.) ანუ 6 დანგს, მაშინ როდესაც აბაზი 1769 წლამდის საშუალოდ  $6\frac{1}{3}$  დანგის წონისა იყო. შეფარდება ვერცხლის და სპილენძის საფასეს შორის გამოდის 1:38. 1770 წლიდან აბაზი უკვე  $4\frac{2}{7}$  დანგს იწონიდა და შეფარდებაც ვერცხლის და სპილენძის საფასეს შორის 1776 წლამდის უდრიდა 1:56. 1776 წლიდან, როდესაც ფული ს წონა ნაჩვენებია ორთა შუარიცხვით



5,7 გრ. ანუ 8 დანგი, ეს შეფარდება გამოიხატება 1:75, 1781 წლიდან (ფულის წონა—4,25 გრ. ანუ 5,45 დ.) 1:56 და 1796 წლიდან (ფული—5,1 გრ. ანუ 7,14 დ.)—1:66,2.

აბაზის თანდათან შემცირების გამო ვხედავთ ზოგიერთ ფულის ნიშანის გადასვლას ვერცხლიდან სპილენძზე, როგორც ეს საზოგადოდ ყველა ქვეყნებში არის დადასტურებული. ბისტი (სპ. *بيست*—ოცი, იგულისხმება ოცი დინარი ან ალთუნი) მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ვერცხლის იჭრებოდა, მაგრამ თეიმურაზ II-ის და ერეკლე II-ის დროს ჩნდება, როგორც ეს საგულისხმებელია 1747 წ. მოჭრილ 15,3 გრამიან სპილენძის საფასის მიხედვით (ზემოდ, 23), სპილენძის ქართული ბისტი, რასაც იხსენიებს თეიმურაზ ბატონიშვილიც (ქვემოდ, გვ. 34) ბისტის მაგალითზე აქ ვხედავთ, პარალელის რამოდენადმე გასათარებლად, ისეთსავე ფაქტს, როგორც არის აღმოსავლეთში დინარის (ალთუნის) გადასვლა ვერცხლზე და შემდეგ სპილენძზე. დინარი შემდეგ კიდევ მთლად გაქრა და საანგარიშო უკნინეს ერთეულად გარდაიქცა (თუქანი—10 ათ. დინარი ან ალთუნი; მინალთუნი—1000 ალთუნი, უხალთუნი—200 ალთუნი და სხ.), ასევე დირჰემის გადასვლა სპილენძზე, რუსულ დენგას გადასვლა მე-17 საუკ. მეორე ნახევარში და საბოლოოდ მე-18 საუკ. დასაწყისში ვერცხლიდან სპილენძზე და სხ..

1804—1833 წლებში ტფილისში იჭრებოდა ქართული საფასე რუსის მართებლობის მიერ, სპილენძისა—ფული, 2 ფულიანი და ბისტი, ხოლო ვერცხლისა ორშაურიანი, აბაზიანი და ორაბაზიანი, უკანასკნელი 1<sup>45</sup>/<sub>96</sub> მისხლის ანუ 8,8 დანგის წონისა. ეს ვერცხლის საფასე რუსების მიერ იჭრებოდა მეფობის აღრინდელ აბაზიანების წაბაძვით ფრიად მაღალი შინჯადობის.

ლიხთ-იმერეთს, როგორც მოხსენებული იყო, მე-13—15 საუკუნეში ტრიალებული საფასე თვალსაჩინოდ დამოკიდებული იყო ტრაპეზუნტის სამეფოს საფასეზე, თუმცა რასაკვირველია ამ სფეროში სხვა მეზობელ დიდი ქვეყნების საფასეც, საგულისხმებელია, თავისი ზედგავლენის მქონე იქნებოდა. მე-15 საუკ. მეორე ნახევრიდან ლიხთ-იმერეთს განსაკუთრებულს გავრცელებას პოულობს ოსმალური საფასე, თუმცა მე-16 საუკუნეში ლიხთ-იმერეთს საკმაოდ ძლიერად სჩანს სპარსული საფასეც. 1544 წლის ნიკორწმინდის სიგელში, მაგ., იხსენიება რუბი, რაც თურქულად მეოთხედს ნიშნავს (საგულისხმებელია მარჩილის 1/4) და შაური (შაური—სპარსული საფასე). ჩვეულებრივ საფასეს კი ლიხთ-იმერეთს მე-16 საუკუნეში წარმოადგენდა თეთრი, რომელიც ოსმალური ასპრის შესატყვისად არის საგულისხმებელი. აღსანიშნავია მხოლოდ, როგორც ეს ნუმიზმატს ე. პახომოვს სიტ-

ყვიერად ჩვენთვის გაუზიარებია, რომ მე-16 საუკუნეში ლიხთ-იმერეთს თითქოს მოჭრილი ასპრები თავისი ლიგატურით თვალსაჩინოდ ჩამოუვარდებიან თანადროულ ოსმალურ ასპრებსაც. ეს ფრიად საყურადღებო საკითხი ღირსია ცალკე დეტალურად გამოკვლევის. გარეშე აპისა, საფიქრებელია, ლიხთ-იმერეთს ამავე პერიოდში ტრიალებულ სპილენძის ფულს ერქვა რკინა, ყოველს შემთხვევაში მე-15—16 საუკუნეთა მიჯნაზე (ს-ო მე II, 24 წ., 256).

მე-16 საუკუნის პირველ ნახევრიდან ლიხთ-იმერეთს გარკვეულად დადასტურებულია მარჩილი, რომელიც ნამდვილად უფრო ადრე უნდა იყოს შემოღებული. ჩვენის აზრით მარჩილი უნდა იყოს იტალიური გამოთქმის შუაობით გენუელების და ვენეტიკელების პიერ შავის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებთან სავაჭრო ურთიერთობის წარმოების დროს შემოტანილი დასავლ. ევროპიული მარკა მარკა თავდაპირველად წონის ერთეული იყო (ფრანგული მარკა, მაგ., მე-13 საუკ. იწონიდა  $24\frac{3}{4}$  გრამს, სხვა ქვეყნებში კიდევ იყო სხვადასხვა წონის) და იხმარებოდა საფასია საზოგადო, სახელდობრ წვრილი ფულების აღსარიცხავად მარკის მიხედვით, რასაც ეძახდნენ ფულების აღრიცხვას მარკით (al marco). მე-14 საუკ. გერმანულ ქალაქებში იხმარებოდა ვერცხლის მარკა—რგვალი ნაღობი, ქალაქის სახელით. მე-14—15 საუკუნეში, საგულისხმებელია, სიტყვა მარჩილი შემოღებული იქნა დასავლ. საქართველოშიც. 1484 წლიდან ჯერ ტიროლში და შემდეგ კი გერმანულ სხვა ქვეყნებში და აგრეთვე იტალიაშიც იტრება ტალერი. რომელიც ორ მარკას შეიცავდა. მე-16 ს-ნიდანვე ევროპ. ტალერი იწყებს შემოსვლას ლიხთ-იმერეთს მარჩილის სახელით (გერმ. ტალერი მე 16 ს. დასაწყისს იწონიდა 1 უნცის ანუ 42,4 დანგს). მარჩილი მე-17 ს. ნახევარში  $2\frac{1}{2}$  და 3 აბაზის შესატყვისი უნდა ყოფილიყო (შეად. ზემ., 19—20), მაგრამ შემდეგ და გარკვევით მე-18 ს. დასაწყისიდან 3 აბაზს უდრიდა.

მარჩილი იხმარებოდა აგრეთვე წონის ერთეულადაც (ამის შესახებ ამავე წიგნში ს. კაკაბ., ქართული მეტროლოგია).

მე-16 საუკუნის დასასრულიდან ლიხთ-იმერეთს გაძლიერებას იწყებს სპარსული საფასე, რომელიც მე-17 საუკ. პირველ ნახევარში იქ თითქოს გაბატონებულად სჩანს. ამ ფრიად საინტერესო მოვლენას, რასაკვირველია, ესაჭიროება სპეციალური გამოკვლევა. იმერეთის მეფე და ლევან II დადიანიც მე-17 საუკ. პირველ ნახევარში სპარსულ ფულს სჭრიან. ფრიად საყურადღებო ცნობებია დაცული იმერეთში 1651 წ. ტრიალებულ ფულის შესახებ ტოლოჩანოვის და ივერევის ელჩობის აღწერილობაში, ამ ცნობების მიხედვით იმერეთში ამ დროს მსვლელობაში იყო: 1) უნგრული ოქრო, 2) მარჩილი, რომელსაც ტოლოჩანოვი ეჭიშკას (ტალერს) უწოდებს და რომელიც ამ დროს სამი აბაზი ყო

ფილა, 2 მაჩილი ამასთანავე ოქროს შეადგენდა, 3) აბაზიანი, 4) ნახევარ-აბაზიანი და 5) ბისტი\*). სპილენძის საფასე არ იხსენიება.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალური საფასე დასავლ. საქართველოს ზოგიერთ პროვინციაში ფეხმოკიდებული იყო მე-17 საუკ. პირველ ნახევარშიც. სეიმონ გურიელის მიერ 1625 წლის ახლოს აჭის მონასტრისადმი მიცემულ სიგელიდან სჩანს, რომ ოსმალეთის სასარგებლოდ ხარკი გურიაში ამ დროს ოსმალური საფასით იკრიბებოდა, თითო კომლზე თითო რუბი. რუბი ნიშნავს ოსმალურად მეოთხედს, იგულისხმება პიასტრის მეოთხედი (ამის შესახებ ამავე წიგნში, ს. კაკაბ., მასალები ლიხთ-იმერეთის სახელმწიფოებრივ მდგომარეობის დასახასიათებლად მე-17 ს-ში). ამისდა მიხედვით შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ თუმცა მე-16 საუკ. დასასრულიდან ლიხთ-იმერეთს სპარსული საფასის მსვლელობა გაძლიერებულად სჩანს, და კერძოდ ოდიშსა და იმერეთს მე-17 საუკ. პირველ ნახევარში უმეტესად, თუ თითქმის მთლიანად არა, სპარსული საფასეა დადასტურებული, გურიაში მაინც ამ ხნის განმავლობაშიდაც უპირატესობა ოსმალურ საფასეს ქონდა შენაჩუნებულად.

\*) მხ. პოლიევექტოვმა, რომელსაც დამზადებული აქვს გამოსაცემად ტოლოჩანოვის და იევლევის მიერ დაწერილი იმერეთში 1651 წ. მათივე ელჩობის აღწერილობა, თავაზიანად მომაწოდა ამ აღწერილობიდან სათანადო ამონაწერი: А продают на тамошние денги, на золотые, на ефимки, на абасы, на бисты. А золотой ходит в торговле в мене по рублю, ефимка по полтине, абаса по две гривны. а бистя по грошу (შეად. Др.-росс.-вивліюника, 2 изд. 1788 г., V, 246). მეორე ამონაწერი იმავე აღწერილობიდან: Роспись чем торгуют в меретинской земле.

Золотыми угорскими; золотой по сороку алтын.

Ефимками; ефимок по дватцети алтын.

Абасами; абаса по шти алтын, по четыре денги.

Полугабасами. полабасы три алтына две денги.

Бистями, а в бисте пять денег русских.

А русских денег не берут.

ამ ფრიად საყურადღებო ცნობებში არის ერთგვარი სხვაობაც. ოქროს ნაჩვენებია რუსულ საფასის შესატყვისობის ვერცხლზე გადატანით პირველ შემთხვევაში (რუს. კოპეიკა ამ დროს 0.474 გრამს იწონიდა, Кауфман, Русс. рубли..., 102) 47,4 გრამ ვერცხლის ექვივალენტად, მეორე შემთხვევაში 56,88 გრ. ვერც. ექვივალენტად; ეფიმკა—23,7 და 28,44 გრ.; აბაზი ნაჩვენებია ორსავე შემთხვევაში ერთნაირად—9,48 გრ., ხოლო ბისტი 0,948 და 1,185 გრ. აბას II-ის დროს (1642—1667) აბაზი იწონიდა დაახლ. 7,6 გ... ამისდა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმერეთში ამ დროს ტრიალებდა, შედარებით სპარსულ ფულთან, უფრო დაბალი შინჯადობის საფასე (შეად. ზემოდ გვ. 19 ტავერნიეს ცნობა იმერეთში მოჭრილ ფულის შესახებ).

მე-1660 წლებიდან იმერეთში იწყება ოსმალეთის პოლიტიკურ ზედგავლენის გაძლიერება. ქუთაისის ციხეს 1668 წლიდან საბოლოოდ იჭერს ოსმალთა მეციხოვნე ჯარი. შეცვლილ მდგომარეობის გამო მე-1670 წლების შემდეგ თითქოს მართლაც უკვე დადასტურებულია ოსმალურ საფასის გაძლიერება დასავ. საქართველოში. მართალია შარდენი გარდმოგვცემს, რომ მის დროს ოდიშის ტერიტორიაზე მსვლელობაში იყო: პიასტრები (იგულისხმება ევროპიული პიასტრები), ჰოლანდიური ეკაუ და ქართლში მოჭრილი აბაზები (Voyage... პარიზ. გამ. 1811 წ., I, 186). მაგრამ უკვე მე-17 ს. დასასრულს ოსმალური საფასე დასავ. საქართველოში განსაკუთრებით განმტკიცდა, ასე რომ მე-18 საუკ. დასაწყისს ის აქ უკვე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს (შეად., მაგ., გრიგოლ კათალიკოზის სიგელი 1706 წ., სადაც მარჩილთან ერთად ჩვეულებრივ იხმარება რუბი-ც—დასავ. საქარფ. საეკლ. საბ. I, 95 შემდ.). შემდეგ, მე-18 საუკუნეში ჩვენ ვხედავთ ამ საფასის განსაკუთრებულ გაძლიერებას ლიხთ-იმიერ.

ოსმალური აყჩე (აყ თეთრს ნიშნავს, აყჩე, =თეთრი), რომელიც ოსმალურ საფასის ძირითადი ერთეული იყო, წარმოადგენდა ტრაპეზუნტის ასპრის განვითარებას. მაჰმად II-ის დროს 875 წ. (1470—1471 წ. ივნ.), მაგ. აყჩე იწონიდა 0,83 გრ. (1,16 დანგ.), მე-16 საუკ. მეორე ნახევარში 1584 წლამდის—0,9 დანგ., 1584 წლიდან კი—0,375—0,45 დ. (ს. კაკაბ., სასისხ. სიგელ. შესახებ, ს-ო მე II, 24 წ., 84 შემდ.).

შარდენი გადმოგვცემს, რომ მის დროს (1672 წ.) ოსმალეთში ერთად ერთ საფასეთ ითვლებოდა აყჩე, რომელიც ისეთი პატარა ზომის იყო, რომ თითებს შორის იკარგებოდა. აყჩე (ასპრი) იყო ორჯვარი—რეალური, რომელიც მსვლელობაში იყო და რომელიც ფრანგული ნახევარი სოლი ღირდა და მეორე სახელწოდებით წმინდა აყჩე, რომელიც 9 დენიე ღირდა (Voyage... I, 16). რადგანაც შარდენის სიტყვით ქართლში მოჭრილი სპარსული აბაზი 18 ფრანგული სოლი ღირდა, ხოლო სულეიმან I-ის დროს (1667—1694) სპარსული აბაზი 7 გრ. (9,8 დანგს იწონიდა), ანტიკომ გამოდის, რომ აყჩე შარდენის დროს ყოფილა იმდროინდელ აბაზის  $\frac{1}{36}$ , დაახლოვებით მაშასადამე საფასის მხრე 0,27 დანგ ვერცხლის შესატყვისი. წმინდა აყჩე ღირებულა 9 დენიე ( $=\frac{3}{4}$  სოლი), მაშასადამე აბაზის  $\frac{1}{24}$ . წმინდა აყჩე უნდა ყოფილიყო უფრო წინად მოჭრილი საფასე.

ყველა ამ ფაქტებიდან ცხადად სჩანს ოსმალურ აყჩეს თანდათან შემცირება, ვიდრე ის არ გადაიქცა მთლად წვრილ ერთეულად. აყჩეს ასეთი დაპატარავებით აიხსნება, რომ შარდენის დროსვე ეგვიპტეში უკვე მსვლელობაში იყო ფარა (ნიშნავს ნაწილს), რომელიც 18 დენიეს უდრიდა (Voyage... I, 16) და მაშასადამე 3 აყჩეს შეიცავდა.

მე-18 საუკ. პირველს მეოთხედში აყჩე ასე იგივე პატარა ზომის



იყო. 1718 წ. დრაქმა ვერცხლიდან 20 ასპრი გამოდიოდა (Hammer, Gesch. des osman. Reich., IV, 164), ასე რომ აყჩე 0,22 დანგ ვერცხლს შეიცავდა.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ოქროს ფული სტამბოლში არ იჭრებოდა თვით მე-17 საუკ. დასასრულამდის. მსვლელობაში იყო ეგვიპტური ღუკატები, რომელიც შარდენის სიტყვით (დასახელ. ადგ.) გერმანულ ღუკატების ზომის იყო და ამას გარდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ოქროს ფული. ამით აიხსნება რომ საქართველოშიც მე-17 ს-ში დასავლ. ევროპის ოქროს ფული ტრიალებდა.

როგორც მოვიხსენიეთ, მე-17 საუკ. მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველოში თანდათან უპირატეს ადგილს იჭერს ოსმალური საფასე. მე-18 საუკ. მეორე ნახევარში ჩვეულებრივი საფასე იმერეთში ოსმალური ფარა იყო (ფარაში ჯერ 4 და შემდეგ 3 ასპრი ირიცხებოდა). ფარა ამ დროს; ასპრის დაპატარავების და ცალკე ფულის ნიშნად გაქრობის გამო, წარმოადგენდა ფულის უკნინეს ერთეულს. გვლდენშტედტის სიტყვით მის დროს (1772 წ.) იმერეთში და გურია-ოდისში მსვლელობაში იყო შემდეგი ოსმალური ფულის ნიშნები: ფარა (8 გრანს, 0,68 დანგის წონის და ცუდი ვერცხლის), ხუთ-ფარიანი ასევე ცუდი ვერცხლის—52 გრანს, 4,46 დანგ. წონის, ათ ფარიანი  $1\frac{1}{2}$  დრახმის (90 გრანის) წონის, ოც ფარიანი, ყურუში, რომელიც 39 ფარას შეიცავდა და მარჩილი—52 ფარის ექვივალენტი გარდა ვერცხლის ამ ფულებისა ხმარებაში იყო სარმანიდი, ეგვიპტური ოქრო, რომელიც 42 გრანს, 3,6 დანგს იწონიდა და 2 მარჩილს ან 104 ფარას უდრიდა. გარდა ამისა ხმარებაში იყო სხვა ოსმალური ვერცხლის ფულებიც, ოსმალური ღუკატი 1696 წ. კოსტანტინოპოლში მოჭრილი (5,14 დანგის წონის), ყირიმის ფარა, ტფილისში მოჭრილი აბაზიანი და შაურიც (Reisen I, 390—392). სპილენძის ფული ფაქტიურად ხმარებაში არ იყო. ლიხთ იმერეთი ამ დროს უკვე მთლად უცხო საფასეზე იყო დამოკიდებული.

ცხადია აწინაირად, რომ ოსმალური ასპრი, რომელიც მე 17 გაუკ. პირველ წლებში 0,34—0,3 დანგს იწონიდა, შემდეგს დროებში—დაც კვლავ განიცდიდა შემცირებას. სულთან სულეიმანმა 1099 წ. (1687—1688 წ ნოემბ.) პირველად მოაქრევინა, ასპრის მთლად დაცემის გამო, ყურუში (სიტყვა გადაღებულია თურქულში გერმ.-სლავიანურ გროშიდან) ანუ ევროპული სახელწოდებით პიასტრი—6 ოსმ. დრახმის (19,24 გრ. ანუ 26,9 დანგ.) წონის, 160 აყჩეს ანუ 40 ფარას შემცველი (Зап. вост. отд. ИРАО. т. VI, 369). ამ დროს აყჩე (ასპრი) იგულისხმებოდა მხოლოდ 0,168 დანგის წონის და ფარა—0,68 დანგისა. ამავე წონის ყოფილა იმერეთში ტრიალებული ოსმალური ფარა მე-1770 წლებში.

შემდეგში ფარას კიდევ დაუკლია. 1805 წ. თებერვალში ლიტვინოვი ქუთაისიდან ატყობინებს მთავარმართებელს ციციანოვს, რომ ქუთაისში ამ დროს ტრიალებდა ასფარიანი, კილიკი (80 ფარა) და ყურუში (40 ფარა), ანგარიშისთვის კიდევ იყო იდეალურად—მარჩილი (52 ფარა) და რუბი (13 ფარა). რუსული მანეთი ღირდა 1804 წელს 115 ფარა და 1805 წ. თებერ. 110 ფარა (АКАК. II, 428). რუსული მანეთი ამ დროს შეიცავდა 4,86 მისხ., ფარაზე მაშასადამე თეორიულად პოდის, რუსულ საფასის ლითონის შესატყვისობით: 0,044 მისხ. ანუ 0,26 დანგი კარგი ვერცხლი. 1811 წ. ქუთაისში და იმერეთში რუსულ მანეთზე 120 ფარა იანგარიშებოდა (АКАК. IV, 352) რუსულ ფულზე შესატყვისობით ფარა 1772 წ., გვლდენშტედტით, უდრიდა 1 $\frac{1}{2}$  კაპ. ხოლო 1805 წ. როგორც ვნახეთ, ფარა იყო 0,91 კაპ. რუსული მანეთი 1764—1799 წ.წ. იწონიდა 5,4 მისხ. და 1 $\frac{1}{2}$  კაპეიკიც ვერცხლის ლითონზე შესატყვისობით თეორიულად შეადგენდა 0,486 ქართულ დანგს, 1772 წლიდან 1805 წლამდის იმერეთში ტრიალებულ ფარას მაშასადამე დაუკლია თითქმის ერთი ორად (როგორც 1,87:1). ოსმალური ნუმიზმატიკის ცნობები ფარას ცვალებადობას საბოლოოდ გაარკვევს\*).

ამ გვარი არის მოკლე სქემატიური ცნობები საქართველოში საუკუნეთა სიგრძეზე ტრიალებულ საფასის შესახებ. როგორც ვხედავთ, ეს საფასე მტკიცედ იყო დამოკიდებული მეზობელ დიდ ქვეყნების საფასეზე და განიცდიდა ანალოგიურ ცვალებადობას განურჩევლად იმისა, იქრებოდა თუ არა ადგილობრივად ქართული ან უცხო სიქის ფული.

ფულის მოჭრა, რამდენადაც ეს არსებული მასალებიდან სჩანს, თავდაპირველად მეფის პრეროგატივას არ შეადგენდა. მხითარ გოში 1184წ. თავის სამართალში ამბობს, რომ მთავრის ნებადაღრთველად ფულის მომჭერი ხელის მოკვეთით უნდა ყოფილიყო განპატივებული (შათაშათანაყილე, გვ. 435). მეორე ადგილას კიდევ მხითარი გოში ამბობს, რომ გარდა მთავრებისა არავის არა აქვს უფლება დრაჰმის და დრამის ქედ-

\*), წიგნში „Обозр. Росс. владений за Кавказомъ, СПб. 1836 г. I. გვ. 262—263 მე-1830 წლებში ტფილისში ტრიალებულ საფასის შესახებ ვკითხულობთ: Монета въ Тифлисѣ наиболѣе въ ходу серебряная и червонцы... Изъ мелкихъ серебряныхъ монетъ почти исключительно находятся въ Тифлисѣ грузинскіе абазы и двойные абазы... Кроме того обращаются въ небольшомъ числѣ мелкія серебряныя монеты: русскія, пмеретинскія, персидскія и другія“. აქ მოხსენებული იმერული წვრილი ვერცხლის ფული სხვაგან არსად არ იხსენიება. ცნობა იმის შესახებ, რომ უკანასკნელ იმერეთის მეფის სოლომონ II-ის დროს იმერეთში ფული იქრებოდა, ჩვენ არსად შევხვედრია, მაგრამ თვით ფულის მოჭრის ფაქტი იმერეთში (საგულისხმებელია ოსმალური სიქის) რასაკვირველია შესაძლებელია.

ვისაო. თუ ვინჟე მოქრის, მაალოდ მეფის ბრძანებით ან ნებადართვითო (იქვე, გვ. 304). ამგვარად მე-12 საუკუნეში ფულის მოქრის უფლება მეფის გარდა მთავრებსაც ჰქონიათ. როგორ იყო მდგომარეობა შემდეგ საუკუნეებში, ამის გამორკვევა მომავლის საქმეა. ამ ეპოქად შეიძლება ითქვას, რომ ტფილისში ფულის მოქრას (ქართული თუ უცხო სიქისას) ადგილი ჰქონდა თითქმის შეუწყვეტლივ, გაოცებ მხოლოდ შესაძლებელია ხანმოკლე ხარვეზებისა. მე-16 — 17 საუკუნეში ფული იჭრებოდა იმერეთის მეფის მიერაც, ალბად ქუთაისში, ხოლო მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ლევან II დადიანის დროს ოდიშშიც, ალბად ზუგდიდში. მე-13 — 16 საუკ. მესხეთის შესახებ და აგრეთვე საზოგადოდ კახეთის სამეფოს შესახებ ამ მხრივ ჯერჯერობით არავითარი ცნობები არ არის.

ზარათხანა ჩვეულებრივ იჯარით იყო გაცემული, ასე იყო ყოველს შემთხვევაში მე-18 საუკუნეში ქართლში, რადგანაც სპარსეთშიც, მაგ. მე-17 ს-ში — როგორც ოლეარიუსის ცნობიდან საფიქრებელია (ფრანგ. თარგმ. მოგზაურობისა, ლეიდენის გამ., II, 471), ზარათხანა იჯარით იყო გაცემული. ზარათხანა სპარსეთში რამოდენიმე ადგილას იყო, ტავერნიე მე-17 საუკ. ასახელებს ზარათხანას ისპაანში, თავრიზში და ერევანში. ამიტომ საფიქრებელია საქართველოშიც მე-18 საუკუნის უწინარესად აგრეთვე საიჯარო წესი იქნებოდა. ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ ხანებში, როგორც მადნების უფროსის სოლ. მელიქიშვილის მოხსენებიდან გენ. კნორინგის სახელზე 20 მაისს 1801 წ. სჩანს (АКАК. I, 516), ლიტრა ვერცხლიდან გამოდიოდა 211 მან. 20 კაპ., ვერცხლიდან გამონადნობი მთელი ოქრო მეფის სალაროში ჰადიოდა და ფულად კიდევ 51 მან. 20 კაპ., ხოლო 160 მან მოიჯარადრეების იყო. მეფის სალაროს სასარგებლოდ ზარათხანიდან ფულად ამგვარად მიდიოდა მთელი მოჭრილი ფულის 24,2<sup>1</sup>/<sub>10</sub>. საყურადღებოა, რომ 1769 წელს ტფილისის ზარათხანის შემოსავალი სამეფო სალაროს სასარგებლოდ 30 ათ. მან. იყო (А. Цагарели, Грамоты I, 187). თუ გამონადნობ ოქროს შემოსავალს მხედველობაში არ მივიღებთ, მაშინ გამოდის, რომ ამ დროს ტფილისში წელიწადში იჭრებოდა თითქოს 123,9 ათ. მანეთის ღირებულობის საფასე. ეს კიფრი მაინც გარდამეტებულად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ტფილისის ზარათხანაში იჭრებოდა სპილენძის ფულიც (მოურავოვი 1769 წ. სწერს, თითქოს ტფილისში ოქროს ფულიც იჭრებოდა А. Цагарели, Грамоты... I, 76, ეს ცნობა საჭიროებს სხვა წყაროებით დადასტურებას), ხოლო ვინაიდან სპილენძის ფულს რამოდენადმე საკრედიტო მნიშვნელობაც ჰქონდა, ამიტომ სამეფო ხაზინას მისი მოჭრისაგან ვერცხლის ფულთან შედარებით მეტი შემოსავალი უნდა ჰქონოდა. ამის მიხედვით ტფილისის ზარათხანაში მოჭრილ ფულის ჯამი 1769 წელსაც 125,9 ათ. მანეთზე ნაკლები იქნებოდა.

ყველა ამ და საზოგადოდ საქართველოში საუკუნეთა სიგრძეზე ტრიალებულ ფულის სისტემებთან დაკავშირებულ საკითხების გარკვევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ქართული ნუმისმატიური ფაქტები პრაქტიკურად შესწავლილი იქნება, რასაკვირველია სათანადო ქვეყნების და კერძოდ აღმოსავლეთის ანალოგიურ ნუმისმატიურ ფაქტებთან დაკავშირებით. სამწუხაროდ ამ მხრივ ქართული საფას-მცოდნეობა ძლიერ ჩამორჩენილია და განსაკუთრებით უნუგეშოა ჯერჯერობით მდგომარეობა მე-13 საუკუნის შემდეგდროინდელ პერიოდების შესახებ, ე. ი. სწორედ იმ ხანის შესახებ, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საშუალო საუკუნეების მეორე პერიოდის დაახალი საუკუნეების საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის.

### დამატება.

თეიმურაზ ბატონიშვილის წერილი ქართული საფასის შესახებ.

ქვემოთ დაბეჭდილი წერილი თეიმურაზ ბატონიშვილისა წარმოადგენს, შეიძლება ითქვას, ქრონოლოგიურად პირველ ცდას ქართულ ენაზე ხსენებულ საკითხის შესახებ, რომელი ცდაც ამასთანავე თავისი დროისთვის კარგად შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. წერილი ჩვენ ვნახეთ 1907 წ. მ. ბ რ ო ს ე ს ნაქონ ქალაქებში პეტერბურგის აზიურ მუზეუმში და მაშინვე აღმოვიწერეთ. წერილი თეიმურაზს, როგორც სჩანს, დაუწერია მ. ბ რ ო ს ე ს თხოვნით მას შემდეგ, რაც რუსული სიქის ქართული ფულის მოქრა ტფილისში შეწყვეტილი იყო, მაშასადამე შემდეგ 1833 წლისა, დაახლოვებით, როგორც საფიქრებელია, 1840 წლის ახლო ხანებში. წერილი იბეჭდება უცვლელად ნიშნების დაცვითაც.

ვიწყით პლად რაოდენობისათვის ვეცხლისა ესე იგი საფასისა, თუ ვითარ და რაოდენ ირიცხვს მას შორის და საწონი მისი თუ რაგვარ გულისხმა იყოფების. ფული სპარსული სახელი არის და ქართველები ამ სახელსა აღრიდგანვე ხმარობენ. ქართულად საფასე არის ფული. საფასე საზოგადო სახელი არის. ოქროს, ვეცხლს, რვალს (ესე იგი სპილენძსა) გასასყიდად ანუ გასაცვლელად მოქრილთა საფასე ეწოდება და ჩნს საღმრთო წერილებში ყოველს აღვილს და უფროსი ერთსა საერო წიგნებშიაცა ფული არა სწერია, საფასე სწერია, ვეცხლი და ზოგან ოქრო, მაგრამ საზოგადო მდებალი ხალხი და ვაჭარნი ფულს ეძახიან. წიგნი სამართლისა ესე იგი საქართველოს სჯულთა შეკრება ვახტანგ მეექვსემან ქართლის მეფემან, ოდეს იგი ჯერ არ იყო მეფე, არამედ



ბატოის შვლი. აღწერისამებრ ვახუშტისა დაიდგინა ვახტანგ \*) განმგედ ქართლისა სამეფოსა წელსა ქესით 1703-სა (ყეენისაგან). ხ წელსა ქესით 1705-სა შემოკრიბნა წარჩინებულნი სამღვდელონი და საერონი და სწავლულნი კაცნი მის ჟამისანი და რაჟცა მას ჟამსა ეპოვათ სჯულნი საქართველოჲსანი მოიღეს იგინიცა. დაშკრა ამას ზედა ვახტანგ და სამართალთა მათ დართო თვისიცა სჯულნი საეროსა ენითა დაწერა გასაგონად, რათა ყოველთა მდაბიოთაცა ესმოდესთ. ხ მეათექვსმეტესა რიცხვსა შინა სამართლისა მისისისა მოიხსენებინ საფასეთა საწონნი ეს სახედ:

- ა. ოთხი ხაშხაშის \*\*) მარცვალი ერთის ფეტვის \*\*\*) წონა არის. /
- ბ. ოთხი ფეტვის წონა ერთის ქერის \*\*\*\*) მარცვლის წონა არის (ესე იგი ქრთილისა სრულისა ქერის მარცვლისა, რომელიც შემოდგომაზედ ითესება).

\*) ვახტანგ მეექვსე მეფე ქართლისა დაადგინა შაჰ-სულთან უსეინმან წელსა ქესით 1703-სა, რ მაშინ გარდაცვალეზულიყო მეფე ირაკლი პირველი, მპყრობელი ქართლისა და კახეთისა სამეფოთა, ოდეს მიეცა ქართლისა განმგეობა ვახტანგს, იყო იგი მას ჟამსა ბატოისშვილი და თავის ბატოისშვილობაში აღსწერა და შეკრიბა სამართლის წიგნი, ვა ზემორე ითქვა. ხ წელსა ქესით 1712 წარიყვანეს ვახტანგ ყიზილბაშთა სპარსეთად და განაგებდა ქართლსა ძმაჲ მისი ბატოისშვილი სუმონ ჟამ რაოდენმე და მერმე ყეენმან მისცა მეფობა ქართლისა იასეს ძმასა ვახტანგისასა აღიყულებინად წოდებულსა გამაჰმადიანებულსა (იასე მეფე იყო მამა კათოლიკოსის ანტონი პლისა, შობილი იყო ანტონი ელენა დედოფლისაგან, მეფის თეიმურაზ მეორისა დისა). მეფობდა იესე აღიყულებინ ქართლის სამეფოსა ზა შვდრ წელიწადი და წელსა 1719 ვახტანგ წარმოავლინა ყეენმან მეფედ ქართლისა და იმეფა ქართლისა სამეფოსა ზედა სამი წელიწადი მხოლოდ. ხ ქესით წელსა 1724-სა ოდეს ოსმალნი შემოვიდეს ქართლსა შინა, ვახტანგ მეფე გარდავიდა ყოვლითა სახლეულებითა თვისითა რუსეთს და მრავალნი თავადთა და აზნაურთაგანნი გარდაჰყვნენ ყოვლითა სახლეულებითა თვისითა. აღესრულა მუნვე ვახტანგ მეფე. დაშთეს შვლნი, შვლისშვლნი და ნათესავნი მათნი და მრავალნი გარდაყოლილთაგანნი მისთანა რუსეთსა შინა. ხ შემდგომად ვახტანგ მეფის ქართლიდამ წამოსვლისა მიიღო მეფობა სჯულიერად სდ ქართლისა და კახეთისა სამეფოთა თეიმურაზ მეორემან ძემან ირაკლი პირველისა, ქართლისა, კახეთისა და სხვათა. მეფისამან (შენ. თეიმურაზისა).

\*\*) ხაშხაში სპარსული სახელი არის, ქართულად ყაყაჩორა ეწოდება, (ქრაციცულად le pavéau ანუ le pavot. (შენ. თეიმურაზისა).

\*\*) ფეტვი—le mille (შენ. თეიმურაზისა).

\*\*) ქრთილი ანუ ქერი l'orge (შენ. თეიმურა).

ბ. ოთხი ქერის მარცვალი ერთის მუხუდოს \*) მარცვლის წონა არის. ერთს მუხუდოს წონას ყრათსაც უწოდებენ. ყრათი სპარსული სახელი არის.

ღ. ოთხი მუხუდოს მარცვლის წონა ერთი დანგი არის.

ქ. ერთი შაური ერთი დანგის წონა ვეცხლაკი არის, სპარსულად შაპ ეწოდება, შაური იქილამ დაურქმევიათ. სპარსელებს რომ ნოვრუზის დღე მოუვათ ესე იგი ახალი წელიწადი მათი, მაშინ ყენები თათოს დანგის წონას ფულოებს მოაქრევენებენ ვეცხლისასა და ოქროსასა და თავიანთ ხალხს დაურეგებენ მათის დღესასწაულის მისალოცავათა და იმ წონის ფული საქართველოში კეთდებოდა და ამისთვის უწოდებდენ შაურსა.

შ. ორის შაურის წონა ერთი იუზალთუნი არის ანუ უზალთუნე. ეს ოსმალთა რომ ყოფილა, როცა ოსმალეები შემოსულან ქართლში, მაშინ დაურქმევიათ, თორემ უზალთუნი დიახ ძველი ფული არის საქართველოსი კირმანეული ჰქვიან, ძველად სულ ამ ფულს ამუშავებდენ.

ზ. ოთხი ვეცხლაკი ანუ ოთხი შაური ესე იგი ორი კირმანეული რომელ არს უზალთუნი ერთი თელთია (კირმანეულსა თინგარიც რჰქვიან). ორი უზალთუნი ანუ ორი კირმანეული ერთი თელთი არის. თელთი და აბაზი ორივე თანასწორე და ერთი და იგივე არის. თელთი ქართული სახელი არის (და ვახტანგ] მეფე სწერს ფრანგნი ეძახიანო, იქნება ფრანგული სახელი იყოს, თქვენ გაჩხრიკეთ ლექსიკონებში). აბაზი დადისა ანუ ჰლის შაბაზის დროს მოუჭრიათ სპარსეთში და იმისი სახელით დაურქმევიათ ქართველებსაც თავიანთ ფულისათვის (ესე იგი ვეცხლისათვის). ერთხელ და ერთხელ დაჩვეულან აბ[აზის ძახილს, ასე რომ ეხლაც რუსულს იმ სიდიდის ვეცხლსა აბაზს ეძახიან.

ც. სამი თელთი ესე იგი სამი აბაზი, რომელ არს ექვსი კირმანეული, ერთი მარჩილი არის. მარჩილი საკუთარი ქართული სახელი არის. მარჩილი ბერძნულად ლევი არის. ძველად ქართველნი მარჩილით ანგარიშობდენ.

\*) მუხუდო ნუხუდ არის. ნუხუდ სპარსული სახელი არის, ქართულად ეჩენდი ეწოდება. ესეც ცერცვის გვარი არის, ამისთვის სამართლის წიგნში ცერცვი სწერია, მაგრამ თუ განრჩევით არ დაიწერა, ცერცვის მარცვლები უფროსი ერთი არის, რომ თითო მგონია თორმეტს და თხუთმეტს მარცვალს ქერს აიწონს. მუხუდოს სახელი მე ჭრანციულად არ ვიცი, სპარსულიდამ იპოვნე. მგონია კი რომ თქვენებურად ერქვას des pois და სწორე არ ვიცი ჭრანციულად რა რქვიან.

07. ხუთი აბაზი ანუ ხუთი თელთი ერთი რუბლი არის ანუ ერთი მონეტა (მინალთუნი ეს არის, მონეტასათვის დაურქმევიათ ოსმალების ეამსა). ქართულად ზუზა ეწოდება რუბლსა და დიდრაქმა (ზუზა სწორედ საკუთარი ქართული სახელია, დიდრაქმა ებრაული უნდა იყოს და ბერძულიც).

08. ათი მონეტა ანუ ათი მინალთუნი ერთი თუმანი არის ანუ ერთი იმპერიალი (თუმანი [ი] სპარსული სახელი არის).

**შეხწავება.** პაპის ჩემის სწდ საქართველოს მეფისა მეფე თეიმურაზ მეორის დროსა და პაპის ჩემის მეფის ირაკლის მეორის დროსა და მამის ჩემის მეფის გიორგი მეათცამეტის დროსა მათს მეფობაში კეთდებოდა და იქრებოდა ტფილისსა შინა სამეფუფოსა ქალაქსა მათსა სამარადისოს სამუშაოდ და სავაჭროდ. თეთრი (ესე იგი საფასე ანუ ფული): შაური მცირე ვეცხლაკი ოთხის მუხუდოსი ანუ ერთის დანვის წონა. მეორე ორშაურიანი ორი დანკის წონა ესე არს თენგირი ანუ კირმანეული. მესამე თელთი ანუ აბაზი. ეს არის ორი კირმანეულისა ანუ ორის ორშაურიანის წონა. მეოთხე ექვშაურიანი, რომელიცა არის წონით სამი ორშაურიანის წონა ანუ ოცდაოთხის ყრათის წონა, რომელიც ფული ერთი მისხალი არის წონითა (მისხალი სპარსული სახელი არის, ქართველად დრამა ეწოდება მისხალს). ეს ოთხი გვარი ფული იქრებოდა ტფილისში. ხუთი აბაზი ერთს რუბლად ითვლებოდა ანუ ერთს მინალთუნად და ათი რუბლი ერთს თუმნად ანუ ერთს იმპერიულად ითვლებოდა. ასეთს თეთრსა სჭრიდენ ჩვენშია, რომ ყოველს ევროპიისა და აზიის ვეცხლზედ ჩვენი ვეცხლი უფრო წმინდა იყო. საქართველოს თითონ კარგი მადნები აქვსთ და მეფეებისა მათის დროს ძალიან კარგათ მუშაობდა დიდად სარგებლიერად. ოქრო ჩვენში სრულად გოლანდიისა მუშაობდა, ვენეტიკისა და ოსმალისა და უფრო ცოტა (მაგრამ ოსმალის ოქრო წმინდა არ არის და ამისთვის არ უყვარდათ ქართველებსა). რაც ოქრო საქართველოს მადნებიდამ შემოდისა, იმას ჩვენი მეფეები არ აჭრევენებდენ, ამისთვის რომ რაც დასჭირდებოდათ, თავიანთთვის იარაღათ ქალისა თუ კაცისას აკეთებინებდენ თავიანთ სახლეულებსაც ახმარებდენ და ვინც წყალობის ღირსნი იყვნენ, იმათაც უბოძებდენ. ეკლესიის ნივთებსაც აკეთებდენ და უფროსს ნაწილს კი ჰყიდდენ. უფრო წმინდა და კარგი ოქრო რომ იყო, ვაჭრები ძვირათ ყიდულობდენ ზოგი ევროპიის მხარესა და ზოგს აზიის მხარეს ავაჭრებდენ და თათონაც სარგებლობა ჰქონდათ და მეფეთა ჩვენთა და მათს ხაზინას უფრო სარგებლობა ჰქონდათ ამითი, ვინემ რომ მოეჭრათ და ისე გაეყიდნათ.

შემდგომად მეფეთა საქართველომასათა მპართებლობამან რომ

სიისამან საქართველოსა შინა უბრძანეს მოკრად ქართულისა ვეცხლის ფულისა ზედაწერილითა ქართულითა რაოდენსამე წელსა და შდ დაყენებულ იქმნა და აწ მუშაობს მუნ რუსეთის ვეცხლი. მონეთა რუსული ირიცხვების მუნ ერთს რუბლად და ათი მონეთა ერთს თუმნად და სხვა წვრილი ფული ანუ ქალაღდი მისს ანგარიშზედ იხმარების.

შავი ფული ესე იგი სპილენძისა იჭრებოდა ტფილისში საკნაოდ. ა, ნახევარფულიანი. ბ, ცალფულიანი, გ, ორფულიანი. დ, ოთხფულიანი, რომელსა ბისტს ეძახდნენ (ბისტი სპარსული სახელი არის). ხუთი ორფულიანი ერთი შაური არის. ხუთი ბისტი, რომელ არს ათი ორფულიანი, ორი შაური არის (რომელ არის კირმანეული ანუ თენგირი) - ათი ბისტი ერთი აბაზი არის, რომელ არს ერთი თელთი. თუმცა ქართულს ფულებს საკუთარს ქართულს ენაზედ თვის სახელები აქვსთ, მაგრამ რადგანაც ქართველებს სპარსელებთანა და თურქთა თათრებთა და ოსმალებსა თანა აქუნდათ ვაჭრობა, ამისთვის ფულების სახელების წოდებთა იმათგან ჩვეულებად მიუღიათ. მაგრამ ძველათ კი ასე არა ყოფილა, ქართულს სახელებს უწოდებდენ ფულებსა. ჩვენს ანბანის ასოებზედ არის გაკეთებულ ფულის ანგარიში, რომელსაც ჩვენნი ვაჭრები ხმარობენ შემდგომითა ამით სახითა. მეხუთე ასოვად იწყება ე-ნიღამ, რომ ანგარიში სწორედ მოვიდეს, ესრეთ: ე ერთი ფული, ი ორი ფული, კ ერთი ბისტი, ლ ექვსი ფული, მ ორი ბისტი, ნ ერთი შაური, დ სამი ბისტი, მ თოთხმეტი ფული, პ ოთხი ბისტი, შ თვრამეტი ფული, რ ორი შაური, ს ერთი აბაზი, ტ ექვსი შაური, უ ორი აბაზი, ფ ათი შაური, ქ სამი აბაზი, ლ თოთხმეტი შაური, შ ოთხი აბაზი, შ თვრამეტი შაური, ჩ ერთი რუბლი (ანუ მინალთენი), ც ორი რუბლი, ძ სამი რუბლი, წ ოთხი მინალთენი, ჴ ხუთი რუბლი, ხ ექვსი რუბლი, ვ შვიდი რუბლი, ჶ რვა რუბლი, ჳ ცხრა რუბლი, გ ერთი თუმანი.

ეს წერილი თეიმურაზ ბატონიშვილისა, ავტორის მეცნიერულ აზროვნების მეთოდოლოგიურადაც ფრიად დადებითად დამახასიათებელი, აჰ შემაღ, რასაკვირველია, კრიტიკულად მოპყრობას საჭიროებს. დადებით ისტორიული მასალის მნიშვნელობა აქვს თეიმურაზის ცნობას თეიმურაზ-ერეკლე-გიორგი მეფეების დროს მოჭრილ საფასის შესახებ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს მისი ცნობა არსებითად ახასიათებს ქართლ-კახეთის საფასის სისტემას უფრო მე-1770 და 1780 წლებიდან.



## სარგის კუკაბაძე

ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისთვის საპარ-  
თველოში მე-13—17 საუკ.

ცნობილია ძლიერ კარგად, რომ საკითხს ფულის გაიაფების თუ გაძვირების შესახებ სხვადასხვა საუკუნეებში აქვს თავისი მნიშვნელობა ანა თუ იმ ქვეყნის ეკონ. ისტორიის ინტერესების თვალსაზრისით. ჩვენ ამ ეხმად არ ვფიქრობთ საკითხის მთლიანად ამოწურვას, არამედ ვინაიდან ჩვენ თვითონ ვვიხდებოდა ცალკე შემთხვევებში ფულის გაიაფების საკითხისათვის ყურადღების მიპყრობა და ამ საკითხის გასარკვევად მხოლოდ მზა დასკვნების მოყვანა (ს. კაკაბ., საქართვ. მოკლე ისტორია, ახალი საუკ. ეპოქა 1920 წლ. გამ., კიდევ გამოც. 1922 წლისა, საქართველოს ეკონომ. ვითარებისათვის მე-18 საუკ., მნათობი № 2—3, 1924 წ.), ამიტომ ეხლა შევჩერდებით ამ საკითხთან დაკავშირებულ ზოგიერთ მომენტებზე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფულის გაიაფების თუ გაძვირების საკითხის გამორკვევა საუკუნეთა სიგრძეზე უფრო ადვილია ისეთ საწარმოო თუ სამომხმარებლო საქონლის მიხედვით, რომელიც ამავე საუკუნეთა სიგრძეზე ნაკლებ განიცდის წაშლის ტენიკის წინსვლის ზედგავლენას. ხორაგოულობა (პური, ღვინო, ოთხფეხი საქონელი და სხ.) უნდა ჩაითვალოს ამიტომ ამ საკითხისათვის უკეთეს გამოსაყენებელ საშუალებად.

ამ თვალსაზრისით ფრად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩვენ მოგვეპოვება ღვინის ფასების შესახებ მკაცრე ცნობა მე-13 საუკ. ნახევრისა და მე-18 საუკ. დასაწყისის შესახებ. ამასთანავე ეს ფასები არ არის შემთხვევით აღებული ცნობა, არამედ წაშობადგენს საშუალო ფასის განსაზღვრას და, რაც აგრეთვე საყურადღებოა, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე—სახელდობრ შიდა-ქართლში. პირველი ცნობა მე-13 საუკ. ნახევრისა და ცულობა რკონის სიგელის ტექსტში და ეკუთვნის მაშასადაე 1259 წლ. ახლო დროს. ამ სიგელში კაბა თორელი სწერს, რომ სოფელ ხოვლეს „კულუხი ძუელი თორმეტი კოკაი იყო ოცდაოთხ ლიტრითა კოკითა თუითო მიწასა ზედა. აწ ექუს ექუსი გამიშვია და მას ექუს ექუსისათვის სიმას და ორმოცსა თეთრსა გავიღებდენ ეკუტეოს მისაღებელსა. თვითოი მიწაი რვა რვასა თეთრსა გამოიღებდეს“ (ქრონიკ. II, 136). ამ ცნობიდან სჩანს, რომ ამ დროს ქართლში 24 ლიტრიანი კოკა ღვინო საშუალოდ ღირდა (8 : 6=)

1,3...თეთრი. ამ დროს თეთრი (=დრამა) საქართველოში იყო სამი დანგის ზომის, მაშასადამე 24 ლიტრიანი კოკა ღვინო ვერცხლზე გადატანით ეშესატყვისებოდა 4 დანგ ვერცხლის საფასეს.

ღვინის საშუალო ფასის შესახებ ცნობა დაცული აქვს ვახტანგს თავის კანონებში. „ღვინოზე თეთრის გაცემა ასრე უნდა: თუ მარჩილი ერთს კოკა ტკბილზე გასცა როჲე სარგებელში ერთი კოკა ტკბილი გამართვას, სწორე გაცემა არის... ამისთვის როჲე მარჩილი წლამდინ აბაზს მოიგებს და ერთი კოკა ტკბილი მეტად არა ღირს“ (§ 128). ამგვარად ვახტანგის დროს მე-18 საუკ. დასაწყისში ქართლში კოკა ღვინო აბაზი ღირდა ვერცხლზე გადატანით  $9\frac{3}{5}$  დანგი ვერცხლი. მაგრამ აქ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ შესაძლებელია კოკა მე-13 და მე-18 საუკ. სხვადასხვა ზომის იყო. მართლაც ვახტანგი ამბობს, რომ „კოკა ადგილი არის რვა ლიტრა არის, ადგილი არის ათი ლიტრიანი, ადგილია თორმეტიანი, ადგილი არის თექვსმეტიანი, ადგილია ოცდაოთხ ლიტრიანი“ (სამართ. § 120). ორთაშუაარიცხვით მე-18 ს. დასაწყისისთვის კოკა ყოფილა 12 ლიტრიანი.

საყურადღებოა ამასთანავე, რომ ლიტრის ზომაც თვით მე-18 საუკ. და მე-19 საუკ. დასაწყისის ცვალებადად სჩანს. ვახტანგის დროს „სამი მანალთუნის და ათი შაურის წონა ერთი სტილი არის. ხუთი სტილი ერთი ჩარეჲი არის, ოთხი ჩარეჲი ერთი ლიტრა არის“ (სამართ. § 124). სამი მინ. და 10 შაური ვახტანგის დროს იწონიდა (შეად. სამართ. § 16) 168 დანგ ვერცხლს, ლიტრა მაშასადამე 3360 დანგს ანუ 560 მისხალს. ხოლო საბას სიტყვით „ახალი“ ლიტრა საშუალოდ 20 თუხტს უდრიდა (ზოგან მეტს, ზოგან ნაკლებს), თუხტში კიდევ 33,5 მისხალი იყო (ლექსიკ., 162), „ახალი“ ლიტრა მაშასადამე უდრიდა 670 მისხალს. გვლდენშტედტის დროს კი 1772 წ. ლიტრა იწონიდა (=20 სტილი; სტილი=36 მისხალს, მისხალი=70 გრანს ანუ  $1\frac{1}{8}$  დრახმას) 840 დრახმას (Reisen... I, 359) ანუ ქართულ წონაზე გადატანით 4320 დანგს (720 მისხალს). მე-19 საუკ. ნახევარში კიდევ ლიტრა ქართლში უდრიდა 800 მისხალს (იხ. მაგ., Кав. календарь за 1859 г.), აქედან ცხადად სჩანს, რომ ქართლის ლიტრა მე-18 საუკ. და მე-19 საუკ. დასაწყისში თანდათან იზრდებოდა. საყურადღებოა, რომ ასეთსავე პროცესს ვხედავთ ჩვენ წინა საუკუნეებშიც. ჩვენამდის მოაღწია მე-16 საუკუნის დასაწყისის ერთმა ცნობამ, საიდანაც სჩანს, რომ გორული ლიტრა 1526 წლის ახლოს 400 მუტყლიანი ყოფილა (მცხეთის სიგელი, დავით მეფის მიცემული, ისტორ. საბ. II, 33. „შემოგვიწირავს გორს ჯამბეგაშვილი, ასრე რომე წელიწადშიდ გორულით ლიტრითა ოთხასით მუტყლითა ოცდაოთხსა ლიტრასა ზეისა... მიიტანდეს“). მუტყალი იგივე მსხალია, მაშასადამე მე-16 საუკ. დასაწყისის

გორული ლიტრა 400 მისხლიანი ყოფილა. საყურადღებო ცნობა აქვს დატული ლიტრის წონის შესახებ მხითარ გოშს, რომელიც ამბობს, რომ „ერთი ლიტრა იწონის 100 დრამა ზეთსო“ (*ჟათათათანაყჩქე*, 315, შენ.). მაშასადამე გამოსარკვევია დრამის ზომა. სპარსული ღირებუმი უდრიდა 4 დანგს (იხ. ცენკერის ლექსიკონი), მაგრამ ამ ცნობას უნდა შეჯერება და თვით დანგის ზომასაც გამოარკვევა. დანგი მხითარ გოშის სიტყვით უდრის 12 ქერის მარცვალს (*ჟათათათანაყჩქე*, გვ. 287). ხოლო ოქროს დრაჰკანი 6 დანგის ზომისა იყო (იქვე, გვ. 372). რადგანაც ოქროს დრაჰკანის ზომის გარკვევისთან არის დაკავშირებული ბიზანტიურ და არაბულ წონის ერთეულის საკითხიც, ამიტომ ზედმეტი არ იქნება ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით შეჩერება.

ბიზანტიის ოქროს ფული, ისე როგორც დიდ კოსტანტინე იმპერატორის დროიდან რომისა, იქრებოდა 72 ცალი ერთი ლიტრასიგან, resp. 1 რომაული ლიბრასიგან. რომაულ ლიბრის, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედვა დასავლ. ევროპის ხალხების საზომებს, და აგრეთვე ბიზანტიურ ლიტრის ზომა გერმანელ მეცნიერის Boekh-ის შემდეგ ზედმიწევნით არის გამოარკვეული. სახელდობრ ლიბრა (resp. ლიტრა) იწონიდა 327,45 გრამს. ამისდა მიხედვით ბიზანტიური ოქროს ფული დრაჰკანი იწონიდა  $(327,45 : 72 =)$  4,548 დანგს ანუ რუსულ  $^{16}/_{15}$  მისხალს (И. Кауфманъ, Русскій вѣсъ, его развитіе и происхожденіе... Зап. Нум. Отд. ИРАО, т. I, 161—164).

მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ის გარემოება, რომ, როგორც ეს გამოარკვია ჯერ კიდევ მე 19 საუკუნის პირველ ნახევარში კუეიპომ, არაბული ოქროს დინარი იწონიდა  $4\frac{1}{4}$  გრამს ანუ ერთ მისხალს. ერაცის როტლიდან (ლიტრადან) გამოდიოდა 96 დინარი, ასე რომ ერაცის როტლი (ლიტრა) უდრიდა 409,32 გრამს. ეს იყო არაბების ჩვეულებრივი წონის საზომი, რაც მტკიცდებოდა კუნძულ მაიორკიდან მადრიდში 1805 წ. გადმოტანილ სანიმუშო ლიტრის გირიდან, რომელიც ამ კუნძულზე ინახებოდა არაბების ბატონობის დამკვიდრების დროიდან, მაშასადამე დაახლ. ათასი წელი. ეს ლიტრიანი გირიც 408 გრამს იწონიდა. რადგანაც რუსული გირვანქა 409,512 გრამს იწონის, ამიტომ ერაყული ლიტრა, რომელიც ჩვეულებრივ არაბებს ჰქონდათ მიღებული, ზომით იგივე რუსული გირვანქა გამოდის (И. Кауфман, op. cit., 173—174). ი. კაუფმანი სხვათა შორის ამ გარემოების გამო ამტკიცებს, რომ რუსული გირვანქა გადმოტანილია არაბებიდან და სახელდობრ ერაყულ ლიტრის განმეორებას წარმოადგენსო (დასახ. შრ.).

ამნაირად, მაშინ როდესაც ბიზანტიური ოქროს უდრის  $^{16}/_{15}$  მისხალს, არაბული დინარი სწორედ მისხლის ზომა არის. რომელი დრაჰკანი უნდა იგულისხმებოდეს მხითარ გოშის სამართალში? თავისთავად იგუ-

ლისხმება და ფულის ტრიალის წესიც ამის ამტკიცებს, რომ საქართველო, სახელმწიფო საქურქლის ინტერესების თვალსაზრისით, თვისთვის სახელმძღვანელოდ მიიღებდა უფრო მეტად შემცირებულს ოქროს ფულის ანუ სრულ მისხლიანს და მართლაც ჩვენ ვიცით ზაქარია ყაზვინის ცნობის მიხედვით—მართალია უფრო გვიანდელ დროსთვის (მე-13 ს. მე-2 ნახევრისთვის, ზაქ. ყაზვინი ოქ. 1285 წ.), —რომ ტფილისში „არის დინარი სახელით პერპერა. ეს ფული ამობურთული სახისაა ასურული ზედ წერილით და კერპების (იგულისხმება ალბად მაცხოვარი ან ღვთისმშობელი) სახეებით. თითო დინარი იწონის წმიდა ოქროს ერთ მისხალს. მისი არ-მიღება არ შეიძლება, რადგან ის არის აფაზთა ქვეყნის და მათი მეფეების ფულიო“-ო (Langlois, Essai de classif. des suit. monét. de la Gé., 48). ამ ფაქტის და ზემოდ მოყვანილ მოსაზრების მიხედვით შეიძლება მივიღოთ, რომ მე-12 საუკ. დასასრულსაც საქართველოში ჩვეულებრივ საფასედ მიღებული ოქროს ფული მისხლის წონის უნდა ყოფილიყო. რადგანაც მზითარ გოშის დრაჰმანი 6 დანგის ზომის იყო, ამიტომ დანგი ყოფილა მე-12 საუკუნის დასასრულსაც მისხლის  $\frac{1}{6}$ , ე. ი. იზოდნა ზომის, როგორც მე-18 საუკ. დასაწყისის ვახტანგ მეფის დროს.

ამგვარად არაბული (ერაყის) ლიტრა უდრიდა 96 მისხალს, ვერცხლის ლიტრიდან იჭრებოდა 144 დირჰემი; დირჰემის ზომა მაშასადამე ჩვეულებრივ უნდა ყოფილიყო (და საშუალოდ იყო კიდევც)  $\frac{96}{144}$  ანუ  $\frac{2}{3}$  მისხალი. ვერცხლის დირჰემი ამგვარად იყო  $\frac{1}{3}$ -ით ნაკლებ წონისა ვიდრე ოქროს დრაჰმანი. დირჰემში იყო მაშასადამე 4 დანგი ვერცხლი. ეს იყო არაბების ფულის ჩვეულებრივი ზომა. ამგვარად დირჰემში, როგორც ფულის ერთეული, ეშესატყვისებოდა დირჰემს, როგორც წონის ერთეულს (ზემოდ, გვ. 38). როგორც ერთი ისე მეორე უდრიდა 4 დანგს.

ამის შემდეგ შესაძლებელია ლიტრის წონის გამოკვევაც მე-12 საუკ. დასასრულისთვის. ლიტრა მაშასადამე უდრის (დან.  $4 \times 100$  დრ. =) 400 დანგს ანუ 66,6... მისხალს.

ზემოდ უკვე მოხსენებული იყო, რომ არაბული (ერაყის) ლიტრა, რომლის განმეორებას წარმოადგენს რუსული გირვანქა, შეიცადა 96 მისხალს. მაგრამ აღსანიშნავია ამასთანავე, რომ არაბებს შორის ხპარე-ბაში იყო გარდა ამ ჩვეულებრივ ლიტრისა ბაბილონის მსუბუქი ვერცხლის მინა 1,28 მისხლის ზომისა და ამისი ნახევარიც (64 მისხ.) როგორც ცალკე როტილი ანუ ლიტრა (И. К а у џ м а н, დასახელ. შრ., 174). მზითარ გოშის მიერ მოხსენებული ლიტრა უახლოვდება არაბულ ამ მცირე ლიტრას. შეიძლება ამის მიხედვით ვიფიქროთ, რომ საქართველოშიდაც, ისე როგორც მზითარ გოშის მიხედვით საქართველოს



სამეფოს სომხურ პროვინციებში, ამ დროს არაბული მცირე ლიტრა იქნებოდა გავრცელებული. უნდა ითქვას, რომ ლიტრას ქართველები იცნობდნენ უძველეს დროიდან. ეს ტერმინი მოხსენებულია ჯერ კიდევ სახარების (იოან. 12<sub>3</sub>) ორსავე უძველეს ქართულ ვერსიაში (მე-5—6 საუკ.). და ეშესატყვისება სომხ. *լիტი* და ბერძნ. *λιτρα*-ს. შემდეგ, როგორც სჩანს, ეს საზომი ქართულ ნიადაგზე განიცდიდა ცვალებადობას. ამ ცვალებადობის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ თუ მართლაც ქართულ პროვინციებშიც მე-12 საუკ. დასასრულს ლიტრა 64—66 მისხლიანი იყო, მე-16 საუკ. დასაწყისისთვის ლიტრა (გორული) უკვე 400 მისხალს უდრიდა.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ თვით მე-13 საუკუნის დასაწყისში უკვე სჩანს ლეტერატურული გზით ლიტრის გადიდების დაკანონების ცდა. ამის დასახასიათებლად საყურადღებოა ერთს 1210 წ. შესრულებულს ხელნაწერში ბერძნულ წონის შესახებ საკმაოდ ვრცლად დამუშავებულ მასალების მოყვანა (ხელნაწ. № 66 ყოფ. საეკლეს. მუზ., *Опис. рукоп.церковн. музея*, I, 63—64). ამ წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ლიტრა ოზ დრაჰკანი არის და ნახევარი ლიტრა ღვ დრაჰკანი არის“. მართლაც ბერძნულ ლიტრა ოქროდან 72 დრაჰკანი იჭედებოდა. ბიზანტიური ლიტრა. როგორც ვნახეთ, 327,456 გრამის წონის იყო, ანუ უდრიდა 76,8 მისხალს, თითო დრაჰკანიც ამიტომ  $\frac{16}{15}$  მისხალს იწონიდა. ეს ფაქტი უნდა ამტკიცებდეს, რომ უკვე მე-13 საუკ. დასაწყისში საქართველოში სჩანს ლიტრის გადიდების ლეტერატურულად დადასტურების ცდა ბერძნულ ლიტრის შესახებ ცნობების გავრცელების საშუალებით.

რა ზომისა უნდა ყოფილიყო ლიტრა საქართველოში მე-13 საუკუნის ნახევარსა და მეორე ნახევარში? ჩვენის აზრით ამის გასარკვევად მასალის მოცემა შეუძლია ამ დროინდელ ქართულ ფულის ქედვის სწკმეს. ბიზანტიაში და არაბეთის სახალიფოში ფულის ქრის დროს ლიტრის ერთეულიდან გამოდიოდნენ. ბიზანტიაში რომაულ ბიზანტიურ ლიტრა ოქროდან (76,8 მისხ.) 72 დრაჰკანი იჭრებოდა, არაბების სახალიფოში ვრცელ ლიტრა ლითონიდან (96 მისხ.) გამოდიოდა ოქროსაგან 96 დინარი და ვერცხლისაგან 144 დირჰემი. როდესაც რუსეთში ვრცელი ლიტრა შემოღებულ იქნა რუსულ გირვანქის სახით (96 მისხ.), იქაც ფულის ქრის დროს ამ გირვანქის ერთეულის ანგარიშიდან გამოდიოდნენ. საფიქრებელია, რომ საქართველოშიც ფულის ქრას საფუძვლად ადგილობრივი ლიტრა ედვა. შემდეგი საუკუნეების შესახებ ჩვენ ვიცით, რომ ვახტანგის დროს ლიტრა ვერცხლი  $3\frac{1}{2}$  მინალთუნის ზომის იყო, მაშასადამე ლიტრა ვერცხლიდან  $3\frac{1}{2}$  მინ. გამოდიოდა. აქ ლაპარაკია ფულის ნიშნებს და ერთეულებს განსაზ-

ღვრულ ოდენობაზე და არა ზარათხანაში ფულის მოჭრის დროს ტეხ-ნიკურად მიღებულ ოდენობაზე (ვახტანგ VI-ის დროს დასტურლამაღის მიხედვით თითო ყურსზე ჩადიოდა 400 სიკილა [=2,300 მისხ.] ვერცხლი). მარალაც ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ ხანებშიდაც ფულის მოჭრის ანგარიშის დროს ლიტრიდან გამოდიოდნენ. ზარათხანის უფროსი სოლ. მელიქიშვილი სწერს 1801 წ. 29 მაისს მიცემულ მოხსენებაში. რომ ზარათხანაში ერთა ლიტრა ვერცხლიდან 211 მინ. და 1 აბაზი გამოდიოდა (AKAK., I, 516). ამ პარალელების მიხედვით შეიქლება მივიღოთ, რომ მე-13 საუკუნეშიც საქართველოში ფულის მოჭრის და აგრეთვე ცალკე ერთეულების ოდენობის გარკვევის დროს ლიტრის ანგარიშიდან გამოდიოდნენ. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ მე-13 საუკ. მეორე ნახევარში ზაქარია ყაზვინის ზემოდ მოყვანელ ცნობის მიხედვით ტფილსში იჭრებოდა ოქროს ფული—პერპერა მისხლის წონისა. მე-13 საუკუნეშივე ჩვენ ვიცით, რომ რუსუდანის დროს, როდესაც კვლავ განახლდა ქართული ვერცხლის ფულის მოჭრა, ქართული დრამა (თეთრი) უახლოვდებოდა თანადროულ სელჯუკიდების დირჰემს. სახელდობრ რუსუდანის დრამა იწონიდა ორთაშუა რიცხვით 2,6 გრამს, ხოლო თანადროულ სელჯუკიდების დირჰემი 2,8 — 3 გრამს. მაგრამ 1247 წლიდან საქართველოში (აქ იგულისხმება შემდეგ დროებისთვის აღმ. საქართველო) ჩვენ ვხედავთ ვერცხლის დრამის (თეთრის) გარკვეულ ზომის დამყარებას, ვიდრე გიორგი ბრწყინვალის ხანაშდის. სახელდობრ თითქმის 60 წ. სიგრძეზე აღმ. საქართველოში ჩვენ ვხედავთ სამ დანგინ თეთრის (დრამის) კურსის დამკვიდრებას. რადგანაც პერპერა ერთი მისხალის წონის იჭრებოდა, ხოლო დრამა 3 დანგისა, ცხადია საერთო საზომის მხრივ როგორც ოქროს, ისე ვერცხლის ფულის ოდენობა გარკვეულ კანონზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. რადგანაც მე-13 საუკ. დასაწყისიდან ჩვენ ვხედავთ ქართულ ლიტერატურულ წარგებში ბერძნულ ლიტრის ლიტერატურულად დამკვიდრების ცდას, ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ მე-13 საუკუნის ნახევარში, როდესაც ხდებოდა ფულის ახალი ზომის შემუშავება, ძირითად ანგარიშებისთვის ბერძნულ ლიტრიდან გამოდიოდნენ. ბიზანტიურ ლიტრიდან 72 ოქრო იჭრებოდა. თუ ქართულ ლიტრიდანაც მე-13 საუკ. ნახევარში 72 პერპერა იჭრებოდა, მაშინ მივიღებთ ქართული ლიტრის ოდენობას ამ დროს 72 მისხალს. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ერთეულ (არაბულ) ლიტრიდან 144 დირჰემი გამოდიოდა. თუ ქართული ლიტრა ამ დროს 72 მისხლის ზომის იყო, ლიტრაზე იმავე 144 დრამის ანგარიშით, მივიღებთ თითო დრამაზე  $\frac{1}{2}$  მისხალს (3 დანგს). ეს ზომა იყო სწორედ მიღებული 1247 წლიდან ქართული დრამისთვის. ეს გარემოება ჩვენის აზრით უნდა გვიჩვენებდეს, რომ საქართველოს მთავ-

რომა ლიტრას მე 13 საუკ. ნახევარსა და მეორე ნახევარში 72 ბისხლის ზომაზე ანგარიშობდა და ამ საზომიდან გამოსვლით დებულობდა ლიტრა ოქროზე მოსაქრელ დრაჰმანების ბიზანტიაში მიღებულ რიცხვს და ლიტრა ვერცხლზე—აღმოსავლეთში მიღებულ რიცხვს.

ლიტრის შესახებ სტეფანოს ორბელიანს აქვს დაცული ერთი ცნობა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემოდ მოხსენებულ დასკვნების რამოდენადმე მაინც შესაჯვრებლად. სახელდობრ სტეფანოსი ვადმოგვცემს, რომ ულუ-ყანმა სუმბატ ორბელს ცხრაჯერ ომში ბრწყინვალედ გამარჯვებისთვის უბოძა „ოქროს ბალიში პრტყელი სახის და ერთი მტკაველის (ქ ჯაჟი შყჟ) სიგრძისა, წონით ერთი ლიტრა“ (შაჰარუქ-საზანაყჩი ასიასკან ტფილ. გამ. 1911 წ., 424). მეორე ადგილას კიდევ სტეფანოსი ვადმოგვცემს, რომ ყაზან-ყანმა ის დაასაჩუქრა „ოქროს საჩუქარით (ქაქიქაჟ იასკი; ქაქიქაჟ=სპ. كوكب—საპატიო იარლიყი ან საჩუქარი) რომელიც წარმოადგენს პრტყელ ტაბლერს ზომით ერთ მტკაველს (ქ ჯაჟი შყჟ). მასზე დაწერილია სახელები ღვთისა და ყაენისა და ცოტა სხვა სიტყვებით“ (იქვე, გვ. 483). ამ საყურადღებო ცნობებიდან ვტყობილობთ, რომ ბალიში იყო საპატიო საჩუქარი და ერთი ლიტრის ზომა. ლიტრის ზომის შესაჯვრებლად ამიტომ საინტერესოა თვით ბალიშის ზომის ცოდნა.

ბალიშის შესახებ ცნობები შემოკრებილი ჰქონდა კატრმერს, რომელიც მის მიერ გამოცემულ რაშიდ-ედ-დინის ისტორიის სათანადო ადგილას შენიშვნაში იძლევა შემდეგ განმარტებას: „ბალიში მონგოლების ფული იყო, რომლის ღირებულობის ფქსაცია საკმაოდ ძნელია. ამასთანავე განიხილოდა ოქროს ბალიში და ვერცხლის ბალიში (ვასათის ისტორია). ერთ უსახელო სპარსელ ლექსიკოგრაფის (სპარს. ხელნაწ. პარიზის ბიბლიოთეკაში № 187) და ბორჰან-კატის მიხედვით ოქროს ბალიში ღირდა მმითყალი ანუ დინარი და 2 დანგი, ხოლო ვერცხლის ბალიში—8 დირჰემი და 2 დანგი. ასეთსავე შეფასებას იძლევა მიჩხონდი (V ნაწ.). ტარიღი ვასაფ-ი ავტორი ამბობს შემდეგს: «თუმანი ღირს [ათი\*] ათასი ბალიში, ხოლო ბალიში უდრის წდნარს». მეორეს მხრივ ჯეჰან-ქუშის ავტორი ვადმოგვცემს ამის შესახებ შემდეგ დეტალებს: «ერთი ბალიში უდრის 500 მიტყალს. მისი ღირებულება ჩვენს ქვეყნებში არის 75 დინარი როკნი [სპ. كوكب—წმინდა ოქრო], თიფო დინარი ოთხი დანგის ზომის ანგარიშით». ჰაიდარ რაზი ავრეთ-ამბობს, რომ ბალიში ღირს 500 მიტყალი, ვარცხლი. ტარიღი-ვასაფ-ის ავტორი ჩინეთის მონგოლების შესახებ ამბობს შემდეგს: «ერთი ბალიშ-ჩაო [چاو الش] ქალაქის ფული ადგილობრივ ენაზე უდრის 50 სირს

\*) შესწორება, სიტყვის ათის ჩამატებით, ვკუთვნის ვ. ბარტოლდს—Пердсид. надп. на стене анийск. меч. Мануче, 17, შებ. 1.

(سیر) და ღირს 10 დინარი. ოქროს და ვერცხლის ბალიში უდრის 500 მიტყალს. ოქროს ბალიში ღირს 200 ბალიშ-ჩაო და იანგარიშება ორი ათას დინარად. ვერცხლის ბალიში ღირს 20, ბალიშ-ჩაო ანუ 200 დინარი“. მისიონერი ოდერიკი ამბობს, ბალიში  $1\frac{1}{2}$  ფლორინი ღირს, ხოლო თხულებს—*De l'état et de la gouvernance du grand caan du Cathay* ავტორი ბალიშს თვლის ათას ოქროს ფლორინის ექვივალენტად... ამ ერთმანერთის საწინააღმდეგო დეტალების შერჩევა აღვილია, საჭიროა მხოლოდ ეპოქის და ქვეყანის მხედველობაში მიღება. როგორც სჩანს, ბალიში მონგოლებში არ იყო რეალური ფული, არამედ ოქროს და ვერცხლის მასა, რომელიც საკმაოდ დიდი წონისა იყო, რადგანაც 100 ბალიშის გადასატანად საჭირო იყო ერთი ჯრემი (რამდენდინის ცნობა). დროთა ვითარებაში ეს სიტყვა გადაიქცა ფულის ჯამის საანგარიშო ერთეულად და თვალსაჩინო განსხვავებით იხმარებოდა ფულის აღსანიშნავად როგორც ჩინეთში, ისე მონგოლების ბატონობის ქვეშ მყოფ სხვა ქვეყნებში. სიტყვა ბალიში მოიპოვება კიდევ *Motla-Alsaudain* ში, სადაც იხსენიება ვერცხლის 8 ბალიში“ (*Histoire des Mongols de la Perse écrite en persan par Raschid-eldin, éd. par M. Quatremère, Paris 1836., t. I, 320—321, n. 120*). კატრემერას მიერ შემოკრებილ ამ ცნობების მიხედვით ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ ბალიში დროთა ვითარებაში მე-13—15 საუკუნეთა სიგრძეზე თანდათან განიცდოდა შემცირებას. როგორც ვნახეთ, ჯეჰან-ქუშას ავტორის მიხედვით ერთი ბალიში (იგულისხმება, ცხადია, ვერცხლის ბალიში) 500 მიტყალია ანდა 75 ოთხდანგიანი დინარი. დინარი აქ, ცხადია, იგულისხმება უკვე შემცირებული წონის (4 დანგი =  $\frac{2}{3}$  მისხ.). 75 ოთხდანგიანი დინარი წონით შეადგენს 50 მისხალს. მაშასადამე ბალიში აქ იგულისხმება 500 მისხალი (მიტყალი) ვერცხლი ან 50 მისხალი ოქრო. შემდეგ ბალიში შემცირებულა, ასე რომ ვასაფის დროს (1300—1319 წ.წ.) ბალიში ღირს 6 დინარი, წონით მაშასადამე უნდა უდრიდეს, რადგანაც ყაზან-ყენის დროდან შემოღებული ვერცხლის დინარი (აქ, როგორც სჩანს, ვერცხლის დინარი უნდა იგულისხმებოდეს) 3 მისხალს იწონიდა,—18 მისხალს. ხოლო მირხოზდის დროს (მე-14 საუკ. მეორე ნახ.) ბალიში 8 მისხ. წონისაა. მაგრამ ბალიში, როგორც სჩანს, თვით მონგოლებში მაინც საკმაოდ მუდმივ ოდენობის ყოფილა. თუმცა ვასაფი ბალიშს ექვსი დინარის ექვივალენტად სთვლის, მაგრამ იგივე ვასაფი, როგორც ვნახეთ, კერძოდ ჩინეთის მონგოლების შესახებ ამბობს, რომ ბალიში 500 მიტყალი არის. ოქროს ბალიში უდრიდა 2 ათ. დინარს და ვერცხლისა —200 დინარს. ცხადია, ჩინეთის მონგოლებში მე-14 საუკ. დასაწყისში ბალიში ყოფილა 500 მიტყალი ვერცხლად და ამისი მეთაფი (2 ათ. დინ.; 200 დან.) ანუ 50 მიტყალი ოქროდ, ე. ი. იმდენი, რამდენიც



ნაჩვენებია ჯეჰან-ქუშას ავტორის ჯუჯეინის მიერ 1260 წ. არის ნაჩვენები (ამ წელს არის დაწერილი ჯეჰან-ქუშა, В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, СПб., 1900 г., 40—41). როგორც ჯიოვან მარია ანჯიოლოლოს ცნობიდან სჩანს, მე-15 საუკ. (1477 წ.) საქართველოში და სპარსეთში ჯერ კიდევ იცოდნენ „მონგოლური დიდი ბალიში“, რომელიც წინანდელი ზომისა უნდა ყოფილიყო (ამის შესახებ შეად. საისტ. შე, II, 24 წ. ს. კაკაბ., რეცენზია, გვ. 276).

ყველა შემოდ მოხსენებულის მიხედვით შეიძლება გამოტანილ იქნას დასკვნა, რომ 1260 წლის ახლო ხანებში (ამ წელს არის დაწერილი ჯეჰან-ქუშა და ამ წლის ახლო ხანებს ეხება სტეფანოს ორბელიანის ცნობა ლიტრიან ოქროს ბალიშის შესახებ) ლიტრა უდრიდა 50 მისხალს. ეს წონა იყო, როგორც სჩანს, ჩვეულებრივი წონა, მიღებული ხალხში და რასაკვირველია მხოლოდ განსაზღვრულ მხარეებში. მე-12 საუკუნის დასასრულიდან, როგორც ვნახეთ, იმავე საქართველოს სამეფოს სომხურ პროვინციებისთვის ჩვეულებრივ წონას წარმოადგენდა ერაყული ლიტრა (64 მისხ.). მე-13 საუკ. ნახევრიდან მართველ წრეებში უნდა სჩანდეს აგრეთვე მიდრეკილება ლიტრის გადიდებისა (72 მისხ.) ბერძნულ საზომზე მიახლოებით (შემოდ, 38). ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლიტრა მე-13 საუკ. ნახევარში, მაუხედავად მისი სხვადასხვაობისა და წონის მომატების გადიდების მიდრეკილებისა, დაახლოებით 50—72 მისხლის წონისა იყო, პირველი ციფრი არის უფრო სახალხო ლიტრის მაჩვენებელი.

მე-14 საუკ. დასაწყისიდან ლიტრა კვლავ იწყებს გადიდებას. სახელდობრ ყაზან-ყაენმა 1301 წ. დააკანონა მენი (=2 ლიტრა) 260 ღირჰემიანი (Hammer-Purgstall, Gesch. der Ilchane II, 161). ღირჰემი= $\frac{2}{3}$  მისხ.. ლიტრა მაშასადამე დაკანონებულ იქნა 86,6 მისხლიანი. ეს ლიტრა მე-14 საუკ. ოფიციალურად შემოღებული იქნებოდა საქართველოშიც. ამის შემდეგ ლიტრა თანდათან დიდდებოდა.

1259 წლ. ახლოს, როგორც რკონის სიგელიდან სჩანს, ოცდაათხ ლიტრიანი 6 კოკა ღვინის ფასად ქართლში საშუალოდ 8 თეთრი ითვლებოდა. თუ ლიტრას საშუალოდ ამ დროს ქართლისთვის 64 მისხლის წონისას ავიღებთ, მაშინ 24 ლიტრიანი კოკა იქნება წონაზე გადატანილ 1536 მისხ.. ამ წონის ღვინო ამ დროს მაშასადამე ღირებულა  $(8:6)=1\frac{1}{3}$  თეთრი, ანუ ვერცხლზე გადატანილ 4 დანგი ვერცხლი.

ვახტანგის დროს 1706 წლის ახლოს კოკა ღვინო საშუალოდ ღირდა აბაზი. კოკა ამ დროს ქართლში 8—24 ლიტრიანი იყო, მაგრამ საბაჟს ლექსიკონი კოკას უჩვენებს გარკვევით „აფი ახალი ლიტრის“

შემცველს. ლიტრა ამ დროს 560 მისხალს შეიცავდა, მაშასადამე ათ ლიტრიან კოკაში 5600 მისხალი იქნებოდა. ამ წონის ღვინო ღირდა მაშასადამე  $9\frac{3}{5}$  დანგი ვერცხლი. ამავე 5600 მისხალის წონის ღვინო 1259 წლ. ახლოს ეღირებოდა 14,56 დანგი ვერცხლი. ამისდა მიხედვით ჩვენ ვღებულობთ 1706 წლის ახლო დროისთვის შედარებით 1259 წლ. ახლო დროსთან ქართლში ვერცხლის და მაშასადამე ფულის გაძვირებასაც ერთ ნახევრად (1:1,5).

ფულის და ვერცხლის ღირებულების ვითარებისთვის მე-17 საუკუნახევარში შედარებით მე-18 საუკუნის დასაწყისთან საინტერესოა შარდენის ცნობა. შარდენი გადმოგვცემს, რომ მის დროს (1672 წ.) ცხენის საპალნე საუკეთესო ღვინო წონით 300 (ფრანგული) გირვანქა ტფილისში ღირდა 8 ფრანკი, ხოლო საშუალო ღირსების ღვინო ამისი ნახევარი (Voyage en Perse, პარიზ. გამ. II, 39). აბაზი შარდენისავე სიტყვით უდრის მის დროს 18 სოლს, თუმანი კიდეც 45 ფრანკს (იქვე II, 198). ფრანგული გირვანქა (livre) უდრიდა 489,5 გრამს, რაც ქართულ წონაზე გადატანით უდრის 688,3 დანგს ანუ 114,2 მისხალს. საპალნე ამ დროს მაშასადამე შარდენის მიხედვით იწონიდა 34260 მისხალს \*).

1672 წ. ტფილისში ამგვარად 34260 მისხ. წონის ღვინო ღირდა 4—8 ფრანკი, თუმანზე გადატანით  $\frac{4}{45}$ — $\frac{8}{45}$  თუმანი ანუ 4,4—8,8 აბაზი. ანგარიშისთვის უფრო სწორი უნდა იყოს პირველი რიცხვის (4,4 აბაზის) აღება, რადგან ეს ფასი არის საშუალო ღვინის მაჩვენებელი და ამასთანავე მხედველობაში მისაღებია ის, რომ ტფილისში მოტანიან ხარჯის მიმატებით ღვინო, შინაგან პროვინციასთან შედარებით, რამოდენადმე მეტიც ეღირებოდა. სულეიმანის 1-ის (1667—1694) აბაზიანი, საქათველოს მუზგუშის ცალგების მიხედვით, იწონიდა 7 გრამს, ანუ 9,8 დანგს. 4,4 აბაზი მაშასადამე ამ დროს შეიცავდა 43,12 დანგ ვერცხლს. ვახტანგის დროინდელი აალიტრიანი კოკა ღვინო 1672 წ. მაშასადამე ეღირებოდა (34260:43,12=5600:)7 დანგი ვერცხლი. რადგანაც 1706 წლის ახლოს ამავე წონის ღვინო ღირდა  $9\frac{3}{5}$  დანგი ვერცხლი, აპიტომ მივიღებთ 1672 წ.—1706 წ. ახლ. ფულის გაიაფებას ქართლში ოკოორც 1:1,4.

\*) 34260 მისხალი უდრის 8,9 ფუტს. მე-17 საუკ. მეორე ნახევარში ამ ზომის ყოფილა საპალნე ქართლშიც. საყურადღებოა, რომ, მაგ., მე-19 საუკუნახევარში საპალნე ქართლში ითვლებოდა 27 ფუტის წონის, ხოლო ქვემო-იმერეთში—9 ფუტ.  $8\frac{1}{2}$  მისხ. და ზემო-იმერეთში 10 ფ. 19 გირ.  $69\frac{3}{4}$  მისხ. (Кавк. календарь за 1859 г., 181—184). აქაც ჩვენ ვხედავთ წონის ერთეულის გადიდების ფაქტს ყოველს შემთხვევაში ქართლის მიმართ. 1770 წ. კავ. იაზიკოვის მოწმობით ურემი იწონიდა ქართლში 40 ფუტს (А. Чагарели, Грамоты... I, 190). მე-19 საუკ. ნახევარში ურემი ქართლში 81 ფუტს უდრიდა (Кавк. к. 1859 г., 184). ამის შესახებ ქვემოლ—ს. კაკაბ. ქართ. მეტროლოგია.

ფრად საყურადღებოა ის ცნობები, რომელიც ჩვენ გვაქვს დასავლ. საქართველოს საგარდასახადო საკლავის შესახებ მე-16 საუკ. და მე-18 საუკ. დასაწყისისთვის. მე-16 ს-ში იმერეთში გლეხის საგარდასახადო საკლავის ფასი მოხსენებულია 1578 წლის ქუთაისის დავთარში (ძველი საქართველო, IV, 4—72) თორმეტი თეთრია. 12 თეთრის საკლავი ეს არის ქუთაისის საყდრის დავთარში ჩვეულებრივი მოხსენება (§§ 21—42, 256, 258—264, 266—287, 292—295, 305—367, 369—371). იშვიათად იქვე იხსენიება 6 თეთრის საკლავი (§ 257, 265), ოცი თეთრისა (§ 166—171) და 24 თეთრისა (§ 368). ცხადია, რომ ჩვეულებრივი ნორმად უნდა იგულისხმებოდეს 12 თეთრის საკლავი, 6 თეთრის საკლავი უდრის  $\frac{1}{2}$  საკლავს და 20—24 თეთრისა კი 2 საკლავს. თეთრი ამ დროს შეიცავდა ოსშალურ ასპრის ზომის მიხედვით 0,9 დანგ ვერცხლს, საკლავის ფასი მაშასადამე უდრიდა 10,8 დანგ ვერცხლს. 1705 წ. აფხაზეთის კათალიკოზი გრიგოლი სწერს, რომ ოთხ საეკლესიო გლეხს „ოთხოთხი ღორი ემართათ, ერთი დიდი და სამი მომცროანი. აწე ის სამი საკლავი ამოგვიწერია და მისი სანთელი დაგვიც, თვითო წამახური“... (ს. კაკაბ., დასავლ. საქრთვ. საეკლ. საზ. I, 89). რადგანაც საფიქრებელია ბიგარად ჩვეულებრივ „მომცრო“ საკლავის გარდახდა (შესაძლებელია 1578 წ. ქუთაისის საყდრის დავთარში ჩვეულებრივ 12 თეთრის ღირებულ საკლავის მოხსენება და მხოლოდ იშვიათად 20—24 თეთრის ღირებულობის საკლავის დასახელება სწორედ ამ გარემოებას გვიჩვენებდეს), ამიტომ საშუალოდ შესაძლებელია მივიღოთ ღირებულობის მხრივ საგარდასახადო საკლავის და წამახური სანთელის იგივეობა მე-18 საუკ. დასაწყისისთვის. ხოლო იგივე კათალიკოზი გრიგოლი 1712 წ. აწესებს მარჩილის თავს მის სამაგიეროდ წამახურის გარდახდას (იქვე, გვ. 106). ცხადია, რომ 1705—1712 წლებში ლიხთ-იმერეთს საგარდასახადო საკლავი მარჩილის ექვივალენტია. მარჩილი ამ დროს შეიცავდა ( $9\frac{3}{8} \times \frac{3}{8}$  აბაზი =)  $28\frac{1}{8}$  დანგ ვერცხლს. ვგვევ საკლავი 1578 წელს საშუალოდ ფასობდა 10,8 დანგი ვერცხლის გაიაფება ლიხთ-იმერეთს 1578—1712 წლებში გამოიხატება როგორც 1:2,6. თუ ვიგულისხმებთ, რომ ასეთივე შეფარდება ფულის გაიაფების მხრივ შეიძლება მიღებულ იქნას აღმოსავლეთ საქართველოსთვისაც, მაშინ ფულის გაიაფება აღმ. საქართველოში სამსთარილში 1578, 1672 და 1705 წ. შეიძლება გამოსახულ იქნას შემდეგნაირად: 1:1,86:2,6.

აღსანიშნავია, რომ იმავე ლიხთ-იმერეთს 1549 წ. საგარდასახადო საკლავი ნაჩვენებია 20 თეთრისა და 15 თეთრის (ქრონიკ. II, 389). რადგანაც 1578 წ. ასეთივე საგარდასახადო საკლავი, ქუთაისის საყდრის დავთრის მიხედვით, 12 თეთრი ღირდა, ამიტომ შეიძლება ვიღ

ფიქროთ, რომ 1549—1578 წლებს სიგრძეზე ჩვენ საქმე გვაქვს ლიხთ-იმერეთში ფულის გაძვირების პროცესთან. ეს გაძვირება დასტურდება (15 თეთრი : 12 თეთრი) სულ ცოტა 20<sup>0</sup>/<sub>100</sub>-ით.

ამ დასკვნების უფრო ძველი დროსთან შესადარებლად ზემოთაღნიშნული გამოვიყენოთ ალ-ისტახრის ცნობა (ალ-ისტახრი სწერდა 930 წლ. ახლოს). სახელდობრ ალ ისტახრი გადმოგვცემს, რომ არმენიის ქალაქებში (მათ შორის იგულისხმება ტფილისიც) ფასები იმდენად იაფია, რომ ზოგიერთ ადგილებში ცხვარის ფასი 2 ღირჰემამდის არისო (Н. Караулов.... Свед. араб. писат. о Кавказе, СМОМПК. вып. 29, стр. 27). მართალია ეს ცნობა ტფილისის-ბარდას რაიონებს და მათი მიმდებარეებს ეხება, მაგრამ სხვა საშუალებების უქონლობის გამო შესაძლებელია ამ ცნობის გამოყენება მე-16 საუკ. ლიხთ-იმერეთის ანალოგიურ ცნობასთან შესადარებლად. არაბ. ღირჰემი 4 დანგს ვერც. შეიცავდა, ცხვარი მაშასადამე 930 წლ. ახლოს ტფილის-ბარდას ხაზზე ღირდა სულ ცოტა 8 დანგი ვერცხლი და შესაძლებელია ოდნავ მეტიც. 1573 წ. იმერეთში საგარდასახადო ცხვარი ღირდა ათი თეთრი (ს. კაკაბ, დასავლ. საქართვე. საეკლ. საბ., I, 30) ანუ 9 დანგი ვერცხლი\*). ამისდა მიხედვით გამოდის, რომ ფულის ღირებულება საქართველოში მე-17 საუკ. მეორე ნახევარში თითქმის იმავე დონეზე იდგა როგორც მე-10 საუკ. პირველ ნახევარში, ოდნავ მხოლოდ გაიფხვით (1:1,13).

ამაირად ჩვენ გვაქვს ესლა დაახლოვებითი ცნობები ფულის რეალურ ღირებულობის შესახებ საქართველოში დაწყებული მე-10 საუკუნიდან. მხედველობაში მისაღებია აგრეთვე კახა თორეღის საყურადღებო ცნობა რკონის სიველში 1259 წლ. ახ., ამ დროს „ქოყეყანანი და ისყიდნეს ხარკობისაგან, ოქროჲ ძვირად იყვის და სოფელი იეფად“ (ქრონ. II, 133). ამის გამო, სწერს კახა თორეღი, მისი აღათვისაგან

\*) იგივე ალ-ისტახრი გადმოგვცემს, რომ არმენიისავე ქალაქებში (იგულ. ტფილისიც) თავლის ფასი ისე იაფია, რომ ორი და სამი მანი ღირჰემი ღირსო, Н. Караулов, loc. cit.). თუ ავიღებთ 2 მან თავლს (არაბული მანი = 2 როტლს, ერაყული როტლი = 96 მისხ.) ერთ ღირჰემად, გამოდის, რომ 384 მისხ. თავლი ალ-ისტახრის დროს ღირებულა ფულად 4 დანგი ვერცხლი. ნიკ. ტოლოჩანოვი 1651 წ. იმერეთის შესახებ გადმოგვცემს: „А медь прѣсной безчисленно дешевъ, можно укупить русскѣй пудъ въ абасу и меньши“ (Древне-Росс. вивлиоика, ნოვიკოვის მე-2 გამ. V, 247). ამ დროინდელი სპარსული აბაზი იწონიდა (აბაზ II-ის დროს) საქართველოს მუზეუმის ზოგიერთ ეკზემპლიარების მიხედვით 7,6 გრ. ანუ 10,6 დანგს. ეს არის ვერცხლის ფულად 1 ფუთ (3840 მისხ.) თავლის ექვივალენტი. ერთი და იგივე ოდენობის თავლის ღირებულობა ალ-ისტახრის არმენიაში ნაჩვენებია აქვს 40 დანგ ვერცხლად, ხოლო ტოლოჩანოვს იმერეთში 10,6 დანგ ვერცხლად. როგორც სჩანს, იმერეთში მე-17 საუკუნეში თავლი მართლაც ძლიერ იაფი ყოფილა.



რაიც ხუთი ათას თეთრად ღირდის, ორ ათასად ძლივ დავაჭირვინი... რაიც ათი ათას თეთრად ღირდის, ხუთი ათასად ძლივ გავყიდი“-ო (იქვე, 134). ამ ცნობიდან სჩანს, რომ მონგოლების მიერ მძიმე ხარკიანობის შემოღების შემდეგ (ალბად 1254 წლის აღწევის შემდეგ) ფული საქართველოში 1254—1259 წლების სიგრძეზე გაძვირებულია 2—2½ ჯერ. ამ ცნობის გათვალისწინებით და აგრეთვე ყველა შემოდ მოყვანილ შეფარდებათა თავმოყრით და მე-10 საუკ. პირველ ნახევრისათვის ფულის ღირებულობის 1-ის რიცხვით გამოხატვით მივიღებთ შემდეგ შეფარდებას ფულის გაძვირება-გაიაფების შესახებ საქართველოში მე-10 საუკ. დასაწყისიდან, ვიდრე მე-18 საუკ. პირველ წლებამდის: 1 (მე-10 საუკ. პირვ. ნახევ.), 8,7 ან 10,8 (1250 წლ. ახლოს), 4,35 (1259 წლ. ახლოს), 1,13 (1570—80 წ.წ.), 1,2 (1672 წ.), 2,94 (1706 წლ. ახლ.). ეს ციფრები გვიჩვენებენ, რომ მე-10 საუკუნიდან მე-13 საუკ. პირველ ნახევრამდის ფული საქართველოში თვალსაზიროდ გაიაფებულია (8,7—10,8-ჯერ, მაგრამ ამის შემდეგ იწყება ფულის გაძვირება, 1254—1259 წლებში სწრაფი ტემპით, შემდეგ კი უფრო ნელა. მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში შედარებით 1259 წლის ხანასთან ფული გაძვირებულია 3,3-ჯერ. მე-17 საუკუნეში კი ფული კვლავ იწყებს გაიაფებას.

შემოდ მოყვანილ ცნობებს, რასაკვირველია, შეიძლება ქონდეს მხოლოდ დაახლოვებითი ხასიათი, მაგრამ ასეთი დაახლოვებითი ხასიათის ცნობებიც მეტის ჭეტად სიმპტომატიურად სჩანს. მე-12 საუკუნეში და მე-13 საუკ. პირველ ნახევარშიდაც როგორც ამ ანგარიშითაც მტკიცდება, საქართველო ძლიერ მდიდარი ყოფილა ფულით. მე-13 საუკ. მეორე ნახევრიდან იწყება ეკონომიური გადატაკება—მონგოლების ბატონობის დროს და თემურლენგის შემოსევათა შედეგად. პროცესი ფულის გაძვირებისა, როგორც ვნახეთ, დასტურდება 1549—1578 წლებში კერძოდ ლიხთ-იმერეთს. მხოლოდ მე-17 საუკუნიდან იწყება ისევ ფულის გაიაფების პროცესი. თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენ აღებული გვაქვს მხოლოდ კიდევანი თარიღები (მაგ., 1259 წ. ახლ., 1578 წ. და სხ.). შეივსება ამ თარიღებს შორის საუკუნეთა და ათეულ წლების სიგრძეზე ადგილი ექნებოდა ფულის რაოდენობის და მოთხოვნილების საჭიროების აწევ-დაწევას ეკონომიურ საერთო ვითარების მიხედვით და ამისდა მიხედვით ფულის გაძვირების თუ გაიაფების მაჩვენებელი კოეფიციენტი ცვალებადობაში იქნებოდა. მომავალში, იმედია, შესაძლებელი იქნება ამ მხრივაც მუშაობის გაღრმავება საქართველოს ეკონომიურ ისტორიისათვის ამ კერძოობით, მაგრამ ფრთხილ მნიშვნელოვან საკითხის ყოველის მხრივ გასაშუქებლად. ჯერჯერობით კი დავკმაყოფილდებით მიღებული დასკვნებით.

რაც შეეხება მე-18 საუკუნეს, ამ ხანის შესახებ მოიპოვება საკმაოდ ბლომად მასალა, რომელთაგან უმრავლესს უნდა დავროვება და სათანადო კლასიფიკაციის მოხდენა. ამ ეპოქა კი აღენიშნავთ ზოგიერთ მთავარ მომენტს, რომელიც ახასიათებს ფულის გაიაფების ვითარებას საქართველოში მე-18 საუკუნეში. კოდი პური ვახტანგის კანონების მიხედვით ღირდა შაურ ნახევარი (სამართ. § 129). კოდში საბა-სულხანის ლექსიკონით ამ დროს საშუალოდ 10 „ახალი“ ლიტრა არის საკულისხმებელი, ლიტრა პური მაშასადამე ღირდა 0,15 შაური, ვერცხლზე გადატანით 0,35 დანგი ვერცხლი. გვლდენშტედტის დროს 1772 წ., როგორც პისი ცნობიდან საგულისხმებელია, ლიტრა (იგივე ბათმანი) პური ტფილისში ღირდა 8 კაპ. (Reisen... I, 171, 359), ვერცხლზე გადატანით 1,7 დანგი ვერცხლ. მაგრამ ლიტრა 1705 წ. 560 მისხ. იწონიდა, 1772 წ. კი—720 მისხალს. სათანადო ანგარიშის გაკეთებით და ლიტრის გადიდების გათვალისწინებით მივიღებთ, რომ 1705 და 1772 წლებს შორის ტფილისში და ქართლში ფული გაიაფებულა როგორც 1:2,7. შესაძლებელია ეს შეფარდება ოდნავ დაკლებითაც იყოს წარმოდგენილი, რადგან ვახტანგის სამართალში ნაჩვენებია საშუალო პურის ფასი საზოგადოდ ქართლის კვალობაზე, გვლდენშტედტს 1772 წ. კი სახეში აქვს ტფილისი, ტფილისში კიდევ პურის ფასი სოფელთან შედარებით უფრო მაღლა იქნებოდა (შეად. ქვემოლ).

1769 წლის შემდეგ ქართული ვერცხლის საფასის ზომა დაახლოებით მუდმივი იყო, ლიტრაც მხოლოდ ოდნავ მომატებას თუ განიცდიდა (ამის შესახებ ზემოლ, გვ. 36). მაგრამ ფულის გაიაფების პროცესი მაინც გრძელდება, რაც შეიძლება აიხსნას შედარებით განცხველებული ურთიერთობით რუსეთთან. 1780 წ. ლიტრა პური ტფილისში აბაზი ღირდა (თავგადას. იესესი, ს. კაკაბაძის გამ., 121—122). რადგანაც 1772 წ. ლიტრა (ბათმანი) პური ტფილისში, გვლდენშტედტით, 8 კაპ. ფასობდა, ამიტომ ვლებულობთ 1772—1780 წლებში ფულის გაიაფებას ტფილისში  $2\frac{1}{2}$  ჯერ. ჩვენ ამ ეპოქა არ გამოუყოფებით სხვა ცნობების შეკრებას, რადგან მე-18 საუკ. ფასების აწვე-დაწვევის განხილვა არ შეადგენს ამ წერილის დანიშნულებას. უნდა ითქვას მხოლოდ, რომ ტფილისში მე-18 საუკ. მეორე ნახევარში, როგორც ეს მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო, ფასები პურზე უფრო მაღლად სჩანს ვიდრე სოფლად. 1787 წ. საზოგადოდ ქართლში პური, ბურნაშევის ცნობის მიხედვით, ლიტრა 3 შაური ფასობდა, 1797 წ., იმ დროს როდესაც სოფლად ფუთი პური 9 შაური ღირდა, ტფილისში ის  $2\frac{1}{4}$ —2 მინალთ. ფასობდა (ამის შესახებ იხ. ს. კაკაბაძე, საქართვე-

ლოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში, მნათობი № 3, 1924 წ. 274—282). საქართველოში ფასების აწევ-დაწვევის საკითხი მე-18 საუკუნის სიგრძეზე და მისი მნიშვნელობის შეფასება ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ისტორიის თვალსაზრისით საკიროებს დეტალურ გამოკვლევას. ჩვენ ამ საკითხს სხვა დროს შევხებით\*).

---

\*) ეს წერილი, წარმოადგენს გადაკეთებას ამავე სათაურით ჯერ კიდევ 1905 წელს დასაბუქდად დამზადებულ გამოკვლევისას, რომლის დაბეჭდვა თავის დროზე არ მოხერხდა და შემდეგ კიდევ გადადებული იყო.

სარგის კაკაბაძე.

## ქართული მეტროლოგია.

ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრების სიგრძეზე ხმარებულ საზომების დეტალურად გარკვევა, რასაც საქართველოს ეკონომიურ ისტორიის ცალკე მხარეების შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ჯერ კიდევ მომავალის საქმეა. თავისთავად იგულისხმება, ქართველი ხალხის მიერ მისი ისტორიულ ცხოვრების სიგრძეზე ხმარებულ საზომების გარკვევა შეუძლებელია შედარებითი მეთოდის გარეშე. შესწავლის ფარგლებში უნდა იგულისხმებოდეს ბერძნული, ძველ-სპარსული, სომხური, არაბული, ოსურული, ახალ-სპარსული და სხ. საზომები, ე. ი. ყველა იმ ხალხების მიღწევანი ამ სფეროში, რომლებთანაც ქართველ ტომებს და ქართულ სამეფო-სამთავროებს უხდებოდათ მჭიდრო ეკონომიურ და კულტურულ-პოლიტიკურ ურთიერთობაში ყოფნა. მაგრამ რა დგანაც ჩვენ იძულებული ვხდებოდით ასეთი შედარებითი მუშაობის ჩატარება. ყოველთვის გადაგვედვა უმთავრესად სათანადო ლიტერატურის ხელთაქონლობის გამო, და ახლო მომავალში ჩვენთვის მოსალოდნელი არ არის ამ ნაკლის შევსება, აპიტომ შესაძლებელია უფრო მიზანშეწონილად ჩაითვალოს ჯერ კიდევ ამ თორმეტიოდე წლის წინად, განსაკუთრებით დასავლ. საქართველოს საგარდასახადო დავთრების გამოქვეყნების შემდეგ, შეკრებილ დაკვირებათა გამოქვეყნება ზოგიერთი ახალი დამატებებით—ამ საგნის შესწავლის შემდეგი საფეხურთა მომავალში გასაადვილებლად.

უძველეს დროიდანვე ქართველ ტომებში და ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ხმარებული საზომები შეიძლება გაცოფილ იქნნას ორ მთავარ ნაწილად: 1) საზომები, ადგილობრივად წარმომდგარი, რომლებიც დაკავშირებულია ქართველ ტომების შეგნებასთან უძველეს დროიდანვე და თავიდანვე ამ ტომების ეკონომიურ ცხოვრების შეგნებას ახასიათებს, 2) საზომები, რომელნიც უფრო დიდ მეზობელ ხალხებიდან არის მიღებული ან შეთვისებული და თავისი წარმოშობით ახასიათებენ ქართველ ტომებს და საქართველოს ცალკე პროვინციების ეკონომიურად დამოკიდებულებას განსაზღვრულ ხანაში განსაზღვრულ ქვეყნებისა და ხალხებისაგან. ეკონომიური ისტორიის ცალკე ეტაპების გასარკვევად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეორე ხა-



სიათის საზომებს, რადგან ასეთი საზომები, საფასის საკითხთან დაკავშირებით, ყველაზე უფრო ნათლად გვიხატავს ეკონომიური ხასიათის მძლავრ ნაკადებს, რომელნიც საქართველოს ცალკე მხარეების ცხოვრებაში იკრებოდა და მასზე თავისს ზედგავლენას ახდენდა. მაგრამ საერთოდ ეკონომიური საკითხების გარკვევის თვალსაზრისით ყველა როგორც ადგილობრივი წარმოშობის, ისე სხვა ქვეყნებიდან და ხალხებიდან მიღებულ საზომების გარკვევა, საუკუნეთა სიგრძეზე მათი ცვალებადობის შესწავლა და შეძლების დაგვარად ამ ცვალებადობის მიზეზების და ხასიათის გათვალისწინება, რასაკვირველია, წარმოადგენს ერთნაირად მნიშვნელოვან საჭიროებას.

ადგილობრივი წარმოშობის საზომები, ექვს გარეშეა, უძველეს ხანაში დაკავშირებული უნდა იყოს, როგორც ეს ყველა კულტურულ ხალხების შესახებ არის ცნობილი, თვით ადამიანის წარმოდგენასთან თავისი თავის შესახებ და აგრეთვე იმ პრიმიტიულ ქურქლეულობასთან, რომელიც მის განკარგულებაში იყო. ხშირათ კიდევ საზომის ტერმინის განვითარება დამოკიდებულია თვით საზომის მოქმედების აღმნიშვნელ ლექსიურ მასალიდან. პირველ შემთხვევაში საზომის ერთეულად შეიძლება აღებული ყოფილიყო ადამიანის ტანის ნაწილები. ასეთი წარმოშობისაა ქართულში მაგ., თითი, გოჯი, მტკაველი, მხარი და სხ. მეორე შემთხვევაში საზომის ერთეულად აღებულია პრიმიტიული ქურქლეულობის მოცულობა, ქართულში მაგალითად, კვახი, კალათი, კარჩხალა და სხ. მესამე შემთხვევის მაგალითს იძლევა საზომის ტერმინები ქართულში წონა, საწყაული და სხ. ადგილობრივივე წარმოშობის არის ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებით, მაგ., ტერმინი დღიური, გუთანი და სხვა, საზომის აღმნიშვნელი ანალოგიური ტერმინები (შეად., მაგ., *δίαχυσος*, ლათ. *digitus*—თითი, [ღიუმი], ბერძნ. *πῆς*, ლათ. *pes* ფეხი, [ფუტი] და სხ.). წონის უკნინეს ერთეულად ითვლებოდა კიდევ მარცვალი,—ქართველ ტომებში და აღმოსავლეთში ქერის მარცვალი (შეად. ლათ. *granum*—მარცვალი, აქედან ევროპ. გრანი). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ადგილობრივი წარმოშობისავე საზომების ტერმინები დადსტურებულია მწერლობაში უძველეს ხანაშივე (მე-5—6 და შემდეგი საუკ.—სახარების თარგმანის ვერსიები და დაბადება), ზოგიერთი კი სჩანს მხოლოდ გვიანდელ საბუთებში. უკანასკნელი გარემოება აიხსნება იმით, რომ სამოქალაქო ცხოვრების ნორმების შესახებ ცნობების შემცველ საბუთებს ძველი დროიდან არ მოუღწევია. საბუთების ტექსტები ცნობილია მხოლოდ მე-10 საუკუნიდან და ისიც მე-10.—15 საუკუნეთა სიგრძეზე ფრიად სპორადიულად. ამ, ადგილობრივი წარმოშობის, ტერმინებთაგან და უპირველეს ყოვლისა სიგრძის საზომის, აღსანიშნავია შემდეგი:

✓ თითო, იხსენიება დაბადებაში (იერემ. 52<sub>21</sub>: „[საბელი] სისქე ოთხთა თითთა“). ✓ თითის ზომა ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ცნობილია, რომ ბერძნული (ატიკურა) ✓ დაკტილი (თითი) უდრიდა 0,0185 მეტრს, მაშასადამე დაახლოვებით თითის სისქის საზომი იყო.

ბერძნულ (ატიკურ სისტემაში) დაკტილი-ის შემდეგი ერთეულები იყო: *χρήματις* (შეკუმშული მუქი) ✓ რომელიც 2 დაკტილს შეიცავდა, *πλάσις*, (ოთხი თითის სიგანე) — 2 კონდვლრ *δραχμή*, რომელიც უდრიდა 2 პალაისტეს *σάμμα*, (სივრცე ცერსა და ნეკს შუა) უდრიდა 1 $\frac{1}{2}$  დიხასს, *πῦξ* (ნაბიჯი) — 1 $\frac{1}{2}$  სპითამე, *πῆχυσ* (წყრთა) — 1 $\frac{1}{2}$  ნაბიჯი (პუს), *ῥάβδος* (სივრცე ორივე გაშლილ ხელის ოდენა). — 4 წყრთა (პეხვს), *πλάσιον* (სრული საზომი, ძირისაგან *πλε*) — 16 $\frac{2}{3}$  ვორგ., *σάμμα* (ასპარეზი, მთავარ ასპარეზების სიგრძის მიხედვით) — 6 სრული საზომი (პლეთონი).

საყურადღებოა, რომ ქართულში ძველი დროიდანვე ჩვენ ვხედავთ თითქმის მთლიანად ასეთივე თანდათანობის დაცვას. თითის შემდეგი ერთეულად შეიძლება ჩაითვალოს გოჯი, რომელიც ბერძნულ კონდვლრს-ს უდრის. გოჯი იხსენიება დაბადებაში (3 მეფეთა 18<sub>31</sub>, საქმ. 3<sub>7</sub>) გოჯის შემდეგი ერთეული იყო გოჯეული, რომელიც საბათი (ლექსიკ., 61) „არის ორთავე ცერთა გოჯები შეყრით სიგრძეზედ“. გოჯეულში მაშასადამე 2 გოჯი იქნებოდა. გოჯეული იხსენიება დაბადებაში (იეზეკ. 40<sub>5</sub>, 43<sub>13</sub>).

გოჯეულის შემდეგი ერთეული იყო ტერფი, რომელიც ფეხის გულს ნიშნავს (საბათი „ფეხის ქვეითი სიბრტყე“). ეს ტერმინიც ცნობილი იყო ჯერ კიდევ დაბადების ქართულად თარგმნის დროს (დაბად. 14<sub>24</sub>, 49<sub>18</sub>).

ტერფის შემდეგი ერთეული იყო მტკაველი, რომელიც აგრეთვე ცნობილია ძველს ხანაში (იხსენიება დაბადებაში, გამოსვ. 28<sub>16</sub>, 1 მეფ. 17<sub>4</sub>, ეს. 40<sub>12</sub> და სხ.). საბა განმარტავს მტკაველს: ცერი და ნეკი გაჭიმული (ლექსიკ., 202). მტკაველი არის ბერძნული *σάμμα* შემდეგი მოზრდილი ერთეული იყო — წყრთა, რომელიც მრავალ ადგილას იხსენიება სახარებაში და დაბადებაში (მათ. 6<sub>27</sub>, 1 მეფ. 17<sub>4</sub>, იეზეკ. 40<sub>5</sub>, 43<sub>13</sub> და სხ.). საბათი წყრთა „არის იდაყვიდამ თითის წვერამდის“ (ლექსიკ., 386). წყრთაში, საგულისხმეველია, ორი მტკაველი ითვლებოდა.

1) აღსანიშნავია ტერფთან დაკავშირებით საზომის ტერმინი კვალ იმერეთში. კვალ პირვანდელად ალბად უდრიდა ფეხის აღნაბეჭდის ზომას (იმერულში ვხლავ არის დარჩენილი გამოთქმა — ერთი კვალი მიწა და სხ.). ლიტერატურულად ძველ და საშუალო ქართულში და საბუთებში ტერმინი კვალ საზომის აღსანიშნავად ჩვენ ჯერ არ შეგვხვებოდა.

წყრთას მიყვებოდა ბიჯი ან ნაბიჯი. ეს ტერმინები აგრეთვე ძალიან ძველია და იხსენიება დაბადებაშიდაც (მაგ., იოზ. 14<sub>16</sub>, 2 მეფ-6<sub>13</sub>). საბა განასხვავებს ბიჯს ნაბიჯისაგან შემდეგნაირად: „ბიჯი და ნაბიჯი განიყოფების. ბიჯი არის ერთისა ბიჯისა გარდადგმა, ხოლო ნაბიჯი—მეორისა გარდანაცვლება, რომელი ზომით იქნების ხუთი ტერფა“ (ლექიკ, 34). არსებითად მაშასადამე ბიჯი და ნაბიჯი ერთი და იგივეა. საბა აღასტურებს, რომ ბიჯი ორს წყრთას შეიცავდა: „მილი ფრანგულად ათასი ბაჯი გინა 2 ათასი წყრთა“ (ლექს.186).

ბიჯის ექვივალენტი უნდა ყოფილიყო ადლი, რომელიც აგრეთვე ორს წყრთას შეიცავდა, როგორც ეს სჩანს საცაიშლოს დავთრის ჯგალის გამოსაყლის ერთი ადგილიდან (ამის შესახებ ს. კაკაბ., ცნობები ილორის ყმათა შესახებ ხონს და კუხს, ამავე წიგნში, გვ. 174) ტერმინი ადლი, საკულისხმებელია, ძალიან ძველი უნდა იყოს და შეთვისებული უძველეს ხანაში ერთ-ერთ იაფეტურ ტომისაგან. საბუთებში ის პირველად დადასტურებულია მხოლოდ მე-16 საუკ., კერძოდ იმერეთს (მაგ., 1513 წ. საბუთი გელათისა, ს. კაკაბ., დას. საქართ. საეკლ. საბ. I, 4), მაგრამ ეს გარემოება მხოლოდ საბუთების ნაკლებობით უნდა აიხსნას. აღსანიშნავია, რომ ნახჩიურში (ჩაჩნურში) დღეის ეხლაც ნიშნავს ხელის ნაწილს, სახელდობრ წყრთას (II. Услар, Чеченский яз., 237). ამისდა მიხედვით შესაძლებელია სიტყვა ადლი, ხელის მნიშვნელობის მქონი, შეთვისებული იყოს ქართულში ერთ-ერთ იაფეტურ ტომის მიერ როგორც საზომის ერთეული. ამ საკითხის საბოლოოდ გარკვევა იაფეტური ენათმეცნიერების დახმარებით შეიძლება. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ ადლი ქართველებში ორს წყრთას უდრიდა, მაშასადამე ერთი ხელის გაშვების მანძილს (მკერდით დაწყებული) წარმოადგენდა.

ადლს მისდევდა მხარი, რომლის შესახებ საბა ამბობს: „ოთხი წყრთა ერთი მხარი არის, ვიდრე ორთავე ხელთა სრულიად გაწვდა“. რადგანაც მხარი ორი ხელის გაწვდა იყო, ამიტომ ის მართლაც 2 ადლს (4 წყრთას) შეიცავდა\*).

აღსანიშნავია, რომ მეგრულში მხარი ეხლა ატარებს ბერძნულ სახელს ორგია.

მხარის შემდეგ მომდევნო მსხვილ ერთეულად ცნობილია უტევანი და ასპარეზი, რომელნიც ორნივე ბერძნულ სტადიონ-ს უდრის. ამ სიტყვებიდან უტევანი ძველი ადგილობრივი სიტყვა უნდა იყოს, რომლის შესატყვისი სომხურშიც მოიპოვებოდა *օթևան* (გასაჩერებ-

\*) აღსანიშნავია, რომ ნახჩიურად (ჩაჩნურად) „ფკარს“ ნიშნავს წყრთას *le bras* (II. Услар, Чеченский яз., 242). ამ საკითხის გარკვევა ჩვენი წერილის ფარგლების გარეშე დგას.

ლი ადგილი; თავშესაფარი). ეს სიტყვა მაშასადამე ადგილობრივ იათე-ტურ ტომებისთვის საერთო უნდა ყოფილიყო. ყოველს შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ სახარების უძველეს ვერსიაში მე-ნ საუკუნისა (ადიშ.) ბერძულ სტადიონის ადგილას ყველგან იხმარება ასპარეზი, რაც პირდაპირ განმეორებას წარმოადგენს სომხ. ტექსტის *ասպարեզ* (თვით სიტყვა ასპარეზ ირანული წარმოშობისა). ასპარეზ-ის მაგივრად სახარების ბერძულთან შეთანხმებულ ქართულ ვერსიაში (მე-ნ საუკ.) ყველგან იხმარება უტევანი (ამის შესახებ ს. კაკაბ., საისტორიო ძიებანი... 17), რაც იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ამ დროს (მე-ნ საუკ.) ეს ტერმინი ქართულად საზოგადო სახმარებლად იყო მიღებული ყოველს შემთხვევაში იმ რაიონში, სადაც წარმოებდა სახარების თარგმანის მეორე ვერსიის შემუშავება.

ყველაფერი ზემოდმოხსენებულის მიხედვით ვლტებულობთ, რომ კერძოდ მანძილის აღმნიშვნელ ტერმინებში უკნინეს ერთეულად ძველადვე ქართულში მიღებული ყოფილა თითი. ბერძულ საზომების ერთეულებს შორის არსებულ ურთიერთობის გამოყენებით ვლტებულობთ, რომ 2 თითი შეადგენდა გოჯს, 2 გოჯი—გოჯეულს, 2 გოჯეული შეადგენდა, საფიქრებელია, ტერფს.  $1\frac{1}{2}$  ტერფი, ბერძნული საზომების მაგალითის მიხედვით, მტკაველი უნდა ყოფილიყო. 2 მტკაველი იყო წყრთა, 2 წყრთა—ერთი ბიჯი<sup>1)</sup> ანუ ადლი. 2 ბიჯი ანუ ადლი შეადგენდა მხარს. ბერძნული სტადიონის შესატყვისად იგულისხმება უტევანი.

შედარება მანძილის ამ საზომებისა ქართულად და ბერძნულად ცხად ყოფს, რომ ბერძნები 2 მტკაველს თვლიდენ ერთ ნაბიჯად (ფეხად), მაშინ როდესაც ქართველებში 2 მტკაველი ერთი წყრთა იყო. ბერძნები კიდევ 2 ფეხს ერთ წყრთად ანგარიშობდენ, ქართველები ორ წყრთას ერთ ნაბიჯად ან ადლად. ამ ნაბიჯის, resp. ადლის შესატყვისი ერთეული ბერძნულში არ სჩანს. ხოლო საზომის ერთეული  $\pi\lambda\acute{\zeta}\mu\rho\sigma\varsigma$ , რომელიც  $16\frac{2}{3}$  ორგვია-ს (მხარს) შეიცავდა, ქართველებმა სრულებით არ იცოდენ. ყველაფერი ეს, ჩვენის აზრით, საკმაოდ ცხადად ხდის, რომ ქართული საზომის სისტემა კერძოდ მანძილის სფეროში საკმაოდ თავისებური ხასიათის იყო და საფიქრებელია თვალსაჩინოდ ადგილობრივი წარმოშობის უნდა ყოფილიყო. თავის თავად

1) აღსანიშნავია, რომ საბა ბიჯში სთვლის ხუთ ტერფს, მაშინ როდესაც აქ მოყვანილი ანგარიშით ბიჯში უნდა ყოფილიყო 6 ტერფი. ამ საკითხს კიდევ უნდა გამოიკვებო, შესაძლებელია მხოლოდ, რომ საბა ბიჯში 5 ტერფს სთვლიდეს ლათინური საზომების მიხედვით (რომაული passus უდრიდა 5 pes). საბა დაახლოვებული იყო კათოლიკე პატრებთან და ლათინურიც რამოდენადმე იცოდა.



იგულისხმება, რომ აქაც უძველეს ხანაშივე ადგილი ექნებოდა მეზო-  
ზელ ხალხების ზედგავლენას. კერძოდ ადლი-ს შემოღება სწორედ ასეთ  
ზედგავლენას (მართალია ახლო მონათესავე ტომისას) უნდა მიეწეროს,  
რადგანაც ტერმინი ადლი, თუ ეს სიტყვა მართლაც თავდაპირველად  
ხელის აღმნიშვნელი იყო, წმინდა ქართული არ უნდა იყოს, არამედ  
ერთ-ერთ იაფეტურ ტომისაგან ნასესხები. მაგრამ ყოველს შემთხვევაში  
თუნდაც მარტო ბერძნულ საზომთა სისტემასთან შედარებით—და ბერძ-  
ნულს სისტემას რასაკვირველია შეედლო, ბერძნების როლის გამო შა-  
ვის ზღვის სანაპიროებზე, თვალსაჩინო ზედგავლენის მოპოება ადგი-  
ლობრივ ცხოვრებაში ყოველს შემთხვევაში ქართულ მოდემის ზოგ  
ტომის ფარგლებში,—ცხადი ხდება მანძილის ძველი ქართულ საზომე-  
ბის წარმოშობის საკმაოდ დამოუკიდებელი ხასიათი.

როგორც ვხედავთ, სიგრძის უძველესი საზომები ქართულადაც,  
ისე როგორც ეს სხვა კულტურულ ხალხებში იყო, ადამიანის ტანის  
წაწილებიდან გამოდიოდა. ამიტომაც ადვილი გასაგებია, რომ ასეთი  
საზომები სრულს ერთგვარობას სიგრძის მხრივ მოკლებული იყე-  
ნენ არა მარტო სხვა და სხვა ხალხებს შორის, არამედ თვით ერთსა  
და იმავე ტომის ფარგლებში. სიგრძის ბერძნული (ატეკური) საზომე-  
ბის რაობა დეტალურად არის გამორკვეული, მაგრამ ქართველებში ამ  
საზომებს შესაძლებელია განსხვავებული მოცულობა ჰქონოდა. ბერძ-  
ნების დაქტილი (თითი) 0,0185 მეტრს უდრიდა, კონდვლოსი (გოჯი)—  
0,037 მეტრს და სხ. პეხუსი (წყრთა) 0,444 მეტრის ზომის იყო,  
ორგვია (მხარი) 1,774 მ., პლეთრონი—29,57 მ. და სტადიონი—  
177,4 მეტრის. რა ზომისა იყო უძველეს ხანაში მანძილის ქართული  
საზომები—ჯერჯერობით არა სჩანს. მე-18 საუკუნის ერთი ცნობის  
მიხედვით, რომელიც გვლდენ შტდეტს ეკუთვნის, ადლი როგორც ქართლ-  
კახეთში, ისე იმერეთში უდრიდა 3 ფუტს და 4 დვიმს, ანუ მეტრზე  
გადატანით 1,016 მეტრს (ამის შესახებ ამავე წიგნში, გვ. 174). ეს  
ცნობა რომ დაედვას საფუძვლად ერთეულების მოცულობის ანგარიშს,  
მაშინ მივიღებდით: თითი—0,0211 მეტრი, გოჯი—0,04225 მ., გო-  
ჯეული 0,0845 მ., ტეფი—0,159 მ., მტკაფელი—0,254 მ., წყრთა—  
0,508 მ., ბიჯი ანუ ადლი—1,016 მ., მხარი—2,032 მეტრი. ცალკე  
დვას საკითხი უტევანის შესახებ. როგორც მოვიხსენიეთ, უტევანი  
(და სომხურის საშუალებით მიღებული ასპარეზი) უძველეს მწერლობა-  
ში ბერძნულ სტადიონის მაგივრად იხმარება. მაგრამ იყო თუ არა უტე-  
ვანი ბერძნული სტადიონის ზომის, არა სჩანს. ვეფხისტყაოსანში მოხ-  
სენებული უტევანი თითქოს ბერძნულ სტადიონზე საკმაოდ ახლო უნდა  
ყოფილიყო. ტარიელი ხატაელთ რომ ეომება, მოციქულის უკან  
დებრუნების შემდეგ (ხატაელთ) „კვაძლი შექმნეს ლაშქართათვის

დამალული გაამქლავნეს, სამალავით გამოვიდეს“. მაშინ ტარიელი თავის თავზე ამბობს: „ერთსა წავსწვდი უტევანსა, წავგრძელდი და წავეგრძელად“ (ვეფხისტყა., ს. კაკაბ. გამ., § 420). უტევანი აქ ბერძნულ სტადიონზე თვალსაჩინოდ დაშორებულად არ უნდა იყოს საგულისხმებელი.

აქ ზედმეტი არ იქნება მოვიხსენიოთ ერთი ცნობა, რომელიც დაცული აქვს აგათის, როდესაც ის ამბობს ტელეფის-იდან (ლაზიკაში) გამოქცეულ რომაელთა ჯარის შესახებ. ამ ჯარმა გაიარა ერთს დღეში 5 ფარასანგი. „ხოლო ფარასანგი ჰეროდოტეს და ქსენოფონტეს სიტყვით, ამბობს აგათი, შეიცავს 30 სტადიონს. ეხლანდელი იბერიელები და სპარსელები კი ფარასანგს 21 სტადიონად სთვლიან. ასევე სთვლიან ლაზები, მხოლოდ ისინი ფარასანგს ეძახიონ შეჩერებას, შესვენებას (ἀναπαύση) და ჩემის აზრით სრულიად სამართლიანად, რადგანაც ტვირთის მზიდავნი ერთს ფარასანგს რომ გაივლიან, ცოტას შეისვენებენ, ერთმანეთის ტვირთს შეიცვლიან და გავლილ გზასაც ანგარიშობენ ამ შეცვლათა რაოდენობით“ (Agath. histor. II, 21). ეს საყურადღებო ცნობა ცხად ყოფს, რომ ლაზიკაში მე-ნ საუკუნეში მიღებული ყოფილა მანძილის საზომი 21 სტადიონის ზომის, სულ მაშასადამე 3725,4 მეტრის სიგრძის. დანამდვილებით ძნელია თქმა, თუ რა ერქვა ამ საზომს ადგილობრივ ენაზე. ლაზიკის იმ ნაწილში, რომლის რაიონში სწარმოებდა რომაელ და სპარსელ ჯარების ვადაჯგუფება მე-550 წლებში (არხაიოპოლისი—ციხე-გოჯის, ონოგურის—უნაგირის და ტელეფის-ის ხაზი), ამ დროს უკვე შეგროვული ენა უნდა ყოფილიყო გაბატონებული (ამის შესახებ ს. კაკაბ., ქართ. სახელმწიფ. გენეზ საკითხ., ს.-ო მ-ე I, 24 წ., გვ. 71). ყოველს შემთხვევაში საყურადღებოა, რომ საშუალო ქართულში არსებობდა ტერმინი ეჯი, რომელიც საბას სიტყვით (ლექსიკ., 98) 3 მილს უდრიდა. მილი საბათი (ლექს., 186) არის ათასი ბიჯი ან 2 ათ. წყრთა. გვლდენ შტედტით, წყრთა საგულისხმებელია 0,508 მეტრი, მილი მამასდა ე უთო ს 3048 მეტრს (ფრანგული მილი კი საბას დროს, მე-18 საუკ. დასაწყისში, უდრიდა 1944 მეტრს, რომის მილი ამავე დროს 1492,65 მეტრს). ეჯი მე-18 საუკ. დასაწყისში მაშასადამე ყოფილა, თუ საბა მილს ქართული საზომით ანგარიშობს, 9144 მეტრი, ანდა ფრანგული ანგარიშით 5832 მეტრი. ეჯი მოხსენებულია ვეფხ.-ტყაოსანშიც: „ვიარეთ არ ეჯი გზისა შორისა“ (ს. კაკაბ. გამ., § 443). ეჯი აქ უნდა ნიშნავდეს მანძილს და გზასაც. ეს სიტყვა უნდა იყო ნასესხები სომხურიდან, სადაც *խելանსი* ნიშნავს გაჩერებას, შეჩერებას. ეჯი მაშასადამე არსებითად უნდა იყოს მანძილის ის საზომი, რომელსაც აგათი იხსენიებს როგორ გამოითქმოდა. ეს საზომი აგათის დროს ლაზიკაში,

ქნელი სათქმელია. აღნიშნავთ მხოლოდ, რომ მეგრულში ჩვენთვის მოწოდებულ ცნობის მიხედვით ეხლაც იხმარება გინალ, გინალ-ლარა, რაც ნიშნავს ერთს გასარებ მანძილს, ერთს გადასვლას შემდეგ დასვენებამდის. ამ ტერმინის არსებობიდან სჩანს, რომ ეჯის შესატყვისი ტერმინი სიგრძის საზომის გამოსახატავად მე-ნ საუკუნეში ლაზიკაშიც მართლაც შესაძლებელია ყოფილიყო და შესაძლებელია ისიც, რომ შესაფერი ტერმინი მეგრული გინალა, გინალულარ-ის შესატყვისი თუ არა, ამ სიტყვასთან ახლა მდგარი უნდა ყოფილიყო.

როგორც დავინახეთ, ეჯი თუ გინალი, გინალულარი ან მათი შესატყვისი ადგილობრივი გამოთქმის საზომის ერთეული მე-ნ საუკუნეში იბერიაში და ლაზიკაში 3725,4 მეტრის სიგრძისა ყოფილა, საბას ანგარიშით კი 9144 მეტრი გამოდის. ამ ერთეულს მაშასადამე განუცდია საუკუნეთა სიგრძეზე თვალსაჩინო ცვლილება.

სიგრძის სხვა ერთეულთა ცვალებადობის შესახებ ცნობები ჯერჯერობით არ სჩანს. საფიქრებელია, ერთგვარი სხვადასხვაობა საზომებს შორის ცალკე მხარეებში, პუნქტუალობის მიდწევის შეუძლებლობი გამო, აუცილებელი იქნებოდა. საფიქრებელია ამასთანავე, რომ ცალკე ეპოქებში და ცალკე მხარეებში ადგილი ექნებოდა საზომების ერთეულების დაკავშირებას სხვა ქვეყნის საზომის ერთეულთან ზომის მხრივ. ფრიად საინტერესო მაგალითს ამისას ვხედავთ მე-19 საუკ. პირველ ნახევარში იმერეთში ქცევის შესახებ. 1805 წლის ერთი საბუთის მიხედვით ქცევა ლიხთ-იმერეთში ამ დროს შეიცავდა 30×30 მხარს (ს. კაკაბა, დას. საქართვ. საეკლ. საბ. II, 149). მხარი უდრიდა 2,032 მეტრს, ანუ რუსული ზომით 0,952 საე.. ქცევა ამის მიხედვით 1805 წ. ქვემო-იმერეთში იხსენიება 815,67 ოთხკუთხი საფენის სიგრძის. რუსების ბატონობის დამკვიდრების შემდეგ კი იმერეთში მოხდა წინანდელი ადგილობრივ ერთეულის მხარის დაკავშირება მასთან ახლო მდგარ რუსულ ერთეულთან — საფენთან. ამის გამო ქცევა მე-19 საუკ. პირველ ნახევარში ლიხთ-იმერეთს გარდაიქცა 30×30 საფენის სიგრძის მქონად. ამგვარად გაჩნდა ქცევა — 900 ოთხ. საე..

ქცევასთან დაკავშირებით აქვე შეიძლება მოგონებულ იქნას სიგრძის ძველი ერთეული აღმ. საქართ-ში დღისა (დღიური), საბუთებში მხოლოდ მე-13 ს-ნიდან დადასტურებული (ქრონიკ. II, 81, 115). მე-13 ს-შივე იხსენიება ქართლში მიწის საზომად გუთანი, რომელიც, როგორც სჩანს, დღისა ფარდი ყოფილა (იქვე, 151). დღიური და გუთანი, ცხადია, ერთი დღის სახნავ მიწას ნიშნავდა. შემდეგ საუკუნეებში გუთანი ამ მნიშვნელობით, როგორც დღიურის ექვივალენტი, არ იხსენიება.

უფრო მეტს ცვალებადობას და სხვადასხვაობას ვხედავთ ქართ-

ველი ტომების ისტორიულ ცხოვრების სიგრძეზე წონის ერთეულების-სფეროში. აქაც, მხოლოდ უფრო მეტი სიძლიერით, ვხედავთ წონის ერთეულების გენეზისის ორს წყაროს—ადგილობრივს და მეზობელ ქვეყნებიდან მომდინარე უცხო გავლენის ნაკადებს. ადგილობრივი საზომები დაკავშირებული იყო, წარმოშობის მხრივ მაინც, უმთავრესად ყოველდღაურ სახმარებელ ქურქლეობასთან, უცხო ტერმინები კიღვე შემოდიოდა ქართველა ტომების ეკონომიურ ცხოვრების განსაზღვრულ ორიენტაციის მიხედვით. მართლაც უკვე უძველეს ქართულ ლიტერატურულ ნაშთი (სახარება, დაბადება) ჩვენ ვპოვებთ წონის როგორც ადგილობრივი წარმოშობის, ისე აგრეთვე უცხოეთიდან მომდინარე ტერმინების დადასტურებას. ჩვენ შეძლების დავაარად შევხებით ორივე ხასიათის ტერმინებს და მათ განვითარებას, თუმცა აღსანიშნავია ამასთანავე, რომ უძველეს ხანის შესახებ, ეროვნულ ცხოვრების ჩამოყალიბებამდე და ტომობრივ განცალკევების დროს ადგილობრივი წარმოშობის ტერმინებზე ლაპარაკი მხოლოდ პარობით შეიძლება: ცალკე ხალხების და ტომების ურთიერთ შეჯვარდინების დროს, ხდებოდა საზომის ახალ აღმნიშვნელ ტერმინების შეთვისებაც.

ადგილობრივი წარმოშობის ტერმინთაგან ჯერ კიდევ მე-5—6 ს-ში ლიტერატურულად დადასტურებულია ტერმინი საწყაული, რომელიც ამ ფორმით იხსენიება სახარების როგორც სომხურიდან ნათარგმნ (ადიშ.), ისე ბერძნულთან შეთანხმებულ (ჯრუქ., პარხ. და სხ.) ტექსტში: „მუნ დგეს ჯაქუქნი მარმარილოჲსანი ექუსნი..., შთაისხის თითოეულმან მათგანმან ორ ანუ თუ სამი საწყაულ“ (ი-ნე 22<sup>6</sup>, ადიშ.)-საწყაული უნდა იყოს იგივე ტერმინი, რომელიც შემდგეს დროეზში იხსენიებთ საწყავის სახით ლიხთ-იმერეთში სწორედ ღვინის საზომად. საწყავი, მაგ., დადასტურებულია ღვინის საზომად ქუთაისის საყდრის დავთარში (1578 წ.), აგრეთვე ამ დავთრის უფრო ძველს ნაწილშიდაც, რომელიც დაახლ. მე-14 საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს (§ 457—518). საყურადღებოა, რომ საწყავი ლიხთ-იმერეთს (როგორც სჩანს, რაქაში) დადასტურებულია მე-18 საუკ. მეორე ნახევარშიც 1770 წლის შეწირულობის წიგნში იოსებ კათალიკოზისა (ს. კ აკაბ. დასავლ. საქართვ. საეკლ. საბ. II, 42). მაგრამ, როგორც სჩანს, საწყავი ამ დროს იმერეთში უკვე მხოლოდ სპორადიულად იხმარებოდა და ისიც ზოგიერთ კუთხეში. გვლდენშტედტი მას აღარ იხსენიებს: საზოგადო მიღებულ საზომად ის უკვე აღარ ითვლებოდა. მე-17 საუკ. დასაწყისს საწყავი დადასტურებულია ოდიშშიც (ჯგალის გამო-სავალი აფხ. საკათალ. დიდი დავთარში, 43). ამისდა მიხედვით ცხადია, რომ საწყავი დასავლ. საქართველოში მე-17—18 საუკუნემდის საყოველთაოდ მიღებული ყოფილა.



აღსანიშნავია, რომ საწყავე აღმ. საქართველოში დოკუმენტურად დადასტურებულად არა სჩანს, რაც შეიძლება შემთხვევით აიხსნებოდეს ანდა ამ ტერმინის აღმ. საქართველოში ადრე გაქრობით.

არსებითად საწყავე, თვით ტერმინი, სარწყაოს პირვანდელი წარმოშობის არის (სიტყვისაგან რწყვა), როგორც ტერმ. საწონი, წონა, საბუთებში იმერეთში მხოლოდ მე-16 ს-ში დადასტურებული ლომის საზომად (აფხაზ. საკათალიკ. დავთ., 6). როგორც ცნობილია, ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა სხვა ხალხებშიც—(მაგ., სომხ. ჩაფ—ზომა, არაბ. ქილა—ზომა, ახალ ხანებში გერმ. მაას, სხ.) შემდეგ ხანებში საწყავის ექვივალენტად სჩანს კოკა. წონა-ს ექვივალენტად, ყოველს შემთხვევაში იმერეთში მე-16 ს-ში, იგულისხმება გოდორი (ქვემოლ, 78).

მე-18 საუკუნესა, უკეთ ამ საუკუნის მეორე ნახევარში ეს საზომი თანდათან მნიშვნელობას კარგავს და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მას ადგილი აქვს მხოლოდ გურიაში. გურიაში საწყავე მე-19 საუკ. ნახევარში უდრდა 6 დოქს (Кавк. кал. 1859 г., 181).

ადგილობრივი წარმოშობის წონის და საწყაოს საზომებს შორის, რომელნიც უმთავრესად ქურჭლეულობის ტერმინებთან არიან დაკავშირებული, აღსანიშნავია:

ფოხალი, რომელსაც საბა ნახევარ კოდად განმარტავს. მეგრულში ფოხალი ნიშნავს ეხლაც ქურჭელს წყალისათვის (ი. ყიფშ. ლექსიკ., 338). ფოხალი იხმარებოდა პურის და ქერის საზომად, ქართლში (დასტურლავალი ვახტანგ მეფისა § 16, 101) და ლომის საზომად იმერეთში (ქუთაისის დავთარი 1578 წ. § 175—177), ხოლო ოდიშში ღვინის საზომად (აფხ. საკათალ. გამოსავლის დავთ., 19, 24—27 და სხ., საცაიშლო გამოსავალ. დავთ., 6 და შემდეგი გვერდები). რადგანაც მეგრულში ფოხალი წყალის ქურჭელს ნიშნავს, ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს ტერმინი ძლიერ ძველი უნდა იყოს, თავისი პირვანდელი მნიშვნელობასთან დაკავშირებით ოდიშში ღვინის საზომად მე-17 საუკუნეშიდაც ხმარებული. ქართულად მოლაპარაკე ტომებში კი ამ ტერმინს მიუღია პურეულობის საზომის ერთეულის მნიშვნელობა.

ფოხალი მარცვლეულობის საზომის ერთეულად შიდა-ქართლში ნახევარი კოდის ექვივალენტად ეხლაც იხმარება.

აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკ. ნახევარში ფოხალი ხმარებაში იყო რაქაში და უდრდა 50 ოყას, ანუ 16 ფუფს 62 მისხ. 92 დოლიას (Кавк. кал. 1859 г.). რამდენადაც ვიცით, ფოხალი ზემო-რაქაში ეხლაც იხმარება.

ფოხალი იყო ფრიად მნიშვნელოვანი ერთეული, რომლისაგან, როგორც სჩანს, წარმოებდა ჰოულობდა ზოგი შექადგენელი ერთეულიც.

ფოხალის ნახევარს ეწოდებოდა გვერდი. გვერდი ეხლანდელ მეგრულშიც გარკვევით ნიშნავს ნახევარს. აღსანიშნავია, რომ მე-5—6 საუკ. სახარების ქართულ ვერსიებში ნახევარის მნიშვნელობით იხმარება ზოგი (მარკ. 6<sub>23</sub>, ლუკ. 19<sub>8</sub>, იოან. 7<sub>14</sub>), რომელი სიტყვაც უკავშირდება სვანურ ისგ-ს (ამის შესახებ ს. კაკაბ., საისტ. ძიებ., 30—31). გვერდი, როგორც საზომის ერთეული, თუ არ ვცდებით, მეგრულ ნიადაგზე წარმომდგარი უნდა იყოს. საბა გვერდს სთვლის კოკის ნაოთხალად, ხოლო ფოხალს კოდის ნახევრად (ლექსიკ., 145). კოკა და კოდი ორივე საშუალოდ მისივე სიტყვით 10 ლიტრას უდრიდა. მაშასადამე არსებითად კოკა და კოდი ერთი და იგივე მოცულობის ერთეული იყო, პირველი მხოლოდ ღვინისთვის და მეორე მარცვლეულისათვის. საბამ გვერდი იცოდა უკვე მხოლოდ ღვინის და საზოგადოდ სითხის საზომად, მაშინ როდესაც ფოხალი მას მხოლოდ მარცვლეულობის საზომად აქვს მოხსენებული. ასე იყო მდგომარეობა ქართლში საბას დროს. უფრო წინად, ჯერ კიდევ მე-15 საუკ. მეორე ნახევარში, გვერდს ჩვენ ვხედავთ არაგვის ხეობაში როგორც ღვინის, ისე მარცვლეულობის საზომად. ბოდორნის გუჯარში 1474 წ. მოხსენებულია „კაბიწ-გუერდი ჰური და კოკა-გუერდი ღვინო“ (ქრონიკ., II, 292). შეიძლება ამის მიხედვით ვიფიქროთ, რომ გვერდი საზომის ერთეულად იხმარებოდა აღმოს. საქარიაველოში თვით საშუალო საუკუნეებში და კერძოდ ღვინის საზომად მე-18 საუკ. დასაწყისამდის.

რადგანაც გვერდი კოკის ნაოთხალად იხსენიება, მაშასადამე ის საგულისხმებელი უნდა ყოფილიყო კოდის ნაოთხალადაც<sup>1)</sup>. კოდში კიდევ საბათი 2 ფოხალია, ფოხალში მაშასადამე გამოდის 2 გვერდი, უკეთ—გვერდი მართლაც არის ფოხალის ნახევარი.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ გვერდი საზომის ერთეულის ტერმინად დადასტურებულია დაბადებაშიც. აქ გვერდი იხსენიება ღვინის საზომად (რიცხვ. 15<sub>5</sub>) და უდრის ებრაულს გინ-ს. ებრაული გინი კიდევ უდრიდა 12 ეხლანდელს ჩვეულებრივს ქიქას (Архим. Никифор, Библ. энциклоп., Моск. 1891 г., стр. 154). ამისდა მიხედვით წონაზე გადატანით გინი დაახლოვებით 6 რუს. გირვანქის წონის გამოდის. გვერდიც უძველეს ხანაში, დაბადების თარგმანის ეპოქაში, დაახლოვებით ამავე წონის არის საგულისხმებელი. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ სანამდის დაბადების ქართული ტექსტების ვერსიები ჯეროვნად გამოკვლეული არ არის, ძნელია პირწმინდად ამ

<sup>1)</sup> აღსანიშნავია, რომ რაქაში მე-19 საუკ. ნახევარში იხსენიება კოდში 4 ნაოთხალი და 8 ფოხალი (Кавк. кав. 1859 г.). თუ ეს ცნობა მართალია, გამოდის, რომ რაქაში სხვა და სხვა კუთხის ერთეულების შერევასთან უნდა გვექონდეს საქმე.

ჩვენს საკითხში დაც დაბადებაზე დაყრდნობა. ჯერჯერობით ჩვენ უნდა დავემყაროთ დაბადების ბეჭდვით ცნობილ ქართულ ტექსტს.

თუ ამგვარად ძველს ხანაში, დაახლ. მე-5—6 საუკუნეში, გვერდი მართლაც 6 გირვანქის ზომის იყო, მაშინ შესადარებლად შეიძლება მოყვანილ იქმნას საბას ცნობა, რომლის მიხედვით კოკა უდრიდა ათს ახალს ლიტრას (იგულისხმება 20 თუხტიანი ლიტრა, თუხტში კიდევ  $33\frac{1}{2}$  მისხალი იყო) ანუ 6,7 ათ. მისხ., ხოლო გვერდი, როგორც კოკის  $\frac{1}{4}$ , იქნებოდა 1675 მისხლის ექვივალენტი. 1675 მისხ. უდრის 17,45 რუს. გირვანქას. გვერდის წონა ამ ანგარიშის მიხედვით დაახლოვებით ათასი წლის სიგრძეზე გადიდებულია 2,8—3 ჯერ. საყურადღებოა, რომ რაქაშიც მე-19 საუკ. ნახევარში ფოხალი, მარცვლეულობის წონის ერთეულად ნახსენები, იწონიდა 16 გირ. 62 მისხ. და 92 დოლიას გ. ი. თითქმის იმდენს, რამდენიც ნაჩვენები აქვს საბას.

გვერდის შესატყვისი უნდა იყოს ტერმინი ოგორ დულო, იხსენიება ლომის საზომად საცაიშლო გამოსავლის დავთარში.

უძველესი ხანის წარმოშობის უნდა იყოს აგრეთვე ქურქლების ტერმინებიდან წარმომდგარი, ერთეულები, მაგალითად ატარი, ატარი იხსენიება მე-17 საუკ. პირველ ნახევარს ოდიშში (საცაიშლო დავთ., 31, 36 და სხ.). ატარი მეგრულად ხის ჯამს ნიშნავს. ეს არის მაშასადამე შეგროვილი ტერმინი.

ქურქელის სახელწოდებიდან არის აგრეთვე სპარსულიდან შემოღებული ტერმინი ჯამი. საბა განმარტავს, რომ „ჯამი არის ქურქელი ნოტიოთა—ბადია, ლოდა, ლოდაკი, უსკურა, ფილჯამი, პინაკი და მისთანანი“ (ლექსიკ., 391). როგორც წონის ერთეული, ჯამი, მაგ., იხსენიება მარცვლეულობის (ლობიოს და პურის) საზომად აფხაზეთის საკათალ. დიდ დავთარში, იმერეთს (ჯიმისტაროს გამოსავალში, გვ. 9—10) და ოდიშში (ხიბულას, ნაქანეულის, ხოირის, ჯგალის გამოსავალში და სხ.). ჯამი არის სპარსული სიტყვა جام სასპისის მნიშვნელობით, ცხადია მაშასადამე, რომ თავდაპირველად ჯამი ქართულში ღვინის საზომად იქნებოდა შემოღებული. რკონის სიგელი 1259 წ. ადასტურებს ქართლში ღვინის საზომის ერთ ერთეულად ქიქას: „საზომი ღვინო[ისა] და ფქუილისა ანუ სეფისკუერისა და ქიქათა, კოკაი და კაბიწი ყუელაი გამოწყული იყოს“, სწვრს. რკონის სიგელში კანა თორელი (ქრანკ. II, 137). აქვე იხსენიება „დიდროანი მოხეულურ ქიქაი“ (გვ. 135), რომელიც ჩვეულებრივ ქიქაისაგან ალბად განსხვავდებოდა. ქიქა-ს პირდაპირ შესატყვისს წარმოადგენს ჯამი. ჯამი ღვინის ქურქელის მნიშვნელობით იხსენიება კარის გარიგებაში (მე-13—14 საუკ.): „რაზედა სამი ჯამი მეფესა (დაბეჭდ.: მეფისა) წინა დაუდგან, ექვსი ჯამი მათ წინა (მოძღვართ-მოძღვრისა, ქართლისა

და აფხაზეთისა კათოლიკოზთა, ქყონდიფელის წინა) დადგან. აქათ დარბაზსაც სდგამდენ, მწლე განაღამცა თჳოც აღგა“ (ე. თაყაიშვ. გამ., 12, შეად. კიდევ იქვე, გვ. 17). ვეფხვის-ტყაოსანში ჯამი და ქიქა ერთმანერთთან ახლოს ზომის არის სავეჯლისხმებელი: „შეიქნა სპა და პურობა მსგავსი მათისა ძალისა, ჯამი და ქიქა ყოველი ფეროზისა და ლალისა“ (ს. კაკაბ. გამ., § 449); „იაგუნდისა ჯამები იყუს, ლალისა ქიქები“ (იქვე, § 1500). ამისდამიხედვით უძველეს ქართულ ტერმინად გვეხატება ქიქა, რომელიც ლიტერატურულად დადასტურებულია ჯერ კიდევ შუაშანიკის ც.ბაში. ქიქა-ს ფარდია სპარსულიდან შემოსული ჯამი. ვ.-ტყაოსანის ავტორი უკვე რამოდენადმე განასხვავებს ერთმანერთისაგან ქიქას და ჯამს.

საზოგადოდ ჯამის შესატყვის ქურქელიდან ქართველებში საზომის კიდევ რამოდენიმე ერთეული იყო შემოტანილი. მაგ., თევეში, პურის საზომად დადასტურებული ოდიშს 1628 წ. („მართებს ერთი თევში პური“-ო; დას. საქ. საეკლ საბ. I, 41). თევეში არაბული სიტყვაა, რომელიც სპარსულშიც ცნობილია და ოსმალურშიც (طبی، طبی) თევეში ქურქელის სახელად საყოველთაოდ ცნობილია ქართულში.

ასევე შეიძლება ითქვას ჩანახის შესახებ. ჩანახი თურქული სიტყვაა چانچ, რომელიც თეფშს, ჯამს ნიშნავს და საზომის ერთეულად გავრცელებული იყო და არის ქართლში. ის, მაგ., მოხსენებულია ვახტ. დასტურლაშალში, გვ. 46. საბათი ჩანახი უდრის მოდს, მოდი კიდევ მისი სიტყვით შეიცავდა 22 ქსესტს, ქსესტი = 2<sup>1</sup>/<sub>2</sub> ძველი ლიტრას (ლექსიკ. 358, 192, 330), ჩანახში საბა მაშასადამე 55 ძველს ლიტრას სთვლიდა. ლიხთ-იმერეთს ჩანახი დადასტურებულად არ სჩანს. ეს ტერმინი პირდაპირ ქართლში უნდა იყოს შემოსული თურქულ ტომებისაგან შესაძლებელია შორს წინა-საუკუნეებშიც. ჩანახი ქართლში დაკავშირებულია ადგილობრივ ერთეულებთან, წარმოადგენს კასრის 1<sup>1</sup>/<sub>2</sub>-სა და კოდის 1<sup>1</sup>/<sub>8</sub>-ს.

ანალოგიურ წარმოების იყო პინა, ბერძნულიდან შეთვი-სებული ტერმინი, თავდაპირველად თეფშის აღმნიშვნელი, რომელიც მე-18 ს-ში ქართლში 2 ლიტრას უდრიდა (ამაზე ქვემ., 77).

ოდიშში მე-17 საუკ. დასაწყისის იხსენიება ტერმინი ლიჯი-ც, როგორც მარცვლეულობის წონის ერთეული. ამდენი და ამდენი ლიჯი ლომი იხსენიება ბერს ადგილას საკათალიკოზო და საზოგადოდ საეკლესიო სოფლების გამოსავალში ოდიშს (აფხაზ. საკააალ. დიდი დავთ., საცაიშლო გამოსავალ. დავთ.). ლიჯი-ს წარმოშობა არ სჩანს, მაგრამ შესაძლებელია ის იყოს წარმოებული ვერული სიტყვიდან ლინჯი (სპილენძი). მაშინ მივიღებდით თვით ამ ტერმინის წარმოშობას სპილენძის ქურქელისაგან. აღსანიშნავია ამასთანავე საცაიშლო დავთარში ამ ტერმინის მეორე ვარიანტიც—ლიჯიბი (გვ. 45). შეიძლება ლიჯიბი იყოს ლიჯის მრავალ. რიცხვი ლიჯების მაგივრად.



ამგვარად ჩვენ ვღებულობთ არსებითად ერთი და იმავე ხასიათის ქურქლეულობისაგან წარმომდგარ სხვადასხვა ტერმინს: ჯამი, ატარი (ხის ქურქლეულობისაგან) და ამათან ერთად ლიჯი (სპრინგის ქურქელისაგან). ოდიშში მე-17 საუკ. დასაწყისში საგამოსავლო დავთრების მიხედვით: იხსენიება ერთსა და იმავე დროს სამი უკანასკნელი ტერმინი—ჯამი, ატარი და ლიჯი, პირველი—შემოტანილი ალბად იმერეთის შუაგობით და უკანასკნელი ორი—ადგილობრივი წარმოშობის. რეალურად მათ შორის თვალსაჩინო განსხვავება იყო განმტკიცებული და ისინი უკვე სხვადასხვა წონის ერთეულებად იხმარებოდნენ. ჯგალის გამოსაღების ღომის ჯუმალი საცაიშლო დავთარში ნაჩვენებია 140 ლიჯი ღომი, კომლეულად კიდევ ღომის გამოსაღები ნაჩვენებია კომლზე 6—12 ჯამი და სულ 54 ჯამი (გვ. 42—45). 54 ჯამი ამგვარად 140 ლიჯს უდრის, აქედან ჯამი = 2,6 ლიჯს. მეორე ანგარიშით ქალაის სასახლის კაცების ერთი ნაწილის გამოსაღები იმავე საცაიშლო დავთარში ნაჩვენებია 90 ლიჯი ღომი, კომლეულად კი მოხსენებულია სულ 55 ლიჯი და კიდევ 15 ჯამი ღომი (გვ. 38—40). 55 ლიჯი მაშასადამე უდრის 15 ჯამს, აქედან ჯამი = 2,3 ლიჯს. როგორც სჩანს, ჯამი და შესაძლებელია ლიჯიც სხვადასხვა კუთხეში საგულისხმებელია ოდნავ განსხვავებით მიიღეს.

ატარის ურთიერთობა ლიჯთან სჩანს შემდეგიდან: ქალაის ღომის გამოსაღების ჯუმალი ნაანგარიშევი 110 ლიჯი ღომი (საცაიშ. დავთ., 45). გლეხების ზემოდმოხსენებულის ერთის ნაწილის გამოსაღების გამოკლებით (90 ლიჯი) ვღებულობთ ნარჩომს—20 ლიჯს. კომლობრივად ეს 20 ლიჯი აღრიცხულია როგორც 66 ატარი. ლიჯი მაშასადამე შეადგენდა 3,3 ატარს.

ამგვარად ჯამი ოდიშში მე-17 საუკ. პირველ ნახევარში = 2,3—2,6 ლიჯს, ლიჯი კიდევ 3,3 ატარს უდრიდა.

ჯამის ზომის შესახებ ჩვენ გვაქვს ერთი ცნობა, დაცული ქუთ. საყდრის დავთარში 1578 წლ., სადაც მოხსენებულია „საწყავი ხუთი თოთხმეტ ჯამ შემავალი“ (§ 301). საწყავი გურიაში მე-19 ს-ნის ნახევარში 6 დოქს შეიცავდა (კავკ. კალ.). გვლდენშტედტით კოკა აგრეთვე 6 დოქს შეიცავდა (Reisen I, 393). მაშასადამე საწყავი და კოკა ერთის ზომისა ყოფილა. ქუთაისის საყდრ. დავთრიდან (1578 წლისა) სჩანს, რომ ქვემო-იმერეთში იმ დროს კოკა ჩვეულებრივ 9 ლიტრანი იხმარებოდა. ერთს ადგილას დავთარში პირდაპირ სწერია: „ღვწო ვისაც გუერდს არ უწერია, ცხრიანი კოკა მართებს“ (§ 108). დავთარში იხსენიება ხშირად „რვიანი“ კოკა (§ 73, 91, 100, 101 და სხ.), არის აგრეთვე „თორმეტისანი“ კოკაც (§ 41, 44 და სხ.). რომ კოკის შემადგენელ ნაწილად აქ ლიტრა იგულისხმება, ეს სჩანს იმერეთის მე-

ფის გიორგის 1573 წ. საბუთიდან, სადაც მოხსენებულია კოკა „რვიანითა ლიტრითა“ (დას. საქ. საეკლ. საბ. I, 30). აქვეარად იმერეთში ამ დროს კოკა შეიძლება ნაანგარიშევი იქნას 8—12 ლიტრიანი, უფრო მიახლოებებით—9 ლიტრასთან. ამისდა მიხედვით—ჯამი იქნებოდა, სათანადო ანგარიშის გაკეთებით, 3,2 ლიტრის ზომის. ლიჯი ამის მიხედვით იქნებოდა დაახლ. 1,3 ლიტრის ზომის და ატარი 0,4 ლიტრისა.

ადგილობრივივე წარმოშობის უნდა იყოს სპეციალურად ოდიშისათვის წონის საზომი სამადგანი, რომელიც იხსენიება საცაიშლოს დაეთარში. სახელდობრ წყარიგზურის მებეგრეთა გარდასახადი ღომის ნაჩვენებია 41 სამადგანი, ხოლო თვით კომლობრივად ღომის გარდასახადი ნაჩვენებია 101 ლიჯი და 7 ქილა. ქილა გურიაში მე-19 საუკ. ნახევარში უდრიდა 2 ბათმანს ანუ 24 ლოდარიკონს ანუ 48 ქსანს (Кавк. кал. 1859 г.). სამწუხაროდ ქილასა და ლიჯს შორის ურთიერთობის გამოსარკვევად ცნობები არ მოიპოვება, ასე რომ სამადგანის ზომის საკითხიც ჯერჯერობით ღიად უნდა დარჩეს.

ადგილობრივი წარმოშობისა არის აგრეთვე ტერმინი კვახი, რომელიც ღომის საზომად დადასტურებულია ხონის საეკლესიო ყმების გამოსავლის ნუსხაში, რომელიც 1760 წლის ახლოს უნდა იყოს შედგენილი (ს. ვაკაბ., დას. საქ. საეკლ. საბ. II, 127—133<sup>1</sup>).

კვახის ზომა არა სჩანს (კომლზე დადებული იყო გარდასახადი 2—10 კვახი ღომი). საზოგადოთ ხონის ეპარქიაში 18 საუკ. მეორე ნახევარში ღომის საზომად კვახი იხსენიება. 1782 წლის ერთი საბუთიდან, მაგ., სჩანს, რომ სამწყსოდ მთავარეპისკოპოსის სასარგებლოდ მათხონჯს, საწულუკიძოს, ნახახულვეერს და კონტოეთს მესამე წელიწადს კომლზე თითო კვახი (ტექსტში შეცდომით დაბეჭდილია კეხი) ღომი იკრიბებოდა (დას. საქ. საეკლ. საბ. II, 77).

კვახი, ექვს გარეშეა, არის საზომის ძლიერ ძველი ტერმინი, წარმოებული პირველყოფილ ქურქელ კვახისაგან. აღსანიშნავია, რომ ეს მცნება საფუძვლად დაედო წინა-აზიას. სხვადასხვა ხალხების საზო-

<sup>1</sup>) თარიღი ამ ნუსხისა გამოცემაში ნაჩვენებია დაახლოვებით 1790—1803 წ.; მაგრამ ნამდვილად კი ნუსხები უფრო ძველი უნდა იყოს. კერძოდ ღომის გამოსავლის ნუსხაში მოხსენებული დათუნა ბატაძე (გვ. 129<sup>27</sup>) ნაჩვენებია ამავე წიგნში დაბეჭდილ 1764 წ. საბუთში, დავითელა კანტურიშვილი და ნასყიდა კანტურიშვილი (გვ. 130<sup>15,17</sup>) მოხსენებული არიან 1750 წლ. ახლ. დროინდელ და 1755 წ. საბუთში (იქვე, გვ. 8 და 12. უკანასკნელ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ ამ საბუთის—წულუკიძეების საფიცრის—თარიღიც 1760 წლისა შესწორებას თხოულობს, უნდა იყოს 1750 წლ. ახლ. დროის, ყოველს შემთხვევაში 1755 წელზე ადრინდელი ხანის, შეად. იქვე მამუკა ბატონიშვილის საბუთი გვ. 8).

მების ზოგიერთ ტერმინებს, ისე რომ ამ ტერმინთაგან ზოგს შემდეგ ჩვენ ვხედავთ ქართველ ტომებში შემოსულს უკვე უცხო საზომის სახით. ასეთია, მაგალითად, ტერმინი კოდი, ქართველებში ფრიად კარგად გავრცელებული საზომის ტერმინი, რომელიც არსებითად წარმოებულია ძველი სპარსულ შესატყვის ტერმინისაგან, რომელიც კვახს აღნიშნავდა (ახალ-სპ. واک). ტერმინი კედუ, პირველი მნიშვნელობით კვახი, ჰეორეთი — სითბისთვის განკუთვნილი ჭურჭელი (ჯამი), შემდეგ გადაიქცა საზომის ერთეულად. სომხებში კოდი იხმარებოდა მარცვლეულობის საზომად. ამავე სახით ის შემოვიდა ქართველებშიც (შეად. ძველი რუსული кадыя, რომელიც მ2 ჩეტვერიკს შეიცავდა). კოდი ქართულად საბუთებში გვხვდება მხოლოდ მე-15 საუკუნიდან. პირველად ის ჯერჯერობით ცნობილია 1459 წ. შედგენილ სამთავნელის სარგოს და საკანონოს წიგნის მიხედვით, რომლის 1673 წ. გადაწერილ პირმა მოაღწია ჩვენამდის (ქრონიკ. II, 275). შემდეგ კოდი ხშირად იხსენიება საყოველთაოდ საქართველოში — ამერეთს და ლიხთ-იმერეთსაც, იმერეთში პირველად 1540 წლ. ახალ დროის ერთს საბუთში (დას. საქ. საეკლ. საბ. I, 12), კერძოდ აღმოს. საქართველოში მე-17 და მე-18 საუკ., როგორც მარცვლეულობის მთავარი საზომი. მაგრამ შესაძლებელია, რომ კოდი მე-15 საუკუნეზე ადრე ყოფილიყო საქართველოში შემოტანილი, თუმცა მისი როგორც საზომის ერთეულის გაბატონება მე-15 ს. დიდად არ წინაუსწრებდეს. უფრო საფიქრებელია კოდის საქართველოში გაბატონების დაწყება მე-14 საუკუნის დასაწყისიდან, ყაზან-ყენის მიერ 1301 წ. ფინანსიურ და ეკონომიურ ცხოვრებაში შეტანილ ძირითად რეფორმათა შემდეგ, რომელთაც საქართველოზედაც იქონიეს გავლენა.

კოდთან ერთად მხოლოდ უფრო ძველი წარმოშობის და ძველისავე ხანაში ქართველ ტომებში გავრცელების მქონედ, უნდა აღინიშნოს კაბიწი, რომელიც მარცვლეულობის საზომად იხმარებოდა. კაბიწი ქართულად დადასტურებულია ჯერ კიდევ დაბადების ტექსტში (ეზეკ. 45<sub>11</sub>). აქ სახელდობრ კაბიწი მოხსენებულია ებრაულ საზომის ბატის ექვივალენტად. ებრაული ბატი კი წარმოადგენდა სითხეულობის საზომს. დაბადება გადმოგვცემს (ეზეკ. 45<sub>11</sub>), რომ ბატი იმავე ზომის იყო როგორც ვფი, მარცვლეულობის საზომი, რომელსაც 16 რუს. გირვანქის წონისად ანგარიშობენ (Архим. Никифор, Библия, 541) შემდეგ საუკუნეებში კაბიწი იყო საქართველოში ფრიად გავრცელებული საზომის ერთეული სვეციალურად მარცვლეულობისათვის. სანიმუშოდ შეიძლება დასახელებული იქნას ნიკორწმინდის სიგელი მე-11 საუკ., რკონის სიგელი 1259 წ. ახლო დას. ქართლ-კახეთში კაბიწი გარკვევით იხსენიება მე-15 — 16 ს.

საბუთებში (ისტ. საბ. II, 30, 33, III, 24, 40, 81; აგრეთვე ქრონიკ. II, 292, 333 და სხვ.). კაბიწი იხსენიება ვახტანგ მეფის დასტურლამალშიც (პ. უმიკაშვი. გამ., 31, 77, 99). კაბიწი აპყვარად ქართლში იხმარება თვით მე-18 საუკ. დასაწყისამდის. შემდეგ მისი ხმარება სუსტდება.

დას. საქართველოში კაბიწი მე-16 ს-ნის დასასრულს დადასტურებულია პურისთვის ლეჩხუმში (საცაგერლ. გამოს. დავთ., 3). ზემო-რაქაში და სვანეთში საზომის ეს ტერმინი ეხლაც არის დაცული და უდრის ერთს ფახალს (ე. გაბლიანი—ძველი და ახალი სვანეთი, 57).

კაბიწი არის სემიტური წარმოშობის ტერმინი, რომელიც საზომის ურთულად მიღებული იყო ძველს ასურელებსა, ზბრაელებში და არაბებშიაც. არაბები მას ეძახდნენ كفت — კაფიზ-ს. ხოსრო ანოშირვანის დროს (531—578) კაფიზი სპარსეთში ჩვეულებრივი საზომი იყო, 8 ლიტრას შეიცავდა (Kremer, Kulturgesch. d. Or. I, 260). ეს ტერმინი უნდა იყოს წარმოებული სიტყვისაგან კალათი (არაბ. قفص). კალათი, როგორც საზომის ერთეული, იხმარებოდა ქართველებშიც ალბად უძველეს დროიდანვე (ზემოდ, 60). ძველობრივ ის დადასტურებულია ხონის გამოსავლის და აფხაზეთის საკათალიკოზო დავთრებში (გვ. 9; მეორე ტექსტ., გვ. 12—14 „ერთი კალათი მჭადი“, „ერთი კალათი ლომი“). აქ ჩვენ გვაქვს მაშასადამე ერთი და იმავე წარმოშობის ადგილობრივი და უცხო ტერმინის ერთად შეთავსების ფაქტი. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ტერმინს კაბიწი ქართველებში მოკლებული ჰქონდა ფრიად ფართო გავრცელება და საშუალო საუკუნეებში ის ითვლებოდა მარცვლეულობის ერთ-ერთ მთავარ ოფიციალურ და იმავე დროს სახალხო საზომად. ის გარემოება, რომ კაბიწის სახელის მატარებელი ტერმინი ცნობილი იყო წინა-აზიის ხალხებშიც (სპარსელების და არაბების-გარდა ეს ტერმინი ეცოდნენ სომხებმაც კაბიტის სახელით), ცხად ყოფს, რომ კაბიწის ტერმინის მკვიდრად შემოღება და მისი გამძლეობაც უნდა აიხსნას ქართველ ტომების მკვიდრო ეკონომიურ ურთიერთობით წინა-აზიასთან ძველს ხანაშივე.

რკონის სიგელის მიხედვით საგულისხმებელია, რომ მე-13 საუკ. ნახევარში ქართლში კაბიწი მარცვლეულობის დაახლოვებით ისეთივე საზომი იყო, როგორც კოკა სითხისთვის: „კოკაი და კაბიწი ყოველი გამოწყული იყოს და ეგრე წაიგებოდეს“-ო (ქრონიკ. II, 137). კოკა ამ ხანებში შიდა-ქართლში რკონის სიგელისავე მიხედვით 24 ლიტრიანი იგულისხმებოდა (ლიტრა ამ დროს ხალხური საზომით 50 მისხლის ოდენობის უნდა ყოფილიყო, ამაზე ზემოდ, ს. კაკაბ., ფულის გაძვირების და გაიაფების საკითხისთვის საქართვ. მე-13—17 საუკ., 41). თუ კაბიწი მარცვლეულობისთვის დაახლოვებით სითხის საზომის ერთეულის კოკის შესატყვისი იყო (როგორც შემდეგ განახვთ, კოკა და



კრდი საზოგადოდ დაახლოვებით ერთნაირი რაოდენობის ლიტრას შეი-  
ცავდნენ), მაშინ მივიღებდით კაბიწსაც მე-13 საუკ. ნახევარში შიდა-  
ქართლში 24 ლიტრის მოცულობისად.

ქართლის მეფის დავითის 1524 წლის სიგელში მოხსენებულია  
„თხუთმეტი კაბიწი ჰური ათიანით ლიტრითა“ (ისტ. საბ. II, 33),  
მაგრამ ამ უკანასკნელ ცნობას განმარტება ესაჭიროება. იმავე დავით  
მეფის დროს ქვათახევის 1520 წლის სიგელში მოხსენებულია: „მოიღებ-  
დეს (შეწირული გლეხი) ქვათახევეს ოთხასსა ჰურსა ერთსა კაბიწისა ნამ-  
ცხუარსა, ასრე რომე თითო ჰური თითო გორული ჩარეკი იყოს“  
(ისტ. საბ. II, 30 და ქრონიკ II, 34). რადვანაც კაბიწიან ნამცხვარი-  
დან 400 გორული ჩარეკი ჰური გამოდიოდა, ხოლო ლიტრაში 4 ჩა-  
რეკი ითვლებოდა, გორული ლიტრა კიდევ ამ დროს 400 შუტყალს  
იწონიდა, მივიღებთ, გათვალისწინებით იმ ფაქტის, რომ ქართული ჰური  
ცხოებაში ერთ მეოთხედს მატულობს, კაბიწის ოდენობას 80 ლიტ-  
რას. საბათი კაბიწი არის „სამი კოდი გინა სამი გრიფი, სადამე ათს  
კოდს კაბიწად იტყვიან“ (ლექსიკ., 138). კოდს საბა ორთაშუარიცხვით  
10 ლიტრას ანგარიშობს, გამოდის მაშასადამე, რომ 1520 წლის ქვა-  
თახევის სიგელში მოხსენებული კაბიწი შესაძლებელია რვა (ათ ლიტ-  
რიანი) კოდის მოცულობის ყოფილიყო. ამისდა მიხედვით 1524 წ. და-  
ვით მეფის სიგელში მოხსენებული კაბიწი ჰური „ათიანითა ლიტრითა“  
უნდა გაგებულ იქმნას კაბიწის შემადგენელ ერთეულის კოდის ოდე-  
ნობის მაჩვენებლად, ე. ი. რომ კაბიწის შემადგენელი ერთეული კოდი  
ათ ლიტრიანად იყო საგულისხმებელი.

ზემოხსენებულის მიხედვით ჩვენ ვღებულობთ ზოგიერთ დასკვნას.  
მე-5—6 საუკ. ახლო ხანებში ქართლში ხპარებული კაბიწი შესაძლებელია  
იყო დაახლოვებით 16 გირვანქის წონის. მე-13 საუკ. ნახე-  
ვარში შიდა-ქართლში ხპარებული კაბიწი შეიძლება ვიგულისხმოთ  
24 ლიტრიანად, ოითო ლიტრაზე 50 მისხალის ანგარიშით—1200 მი-  
სხალის წონის. მე-14—15 საუკუნეიდან კაბიწი, როგორც სჩანს, ძლიერ  
გაღიძვრებულა ალბად კოდის ერთეულის საყოველთაოდ შემოდების გამო.  
ყოველს შემთხვევაში მე-16 საუკ. პირველ ნახევარში, როგორც ვნა-  
ხეთ, კაბიწი შიდა-ქართლში საგულისხმებელია 66,6—70 ლიტრის  
მოცულობის, —ლიტრაზე ამ დროს 400 მისხალის ანგარიშით, 26.6—28  
ათ. მისხლის წონის. ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ მე-14—15 საუკუ-  
ნეში კაბიწი კერძოდ ქართლში თანდათან იზრდებოდა. აღსანიშნავია,  
რომ კაბიწის ასეთი თვალსაჩინო ზრდა შეიძლება დადასტურდეს მხო-  
ლოდ აშერეთში (ქართლში). ზემო-რაქაში (და სვანეთშიც) ეხლაც დარ-  
ჩენილია საზომი კაბიწი ფოხალის ოდენა (ზემოდ. გვ. 67), ფოხალი  
კიდევ რაქაში მე-19 საუკ. ნახევარში იწონიდა 1599 მისხალს.

მე-16 საუკუნიდან კაბიწის ცვალებადობა ქართლში შეიძლება წარმოდგენილი იქნას საბას ცნობის მიხედვით. საბა კაბიწში სამ კოდს სთვლიდა, მაგრამ ადგილ-ადგილ ათ კოდამდის აღწევს. აქედან სათანადო ანგარიშით კაბიწი საბას დროს იგულისხმება 20,1 ათ. მისხ., ზოგ ადგილში კიდევ 67 ათ. მისხლისა. ამისდა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ კაბიწს ქართლში მე-16 — 17 საუკ. სიგრძეზე კიდევ ახალი მატება განუცდია.

კაბიწზე მოზრდილი ერთეული იყო კრივი. კრივი, ამავე სახელით ძველ სომხებშიდაც ცნობილი, გავრცელებული იყო წბნა-აზიაში (არამეულ-სპარსულ-არაბულ სამყაროში). ძველ სპარსეთში (და ახალშიდაც) ის გარიბის სახით მიწის საზომის ერთეულს წარმოადგენდა და 3600 ოთხკ. წყურთას უდრიდა, ხოლო აღბანეთში უკვე მე-5 ს-ში პურის საზომად არის დადასტურებული (მოს. კალანკ. სომხ. ტექსტო, ტუ. გამ., 99). ქართულადაც კრივი მარცვლეულობის ერთეულად დადასტურებულია მერჩულის თხზულებაში (10 ს-ნე, თხრობა კი შეეხება მე 8 - 9 ს-ნეს). კრივი ჩვეულებრივი საზომია აღმ. და დას. საქართველოში, როგორც ეს საბუთებიდან სჩანს, ვიდრე მე-14 ს-ნემდის (უკანასკნელად ვაჰანის ძეგლში). მე-15 ს-ში კრივი თითქოს უკვე აღარა სჩანს, თუმცა შესაძლებელია ეს გარემოება საბუთების ნაკლებუფიქრებას მიეწეროს. ყოველს შემთხვევაში მე-15 ს-ნიდან კრივი უკვე კლებას იწყებს და შემდეგ სრულიადაც ქრება.

კრივი იყო კაბიწზე უფრო მოზრდილი ერთეული. ეს ცხადად სჩანს რკონის 1259 წლ. ახლოს სიგელიდან („ხუთ ხუთი კრივი ხუარბალი მიეცემოდეს... სეფითა კაბიწითა“-ო; ქრონ. II, 138). საბა კრივის კოდის ზომისად სთვლის (ლეჟს. 138), მაგრამ საბა აქ უნდა ცდებოდეს. მართლაც ქუთ. საყდრ. დავთარში (1578 წ.) მოხსენებულია ღომის ჩვეულებრივ ერთეულად ნაოთხალი (ურემში 24 სანათლო იყო). რადგანაც მე-16 ს-ნეში ქვემო იმერეთს გარკვევით სჩანს კოდიც (დას. ს.ქ. საეკლ. საბ. I, 12), ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მე-16 ს-ნეში იმერეთში ხდებოდა ტერმინის ნაოთხალის შეცვლა კოდიცით (შეად. საწყაავის და კოკაშის შეცვლა იმერეთსავე). ნაოთხალი და უკიდრ მაშასადამე-ერთმანეთის ექვივალენტებად გამოდის. ნაოთხალი ცხადია რომელიმე ერთეულის  $\frac{1}{4}$  უნდა იყოს და რადგანაც მე-16 ს-ნეზე წინა საუკუნეებში (მაგ., მე-13 ს-ში დავით ნარინის სიგელის მიხედვით, ქრონიკ. II, 129) ჩვეულებრივ საზომის მსხვილ ერთეულად იმერეთსავე კრივი სჩანს, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ კრივი შეიცავდა მისი მსვლელობის უკანასკნელ საუკუნეებში 4 კოდს. საუკუნეთა სიგრძეზე ერთეულს შორის ურთიერთობის ცვალებ-

ბადრბის მაჩვენებელია ქილა ც. ქილა არაბული ტერმინია (الكحل — ზომა), რომელსაც ყაზან-ყენი 1301 წ. თავისი დიდ რეფორმების დროს ერთ ერთ ძირითად ერთეულად ადასტურებს თავისს იმპერიაში. ქილა ქართლში იხმარებოდა (და ეხლაც იხმარება) ქურქლის აღსანიშნავად (საბა, ლექსიკ. 328 და 54). დას. საქართველოში (იმერეთ-ოღიშში) ქილა მარცვლეულობის საზომად დადასტურებულია მე-16 ს-ნიდან (დას. საქ. საეკლ. საბ. I, 20 42.). მე-19 ს-ნის დასაწყისში (1808 წლ. ნიხრი მამია გურიელისა) და ნახევარშიც ქილა დადასტურებულია გურიაში. სამეგრელოში წონის ერთეულად ის ეხლაც იხმარება (კავკ. კალ.).

ქილა ყაზან-ყენის განწყესებით 10 მენს ანუ 20 ლიტრას უდრიდა (ზემოდ, 70), დაშასადაჟე ის დაახლოვებით უდგებოდა დროის შესატყვისის კაბი წ-ს. ამისდა მიხედვით შემდეგ ხანებში ქილა კოდის შესატყვისად უნდა ყოფილიყო, ნამდვილად კი საბა ქილაკ-ს (ქილაკს საბა წონის ერთეულად თვლის, ქილა-ს კი ქურქლად) ფოხალის, დაშასადაჟე ნახევარ კოდის ზომისად უჩვენებს (ლექსიკ., 328). გურიაში მე-19 ს-ნის ნახევარში ქილა ორ ბათმანს უდრიდა (თითქმის 40 გირვ.) ანუ ქართლურ კოდის (2 ფ. 10 გირ.) ნახევარზე ნაკლებს. ქილა ამგვარად უკავშირდებოდა არსებულ ერთეულებს. სადაც კოდი იყო გავრცელებული, ის კოდის ნახევარს შეადგენდა, ბათმანობით კიდევ 2 ბათმანს უდრიდა.

კოდის, კობიწის და მათი ნაწილაკების ძირითად შემადგენელ ერთეულს ლიტრა წარმოადგენდა. სახარებაში (ივ 11<sub>3</sub>) ეს ტერმინი ქურქელის აღსანიშნავად იხმარება და ეშესატყვისება ბერძნულს λιτρα-ს და სომხურს լիտր. ლიტრა, როგორც ქურქელის აღსანიშნავი ტერმინი, ცნობილია ქართულში (შეად. მეგრ. ნიტრა, ნიტრა). როგორც აქედან სჩანს, ბერძნული ტერმინი ლიტრა გადმოსულა ძველს დროშივე ქართულში სითხის ქურქელის აღსანიშნავად და ამასთანავე როგორც საზომის ერთეულიც. ბერძნ. და რომაული ლიტრა, იწონიდა 327<sub>455</sub> გრამს ანუ 7<sub>8</sub> მისხალს, არაბული (ერაყის) როტლი კი იწონიდა 409,32 გრამს ანუ 96 მისხალს. ჩვეულებრივ ერაყულ როტლის გარდა იყო მცირე-ერაყული როტლი, რომელიც 64 მისხალის წონის იყო. მე-12 საუკ. ბოლოს მხითარ გოშის ცნობის მიხედვით ლიტრა საქართველოს სომხურ პროვინციებში 66,6 მისხალს იწონიდა. მე-13 საუკუნის ნახევრიდან საქართველოს მმართველ წრეებში სჩანს მიდრეკილება ლიტრის გადიდებისა — ბერძნულ საზომზე (72 მისხ.) გადასვლით, მაგრამ ხალხში ხმარებული ლიტრა, ყოველს შემთხვევაში სომხურ პროვინციებში, მე-13 საუკ. შუაში 50 მისხალის ზომის უნდა ყოფილიყო. შეიძლება ყველაფერ ამისდა მიხედვით ვიფიქროთ, რომ მე-13

საუკუნემდი და ამ საუკუნეში ლიტრა საქართველოში თვალსაჩინო ცვალებადობას არ განიცდიდა.

მე-14 საუკ. დასაწყისიდან მდგომარეობა ამ მხრივ იცვლება, ყაზან-ყაენმა 1301 წ. დააკანონა სარწყაოს ერთეულების ახალი ოდენობა, ისე რომ ლიტრა აქ უკვე გადიდებულად სჩანს. ყაზან-ყაენის რეფორმებს საერთოდ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სპარსეთის, ისე საერთოდ წინა-აზიის შემდეგ დროების წესების ჩამოყალიბების მხრივ. კერძოდ საქართველოსთვისაც ეს რეფორმები თვალსაჩინო მნიშვნელობის იქნებოდა. ეს მნიშვნელობა ყაზან-ყაენის რეფორმატორულ მოღვაწეობისა საქართველოს მიმართ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, — საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორია მე-14 — 15 საუკუნისა ჯერჯერობით განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში იმყოფება. ყოველს შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ კერძოდ მეტროლოგიაში ყაზან-ყაენის ეპოქის როლი აგრეთვე ცალკე აღნიშვნის ღირსად სჩანს. ყაზან-ყაენი შეეცადა სპარსეთის ტერიტორიაზე მანამდის არსებული სხვადასხვა საზომებისთვის ერთფეროვანება მიეცა. საშუალო საზომად აღებული იქმნა თავრიზის ქილა, რომელიც 10 მენს შეიცავდა, მენი კიდევ 260 დრაქმას იწონიდა. 10 ქილა შეადგენდა ერთს ტულას. რადგან სხვადასხვა პურეულობა სხვადასხვა ზომისაა, ამიტომ ყველა ცალკე დარგისთვის ცალკე სარწყაო და ქილა იქმნა შემოდებული. ოთხსავე მხარეზე ასეთ სარწყაოს და ქილას წარწერა ჰქონდა გაკეთებული, თუ რომელ პურეულობისთვის იყო დანიშნული. შტემპელი მათ მოჭტესიბის (პოლიციის მოხელის) თანადასწრებით დაერთყმოდა. სითხეულობა გუდით იწონებოდა, თიჯო გუდა იწონიდა 5 პეინამეს, სულ 50 მენს. მაგრამ გუდა არა-სითხეულობისთვის 4 პეინამეს ანუ 40 მენს იწონიდა... (Hammer-Purgstall, Geschichte der Heth., II, 172). ყაზან-ყაენის განწყობა, თავისთავად ცხადია, ილხანების ხელქვეით მყოფ საქართველოს სამეფოზედაც იქონიებდა ვავლენას. რადგანაც მენი 260 დრაქმის წონის იქმნა დამტკიცებული, მენში კიდევ ორი ლიტრა ითვლებოდა, ამიტომ (რადგანაც დრაქმა =  $\frac{2}{3}$  მისხ.) ლიტრა 1301 წ. ილხანების იმპერიაში დაწესებული ყოფილა 86,6 მისხლის წონის (ამის შესახებ ზემოთ, 44). ეს იყო საქართველოსთვის ყოველს შემთხვევაში პირველი თვალსაჩინო გადიდება ლიტრისა. ამის შემდეგ ლიტრა საქართველოში თანდათან იზრდება. ამ პროცესის დეტალურად გათვალისწინება, მასალების უქონლობის გამო, ძნელია, ზოგიერთი ცნობა ლიტრის პერიოდულ მომატების შესახებ მაინც მოიპოვება. 1454 წ., მაგ., დავით ქართლის კათალიკოზი სწერს ჯვარს მსახლობელ მეკულუხეთა მიმართ — (ღვინოს კოკობით) „იმავე პირველითა საწყყოთა გამოიღებდენ და... არას დაჭირებისა და მიზეზისათვის არა გიმატოთ



ქულუხი და არცა კოკა გამოვიცვალოთ და გაგიდიდოთ“ (ისტ. საბუთ. III, 33). რადგანაც კოკას შემადგენელი ერთეული ლიტრა იყო, ამიტომ კოკის გადიდება ფაქტიურად წარმოადგენდა ამ შემადგენელ ერთეულის ლიტრის წონის მომატებას. ამ ცნობიდან ექვს გარეშეა, რომ კერძოდ 1454 წლის ახლოს ქართლში ადგილი ქონდა ლიტრის ერთხელ კიდევ გადიდებას. უნდა ითქვას, რომ მე 14—15 საუკ. სიგრძეზე ლიტრის ცვალებადობა მისი წონის მატების მხრივ ქართლში საკმაოდ სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ, ასე რომ 1524 წ. გორული ლიტრა იკულისხმებოდა „ოთხასითა მუტყლითა“ (მისხლით), როგორც ეს სჩანს ამ წელს დავით ქარაღის მეფის მიერ მცხეთის ტაძრისადმი მიცემულ საბუთიდან (ისტორ. საბ. II, 33). აღსანიშნავია, რომ ლიტრა ადგილადგილ სხვადასხვა ზომის იყო, ამას მე-18 საუკ. დასაწყისისთვის გარკვევით აღნიშნავს საბაც, მაგრამ ის გარემოება, რომ 1301 წ. ყაზანყენის დროს დადგენილი 86,6 მისხლიანი ლიტრა 1524 წლისთვის თუნდაც გორში გადაქცეულა 400 მისხლიანად, ცხადად ამტკიცებს ლიტრის წონის სწრაფ ზრდას ქართლში მე-14—15 ს. ში. ამის შემდეგ მე-16 და მე-17 ს. ში ლიტრა აგრეთვე განიცდიდა ახალს ზრდას.

ვახტანგი VI თავის სამართალში (§ 124) ქართული წონის სისტემის შესახებ გადმოგვცემს: „აწ ეს მოგახსენოთ, ლიტრა რა არის ან კოლი და ან კოკა. სამი მინალთუნისა და ათი შაურისა წონა ერთი სტილი არის, ხუთი სტილი ერთი ჩარეჟი არის, ოთხი ჩარეჟი ერთი ლიტრა არის“. ვახტანგისავე სამართალით (§ 16) „ერთი მისხალი ორ შაურნახევრის წონა არის“. აქედან შაური =  $\frac{2}{5}$  მისხალს, სტილი ( $3\frac{1}{2}$  მინალთუნის წონის) მაშასადამე უდრის 28 მისხალს, ჩარეჟი — 140 მისხალს და ლიტრა — 560 მისხალს. ასე იყო ვახტანგის სამართლის შედგენის დროს, 1705 წლ. ახლოს.

ლექსიკოგრაფი საბა უჩვენებს (ლექსიკ., 162), რომ „ქალაქითი ქალაქად ლიტრის წონა სადამე ოცის თუხტისა, სადამე მეჯი და სხუადან ნაკლებია“. თუხტი მისივე სიტყვით  $3\frac{3}{4}$  მისხალს იწონიდა. ლიტრას მაშასადამე საბა საშუალოდ სთვლის 670 მისხალის წონისად. როგორც სჩანს, ვახტანგ VI-ის დროსავე, მაგრამ შემდეგ 1705 წლისა, სა ე. ი. სამართლის დაწერის შემდეგ ლიტრას ქართლში კიდევ უშატნია (საფიქრებელია თუნდაც საბას ამ ცნობის მიხედვით ლიტრის შესახებ, რომ საბას ლექსიკონის საბოლოო რედაქცია 1705—1710 წელზე შემდეგ დროს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა მისი ცნობის ასეთი სხვაობა ვახტანგის სამართლის შესატყვის ცნობასთან შედარებით). საბა მართლაც განასხვავებს „ახალს ლიტრას“ წინანდელ ლიტრასაგან. „საწყაფი კოკისა არის ათი ახალი ლიტრა“. კიდევ „კოლი ადგილითი ადგილ მეტნაკლები

იციან, არამედ სწორი საწყაფი ესე არს: ახლითა ლიტრითა ათი ლიტრა შთაიტოს, რომელ არს ორასისა თუხტისა წონა“ (ლექსიკ. სიტყვებზე კოკა და კოდი). „ახალი ლიტრა“ უნდა იყოს საბას მიერ ნაჩვენები 670 მისხლიანი ლიტრა, წინანდელი ლიტრა კი შეიძლება სწორედ ვახტანგის სამართალში მოხსენებულნი 560 მისხლიანი ლიტრა იყოს, თუ საბა კოდს და კოკას ათ ახალ ლიტრიანად (ანუ 6,7 ათ. მისხლის წონისად) ანგარიშობდა, ვახტანგის სამართალის დროს კოდს და კოკა, ამავე 6,7 ათ. მისხლის ზომის ადგიული, თორმეტი 560 მისხლიანი ლიტრის შემკველი იქნებოდა. აღსანიშნავია, რომ ვახტანგის სამართალი კოკას უჩვენებს ადგილ-ადგილ 8, 10, 12, 16, 24 ლიტრიანს, ხოლო კოდს 8, 10 და 12 ლიტრიანს (§ 120—122). საბას ცნობიდან მაინც საგულისხმებელია, რომ სამართლის შედგენის დროს კოდი და კოკა საშუალოდ და უფრო გავრცელებულად 12 ლიტრიანად იგულისხმებოდა. თუ საბას ცნობა დაახლოვებით 1718—1723 წელს შეიძლება მიეწეროს (1717 წ. საბა დაბრუნდა დას. ევროპიდან, ხოლო 1723 წ. ის გადაყვა ვახტანგ მეფეს რუსეთში), მაშინ მივიღებთ, რომ დაახლ. 1705—1720 წლის ხანებში, როდესაც ლიტრა საშუალოდ გაიზარდა 560 მისხლიდან 670 მისხლამდის, კოდის და კოკის მოცულობა ისევ წინანდელი დარჩენილა. ეს გარემოება, თავისთავადაც საყურადღებო, ცხადი მაჩვენებელია იმის, რომ სარწყაოს შემადგენელ ერთეულის წონის შეცვლა ყოველთვის არ იწვევდა თვით ამ სარწყაოს ერთეულის სათანადო ცვალებადობას. ამითაც სხვათა შორის უნდა აიხსნას სარწყაოს ერთეულში შემადგენელ ნაწილის რაოდენობის ხშირი ცვალებადობაც, როგორც, მაგ., ამ შემთხვევაში, როდესაც 12 ლიტრიანი კოდი და კოკა (1705 წ. ახლ.) ცოტა ხნის შემდეგ (1720 წლ. ახლ.) წარმოვიდგება უკვე ათლიტრიანად. ასეთივე გარემოებით, მხოლოდ წინაუკმოდ სარწყაოს ერთეულის ცვალებადობის მის შემადგენელ ერთეულის ცვლილებასთან შეუფარდებლობით, უნდა აიხსნას, სხვათა შორის ის გარემოება, რომ, მაგ., საპალნე ქართლში მე-19 საუკ. ნახევარში შეიცავდა 480 ჩარექს, მაშასადავე 120 ლიტრას, ხოლო ზემო იმერეთში ამავე დროს მხოლოდ 40 ლიტრას (ЛИБР. КАР. 1859 г.).

1720 წლის ახლო დროიდან მე-18 საუკ. სიგრძეზე ლიტრას კიდევ ახალი ზრდა განუცდია. გვლდენშტედტის სიტყვით 1772 წ. ლიტრაში ქართლ-კახეთს 4 ჩარექი ირიცხებოდა, ჩარექში 5 სტილი იყო, სტილში კიდევ—36 მისხალი (Reisen I, 359). ლიტრა ამ დროს აღმ. საქართველოში საშუალოდ შეიცავდა 720 მისხალს. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ გვლდენშტედტი ლიტრას უჩვენებს რუსულ  $8\frac{3}{4}$  გირვანქის წონისად (იქვე), რუსული  $8\frac{3}{4}$  გირვანქა კი 840 მისხალს შეად-

გენს. გვლდენშტედტის ეს ცნობა რაღაც გაუგებრობას უნდა წარმოადგენდეს (უნდა ითქვას, რომ გვლდენშტედტის ცნობებში ხშირად შესამჩნევია დეტალების აღრევა, აპისი მაგალითი კერძოდ იმერეთში ტრიალეზულ ოსმალურ ოქროს საფასის შესახებ იხ. ზემოდ, გვ. 25). მართლაც ჩვენ ვიცით ქართული ზარათხანის შესახებ ს. მელიქიშვილის მიერ 1801 წ. რუსის მართებლობისთვის მიწოდებულ ცნობის მიხედვით, რომ ზარათხანაში სამეფოს არსებობის უკანასკნელ ხანებში ერთი ლიტრა ვერცხლისაგან 211 მინ. და აბაზი გამოდიოდა (KAKA. I, 516). ქართული აბაზი 1769 წლიდან 4,2 დანგს იწონიდა (ზემოთ, საფასის ისტორიისათვის საქართველოში, 22). ამის მიხედვით ლიტრა 1800 წლის ახლოს გამოდის 740 (უკეთ 739,2) მისხლის წონის, ოდნავ მაშასადამე მეტი, ვიდრე ეს 1772 წ. გვლდენშტედტს აქვს ნაჩვენები (720 მისხ.). უკვე აქედანაც ცხადი უნდა იყოს, რომ გვლდენშტედტის ცნობა ლიტრის რუსულ  $8\frac{3}{4}$  გირვანქისადმი შესატყვისობის შესახებ მართლაც რაღაც გაუგებრობაზე უნდა იყოს დამყარებული.

ლიტრის ძირითად შემადგენელ ერთეულს მისხალი შეადგენდა. ეს ტერმინი, მაგ., მე-14—16 საუკ., ქართულ საბუთებში მუტყალი-ს და მიტყალი-ს სახით გვხვდება. მუტყალი იხსენიება მე-14—15 საუკ. მოსახსენებლებში იერუსალიმში ჯვარის მონასტრისა (ათაბ. ნ. მარრის გამ., 48, 52, 57, 25 და სხ.), 1524 წ. სიგელში დავით მეფისა, სადაც მოხსენებულია გორული ლიტრა „ოთხასით მუტყალით“ (ისტ. საბ. II, 33) და სხვაგანაც მიტყალი, მაგ., იხსენიება 1460 წ. სიგელში გიორგი მეფისა (ისტ. საბ. III, 36) და სხვაგანაც საკმაოდ ხშირად. მუტყალი, მიტყალი არის არაბული ტერმინი *مقالت*, რაც საზოგადოდ სასწორს ნიშნავდა და შემდეგ აღნიშნავდა წონის განსაზღვრულ ერთეულს—მისხალსაც. მე-18 საუკუნეში, დაწყებული ვახტანგის სამართლიდან, ეს ტერმინი ქართულად უკვე გარკვევით მისხალი-ს სახით იხსენიება, თუმცა ჯერ კიდევ საბა მას მიტყალის სახით ხმარობს (ლექსიკ., სიტყვებზე—მიტყალი, ლიტრა და სხ.). საფიქრბელი ამ ტერმინის სხვაობა—მისხალი თანდათან გავრცელებას პოულობდა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში.

ვახტანგი თავის სამართალში (§ 16) მისხალს და მის უკნინეს შემადგენელ ერთეულებს განმარტავს შემდეგნაირად: „ოთხი ხაშხაშის მარცვალი ერთის ფეტვის წონა არის, ოთხი ფეტვის მარცვალი ერთის ქერის მარცვის წონა არის, ოთხი ქერის მარცვალი ერთის ცერცვის მარცვის წონა არაა ოთხი ცერცვის მარცვალი ერთი დანგი არაა, ერთს ცერცვის მარცვალს ყირათიც ჰქვიან, ექვსი დანგი გინა ოცდაოთხი ყირათი ერთი მისხალი იქნების“. უკნინეს ერთეულების ეს შეფარდება პურეულობის და მცენარეობის მარცვლებთან უძველეს დროიდან

წარმომდინარებს და საერთო იყო წინა-აზიის ყველა ხალხებრსათვის. ყირათი შემოსულია ქართულში არაბულ და არაბულიდან სპარსულში გადასულ *طراش*-ისგან. ხოლო არაბული ყირათი გადმოღებულია ბერძნულ *χαράσιον*-ისგან, რაც განსაზღვრულ მცენარის მარცვალს აღნიშნავდა. დანგი შემოსულია არაბულ და არაბულიდან სპარსულში გადასულ *دانا*-ისაგან, რომელი სიტყვაც წარმოებულია არაბულიდან *دانا*, რაც მარცვალს ნიშნავს. ამგვარად მარცვლების (იგულისხმება სხვადასხვა მცენარეების მარცვლები) სახელებიდან არის წარმომდგარი მისხალის შემადგენელ უკნინეს ერთეულობის სახელები.

არაბული (და სპარსულიც) დრამა (დირჰემი) უდრიდა 4 დანგს, ამის მიხედვით არაბული მიტყალი  $1\frac{1}{2}$  დრამას შეიცავდა. ასევე იყო საქართველოშიც. მართლაც, ჯერ კიდევ მხითარ გოში აღნიშნავს, რომ ოქროს დრაჰკანი მის დროს 6 დანგის წონის იყო, ხოლო ოქროს დრაჰკანი ამ დროს ერთს მისხალს იწონიდა (ზემოლ, 38).

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ საბა დანგში თვლის სამ კერატს. ექვსი დანგი მისი სიტყვით შეადგენს ერთს დრამას, დრამ ნახევარი კი ერთს მისხალს (ლექსიკ. სიტყვა ლიტრაზე). ამგვარად საბათი მისხალში 9 დანგი გამოდის, რაც ცხადი შეცდომას უნდა წარმოადგენდეს. სჩანს დრამის განსაზღვრაში საბას შეცდომა მოსვლია.

როგორც ზემოთ მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, ვახტანგი დანგში ანგარიშობს 16 ქერის მარცვალს. მხითარ გოშის სიტყვით კი (1184 წ.) დანგში 12 ქერის მარცვალი ითვლებოდა (*ჴათათათანაჴქიქი*, გვ. 287). მხითარ გოშის ცნობები უმთავრესად სამხურ გაგებას ახასიათებს, მაგრამ ხსენებულ ცნობების სხვაობის გარკვევა ძლიერ საყურადღებო იქნება, განსაკუთრებით თუ შესაძლებელი შეიქნა მე-13 საუკუნის შეკდეგ დროინდელ ხანისთვის ამის შესახებ ახალი ქართული მასალების მოპოება.

საყურადღებოა ისიც, რომ მე 19 საუკ. ნახევარში იმერეთში დრამა რუსულ 76 დოლიას უდრიდა (კავკასიის კალენდრების ცნობა), შეადგენდა მაშასადამე 0,79 მისხალს, მაშინ როდესაც არაბულ-სპარსულ დრამა და ქართული დრამაც ვახტანგის მიხედვით 0,66 მისხალს უდრიდა. მე-19 საუკ. ნახევარშივე ქართული მისხალი (ნაჩვენებია ტფილ. და გორის მაზრებში) უდრიდა რუსულ 1 ზოლოტნიკს და 7 დოლიას, ხოლო კახეთში — 95 დოლიას. ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ საკითხი თვით მისხალის ოდენობის შესახებ კერძოდ საქართველოს სხვადასხვა მხარეებში და სხადასხვა დროს თბოულობს ცალკე დაკვირვებების მოხდენა. არსებითად კი შეიძლება ჯერჯერობით ითქვას, რომ წონის ამ ერთეულს საქართველოშიც (როგორც ამას ვხედავთ არაბულ-სპარსულშიც) ყველაზე უფრო ახასიათებდა მულმივობა, ყველაზე ნაკლებ ის განიცდიდა ცვალებადობას.



მისხალის შემდეგი მსხვილი ერთეული, რომელიც იმავე დროს ლიტრის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, იყო ს ტ ი ლ ი და თ უ ხ ტ ი. საბა წონის ორივე ამ ერთეულს ერთმანერთის შესატყვისად სთვლის (სიტყვა — ლიტრა). ორივე ტერმინი სპარსულია ستر. რომელიც სპარსეთში 6 1/2 ღირქვს შეიცავდა და 20, რომელიც 600 და 400 ღრამის შესატყვისად ითვლებოდა. ქართლში, როგორც სჩანს, ორივე ეს ერთეული ფრიად შეცვლილი გაგებით იხმარებოდა. ვახტანგის სამართლით 3 მინალთ. და 10 შაურის ვერცხლი 1 სტილს იწონიდა (§ 124). სტილი მაშასადამე 1705 წლ. ახლოს 28 მისხლად იანგარიშებოდა. საბა უკვე თუხტში, რომელიც მისი სიტყვით იგივე სტილია, 33 1/2 მისხალს ანგარიშობს. გვლდენ შტედტი 1772 წ. სტილში გარკვევით 36 მისხალს უჩვენებს (Reisen I, 359). მე-19 საუკ. ნახევარში ქართლში სტილში უკვე 40 მისხალი ითვლებოდა (კავკ. კალენდრ.).

ასე წარმოგიდგება კოკას და კოდის შემადგენელი ერთეულებით თვით უკნინესამდის დასვლით, როგორც ეს იყო მიღებული საქართველოში საშუალო და ახალ საუკუნეებში. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ ეს სისტემა შემუშავებულია წონის უცხო სისტემათა მიხედვით და თუმცა ზოგიერთ შემთხვევებში ერთეულების რაოდენობის შეფარდებაში სჩანს ერთგვარი თავისებურება, წონის ერთეულობის ადგილობრივი პირობებში დამოუკიდებლად განვითარების გამო, მაგრამ საერთოდ მთელი სისტემა, როგორც ამას ტერმინების განხილვაც ადასტურებს, არის ჩამოყალიბებული მეზობელ სამხრეთ დიდ ქვეყნების ეკონომიურ ზედმოქმედების გავლენის პირობებში. ამ ორ მსხვილ ერთეულისაგან კოდი და კოკა პირველი აშკარად წარმომდინარეობს ირანულ სამყარდან. კოკას წარმოშობა ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

ირანული წარმოშობის შეიძლება იყოს აგრეთვე ფ ს ო შ ი ა რ ე, მარცვლელულობის საზომი, დადასტურებული ქვემო-იმერეთს დაახო. მე-14—15 საუკ. მიჯნაზე (ქუთ. საყდრის დაფორის უძვ. ნაწილი, ქვემოდ, 244—245). ეს ტერმინი, შესაძლებელია ძველ სპარს. სიმარაკიდან (გარდასახადის შეტანის ვადა) წარმომდგარი, იხმარება თურქულში, სომხურშიც (ს ო მ ა რ) და სხ., აგრეთვე ქანურშიც (მსუქიარი). ქანეთში ის ეხლა უდრის ოსმალურ ქილას.

როგორც ვნახეთ, წონის ერთ-ერთ ერთეულად წინა-აზიაში და კერძოდ ქართველებშიც თავიდანვე გვევლინება ბერძნებიდან ვადმოღებული ლ ი ტ რ ა.

ლიტრის, როგორც სითხეულობის საზომის, ექვივალენტად და მის პარალელურად შემდეგ შემოდის თურქული ტერმინი თ უ ნ გ ი. თუნგი — თურქ. كنگ ნიშნავს მალალ ყულიან ჭურჭელს სითხეულობისად. ეს

ტერმინი შეიძლება შემოღებული იყოს როგორც ოსმალეთიდან, ისე სპარსეთიდანაც. ყოველს შემთხვევაში თუნგი, როგორც საზომის ერთეული, დადასტურებულია განსაკუთრებით აღმ. საქართველოში, სამეგრელოში კი ეხლაც თუნგი იხმარება მხოლოდ როგორც სპილენძის ჭურჭელის სახელი (სპილენძის ჭურჭელი წინადაც, ნაწილობრივ ყოველს შემთხვევაში, ოსმალეთიდან იმპორტის საგანი იქნებოდა). თუმცა საბა თავისს ლექსიკონში თუნგს არ ახსენიებს, მაგრამ ის მოხსენებულია ღვინის საზომად ვახტანგ VI-ის დასტურლამალში და მასში შეტანილ გიორგი მეფის განწესებაშიც (პ. უმიკაშვი. გამ. 41, 100, 110). გვლდენშტედტიც მას აღმ. საქართველოს საზომთა შორის იხსენიებს. მისი სიტყვით თუნგი ერთს ლიტრას უდრიდა (მოგზაურ., I, 359). უკვე აქედან სჩანს, რომ თუნგი, როგორც სითხეულობის საწყაო ერთეული, ლიტრის შესაბამისად იხმარებოდა და, როგორც სჩანს, მე-18 საუკუნეში თუნგი თანდათან იქერს სითხეულობის საწყაოს სისტემაში ლიტრის ადგილს. მე-19 საუკუნეში ლიტრა სითხეულობის საწყაოდ შიდა-ქართლში უკვე აღარ იხსენიება, ის რჩება მხოლოდ მარცვლეულობის საწყაოდ (კავკ. კალენდრ.). ეხლაც ქართლში სითხეულობის საზომად თუნგი იხმარება და არა ლიტრა.

ლიტრაზე უფრო მსხვილ ერთეულს პინა წარმოადგენდა. პინა საბათი „ლიდი ჯამი“-ა (ლექსიკ.). პართლაც ბერძნულს *πινάξ* ჯამს ნიშნავს. ცხადია ეს ტერმინი ბერძნულ კულტურულ სამყაროდან არის შეთვისებული, საფიქრებელია ძველი დროიდანვე. პინა იხსენიება ქუთ. საყდარ. დავთარში 1578 წ. პურის და ქერის საზომად (გვ. 55—56). მას იხსენიებს გვლდენშტედტიც ქართლში მარცვლეულობის საზომთა შორის. მისი სიტყვით ის 2 ლიტრას უდრიდა (Reisen, I, 359). ეტყობა პინა ერთს დროს გავრცელებული ყოფილა იმერეთ-ამერეთში.

ეხლა ჩვენ გადავიდეთ კოკას და კოლის შემადგენელ ერთეულების იმ სისტემის განხილვაზე, რომელიც წარმოადგენს შედარებით ზემოდ ნაჩვენებ სისტემასთან უფრო ადგილობრივი წარმოშობის ელემენტებთან დაკავშირებულ სქემას. აქვე აღსანიშნავია, რომ კოკას ფარდს იმერეთში მე-16—18 ს-ში საწყაო წარმოადგენდა. კოკასავე ფარდად ოდიშში საგულისხმებელია ფოხალი, რაც ფაქტიურად კოკას ნიშნავს (თვით ტერმინი კოკა ოდიშში უცნობია), მაგრამ ქართლში ფოხალი ეწოდება უკვე კოდის ნახევარს (შეად. ზემოდ, 60). ფოხალი მარცვლეულობის საზომად იყო იმერეთშიც (ქუთ. დავთ. 1578 წ.).

ფრიად საყურადღებოა, რომ გურიაში მე-16 ს-ში დადასტურებულია ღვინის საზომის ერთეულად სამეხო (ს. კაკაბ., აფხ. საკათ. დავთ., დამატება, გვ. 51). რადგანაც გურიაში შემდეგ ხანებში ჩვეულებრივ ერთეულად ღვინისთვის საწყაო იხმარებოდა, ამიტომ შესა-

ქლებელია ს ა მ ე ს ხ ო ს სახელის ქვეშ სწორედ საწყაუი ივულისხმებოდა. ამ შემთხვევაში საწყაუის განსაზღვრული ზომა მაინც მესხეთიდან შემოსული იქნებოდა.

ფოხალის და საწყაუის ექვივალენტად მხოლოდ სითხეულობისათვის, რამდენადაც ეს საბას მოწმობიდან სჩანს, იხმარებოდა კიდევ დორა და ქარაკი, რომელნიც კოკის ნახევარს უდრიდენ (საბას ლექსიკ., 66, 387). დორა აგრეთვე შესაძლებელია აუგილობრივი წარმოშობის ძველი ტერმინი იყოს. მე-19 საუკ. ნახევარში დორა დადასტურებულია როგორც კასრის ნახევარი სითხეულობის საზომად რაქაშიც (კავკ. კალენდ.). იქამ დროს ის უდრიდა 29 გიზ. 94 მისხ. და 12 დოლიას და შეიცავდა 3 ბარდაკს ანუ 12 ჩარექს.

ქარაკი საბას სიტყვით აგრეთვე ნახევარ კოკას შეადგენდა (სიტყვა კოკაზე). ის, როგორც სჩანს, უფრო ქართლში იხმარებოდა.

დორას და ქარიკის ეტიმოლოგია ჯერჯერობით უცნობია.

ფოხალის, საწყაუის და დორას სანახევროდ განაყოფს ერთეულს წარმოადგენს ჩაფი და კასრიც. ჩაფი— ეს არის, ეჭვს გარეშეა, უძველესი საზომი. სომხურად ჩაფ პირდაპირ ზომას ნიშნავს, რის გამო შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ეს სიტყვა უნდა იყოს ქართულში გადმოღებული ან შეთვისებული სომხურ კულტურის სამყაროდან. ჩაფს საბა კოკის მეოთხედს ეძახის, მაშასადამე სითხეულობის საზომად სთვლის. ჩაფი როგორც დასავლეთ, ისე აღმოს. საქართველოში მე-19 საუკ. ნახევარშიც (იხ. კავკ. კალენდრ. ცნობები) იხმარებოდა სითხეულობის საზომად და უდრიდა, მაგ., გურიაში საწყაუის ნახევარს. კასრი საბათი „ქურჭელი არის ხისა სამწყემსო“, მისივე სიტყვით როგორც საწყაო „შაიჩუეფს რვა დოქსა“. შიდა-ქართლში კასრი ეხლაც იხმარება მარცვლეულობის საზომად და უდრის ფოხალის ნახევარს, ანუ კოდის  $\frac{1}{4}$ -ს.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ სითხეულობისათვის კასრი საბას მიხედვით კოკის ფარდია, სახელდობრ კოკა შეიცავს 8 დოქს (ლექსიკ. 149), დოქი კიდევ— 25 აუხტს ( $1\frac{1}{2}$  ლიტრას). გამოდის, რომ კასრი სითხეულობისთვის კოკას ფარდი იყო, მარცვლეულობისთვის კი მხოლოდ კოდის  $\frac{1}{4}$ . კასრი იხმარებოდა დას. საქართველოშიც. საბუთებში ის დადასტურებულია მარცვლეულობისთვის კერძოდ ქვემო-იმერეთში 3ე 16 ს-ში (დას. საქ. საეკლ. I, 33) ღვინისთვის ლეჩხუმსა და რაქაში მე-16—17 ს-ში (იქვე, 74; აფხ. საკათ. დავთ. 1—3 52). მე-19 ს-ის ნახევარში რაქაში კასრი სითხეულობის საზომად უდრიდა 2 დორას (რუს.  $1\frac{1}{2}$  ფუთს).

ჩაფის ნახევარს საბა დოქს ეძახის. დოქი არის მაშასადამე ჩაფის შენახევრე ერთეული სპეციალურად სითხეულობისათვის. ეს ტერმინი, შესატყვისს თიხის ქურჭელის (დოქის) სახელიდან წარმომდგარი, აგრე-

თვე ძლიერ ძველი უნდა იყოს. დოქის ზომას საბა ასე განმარტავს: „25 თუხტის წონა ღვინო ჩაიტოს“ (ლექსიკ., 86). დოქი მაშასადამე შეადგენდა მის დროს  $1\frac{1}{4}$  ლიტრას. აღსანიშნავია, რომ გვლდენშტედტი, რომელიც დოქს იმერეთის საზომთა შორის იხსენიებს, მას კოკის მეექვსედად სთვლის (კოკაში 6 დოქი არისო Reisen, I, 393). თვით დოქი კიდევ მისივე სიტყვით (იქვე) რუსულ ნახევარს ვედროს შეადგენდა, ვედროს კიდევ გვლდენშტედტი შეცდომით 8 გირვანქის წონისად უჩვენებს, უნდა იყოს (რუსული) 30 გირვანქა.

დოქის შემადგენელ ერთეულად (მის ნახევრად) საბას მოხსენებული აქვს ბორჩხულა: „ბორჩხულა არის დოქის ნახევარი“ (სიტყვა კოკაზე). ეს ტერმინი საბუთებში ჩვენ არ შეგვხვედრია. საბას ბორჩხულას სითხეულის საზომად აქვს მოხსენებული, მაგრამ რადგან ბორჩხულას ის დოქს ადარებს, ამიტომ შესაძლებელია, რომ ეს ტერმინი უფრო ლიხთ-იმერეთს იყო გავრცელებული.

აქისდა მიხედვით საკმაოდ ცხადად გვეჩატება სარწყაოს ადგილობრივ ნიადაგზე განვითარებული სისტემა: ბორჩხულა (=მე-19 ს-ში რუსულის მიხედვით შემოღებულ მანერკას), 2 ბორჩხულა არის 1 დოქი, 2 დოქი—ერთი ჩაფი ან კასრი, 2 ჩაფი ან კასრი—ერთი ფოხალი, დორა ან ქარიკი. ორი ფოხალი—ერთი კოკა და კოლი.

კოკას (და ალბად კოლისაც) უმსხვილესი ერთეული იყო გორა, რომელიც საბათი შეიცავდა 16 დოქს, მაშასადამე ორს კოკას უდრიდა. მაგრამ, საყურადღებოა, რომ ლეჩხუმში მე-17 ს-ში გორა (გორო) იხმარებოდა როგორც ღვინის, ისე პურის და ლომის სარწყაოდ (ს. კაკაბ., საცაგერ. გამოს. დავთ., 1—15). გორას ფარდს საბათი შეადგენდა გოზაური („გორას ტოლი და უმცროსი მისი დიდი ქურკელი“, ლექსიკ., 149).

კოკას ზომა, როგორც მოხსენებული იყო, საუკუნეთა სიგრძეზე იცვლებოდა. დაახლოვ. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ კოკა შეიცავდა ქართლში მე-13 ს-ნის ნახევარში 1200 მისხალს, ქართლშივე საბას დროს 6700 მისხ., გვლდენშტედტის დროს (კოკაზე თუ 8 დოქს მივიღებთ და დოქი კიდევ მისი სიტყვით ლიტრას უდრიდა)—5760 მისხ., იმერეთში კიდევ მე-16 ს-ნის მეორე ნახევარში კოკა (საშუალოდ 9 ლიტრიანი, ლიტრაზე კიდევ 400 მისხლის ჩაგდებით) 3600 მისხ. უდრიდა. მე-18 ს-ნის, საფიქრებელია პირველ ნახევარში (ქუთ. საყდ. დავთ. 1578. წლის; მინაწერი, ე. თაყაიშვილ., 71), კოკა იმერეთში 4 დოქიანი იყო, გვლდენშტედტის დროს კი 6 დოქიანი და ასევე მე-19 ს-ნის ნახევარში.

აღსანიშნავია ამასთანავე სარწყაოს სხვადასხვა ერთეულები ადგილობრივი წარმოშობისა ან მეზობელ ხალხებიდან სხვადასხვა დროს



შეთვისებული. ასეთ წყრილ ერთეულთაგან აღსანიშნავია შემდეგი.

დასავლ. საქართველოს საბუთებში გვხვდება ლომის და მქადის სარწყაოდ გოდორი და კალათი. მაგ., ხონის საყდრის დაეთარში 1580 წლ. ახლოს (გვ. 9, 11) და აფხ. საკათალიკ. დიდ დაეთარში (გვ. 4, 12—14, 41—42), სახელდობრ ქვემო-იმერეთისა და გურიის სოფლების გამოსავლებში. კალათი გოდორზე მცირე სარწყაოდ ითვლებოდა. საბა ამბობს— „კალათა (კალათს საბა კალათა-ს უწოდებს) მცირე გოდორი“ არისო (ლექსიკ., 139).

გოდორი მეგრულში არ არის ცნობილი. ეს ტერმინი მაშასადამე დამახასიათებელი იქნებოდა ქართულად მოლაპარაკე ტომებისთვის. შესაძლებელია ამ ტერმინს კავშირი ჰქონდეს ხუნძურ სიტყვასთან კოდო, რაც ნიშნავს—რის დაკავება შეიძლება ხელში ან ხელებზე (II. Услар, Аварск. жб., 113). თუ შედარება გამართლდა, მაშინ ჩვენ მივიღებდით ტერმინს გოდორს ფრიად ძველი წარმოშობისას, სახელდობრ ეს ტერმინი ქართულში გადმოსულად გამოვიდოდა შიდა-ქართლის უძველეს მოსახლეობიდან, რომლის ერთი მძლავრი ფენა, როგორც ეხლა საკმაოდ გარკვეულია, ხუნძურის შესატყვის კილოზე ლაპარაკობდა.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ გოდორის შესატყვის ტერმინს მეგრულში სწორედ კალათი წარმოადგენს (კალათი-ს ეტიმოლოგია ჩვენ არ ვიცით). ორი ეს სიტყვა, ასე ესთქვათ ტერიტორიალურადაც, შესაძლებელია იყოს სხვადასხვა წარმოშობის: გოდორი უფრო აღმოს. საქართველოს ტერიტორიაზე უნდა იყოს წარმოშობილი, ხოლო კალათი უკავშირდება უფრო დასავლ. საქართველოს (მეგრულ-ქანურად მოლაპარაკე) მხარეებს.

კალათთან დაკავშირებით შეიძლება მოყვანილ იქნას ტერმინი კარჩხალა. მე-13 და მე-15 საუკ. ორს საბუთში ეს ტერმინი იხსენიება ღვინის სარწყაოდ: (მოართმიდეს) „ერთსა კარჩხალსა ღვინოსა“, სწერს გრიგოლ სურამელი შიო-მღვიმისთვის შეწირულ მეწისქვილეს. შესახებ 1150 წლ. ახლოს (ს. კაკაბ., სიგელი მსახ.-უხ. გრ. სურამ., 6). სამოაენელის სარგოს 1459 წლის გარიგებაში მოხსენებულია „სამო კარჩხალი ღვინო ხუთი ლიტრით“ (ქრონიკ., II, 273). რადგანაც სამოაენელის სარგოს გარიგების ტექსტი თ. ჟორდანიას სრულად არა აქვს დაბეჭდილი, ამიტომ ეს წაკითხვა რამოდენადმე საეჭვოდ ხდება.

კარჩხალი უნდა იყოს მეგრული წარმოშობის ტერმინი. კარჩხა მეგრულად ეხლაც ნიშნავს პატარა კალათს (ი. ყიფშ. ლექსიკ., 252). ეს ტერმინი მეგრულ კილოების ტომებში შეიძლება ყოს წარმოდგარი, მხოლოდ ქართლში გადასვლით მას მიუღია სპეციალურად სიტხეულობის სარწყაოს მნიშვნელობა.

მე-17 საუკ. ოდიშში დადასტურებულია გუდა, როგორც მარცვლეულობის, ისე სითხეულობის საზომად: „ორსავ სწორად (მართებხ) სამსამი გუდა ღვინო“ (1628 წ. ლევან დადიანის შეწირულობის სიგელი, დას. საქ. საეკლ. საბ., 41 და შემდ.). „ერთის გუდის ნახევარი ღომი“ (აფხაზ. საკათალ. დიდ დავთ., მუხურის გამოსავალი; 31).

ოდიშშივე მე-17 საუკ. დადასტურებულია მარცვლეულობის საზომის ერთეული მახათელი (დას. საქართ. საეკლ. საბუთები I, 41—4; აფხაზ. საკათალ. დიდი დავთ., 17), ქვემო-იმერეთში მე-16 საუკ.—ს ა ც ი ქ ვ ე ლ ი, აგრეთვე მარცვლეულობის საზომად ღომისთვის (1549 წ. ახლ. სიგელი ჯავახ ქილაძისა, ქრონიკ. II, 389—390).

აღსანიშნავია, ქვემო-იმერეთში 1580 წლ. ახლოს (ხონის დავთარ., 11, შემდ.) და 17 საუკ. დასაწყისში (აფხაზ. საკათალ. დიდი დავთ., მართხოჯის და ხონის გამოსაღები) მოხსენებული ერთეული ღვინის სარწყაოდ მრთელი, რომელიც შესაძლებელია უდრიდა კოკას.

როგორც ლიხთ-იმერეთში, ისე ამერეთში ხმარებულ წვრილ ერთეულად აღსანიშნავია კვერცხი, როგორც საზომის ერთეული. იმერეთ-ოდიშ-გურიაში ეს ერთეული ეხლაც იხმარება. კვერცხი, რასაკვირველია, კვერცხის წონას უდრიდა, დაახლოებით მაშასადამე 12 მისხალს შეადგენდა. ზემო-იმერეთში (შორაპნ. მაზ.) კვერცხი მე-19 საუკ. ნახევარში 11 მისხ. 95 დოლიას უდრიდა (კავკ. კალენდ.). კვერცხი მოხსენებულია ვახტანგ მეფის დასტურლამალშიც (გვ. 18, 99).

კვერცხის შემდეგ ერთეულს შეადგენდა ქსანი, რომელშიდაც მე-19 ს. ნახ-ში, მაგ. ზემო-იმერეთში, 7 კვერცხი ითვლებოდა (კავკ. კალ.).

ქსანი ძლიერ ძველი ტერმინი უნდა იყოს. სომხურში ქსანი ეხლაც ნიშნავს პატარა პარკს. კნინობითი დაბოლოვების იკ გამოკლებით ქსან საზოგადოდ პარკის მნიშვნელობის იქნებოდა. შესაძლებელია, რომ ტერმინი ქართულში შეთვისებული იყოს უძველეს დროშივე, ქართულ ცხოვრებაზე სომხურ კულტურულ სამყაროს ზედგავლენის დროს. ისიც შესაძლებელია, რომ ეს ტერმინი საერთო იაფეტური ძირისა იყოს. გვლდენშტედტი იმერეთის საზომთა შორის ქსანსაც იხსენიებს და მას რუსულ ნახევარ გირვანქის ექვივალენტად სთვლის (მოგზაურ., I, 393). მე-19 საუკ. ნახევარში (კავკ. კალენდრ.) ქსანი ქვემო-იმერეთში და გურიაში უდრიდა 79 მისხ. და 91 დოლიას. ქვემო-იმერეთში ის შეადგენდა 2 სტილს, სტილში კიდევ 50 დრამა ითვლებოდა (Кавк. кал. 1859 г.) აქ უკვე ვხედავთ ქსანის დაკავშირებას წონის იმ სისტემასთან, რომელიც სპარსული სამყაროდან იყო ქართველებში შემოღებული. ზემო-იმერეთში (შორაპნ. მაზრა) მე-19 საუკ. ნახევარშივე ქსანი შეადგენდა 33 მისხ. 90 დოლიას (იქვე).

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ გვლდენშტედტი ქსანს ჩარეჟის მეო-

თხედად სთვლიდა (ჩარეკში 4 ქსანიო, მოგზაურ. I, 393), ხოლო მე-19 საუკ. ნახევარში ზემო-იმერეთში ჩარეკი 3 ქსანს შეიცავდა. ამისდა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქსანის გადიდება ნახევარ გირვანქიდან გვლდენშტედტის დროს 80—84 მისხლამდის მე-19 ს-ნის ნახევარში (66,6<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ით) სწარმოებდა დამოუკიდებელი ჩარეკის, როგორც ლიტვის მეოთხედის, ზრდისაგან. მიზეზი არ ჩანს.

საყურადღებოა, რომ ქსანი იხსენიება მე-17 ს-ში აღმ. საქართველოშიც, მაგ., 1611 წ. ბოლნისის და 1629 წ. მცხეთის საბუთში საკმეველის სარწყაოდ (ს კ ა კ ა ბ... ისტ. საბ. IV, 8 და 14). ქსანს იხსენიებს ვახტანგიც დასტურლაში (გვ. 48, 63). საბამის ზომას უჩვენებს (სიტყვა ქსანი) 2<sup>1</sup>/<sub>4</sub> თუხტისას, მაგრამ აქ დაბეჭდილ ტექსტში შეცდომა უნდა იყოს: უნდა იყოს 1<sup>1</sup>/<sub>4</sub> თუხტი. ქსანი ამიტომ საბათი=41,77 მისხ., ხოლო იმერეთს 1772 წ. გვლდენშტედტით 48 მისხ., მე-19 ს. ნახ.ში 80—84 მისხ.. მე-18 ს-ში ქართლში ქსანი, თითქოს თანდათან იწყებს ზმარებიდან გამოსვლას, მე-19 საუკ. ნახევარში ყოველს შემთხვევაშიც თითქოს არ იხსენიება. დას. საქართველოში ქსანი შერჩენილია აქამდის.

ქსანის შემდეგ ერთეულად იგულისხმება ლოლარიკონი: მე-19 ს-ნის ნახევარში გურიაში ლოლარიკონი (ლოლარიკანი) 2 ქსანს შეიცავდა. საბათი „ლოლარიკი—ცალ სასწორი“ (ლექსიკ., 163). ლოლარიკონი უფრო მეგრულ საზომად სჩანს, სადაც ის ეხლაც იხმარება ლაღანკონის სახით. საბუთებში ის დადასტურებულია ოდიშს მე-16—17 ს-ში (დას. საქ. საეკლ. საბ. I, 20, 21, 42 და სხ.).

ადგილობრივი უძველესი საზომის მსხვილ ერთეულებს წარმოადგენენ აგრეთვე უ რ ე მ ი და ს ა პ ა ლ ნ ე. ურემი არის ადგილობრივი საბარგულის დამტვევი ტვირთის ოდენა უძველესი საზომი. საბუთებში ის პირველად დადასტურებულია მე-13 ს-ნის ნახევარში (ქრონიკ. II, 126). უ რ ე მ ის ოდენობის გარკვევას შესაძლებელია მნიშვნელობა ჰქონდეს აგრეთვე ტექნიკური თვალსაზრისით ამ საბარგულის თანდათან გაუმჯობესების გასათვალისწინებლადაც. ქუთ. საყდრის დავთარში 1578 წ. მოხსენებულია უ რ ე მ ი 24 სანაოთხლოს შემცველი. სანაოთხლო ჩვენის აზრით აქ უნდა იყოს კოდის ექვივალენტი (ამის შესახებ ზემოდ, გვ. 69) და რადგანაც კოდი ამ დროს ქვემო-იმერეთში, კოკას პარალელით, საგულისხმებელია 9 ლიტრიანი, ამიტომ ურემზე მოდის 216 ლიტრა, ლიტრაზე კიდევ, 1525 წლის გორული ლიტრის მაგალითით 400 მისხლის ჩაგდებით, დაახლ. 86,4 ათ. მისხ..

პაპუნა ორბელიანი 1742 წლას თბრობაში (ქ. ცხ. II, 351) იხსენიებს ურემს 200 ლიტრიანს, დახლოვებით მაშასადამე (ლიტრაზე 700 მისხლის ჩაგდებით) 140 ათ. მისხლიანს.

აღსანიშნავია, რომ 1770 წ. ურემი ქართლში 30 ფუტს (А. Ц а г а р е д и, грамоты I, 190) ანუ დაახლ. 153,6 ათ. მისხ. იწონიდა,

ხოლო მე-19 ს-ნის ნახევარში ქართლშივე სითხეულობისათვის 81 ფუთს, ხოლო მარცვლეულობისათვის—45 ფუთს (კავკ. კალ.). იმერეთში საერთოდ, როგორც ცნობილია, უფრო პატარა ურემი იხმარებოდა.

ს ა პ ა ლ ნ ე აგრეთვე ძველი ტერმინია, რომელიც შემოსული უნდა იყოს სპარსულიდან პ ა ლ ა ნ ი (სპ. کالان—უნაგირი), იხსენიება დაბადების ქართულ ტექსტში აქლემის უნაგირის მნიშვნელობით. პ ა ლ ა ნ ი 890—913 წლებში შედგენილ საბუთში (პ ა ლ ა ნ ი კ უ რ ტ ა ნ ი—თ. ჟორდ., ისტორ. საბ. შიო-მღვიმის მონასტრისა, 2; ტექსტში შეცდომით დაბეჭდილია პ ა ლ ა რ ი). შემდეგ საპალნე გადაიქცა ამა თუ იმ საქონლის, უმთავრესად ცხენის, ტვირთის საზომად. საპალნე საზომის ერთეულად საბუთებში დადასტურებულია, მაგ., ვაჰანის ძეგლში 13—14 ს-ნის დასაწყისს (თ. ჟორდ., ისტ. საბ. შიო-მღ., 34—35) ს ა პ ა ლ ნ ე ს ექვივალენტი უნდა ყოფილიყო ტ ვ ი რ თ ი, ბლომად დადასტურებული საბუთებში (მაგ., 1433 წლის სიგელში მცხეთისა, დასავლ. საქართვე. საგამოსავლო დაფორმებში და სხ.). ს ა პ ა ლ ნ ი ს (და მაშასადამე ტ ვ ი რ თ ი ს ა ც) ნახევარი იწოდებოდა ც ა ლ ი, აგრეთვე დადასტურებული ვაჰანის ძეგლში (დასახ. ადგ.). საპალნე და ცალი იხმარებოდა როგორც სითხეულობის, ისე მარცვლეულობისთვის და საზოგადოდ ყოველგვარ საქონლისთვის, რაც ადვილი გასაგებია, რადგან ცხენი და აქლემი წარმოადგენდნენ მთავარ სატრანსპორტო საშუალებას განსაკუთრებით შორს მანძილებზე. აქლემის და ცხენის საპალნეს გარდა იყო ჯორის და ხარის საპალნეც (მაგ., 1737 წლის ნუსხა საბაგო გბრდასახადისა ტფილისს, ჯერ დაუბეჭდავი და სხ.). სპარსეთში იხმარებოდა საშუალო საუკუნებში და ბოლოს დრომდისაც ვირის საპალნე (ხარვარ—ვირის ტვირთი). პაპუნა ორბელიანი სპარსულ ხარვარს 100 ლიტრის ზომისად სთვლიდა (ქ. ცხ. II, 351). როგორც სჩანს, ეს ერთეული ქართველებში არც იხმარებოდა.

ასევე შეიძლება ითქვას თაღარი-ნ შესახებ. თაღარი (სპარს. تاجان—სარწყაო) იხსენიება ვახტანგის დასტურლამალში (ნახევრ თაღარ კანგაუფცქენელი ბრინჯიდან 15 ლიტრა ბრინჯი გამოდიოდა, გვ. 47). შესაძლებელია, რომ თაღარი ქართულმა სახელმწიფოებრივმა ცხოვრებამ მხოლოდ თათარ მოსახლეობის მიმართ იცოდა.

ოსმალების წინა აზიაში მძლავრების დროიდან ჩვენ ვხედავთ ოსმალურ ერთეულების შემოღებასაც უფრო დას. საქართველოში და რამოდენადმე ქართლშიაც. უკვე დასახელებული ბათმანი (ოსმ. باتمان) საბას დროს (მასი შაჰზაურ., ცისკარი, 1852 წ. № 4, გვ. 62) სტამბოლში 48 თუხტს აწონიდა ანუ 1608 მისხ. (16.7 გირვ.). გვლდენ შტედტის დროს ბათმანი იმერეთში 9 ჩარექს ანუ 18 გირვანქას იწონიდა (Reisen I, 393), მაგრამ ქართლში 1 ლიტრას ანუ 720 მისხ. უდრიდა (იქვე, 359). საყურადღებოა, რომ ოლეარიუსით 1640 წ. ბათმანი სპარსეთში იწონიდა თავრიზში ექვს (გერმან.) გირვანქას (=678, 2



მისხ.); გილანში, სადაც შაჰის ბათმანს ხმარობდენ—12 (გერმ.) გირვ. და შემახა-ყარაბალში—13 (გერმ.) გირვ. (ფრანგ. თარგმ., ლეიდ. გამ., II, 837—838). შარდენიც დახლოვებით ამავე ზომას უჩვენებს, სახელდობრ მცირე მანს (ბათმანს) პარიზულ 5 გირვ. და 14 უნც. წონისა და შაჰის (თავრიზულ) მანს—ორჯერ მეტად (პარიზ. გამ., IV, 172).

ოსმალ. ბათმანი შეიცავდა ოყას (ვენკ. ლექსიკ.). ოყა (اقية) კიდევ მე-1580 წლებში ოსმალეთში 100 დრაქმას იწონიდა (Hammer, Gesch. des osm. Reich. II, 566). შემდეგ ოყა გაიზარდა. გურიაშიც მე-19 ს-ნის ნახევარში ბათმანი ოყას შეიცავდა (კავკ. კალ.).

აწიარად უძველეს დროიდანვე ქართველ ტომებს ქონდათ საზომ-სარწყაობის ერთეულები ადგილობრივ ბუნებრივ წარმოშობისა და ასეთივე ერთეულები შეთვისებულნი მეზობელ ტომებისა და ხალხებისაგან. ერთეულები, შეთვისებულნი მეზობელ ხალხებისაგან, რამოდენადმე გვიჩვენებს ქართველ ტომების ეკონომიურ კავშირს და დამოკიდებულებას ამა თუ იმ მეზობელ ქვეყანასთან ან ხალხთან. უძველეს ხანაშივე დასტურდება ასეთი შეთვისება საზომების ერთეულებისა ზოგიერთი იაფეტურ ტომისაგან (მაგ., ადლი). ეკონომიურ-კულტურული ურთიერთობა ძველ არამეელებთან, სპარსელებთან, ბერძნებთან, სომხებთან აგრეთვე გულისხმობდა საზომ-სარწყაოს ახალი ერთეულების შემოსვლას ძველს ხანაშივე. არაბების წინადროინდელ ხანაში შემოსულად სჩანს, მაგ., კაბიწი, რომელიც შესაძლებელია ქართველებში შემოვიდა ჯერ კიდევ არამეელების კულტურულად პირველობის დროს წინააზიაში, ყოველს შემთხვევაში სემიტურ სამყაროდან. სომხურ სამყაროდან შემოდებულად სჩანს, მაგ., ჩაფი, ქსანი, ეჯი, უტევანი. სომხური სამყაროს შუაგობით უნდა იყოს სამხრეთიდან შემოსული ტერმინი გრივი, რომელიც მარცვლეულობის საზომად იყო გავრცელებული ჩვენში მე-14 ს-ნემდის თანმივლით. ბერძნული სამყაროდან შემოვიდა საზოგადოდ აღმოსავლეთში და კერძოდ ქართველებში დრამა, ლიტრაც. ძველი ბერძნებიდანვე უნდა იყოს შემოდებული პინა, აგრეთვე აქამდის მეგრულში დარჩენილი ორგია, ქართული მხარის ექვივალენტი (უფრო ნაკლებ მისაღები იქნებოდა გვეფიქრა ტერმინის ორგიას მეგრულში განმტკიცება საშუალო საუკუნეებში ბიზანტიის და ტრაპეზუნტის სამეფოს შავ ზღვაზე ეკონომიურ ზედგავლენის გამო, აუშკა შეუძლებელი აქ არაფერია).

უძველეს დროიდანვე ქართველ ტომებს ეკონომიური ურთიერთობის ჯაფები აერთებდა სპარსეთთან. არაბული კულტურული სამყაროც, უმთავრესად სპარსულის შუაგობით, ახდენდა საშუალო საუკუნეების პირველ პერიოდში ქართველ ტომებზე თავისი ზედგავლენას. მეტროლოგიის ფაქტები ამას ცხადად ამტკიცებენ. ფსომიარე, კოლი სპარსელებისაგან შეთვისებულაია; დანგი, მიტყალი, მისხალი—არაბებისგან; სპარსე-

ლებისაგან სტილი, თუხტი, ჯამი და სხ.. სპარსელებიდანვე უნდა იყოს შეთვისებული გირვანქა (خوارگر), საფიქრებელია ახლო ხანებში, თუმცა საბუთებში თვით მე-18 ს-ნეში ჩვენ ეს ტერმინი არ შეგვხვებოდა.

არის თურქული ტომების ზედგავლენის მაგალითებიც, მაგ., ჩანახი.

ახალ საუკუნეებში ქართულ სახელწოდებებში ხმარებულ საზომებს უკვე ეტყობა ოსმალური გავლენაც. ტერმინები თუნგი, ბათმანი, ოყა ამ გავლენის ცხადი მაჩვენებელი არის.

რუსულ საზომების შემოსვლას და რუსულ გავლენას მე-19 ს-ში ჩვენ აქ არ ვეხებით.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ საქართველოს ცალკე მხარეებს შორის დადასტურებულაღ უნდა ჩაითვალოს საზომების ცალკე ერთეულთ ურთიერთ შეთვისების ფაქტები, ზოგიერთ შემთხვევაში მართალია სათანადო ცვლილებით, რაც რასაკვირველია ადასტურებს ცალკე ქართველ ტომებს და ცალკე პროვინციებს შორის ეკონომიურ ურთიერთობის არსებობას უძველეს დროიდანვე. ასე, მაგ., ფოხალი, მეგრულ კილოების ტომებში სითხეულობის საზომის ერთეული, ქართულად მოლაპარაკე ტომებში მარცვლეულობის ერთეულად იხმარებოდა წინაუქმოდ კარჩხალი, მეგრულად კალათის აღმნიშვნელ ტერმინიდან წარმომდგარი, ქართლში ღვინის საზომად იხსენიება (ზემ., 80) და სხ...

საზომის ერთეულები ჩვეულებრივ თავისი მოცულობის მხრივ გადიდების ტენდენციას იჩენდნენ. ერთი და იმავე სახელის ერთეულები სიდიდის მხრივ სხვადასხვა ზომის იყო. სპარსეთშიც, მაგ., მე-17 ს-ნეში განსხვავდებოდა შაჰის ბათმანი ჩვეულებრივ ბათმანიდან (ზემ., 84) ქართულადაც, მაგ., რკონის სიგელში 1259 წლ. ახლ. მოხსენებულია „სეფე კაბიწი“ (ქრონიკ., II, 136), რომელიც ალბად განსხვავდებოდა ჩვეულებრივი კაბიწისაგან. მეფის ხელისუფლება რასაკვირველია გავლენას ახდენდა საზომების ოდენობაზე ფისკის ინტერესების თვალსაზრისით. ასევე შეიძლება ითქვას ზოგიერთ ცალკე მსხვილ ფეოდალებზე, რომელთაც საზომის დადგმის უფლება ჰქონდათ. „გორული ლიტრის,“ მაგ., არსებობა მე-16 ს-ნის დასაწყისს (ზემოდ, 72) ალბად აიხსნება ზემოქართლის სარდლის უფლებით აღლის (და სხვა საზომების) „დადგმის“ შესახებ (ქვემოდ—საბუთი ზემო-ქართლის სასარდლოს შესახებ, 259).

თავისთავად იგულისხმება, რომ ქართული მეტროლოგია თავისი დამახასიათებელ თვისებების გასარკვევად ჯერ კიდევ ბევრს მუშაობას საჭიროებს. კერძოდ ფრიად საყურადღებო იქნებოდა ხალხში აქამდის დარჩენილ, ალბად ძველა დროიდანვე ხმარებულ, საზომების შესახებ ცნობების შეკრება. ასეთი ერთეულებია, მაგ., კოთხო სამეგრელოში=1 გირვ., ლომკაცის-კოდი ჩაქაში—2 ფთ., ტყუ (მტკაველა) სამეგრელოში=5 ვერშ. და სხ. (კავკ. კალ. მე-1880 წ.). ასეთი მოშაობის გატარება ზომავლის საქმია

სარგის კაკაბაძე

## იმერეთის ციხისთავთა შესახებ მე-17 საუკუნეში.

მთავარარქივში დაცულია ვ. ბერიძის მიერ გადმოცემული საყურადღებო პირები აგიაშვილების საგვარეულო საბუთებისა, ორ რვეულად გადაწერილი ლურჯ ქაღალდზე 1822 წ.. ორივე რვეული შეიცავს ჩვეულებრივ თაბახის ზომის ქაღალდის 53 დაწერილ გვერდს და წარმოგვიდგენს 49 პირს, რომელთაგან 5 მიეკუთვნება მე-17 საუკუნეს, დანარჩენი კი შემდეგ ხანას. მეორე რვეულის ბოლოს არის ტექსტის ხელით მინაწერი, რომელიც გვიჩვენებს საბუთების პირების გადაღების მიზეზს: „ჩვენი წიგნები არის სასამართლოში შეგზავნილი ორას [სამი?] სულ ერთობით ავი და კარგი საოჯახოც და სისაკუთროც ივლისის 13 წელს ჩუკ და ორი წიგნი კიდევ ერთი ლევანია ტყავაძის და მეორე ქაქუჩელასი“. როგორც სჩანს, ხსენებულ ორ რვეულში წარმოდგენილი პირები არის მხოლოდ ნაწილი იმ საბუთებისა, რომელიც 1822 წ. აგიაშვილთ წარუდგენიათ სასამართლოში აღბად ქუთაისს.

ხსენებულ ორი რვეულიდან ჩვენ ამოვკრიბეთ უფრო ძველი საბუთების (მე-17 საუკ.) პირები, რომელიც საყურადღებო მასალას იძლევა მე-17 საუკუნის იმერეთის ციხისთავთა შესახებ. როგორც ეხლა უკვე ცნობილია (ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი... 68—69 და სხ., აგრეთვე ამავე წიგნში ქვემოდ, გვ. 214), ციხისთავობა მე-15 ს-ში სავფიზრო თანამდებობას შეადგენდა, ასევე იყო მდგომარეობა მე-16 საუკუნეშიც. მე-19 საუკ. ნახევარში ჩაწერილ ერთი ცნობის მიხედვით ციხისთავი ძველად იყო ციხეების (იგულისხმება სამეფო ციხეების) მოურავების უფროსი. „ეს თანამდებობა, გადმოგვცემს ცნობის ავტორი; წინა დროებებში იყო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, სალთხუცის თანამდებობაზედაც მაღლა იდგა და ეკუთვნოდა თავად ჩიჯავაძის გვარეულობას. მაგრამ როდესაც სოლომონ დიდმა მოსპო ოთხი ციხე (იგულისხმება ქუთაისის, შორაპნის, ბაღდათის და ცუცხვათის ციხეები, რომელიც მანამდის ოსმალთ ექირათ), მაშინ ციხისთავის თანამდებობა თითქმის სრულიად გაქრა და უმთავრეს მხედართ-მთავრებად სარდლები გახდნენ“ (II—рѣ ГИ—въ, О царѣ Соломонѣ II и бышемъ при немъ управленіи, Кавк. кален. за 1859 г., 438). ამ ცნობაში ზოგიერთი დეტალები არეულია. მაგ., ციხისთავები იყვნენ მე-18 საუკუნეში არა ჩიჯავაძეები, არამედ აგიაშვილები. მაგრამ საერთოდ საყურადღებოა ცნობაში, აღბად გადმოცემის მიხედვით, დაცული გლოსა ციხის-



თავის თანამდებობის წინა ხანებში დიდ მნიშვნელობის შესახებ. როგორ წარმოიშვა ეს თანამდებობა, ჯერჯერობით არა სჩანს. შესაძლებელია იმერეთში ის საკმაოდ ძველი წარმოშობისაც იყოს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კელმწიფის კარის გარიგებაში, რომელიც რამოდენაღებაც ღიბთ იმერეთის სახელმწიფოებრივ სტრუქტურის შესახებაც იძლევა ცნობებს, ეს თანამდებობა მოხსენებული არ არის. თუ ეს გარემოება შემთხვევითი ხარვეზით არ აიხსნება, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ციხისთავის თანამდებობის განმტკიცება და შესაძლებელია შემოღებაც დაახლოვებით მე-14 საუკუნის სივრცეზე, უკეთ მე-14 ს-ნის მეორე ნახევარში მომხდარიყოს. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ეს თანამდებობა ასეთი მასშტაბით არ იცის ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრივმა პრაქტიკამ მე-14 საუკუნის შემდეგაც.

საყურადღებოა, რომ მე-18 საუკ. მეორე ნახევარში ციხისთავი ქაიხოსრო აგიაშვილი გარკვევით და მუდმივად იხსენიება იმავე დროს სარდლად და ცალკე კიდევ ქეშიკთ-უხუცესად. მე-18 საუკ. მეორე ნახევარში იმერეთის სამეფოს მოსპობამდის აგიაშვილის გვარის წარმომადგენელი ერთსა და იმავე დროს სამი თანამდებობის მატარებელი იყო — ციხისთავის, სარდლის და ქეშიკთ-უხუცესის. ჰქონდა თუ არა ადგილი წინადაც თანამდებობათა ასეთ შეთავსებას ადგილი, არა სჩანს, მაგრამ საფიქრებელია, რომ სარდლობა ყოველს შემთხვევაში ციხისთავობასთან თავიდანვე დაკავშირებული ყოფილიყო. რომ მე-17 საუკ. მეორე ნახევარში იმერეთის სახელმწიფოებრივმა პრაქტიკამ სარდლების თანამდებობა იცოდა, ეს ცხადად სჩანს იმერეთის წარჩინებულთა ქვემოლ (გვ. 207—208) დაბეჭდილ 1669 წლის სიიდან. ამასიაში სახელდობრ მოხსენებული არიან „დიდი ბაიარი სარდალი ხოსია“ და „დიდი ბაიარი და სარდალი წერეთელი ზაალი“. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ მე-15 და მე-16 საუკუნეში, ყოველს შემთხვევაში 1554 წლამდის და მე-17 საუკუნის პირველ წლებშიდაც (ტყავაძეთა 1601 წლის სასისხლო სიგელის მიხედვით—საისტ. მე II, 24 წ., 29) სარდლის თანამდებობა იმერეთში არა სჩანს. შეიძლება ამის მიხედვით გვეფიქრა, რომ სარდლის თანამდებობის შემოღება იმერეთის სამეფოში მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, უკეთ 1610—1660 წლებში უნდა მომხდარიყო. ვახუშტის მიერ დაცულია საყურადღებო ცნობა—„ხოლო იმერეთს მეფის ალექსანდრეს გიორგის ძისამდე იყვნენ წესნი ეგრეთვე (ე. ი. შენახული იყო ძველი თანამდებობათა სისტემა) და შემდგომად მისსა არღარა, არამედ მთაწარნი თვის-თვსით სპითა შეკრბიან და არცაღა ეელისუფალნი მეფისანი არიანლა“ (გეოგრ. მ. ჯანაშვი. გამ., 22). ესლა დადასტურებულია (ქვენ., 213—216) მნიშვნელოვანი ცვლილებანი, რომელიც გამოიარა იმერეთის სახელმწიფო-



ბრიგმა სტრუქტურამ დაახლოვებით ხსენებულ ალექსანდრეს მეფობის დროს (1636—1660). შესაძლებელია ამიტომ ვიფიქროთ, რომ სარდლის თანამდებობის შემოღება იმერეთში სწორედ ამავე ალექსანდრეს ეპოქას მიეწეროს. სარდლების თანამდებობის შემოღების შემდეგ ციხისთავის თანამდებობის მნიშვნელობა რამოდენადმე შემცირდებოდა და შესაძლებელია, რომ ზემოდ მოყვანილი და მე-19 საუკ. ნახევარში ზეპირგაღმოცემის მიხედვით ჩაწერილი ცნობა ციხისთავის თანამდებობის ძველად უპირველეს მნიშვნელობის შესახებ სწორედ დასახელებულ ალექსანდრე მეფის წინააღმდეგ ხანას გულისხმობდეს, როდესაც შესაძლებელია ციხისთავობა რამოდენიმე ხანს მართლაც ჩიჯავაძის გვარეულობაში იყო დამკვიდრებული.

აღსანიშნავია, რომ ქვემოთ დაბეჭდილ საბუთების მიხედვით, საიდანაც სჩანს აგიაშვილის გვარეულობის ომათმადიძეთა გვარისაგან წარმოშობა, დასაშვებია ომათმადიძეთა გვარში ციხისთავობის მკვიდრობა თვით მე-17 საუკ. პირველ ნახევარშიდაც. 1659 წლის სიგელში მოხსენებული ციხისთავი იოანე ომათმადიძე (ეს იოანე მოხსენებულია ციხისთავად ალექსანდრე მეფის მიერ რუსეთის მეფის ერთგულობაზე მიცემულ ფიცის წერილშიდაც 1651 წ.) ყოფილა შვილი ციხისთავის არმაზგვისა (ქვემოთ, გვ. 91), რომლის ციხისთავობა ამგვარად მე-17 ს. პირველ ნახევარს უწევს.

თუმცა ციხისთავობა თავისთავად ძლიერ ძველი თანამდებობაა, იხსენიება ის ევსტათე მცხეთელის ც-ბაში (უსტამ მცხეთის ციხისთავი) და შემდეგაც როგორც განსაზღვრულ ციხის უფროსობის აღმნიშვნელი ტერმინი საშუალო საუკუნეებში საზოგადოდ ხმარებაში იყო საქართველოში, მაგრამ დაახლ. მე-14 ს-ნის ნახევრიდან იმერეთში ციხისთავობა ღებულობს სპეციალურ მნიშვნელობას და მაღალ საეგზირო თანამდებობად ხდება. რა იყო ამის მიზეზი, ჯერჯერობით არ სჩანს, მაგრამ ყოველს შემთხვევაში ჩვენ ვიკითხვით, რომ თუ კ ა რ ი ს გ ა რ ი გ ე ბ ა ამ თანამდებობას არც მაღალ რანგისა და საზოგადოდ სრულებით არ იხსენიებს, 1408 წ. კონსტანტინე მეფის მიერ ლიხთ-იმერეთის ტერიტორიაზე გაცემულ სიგელში უკვე იხსენიება ც ი ხ ი ს თ ა ვ ი, როგორც მაღალი ადმინისტრაციული მოხელე (მანდ.-უხ. დადიანი, ათაბაგ-ამირსპარსალარი, სუანთ ერისთავი გურიელი, ქართლის ერისთავი, დიდებული, აზნაურნი, „ქალაქთ ჩვენთ ამირთამირანი, მეჭურჭლენი და მეჭურჭლეთუხუცესნი, ციხისთავნი და ყოველი ჩვენი კელის მქონებელნი,“ — საქ. სიძვ. III, 434—435, ს. კ ა კ ა ბ., გენეალ. დიდის ალექსანდრე მეფისა, 5). მე-15 ს-ნის დასაწყისში ამგვარად ციხისთავობა როგორც მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობა უკვე არსებულე ფაქტია. ამისდა მიხედვით ჩვენ გვგონია, რომ ციხისთავობის, როგორც

მაღალი ადმინისტრაციულ თანამდებობის ჩამოყალიბება, მე-14 ს-ნის მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს.

თუმცა მიზეზი ციხისთაობის შემოღებისა ფართო ფუნქციებით არ სჩანს, მაგრამ მხედველობაში მისაღებია, რომ ციხისთაობის არსებობისას (მაგ., მე-15—16 ს-ნეში და შემდეგაც) ლიხთ-იმერეთს უკვე აღარ არსებობდა ამირსპარსალარის თანამდებობა. ასეთი თანამდებობა ფაქტიურად არ არსებობდა მე-15 ს-ნეში აღმ. საქართველოშიც (ათაბაგნი ატარებდნენ ამირსპარსალარის ტიტულს როგორც წინანდელი დროის გადმონაცემს, რეალურ მნიშვნელობას მოკლებულს). ამისდა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ციხისთაობა იმერეთში ფაქტიურად წინანდელი ხანის ამირსპარსალარობის მიგვიერი იყო, ფუნქციების, როგორც სახელიდანაც სჩანს, ზამოდენადმე შეცვლით. ამნაირად დაახლ. მე-14 ს-ნის მეორე ნახევარში ლიხთ-იმერეთს ადგილი ჰქონია სამხედრო მართველობის დიდ რეფორმას, რომელსაც მნიშვნელობა ქონდა შემდეგი საუკუნეებისთვისაც.

ციხისთავის თანამდებობის მქირავთ შესახებ მე-15—16 ს-ნეში ჩვენ ძლიერ ცოტა ცნობები მოგვეპოვება. 1486—1488 წლების ერთს სიგელში მოხსენებულია ციხისთავი ქილაძე თულქამ (ს. კ ა კ ა ბ., სასისხლო სიგელების შესახებ, ს ა ი ს ტ. მე, 24 წ. II, 21) ხოლო 1488 წ.—ლოლაბერიძე ესტაჟე (იქვე, 25). ციხისთავი ლოლაბერიძე მოხსენებულია 1545 წ. გელათის წმ. გიორგის სიგელშიც (ქრონიკ. II, 340; საქ. სიძვ. I 21—22; აფხ. საკათალ. დავთ., 67). შემდეგ შესაძლებელია ციხისთაობა ჩიჯავაძის გვარშიც იყო (ზემ., 87), ხოლო მე-17 ს-ნის დასაწყისიდან ეს თანამდებობა მტკიცედ დამკვიდრებულია ომათ-მადიძეთ (შემდეგი სახელწოდებით აგიაშვილების) გვარში.

თუმცა მე-17 საუკუნეში ციხისთაობა გარკვევით აგიაშვილის გვარეულობას ეკუთვნოდა, მაინც თანამდებობის გადასვლა გვარის ახალ წარმომადგენელზე, როგორც ეს სხვა შემთხვევებშიდაც ფეოდალურ წყობილების ნორმების მიხედვით საკულისხმებელად უნდა ჩაითვალოს, „ქრთამით“, ანუ განსაზღვრული გარდასახადის გარდახთით ხდებოდა (ქვემოთ 1673 წლის სიგელი ბაგრატ მეფისა ციხისთავის ვახტანგ აგიაშვილის სახელზე, გვ. 94). საყურადღებოა აგრეთვე ამავე 1673 წლის სიგელის ცნობა, რომლის მიხედვით ცუცხვათის ციხის მფლობელობა ციხისთავის თანამდებობასთან ყოფილა დაკავშირებული. საყურადღებოა ისიც, რომ ვახანა და მისი ციხე, რომელიც მე-18 საუკუნეში აბაშიძეებს ეკუთვნოდა და ქართლის სამეფოში შედიოდა (ვახანელ აბაშიძეების მიერ ქართლის მეფის სუვერენიტეტის აღიარების გამო) 1659 წ. იმერეთის ციხისთავის სამფლობელო ყოფილა და მასთანადავე იმერეთის სამეფოს ფარგლებში ირიცხებოდა (1659 წლის სიგელი, ქვემოთ გვ. 91). მოგვყავს დასახელებულ კრებულიდან მე-17 ს-ნის საბუთები.

1659: ამ წელს, შესაძლებელია 1658 წლის დასასრულს და ან 1660 წლის დასაწყისს, მიცემულია ალექსანდრე მეფის მიერ წყალობის წიგნი ციხისთავის ომათმადიდისადმი. საბუთში მოხსენებულია 1658 წელს მომხდარი ბანძის ომი, სადაც ალექსანდრე მეფეს შეებნენ დადიანი და გურიელი ოსმალთა და ქართლის დანმარებით. საყურადღებოა, რომ საბუთის მიცემის მოწმეთა შორის მოხსენებულია ოტია მიქელაძე, რომელსაც, ვახუშტის სიტყვით, ბანძის ომის გათავებისას, როგორც ტყვედ თავისი ნებით დანებებულს მეფის მოლაღატეს, თვალები დასწვეს ზუმბით (ქ. ცხოვ. II, 202). შესაძლებელია ვახუშტის ცნობა ოტია მიქელაძის შესახებ არ იყოს მთლად მართალი ანდა მეფეს შემდეგ შემოუბრუნებია ეს ფეოდალი.

ქ. სახელითა ზესთა ზეშთათა და ზესთა ცათა ღმერთთა უსახლკაროსა და გარეშამოუწერელსა გამოუკვლეველსა უხილავსა და მიუწლომელსა არსთა შემცვლელსა და თვით შეუცავსა განუსაზღვრებელსა და განუცდელსა უმიმწუხროსა ნათლისა უკვდავისა და მარადის არსისა და არსება უკვალვებლისა სამთა პირთა გვათა შინა ერთდეთავებად ცნობილისა, სამ ბრწყინვალისა სამ ნათობელისა, ყოველთა უხილავთა და ხილულთა არა არსთაგან არსებად მომყვანებელსა, სამ ნათლისა ერთ ელვისა ღთისა მამისა, ღთისა ძისა, ღთისა სულისა წმინდისათა, რლსა. ბრქალითა უპყრიან კიდენი ქვეყანისანი და წამის ყოფით მართებს და განაგებს ვითარცა შვენის ღთაებასა თვისასა, უკლნისამდი ჰვიეს, არა იცვალვების, საჰნი მნათობენ და ამის მიერ ყოველნი ვიძვრით და ვართ, რამეთუ ამისა თვინიერ არა ძალგვიც ყოფად არცა ერთი, ესე ძე და ღმერთი თანაარსი მამისა, რომლისაგან ყოველივე შეიქმნა ჩვენისა ცხოვრებისათვის, გარდამოხდა ზეცით თანა ნებითა და განზრახვითა მამისათა და ხორცილი შეისხნა სულისაგან წმინდისა და მარადის ქალწულისა მარიამისაგან და გვეზიარა ზორცთაებრ ჩვენთა თვინიერ, ცოდვასა და ჯვარცმა და სიკვდილი თავს იღვა, ჩვენ განდგომილნი ესე ურჩებითა მიმგვარნა მამასა და პირველსავე პატარსა ღირს გვეყნა, რომელი კდ მომავალის დიდებით განსჯად ცხოველთა და მკვდართა და სუფევისა მამისა არა არს დასასრულ. ამა ყოველთა მამისა დაუსაბამოსა ღთისა თავდებობითა პირობა შუამდგომლობითა, მეოხებითა ყდ უბრწუნელისა დედისა მისისათა, ძლიერებითა ცხოველს მყოფელისა პატიოსნისა ჯვარისათა, წმინდათა უსხეულოთა ზეცისა ძალთა საყდართა სერობინთა და ქერობინთა უფლებათა ხელმწიფებათა და ძალთა მთავრობათა მთავარანგელოსთა და წმინდისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა ნათლისმცემლისა იოანესითა პარობითა და შუამდგომლობითა, წმინდათა ყდ ქებულთა მოციქულთა მღვდელთ

მოწამეთა მამათა ქალწულთა და ყოველთა წმინდათა ღვთისათა პირობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ესე და ამიერიდგან უკუნისამდე გასათავებელი უხერხო უტრელო უმიზეზო და მიზეზ შამოუღებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერინეთ და გიბოძეთ ჩვენ სრულიად იმერთა აფხაზთა სვანთა და დვალთა ოსთა მპყრობელჳან და მმართველჳან მეფეთმეფეჳან ალექსანდრემ და თანამეცხედრემან ჩემმან კახბატონთ ასულმან დედუფალთ დედუფალმან დაჩეჯან (ამ სიტყვის მაგიერად ხელნაწერში სწერას: რუსუდანი) და ძემან ჩვენმან პაგრატ შენ ჩვენს ერდგულსა და ოჯახის მამაგრებელს ყმას ომადმადიდეს (sic) ციხისთავს იოვანეს და შენს შვილს ავაკს და სხვათა ძეთა და მომავალთა თქვენთა ყოველთავე, ასე და ამ პარსა ზედა რომე ჩვენის ტომის დიდებულის ხელმწიფის კურთხეულის დავით აღმაშენებელის გუჯარი მოიტანეთ თქვენის ოჯახის დიდებულობის და განგაიხლეთ და ჩვენც ხელი მოგიწერეთ და რაც რომ მამა შენს ციხისთავს არმამბეგს სჭირვია და ქონებია ქართლის საზღვარს აქეთ, რველს აქეთ და აწყვერის საზღვარს აქეთ, ვახანის ციხე, ქვები, ბაბი, მოლითი რაც რომ მისი შემთავალი იყო, აზნაური თუ გლეხი, მისი ალაგით, მამულით, მთით, ბარით, ტყით, წყლით და სადაც ჩვენს საბძანებელში საციხნსთო არის, ყოველივე უკლისათ და კელშეულათ გვიბოძებია და ხელახლა ხელი მოგიწერია. ამას გარდა შამოგვება დადიანი ლიპარ, გურიელი ქაიხოსრო, ფარათ ფაშა და ქართველი ბატონის სახუცესი ციციშვილი ახლდეთ და შამოგვებენ და ხვთით ვაგვემარჯვა და შენი შვილი ქაიხოსრო ჩვენს წინ ჩამოვარდა და მოკვდა და აპისდა სამაგიეროდ გიყავით წყალობა. შენი სახლის კაცი შერმაზან ომთმადიდე უძეოთ გარდვიდა და მისი სრულობა სამართალში ჩვენ დაგვჩა და ჩვენ შენტვის გვიბოძებია გურნას ბედან ყიფიანი მისი ორმოცი მოსახლე კაცით მათი ალაგ მამულიანათ, მთიან ბარიანათ, ცხრა თავიანათ (sic) მისის წყლით, ტყით, ეკლესიის კარით, საძებრით და უძებრით. კიდ გიბოძეთ გოჩა ყიფიანის (sic) მისი ოცდახუთის მოსახლე კაცით, ალაგ მამულით ხანიაოს ქედით და შქერნალით, ტყით, წყლით, ეკლესიის კარით, საძებრით და უძებრით. მისი ნაჟმევი ხელოსანი მახარობელი ბოჭორიშვილი და ნაცვალი ავლადაძოწენიძე ჩვენ გვექირა და გიბოძეთ გურნას ამთიანათ ორმოცდახუთი მოსახლე კაცი შენი სახლის კაცის სეული ჩვენ გვექირა ოკრიბისა და ვაკეში და გვიბოძებია მათი ალაგმამულით, ტყით, წყლით, ეკლესიის კარით და საძებრით და უძებრით. მისი სახასო ალაგი ჩვენ გვექირა და მისიც გიბოძეთ სეფეულას მი-



დორს აქეთ, სკიპიას ღელესა და გორმახვილის შუა, ჯოღლაარდუ-  
 ნიანათ სანჯადის ღელეს აქეთ, ჯავშიანათ გვიმბაღალის ბოლოზე,  
 ქაჩხურას ღელეს ზეთ, ნახშირის ღელესა და ჭიშურას შუა ჭი-  
 შურას ჩასართავამდი. ქონდეს და გიბედნიეროს ღთმან მკვიდრათ  
 და ყოვლის კაცის უცილებლად ჩვენს ერდგულობასა და სამსა-  
 ხურში. აწ ვინც და რამანც ძემან კაცისამან, დიდმან ანუ მცირე-  
 მან ეს ჩვენი წყალობის წიგნი თქვენ შეგეშალოს, ისიმც შეიშ-  
 ლება სჯულისა ქრისტიანობისაგან და შეჩვენებული იყოს წმინ-  
 დის სამებისაგან, ოთხია პატრიაქისაგან, შვიდთა მსოფლიოთა  
 კრებათაგან, ათორმეტის მოციქულისაგან და მეორეთ მოსვლას ჩვე-  
 ნის ცოდვის ნუქეთათაც განიკითხვის. აწ არის ამისი მოწამე ღმერ-  
 თი და ყოველნი მისნი წმინდანი და კაცთაგან არის ამისი მოწა-  
 მე ქუთათელ მიტროპოლიტი სიმონ, სახუცესი ჩხეიძე სეხნია, ჭი-  
 ლაძე შედან, მიქელაძე ოტია, ჩიჯავაძე საზ(ვე)რელი, სხვანი  
 ჩვენი დარბაზის ერთი უმაღლეს უმაღლესნი. დაიწერა ხელითა  
 დიდებულისა ზვიადისათა, ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას  
 (შეტი ანაფუკი).

აქ დასმული უფიჯა ბეჭედი წარწერით: ტომად აღმართა სვე დავითი-  
 ანი დიდებული - - - (ასა მთავრ.:) მეფე ალექსანდრე.

ვამტკიცებთ ჩვენ პატრონი მეფეთ მეფე გიორგი ჩვენი პაპის სი-  
 ველსა ამას. რამაც ძემან კაცისამან ეს შეშალოს, ისიმც შეიშ-  
 ლება ქრისტეს ბოძებულის სჯულისაგან და მათ მ(ე)ორეთ მოსვ-  
 ლას ჩვენის ცოდვით განიკითხვის ამინ.

აქ უფიჯა დასმული ბეჭედი წარწერით: დავითის ნორჩი ხვითი  
 მტერს მოვრჩი (ასამთ.:) მეფე გიორგი

1663—1673 წ. წ. პირობის წიგნი, მიცემული ვახტანგ აგიაშვი-  
 ლისადმი იმერეთის მეფის ბაგრატის მიერ.

ქ თავად დაუსაბამოსა ღთისა მშმისა, ძრსა და სულისა წმინდი-  
 სათა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ყლ წმინ-  
 დისა ღთის მშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისა, თავდე-  
 ბობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ცხოველს მყოფელისა  
 ჯვარისა, რლსა ზედან განიპყრნა უბრწუნენი მკლავნი თვისნი  
 ხსნისა ჩვენისათვის, მისთა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომ-  
 ლობითა ზეცისა ძალთა მთავარ ანგელოსთა მიქაელ და გაბრიე-  
 ლისათა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა დიდისა  
 დიდებულისა წინასწარმეტყველისა წინამორბედისა ნათლის მცემე-  
 ლისა იოვანესითა, იოვანე, ოქროპირისა და იოვანე ქალწულ მა-  
 ხაოებელისა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა  
 მხნისა და ახოვანისა ღვაწლით შემოსილისა წმინდისა ვიორგისა,

თვედორესა, დემიტრისა და ესტატესა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა რანიცა დიდსა საუფლოსა სვინაქსარსა შიგან წმინდანი ღთისანი სწერიან და მოიხსენებიან, მათად ყოველთავე თავდებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმა მეფეთ მეფემ პატრონმა ბაგრატ და თანამეცხედრემა ჩვენმა დედოფალთ დედუფალმა პატრონმა თამარ, ესე საბოლოოთ ვასადავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალე და გიბოძეთ თქვენ აგიაშვილს ვახტანგს და თქვენსა შვილსა და მომავალსა თქვენსა ყოველთავე, ასე და ამა პირსა ზედა რომე თაიმურაზ ციხისთავი უშვილო არის და საციხისთოს დაგვეაჯენით და ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი, ასე რომე თავად ვეცადოთ რომე მისავ სიცოცხლეშიდ გაშვილოთ, თვარამ თუ ახლა არ გიშვილოს და სოფელმა მისი არ მოიშალოს და ციხისთავი მოკვდეს, ციხისთაობა და რაც თაიმურაზს ან ციხე ან სასახლე და ან აზნაურის შვილი ან გლეხი და ან მამული ქონდეს, შენს მეტს კაცს არ მივსცეთ და კიდევ შენ მოგცეთ და გაქრთამოთ. ამისდა გასათავებლად თავდებათ მოგვიცემია თავად ღთი და ყოველნი მისი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორციონი.

1673 წ. ბაგრატ იმერთა მეფის წყალობის წიგნი ციხისთავის ვახტანგ აგიაშვილისადმი.

ქ. თავად დამბადებელის ღთისა და ყოველთა მისთა წმინდათაგან თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ყლ წმინდისა უბრწუნელისა და უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღთის მშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა, თავდებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა პატიოსანისა და მცხოვრელს მყოფელისა ჯვარისათა, რლსა ზედან ხელ გამპყრობილი იქმნა უფალი იესო ქრისტე ღთი ჩვენი ხსნისა ადამიანისათა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა წმინდათა ზეცისაძალთა და ერისა მთავართა მიქაელ და გაბრიელისათა და სხვათა ცხრათა დასთა ანგელოზთა და ათორმეტთა მოციქულთა მათე, მარკოზ, ლუკა და იოანესითა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა რანიცა წმინდანი მას დიდსა და საუფლოსა სვინაქსარსა შიგან წმინდანი სწერიან და ანუ მოიხსენებიან, ამა ყოველთა ძლიერებათა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ჩვენ ღთივ აღმატებულმან და ღთივ დამყარებულმან ძლიერმან და უძლეველმა ჩვენ ხვთივ გვირგვინოსანმა მეფეთ მეფემან ბატონმა ბაგრატ და თანა მეცხედრემან ჩვენმა ქართველი ბატონის ასულმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმა თამარ და

ძეთა ჩვენთა ყოველთავე, ესე აღარებელი და საბოლოოდ გასათავებელი უტყუარი უხერხო წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ერდგულსა და ერდგულად თავდებობით ნამსახურს. ციხისთ(ა)ვის შვილს ვახტანგს და შენსა შვილს ბეჟანს და მომავალთა ასრე და ამა პირსა ზან, რომე შენი რჩენის წყალობას დაგვეჯენით და ქრთამიც კარგი მოგვართვი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ციხის თავობა და ცუცხვათის ციხე და რაც რომ კურთხეულის მამის ჩემის მეფე ალექსანდრეს დროს ციხის თავს თეიმურაზს რელიც რომ თეიმურაზ არ გასცა და ბიძა თქვენს ხელთ ქონდა, ან აზნაურის შვილი, ან მსახური და ან გლეხი და ან მიწა ალაგი ყველა ხელ შეუალად შენთვის მოგვიცემია. ქონდეს და გიბედნიეროს ღმრთი ჩვენს ერდგულობასა და სამსახურსა შიგან; თუ შენ ჩვენი ერდგული იყო და ჩვენი სიტყვისა და ბრძანების მორჩილი და ყოველი ბატონისას ჩვენი გერჩიოს, ეს ჩვენგან ბოძებული წიგნი და სიგელი აროდეს აღარ მოგიშალოთ. ამისად გასათავებულად მოგვიცემია თავ[ად] ღთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი, ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორცილნი. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონს საჰას სამოცდა ერთს. კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობარისა თავქარას შვილისა ხუციასათა. დასმუჯი ფაფაჟა ღარი ბეჭედი წარწერათ: მეფეთ მეფე ზაგრატი; თამარ.

1697 წ. წყალ. წიგნი გიორგი იმერთა მეფისა ვახტანგ აგიაშვილისადმი.

ქ. ნუბითა და შეწუნითა მლთისათა ესე ამოუარებელი (sic) მტკიცე შეუცვალეებელი დღეთა ჩვენთა საბოლოოდ გასათავებელი უტყუარი ფიცი პირი და საფიცარი, წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩვენ მღვთივ აღმატებულმან და მღვთივ დამყარებულმან ძლიერმან და უძლეველმან ჩვენ მღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ მეფემან ბატონმა გიორგიმ და თანა მეცხედრემან ჩვენმან აბაშიძის ასულმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმა თამარ თქვენ აგიაშვილს ვახტანგს და შენსა შვილსა ბეჟანს და როსტომს, ნიკოლოზს და ივანეს, სხვათა თქვენთა შვილთა და მომავალთა ყოველთავე ასრე და ამა პირსა ზან, რომე თქვენი ამისწული ქაიხოსრო უშვილოთ ვარდაიცივალა და მისი მამული სამართლით ჩვენ დავერჩა და დაგვეჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ცუცხვათს კუპრაშვილი დათუნა და ჩახუტა და სხვა რელიცა მისი მძანები იყოს მათის ცოლშვილითა, სახლკართა, გასავლითა და გამოსავლითა, ყოველისფერით სამართლიანის საქმით. ამას გარეთ მეორე გლეხი გოგია კუპრაშვილი მისის ცოლშვილითა, სახლკართა, გასავალ გამოსავლითა, მისის სამართლიანის საქმითა. სხვა ამას გარეთ რომელიცა ქაიხოსროს დანარ-

ჩომი ან სასახლე, ან პარტახი იყოს, ანუ მიწა, ანუ ადგილი იყოს, ანუ ტყე, ანუ წყალი; ანუ გასაყალი, ან გამოსავალი, ხელ შეუალად გვიბოძებია, ქრთამიც კარგი მოგვართვით როგორათაც გული შეგვიჯერდებოდა, ასრე რომე თუ თქვენ ჩვენი ერდგული, ჩვენის სიტყვისა და ბრძანების მორჩილი ყმა იყოთ და ყოვლის ბატონისას ჩვენი გერჩიოს, ესე ჩვენგან ბოძებული წყალობის წიგნი და სიგელი აღაროდეს მოგიშალოთ. ამისად გასათავებლად თავებდამდ მოგვიცემია თავად ღთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელი და უხარკონი. ვნცა და რამანცა ქემან კაცისამან ან ჩვენთა შემდგომთა მებატონეთაგან თქვენ ეს წიგნი შეგიშალოს, ისიმცა შეიშლების რჯულის ქრისტიანობისაგან; კაცთაგან ამისი მოწამე და მაშუალი თავად ბატონი გენათელი მიტრაპოლიტი ნიკოლოზ, აბაშიძე მამუჯა, მღვიანი ასლან. დაიწერა ბრძანებითა ჩვენითა (დედ.: თქვენითა) კარისა ჩვენისა მღვიანის გურგენის ხელისათა, ქორონიკონს სამას ოთხმოცდახუთსა: აქ დასმული ყოფილა ბეჭედი წარწერით: მეფეთ-მეფე გიორგი კიდე ყოფილა ხეყული ჩელისმოწერა: თამარ დედოფალი.

კრებულის დანარჩენი საბუთებიდან, რომელთა დაბეჭდვა აქ სამწუხაროდ არ ხერხდება, ირკვევა, რომ ვახტანგ აგიაშვილის შემდეგ, რომელიც ზემოდ დაბეჭდილ 1673 და 1697 წლის საბუთებში იხსენიება, ციხისთავობა გადასულა იოანე ომათბაღიძის შვილის ავაგის შვილზე სვიმონზე. ალექსანდრე V იმერთა მეფე სწერს ამ სვიმონის შესახებ, რომ როდესაც გავბატონდითო (ე. ი. 1720 წ.) „საციხისთო შენ გიბოძეთ, ქრთამიც კარგი მოგვართვით“-ო (ხელნაწ., გვ. 38). სვიმონის შვილი იყო ციხისთავი ქეშიკთ-უხუცესი ქაიხოსრო აგიაშვილი, რომელიც ამ თანამდებობაზე საბუთებში სჩანს დაწყებული 1753 წლიდან. ქაიხოსროს ციხისთავობა მამის შემდეგ პირდაპირ არ მიუღია. 1754 წ. სოლომონ I სწერს ქაიხოსროს სახელზე (გვ. 8): „ჩვენს უდროობაში მტერებს წყერთმია საციხისთო, ძირათ თქვენი ყოფილიყო“-ო და ისევ გიბოძეთო. ამ ქაიხოსროს შემოაკვდა (უკეთ ძმებს შორის ჩხუბის დროს მის კაცს შემოაკვდა) უმცროსი ძმა ვახტანგი. მეფე სოლომონ I-მა როსტომ ერასთავის, დარბაზის ერთა და აზნაურშვილთა თანადასწრებით გაარჩია ეს საქმე. სისხლად ქაიხოსროს დაადვეს 8 ქესა მეორე ძმის და ობლების სასარგებლოდ (ამ ფულიდან ნახევარი მეფემ და დარბაისელთ იპატივეს).

1784—1792 წ. საბუთებში ქაიხოსრო, გარდა ციხისთავისა და ქეშ.-უხ., იხსენიება კიდევ სარდლადაც.

ქაიხოსროს შემდეგ 1797 წლიდან ციხისთავ-ქეშიკთ-უხუცესად საბუთებში იხსენიება ძე მისი იოანე (იმერეთის რუსთამიერ დაპყრობაჲლის).



გიორგი ბოჭორიძე.

## მ. რ. ი. ფ. ი. ქ. ა. ლ. წ. ე. რ. ი. ლ. ი.

მარტის პირველ რიცხვებში ს. მეჯვრისხევიდან (ქართლი) ჩამოვიტანე ორი ფიქალწერილი საბუთო<sup>1)</sup> უძველესი ხანისა, რომელიც ჩვენ მიერ აღმოჩენილ იქმნა ჯერ კიდევ წარსული წლის მიწურულში (დეკემბრის შუა რიცხვებში). ისინი ჰქონდათ მეჯვრისხევის ახალუბნის მცხოვრებ ვ. და პ. ფსტიძეებს, რომელთაც იგინი კარგა ხნის წინად ჩამოეტანათ მეჯვრისხევის ჩრდილოეთით მეჯუდის ხეობაზე მდებარე სკალის-უბნიდან (სადაც მათს მამას ჰქონია ადგილ-მამული და ბინადრობა) და სახლის კედელში ჩაეტანებინათ (პირით გარედ). აღნიშნული პირნი ამ ფიქალწერილებს თავიანთ საგვარეულო საბუთებად სთვლიან („მეფე ვახტანგს ჩვენი მამა-პაპისათვის მამული მიუცია და ეს ამ ქვებზე დაუწერია“-ო, მითხრეს მათ). თავიანთ წინაპრს ისინი იტყვიან გუდამაყრიდან გამოსულს, გვარად აფციაურს.

პირველი ფიქალწერილი (იხ. სურ. 1) არის 34—33×9 სანტ. მაქსიმალური ზომით; შვიცავს ორ ნაწილს: პირველი ნაწერია ასომთავრული ანუ მრგვლოვანი ასოებით, მეორე ნუსხა ხუცურით; პირველში გვხვდება რამდენიმე ნუსხა ხუცური ასოც, მაგ. ჰ-აე და სხვ., მეორეში კი მრავალ ასოს ჯერ ისევ ასომთავრული მოყვანილობა აქვს მაგ. ბ-ანს, გ-ანს და სხვ., თუმცა საერთო ელტყერი მას უკვე ნუსხა ხუცურისა აქვს. ფიქალი დაზიანებულია, რამდენიმე ადგილას წარწერიანი ნაპირები ამტვრეული აქვს.

პი. თვით ტექსტიც<sup>2)</sup>.

<sup>1)</sup> ბ. ლ. მელიქსეთ-ბეგი ამგვარ საბუთებს უწოდებს რუის-უბნისის 1103 წ. საეკლესიო კრების დადგენილებებში ხმარებულ ტერმინს „ძველის წერა“-ს (იხ. მისი მანგლისის რაიონი ისტ.-არქ. თვალსაზრ., უბრ. „ახალი სკოლისაკენ“ № 2—3. 1924 წ., გვ. 77.).

<sup>2)</sup> ტექნიკურ პირობათა გამო ასომთავრულად და ნუსხა ხუცურად ნაწერ წარწერებს ვბეჭდავთ მხედრულად. ამასთანავე მიღებულია შემდეგი პირობითი ნიშნები: ასოები, რომლებიც შენახული არიან ფრაგმენტარულად, მოთავსებულია მრგვალ ფრჩხილებში ( ); ხოლო მთლად მოცილებული და ვარაუდით აღდგენილი—სწორ ფრჩხილებში [ ]. მთლად მოცილებული და აღუდგენელი ასოები ნაჩვენებია შავი კვადრატით. ■



სურ. 1



ორი ფიქალწერილი ს. მეჯვრისხევიდან.

სურ. 2

1 ს(ახ)[ელით]აღ-თავსეკელ(იჩ)[<sup>1</sup>ნ]

2 რმ-ნდ(ა)გ-იდვ წროოდეს [კსტ]

3 ნტიქრ-თლსაგმ-გბლიყ[ო]

4 ჩ-ნცხრზმ-სკ-ვსკვ-სოვფლდ(ვ)

5 იყვენითმ-სუმ-საავაგეთ

6 წს-ქლნიდაზემ-თს-ხლიერთი

7 სამსახოვრიჰკიდავს [ც]

8 კაცი

9 NB. აქ არის სიმბოლოური ნიშნები ჯერისა და სხვა და სხვა ხაზოვან სახეებად, რომელნიც შუა ჰყოფენ წარწერის ორს სხვა და სხვა ხელით ნაწერ ნაწილებს.

10 ქე

11 ცისკარ(თ?)[ამინ

12 ქესეკელ(ლ)იმეგ-იდავწერექ-ევანგებელო

13 ორთავეცხორებათაოდაწესესოლიფარაის(ი).

14 [წ]ილთააბრაჰამისთამიეცგ-ნსოენება [■<sup>2</sup>]ო [■<sup>3</sup>]

15 †

16 მ(ე?)

იკითხება:

1 სახელითა ღვთისაითა ესე კელი ჩვენ

2 რამინ და გიორგი დავწერეთ, ოდეს [კოსტა-]

3 ნტი ქართლისა გამგებელი იყო,

4 ჩვენ ცხრაზმის კევის კევისოვფლად ვ

5 იყვენით, მას ჟამსა ავაგეთ

6 წისქოვლნი და ზემოთ სახლი ერთი.

7 სამსახოვრი ჰკიდავს ც

8 კაცი.

9 სიმბოლოური ნიშნები, ჩვენის აზრით, ხელის მოწერის მაჩვენებელნი უნდა იყვნენ.

10 ქ-ე

11 ცისკარ, თუ ცისკართ. ამინ.

12 ქ. ესე კელი მე გიორგი დავწერე. ქრისტე, განმგებელო

13 ორთავე ცხორებათაო, დაწესე სოლი ფარაისი

14 წილთა აბრაჰამისთა, მიეც განსოენება .ო.

15 †

16 მ(ე?).

<sup>1</sup>) აღვლილი მოიხდენს აქ სიტყვას „ჩვენ“ არა თუ შემოკლებით, არამედ მთლიანადაც; მაგრამ რადგანაც ესევე სიტყვა ქვემოდ. შემოკლებით გვხვდება, ამიტომ აქაც ასევე აღვადგინეთ.

<sup>2</sup>) აქ არის რაღაც ხაზი; რა იყო, ან რა არის იგი: ქ-ანი, ჯ-ანი თუ უმნიშვნელო ხაზი, ძნელი სათქმელია.

<sup>3</sup>) აქ ასო ძლიერ დაზიანებულია და ზ-ენს, ანუ ს-ანს მოგვაგონებს.

საბუთი წარმოადგენს კერძო, ორი პირის მიერ ურთიერთ შორის დადებულ ხელწერილს. იგი იყოფა ორ ნაწილად: პირველი-თვით ხელწერილი, რომელზედაც სამბოლიურად ხელს აწერენ ხელწერილში მოხსენებული პირნი; მეორე, ასე ვთქვათ: მინაწერი იქნებ იმავე გვარის კაცისა, რომელსაც იმგვარივე ხელისმოწერა აქვს.

პალეოგრაფიულად ფიქალწერილი მე-X საუკუნეს მიეკუთვნება.

ფიქალწერილში მოხსენებულია ვინმე „გამგებელი ქართლისა“, რომლის სახელიდან წარწერის დაზიანებისა გამო მარტო უკანასკნელი სამი ასოლა შერჩენილა. გამორკვევა ამ პირის ვინაობისა თავისთავად გამომარკვევს აგრეთვე საბუთის ნამდვილ თარიღსაც.

სახელი ამ გამგებელისა ჩვენის აზრით უნდა იკითხებოდეს კოსტანტი.

ეს სახელი უცნობი არ არის საქართველოს ისტორიისათვის. ამ სახელით საისტორიო წყაროებში ცნობილი არიან სამი პირი: კოსტანტი I (ე. წ. აფხაზ. ისტ. ბაგრ. მეფ. და იერუს პატრ. ისტ. დოსით.); კოსტანტი II (დოსით. ისტ.) იგივე კოსტანტინე (აფხაზ. ისტ.) და კოსტანტი III (აფხაზ. ისტ. და დოსით. ისტ.) იგივე კოსტანტინე (ქ. ცხოვრ.)<sup>1)</sup>.

მაგრამ სამივე ეს პირნი შეფენი არიან აფხაზეთისა და წარწერისა კი „გამგებელი ქართლისა“: „ოდეს [კოსტანტი ქართლისა გამგებელი იყო“-ო. ფიქალწერილის კოსტანტი უნდა იყოს აფხაზთა მეფის გიორგი II-ის (912—957) შვილი კოსტანტინე, რომელსაც მამამ (გიორგი II-მ) ტახტზე ასვლის შემდეგ ქართლის გამგებლობა მისცა: „გიორგი აფხაზთა მეფემან მისცა ქართლო ძესა თვისსა უხუცესსა კოსტანტინეს“-ო<sup>2)</sup>. თუმცა მისი სახელი გვხვდება მარტო ქ. ცხოვრებაში და ისიც კოსტანტინე-დ და არა კოსტანტი-დ, მაგრამ მგონი ეს გარემოება არ უნდა იყოს ხელის შემშლელი, რადგანაც სახელები კოსტანტი და კოსტანტინე საისტორიო წყაროებში (ე. წ. აფხაზ. ისტ., დოსით. ისტ. და ქ. ცხოვრ.) იგივეობენ, მაგალ. კოსტანტი II და კოსტანტი III-ისა; შესაძლებელია მისი სახელიც კოსტანტინე იგივე კოსტანტი იყოს და მის თანამედროვე წყაროებშიაც ასე ყოფილიყოს მოხსენებული.

ეს კოსტანტინე ზოგიერთი წყაროების მიხედვით მხოლოდ გამგებლად სჩანს ქართლისა, ზოგისა კი მეფედ. მარამ დედ. ვარიანტი ქ. ცხოვრებისა ამბობს: „გ... აფხაზთა მეფემან მისცა ქართლო ძესა თვისსა უხუცესსა კოსტანტინეს და ვითარ დაყო სამი წელიწადი იწყო მტე-

<sup>1)</sup> ძველი საქართველო ტ. II, განყ. მე-3, გვ. 22; ქცხ. ბროსეს გამ. I, 195; მარ. დედ. ვარ. 225.

<sup>2)</sup> ქ. ც-ბა, ბრ. I, 197 და მარ. დედ. ვარ. 230.



რობად მამისა თვისა და ძებნად მეფობისა...“-ო<sup>1)</sup>). ბროსეს გამ. ქ. ცხოვრება კი: „ხოლო გიორგი აფხაზთა მეფემან მისცა ქართლი ძესა თვისსა უხუცესსა კოსტანტინეს, რამეთუ მაშინ გარდაცვალებულ იყო მეფე ადარნასე, ქორონიკონს რმგ... ხოლო ამან მეფემან კოსტანტინემ ძემან გიორგი აფხაზთა მეფისამან ვითარ დაჰყო მეფობასა შინა სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თვისისა და ეძიებდა მეფობასა აფხაზთაცა“-ო<sup>2)</sup>).

აქედგან ცხადია, რომ პირველი წყარო მას მხოლოდ გამგებლად სთვლის ქართლისა: „მისცა ქართლი ძესა თვისსაო“ და კიდევ: „იწყო ძებნად მეფობისა“-ო; სჩანს იგი მეფედ არ ყოფილა, რომ მეფობის ძებნა დაუწყია; მეორე წყარო კი მეფედ: „ხოლო ამან მეფემან კოსტანტინემ... დაჰყო მეფობასა შინა სამი წელიწადი“-ო. მაგრამ პირველი წყარო უფრო მართალი უნდა იყოს, ვიდრე მეორე.

საჭიროა გამოვარკვიოთ დრო, როდესაც იგი გამგებელი იყო ქართლისა. სრული რედაქცია ქ. ცხოვრებისა (ბროსეს გამ.) მის გამგებლად დანიშვნას უკავშირებს ადარნასე მეფის სიკვდილს: „ხოლო გიორგი აფხაზთა მეფემან მისცა ქართლი ძესა თვისსა უხუცესსა კოსტანტინეს, რამეთუ მაშინ გარდაცვალებულ იყო მეფე ადარნასე ქორონიკონს რმგ“<sup>3)</sup>). ამ თარიღის მიხედვით ადარნასე მეფე გარდაცვლილა 923 წ. და მაშასადამე კოსტანტინეს ქართლის გამგებლად დანიშვნაც ამ წელს მოხდებოდა. ხოლო მისი ქართლის გამგებლად ყოფნის ხანგრძლივობისათვის, როგორც ზემოდ მოყვანილი ამონაწერებიდგანაცა სჩანს, ორივე წყარო ერთხმად აღნიშნავს, რომ მას ქართლს დაუყვია სამი წელიწადი ე. ი. 926 წლამდე, როდესაც იგი აეშალა მამას; მამამ შეიპყრო შვილი, რომელსაც თვალეზი დასთხარეს და დაჰკოდეს, რის შემდეგაც იგი მოკვდა<sup>4)</sup>). მაშასადამე იგი ქართლის გამგებლად ყოფილა 923—926 წლამდე დაახლოვებით.

ვინაიდან ფიქალწერილის კოსტანტი და ხსენებული გიორგი აფხაზთა მეფის-ძე კოსტანტინე ერთი და იგივე პირი უნდა იყოს, ამიტომ დანამდვილებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ფიქალწერილი დაწერილია დაახლოვებით 923—926 წლებში.

ეს საბუთი მრავალ მხრივ არის საინტერესო.

ავიღოთ დიპლომატიკის თვალსაზრისით: ჩვენ აქა გვაქვს საუცხოო ნიმუში უძველესი ხანის ხელწერალისა თავისი შემადგენელი ნაწილებით.

<sup>1)</sup> ქ. ცხ. მარ. დედ. ვარ., 229—230.

<sup>2)</sup> ქ. ცხ. ბროს. გამ. I, გვ. 197, 201.

<sup>3)</sup> ქ. ცხ. ბრ. I, 197.

<sup>4)</sup> ქ. ცხ. მარ. დედ. ვარ., 230—231; ბროსეს გამ. I, 201.

მეორე, ამ წარწერაში ჩვენ გვხვდება საბუთის ახალი სახელწოდება „კელი“: „ესე კელი ჩვენ რამინ და გიორგი დავწერეთ“-ო, საბუთის თავში (სტრ. 1); „ესე კელი მე გიორგი დავწერე“-ო, საბუთის სხვა ადგილას (სტრ. 12). ეს სიტყვა, „კელი“, საბუთის ანუ კელწერილის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა იყოს. იგი არ გვხვდება არც ერთ სხვა საბუთში და ამ მხრივ იგი საყურადღებო მასალაა დიპლომატიკისათვის.

მესამე, საბუთს ბოლოზე (სტრ. 9) აქვს რვაზე მეტი ხელისმოწერა-სიმბოლიური ნიშნებით: ჯვრისა და სხვა და სხვა ხაზოვანი სახეებით, რაც ესე მრავლად და ამ სახედ თავმოყრა იშვიათია და სრულიად ახალი ჩვენს დიპლომატიკაში.

ისტორიული თვალსაზრისით აქ მოსჩანს უძველესი ხანის (მე-X საუკ. დასაწყისის) მოქალაქობრივი ცხოვრების ერთი თვალსაჩინო აქტი, რომლითაც ორი პირი, რამინი და გიორგი, ურთაერთ შორის გაწეულ შრომასა და საქმეს („ავაგეთ წისქოვლნი და ზემოთ სახლი ერთი“) და უფლება-მოვალეობას („ცხრაზმის კევის კევისოვფლად ვიყვენით“ და „სამსახოვრი ჰკიდავს ც კაცი“-ო ე. ი. ჰპართებს 8 კაცსო) ფიქალზე სწერენ, ძველსა სდებენ.

შემდეგ, წარწერა გვიშლის წინ სურათს ქართულ სახელმწიფოების გაერთიანების წინა ხანისას („ოდეს [კოსტანტი ქართლისა გამგებელი იყო“), როდესაც აფხაზთა მეფეები აღმოსავლეთ საქართველოში თანდათან ფეხს იკიდებდნენ.

უკანასკნელ, წარწერა იხსენიებს ცხრაზმის კევის და მის ხელისუფლებას: „ჩვენ ცხრაზმის კევის კევისოვფლად ვიყვენით“-ო. ცხრაზმის კევი ძველიდგანვე ერთი თვალსაჩინო კუთხე იყო საქართველოსი და მისი წესწყობილობის გაგება ფრიად საინტერესოა ისტორიისთვის. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ჩვენს ძველში სიტყვა „კევი“ და „კევისოვფალი“. პირველი ტერმინი მრავალ საისტორიო წყაროებში გვხვდება, ხოლო უკანასკნელი კი მარტო მეფე ბაგრატ IV-ის 1460 წლ. გუჯარში; „აწ ვინცაღა [იკითხოთ ბრძანებაი და სიგელი ესე... მეფეთა... ციხისთავთა, კევისუფალთა“-ო<sup>1)</sup>.

„კევი“ უძველესი ადმინისტრაციული ერთეული უნდა იყოს საქართველოს ზოგიერთ კუთხეთათვის, განსაკუთრებით კი მთა-კეობიან ადგილთათვის და „კევისოვფალი“ კიდევ ამ ერთეულის გამგე.

„კევი“-ს ამ მნიშვნელობას ადასტურებს სხვათა შორის მატიანეების შემდეგი აღკვილები: „დაჩი მეფე და დასწული მისი გარდავიდეს კახეთად და შედგეს კევისა მას ლოპატისასა ქუეყანასა მას კლდეთა მოზღუდვილთა და იყენეს სოფლისა მის კაცნი წყლისა და ცეცხლისა

<sup>1)</sup> ქრონიკები, წ. I გვ. 204.

მსახურნი და სავსე იყო კვეი იგი სიმრავლითა კაცთათა ვიდრე ნოსარამდე<sup>1)</sup>. „კვესა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია“<sup>2)</sup>. „ნათესავნი ქართლისა მეფეთანი დარჩეს კვესა კახეთისასა“<sup>3)</sup>. „ფარნაოზ... რომნი იგი ათასნი მკედარნი... განჰყუნა ხევთა და ქვეყანათა შინა“-ო<sup>4)</sup> და სხვ..

მაშასადამე, იყო: კვეი ლოპატისა, კვეი კლარჯეთისა, კვეი კახეთის და სხვ.

ყველა ზემოთ მოყვანილი ადგილები ცხად ჰყოფენ, რომ „კვეი“ უძველეს ხანაში, საქართველოს ზოგიერთ კუთხეთათვის მაინც, აუცილებლივ ადმინისტრატიული ერთეული ყოფილა. ამ ერთეულის კელისუფალს „კვეისოფალი“ ერქმეოდა და ასეც არის წარწერაში: „ჩვენ ცხრაზმის კვეის კვეისოფლად ვაყვენით“-ო.

„კვეისოფალი“ ძველი ხელისუფლის „მამასახლისი“-ს და შემდეგი ხანის „ხვეის ბერი“-ს და „ხვეის თავი“-ს შესატყვისი ტერმინი უნდა იყოს, ამასთანავე ერთი უძველესთაგანი. იგი ხვეის ბერობაზე ადრე უნდა ყოფილიყო. ამ საკითხზე ს. კაკაბაძე სწერს: „მამასახლისი... იყო ყველაზე უფრო ჩვეულებრივი ტერმინი ხვეის უფლისა... მაგრამ ცალკე ოლქებში ხვეის ბატონის ამ სახელს შეიძლება ჰქონდა სხვა გამოხატულებაც, ეს იყო დამოკიდებული ამა თუ იმ ოლქის ისტორიულ წარსულისგან“<sup>5)</sup>. კვეისოფალს უძველეს ხანაში უნდა სჭეროდა მთელი ძალა უფლება, როგორც ადმინისტრატიული ერთეულის გამგეს. შემდეგ ხანაში, ცხოვრების განვითარებასთან ერთად, რასაკვირველია, კვეისოფლის მოვალეობაც შეიცვლებოდა და ასე ვხედავთ უკვე გიორგი ბრწყინვალის დროს: „ადგილობრივ ადმინისტრაციულ გამგებლობაში ხვეის ბერი ძლიერ მალლა არ იდგა, მაგრამ დიადო თვალსაჩინო გავლენა ჰქონდა და სამხედრო საქმეში ფრიად ბევრი ეკითხებოდა. ჯერ ერთი ისა, რომ ხვეის ბერი ლაშქრის უფროსია, დროშა უპყრია და მთელს თემს წინამძღვრობს. მეორედ კიდევ თავის ხევში საკუთარი ციხე აქვს, თვითონაც და გვარიც მჭეტად პატივცემულია“-ო, სწერს ნ. ურბნელი<sup>6)</sup>.

ამგვარად, წარწერა საინტერესო მასალას იძლევა ძველი წესწყობილების გასარკვევადაც.

1) ქცხ. მარ. დედ. ვარ. გვ. 181; ბროს. გამ. I, 147.

2) ქცხ. ბროს. გამ. I, 102.

3) იქვე I, 107.


4) იქვე I, 32.

5) საისტორიო მოამბე I, 24 წ, ს. კაკაბაძე, ქართ. სახელმწ. გენეზ. შაკ., გვ. 104.

6) ძველის დება გიორგი ბრწყ., 48.

მეორე ფიქალწერილი (იხ. სურ. 2) არის  $22\frac{1}{4} \times 25\frac{1}{2} \times 9$  სანტ. მაქსიმალური ზომით. იგი ნაწერია ნუსხა ხუცური ასოებით, თუქცა ზოგიერთ ასოს ჯერ ისევ ასომთავრული მოყვანილობა აქვს, მაგ., რ, შ, ა, ზ და სხვ... ტექსტი დაზიანებულია რამდენიმე ადგილას, განსაკუთრებით ქვედა ნაწილში. ამ ფიქალს სამი გვერდი შემკული აქვს იხვისა თუ ბატის, თევზებისა და ყურძნისა თუ მცენარის მტევნისა და სხვ. ორნამენტებით. ზევითამარჯვენა კუთხესთან ქვას აქვს დრუ, რომელიც დაწერის დროსვე ასე ექნებოდა, რადგანაც დამწერი მას სტოვებს და ქვევით იწყებს წერას.

აი თვით ტექსტიც<sup>1)</sup>:

- 13 ანო
- 14  რმნ ანო
- 15 ვინცა შცვლს და
- 16 მცაისჯზბს იოდასთან(ა)

- 1 სსთა ღაა ესედწრლი
- 2 დგწრთჩნ ზაზი და თოთ
- 3 მან კლნკლს ფხნელაისძისა
- 4 პირით და მისა ცლსაითა მგ
- 5 ცით კოიტ(ო)რი მმლბთბჰრმს
- 6 და ლომასა ამა პირსა ზა რმე
- 7 (არა)ი(ედ)ვას ბეგარი ზნ სამსახრი
- 8 [ა](გ)ნ კიდ(ე) ზა კლა მგცთობობაორი
- 9 მ[ა]სვემიწასა ზა კცთარაჯდესამთ
- 10 ჰქნდს აწ კრლი იყოს პრთა ღთსთა
- 11 (ვ)ნესგო[ვ]ქციოსრნცაპტრნმნ ჰკ(დრს)ი
- 12 ა.....

იკითხება:

- 1 სახელითა ღეთისაითა ესე დაწერილი
- 2 დაგიწერეთ ჩვენ ზაზი და თოთ-
- 3 მან კოლონკელის ფხუენელაისძისა
- 4 პირით და მისა ცოლისაითა, მოგე-
- 5 ცით კოიტორი მამულობით ბაჰრამს
- 6 და ლომასა ამა პირსა ზედა, რომე
- 7 არაი ეღვას ბეგარი ზედან სამსახოკრი-

1) შრიფტი და პირობითი ნიშნები წარწერისა, რომელიც ნაწერია ნუსხა ხუცური ასოებით, მიღებულია ისევე, რაც ზემო დასახელებულ (გვ. 96) წარწერის გამოცემისათვის. ტექსტი წარწერისა, რომელიც დამწერს დაუწყია დრუს ქვევიდან, ფიქალის ბოლომდე დაწერის შემდეგ გადადის ზევითა ხარვეზზე, რასაც აჩვენებს სტრიქონების ნუმერაციაც.



- 8 საგან, კიდე ზედა კულა მოგეცით ბობაორი;
- 9 მასვე მიწასა ზედა კაცი არა ჯდეს, ამათ
- 10 ჰქონდეს, აწ კრული იყოს პირითა ღვთისითა,
- 11 ვინ ესე ოვქციოს. რამანცა პატრონმან ჰკადროს, ი
- 12

- 13 ანო
- 14 ... რომელმან ანო
- 15 ვინცა შეცვალოს, და-
- 16 მცაისჯების იოდასთანა.

წარწერა შეიცავს წყალობის სიგელს, რომლითაც ზაზი და თოთი კოლონკელის ფხუენელაისძისა და მისა ცოლისაჲთა პირით აძლევენ ბაჰრამს და ლომასა კოიტორს „მამულობით“ ე. ი. სამკვიდროდ, შთამომავლობით და ანთავისუფლებენ მას ბეგარისა და სამსახურისაგან; დამატებით კიდევ აძლევენ მათ ბობაორს მასზე მოსახლე კაცით: „კიდე ზედა კულა მოგეცით ბობაორი, მასვე მიწასა ზედა კაცი არა ჯდეს, ამათ ჰქონდეს“.

ფიქალწერილში მოხსენებული პირნი, ზაზი და თოთი, რომელნიც აძლევენ სიგელს, უნდა იყვნენ ქსნის ერისთავის გვარის, რადგანაც მათ მიერ მიცემული მამული კოიტორი მდებარეობს ცხრაზმის შვიდ კეობათა ფარგალში, რომლის მფლობელადაც შემდეგში იყვნენ ქსნის ერისთავები. და რომ კოიტორი მართლა ამ ფარგალში უნდა ყოფილიყო, ამას ადასტურებს ამ სახელწოდების დღემდე შეჩვენა ქსნის ტეობაში. ახალგორის საზოგადოებაში ამ ხეობის სხვა სოფელთა შორის ეხლაც არის სოფელ კოტორაული, რომელიც ალბად ზემოხსენებული კოიტორიდან უნდა იყოს წარმომდგარი.

რადგან მამული კოიტორი ცხრაზმის კვეის ფარგლისა. სჩანს, ამიტომ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ როგორც ამ კოიტორის, ისე მეორე მამულის ბობაორის, რომელიც პირველის მახლობლად უნდა იყოს, მიმცემნი, ზაზი და თოთი, მხოლოდ მათი მეპატრონენი უნდა იყვნენ. „ძველი ერისთავთა“ მოგვითხრობს ძველ გადმოცემას, რომ მეფემან იუსტინიანე მოუწოდა როსტომს (ქუსნიფნეველთა წინაპარს)... და ... მიუბოძა შვიდნი... კვენი“ ცხრაზმისა „გასაგებელად, ეკლესიანი და ყოველნი აზნაურნი მკვიდრნი მას შინა და უწოდა ერისთავი ცხრა ძმის კვეისა... ესე მიუბოძა მეფემან იუსტინიანე როსტომს და წარმოგზავნა სიხარულითა... და მოკვდა როსტომ და დაჯდა ერისთავად ძე მისი ლარგველ და შემდგომად რუსტინიანესა დაჯდა მეფედ დავით ბაგრატივანი. ამან ფრიად განადიდა ქუსნიფნეველი ლარგველი და სახელსდვა ერისთავთა ერისთავად და მისცა მთავრობა ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა, რომელნი მკვიდრ ალიან შუა არაგვსა და ლიახვსა, ზემოთ შორის მდი-

ნარისასა; ამათ ყოველთა უბრძანა, რათა შემდგომად მეფისა იყენენ მორჩილ და თანა-მოლაშქრე ერისთავთ ერისთავისა ლარგველისა და მოკვდა ლარგველი და დაჯდა ძე მათი დიმიტრი და გარდაიცვალნენ მეფენი 26-ნი და ერისთავნი 24-ნი და წელიწადნი არა მცირენდი“-ო<sup>1)</sup>.

აქედგან შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ რადგანაც ცხრაზმის შვიდი კევი ერისთავთა საგვარეულო კუთვნილება იყო და მამულებიც უმეტესი მათი იქნებოდა, ამიტომ წყალობის გაცემაც მათი უნდა იყოს. მართალია ერისთავებს გარდა ამავე ცხრაზმის კეობათა ტერიტორიაზე, როგორც ეს ზემოთმოყვანილი ამონაწერიდანა სჩანს, იყვნენ სხვა დიდებულნი და აზნაურნი (დავით ბაგრატიონთანა ქუცნიფნეველ ლარგველს „მისცა მთავრობა ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა“-ო), რომელთაც მამულებიც ექნებოდათ და გაცემაც შეეძლოთ, მაგრამ ასეთი წყალობის მიცემა, რომლითაც შეწყალებულს ეძლევა კოიტორი, რაც შთამომავლობითი გარდმოცემით დიდი მთა უნდა იყოს, განთავისუფლება ბევარისა და სამსახურისაგან, გარდა ამისა სხვა მამული ბობაორი მასზე მოსახლე ხალხით, ამდენი მამულის და ამდენი თავისუფლების მიცემა შეეძლო უფრო ცხრაზმის შვიდ კეობათა უფროსს, ერისთავთ ერისთავს ქანისას. სახელები ამ ერისთავებისა, ზაზი და თოთი, ჩვენ არ გვხვდება მათ საგვარეულო მატრიანეში „ძეგლი ერისთავთა“, მაგრამ ამ ძეგლში ცნობილია მხოლოდ ერისთავებიც წინაპართა ერთი შტო ძველი დროისა და შემდეგ მე-XIII და მის შემდგომი საუკუნეებისა, ხოლო ვიდრე მე-XIII საუკუნემდე ძეგლი აღნიშნავს მხოლოდ, რომ დიმიტრის შემდეგ ვირშელამდე „გარდაიცვალნენ ერისთავნი 24-ნი“-ო და სახელები კი არ არის მოხსენებული; ამ ვითომ 24-ის რიცხვში უნდა იყვნენ ზაზი და თოთიც.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით ძეგლი უნდა ეკუთვნოდეს მე-XI ს. პირველ ნახევარს. მაშასადამე, შესაძლებელია ზაზი და თოთიც ამავე ხანის მცხოვრებნი ყოფილიყვნენ.

შემდეგ, ფიქალწერილში მოხსენებულია ვინმე „კოლონკელი ფხუენელაისძე: „დავიწერეთ ჩვენ ზაზი და თოთმან კოლონკელის ფხუენელაისძისა პირით და მისა კოლისაითა“-ო. აქ კოლონკელი სახელი უნდა იყოს, ხოლო ფხუენელაისძე გვარი. სახელი „კოლონკელი“ დან წარმოებული იყო წარჩინებული გვარეულობა — „კოლონკელისძე“თა, რომელნიც იხსენიებიან ქ. ცხოვრებაში. პირველად ეს გვარი გვხვდება გიორგი III-ის დროს: აქ მოხსენებულია დიდებული „ვარდან კოლონკელის ძე, რომელსა მას ჟამსა ერისთაობაცა ეპყრა ცერეთისა, კაცი დღითა მომწყსებული და ბრძოლასა შინა ძლიერი და გამაოცდელი“-ო<sup>2)</sup>

<sup>1)</sup> ქრონიკები, თ. ე., წ. II, გვ. 2—5.

<sup>2)</sup> ქცხ. ბროს. გამ. I, 269.

მეორედ, თამარ მეფის დროს: „ამირახორი და ერისთავნი მის ქამისანი ესენი იყუნეს:... სერგეთის ერისთავად გრიგოლისძე ასათ, რომელმან მისტაცა მძლავრებით და მორევით საღირს კოლონკელისძესა“<sup>1)</sup>

ფიქალწერილში მოხსენებული ფხუენელისძე უნდა იყოს ფხვენელთა გვარი, რომელიც მოხსენებულია ქცხ-ში აფხაზთა მეფის გიორგი II-ის დროს. იქ სადაც მოთხოვნილია ამ მეფის ბრძოლა კვრიკე ქორეპისკოპოსთან, სწერია: „მაშინ შეიზარახნეს აზნაურნი ქართუტლნი და მათ თანა კახნი... დაჩი კორინთელი... სარა და გრიგოლი, ძმანი ფხვენელნი... და მიერთნეს კვრიკეს“<sup>2)</sup>. თვით სიტყვა ფხვენელი უნდა წარმომდგარიყოს ფხვენისიდან. დღესაც არის ეს სოფელი ქართლში, ნიქოზის მახლობლად, ისე, როგორც კორინთელი კორინთიდან და სხვა...

მაგრამ რა დამოკიდებულება ჰქონდა კოლონკელებს ქსნის ერისთავებთან, ზაზი და თოთთან? ვახუშტის რუკაზე, მეჯუდის ხეობაში, დაბა მეჯუდას ზევით, სადაც დაბის ნიშანი ზის, სწერია: „კოლონკეთი“. სჩანს ეს დაბა კოლონკელთა საგვარეულო მამული ანუ სამფლობელო იყო და, მაშასადამე, კოლონკელი ფხუენელისძე, რომელიც ამ ადგილის მფლობელი უნდა ყოფილიყო და რომლის შუამდგომლობითაც ანუ „პირით“ ქსნის ერისთავებს მიუციათ მამულები ბაპრამ და ლომასათვის, ამ ერისთავების ხელქვეითი პირნი ყოფილან, რადგანაც კოლონკეთი თავის მდებარეობით შედის ხსენებულ ქსნის ერისთავთა სამფლობელოს ფარგალში, რასაც ადასტურებს ზემოდმოყვანილივე ადგილი „ძველი ერისთავთა“-ისა (მეფე დავით ბაგრატიონთანა ქუტნიფნეველ ლარგველს „მისცა მთავრობა ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა, რომელნი მკვიდრ არიან შუა არაგვსა და ლიახვსა, ზემოთ შორის მდინარისასა“<sup>3)</sup>). ისინი (კოლონკელები) უნდა ყოფილიყვნენ ქსნის ერისთავების მოურავები, რადგანაც მამული ამ უკანასკნელთა კითხვით გაიცემოდა ხოლმე. ძველის-დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა ამბობს: „მოურავთა პირითა მამული ებოძოს“-ო (ძველ., მუხ. ზ.). თუმცა ეს ძველი მე-XIV საუკუნისაა, მაგრამ მასში უმრავლესა ნაწილი უფრო ძველი წესიდან უნდა უყოს შეტანილ-დადასტურებული და ზემოდმოყვანილი ადგილიც იმავე ძველი ხანის წესს უნდა გამოხატავდეს. ფიქალწერილში სწერია: „დავიწერთ... კოლონკელის ფხუენელისძისა პირით და მისა ცოლისათა“<sup>4)</sup>, სჩანს ისინი (კოლონკელები) მოურავები და ხელქვეითნი პირნი იყვნენ ქსნის ერისთავებისა.

<sup>1)</sup> იქვე გვ. 283; მარ. დედ. ვარ. გვ. 411.

<sup>2)</sup> იქვე გვ. 203.

კოლონკელთა საგვარეულო სოფლის კოლონკეთის მდებარეობა თავისი მხრივ ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ აზრს ნაწყალობევი მამულების, კოიტორისა და ბობაორის, მდებარეობისათვის: თუ ის პირი (კოლონკელი ფხუენელაისძე), ვისი დასტურითაც ქსნის ერისთავების მიერ მამული გაიცა, ამ უკანასკნელთა სამფლობელოს ფარგალში მდებარე „კოლონკეთი“ ს მებატრონვა, ცხადია თვით გაცემული მამულიც ამავე ფარგლისა უნდა იყოს.

ამგვარად ეს ფიქალწერილიც თვალწინ გვიშლის ერთ კაბადონს წარსული მოქალაქობრივი ისტორიისას; ამასთანავე იგი საუცხოვო ნიმუშია უძველესი ხანის სიგელისა, მისი აგებულება-შემადგენლობისა.



Дмитрий Гордеев.

## ИЗ ЭПИГРАФИЧЕСКИХ МАТЕРИАЛОВ ЗАРЗМЫ; К ОБСЛЕДОВАНИЮ НАДПИСИ ИВАНЕ СЫНА СУЛЫ а).


ფემან: შეცუალოს: მეფობისათვის. და. უპოარებისა. მისისა.

მეუფეო: ყოველთა. მეუფეთაო. ქრისტე: შენ. იგი. შესცვალე: მეფობისა. და. კელმწიფობისა: მისისაგან: გინათუ. დედოფალმან. შეცუალოს. დედოფლობისა. და. პატიოსნობისა. მისისათვის. დედოფალო. ყოველთა. დაბადებულთაო. მარამ. მშობელო. ევმანოელისაო: შენ. იგი. შესცუალე. დედოფლობისა. და. პატიოსნობისა. მისისაგან: გინათუ უფლისწულმან: უღონოები. სათვის: ანთუ. მთავარმან. მთავრობისათვის: ანუ აზნაურმან: უკეთუ. მდიდარმან: სიმდიდრისათვის. ანუ. გლახაკმან. გლახაკობისათვის. ანუთუ. სამღდელოთა: დასთაგანმან: ანუ მდაბიურმან: დიდმან. ანუ. მცირემან: ვინცა. და. რამანცა. კაცმან: შეცუალოს. შემცა. იცუალების: ჩუენ. რჯულისაგან: ქრისტიანეთასა: შემცადების ძრწოლა: კანისი. კეთრი გეზისი: ცოცხლივ. დანთქა: დათან. და აბირონისი: მეზდატეხილობა. დიოსკორესი: მტლით: განღეულობა. პეროდესი. შიშოვილი. იუდასი. და. მასზედამცა. აღესრულების. მეთადარვე: იგი: ფსალმუნი: და, ნურარათამცა: სინანულითა. ნუ: იქმნების. კსნა. სულისა. მისისა: და. ჩუენტამცა: ცოდვათა: მზღველი. იგი არს. დღესა. მას. დიდსა: განკითხვისა. ამასამცა. სოფელსა. მოკუდების. სირცხვილეული. და მას. საუკუნოს. არიოზ. და. ოროგინესთანამცა. არის. ნაწილი. და. სამკუიდრებელი. მისი. ან: ხალო. ამისნი. დამამტკიცებელნი. ღთნ: აკურთხნეს. და. წდამან. ღთის. მშობელმან: ან: დიწვერა: მტკიცე. და. უცუალებელი. წიგნი: და. ბრძანება. ესე. ქკსა. ტ: თუესა: მისისა. ათსა: ინდიკტიონსა. მეფობისა. ჩუენისა: ვ: ხალო. კელიფა. ფრიად ცოდუელისა: ავალისშვილისა. მთავარებისკოზოზისა. იწესითა. კემარიტად. ესრეთ. არს. იყო. და. იყოს. ამინ: ან: ან: ხეუფად: მეფე თეიმურაზ ვამტკიცებ ნებითა ღთა ან:

მან ან: ღთისა. მეფე. და. უცუალებელი: წიგნი: ბრძანება. ესე. ქკსა. ტ: თუესა: მისისა. ათსა: ინდიკტიონსა. მეფობისა. ჩუენისა: ვ: ხალო. კელიფა. ფრიად ცოდუელისა. მთავარებისკოზოზისა. იწესითა. კემარიტად. ესრეთ. არს. იყო. და. იყოს. ამინ: ან: ან:



სიგელის ტექსტის ბოლო ნაწილი თეიმურაზ I-ის ხელისმოწერით (ფოტოგრაფი. სურათი, ახაზული ტუშით);

ზურგზედ სხვა გვიანი ხელით:

ქ. მარილის: კურტანა. შვილი:., კელი: შეუალად: ქუესა:.,  
ორა: კუამლი: ბურდია შვილი:., იწე:., წითელაური:., მგელია:.  
ბათანთაღაძე:., შახუა: ვადა შვილი:., ორი: კუამლი:; მღებლურ:.  
ჭაბაჩუღლი:., ბათური:., ვახმა შებლი: მიწობლიძე: ენუქაური:.  
ნაობაური:., გოგინაური: მენაბდი: და ორი: სხვა: შვითაღმანი:

როგორც მოვიხსენიეთ, სიგელი წარმოადგენს ქართული ძველი კალიგრაფიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. სიგელის დამწერი—მთავარ-ეპისკოპოსი იოანე ავალიშვილი უნდა იყოს, როგორც ს. კაკაბაძე ფიქრობს, ის პირი, რომელსაც შესრულებული აქვს 1590-1600 წლის ახლოს ვეფხისტყაოსნის საუცხოვო მხატვრული ხელნაწერი.

ხსენებული იოანე ავალიშვილი პირველად ცხოვრობდა სამცხეში (საქ. სიძვ. III წ. გვ. 539) და ჯერ კიდევ 1600-1605 წ.წ. ახლოს კელმწიფის შვილის ბატონ ელენეს და მისი ძის ათაბაჯ მანუჩარის მიერ ბოძებულ სიგელში იხსენიება წინამძღვრად ალბათ საფარის მონასტრისა (საქ. სიძვ. III წ., გვ. 533 და საისტ. მოამბე წ. II, 24 წ., გვ. 158) და თავის ძმა ზაქარიასთან ერთად 1605 წ. უკვე ქართლში სჩანს (საქ. სიძვ. III წ., გვ. 534). 1609 წელს იოანე უკვე ქვათახევის მონასტრის წინამძღვრად არის (თ. ქორდ. ქრონიკ. II წ., გვ. 438 და საისტ. მოამბე II წ. 24 წ., გვ. 154). 1612 წ. იგი ალავერდის მთავარ-ეპისკოპოზია და მახლობელი პირიც თეიმურაზ I-ისა (საისტ. მოამბე II წ. 24 წ., 454—457.) შემდეგ ვხედავთ მას 1630 წ. ქართლის მთავარ-ეპისკოპოზად. ამ წლის სიგელში თეიმურაზი მას უწოდებს „კაცსა სწავლითა უფსკრულსა და ზეცის ბუღისა სრულსა და ფილოსოფოსსა“ (საქ. სიძვ. III წ. გვ. 539).

იოანეს მოღვაწეობის წლები დახლოვებით შეიძლება განსაზღვრულ იქნას შემდეგ ნაირად. დაახლოვებით 1590-1600 წლებში ის ჯერ კიდევ ერის კაცია, მას მხოლოდ 1605 წლის ახლოს ვხედავთ სასულიერო პირად და საფარის წინამძღვრად (საქ. სიძვ. III, გვ. 533). ხოლო რადგანაც საეკლესიო კანონის ძალით მღვდელი ოცდაათის წლის მაინც უნდა ყოფილიყო (მაგ., რუის-ურბნის კრების დადგენილებით), შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი დაბადებული ყოფილიყოს არა უგვიანეს 1565-70 წ. წ. იოანე მწყემსთმთავრობს 1610-1630 წ. წ. (საისტ. მოამბე II წ. 24 წ., გვ. 154—157 და საქ. სიძვ. III წ. გვ. 539), ხოლო 1639 წ. ის უკვე გარდაცვალებულად იხსენიება: სახელდობრ მეფე თეიმურაზ I-ის მიერ რუსეთის მეფე მიხეილთან მიწერილ წერილში 1639 წელს ვკითხულობთ: также господи́нъ Иоаннъ архіепископъ, который былъ образованный и добрый мужъ, въ старости умеръ (М. Броссе, Переписка Груз. Царей съ Россійск. Государями отъ 1639

до 1770. г. С.-Петербургъ 1861 г., 8). ის გარემოება, რომ თეიმურაზი თავის გრძელ მიმართვაში რუსეთის მეფე მიხეილისადმი საჭიროდ სთვლის იოანეს სიკვდილის აღნიშვნას, ცხადათ ამტკიცებს, რომ იოანე ავალიშვილი წარმოდგენდა მე-17 საუკ. პირველ ნახევარში მართლაც თვალსაჩინო მოღვაწეს. მის მიერ შესრულებული ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერი იძლევა საკმაოდ წარმოდგენას ამ ფრიალ საინტერესო პიროვნების—საუცხოვო კალიგრაფის და ჩინებულ მხატვრის—შესახებ. იოანეს პიროვნების საბოლოოდ გასარკვევად, რასაკვირველია, საჭირო იქნება ახალი მასალების დაგროვების მოცდა.

ზემოდ დაბეჭდილი სიგელი, გარეშე მისი დამწერის იოანეს პიროვნებისა, თავისთავად წარმოდგენს ქართული დიპლომატიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. როგორც ასეთი, თავისი შინაარსის მხრივ ის უნდა გამოყენებულ იქმნას სხვა ანალოგიურ საბუთებთან დაკავშირებით.



М. Полиевктов.

**КРЕСТОЦЕЛОВАЛЬНАЯ ЗАПИСЬ ИМЕРЕТИНСКОГО ЦАРЯ  
АЛЕКСАНДРА III. 9 ОКТЯБРЯ 1651 Г.****ВВЕДЕНИЕ**

В 1648 году имеретинский царь Александр III, находившийся между двумя огнями, персидским шахом Абасом II, изгнавшим в это время его тестя, кахетинского царя Теймураза, из его владений и посадившим в Тифлисе своего ставленника, царя Ростома, с одной стороны, и Леваном Даддани, с другой, обратился за защитой и покровительством к московскому царю Алексею Михайловичу. С этой целью из Имеретии было снаряжено в Москву посольство „черного попа Василея да его товарища Давида“ \*).

Москва в то время охотно давала (правильнее — обещала) такую защиту отдельным кавказским правителям, раз, с своей стороны, они выражали готовность „учиниться в подданстве великому государю, царю и великому князю всея Руси“. Речь, в данном случае, шла, конечно, не о подданстве в современном смысле этого слова. Москве было важно заручиться со стороны кавказских правителей обещанием вечного союза дружбы и помощи, главным образом, против Турции, Персии, Крыма. С своей стороны, из Москвы за это посылалось им денежная субсидия, «государево жалованье». В соответствующих случаях московское правительство пыталось дипломатическим путем защищать их интересы, вступая в переговоры об этом с персидским шахом или турецким султаном. Вступая в такого рода отношения к кавказским правителям, Москва требовала от них так называемых «записей» — «крестоцеловальных», когда дело шло о христианских правителях, и «шертных», когда то были мусульмане. Содержание этих записей в каждом отдельном случае могло в деталях варьиро-

\*) I Отделение Государственного Архива Р. С. Ф. С. Р. (б. Московский Архив Министерства Иностранных Дел); Дела Грузинские 1649 г., № 3. Имеретинские послы прибыли в Москву 30 июля 1649 г. Принимая во внимание, что путь из нынешней Грузии в Москву длился в то время иногда около года, можно предполагать, что отправление посольства из Имеретии состоялось в последних месяцах 1648 г.

ваться; в своей основе, это всегда был договор полувассального, полумеждународного характера.

Сочувственно отнеслись в Москве и к обращению имеретинского царя, и в июне 1650 г. в Имеретию для взятия с царя Александра крестоцеловальной записи было отправлено посольство. Посланниками были назначены стольник Никифор Матвеевич Толочанов и дьяк Алексей Иванович Иевлев. Посольство прибыло в Кутаис только к июню 1651 г. Переговоры точно также, в силу целого ряда приводящих причин, затянулись, но в конце концов закончились успешно. 14 сентября 1651 г., в день празднования воздвиженья креста господня царь Александр после обедни поцеловал крест, а 9 октября в ограде кутаисского собора эта присяга была скреплена «крестоцеловальной записью» \*).

Этот документ хранится в том же б. Московском Архиве М-ства Ин. Д., в отделе «Грузинские трактаты» под № 7. В архивских описях он помечен не датой его подписания царем Александром и его приближенными, но датой целования креста \*\*). Документ, на русском языке, написан на большом листе бумаге, «в десть» (ок. 10 × 8 верш.) мелкою, но четкою скорописью середины XVII века. Заглавная буква изукрашена черным орнаментом, характерными для русской орнаментировки XVII века «травмами». В тексте собственные имена духовных лиц переданы, в общем, правильно. Имена тавадов, при их транскрипции на русский язык, подверглись некоторым искажениям, не

\*) Грузинские источники о переговорах царя Александра с Москвою упоминают лишь вскользь. Главным источником по этому вопросу остается «Статейный список посольства Никифора Михайловича (sic! опечатка—М. П.) Толочанова в Грузию 7158 (1650) года», изданный еще Новиковым в «Древней Российской Вивлиоик», изд. 2-е (1788 г.), ч. V. Это—не официальный статейный список посольства, но его переработка, принадлежащая второму послу, дьяку Алексею Иевлеву. Основной материал по этому вопросу—документы б. Моск. Арх. Мин. Ин. Д., оставшиеся до настоящего времени неизданными. В свое время С. Соловьев в своей «Истории России» (т. XII, гл. 5-я) сообщил некоторые, очень краткие, сведения, почерпнутые из этих документов, по данному вопросу. Акад. М. Броссе («Examen critique des annales géorgiennes, pour les temps modernes, par moyen des documents russes»—Bull. hist.-phil. de l'Acad. Imp. de St. Ptersb., tt. II—III, 1845), хотя и использовал для истории сношений Грузии с Москвою документы Моск. Арх. Ин. Д., но в изложении истории посольства 1650—51 гг. придерживается, главным образом, той же редакции, которая дана у Новикова. В настоящее время документы б. Моск. Арх. Ин. Д., относящиеся к этому посольству, подготовлены мною к печати.

\*\*) «1651, сентября 14. Запись имеретинского царя Александра о бытии ему в вѣчномъ поудѣ державою царя Алексѣя Михайловича подданствѣ, съ сыномъ, братомъ и духовными чинами, учиненная при российскихъ посланникахъ Никифорѣ Толочановѣ и дьякѣ Алексѣѣ Иевлевѣ.

настолько, однако, сильным, чтобы нельзя было восстановить их правильное написание. Чтение документа в этой его части облегчается еще и тем, что в перечне каждое лицо (сан, фамилия и имя) отделяется от следующего точкою. Интересно отметить, что во всех тех случаях, где в документе грузинское окончание ღჱ передается не «дзе», а «зе», из двух звуков древне-русской азбуки для буквы з всегда пишется не «земля», но «зѣло».

В конце документа оттиснута черная печать царя Александра овальной формы, около вершка в длину. В середине печати, в продольном направлении два четырехконечных креста, вокруг которых спирально надпись: „მონა ღთისა მეფე ალექსანდრე გიორგის შვილი ყმა დიდის მოსკოვის ხელმწიფე[ი]ს მიხეილის შვილის“. Против печати на полях записи наклеен листок с современным документу переводом: «Переведено с печати, которая у крестоцеловальной записи царя Александра имеретинского с картвельского языка на русский. А в печати пишет: яз царь Александр меретинские земли с сыном своим Багратам и с братом своим с Мамукою вечной холоц г ц и в к А. М. в. Р.» \*).

Кроме печати на документе подписи, частью обычным письмом, частью вязью, следующих лиц: митрополитов - кутаисского Симеона и гелатского Захария; архиепископов — цагверского Гавриила, никорциндского Давида и (хопского?) Симона; епископа Космы; архимандритов Василия, Симона и Евдемона; еристава Папуны, тавада Кайхосро Иашвили, государственного казначея Ломкаци (Джапаридзе) и государственного секретаря Пешанги.

Документ не датирован. Дата его устанавливается соответствующими местами статейного списка.

Крестоцеловальная запись царя Александра была напечатана в «Полном Собрании Законов» (т. I, № 44) с ошибочною датой: 1650 г. Текст самой записи, не считая общих отступлений от старо-русского правописания, передан правильно. Правильно переданы и имена внесенных в запись духовных лиц. Имена тавадов, сравнительно с оригиналом, напечатаны с ошибками, при чем эти ошибки еще более отдаляют эти имена от их правильного грузинского начертания. Со-

\*) Из статейного списка мы узнаем, что послы перед скреплением присяги, осмотрев обычную царскую печать, не удовлетворились ею и потребовали, чтобы была сделана новая, дав текст надписи, которая должна быть на ней вырезана. Их желанию, как мы теперь видим, было удовлетворено лишь отчасти. Текст надписи, данный послами, вполне соответствует только что приведенному переводу.

ставители П. С. З. не приняв, между прочим, во внимание указанное выше отделение каждого лица от следующего точкою, и вследствие этого внесли еще большую путаницу. Подписи в П. С. З. не помещены; о печати не упоминается.

Акад. М. Броссе\*) видел оригинал записи в Московском Архиве. Он отмечает ошибку в годе в П. С. З., но, следуя архивной описи, датирует запись днем целования креста — 14 сентября. Он правильно прочел надпись на печати и сообщает имена лиц, подписавших запись. В передаче имен тавадов он следует, однако, не оригиналу, но П. С. З.-ов.

В виду того, что это документ может представлять большой интерес как для грузинской, так и для русской исторической науки, даем точное воспроизведение его текста по оригиналу. Правописание подлинника сохранено. Допущены лишь обычные при издании документов сокращения в титуловании: «в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с.» вместо «великий государь, царь и великий князь Алексей Михайлович всеа Русии самодержец» и «е. ц-ое в-во» вместо «его царское величество». В подписях вязь, поскольку ее удалось прочесть, передается разбивкой.

#### Т Е К С Т.

Целую сей святыи и животворящий крест, господень в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и е. ц-ого в-ва дедом я Александр царь, начальник меретинские земли и с сыном своим царевичем Багратам и с братом своим царевичем Мамукою, да белых властей: каталикос Максим, митрополит Симеон, митрополит Захарей, архиепископ Гавриил, архиепископ Симон, архиепископ Давид, епископ Дометий, епископ Козма, архимандрит Василей, архимандрит Андрей, архимандрит Авдемон, архимандрит Димитрий, архимандрит Гавриил, архимандрит Симон, архимандрит Григорей, игумен Давид, игумен Симеон, игумен Симоп, игумен Иосиф, игумен Симон, игумен Филипп, игумен Николаос, игумен Симон, игумен Захарей, игумен Феодосей, да тавади, а поруски бояре и ближние люди царевы: эристав Папуна, цыхистави Теймураз, сатхъ-хуцесы Зуран, Чиджавазы Сазверели, Абашидзе Пата, Яшули Кайхосров, Чилазе Кахута, бакаултаухуцесы Паремиза, Хинзе Папуна, Чхензе Леван, Абашидзе Бака, Черкес Георгий, Абашидзе Кайхосров, Инасаредзе Кайхосров, Лорткипаризе Отня, Жепаризе Канса,

\*) Op. cit., ч. IV, 18—19.



Сакварелизе Георгий, Джапаризе Ломкацы, Хепдзе Пирин, Джапаридзе Квели, Сулукидзе Георгий, Квиташули Берука, Яшули Кацья, Джапаризе Георгий, кидеви Яшули Кацья, ГогAPERИзе Пацья, Нижаразе Георгий, Хеизе Хосия, Нижаразе Баадыр, Абашидзе Кацья, Хентзи Ямада, Сакварелизе Георгий, Хеизе Хосья, Амиляхари Парсадан, Абашидзе Георгий, Амиреджиб Байхосров, Ламенадзе Вахтан, Гаганидзе Георгий, Церетиле Давид, Церетиле Заал, Церетиле Байхосров, Абашидзе Берука, Абашидзе Георгий, Палавандишули Шпош, Абашидзе Шпош, Абашидзе Гошия, Сакварелизе Георгий, Лашхишули Хосья, Джапаризе Мамука. Думной дияе Пешенга Амирев. И за всю меретинскую землю, на том, что посылал есмь к в. ц. и в. к. А. М. в. Р. с. бити челап послов своих игумена Василья да товарища его Давида, чтобы в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. меня Александра царя и всю меретинскую землю пожаловал, держал под своею царскою высокою рукою, в своем царском имени и во обороне, и от своей бы царские руки не отринул. И в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. пожаловал меня и всю мою меретинскую землю под свою царскую высокую руку и во оборону принял. И мне Александру царю и моим детям, царевичю Баграту, и брату моему царевичю Мамуке, и всей моей меретинской земле быти под в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и его государских детей под их ц-ого в-ва высокою рукою, и от него в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и от е. ц-ого в-ва дети быти неотступну. И лиха мне, и моим детям, и моему брату, и всей земле меретинской в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и е. ц-ого в-ва детем не хотети и не мыслити. И от в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и е. ц-ого в-ва детей ни х кому не приставати, и людей своих ни кому на помощь для войны на в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и е. ц-ого в-ва детей земли и ни на которые места не посылати. И в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и е. ц-ого в-ва детей другу быти другом, а недругу быти недругом. А хто будет в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и е. ц-ого в-ва детям друг, тот и мне царю Александру друг. А хто в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и е. ц-ого в-ва детем недруг, тот и мне царю Александру недруг. А которые мои люди меретинские земли учнут государевым людям, которые будут в государевых городех на Терке, и в Астарахани, и в ьных городех, какое лихо мыслить, и приезжая в те города учнут

воровать или какую измену делати, и мне тех своих людей меретинские земли смыскивая про их вины, казнити и от воровства унимати. И быти мне, и моим детям, и моему брату, со всею меретинскою землею в повеленье в. г. ц. и в. к. А. М. в. Р. с. и е ц-ого в ва детей и от них государей не отставати ни которыми обычаи, ни которою хитростью, и во всем им государем мне прямати и добра хотети по сей записи до своего живота, как всеи записи писано.

Печать и подписи:

ქუთათისისა: და პალიასტომასა: ყოვლად წმიდისა: მიტროპოლიტი სვიმეონ: ქუთათელი.

ქ: გელათისა: მიტროპოლიტი: ზაქარია: გენათელი:

ცაგერისა: ყოვლად: წილისა: არქიეპისკოპოსი: გაბრიელ: გაბრიელი:

მთავარების: კობოზი: სვიმონ

არქი: ეფისკოპო: ნიკორწმიდელი: დავით: ნიკორწმიდელი:

ევდემონ

კოზმან: კოზმანი: ეფისკოპოზ:

არქიმადრიტი: ბასილი:

არქიმანდიტი: სვიმონ:


ყოვლად: წილისა: ლტის: მშობელის: არქიმანდრიტი: ევდემონ: ევდემონ.

ქ: ერისთავა: პაპუნა:

ქ: ქაიხოსრო: ქაიხოსრო: (bis) იაშვილი:

ქ: მოწალეთ: უხუცესი: ლომკაცი: ლომკაცი:

ფეშანგი



Грузинские печать и подписи под крестоцеловальной записью и. Александра III Имеретинского (прорись по фотографии Центрархиву Грузии).

სსრმის კაპიტალიზმი.

ცნობები ილორის უმათა შესახებ ხონს და კუხს.

ქუთაისის მუზეუმში აღმოჩნდა საყურადღებო საბუთები, რომლებიც ეხება ილორის წმ. გიორგის მონასტრის ყმებს ხონს და კუხში მე-18 საუკ. სიგრძეზე. საბუთები საინტერესოა უმთავრესად იმით, რომ გვაძლევენ საშუალებას ამ პატარა მაგალითზე რამოდენადმე წარმოვადგინო ვიქონით ქვემო-იმერეთში მე-18 საუკუნეში მოსახლეობის მოძრაობის შესახებ. ილორის მონასტრის ხონში ყმებად ყოლია ქავჭანიძეები, ხოლო კუხში კაკაბაძეები. ხუთი კვამლი ქავჭანიძე ილორის ყმად ხონს მოხსენებულია ჯერ კიდევ 1660 წ. ალექსანდრე იმერთა მეფის ერთს საბუთში. „ხვანთქრის ხარაჯას იმერეთს მოკრებდენ, მოკითხული ვქენით და არ გარახდათ (sic) და ხონის წმინდის გიორგის ყმას და ხუთს კუამლს კაცს ილორის წმინდის გიორგის ყმას... ვინც... შენს (იგულისხმება ხონის წმ. გიორგი) ხუთს კვამლს კაცს ქაუჭანიძეს ილორის ყმას ხვანთქრის ხარაჯა გარდავახდევინოს, (წვეუდი იფოს. ს. კაკაბ., დასავლ. საქ. საეკლ. საბუთები, II, 173). ამ საბუთიდან სჩანს, რომ ილორს ხონში ყმები ყოლია მე-17 საუკუნის სახეგარშიც. 1730 წ. ილორს ყმები მიეცა კუხშიც. სახელდობრ, ალექსანდრე იმერთა მეფემ ამ წელს ილორს შესწირა კუხში „ოთხი კარგი გლეხი კაკაბაძე“ (ქვემოლ, გვ. 163, საბუთი ალექსანდრე მეფისა). მიზეზი შეწირვისა იყო აღთქმა დადებული მეფის-მიერ, როდესაც ის ოსმალთაგან ლტოლვილი მოადგა თავისი ჯარით აღიდებულ მდ. ენგურს და „ვერ უძლო მოსლვა“. ვახუშტი ამ ლაშქრობის ამბავს შეცდომით აკუთვნებს 1733 წ. სახელდობრ ის გადმოგვცემს, რომ ფოთიდან აზოვის მიმართულებით მოლაშქრე ოსმალთა ჯარს გაყოლილი ალექსანდრე მეფე მდ. კოდორის გადასვლის შემდეგ გამოექცა ოსმალებს. ღამე ალექსანდრემ და იმერთ „დაუტევეს ყოველნი სამიძმარნი თვისნი, წარმოვიდეს, ვლეს ორი დღე და ღამე და მოვიდნენ ეგრისის მდინარესა ზედა. მაშინ ეწიენ ოსმალნი აფხაზითურთ და იმერთა განამაგრეს კიდე მდინარისა. მერმე შემოვიდა მეფე წარჩინებულითა თვისითა და გამოხდნენ მდინარესა და ჩაოდნენი დაშთნენ, წარიყვანეს ოსმალთა ტყვედ“ (ქ. ცხ. II, 233). როგორც სჩანს, სწორედ ამ დროს, ენგურზე გამოსვლისას, უნდა იყოს მეფის მიერ მიცემული აღთქმა ოთხი გლეხის ილორისადმი შეწირვის შესახებ.

მოსახლეობის მოძრაობის დასახასიათებლად ქვემო-იმერეთში მე-17 — 18 საუკ. სიგარტზე საყურადღებოა, რომ 1785 წ. ილორის ყმა ყოფილა — კუხში 5 კომლი კაკაბაძე და ხონს 13 გლეხი ჭავჭიანიძე. 1730 წლიდან 4 კომლი კაკაბაძე გადაქცეულა 5 კომლად, ხოლო 1660 წლიდან 5 კომლი ჭავჭიანიძე — 13 კომლად. 1793 წლის სიგელში (ქვემოლ, გვ. 168) უკვე მოხსენებულია ჭავჭიანიძეები ხონს 16 მოსახლე და კუხს 6 კომლი კაკაბაძე. 1819 წელს კიდევ (1811—1812 წლების უამის შემდეგ) ხონში ილორის ყმა ჭავჭიანიძე ირიცხებოდა 9 კომლი, ხოლო კუხს კაკაბაძე — ისევ 6 კომლი (მოსახლეობის მოძრაობის შესახებ იმერეთში მე-18 ს-ში იხ. ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი საქართვე. ისტორ., საკითხ. შესახებ, ტფ. 1920 წ., 43—48).

გარდა მოსახლეობის მოძრაობის შესახებ დამახასიათებელ ფაქტისა საბუთებს აქვს კიდევ, რასაკვირველია, თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობაც. მოგვეყავს ეს საბუთები.

1730 წ. ალექსანდრე იმერეთა მეფის მიერ მიცემული საბუთი ილორის ტაძრისთვის კუხს 4 კომლი კაკაბაძის შეწირვის შესახებ. ამ საბუთის მოაღწია ჩვენამდის მხოლოდ პირმა, რომელიც, როგორც მინაწერიდან სჩანს, გადაწერილია 1801 წ. ოსე გაბაონის მერ. საბუთის პირი დაწერილია ლურჯ ქაღალდზე. ნიშნად იშვიათად იხმარება წერტილი, მძიმე და ორი წერტილი. გადამწერის ნიშნებს და უ-ს არ ვიცავთ.

ქ. უდ დიდებული ესე დიდი და უძლეველი და ახოვანება მკედართა წა მოწამე გიორგი იქებოდენ ჩვენ შრ, რლი ლამპრებრ მგზებარეობითა აღუნთებს ყოველთა ნათელსა და პატროსანნი ნაწილნი მისნი აღასრულებენ ნიშთა და სასწაულთა საკვირველთა, რლი ესე უცხოლ საკვირველბათა ძლიერება ქვეყანასა ჩვენსა ილორს ილორს (his) ეკლესიასა წისა ამის მოწამისასა, რ წლითი წლად დღესასწაულსა მისსა კარი დამაშურალი მის შრ მოიყუანების ყთა სახილველად და ისწავების განსაკვირვებელად და სხუანიცა ფრიალნი ძლიერებანი და კურნებანი იქმნებიან ჩვენ შრ სულიერნი და კორციელნი. მეოხებითა მისითა, არა ინება ესე მოშურნემან მან ეშმაკმან და მოიწივნეს ცოდვითა ჩვენთათვის ხუანთქრისა ფაშანი და აგარიანთა უსჯულოთა ჯართა სიმრავლე და იავარ ჰყვეს მონასტერი წისა გიორგისა. ამათ უამთა ჩვენცა ლიხთიმერეთისა საქართველოსა მეფეთა ძირთაგან და რტოთა დაფითიანთა სოლომონიან პანკრატოანთაგან აღმოსრული ალექსანდრე თანახლებითა საკელმწიფოსა ჩვენისა ლაშქართათა წარვემართენით მოხილვად წარმართთა და ვიხილეთ რა სიფიცხოლე აპპარტუანებისა მისისა და დარღვევა სასწაულისა წისა გიორგისა, მოვიძულე კრებული უკე-



თურთა და უღოთთა თანა მე არა დავსჯედ, წარკოველით ლტოლ-  
ვილნი და მოვედით მდინარესა მას ენგურისასა. იღელვებოდა სა-  
შინელად და ვერ უძლეთ ამიერ მოსლვად და იმიერ აფხაზნი გვებ-  
რძოლებოდეს ვინაცა მათ ეჟმთა და [კვი]მარცხდა და დაგუქარდა  
საქმე. ხ<sup>ნ</sup> გვედრენით შენ, შვიდ გზის უძლევლო მოწამეო, და აღ-  
გიჟეთ შემოწირულობა ნებთა ღ<sup>თ</sup>ისათა და გამორჩევითა ბრძა-  
ნებისა მისისათა და ყოველთა წმინდათა მისთა უკორცოთა და  
კორციელთასა, ამითთა ძლიერებითა მოგართვით და შემოგწირეთ  
შენ ახოვნებისა და მტკიცედ მოღვაწებისა შარავანდედო და ბარ-  
ბითისა მრავალძალ სამ წყობისა უშვენიერეს საძნობარო ქ<sup>ეს</sup> ას-  
პარესთა წინა მსრბოლო გიორგი განსაკვირვებლო, შემოგწირეთ  
კუხს ოთხი კარგი გლეხი კაკაბაძე საძლეველად წინააღმდეგომთა  
მტერთა ჩვენთა უხილავთა და ხილულთა, რ<sup>ა</sup> თანამავალ იყო  
ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა და წარმართო მორბედობა  
მეფობისა ჩვენისა და სიმტკიცე მკლავისა ჩემისა კეთილად ამიერ  
მტერთა საზარელად და მუნ [სასუფე]ველსა ცათასა განაბრწყინვო  
ლამპარი ცოდვილისა სულისა ჩემისა და ჩვენ მ<sup>რ</sup> [შეწი]რულისა  
გლეხთა განგება ესრეთ დაგვიმტკიცებია. საკლავი ედვით და მათ  
წილ სამთელი დაგვიცს წ<sup>ე</sup> ხატისა წ<sup>ის</sup>ა გიორგისსა ლამპრად  
და საოხად ორკერძოსავე ცხოვრებისა ჩვენისათვის და სახსრად და  
საოხად ორკერძოსავე ცხოვრებისა ჩვენისათვის და სხუას ჩვენსა  
სამსახურსა და მართებულსა წინამძღუარნი და ზოვად ძმანი და  
მამანი მღუღელნი იმსახურებდენ და გიორგობას ჩვენთვის ერთი  
მღუღელი ხლებითა დიაკონთათა მსხუერპლსა უსისხლოსა შესწირ-  
ვიდენ და მოიხსენებდენ სულსა ჩემსა. უკეთუ ვინმე იკადროს  
ამისა მოშლად მეფემან ანუ უფლისწულთა, ეპისკოპოსთა და მო-  
ნაზონთა, დიდებულთა და აზნაურთაგანმან კელჰყოს ამისა მოშ-  
ლოდ ანუ ყიდვად და ოხრებად, შენ შერიხხდი საქურველ[ი]თა  
ძლიერებისა შენისათა, ღირსო ნეტარებისაო და მოწამეო და ცო-  
დვათა ჩემთა წილმცა დაისაჯება საშინელსა მას სამსჯავროსა ქრი-  
სტესსა, იგიმცა კაცი შეიჩვენება წ<sup>თა</sup> პატრიარხთაგან და დიდე-  
ბულთა მღუღელთმოდღუართა მ<sup>რ</sup>, მასმცა შეედება ვალებულება  
კინ და იუდასი, დანთქმა დათან და აბირონისი, სტუმრებულ სე-  
რობა სოდომელთა და გომორელთასა: ხ<sup>ნ</sup> ჯარისა (sic) ჩვენისა ვა-  
ქილ ვეზირნო და მდივანბეგნო და მოსაჯულნო, თქვენც აგრე  
დაამტკიცეთ ბრძანება გულს მოდგინებისა ჩვენისა. კურთხეულ უფ-  
ლისა მიერ დამამტკიცებელნი ამისნი და სახსენებელი მისი  
ფესლითი თესლადმდე და შეწირული ეს ჩვენ მ<sup>რ</sup> კვლდებულ იყოს  
ქ<sup>თა</sup> დედოფალთა მ<sup>რ</sup>, რ<sup>ა</sup> არავინ იკადროს ამ ზ<sup>ა</sup> უსამართ-

ლოება. დაიწერა სიგელი ესე და ბრძანება სამეფო კელითა უღირ-  
სისა ბერისა ჯვარის მამის ტიმოთესითა თვესა მარტსა იზ. ქო-  
რონიკონსა უიცი.

ხ მე დიდის შრომით დაძველებული და დახეული გარდმოგწერე  
უღირსმან მლუდელმან გაბაონმან ოსე თვესა ფებერვალსა კბ. ქვეს  
აქათ ჩყა.

დედანი ეთფილა ხეუელი ხელის მოწერა: მეფე ალექსანდრე ვამტკი-  
ცებ ნებითა ღვთისათა.

1760 წ. სოლომონ I-ის მიერ მიცემული საბუთი ილორის ტაძ-  
რის კუთვნილ ქავჭიანიძეთა შვსახებ, დაწერილია თეთრს ქალაღზე,  
დიდად დაზიანებულია, ნიშნად იხმარება ყოველი სიტყვის შემდეგ თითო  
წერტილი.

ქ [სახელითა და მეოხებითა] მამისა ძისა და სულისა წმიდისათა  
და შუამდგომლობითა უბიწოსა მის კსნისა ჩვენისა შუამდგომელისა  
მარადის ქალწულისა მარიამისათა, ძლიერებითა ცხოველსყოფე-  
ლისა ძელისათა, წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემელისა იოგა-  
ნესითა, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მღვდელთა მოძღვართა  
და ყოველთა მოწამეთა მღთისათა ღვთისათა (sic) ესე ამიერიდგან  
უკუნისამდე გასათავებელი სიგელი მოგპრთვი შენ მთავარ მოწამეს  
ილორის წმინდას გიორგის ჩვენ ოხათა შენთა მინდობილმან  
იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვანმან ღვთივ ცხებულმან  
პატრონმან მეფეთ მეფემ სოლომონ და თანამეცხედრემ ჩვენმან  
ბატონმან დედოფალთა დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ,  
ძემ ჩვენმან ალექსანდრემ, ასე და ამა პირსა ზედან, რომ ძვე-  
ლად ჩვენთა მამაპაპათავან ხონს ქავჭიანიძენი თქვენი შეწირული  
იყო, მერმეთ ჟამთა ვითარებისაგან საერისკაცოდ გამხდარიყო.  
ახლა ვიგულსმოღვინეთ და კელახლა შამოგწირეთ, რაც ამ ჩვენს  
ქვეყანაშიდ მამული შენი შეწირული იყო, მოგართვით, საცა ხე-  
ლი შეგვივიდოდა, ინე თქვენს წინამძღვარს ანდრა--(აქ ერთი სიტ-  
ყვა არ სჩანს) დავითს მოგაბარეთ. აწ რამანც ძემან კაცისამან შენს  
ტაძარს ეს ჩვენგან შეწირულობა მოუშალოს, საერისკაცოდ გა-  
ხადოს დან (sic) შლად ხელყოს და გამოახვას მეფემან ან დედოფალ-  
მან, დიდმან ან მცირემან, მასამც რისხავს სამებით დიდებული  
ღმერთი და ძისა მღთისა უბიწოდ მშობელი ქალწული მარიამ,  
ანგელოზნი და მთავარანგელოზნი, წინამორბედი იოვანე და ყოველ-  
ნი წმინდანი ღვთისანი ზეცისანი და ქვეყანისანი, უხორცონი და  
ხორციელნი. რამანც ძემან კაცისამან ამისდა შლად კელყოს, შე-  
ჩვენებულყოფს შეიღთა კრებათაგან, ოთხთა პატრიარქთაგან და

ჩვენის მწყემს მთავრის კათალიკოზის ბესარიონის და მისთა კრე-  
[ბულისაგან], კათალიკოზთა, მიტროპოლი[ტთა, მონაქონთა  
მღვდელთა და დიაკონთაგან და ყოველთა [ადამის ტომ]თაგან  
ამინ. არის მოწამე ამისი ღმერთი და [ყოველნი მისნი წმინდანი  
ზეცისანი და] ქვეყანისანი, უკორცონი [და კორციელნი. კაცთა-  
გან ძმა ჩვენი] გენათელი უფლის[წული იოსებ, უფლის----- [ქუ]-  
თათელი მთავარეპისკოპოსი იოსებ, [ერთო]ბათ მიქელაძე, ნიჟა-  
რაძე, წულუკიძე, ლორთქიბნიძე და ლოლაბერიძე, კარისა ჩვე-  
ნისა გამგენი სახლთუხუცესი მესხი პატა, ქილიფთართ უხუცესი მხე-  
იძე ვახუშტი (ეს 4 სიტყ. ჩამატებულია), ქეშიკო უხუცესი აგიასშვილი  
ქაიხოსრო, მესტუმრეთ უხუცესი (აქ ორა სიტყვის ადგილი დატოვაუ-  
ლია), სხვანი ყოველნი ერთობით გამგენი სახლისა ჩვენისანი, დი-  
დნი და მკირენი. მე არქიმანდრიტს ლოლაბერიძეს სილივისტროს  
დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა სიგელი ესე [ძველად  
შეწირულობისა განსახლებელი, ქრისტეს აქეთ ჩღ, თვესა მარტ-  
სა კე.

ბეჭედი: [მონა ლეთისა ყვა ხონთქრისა] მეფე სოლომონ.

**1785 წ.** დავით მეფის მიერ მიცემული საბუთი ილორის ტაძრის  
ზონსა და კუბში კუთვნილ გლეხების შესახებ, დაწერილია თეთრს ქა-  
ღალღზე, იბეჭდება უცვლელად ნიშნების დაცვით.

შენ ქრისტეს მღუთისა სიტყვიერისა ვენაკისა შენეიერისა რქასა  
შვიდგზის უძღვევლსა დიდსა მოწამესა ქრისტესსა, ილორისა მთა-  
ვარმოწამესა გიორგის, ჩვენ მადლთა შენთა წმიდათა შეურყვევლად  
სასაობისა ზედა დამდებელმან, და მიმდემად შეწვევისა შენისა მე-  
ძიებელმან მეფემან ყოვლისა საიმერეთოსამან დავითიანმან დავით  
თანად ერთკორცე ქმნილისა ჩვენთანა დედუფალთ დეჟუფლისა ანნა  
ორბელ ყაფლანიითა. უბრწყინვალესისა ასულით ვიგულმოდგინეთ,  
სულთა და კორცთა ჩვენთა საოხად საძიებელი საქმე ესე. რომე-  
ლიცა უწინარეს კურთხეულსა დიდსა მეფესა ალექსანდრეს სათნო  
ყოფითა და კეთილ სინიდილითა თვისითა. ხონს ჰავჭიანიძენი სახვან-  
თქროს საურისაგან შენნი ყმანი თავისუფალ ექანა და დღეთა და  
დროთა სიგრძისაგან. შენდა (sic) შემოწირულნი ყმანიც. ავთა ჟამ-  
თა შეხდომით საოხროდ და უპატიოდ გაეხადათ და შეწირულობის  
წიგნებიც სიძველითა შეშლილი და განხრწნილ იყვნეს. ვგრეთვე  
კუხს მოსახლენი შენდა შეწირულნი გლეხნი. სხვათაგან იმსახურებო-  
დენ და შენსა წმიდასა ეკლესიასა მოკლებულ ჰყავდენ: აწ მინდობილ-  
თა სახელისა შენისა წმიდისათა დიდო მცედარო მღუთისაო გიორ-  
გი, მრავალ ძიებით და სამარჯვლად გამოაკვლევით. ყოველნივე

ყმანი შენნი მოკიახულ ვყვენით. და ერთად შევკრიბენით. ხონს წმიდასა ეკლესიასა მოსრულთა და თითოეულად საკელდებით აღგიწერეთ, მსახურად ილორის ეკლესიისად, და ამასთანა ძველნი წერილნი მეფეთანი შევაშოვნენით. ვითარ აცხადებდა წერილი შენაწირი. დიდისა მეფისა ალექსანდრესი. და მეორისა მეფისა ალექსანდრესიცა და კვალად სხვაი. კურთხეულისა და ძლიერისა მეფისა სოლომონისი. რომელთაცა სიმართლით და სამართლად ასევე დაემტკიცებინათ. გარნა. უზრუნველობითა და უპატიობითა, თუ დაძველებულიყვნეს მეფეთა წერილნი. ხ ჩვენ წყალობითა შენითა და შეწვენათა ოხისა მთხოველთა: ჩვენცა ესრეთვე ვითენით და ესრეთ განვაგეთ და ესრეთ კეთილ განჩევით დაემტკიცეთ პირველვე ესრეთ შეწირულნი ყმანი შენნი: ხონს მოსახლე გლეხი ქამქიანიძე კაკურია; მეორე გლეხი ხონს ქამქიანიძე ივანა; მესამე გლეხი ხონს ქამქიანიძე დავითა; მეოთხე გლეხი ხონს ქამქიანიძე სვიმონიკა; მეხუთე გლეხი ხონს ქამქიანიძე ხუცესი სვიმონ; მეექვსე გლეხი ხონს ქამქიანიძე მოგელივი; მეშვიდე გლეხი ხონს ქავქიანიძე სვიმონიკა. მერვე გლეხი ხონს ქავქიანიძე გიორგი; მეცხრე გლეხი ხონს ქავქიანიძე სვიმონიკა. მეათე გლეხი ხონს ქავქიანიძე გიორგი; მეათერთმეტე გლეხი ხონს ქავქიანიძე მოგელია; მეათორმეტე გლეხი ხონს ქავქიანიძე მამისთვალი. მეათცამეტე გლეხი ხონს ქამქიანიძე გიორგელა: ამას გარდა კუხს მოსახლე ერთი გლეხი კაკაბაძე მამისთვალი; მეორე გლეხი კუხს კაკაბაძე ხვიჩარეი; მესამე გლეხი კუხს მოსახლე [გიო]რგი; მეოთხე კაკაბაძე კუხს მოსახლე მამისთვალი და მეხუთე გლეხი კუხს მოსახლე კაკაბაძე მახარობელი ესენი ერთობით გამოვიძიეთ და კდ განგვიახლებია. ამ პირობით რომ. [თუ არა] სამეფო საქვეყნოს სამსახურის გარდა რაც ბეგარა ან საუდიერო მართებოდესთ შენაწირავის დავთრისაებრ ილორის წმიდის გიორგის ეკლესიასა [და ხატს მიერთმეოდეს უნაკლულოდ. ასე რომ სხვას კელი ამაში არავის ქონდეს: მეორედ ესრეთ რომ ავის დროსა და უსამართლოებისაგან დიდის მეფის ალექსანდრეს ამოკვეთილი სახვანთქროს საური მრავალჯერ გარდახდოდათ და რომეოდათ. და აწ ჩვენ მიერ, არაოდესდა ეთხოვოს და არც გარდახდეს და ყოველითურთ სამსახურით შენს წმიდას ხატს მსახურებდენ, და შენს. წმიდასა ეკლესიასა შინა ყოველს წელიწადს შენს წმიდას დღესასწაულობის დღესა ჩვენთა სულთა და კორცთათვის ყაჰს გვიწირვიდენ და მოგვიხსენებდენ წინაშე ხატისა შენისა წმიდისა რ ყოველივე სასოებია ჩვენი შენდამი დამოკიდებულ არს და შენითა ძლიერებითა დავესთრგუნავთ მტერთა ხილვადათა და უხილავთა: ამიერითგან.



ნუმცა და ვინმე იკადრებენ მეფენი გინა დედუფალნი. ნუ უფლოს წუღნი და ნუცა მთავარნი კადრებად და შლად ამისსა. რ' დიდი შემწე არს მეფეთა და მსასოებელთა თვისთა: და სხუათა მეფეთა და პირველ ჩვენსა ყოფილთა პატრონთაცა ესრეთვე და- უმტკიცებიათ და ესრეთ განუგიათ. ხოლო უკეთუ არა რიდოს ვინმე და იკადროსმცა კელყოფად და შეშლად ამისსა. იყავნ კაცი იგი გინა მდედრი ქრისტეს სიტყვიერისა ვენახისაგან უცხო ქმნილ და მოკვეთილ. და შენმან ძლიერმან კელმან დიდო მოწამეო ქრის- სტესო. დააკვეთენმცა მასვე წამსა შინა პირდამართ მიწასა ზედან და ღრმამან დანახეთქმან შთანთქენინ კორცნი მისნი და სულნი, და ჩვენთა ბრალთა წილმცა და საჯენინ შენმან მაცხოვარმან დღესა მას საშინელსა სამსჯავროისასა. ჰი ქ'ეს მღუთისა ჩვენისა მთავარ მო- წამეო გიორგი: და რომელთაცა ესრეთ დაამტკიცონ და ყოველი ამას შინა წერილი ესრეთ ჩვენებრვე აღასრულონ. შემწე ეყავნ მათ ძლიერი მარჯვენე შენი და დაიცვენ შეიდ გზის უძლეველითა მკლავითა შენითა ყოველსა შინა ძრვასა და დაწყნარებასა ამინ: აწ არიან მოწამედ ამისსა. ღმერთი და ყოველნი სათნონი მღუთისანი. და კვლად ჩვენნი სასონი წმიდანი და ყ'დ სამღუდელონი. უფა- ლი ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს. გაენათელ მიტროპო- ლიტი უფალი ეფთვიმი. და მთავარებისკოპოსი უფალი ანტონი. და ამათანა. სამღუდელონიცა დასნი, ყ'დ მოწამედ არიან. ყოველნი დიდებულნი თავადნი და სარდალმოურავნი ჩვენისა ამის ქვეყანი- სანი. რომელთა თანა უმაღლესისა ბრძანებითა მე ყ'დ უმდაბლესს მონასა მეფისასა მდივანთ უხუცესს გაბაშვილს ბესარიონს დამიწე- რიან კელითა ჩემითა განსაძლიერებელად კეთილად მსახურისა და უმაღლესისა მეფისა ჩვენისა. თვესა ნოემბერსა ოცდაერთსა: ქ'ეს აქათ. ჩიბე. დღესა შაბათსა

ბეჭედი: 1) მეფე იმერეთისა დავით 2) ვინ ბუნებითად იღმერთა მან მყო დედოფლად იმერთა (შუაში ხვეუჯად:) ანნა.

**1793 წ.** სოლომონ II-ის საბუთი ილორის ტაძრის იმავე გლე- ხების შესახებ. იბეჭდება უცვლელად, ნიშნების დაცვით.

ქ. ეპა. მხნეო შ'ს მოწამეთა მთავარო დიდო და უძლეველო მხედარო ქ'სო გიორგი. რომელი შემწე კარ ყოველთა შენდამი. მოვლტოლ- ვილთა და მსწრათლ შეეწევი შორიელთა და მახლობელთა და გამოიხსნი. ყოველისაგან განსაცდელისა. მეცა. ძლიერისა ძალისა. შენისამან. და შენ ძლით. ს'დ იმერთა მეფემან მეფეთამან ძემან არჩილისამან სოლომონ. დავითიანმან. და ერთ კორცმან ჩემმან დადიანის ასულმან. დედუფალთ დედუფალმან მარია. მცირედი და კნინოდენი. მსახურება. ვიგულსმოდგინე. წმიდისა, ტაძრისა შენისა. ილორს ესე ვითარითა. განზრახვითა. მრავლის ჟამითგან მსუროდა მსახურება ტაძრისა. შენისა. და. ჟამსა რომელსამე მოი-

წინ წინაშე ჩვენსა მსახურნი ტაძრისა. შენისანი ილორის დეკანოზნი. მღვდელნი იოვანე და პეტრე ძლიერის და სახელოვნის. ბიძისა ჩემისა მეფის სოლომონის. შეწირულობის გუჯარი მოიტანეს. და. ის გუჯარიც ძველთა მეფეებისაგან შეწირულობას აცხადებდა ჭავჭავაძენი. ხონს თექვსმეტი მოსახლე. და კუხს. კაკაბაძენი ექვსი მოსახლე და მეცა. ძველთა მეფეთა შეწირული. სიგელი განმიახლებია და დამამტკიცებია და და. (sic) წმიდის. ტაძრისა შენისა ილორისათვის. შემეწირავს ეს ზემო აღწერილნი გლეხნი. თავისის სახლკარით ჭურმარნით. თავისის ცოლშვილით ადგილ მამულით თავისის ეკლესიით. საფლავით თავისის სამართლიანის სასახლურით სრულებით და უნაკლულოდ. შემეწირავს და თქვენის დეკანოზებისათვის ჩამიბარებია. ასე რომ. არას რომელსამე ჟამს ეს შეწირული. გლეხნი. შენს წმიდას ტაძარს არ გამოეწიროს და არც საერისკაცოდ. შეიქმნეს. შეიწირე დიდო მოწამეთა მთავარო მწვლილებრივი. ესე ძღვენი. და ნაცვლად შაგე მადლი მფარველობისა. შენისა. განუშორებელად. ყოველსა დღესა და ყოველსა ჟამსა. რა მტერთა ზედა. ძღვევა მოვილო. და სამეფო ჩემი შეწევნითა მადლისა შენისათა მტკიცედ სდგეს. აწ ვინც და რომელთა მეტომეთა. მეფეთა ანუ დედუფალთა. უფლისწულთა. თავადთა. ანუ აზნაურთა. მღვდრთა. ანუ მამრთა ყოველთა ვეტყვი ერთბამად შეწირულობისა ამის გამოხვებად კელყოს შერისხენ მას. დიდებულო მხედართმთავარო კვერთხითა მხედრობისა შენისათა უხეთქენ ძლიერებითა. მხედრობისა შენისათათხემსა მისსა. და წარმოადგებინენ ორნივე გუგანი. თვალთა. მისთანნი და გარდაუქციე ღვინო და წყალი სისხლად. გრგლაბისა. რა განხმეს წყურვილითა სასა მისი და მოუწყვიდენ საწადელნი გულისა მისისანი ხ დამამტკიცებელნი და მჭირედ დამბეჭვდელნი ამისნი აკურთხენ განამტკიცენ კეთილშვილიერებითა და ყოვლითა საქმითა კეთილითა მოწამე. ამისი. სალთუხუცესი წერეთელი ზურაბ მოაურავი წულუკიძე გიორგი ბოქაულოთუხუცესი წერეთელი ვახუშტი და სხვანი ერთობით კარისა. ჩემისა დიდებულნი დარბაზის ერნი. აღიწერა კელითა ქიქინაძის ნიკოლოზისათა. სეკდმებერს. (sic) ზწელთა. უჟლისათა. ჩღჟ

ბეჭედი (ასომთ. :) მეფე იმერეთისა სოლომონ. (მხედრ. :) დედოფალი მარიამ

1798 წ. სოლომონ II-ის საბუთი ილორის ტაძრის იმავე გლეხების შესახებ, დაწერილია თეთრს ქალაღზე, იბეჭდება უცვლელად. ქ. ძლიერებითა და წყალობითა დაუსაბამოა მამისა ღთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან. პანკრატოანმან ს დ იმერეთის მპყრობელმან მეფემან მეფეთამან ძემან არჩილისამან მეორემან სოლომონ და თანა ერთ ხორცმან ჩემან დედუფალთ. დედუფალმან. დადიანის

ასულმან მარიაჰ. ესე ამეირიდგან უკე უცკალადო და აროდეს არ მოსაშალი. წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ. ერთობით. ილორის წმინდისგიორგის შეწირულს. კაცებს ჰავქიანიძეს და კაკაბაძენს. და თქვენთა შვილთა და მომავალთა ყოველთავე. ესრეთ და ესე ვითარად რომ. პირველათაჲ ჩვენის. ჰაპებისაგან. ილორის წმინდის გიორგის. შეწირული. ყოფილხართ და იმათი წყალობის საურისა და საუდიეროს. წიგნი გქონდათ. და ჩვენც. ისრე წყალობის წიგნი გიბოძეთ. და ჩვენი წყალობის წიგნი დაგკარგოდათ. და ისევ წყალობის წიგნს. გვევდრეთ. წყალობის წიგნი განგიახლეთ. და წმინდის. გიორგის ილორისთვის. შეგვიწირავხართ. ჩვენდა. განსაძლიერებელად კეთილ. წარსამართებელად. და სულისა ჩვენისა. საოხად. და ამოგვიწერია. თქვენთვის. ერთობით. არც. საური. არც. საუდიერო არც. ჩვენგან. და არც. შემდგომთა. ჩვენთა მეპატრონეთაგან. არა რიამელსაჲ. ჟამსა. არც. თქვენ. და არც. თქვენთა. შვილთა. და მომავალთა. არ. გეთხოვებოდესთ. ყოველს. აღდგომას. და შობას. ჩვენთვის. სწირებდეთ. და აღდგომას. ჩვენთვის. ცხვარს. დააკვლევინებდეთ. ცოცხალს. და მიცვალებულს. მოგვიხსენებდეთ. და უკეთუ. ვინმე. წერილისა ამის. ჩვენისა. ხელყოს. შლად. მყის თანად ეწიენ. მას რისიგა. ღთისა მიერი. და სახლსა. მისსა და შვილთა. მისთა. და შუოის. გება. ვითა. კანის მომკვლელსა ძმისასა. და იყავნ. დედა. უფლისა ჩვენისა შურის მეძიებელ და ათორშეტნი. მოციქულნი. შემკრველ საკრველითა. განუხსნელითა. და მიმცემელ. ცეცხლსა მას. საუკუნესა დანახეთქსა შინა. და იყავნ. წყეულ. აქა. და მას მერმესა. აწ და მი. უკე. ხოლო დამაპტიცებელნი. ამისნი. კურთხეულ იყვენ. სულითა ღთისათა. ვიდრე. უკე. ამინ. ბრძანებისა ამის. ჩვენისა მოწამედ სარდალი. წერეთელი. ქაიხოსრო. ბოქაულთუხუცესი. წერეთელი. ვახუშტი. აბაშიძე. დავით. მოლარეთუხუცესი. წერეთელი. გიორგი. წულუკიძე. სვიმონ. წულუკიძე. სენია. და სხვანი. ერთობით. კარისა ჩვენისა დარბაისერნი. აღიწერა. ხელითა. მეფის. კარის. მღვდლის. გრაგოლაშვილის. იესესითა. ქკნს. ქეს. აქეთ. ჩღტ. თვისა. მარტსა. იზ.

ბეჭედი ასომთ.: 1) მეფე იმერეთისა სოლომონ 2) დეუოუალი მარიაჰ.

საარქივო საქმეში იმერეთის აჯანყების შესახებ 1819 — 1820 წ.წ. (იხ. ამ საქმის აღწერილობა М. Подиевктов, Архивное „дело“ о восстании в Имеретии, Гур. и Мингр. в 1819—1820 г.г., საისტ. მ-ე, II, 24 წ., 199—220), სახელდობრ ამ საქმის ნაწილში — Поименные списки церк. крестьянъ разныхъ епархій, живущихъ въ Вакинскомъ Округѣ (ფ. 247—279) შეტანილია ცნობებში ილორის ყმების შესახებ ხონს და კუხს (ფ. 249 verso—251 verso).

	(Число душ)	(возраст, число лет)	С а д ы	Пахатн. земли.	
			(Урожай в ковах)	(Киев, 24 × 30 с.)	
Принадлежащiе Илорской Св-го Георгiя церкви, (что въ Абхазiи.) въ Селенцi Хони.					
1.	Джогорiя Чапчiанидзе . . . . .	1.	35.	20,	13.
	у него дѣти: 1, Андрей . . . . .	1.	15.		
	у него сынъ Григорiй . . . . .	1.	1.		
	2, Давидъ . . . . .	1.	4.		
	принемъ племянники: Гогiя . . . . .	1.	15.		
	Иванъ . . . . .	1.	6.		
			<i>1. десятинный</i>		
2.	Симонiа Чапчiанидзе. . . . .	1.	30.	16.	10
	у него сынъ Давыдъ, . . . . .	1.	16.		
	у него сынъ Иосифъ . . . . .	1.	1.		
			<i>1. десят.</i>		
3.	Кациела Чапчiанидзе . . . . .	1.	20.	8	10
	у него сынъ Михайль. . . . .	1.	1.		
	при немъ племянникъ Сесiя. . . . .	1.	12.		
	при немъ двоюродный братъ Гогiя. . . . .	1.	15.		
	у него сынъ Николай. . . . .	1.	1.		
			<i>1. десятинный</i>		
4.	Осiела Чапчiанидзе. . . . .	1.	20.	10	4
	у него сынъ Оедоръ . . . . .	1.	2.		
	при немъ двоюродный братъ Берн . . . . .	1.	17.		
	у него сынъ Семёнъ. . . . .	1.	15.		
			54	37	
			<i>2. десят.</i>		
5.	Гогiя Чапчiанидзе. . . . .	1.	30.	20.	12.
	у него сынъ Иванъ . . . . .	1.	1.		
	при немъ племянникъ Иосифъ . . . . .	1.	25.		
	у него сынъ Петръ. . . . .	1.	2.		
	при немъ два брата Мамука. . . . .	1.	20.		
	у него сынъ Глаха. . . . .	1.	2.		
	Давыдъ . . . . .	1.	12.		



		(Число душ)	(возраст, число лет)	Сады	Пахатн. земли.
				(Урожай в коках)	(Киев. 24×30 с.)
6.	Иванъ Чапчіанидзе . . . . .	1.	35.	1. десят. 4.	12.
	у него дѣти				
	Георгій . . . . .	1.	8.		
	Бация . . . . .	1.	5.		
	Бучуа . . . . .	1.	2.		
	при немъ родныя братья				
	Махаробель . . . . .	1.	20.		
	у него сынъ				
	Глаха . . . . .	1.	1.		
	2. Гигита . . . . .	1.	10.		
3. Осія . . . . .	1.	6.			
4. Бежанъ . . . . .	1.	5.			
двоюродный братъ					
Михаилъ . . . . .	1.	15.			
7.	Гогія Чапчіанидзе . . . . .	1.	40.	1. десят. 5.	10.
	у него дѣти				
	Иосифъ . . . . .	1.	13.		
	Николай . . . . .	1.	9.		
	Василій . . . . .	1.	6.		
	при немъ двоюродный братъ				
Михаилъ . . . . .	1.	16.			
8.	Отіела Чапчіанидзе . . . . .	1.	15.	½ десят. 2.	2.
	при немъ братья				
	Семень . . . . .	1.	8.		
	Федоръ . . . . .	1.	5.		
Живеть въ селеніи Чквишѣ на земле Хонскому собору принадлежащей и должны взять оттоль и водворить его на прежнее жительство въ Хони				85.	73.
9.	Наскида Чапчіанидзе . . . . .	1.	30.	1½ десят. 20.	10.
	при немъ племянникъ				
	Гигита . . . . .	1.	16.		
	у него дети				
	Григорій . . . . .	1.	5.		
	Николай . . . . .	1.	2.		
при немъ двоюродный братъ					
Мамиствалъ . . . . .	1.	10.			

		(Число душ)	(воз- раст, число лет)	С а д ы	Пахатн. земли.
				(Урожай в кобах)	(Киев, 24×30 с.)
<i>въ селеніи Кухъ.</i>					
10.	Гавріиль Какабадзе . . . . .	1.	35.	15.	10.
	у него дѣти				
	Василій . . . . .	1.	17.		
	Петръ . . . . .	1.	12.		
	Матвей . . . . .	1.	4.		
	Иванъ . . . . .	1.	1.		
<i>1. десят.</i>					
11.	Махаробель Какабадзе . . . . .	1.	40.	20	—
	у него сынъ Андрей . . . . .	1.	8.		
	при немъ родныхъ два брата				
	1. Пиранъ . . . . .	1.	30.		
	у него сынъ Василій . . . . .	1.	1.		
	2. Мамистваль . . . . .	1.	20.		
	племянникъ Бучуела . . . . .	1.	10.		
<i>1½ десят.</i>					
12.	Өедоръ Какабадзе . . . . .	1.	35.	20	12
	у него сынъ Иванъ . . . . .	1.	1.		
	при немъ два племянника Се-				
	мень . . . . .	1.	32.		
	у него сынъ Гавріиль . . . . .	1.	16.		
	2. Михаиль . . . . .	1.	20.		
	у него дѣти				
Андрей . . . . .	1.	5.			
	2. Василій . . . . .	1.	2.		
<i>1. десят.</i>					
13.	Михаиль Какабадзе . . . . .	1.	30.	10	8
	у него сынъ Глаха . . . . .	1.	2.		
	при немъ братъ Матвей . . . . .	1.	25.		
				170.	113.
<i>2. десят.</i>					
14.	Нахистела Какабадзе . . . . .	1.	50.	40.	12
	у него сынъ Петръ . . . . .	1.	15.		
	при немъ родной братъ Хурціела	1.	30.		
	у него дѣти: Матвей . . . . .	1.	5.		
	Иванъ . . . . .	1.	2.		

		(Число душ)	(возраст, число лет)	С а д ы	Пахатн. земли.
				(Урожай в ковах)	(Киев, 24×30 с.)
15.	Иванъ Какабазе . . . . .	1.	25.	20	8
	у него сынъ Георгій . . . . .	1.	2.		
	принемъ двоюродн. братья:				
	Давидъ . . . . .	1.	15.		
	Петръ . . . . .	1.	8.		
	Итого . . . . .	—	—	230.	133.

*Примеч.* 1-е, Крестьяне селеній Хони и Кухи, по грамотамъ у нихъ имеющимся значатся принадлежащими Илорской св. Георгія церкви (что въ Абхазіи,); а попискамъ г. Окружнаго Начальника записаны за казною съ 1814-го года, по воле Имеретинскаго временнаго правленія, и платят подать казнѣ: Хонскіе по 2. рогатыхъ скотины и 2 барана; а Кухскіе по 2. марчила съ дыма и 1. рогатую скотину; церкви же тѣ и другія платили до селѣ по 1. <sup>только</sup> марчплу, или по 26-кп серебромъ съ дыма; каковую собиравъ съ нихъ Илорской церкви Протоіерей Михайлъ Мерчули.

2, Моураву Кн. Сехнію Цулукидзеу съ cadaго дыма платили они въ годъ по 4 курицы, по 2 тунги вина и по 1 батману гоми.

NB. При нынѣшней описаніи оставлены на прежнемъ положеніи.

უკანასკნელი აღწერა ილორის გლეხებისა ხონს და კუხს, შესრულებული რუსეთის მართებლობის დროს, განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგანაც შეიცავს ცნობებს მათი კუთვნილ მიწებისა და აგრეთვე დადებულ გარდასახადების შესახებ. გლეხების კუთვნილი მიწა მოხსენებულია დესიატინობით. ვენახი (сад) ილორის კუთვნილ გლეხებს ხონს და კუხში ჰქონიათ უმეტესად 1 დესიატინა, უფრო იშვიათად 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> და 2 დეს. და ერთს კიდევ სახნავი მიწა სრულებით არ ჰქონია. უნდა ითქვას, რომ დესიატინად აქ იგულისხმება იმერული ქცევა. ეს სჩანს იქიდან, რომ ხსენებულ საარქივო საქმეში ხონის მთავარეპისკოპოსის კათედრის კუთვნილ გლეხების აღწერის დასაწყისში (ფ. 116) აღწერის სათანადო რუბრიკებს სათაურად აქვს: 1) Сады. Сколько каждый приносит доходу при умѣренном урожаѣ. Коки. Чапы (ნაჩვენებია მხოლოდ კოკების რიცხვი). 2) Пахатныя земли. Сколько десятина въ 24 и 30 сажень каждая (неполивная). ამ ცნობიდან საგულისხმებელია, რომ დესიატინად აქ იგულისხმება ქცევა 24×30 საე.=720 ოთხკ.

საქ. შესაჯერებლად ამ ცნობისა საყურადღებოა, რომ მე-19 საუკ. დასაწყისს 1805 წლის ერთს საბუთში სოფ. ბაშს, მაშასადამე ქვემო-იმერეთსავე, იხსენიება „ქცევა ოცდაათ ოცდაათი მხარი“ (ს. კაკაბ., დასავლ. საქ. საეკლ. საბ. II, 149). მხარი საბ. სულხანის ლექსიკონით (გვ. 212) შეადგენდა 4 წყრთას. წყრთა უნდა ყოფილიყო ადლის ნახევარი, როგორც საგულისხმებელია საცაიშლო დაფთვების მიხედვით ჯგალის გამოსავლის ერთი ადგილიდან. სახელდობრ აქ ვკითხულობთ: „მართებს აწ ამათს (ფათხაების) განაყოფსა ფათხაებსა წელიწადში და ორორსა კვამლს კაცსა ორორი წონა სანთელი მართებს და ესენი ქორა ებისკოპოსნი არიან, სოფელი მოკრიბონ და რაჟცა წელიწადი გამოვიდეს, თვითოს წელიწადსა სამასი წყრთა ტილოსა ცაიშელსა მორათმეფდეს“... (საცაიშლო გამოსავალ დავთ., ს. კაკაბ. გამ., 42). ზაერთო ჯგუშლის მოყვანის დროს კი ამის შესატყვისად მოხსენებულია 4 წონა სანთელი და 300 ადლი ტილო (იქვე, 45). სამასი წყრთა ტილო, საგულისხმებელია, ბეგარად ედვა თითო კომლს ფათხაევს. ხოლო ორ კომლს დაედებოდა 600 წყრთა, რომლის ექვივალენტად გამოდის 300 ადლი ტილო. ამისდა მიხედვით მე-17 საუკ. დასაწყისში ოდიშში წყრთა შეადგენდა ადლის ნახევარს. ასეთივე დამოკიდებულება ადლს და წყრთას შორის არის საგულისხმებელი მე-18 საუკუნეშიც. ადლის ოდენობა კიდევ განსაზღვრული აქვს გვლდენ შტედტს, რომლის სიტყვით ადლი როგორც ქართლ-კახეთში, ისე იმერეთში უდრიდა ინგლისურ 3 ფუტს და 4 ღვიშს (Reisen... I, 359, 393) ანუ  $3\frac{1}{3}$  ინგლ. ფუტს. ფრანგული მეტრი უდრიდა 3,2809 ინგლ. ფუტს,  $3\frac{1}{3}$  ინგლ. ფუტი მაშასადამე უდრის 1,016 მეტრს. ამ ოდენობის ყოფილა მე-1770 წლებში ადლი ქართლ-კახეთ-იმერეთში. ამისდა მიხედვით იმერული მხარი მე-19 საუკუნის დასაწყისში იქნებოდა (რადგან მხარში 4 წყრთა იყო ანუ 2 ადლი) 2,032 მეტრის ზომის ანუ რუსულ ზომაზე 0,952 საფ. ქცევა 1805 წ. იხსენიება  $30 \times 30$  მხარის ზომის, ამის მიხედვით ქცევა ამ დროს შეიცავდა რუსულ 815,67 ოთხკუთხ საჟენს. რადგანაც 1819 წ. ხონის ეპარქიის რაიონში ქცევა 720 საჟენის ზომის იხსენიება, ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქცევა ქვემო-იმერეთის ფარგლებშიც სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ზომის ყოფილა.

შესაძლებელია ისიც, რომ აღწერაში მოხსენებული დესიატინა  $24 \times 30$  საფ. ზომისა იყოს ქცევა  $24 \times 30$  მხარის ზომისა. რადგანაც დესიატინა აქ ქცევას ეშესატყვისება, შესაძლებელია, რომ საჟენის სახელითაც მართლაც ადგილობრივი ამისი შესატყვისის ერთეული მხარი იგულისხმებოდეს. მაშინ ჩვენ მივიღებდით ხონის ეპარქიის რაიონში ქცევას 720 ოთხკ. მხარის ზომისას, მაშინ როდესაც 1805 წ. ბაშის



რაიონში (ქვემო-იმერეთსავე) დადასტურებულია, როგორც ვნახეთ, 900 ოთხკ. მხარის ზომის ქცევა.

ეს პატარა ექსკურსი საჭირო იყო ილორის კუთვნილ ყმათა ხონს და კუხს მიწის მფლობელობის დასახასიათებლად 1819 წლისთვის. გარდა ვენახისა, ხსენებულ 15 კომლს ამ წლისთვის ჰქონია 133 ქცევა ურწყავი სახნავი მიწა; ამათგან ხონელ ქვეყნიძეებს (9 კომლს) 73 ქცევა და 6 კომლს კაკაბაძეს—60 ქცევა. ამ 6 კომლი კაკაბაძისაგან 1 კომლს სახნავი მიწა სრულებით არ ჰქონდა, ასე რომ 60 ქცევა შეადგენდა 5 კომლის საკუთრებას. ეს არის 1730 წლის ზემოდ დასახელებულ სიგელში კარგ გლეხებად დასახელებულ ილორის ყმათ მიწათმფლობელობა კუხს 1819 წლისთვის.

ზემოდ დაბეჭდილი მასალა ჩვენ მოვიყვანეთ უმთავრესად მოსახლეობის მოძრაობის დასახასიათებლად მე-17—18 საუკუნეთა და მე-19 საუკ. დასაწყისის სიგრძეზე. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ანალოგიური ხასიათის ცნობებს, რომელიც გვიხატავს განსაზღვრულ ყმების რიცხვობრივ მაინც ვითარებას რამოდენიმე თაობის სიგრძეზე, შეიძლება მიეცეს განსაკუთრებული მნიშვნელობა არა მარტო მოსახლეობის მოძრაობის დასახასიათებლად, როდესაც ასეთი ცნობები შეკრიბება სხვა რაიონების შესახებაც თუნდაც მარტო იმერეთის ფარგლებში.

## გიორგი გოჭოჩიაშვილი.

## ფურცელაანთელი ქრონიკა.

ს. მერეთიდან (ქართლი) ჩამოტანილ, ისაია ფურცელაძისეულ საბუთებში, რომლებიც ამ რამდენიმე ხნის წინად გადაეცა ცენტრ-არქივს, აღმოჩნდა სხვათა შორის ახალი ფრიალ საინტერესო ქრონიკა, რომელიც შეიცავს საყურადღებო ცნობებს ჩვენი ისტორიიდან.

ხსენებული ქრონიკა ნაწერია თეთრი ქაღალდის ორ ფურცელზე,  $86\frac{1}{2} \times 17$  სანტ. მაქსიმალური ზომით; იგი ძლიერ დაზიანებულია (თავში და გვერდებზე). შეიცავს ცნობებს 1623—1825 წლამდე (ხანგამოშვებით). შესაძლებელია, ქრონიკას სხვა ფურცლებიც ჰქონოდა წინ, რომლებშიც წინა ხანის ცნობები იქნებოდა აღწერილი.

ქრონიკის დამწერი არის ორი პიროვნება, რასაც ცხად ჰყოფს წერის ხელი (მათგან ერთს დაუწერია ორი ფურცელი ცალგვერდზე და მეორეს კი განუგრძია ეს და დაუწერია მეორე გვერდი მეორე ფურცლისა).

წერის ხასიათის მიხედვით პირველი დამწერი უნდა იყოს მე-*XVIII* ს. მედროვე და მეორე კი მე-*XIX* ს. პირველ მეოთხედისა.

ორივე დამწერის ენის კილო ქართულია (იხმარება — „ნეფე“, „კათათეფე“, „თიბათეფე“ და სხვ.); შინაარსიც ქრონიკისა მეტიწილად ქართლის ცნობებს შეიცავს. 1764 წლის ქვეშ ქრონიკა გადმოგვცემს — „ნეფე ერეკლე მობძან და კეხესა“... კეხვი ცხინვალის რაიონშია. ცხადია, დამწერი ქართლიდან უნდა იყენებ. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ქრონიკის მეორე დამწერი ყოველს შემთხვევაში ფურცელაანთ გვარის შვილი უნდა იყოს, რაც იჭიდგანა სხანს, რომ ქრონიკაში იგი ფურცელაანთ გვარის ცნობებსაც ურთავს: „ქნ[ს] უეზ ქ. სოლომონ ფურცელაძე მოკლა შვილმა---“ და სხვ..

დასახელებულს ქრონიკას აქვს თვალსაჩინო მნიშვნელობა, რადგან ის შეიცავს ახალს საყურადღებო ქრონოლოგიურ ცნობებს, მაგ. 1717 წ. ტფილისში კათოლიკეთა ეკლესიის დაქცევის, აგრეთვე სარდლის ქაიხოსრო წერეთლის სვანების მიერ 1769 წ. მოკვლის შესახებ და სხ. ზოგიერთ ფაქტების დასახელებისას ქრონიკა კიდევ შეიცავს საყურადღებო დეტალებს. ვბეჭდავთ ტექსტს უცვლელად<sup>1)</sup>.

<sup>1)</sup> ტექსტში ქრონიკონი ყველგან აღნიშნულია ქარაგმით, ჩვენ კი ნიშნის უქონლობისა გამო ვბეჭდავთ უქარაგმოდ.

- ქკ-ს ტია (1623) ქ. შაჰა[ზა]ზ. ყ[ა]ენმა. ყანდა[ჰარი. დაიქირა.]  
ქკ-ს ტით (1631) ქ. როსტომ. ნეფე (sic). და როსტომზან. სარ[დალი.  
ქალაქში. მოვიდნენ.] და. ოც. დღეზედ. დაქ-  
ცეული. გორი [ალაშენეს.]  
ქკ-ს ტლე (1647) ქ. შაჰაზაზ. ყ[ა]ენმა. ყანდა[ჰარი. დაიქირნ[ა]---  
ქკ-ს ტმზ (1659) ქ. როსტომ. ნეფე (sic). მიიცვალა. გიორგობის---  
ქკ-ს ტნთ (1671) ქ. ერეკლე. ნეფე (sic). რომ-----დამ. მოვიდა---  
ქკ-ს ტჟდ (1676) ქ. შანაოზ (sic). ნეფე (sic). მიიცვალა ისპაჰ[ანის]----  
ქკ-ს ტჟე (1677) ქ. გიორგი. მეფე. ბატონის. შვილათ----  
ქკ-ს ტნთ (1671) ქ. მეფე. არჩილ. რუსეთს. წაბძა[ნდა].  
ქკ-ს ტობ. (1684) ქ. დიდს. ქირობას. რომ. ქალაქი. აიყარა]--  
ქკ-ს ტოდ (1686) ქ. ლევან. მეფე. წაბძანდა. ისპაჰანს.  
ქკ-ს ტოზ (1689) ქ. ერეკლე. მეფე. მეფე (sis). მობძანდა. ქალაქს.  
იდ. წელიწადი. [იბატონა].  
ქკ-ს ტპა (1693) ქ. გიორგი. მეფე. რომ. მონასტერს. მობძანდა.  
და. მეფე. ერეკლე. ქალაქის. ციხეში. ბძანდე-  
ბოდა. მაისი დ.  
ქკ-ს [ტ]პბ (1694) ქ. ქალბალი. ხან. ქალაქში. მობძანდა.  
ქკ-ს ტპვ (1698) ქ. ყოჯა. ზად. მიიცვალა. [მარ]ტის. გ.  
ქკ-ს ტყა (1703) ქ. მეფე. ლევან. მობძანდა. ისპაჰანიდამ. <sup>2)</sup> წელი-  
წადი. იბატონ[ა].  
ქკ-ს ტყთ (1711) ქ. ისარიელა. ელჩი. მიიცვალა. [ას]ტარხანსა ენკე-  
ნის თვის. იც.  
ქკ-ს უ (1712) ქ. მეფე. ვახტანგ. წაბძანდა. ისპაჰანს. მაისის. ა.  
ქკ-ს უბ (1714) ქ. იასე. მეფე. მობძანდა. ქალაქს. ბატონთან. დაჯ-  
და. დვინობის თვის. დამდე[გს].  
ქკ-ს უე (1717) ქ. ფრანგების. საყდარი. დააქციეს. ქალაქს. ენკე-  
ნისთვის. ი.  
ქკ-ს უვ (1718) ქ. პირველათ. რომ. ლეკი. გამოვიდა. მარნეულს.  
დ. ბაქარი. შეება----იე.  
ქკ-ს უთ (1721) ქ. მიწა. რომ. იძრა. და. თავრიზის. მალა. ჩაძვრა.  
აპრილის. იე.  
ქკ-ს უი (1722) ქ. ნეფე (sic). ვახტანგ. წა[ბძ]ანდა. განჯაზე. ლაშ-  
კრათ. ენკენესთვის. იე.  
ქკ-ს უია (1723) ქ. ლეკი. შემოესია. ქალაქს. მ---ის. დ.  
ქკ-ს უიბ (1724) ქ. ყრუმი. რომ. ქალაქს. მოვიდა. ქალაქი დაიქირა.  
თიბათვის. ი.

<sup>2)</sup> აქ ნ-არის მავგარი პატარა ნიშანია, რომელიც ნახევარს აღნიშნავს.

- ქკ-ს უკ (1732) ქ. რუსმა. მილოონი<sup>3)</sup>. დაცალა. მარიამობის თვის იე.
- ქკ-ს უკვ (1735) ქ. ყიზილბაში. ხანჯალხანი. მობძანდა. ქალაქს.  
კათათვის. გასულს.
- ქკ-ს უკვ (1737) ქ. თამაზ. ხანი ქალაქს. მობძანდა. ღვინობისთ-  
ვის. ვ. და საქართ[ველო. აჰ]ყარა. ღვ----
- ქკ-ს ულ (1742) ქ. დედა. მიწა. დაიძრა. და ალავერდის. გუნბეთი  
(sic). დაიქცა. კათ[ათვის]---
- ქკ-ს ულბ (1744) ქ. ნეფეს. (sic). თეიმურააზს (sic). საქართველო.  
მოსცეს. მაისი. იყო.
- ქკ-ს ულბ (1744) ქ. ნიკოლოზ. ქათალიქ[რო]თაზის. შვილმა. მოკლა.
- ქკ-ს ულგ (1745) ქ. შიოს. ძვალი. ამოიღეს. თამაზ. ხანს. ეთხოვნა.  
თებერვლის--
- ქკ-ს ულგ (1745) ქ. ყაზარ. კათალიკოზი. დაიჭირა. თამაზ. ხანმა.  
აპრილი იყო.
- ქკ-ს ულდ (1746) ქ. თამარ. დედოფალი. მეფის. თეიმურაზის. მეულ-  
ღვ. მიცვალა.
- ქკ-ს ულდ (1746) ქ. ნეფეს (sic). თეიმურაზს. შავის. გამოსაცვლელი.  
მოუვიდა. ყანდაპარი[დან]. თიბათვის. ვ.
- ქკ-ს ულდ (1746) ქ. ნეფეს (sic). თეიმურაზმა. რომ. მეორე. ქორწილი.  
ქნა ანახანუმ დედო[ფა]ლთან. მარიობის (sic)---
- ქკ-ს ულე (1747) ქ. ნადირ. შაჰმა. რომ. ქალაქს. არბაბი. სთხოვა. და.  
საქართველო. და. ქალაქი. აიყარა. თებერვ---
- ქკ-ს ულე (1747) ქ. ნეფეს (sic). თეიმურაზ. წაბძანდა. ნადირშაჰთან.  
მაისის. ი.
- ქკ-ს ულე (1747) ქ. ნადირ. შაჰ. ყენი. მოკლეს. [მ]კათათვის---
- ქკ-ს ულე (1747) ქ. ალიხან. და. აბდულაბეგ. მოუხდნენ. ქალაქს.  
მარ----
- ქკ-ს ულ<sup>4)</sup> (174-) ქ. მეორეთ. კიდევ. სარდლის. ჯარი. და აბდულაბეგ.  
[დამარ]ცხდნენ---
- ქკ-ს ულვ (1748) ქ. ქალაქის. ციხის. კარები. მოკეტეს. თათრებმა<sup>5)</sup>  
და ბატონს. -- გნენ. თიბათვის--
- ქკ-ს ულვ (1748) ქ. ალა. მელიქი. დაიჭი[რა]. ბატონმა. თიბათვის. კგ.
- ქკ-ს ულვ (1748) ქ. თაბორის. ციხე. აიღო. ბატონმა. ფალევენის.  
შვილი. ივანე. მოკლეს. [მ]კათათვის ---
- ქკ-ს ულთ (1751) ქ. ერევანს. რომ. ბატონმა ერეკლემ. აღვანი. დაა-  
მარცხა. [მ]კათათვე. იყო.

<sup>3)</sup> უნდა იყოს გილანი.

<sup>4)</sup> აქ მოსჩანს ნახევარი ასო, რომელიც ან ე უნდა იყოს, ან ვ.



- ქკ-ს ულ]ო (1751) ქ. აჯი. ჩალაბმა. რომ. ჩვენი. ჯარი დაამარცხა.  
თებერვლის---
- ქკ-ს უმ (1752) ქ. ნეფე (sic). [თეი]მურაზ. და. ნეფე (sic). ერეკ-  
ლე. რომ. განჯაზე. წა[ბძანდნენ]--ფანა. ხ[ან].  
და. ქიზუმ. ხანი. და განჯის. ხანი. დაიჭირა---  
მეორე. კვირას. აჯი. ჩალაბ. გამოვიდა. და.  
ჩვენი. ჯარი---
- ქკ-ს უმგ (1755) ქ. ანტონ. კათალიკოზი. დაიჭირეს. ფრანგებმა.  
ქრისტის შობ[ის]---
- ქკ-ს უმდ (1756) ქ. მუხრან. ბატონი. კონსტანდინე (sic). ლართის.  
კარში. მოკლეს. ღვი[ნობის]თვის---
- ქკ-ს უნ (1762) ქ. ნეფე (sic). თეიმურაზ. წაბძანდა. რუსეთს.  
ხემწიფესთან. და. იქ. მიიც[ვალა.] იანვრის ი--
- ქკ-ს უნა (1763) ქ. დიდი. სეტყვა. მოვიდა. ცხილვანსა. და. ყანები.  
წა[ა]ხდინა. თიბათვის--
- ქკ-ს უნბ (1764) ქ. ნეფე (sic) ერეკლე. მობძანდა. კეხვსა. და. ლეკზედ.  
გამარჯვა. [მ]კათათვის[ს]---
- ქკ-ს უნგ (1765) ქ. დემეტრე. სა[ხ]ლოთხუცესი. დაიჭირა. და თავთაქის.  
შვილი. დაწ[ვე]ს ---ის--
- ქკ-ს უნ[ე?] (1767) ქ. მეფე. წერეკლემ. რომ. იმერეთის. ნაშოვრიანს.  
ლეკებს. დახ-----კვეილგან. ას. სამოცი. ლეკის.  
თავი. ქალაქში. შეიტანეს. ორ--- დაიჭირეს. და  
ორასი. ტყვე. გააყრვეინეს. ქრისტის. შობის---
- ქკ-ს უნზ (1769) ქ. წერეთელი. ქაიხოსრო. სვანებმა. მოკლეს. კე-  
ლოანმა. უღალატა--- ის. თვ---
- ქკ-ს უნზ (1769) ქ. იმერეთის. ნეფემ (sic). რაქის. ერისთავს. უღა-  
ლატა. და, ორნივე. მამ[უ]ლი. დაიჭირა. ენკე-  
ნის. თვის. იე.
- ქკ-ს უნზ (1769) ქ. რუსის იანარალი. გრაფი. მობძანდა. ხეფზე. ექვსა-  
სის. კაცით. იმერელ. ნეფესთან (sic). წავიდა.  
ენკენის. თვის. კ.
- ქკ-ს უნზ (1769) ქ. შუქიანი. მასკულავი (sic). ამოვიდა. ამოსავლეთი-  
საკენ. გძელი. კულ[ი]. ჰქონდა]. მარიამობის---
- ქკ-ს უნზ (1769) ქ. რუსის. იანარალი. გრაფი. იმერელს. ნეფეს (sic).  
შემოსწყრა. პირველა[თ]--- ლს- --- [გო]რგო-  
ბის. [თვის]---

- ქკ-ს უნც (1770) ქ. ნეფე (sic). ერეკლე. და. რუსის. იანარალი. აწყვერს-  
შემოადგენენ. სა-- ადგენენ. იანარალი. გამო-  
ბრუნდა. დ. ბატონი ც. აიყარა. ჯავახე[თიდან]-  
წამოვიდა. ლეკისა. დ. ოსმალოს. ჯარი. გამო-  
უდგა. ბატონს. ა[ხალცი]ხილამ. მოეწივნენ. გაუ-  
ბრუნდა. ბატონი. დ. ათას. ხუთას. ლეკს- [და]  
თათარს. თავი. მოსჭრეს. დ. რამდენი. სხვა.  
წყალმა. და[ხრჩო]. ---- ალი. აპრილის. ვ.
- ქკ-ს უნთ (1771) ქ. ხერთვისის. ციხე. ააღებინა. ბატონმა. ნეფე.  
(sic) ერეკ[ლემ]---
- ქკ-ს უჟ (1772) ქ. ლევან. ბატონის. შვილი. დ. ანტონ. კათალიკო-  
ნი. რუსეთ[ს. გაგ]ზაენა. რუს. ხემწიფესთან.  
მეფე. ერეკლემ. იანვრის, ი.
- ქკ-ს უჟ (1772) ქ. დედამიწა. იძრა. ვახშობისას. თებერვლის. იღ-
- ქკ-ს უჟ (1772) ქ. გორედეები. და[ა]მარცხა. სულ. ქეთხუდეები. წახლ-  
ნენ--- რილამ. ახალციხეს. წასხეს. მაისის. ივ-
- ქკ-ს უჟ (1772) ქ. ცხინვალი. წაახ[დ]ინა. ხიდირბეგის. შვილმა. სა-  
მას---- [ტყ]ვე. წასხეს. გიორგობის. თვის. ია.
- ქკ-ს უჟა (1773) ქ. უფლის. ციხეს. ჩვენი. ჯარი. დამარცხდა. თიბათვის.-
- ქკ-ს უჟ (1772) ქ. მორიგე. გააჩინა. მარტის. ა.
- ქკ-ს უჟ (1772) ქ. მაჩაბლიანთ. დაქვრა. [მ]კათათვე. იყო.
- ქკ-ს უნც (1770) ქ. დიდი. ქირი. გაჩნდა. ქალაქს. თიბათვის. იღ.
- ქკ-ს უჟგ (1778) ქ. იულონ. ბატონის. შვილს. ქორწილი უყვეს.-  
[მ]კათათ[ვის]--
- ქკ-ს უჟგ (1778) ქ. მიწა. იძრა. ქალაქს. თიბათვის. გასულს.
- ქკ-ს უჟზ (1779) ქ. ქარიზ. ხანი. მოკვდა. მარტო. იყო.
- ქკ-ს უჟზ (1779) ქ. ნეფე (sic). ერეკლე. ერევანზე. წაბძანდა. ენკე-  
ნის. თვე[ში] --- ვაიმარჯვა. ქოჩი. აჰყარა.-  
გიორგობის. თვეში. და. ქალაქს---
- ქკ-ს უჟზ (1779) ქ. იმერეთის. ნეფემ (sic). ვაიმარჯვა. აფხაზზე-  
ქრისტის. შობის. თე---
- ქკ-ს უჟც (1780) ქ. ყე[ე]ნის. შვილი. ბატონმა. ერეკლემ. ნეფემ (sic).  
გააძრეილა (sic) ---- ოვა. თებერვალი. იყო. ეს.  
ტყვილი. გამოდგა. ჩაძაღლდა.
- ქკ-ს უჟთ (1781) ქ. ბატონის. შვილი. ლევან. მიიცვალა. თებერვლის. იბ.  
(სხვა ხელთ)
- ქკ-ს უჟთ (1803) ქ. რუსებმა ქარი და ბელაქანი აიღეს აპრ[ილის]  
დაჰდგეს.

- ქ-ს უფა (1803) ქ. დარეჯან დედოფალი რუსეთს წაა[ბძ]ანეს ღვი-  
ნობისთვის კვ.
- ქ-ს უფბ (1804) ქ. ბატონის შვილი იულონ დაიჭირეს რუსებმა იმე-  
რეთს [მ]კათათვის გ.
- ქ-ს  
ქ-ნ უფზ (1809) ქ. აბაშიძეები დახოცეს თავისმა სახლის კაცებმა  
თვესა აგვისტოს იგ.
- ქ-ნ უფზ (1809) ქ. ფოთის ციხე აიღეს რუსებმა თვ[ესა] ნოემბერსა დ.
- ქ-ნ უფზ (1809) ქ. სოლომონ ფურცელაძე მოკლ[ა]---- ს შვილმა  
თვესა ნოემბერს.
- ქ-ნ უფც (1810) ქ. იმერელ მეფე რუსებმა დაიჭირეს მარტის კვ.
- ქ-ნ უფც (1810) ქ შამშე. ერისთავი და შეთი არაგ[ვ]ზე შევიდნ[ენ]  
და სულ დასწვეს სეკდე[მ]ბრის ოცდაათს.
- ქ-ნ უფც (1810) ქ. რუსები დაბრუნდნენ ახალ---- მ და ქარელები  
და რუისელნი ამოს[წყვე]იტეს ოსმალოებმა გიო-  
რგობის ოცდა ექ[ვ]ს[ს].
- ქ-ს ფბ (1814) ქ. მკალია მოვიდა მკათათვეში
- ქ-ს ფბ (1814) ქ. დიდი სეტყვა მოვიდა მარიამობის კვ.
- ქ-ს ფია<sup>5)</sup> (1723). მთვარე დაბნელდა წელსა ჩყკვ იანვრის მთვარესა. იე.  
მთვარესა { მთვარე გაწითლდა წელსა ჩყკვ-სა თვესა ნოემბრის (sic)  
ექვსსა { გ-სა ღღესა სამ[შაბათსა].
- ჯანთიადსა მზე გაწითლდა წელსა ჩყკვ-სა ნო[ემბერსა]-- ღღესა პარასკევსა.  
ფურცელაძე ავდანდილის (sic) ასულმა სოფიამ იქორწინა იანვრის--  
წელსა ჩყკვ-სა ღღესა სამ[შაბათსა] ღ-თმან ბენდიერ [ჰყოს]. მთვა-  
რესა ერთსა.

<sup>5)</sup> აქ დამწერს შეცდომით ფია-ს მაგიერ დაუწერია უია.

სარგის კაკაბაძე.

## მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივ აღმორგებოების შესახებ მე-17 საუკუნეში.

მამია გურიელის საფიცარი გურიაში ტყვეთა ყიდვის აღკვეთის შესახებ, დადებული 1605—1615 წლებში და სვიმონ გურიელის სიგელი აჭის მონასტრისადმი 1625 წლ. ახლოს. მთავარარქივში დაცულია ორი ფრიად საყურადღებო საბუთი, რომელიც ეხება გურიას, საიდანაც საბუთები საერთოდ ძლიერ ცოტა არის შენახული. და ისიც მე-17 საუკ. პირველ ნახევრიდან. ორივე საბუთი ამავე დროს განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს იძლევა.

პირველი საბუთი, დაწერილი ქალაქდზე, მიეკუთვნება მამია გურიელის (1600—1625 წ.) ხანას (ხელის მიხედვით საბუთი მე-17 საუკ. პირველ ნახევარის უნდა იყოს). მასში მოხსენებულია დავით-გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნოთაგან გურიაში მივლინებული ბესარიონი. რადგანაც დავით-გარეჯა შაჰ-აბაზის შემოსევათა შემდეგ მე-17 საუკ. მეორე ნახევრამდის დაცალიერებული იყო—ეს სჩანს ჩვენ მიერ დავით-გარეჯაში შეკრებილ კელის მინაწერ მასალებიდან—და საგულისხმებელია ამ ხნის განმავლობაში ნათლისმცემლის უდაბნოც ცარიელი იქნებოდა, ამიტომ ნათლისმცემლის უდაბნოდან საბუთში მოხსენებულ ბესარიონის გურიაში გაგზავნა განსაზღვრული მიზნით—სახელდობრ გურიელისთვის ტყვეთა ყიდვის აღკვეთის შესახებ საფიცრის გამორთმევის დავალებით—უფრო 1605—1615 წლების ახლო ხანას უნდა მიეკუთვნოს. საბუთი, რომელიც არსებითად წარმოადგენს მამია გურიელის მიერ დადებულ საფიცარს, ერთის მხრივ გვიხატავს ტყვეთა ყიდვის ძირითად მიზეზებს და მეორეს მხრივ ცხად ყოფს ზოგიერთ მნიშვნელოვან საეკლესიო ორგანოების ცდას, ამ ბოროტების შესუსტების მხრივ მიმართულს. მაგრამ ბოროტება, მიუხედავად ამისა, მაინც ისე მძლავრად ფეხგადგმული იყო, რომ, როგორც ქვემოთ მოყვანილ 1639 წლის ერთ ავთენტურ ცნობიდან სჩანს, მას მისდევდნ თვით ეპისკოპოსები, ხოლო თეიმურაზ მეფის სიტყვით კი მე-1630 წლებში თვით მალაქია კათალიკოზიც, რომელიც ამავე დროს გურიის მთავრადაც იყო.

საბუთი იბეჭდება უცვლელად.

ქ: თავად: ყოვლისა: მპყრობელისა: უმრთისა: მამისა: ძისა: სულისა: წმიდისა: თავდებობითა: მინდობითა: შუობითა: და: შუამდგომლო-



ბითა: ყოვლად: წმიდისა: ღმრთის: მშობელისა: მარიამისათა: ძლიერე-  
 ბითა: პატრიოსნისა: და: ცხოველს: მყოფელისა: ჯვარისათა: ზეცისა  
 ძალთა: ანგელოზთა: მთავარანგელოზთა: მიქაელ: და: გაბრიელისათა:  
 წინასწარ: მეტყუელისა: წინა: მორბედისა: იოვანესითა: და: რანიცა:  
 წმიდანნი: ღმრთისანი: სვინაქსარსა: შინა: სწერიან: და მოიხსენებიან:  
 ამათ: ყოველთა: წმიდათა: ღმრთისათა: თავსმდებითა: მინდობითა:  
 შუობითა: და: შუამდგომლობითა. ესე: ფიცნი: პირი: და: წიგნი: მოგე-  
 ცი: ჩვენ: გურიელმან: პატრონმან: მამია: შენ: გარეჯისა: ნათლის-  
 მცემელისა: უდაბნოთგან: ბრძანებითა: ღმრთისათა: მოსაქცეულად:  
 ჩვენთვის: წარმოგზავნილსა: მამასა: ჩვენსა: წმიდასა: ბესარიონს: ||  
 ამა: პირსა: ზედან: რომე: ჩვენს: საბატონოშიდ: მოხვედით: და:  
 ტყუის: აღთქმისა: დადება: გვიქადაგეთ: ჩვენცა: შევისწავეთ:  
 და ჩვენსა: საბატონოს: კაცსა: გაუსყიდველობისა: აღთქმისა: სა-  
 ფიცარი: გამოვართეთ: რომ: ჩემმა: საბატონოს: კაცმა: ტყუე:  
 ვეღარ: გასყიდოს და ჩვენცა. ეს: აღთქმა: დაგუიც: ღმრთის: ამას: 16  
 იქეთ: ჩვენთვის: საქონლად: და: სასარგებლოთ: რომ: მოიხმარებო-  
 დეს: და: ან: სასმელს: საქმელშიდა: ჩვენ: ტყუე: აღარ: გასყიდო:  
 ვინცა: ჩვენმა: ყმამან: ეს: ფიცო: და: პირობა: მოვცა: (sic) და:  
 გავეიმტყუნდეს: რაც: ღმრთისა: და: ბატონისა: შემცოდეს: სიავე:  
 ფერობდეს: იმ: რიგად მივეპყრათ: რაც: ხვანთქრისა: და: ვეზი-2  
 რისა: მართებულობა: და: საბრძანებელი: შემოგვივარდეს: რომ:  
 მტერისგან: არ: ვიჩაგროდეთ: ან: ქვეყნის: შემოსავლები: საქმე:  
 ჰოგვიხვდეს: თვარა: მას: გარეთ: ეს: ასე: გავითაოთ ამ: ქვეყნის:  
 ტყუეზედ: მე: და: ჩემს: კაცს: ეს: პირობა: მოგვირთმევიან: რო-  
 მელსაც ამ: ქვეყნის. კაცსა: და: ან: ჩვენ: სასახსროთ: ცოლი: ან: 25  
 შეილი: ან: ყმა: არ: შეგვექნას: იმას: გარეთ: ასე: გავითაოთ:  
 არც: ჩემს: ქრთამშიდ: ჩემს: ყმას: ტყვე: გავაყიდვინო:  
 ხვეუჯად: გურიელი მამია (ჯვარით).  
 მეორე გვერდზე მე-18 სუკუნის ხელთ: გურიელის: საფიცარი: არის:

მთავარარქივშივე დაცულია სვიმონ გურიელის შეწირულობის  
 წიგნი აჭის მონასტრისადმი. საბუთი იხსენიებს სვიმონ გურიელის შე-  
 წირულობას „სახსრად“ მისი მამის მამია გურიელის სულისა. ვახუშტის  
 ქრონიკით, 1625 წ. „მოკლა მამია გურიელი ძემან თვისმან (სვიმონ)  
 და გაგურთილდა“ (შემოქმედის გულანის ქრონიკით ეს ამბავი მოხდა  
 1627 წ., ქრონიკ. II, 447). ამიტომ საბუთი, საფიქრებელია, მიცემუ-  
 ლი უნდა იყოს 1625 წლის ახლო ხანებში და ამიტომაც სიველის ქო-  
 რონიკონი 302, სრულიად გარკვევით დაწერილი, მწიგნობრის შეცდო-  
 მას უნდა წარმოადგენდეს.

საბუთი საყურადღებოა სხვათა შორის იმითაც, რომ აქ მოხსენებულია გურიაში გლეხებზე დადებულ ხარაჯას ოდენობა. ხარაჯად აქ უნდა იგულისხმებოდეს ოსმალეთის სასარგებლოდ დადებული გარდასახადი, რომელსაც ხონის 1660 წლის ერთს საბუთში „ხვანთქრის ხარაჯა“ რქვია (დასავლ. საქ. საეკლ. საბუთ. II, 173). საყურადღებოა აგრეთვე ამ ხარაჯად კვამლზე ერთი რუბის მოხსენება, რაც გვიჩვენებს, რომ ამ დროს გურიაში თუ ჩვეულებრივ არა ყოველს შემთხვევაში უფრო მეტად ოსმალური საფასე იხმარებოდა. ამავე დროს (მე-17 საუკ. პირვ. ნახ.) ოდიშსა და იმერეთში უმთავრესად სპარსული სახელწოდების საფასე იხსენიება. ეკონომიურად, ყოველს შემთხვევაში საფასის ხმარების თვალსაზრისით, გურია ამ დროს უფრო მეტად ყოფილა ოსმალეთზე დამოკიდებული, ვიდრე ეს ოდიშ-იმერეთის შესახებ არის საფიქრებელი.

სიგელი იბეჭდება უცვლელად. მის გადაწერაში მონაწილეობა მიიღო ცენტრარქივის თანამშრომელმა გ. ჩაჩანიძემ.

[ქ შემო]გწირე: მე: ტვირთ: მძიმობით: ცოდვითა: შებლაღულ-  
 [მა გუ]რიელმან: პატრონმან: სვიმონ: მცირე: ესე: [შ]ესაწირ[რ]ავი:  
 სახსრად: სულისა: მამის: ჩემისა. ბატონის: მამია: გურიელისა-  
 თვის: თქუნ: შვიდ: წილ: უძლეუელსა: სასწაულთ: მოქმედსა:  
 მოწამეთა: მთავარსა: მხნესა: დიდსა: წმიდასა: გიორგის: აქისასა:  
 ერთი: კუპლი: კაცი: მჟავანაძე: სიქანდარი: მეორე: ივანაი:  
 ტავიძე: [ჩესამე] ბაიჭულაი: გორგოშიძე: მე[რ]თხე: მახარო-  
 ბელი: სალუქაძე: მენუთე: გოგინაის: შვილი: მთარაული: ამათის:  
 ყოვლის ფერთა. ტყითა: წყლითა: მამულითა: საყანითა: და საწი-  
 ნამძღვროდ: გავაჩინეთ: და ვინც: აქის: წმიდას: გიორგის: საყდარ-  
 ზედ: წინამძღვარი: იჯდეს: წელიწადში და: თითო: თითო:  
 კვამლს: კაცს: თითო: ცხვარსა: მოაყუანინებდეს: ორი: გვერდი:  
 ღომითა: ორი: საწყავის: ღვინითა: თევზი იყოს: თუ: ყუელი: ათს:  
 გიორგობას: ვინც: წინამძღვარი: იყოს: ბატონი: მამის: ჩემისთვის:  
 დეკანოზითა: და ერთის: მთ[ა]ვრითა: ჟამს: სწირვიდეს: იმ: ოთხი:  
 კვამლის: ბეგარა: რომ: დარჩება: თითო: რუბი: იმ: გლეხებს: ხა-  
 რაჯა: მართებან: იმას: წინამძღვარს: მოუტანდენ: ნაწირავშიდა: აწ:  
 ამ: ხუთს: კვამლს: კაცს: გარედ: შემოგვიწირავს: ტყე: და წყა-  
 ლი: უნაგვრას: აქათ: სანისლოს: ქვას: შეკვეთს: იქიდალმან: ტყეშავა-  
 რის: ჯვარს: წითლობამდი: წითლობი: ნაცხავატევის: სერი: რომ:  
 ჩამოსდევს: ნაბადაის: სერს: აქეთი: ეს: სალორფინედ: შეგვიწი-  
 რავს: როდესაც: საყდარი: გარდიჭებოდეს: ქყიმარტით: და ნა-  
 ბადათ: გარდიჭეებოდეს: ნაბადადალმა: ნადირაულს: ჩამოჰკუეთს:  
 ნადირაულიდალმან: მღვეის: კარს: ამოღმა: ეს: ხელშეუალად:

წმიდის: გიორგისათვის: შევევიწირავს: რაც: ამ: ტყეებში: ნადირი: მოკედეს: მარჯვენა: კერძი: წინამძღვარსა: მარცხენა: ვინც. იმ: საყდრის: ლეკანოზი: იყოს: რადგან: შემოქმედლის: სამწყსო: არის: და ეს: აჭის: საყდარი: მის: ხელთ: ქვეშ: არის: რომელიც. შემოქმედელ-მა: მოინდომოს: წინამძღვარი: მან: დასვას: საყდრის: და შე-მოქმედლის: მეტს: კაცს: იმაზედ: ხელი: არ ქონდეს: აწ: ვინცა. და რამანცა: გვარმან: კაცისამან: ეს: ჩვენგან: გარიგებული. და შეწირული: მოგიშალოს: ან: ამისდა: შლად: ხელყოს: რისხავსმცა: მამა: ძე: და სული: ცხოველი: და: ყოველნი: მისნი: წმიდანნი: ზეცისანი: და ქვეყანისანი: უხორცონი: და ხორციელნი: ან: დიდებულმან: [ან] გურიელმან: ან: ებისკობოზმან: ეს: მოშალოს: რამანცა: გვარმან: კაცისამან: არსმცა: მის: შორის: კეთრი: გეზისი: ძრწოლა: კაენისი: შიშაგილი: იუდასი: დათქმა: დათან: და აბირო-ნისი: სოდომელი: გომორელთანამც: იქნება: ნაწილი: მისი: და ქრისტეს: ჯვარის: მცემლთანაც: დაემკვიდრება: ამინ: ხოლო: და-მამტიკცებელნი: ამისნი: აკურთხნეს: ღთმან: დაიწერე: (sic) სიგე-ლი: ესე: ქორანიკონსა: სამასდა: ორსა: თუესა: ნოენბერსა: სამსა: დღესა: კვირიაკესა: ჟამსა: მეოთხესა: დღისასა: ამინ: და კირია-ლელისონ.

სვეულად: 1) სვიმონ, 2) კწი, 3) ღადიანი, 4) გურიელი გიორგი.

ორავე საბუთი საკმაოდ ნათლად გვიხატავს გურიის მფლობარეობას მე-17 საუკ. პირველ ნახევარში: ეკონომიურ ვაჭირვების გამო— ცოცხალ ადამიანის საექსპორტო საგნად გარდაქცევა და იმავე დროს ოსმალეთის ბატონობის რეჟიმი, რომელიც განსაკუთრებით ხელს უწყობდა ტყვეთა ყიდვას. პირველი საბუთი ქართულ დოკუმენტებში ჯერ პირველად დადასტურებულ გულახდილობით გადმოგვცემს, რომ მთავრები ტყვეთა ყიდვას აწარმოებდნენ პირად სახმარებლად საქირო საქონლისთვის ანდა სასმელ საქმელში გასაცვლელად. მართლაც სამეგრელოში 1639 წ. რუსეთის მხრივ ელჩად ნამყოფი თედოტე ელჩინი თავის მოხსენებაში სწერს სამეგრელოს შესახებ, რომ „ясырь продают и царь и власти и всякие помесные люди, кто где испомещав, а продают все в босурманскую вѣру, а не продать им есыря, ин де им нужи своей нѣчим исполнить“ (С. Бѣлокуровъ, Матеріялы для русской исторіи. Моск. 1888 г., 337). იმავე მოხსენების მეორე ვერსია გადმოგვცემს ამავე საკითხის შესახებ, რომ „лидіянскоі же царь и патриархъ і митрополиты и архіепископы и помѣсные азнауры людей своихъ и крестьян продають в Турки и в Кизылбаши и в ныне государство; а в грѣхъ себѣ тово не ставят: а говорят: толко де нам людей или крестьян не продать и нам де нѣчим нуж своих исполнить“ (იქვე გვ. 336—337, შენიშვნა). თეიმურაზ მეფის ელჩი ნიკიფორეც

უჩვენებს მოსკოვში 1639 წ. სამეგრელოს შესახებ: А чин де у них таков, что владѣтел их Леонтей и ни хто будет инои людей тое земли, ково хочет, в ыные государства продают и в поминкахъ посылаетъ; да не токмо де что владѣтель продаеть и отецъ детей и братъ брата и мужъ жену и жена мужа продают и на товары приезжимъ торговымъ людемъ меняютъ“ (იქვე, გვ. 267).

ლამბერტი და შემდეგ შარდენი, როგორც ცნობილია, გამოგვეცემენ ტყვეთა ვაჭრობის საშინელების დამახასიათებელ ფაქტებს. თეიმურაზ მეფის მიმართვაში რუსეთის მეფისადმი 1639 წ. მოხსენებულია, რომ დადიანი ყოველ წელს 10—15 ათ. ყმაწვილს ყიდის ტყვედო, ხოლო გურიის მთავარი კათოლიკოზი მალაქია წლიურად 10—12 ათ. ტყვესო (Переписка груз. царей с росс. государями, 22—23). აქ რასაკვირველია იგულისხმება ოდიშის და გურიის სანაპიროებიდან გასულ ტყვეთა რიცხვი, თვითონ ტყვეები კი სხვა მხარეებიდანაც იკრიბებოდა. ევროპიელ მოგზაურთა და მისიონერების უფრო ობიექტიურ ცნობების მიხედვით ოდიშიდან 1640 წლ. ახლოს გაყავდათ წლიურად 2 ათ. ტყვე, ხოლო საერთოდ საქართველოდან შავი ზღვის გზით 4 ათ. სული (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართვე. შორის, 180; შვად. ს. კაკაბ. საქართვე. ისტ., ახალი საუკ., 1922 წ., 109). ზეჰოდ მოყვანილი სიგელი ძლიერ კარგად ასურათებს ამ ტყვეთა ყიდვის სისასტიკეს, როდესაც თვით მთავარიც პირველ საქიროების საგნისთვის ყიდდა ოსმალებში ტყვედ ცოცხალ ადამიანებს.

საყურადღებოა, რომ საფიცარში მამია გურიელი არ იძლევა ტყვეთა ყიდვის მთლად გარდაგლების პირობას. „ჩემმა საბატონოს კაცმა ტყუეველარ გასყიდოს და ჩვენცა ეს აღთქმა დაგუიცი დღეს ამას იქეთ ჩვენთვის საქონლად და სასარგებლოთ რომ მოიხმარებოდეს და ან სასმელ საქმელშიდა ჩვენ ტყუე აღარ გაესყიდოთ... რაც ხვანთქრისა და ვეზირისა მართებულობა და საგრძნობელი შემოგვივარდეს რომ მტრისგან არ ვიჩაგროდეთ ან ქვეყნის შემოსავლები საქმე მოგვიხვდეს თვარა მას გარეთ ეს ასე გავითაოთ ამ ქვეყნის ტყუეზედ“... ამ სიტყვებით უკვე გარკვევით დადასტურებულია ტყვეთა ყიდვის მთლად მოსკოვის შეუძლებლობა ოსმალეთის მძლავრების გამო და ამ ფაქტს იძულებულიყო ეკოლესიაც შერიგებოდა. ოსმალეთი, რომელიც მუდმივ ახალ ცოცხალ ძალას საჭიროებდა სხვათა შორის იენიჩართა ჯარისთვისაც, ყოველის მხრივ ხელს უწყობდა შავი ზღვის სანაპიროს ქვეყნებში ტყვეთა ყიდვის გაძლიერებას. ხარკსაც ამ ქვეყნებიდან ის ზოგს შემთხვევაში მთლიანად და ზოგს შემთხვევაში ნაწილობრივ ტყვეებით ღებულობდა. დამახასიათებელია. მაგ., რომ სტამბოლში 1596 წ. ჩასულს ელიჩს დადიანისას თან ჩაუყვანია საჩუქრად 17 ჩერქესი-ყმაწვილი და



შევარდნები (Hammer, Geschichte des Osm. Reich. II, 611). თელოტი ელჩინი 1639 წ. სწერს სამეგრელოს შესახებ, რომ „да царь же Леонтей дает Турскому царю дани по 300 аршин полотна да ясырю дает по 30 и по 40 дүшп; а дает для того, чтоб приходили карабли с торгомъ, а кой год не будут карабли и у них тот год скудно солью и желѣзом (Белокуров, დასახ. შრ., 338, შენ.). აქ უკვე ნაჩვენებია ხარკის მიცემის აუცილებლობა, გამოწვეული ოსმალთა მონოპოლიური მდგომარეობით შავ ზღვაზე. საყურადღებოა, რომ თეიმურაზ მეფის ელჩი ნიკიფორე ამავე წელს დადიანის ხარკს ოსმალების სასარგებლოდ სხვაგვარად გვიჩვენებს: „А емлет де с них турецкой царь дани по 100 человекъ людей мужского полу и женского, до 80000 полотен всякихъ на годъ (იქვე, 267). მე-1670 წლებში შარდენის სიტყვით იმერეთი აძლევდა ოსმალეთს ხარკად წელიწადში 80 ქალ-ვაჟს 10—20 წლისას, გურია—46 სულს, ხოლო ოდიში სამს წელიწადში ერთხელ 180 ათას ადლი ტილოს.

მცხოვრებთა რიცხვი იმერეთის სამეფოში მე-1640 წლებში. აქის მონასტრის სიგელი გვიჩვენებს, რომ 1625 წლის ახლოს გურიაში ხარაჯა კომლზე თითო რუბი იყო დადებული, თუმცა, როგორც ამავე სიგელიდან სჩანს, იყო შემთხვევები შეუვალობის წესით გლეხების ამ ხარაჯიდან განთავისუფლებისა: თვით აქისადმი შეწირული 4 კომლი გლეხი განთავისუფლებული იყვნენ ხარაჯის გარდახდისაგან. ოსმალეთის სასარგებლოდ დადებულ გარდასახადს რომ ხარაჯა ერქვა, ეს სჩანს კიდევ ალექსანდრე იმერთა მეფის 1660 წლის სიგელიდან, რომლის მიხედვით ხონის წმინდის გიორგის ყმები და აგრეთვე ილორის წმ. გიორგის 5 კომლი გლეხი განთავისუფლებული იყვნენ „ხვანთქრის ხარაჯისაგან: „ხვანთქრის ხარაჯას იმერეთს მოკრებდენ, მოკითხული ვქენით არ გრახდათ (sic) და ხონის წმინდის გიორგის ყმას და ხუთს კვამლს კაცს ილორის წმინდის გიორგის ყმას“ (ს. კაკაბ., დასავლ. საქართვ. საეკლ. საბ. II, 173). ხარაჯა, რომელიც არაბების სახალიფოში ნიშნავდა დაპყრობილ ხალხებზე დადებულ გარდასახადს, გათვალისწინებული იყო როგორც კაცის სულზე დადებული გარდასახადი სპარსეთშიდაც ყაზან-ყენის რეფორმების დროს 1300 წლის ახლო ხანებში. შემდეგ ხარაჯა შეტანილ იქმნა ოსმალეთის კანუნშიც, ის ნიშნავდა ამიტომაც კომლზე დადებულ გარდაწყვეტილ გარდასახადს (შეად. Hammer-Purgstall, Geschichte der Jichane II, 172). დასავლ. საქართველოში, როგორც სჩანს, ოსმალებმა შემოიღეს ხარაჯა (ალბად მე-16 საუკუნიდან), რომელსაც ადგილობრივი მთავრობა კრებდა თავისი განკარგულებებით, მასვე შეეძლო მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფები ამ ხარაჯის გაენთავისუფლებინა მაგრამ ალბად თვისი საკუთარ ხარჯზე, ე. ი. ხარაჯის მთლიან რაოდენობის დაუკლებლად, რადგან

ძნელი დასაჯერებელია, რომ ოსმალეთის მთავრობას ამ მხრივ ადგი-  
ლობრივი მთავრებისთვის სრული თავისუფლება მიეცა. ამ საკითხს,  
რასაკვირველია, გარდაწყვეტს ოსმალური წყაროების სათანადო გან-  
ხილვა. ამ ჟამად კი ჩვენ აღნიშნავთ ერთს საყურადღებო ცნობას,  
რომელიც შეიძლება სხვადასხვა მხრივ იქმნას შეფასებული. სახელდობრ,  
ჰამმერს (დასახ. შრ. III, 281) 1647 წლის ქვეშ მოყავს ოსმალურ  
წყაროებიდან ამოღებული ცნობა, რომლის მიხედვით დიდმა ვეზირმა  
სალიჰ-ფაშამ ამ წელს მოთხოვა იმერეთის ბატონს ალექსანდრეს, რო-  
მელსაც 4070 ყურუშის (პაასტრის) მაგივრად მხოლოდ 3000 ყურუში  
გაეგზავნა, დანარჩენი 1070 ყურუშის გაგზავნაც. იქვე აღნიშნულია,  
რომ იმ დროინდელი კურსით ეს ხარკი შეადგენდა 500 ათ. ასპრის  
(აყჩეს) ექვივალენტს.

ეს ფრიად საყურადღებო ცნობა, რომელიც რასაკვირველია ერთად  
ერთი არ იქნება, როდესაც ოსმალური წყაროები სათანადოდ განხი-  
ლულ და შესწავლილი იქნება, საშუალებას იძლევა ზოგიერთ ფაქტე-  
ბის გასარკვევად. მართლაც, როგორც აჭის ზემოდ მოყვანილ სიგელი-  
დან სჩანს, სახვანთქრო ხარაჯა კომლზე კერძოდ გურიაში თითო რუბი  
იკრიბებოდა. საგულისხმებელია იმერეთშიდაც ხარაჯა ამავე რაოდენო-  
ბის იქნებოდა. რუბი ოსმალურად მეოთხედსა ნიშნავს და უნდა იგუ-  
ლისხმებოდეს ან დუკატის და ან ყურუშის მეოთხედი. რადგანაც ოქ-  
როს ფული მე-17 საუკ. პირველ ნახევარში ოსმალეთში არ იჭრებო-  
და (ზემოდ ამავე წიგნში ს. კაკაბ., საფასის ისტორიისათვის..., 26),  
ამიტომ საფიქრებელია, რომ აქ იგულისხმება ყურუშის მეოთხედი (თვით  
სიტყვა ყურუში წარმოებულია გერმანულ გროშიდან). მე-18 საუკ.  
ბოლოს და მე-19 საუკ. დასაწყისს ოსმალეთში რუბი მართლაც ყურუ-  
შის მეოთხედს ნიშნავდა (Θ. Петрушевский, Метрология, СІІВ.  
1831 г., 188). ამისდა მიხედვით, რადგანაც იმერეთი 1647 წ. ხარაჯას  
4070 ყურუშს იხდიდა, კომლზე რუბის ანუ ყურუშის მეოთხედის ან-  
გარიშით მივიღებთ, რომ ამ დროს ოსმალეთი ღებულობდა იმერეთიდან  
ხარაჯას 16.280 კომლის ანგარიშზე.

ეს რიცხვი—16280 კომლი ამგვარად უნდა იყოს ხარაჯის გადამ-  
ხდელ მეკომურთა მაჩვენებელი. ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ მთავრობა  
(მეფე-მთავრები) ზოგ შემთხვევაში გამონაკლისის დაგვარად იძლეოდა  
შეუვალობის წიგნს სახვანთქრო ხარაჯის შესახებაც. ამისი მაგალითი  
გვაქვს, ზემოდ დასახელებულ შემთხვევების მიხედვით, მე-16 საუკუნე-  
ში აჭის მონასტრის 1625 წლის ახლოს ახლად შეწირულ ყმების მი-  
მართ გურიაში და ხონის და ილორის საეკლესიო ყმათა შესახებ იმე-  
რეთში. ეკლესია, თავისი მდგომარეობის გამო, უფრო ხშირად ახერ-  
ხებდა შეუვალობის მიღებას თვით სახვანთქრო ხარაჯის საკითხშიდაც.  
მაგრამ რომ ხარაჯის შეუვალობა თვით ეკლესიისათვისაც საერთო მო-  
ვლენას არ წარმოადგენდა, არამედ მხოლოდ გამონაკლისის დაგვარად  
არის საგულისხმებელი, ეს სჩანს იქიდან, რომ, მაგ., ისეთი ეპარქიის  
გლეხები როგორიც იყო საქყონდილო, მე-18 საუკუნეში ამ ხარაჯიდან  
განთავისუფლებული არ იყვნენ. 1760 წ. კაცია დადიანი საქყონდი-  
ლო ყმებისთვის საურის (ხარაჯის) ამოკვეთის შესახებ სწერს, რომ „დი-  
დის ხნილამ ჩვენს ქვეყანაში საურის თეთრის გარდახდა იყო და ეკლე-

სიასა შენსა (მარტვილის ღვთისმშობლისას) სამსახური და მუშაობა დაკლებოდა შენის ყმის სიღარიბის და გარდახთის მიზეზით. ახლათ... რომელიც მარტვილის მონასტრის საყდრისა შენისა შემავალი საქყონდილო კაცები იყო გლეხი თუ აზნაურიშვილი და ან აზნაურიშვილის ყმა წმინდისა ეკლესიისა შენისა მოსამსახურე თვინიერ დაბლა საქყონდილოს გარდა, ამათ საურის გარდახთა ასე გარდავიღეთ და აღმოუწერეთ, რომ ამიერითგან და უკუნისამდე არას დადიანის და არას ქყონდილისაგან არცა ვინმე უდროვობით მყოფის დამჭირავის მებატრონისაგან აქ, მარტვილს, შენს შემავალს საქყონდილოს კაცს საური აღარ ეთხოვებოდეს, ასე აღმოგვიკვეთია და გარდაგვიწერია“ (ს. კაკაბ., დასავლ საქართ. საეკლ. საბ. II, 14—15). ამ საყურადღებო საბუთიდან სჩანს, რომ საური, რომელიც იგივე ხარაჯა არის\*), საეკლესიო ყმებსაც სდებია და გარდა ამისა როგორც გლეხს, ისე აზნაურიშვილს.

\*) მე-17 საუკუნეში ლიხთ-იმერეთს ამ გარდასახადს, როგორც ვნახეთ, ხარაჯა ერქვა, რაც ოსმალურ შესატყვის ტერმინის პირდაპირ განმეორებას წარმოადგენდა. გარდა უკვე დასახელებულ შემთხვევისა (ზემოდ. გვ. 187) ხარაჯა მოხსენებულია კიდევ 1660—1662 წლ. ახლოს ვამეყ მეფის და დადიანის საბუთში ბიჭვინტისადმი (დას. საქართ. საეკლ. საბ. I, 68) და აგრეთვე 1733 წელსაც ალექსანდრე მეფის საბუთში გელათისადმი (იქვე, 130). ორივე საბუთი წარმოადგენს ახლად შეწირულ ყმების სხვათა შორის ხარაჯისგანაც განთავისუფლების შემთხვევას (1733 წლის საბუთში ხარაჯა მოხსენებულია როგორც სათათრო ხარაჯი). მე-18—საუკ. მეორე ნახევრიდან ხარაჯის მაგივრათ და მისი ექვივალენტად უკვე გვხვდება ლიხთ-იმერეთის ტერმინი საური. კაცია დადიანის ზემოდ დასახელებულ 1760 წლის საბუთის გარდა ის იხსენიება უკვე გარკვევით როგორც ხარაჯას ექვივალენტი დავით მეფის 1785 წლის საბუთში ილორის ყმათა შესახებ (ზემოდ, ამავე წიგნში ს. კაკაბ., ცნობები ილორის ყმათა შესახებ ხონს და კუხს, 166).

ხარაჯის ექვივალენტად მოხსენებული საური არის თურქული სიტყვა **سور** (სამსახური, ხარკი), რომელიც სპარსეთში იხმარებოდა სპეციალურ საგარდასახადო ტერმინად. ტერმინი საურიც ამიტომ პირველად აღმ. საქარც. ველოში უნდა შემოღებულიყო და მართლაც ტერმინი საური იხმარებოდა ქართლ-კახეთში მე-16 საუკუნეში სწორედ სპარსეთის სასარგებლოდ დადებულ გარდასახადის აღსანიშნავად საურთან ერთად მალიც (არაბ. **مالي** სპარსულშიც იხმარებოდა) იხსენიება. 1543 წლის ერთს მიწაწერში ქართლს იხსენიება სათათრო მალი (ქრონიკები II, 386). 1540 წლის საბუთში ქართლსავე—სათათრო საური (იქვე, 384), 1548 წლის საბუთში კახეთს—საყაენო საური (იქვე, 388). 1552 წლის საბუთში კახეთსავე—დიდ სათათრო საური (იქვე, 393) და სხ.. ასეთი მაგალითების გამრავლება კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ აქიდანაც ცხადია, რომ სათათრო მალი, სათათრო საური, საყენო საური ერთი და იგივე გარდასახადია. სჩანს, საური იხმარებოდა შესატყვისათ ტერმინებისა—მალი-ს აღმოსავ. საქართველოში და ხარაჯისა მე-16—17 საუკ დასავლ. საქართველოში. მე-18 საუკ. მეორე ნახევარში ლიხთ-იმერეთს საბოლოოდ მკვიდრდება საური, ნაცვლად ოსმალეთის მაგალითით ხმარებულ ტერმინისა ხარაჯა.

მე-18 საუკუნეში მალი აღმ. საქართველოში ხდებოდა მხოლოდ ქალაქებში მცხოვრებთ — ოჯახიანებს რაბაზი და მარტოხელთ 3 აბაზი. ლიხთ-იმერეთს მე-18 საუკ. ბოლოს ოსმალეთის ხარაჯიანობისაგან განთავისუფლების შემდეგ საური პირდაპირ მეფე-მთავრების სასარგებლოდ იკრიბებოდა. აღბად ამ დროს მიიღო საურისაგან შეუფალობის პრაქტიკამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი. ყოველს შემთხვევაში იმერეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ წლებში საური იმერეთში იკრიბებოდა მხოლოდ 1685 კომლიდან, კომლზე ორი მარჩილის გარდახდომით (AKAR. IV, 352).

რადგანაც ამგვარად ხარაჯა, იგივე საური, ხდებოდა საეკლესიო ყმებსაც და ამავე დროს აზნაურებსაც, ამიტომ ცხადია, რომ ხარაჯის შეუვალობის უფლებას ფრიად შეზღუდული ხასიათი უნდა ჰქონოდა და საფიქრებელია, რომ ამ შეუვალობასაც განსაზღვრულ შემთხვევებში სამეფო ხაზინის ანგარიშზე ექნებოდა ადგილი, ე. ი. შეუვალობის გამო დაკლებული გარდასახადი თვით მეფე-მთავრების ხაზინის შესავსებელი იქნებოდა, რადგანაც ძნელი დასაჯერებელია, რომ ოსმალეთის მთავრობას მეფე-მთავრების მიერ გაცემულ შეუვალობის ცალკე შემთხვევებისთვის ანგარიში გაეწია. თუ ეს მოსაზრება მომავალში გამართლდა, მაშინ მივიღებთ, რომ ზემოდ მიღებული რიცხვი (16280 კომლი) გამოხატავს იმერეთის სამეფოს მოსახლეობას მე-1640 წლებში მთლიანად გარდა მხოლოდ თავადებისა.

იმერეთის ამდროინდელ მოსახლეობის შესახებ ცნობები აქვს მოთავსებული თავისი ელჩობის აღწერილობაში ტოლოჩანოვისაც: ტოლოჩანოვი 1651 წ. გადმოგვცემს, რომ იმერეთის მეფეს ალექსანდრეს 100 თავადი ყავსო, თავადებს კი ყავს აზნაურები—5, 10, 20, 30 და 50 აზნაური თითო თავადსო. თავადებს აგრეთვე ყავთ თავის სარჩოზე მეთოფეები (მოლაშქრეები) თითოს 5, 10, 30 და 50 კაცი. თითო თავადს ყავს მეფის ნაბოძები სახელოდ ი.უ. სამკვიდროდ 500, 1000, 2000, 3000 და 5000 კომლი (გლეხი). სამეფო აზნაურების რიცხვი სიით უდრის 1100 კაცს, თითო აზნაურს თავის ხარჯზე ყავს 5, 10, 20 მეთოფე (მოლაშქრე). მეფის მეთოფეების რიცხვი 3 ათ. კაცს უდრის. ხოლო თვით სამეფო ყმების რიცხვი, გარდა თავადების და აზნაურების გლეხებისა 60 ათასს შეადგენსო (Др. русс. вполнов. მე-2 გამ., V, 244 და შემ.). ამ ცნობებს ესაქიროება გარკვევა\*).

\*) აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ტოლოჩანოვის და იველევის ელჩობის აღწერილობის მეორე ვერსიით ეს ცნობები იმერეთის მოსახლეობის შესახებ სხვანაირად არის გამოთქმული. სახელდობრ, მიხ. პოლიევქტოვის მიერ ჩვენთვის თავაზიანად მოწოდებულ ამონაწერით სათანადო ადგილი ამ მეორე ვერსიაში იკითხება შემდეგ ნაირად: По сказке думного дьяка Пешенга честных людей под царем тавадей, а порусски бояр и думных людей 100 человек, азнауров а порусски дворян 1100 человек, метопий а порусски стрельцов, которым дается жалованье, 2 тыс. человек, а по смете, сказал думной дьяк Пешенге, всяких людей меречинской земля торговых и черных и пахотных мужиков 60 тысяч“ (Статейный спис. Толоч. и Евлева, б. моск. архива м-ства иностр. дел, дела груз. 1650 г., № 2). სრული ვერსია აღწერილობისა, სათანადო ადგილას იკითხება შემდეგნაირად (ამონაწერი ცნობების არსებითი ხასიათის მხრივ შედარებული ცვაქვს მიხ. პოლიევქტოვის მიერ მოსკოვის სახელმწ. არქივში დამზადებულ მასალასთან ტოლოჩანოვის და იველევის ელჩობის აღწერილობის შესახებ): „У Александра царя тавадей по-русски бояр и думных людей 100 человек, а у них изпомещены царевы азнауры меньших статей и из них тавадских или боярских по-



აღსანიშნავია, რომ ტოლოჩანოვის ცნობაში უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს თავადების და სამეფო აზნაურების რიცხვი. აზნაურთა წოდების რაოდენობის და პროცენტულად, შედარებით მოსახლეობის სხვა სოციალურ წყებებთან, მე-17 საუკუნეში გამოსარკვევად ჯერჯერობით მკვიდრი ცნობები არ მოიპოვება. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ როგორც ქუთაისის საყდრის დაჯთიდან სჩანს, მე-1560 წლებში, რომელ დროსაც უნდა ეკუთვნოდეს ქუთაისის ყმების სრული მოცულობა, მოხსენებული 1578 წლის დავთარში (ამ დავთარში მოხსენებული პარტახტების სიმრავლე უნდა მიეწეროს 1568 წლის ემს), ქუთაისის სამღვდელმთავრო კათედრის კუთვნილ ყმათა შორის ირიცხებოდა აზნაური 4,3%, ახატი და შინა-ყმა, რომელიც თავისი უფლებრივი მდგომარეობით აზნაურს მისდევდა—11%, მსახური 53,1%, მონილვე 31,60% (ამის შესახებ ჯერჯერობით ს. კაკაბ., საქართვე. ისტორია, ახალი საუკ. ეპოქა, ტფ. 1922 წ., 123). ხონის საეპისკო-

мѣстей и вотчин челоуѣкъ по пяти и по десяти и по двадцати и по 30 и по 50 у всякого боярина и живутъ у нихъ, а какъ царь пойдетъ на службу и бояре съ тѣми цареви азнауры, которые изъ ихъ помѣстей изъ помѣщенныхъ ходятъ всѣ въ полку, а опроче царевыхъ службы походоуь никуда не ходятъ. Да у нихъ же у тавадей или у боярь своихъ людей устроено, которымъ ходить на службу за ними тюфянчеевъ такожде челоуѣкъ по 5 и по 10 и по 30 и по 50, а жалованье имъ даютъ бояре у кого они живутъ и съ царемъ на службу ходятъ всѣ, а за тавадеями царево жалованье в помѣстьяхъ и вотчинныхъ крестьянъ дворовъ по 500 и по 1000 и по 2000 и по 3000 и по 5000 дворовъ и больши за бояриномъ. Да царевыхъ же жалованныхъ помѣщиковъ и вотчинниковъ азнауровъ добрыхъ боярскихъ дѣтей по списку 1100 челоуѣкъ, а у нихъ царевыхъ тюфянчеевъ по-руски стрѣльцовъ на ихъ азнаурскомъ жалованьѣ челоуѣкъ по 5, по 10 и по 20 и больши и на службу ходятъ за царемъ с ними азнауры. Да государевыхъ тюфянчеевъ жалованныхъ 3000 (sic) челоуѣкъ и тѣ тюфянченъ в службу бывають около царева двора. Да царевыхъ же посацкихъ и торговыхъ и черныхъ всякихъ людей тысячъ с 60.000 опроче боярскихъ и азнаурскихъ поместныхъ и вотчинныхъ крестьянъ и его царевыхъ волостныхъ крестьянъ. А какъ де бываетъ служба большая и в тѣ поры збирается бояръ и азнауровъ царевыхъ и азнауровъ же которые ипомещены и боярскихъ помѣстей и тюфянчеевъ тысячъ с 40 и больши“ (Древне-росс. ыпвѣ. მე-2 გამ. V, 244, след.). ამ ორი ვერსიის შედარებიდან ცხადია, რომ სრული ვერსია უნდა შეიცავდეს უფრო სწორ კვალიფიკაციას. თავადების აზნაურები ცალკეა მოხსენებული და შემდეგ ლაპარაკია 1200 კაც სამეფო აზნაურზე. უკანასკნელი რიცხვი, ჩვენის აზრით, უნდა გამოხატავდეს საკუთრივ სამეფო აზნაურთა რაოდენობას ისე, როგორც რიცხვი 60 ათასი უნდა იყოს საკუთრივ სამეფო ყმათა მაჩვენებელი. თავში ნაჩვენები 100 კაცი უნდა იყვნენ თავადები, რადგან იქვე ლაპარაკია მათ კუთვნილ აზნაურების შესახებ, აზნაურები კი შეიძლებოდა მიკუთვნებული ყოფილიყო გარდა ეკლესიისა მხოლოდ თავადებისადმი.

პოსოს ყმებს შორის 1580 წლ. ახლოს (ამ დროს უნდა იყოს შედგენილი ხონის საყდრის დავთარი, შეად. ს-ო მ-ე II, 24 წ., 83) აზნაური იყო 5% (ს. კაკაბ., დასახ. შრ., 124). 1621 წლის ახლოს ცაიშელის კუთვნილ 367 კომლს შორის ოდიშში აზნაური იყო 5,2%.

ამ ცნობების მიხედვით შეიძლება დაახლოვებით გამოტანილ იქმნას შთაბეჭდილება, რომ მე-16 საუკუნის მეორე ნახევარს და მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში აზნაურთ წოდება პროცენტულად ოდნავ მატებასაც განიცდიდა. ტყვეთა ყიდვა, რომელიც უმთავრესად, რასაკვირველია, გლეხობის ზურგზე გადადიოდა, ამ პროცესის ერთ-ერთ ხელის შემწყობად უნდა ჩათვლილიყო. ყოველს შემთხვევაში შეიძლება ნავარაუდები იქმნას, რომ მე-1640 წლებში იმერეთში აზნაურთა წოდება დაახლ. 5% ან ოდნავ მეტი (5,2%) ყოფილიყო. ამისდა მიხედვით მთელი მოსახლეობის 16280 კომლად ჩათვლით მივიღებდით აზნაურთა რიცხვს ამ დროს დაახლ. 840—850 კომლად. ტოლოჩანოვი კი მარტო სამეფო აზნაურთა რიცხვს სიით უჩვენებს 1,100 კაცს. ტოლოჩანოვისთვის აღბად მიწოდებული იქნებოდა ცნობა ამ წოდების იარაღის მატარებელ მამობრივი სქესის წევრთა რაოდენობის შესახებ. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ 1810 წლის ცნობებით, იმერეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ წლებში იმერეთში ითვლებოდა საკუთრივ მეფის სახასო გლეხები 1311 კომლი, სამეფო აზნაურები და ამათი გლეხები— 5315 კომლი, გარდა ამისა სადედოფლო გლეხები 177 კომლი და სადედოფლო აზნაურები თავისი გლეხებით 240 კომლი (АКАК. IV, 258). ეს ცნობები, თავის თავადაც საინტერესო, შეიძლება გამოყენებულ იქმნას იმერეთის მოსახლეობის მე-17 საუკ. სოციალურ ვითარების გასარკვევადაც. 1864 წლის ცნობების მიხედვით (Сборник статистических сведений о Кавказе, Тиф. 1869 г., I. გვ. 1, pass.) სათანადო ანგარიშის გაკეთების შემდეგ გამოდის, რომ ამ დროს იმერეთში (ქუთ., შორაპნ. და რაჭის მხარე ქალაქ ქუთაისითურთ) ყოფილა სულ 37,169 კომლი, აქედან დაახლოვებით 233 კომლი თავადი, დაახლ. 2986 კომლი აზნაური, სასულიერო წოდება სწორედ 1588 კ. და გლეხობა 32,362 კომლი. პროცენტულად ამის მიხედვით თავადობა შეადგენდა მოსახლეობის 0,72%-ს და აზნაურობა 9,2%-ს. უკვე ამ ცნობიდან ცხადად სჩანს, შედარებით მე-16 საუკ. მეორე ნახევრის შესახებ ზემოდ საეკლესიო ყმათა მაგალითზე მოყვანილ ცნობებთან, რომ აზნაურობას იმერეთში მე-17 და მე-18 საუკუნეთა სიგრძეზე თვალსაჩინოდ უმატნია. რადგანაც ამგვარად აზნაურობა იმერეთში მე-19 ს. ნახევარში მოსახლეობის 9,2%-ს შეადგენდა, ამიტომ მე-19 საუკ. დასაწყისისთვის ამავე პროპორციის მიღებით შეიძლება ნავარაუდები იქმნას, რომ სამეფო და სადედოფლო აზნაურთა რიცხვი იქნებოდა,

აზნაურთა და მათი გლეხების საერთო რიცხვიდან (5535 კომლი) გამოსვლით და აზნაურთა 9,2%-ის ჩაგდებათ—დაახლოვებით 509 კომლი.

ეხლა საჭიროა შეფარდებულ იქმნას იმერეთის მოსახლეობის რაოდენობა მე-1640 წლებში და მე 18—19 საუკუნეთა მიჯნაზე. მე-18 საუკუნის დასასრულის და მე-19 საუკუნის დასაწყისის მოსახლეობა იმერეთში ეხლა შეიძლება საკმაოდ კარგად იქმნას გამოანგარიშებულნი. თავის დროზე ჩვენ სათანადო ანგარიშის გაკეთების შემდეგ ვუჩვენებდით, რომ იმერეთის მოსახლეობა მე-19 საუკ. დასაწყისში, საჩვენებლობის უკანასკნელ ხანებში, უნდა ყოფილიყო 19<sup>1</sup>/<sub>3</sub> ათასი კომლი მცხოვრები (ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი საქართ. ისტორ. საკითხ. შესახებ, ტფ. 1920 წ., 44). მართლაც აღსანიშნავია ამასთან დაკავშირებით, რომ 1782 წლისთვის იმერეთში ნაჩვენებია 18980 კ. მცხოვრები (ეს ცნობა, სხვათა შორის, მოხსენებული აქვს დრუბუსაც, Voyage... III, 136). პუნქტუალობა რიცხვისა იმისი მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ეს ციფრი აღებული იქნებოდა 1782 წლის ოფიციალური აღწერის ცნობებიდან (თითონ დრუბუა კი რუსული წყაროებით სარგებლობდა). სამწუხაროდ ამ აღწერიდან ჩვენამდის არავითარ სხვა მასალას, გარდა მოსახლეობის ჯამის დასახელებულ რიცხვისა, არ მოუღწევია.

რომ რაცხვი 18980 კომლი 1782 წლისთვის იმერეთის მოსახლეობის სწორად მაჩვენებელი უნდა იყოს, ამას ამტკიცებს რეინეგსის ცნობები. რეინეგსი ვადმოგვცემს (Allgemeine hist.-topogr. Beschreibung des Kaukasus, SPb. 1796. II, 29—55), რომ მის დროს (ეს ის დრო იყო, როდესაც სოლომონ I ახალი მკვდარი იყო და იმერეთში მეფობდა დავით II, მაშასადამე 1785 წლ. ახლოს) იმერეთში ითვლებოდა 19—20 ათასი კომლი. მათ შორის—საკუთრივ რაჭაში—3,600 კ.; საიაშვილოში—160 კ., საყიფიანოში—160 კ., საავალიანოში—200 კ., სალორთქიფანიძოში 400 კ., გეგუთის მხარეში—500 კ., ამას მისდევდა მხარეები: სანიჟარაძო—600 კ., სამიქელაოს, სანავარდოს და საქალაოს მხარე—1400 კ., საწერეთლო—300 კ., ხრეთის მხარე (Greti)—300 კ., მუხურის მხარე—500 კ., არგვეთი—2500 კ., ოკრიბა—2000 კ., საწულუკიძო 800 კ., სვირის მხარე 400 და რამოდენიმე ათეული კ., ხრამი—1500 კ., ლომსიათხევი—800 კ. ფერსათის მხარე—600 კ., სადემეტრაოს მხარე—160 კ., საჩინოს მხარე—1000 კ., საჯავახოს მხარე—1000 კ. ქალ. ბაღდაღში ირიცხებოდა 50 კ., ხოლო ქუთაისში 80 კომლი სომეხი, ისრაელი და თურქი. ამ ცნობების გამო, გათვალისწინებით 1782 წლის შესახებ არსებულ ცნობისა იმერეთში 18980 კომლის მოსახლეობის შესახებ, შეიძლება მიღებულ იქნას, რომ რეინეგსის მიერ ნაჩვენებ ორი ციფრიდან (19

და 20 ათ.) უფრო ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან იმერეთის მოსახლეობის რაოდენობის მაჩვენებლად—19 ათ. კომლი. 1790—1805 წლების სიგრაძეზე იმერეთის მოსახლეობა თვალსაჩინო მომატებას ვერ განიცდობდა. მართალია ტყვეთა ყიდვა უკვე აღკვეთილი იყო, მაგრამ მოსახლეობას ძლიერ დიდი ზიანი მოუტანა სოლომონ II-ს და დავით II ს შორის ბრძოლამ ტახტისთვის 1789—1794 წლებში. იმერეთის თავადები ეტბნებოდნენ სოლომონ II-სთან გაგზავნილ სოკოლოვს 1802 წ., რომ დავით მეფის სამჯერ იმერეთში შემოსვლისას ოსმალთ და ლეკთ ტყვეთ წაასხეს 17 ათ. სულით, რომელნიც დაყიდულ იქნენ აზიის სხვა და სხვა ადგილებში (А. Соколов, Путешествие мое в Имеретию с линии Кавказской, ... Москва, 1874 г., 54). თუნდაც რომ ეს ციფრი გადაქეტებული იყოს, მაინც ცხადია, რომ შინაურ ომებს 1789—1794 წ.წ. იმერეთის მოსახლეობისათვის თვალსაჩინო ზიანი მიუყენებია. ამისდა მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ, მაგ., მე-1850 წლებში იმერეთში მოსახლეობის ნორმალური ზრდა წელიწადში 2% ს უდრიდა (Сборн. стат. свед. о Кавк. I, 2), იმერეთის მოსახლეობა მე-18 და მე-19 საუკ. მიჯნაზე შეადგენდა: 1782 წ.—18980 კომლს, 1785 წ. ახლ. 19 ათ. კ. ან ოდნავ მეტს, 1809 წ.—19,3 ათ.კომლს\*).

ამგვარად მე 18 საუკ. დასასრულს იმერეთის სამეფოში 19 ათას კომლამდის ირიცხებოდა. შედარებით მე-17 საუკ. ნახევართან იმერეთის სამეფო მოკლებული იყო ამ დროს ლეჩხუმს და ვახანის მხარეს. თუ ლეჩხუმში მე-18 საუკ. მიწურულს დაახლ. 1,800 კომლს მივიღებთ (ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი..., 47), და ვახანის მხარეშიდაც, რენიფისის სიტყვით, ათას კომლზე (ოდნავ) მეტია ირიცხებოდა, გამოდის, რომ მე-17 საუკ. ნახევრის მოსახლეობას იმერეთის სამეფოში—16280 კომლს შეიძლება 1780—1800 წლებისთვის დაუპირდაპირდეს იმავე ტერიტორიაზე თითქმის 22 ათ. კომლი მცხოვრები. აქ ორსავე შემთხვევაში ანგარიში არ არის მიღებული სვანეთის მოსახლეობა. ანტიოქიის პატრიარქის მაკარის სიტყვით (ეს ცნობა ეკუთვნის მე-1660 წლებს) სვანების ორი წილი იმერეთის მეფეს ემორჩილებოდა, ერთი წილი — დადიანს. ლეჩხუმის დაკარგვით იმერეთის მეფემ მე-18 ს. დაკარგა უშუალო გავლენა სვანეთზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის დროს უშკულის სვანები იზდიდნენ მეფის

\*) კერძოდ იმერეთის და საზოგადოდ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ჩვენი წერალი დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1902 წ. ვახ. „ივერიის“ 27 ნომერზე. 1902 წ. № 254: Homo novus (=ს. კაკაბაძე)—ქართველების რიცხვი ასის წლის წინად შემდეგ კიდევ მოსახლეობის რაოდენობის შესახებ საქართველოში მე-15—18 ს.ს. იხ.—კვლევა-ძიებანი საქართვე. ისტ. საკ. შეს., ტტ. 1920 წ., 27—56.



სასარგებლოდ წელიწადში სამ ბათმანს თოფის წამალს (АКАК. IV, 256). საფიქრებელია, რომ სვანები მე-17 საუკუნეშიც მათი გეოგრაფიულ მდგომარეობის გამო, რომელიც ხელს უწყობდა მათ ნახევრად დამოუკიდებელ ცხოვრების განმტკიცებას, ნორმალურ სახელმწიფო გარდასახადების გაწერისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ და ამიტომ იმერეთის სამეფოსთვის მე-1640 წლებში აღნიშნულ 16 $\frac{1}{4}$  ათ. კ. რიკვში არ უნდა იგულისხმებოდენ. ცნობისთვის საჭიროა მოხსენებულ იქნას, რომ რეინეგსი, რომელსაც დატოვებული აქვს ფრიად საინტერესო აღწერა სვანების ყოფა-ცხოვრებისა, მათ 2 ათ. და რამოდენიმე ასი კომლის რაოდენობისად სთვლის (დასახ. წიგნი). პატრიარქი მაკარი კი მე-1660 წლებში ცაგერელ ეპისკოპოსის სიტყვით აშობს, რომ ამ ეპისკოპოსის ეპარქია—სვანეთი 60-ზე მეტ დიდ სოფლიდან შესდგებოდა, თითო სოფელში 400—600 და მეტი კომლი ირიცხებოდა. ეპარქიას 12 ათ. მადრის გამოყვანა შეუძლიაო (ს. კ ა კ ა ბ., კვლევა-ძიებანი, 49). ცაგერელის ეპისკოპოსის შემავალი მოსახლეობა იმერეთის მეფის ქვეშევრდომი იქნებოდა.

მაკარის ზემოდ მოხსენებული ცნობები უსაბუთოდ არეული უნდა იყოს. ცხენისწყლის ხეობის სვანები 1873 წლის, მაგალითად, ცნობებით 54 სოფელს შეიცავდა (Сборник сведений о Кавказе, V), ასე რომ ცაგერელს ალბად მხოლოდ ცხენისწყლის ხეობის სვანები ემორჩილებოდენ (მაკარიც ცაგერელის სამწყსო სვანეთში 60 სოფელს უჩვენებს). დანარჩენი ცნობები (კომლობრივი ცნობები და მოლაშქრეთა საერთო რიცხვი), უფრო ცაგერელის მთელს სამწყსოს (ლენხუმს) უნდა ეხებოდეს და ამასთანავე სოფლების მაგივრად ცალკე მხარეები უნდა იგულისხმებოდეს, თითო მხარეში 400—600 კომლის ჩათვლით. ამ ცნობებიდან ყოველს შემთხვევაში შეიძლება გამოტანილ იქნას შთაბეჭდილება, რომ თუმცა მაკარი იმერეთის მეფის სამფლობელოში სვანების ორ წილს აცხადებს, მაგრამ მეფის უშუალო მფლობელობაში მე-17 საუკუნეში მხოლოდ ცხენისწყლის სვანები უნდა ყოფილიყვნენ.

მე-1640 წლების ერთი მხრივ და 1800 წლის ახლო ხანების მეორეს მხრივ იმერეთის მოსახლეობის რაოდენობის ურთიერთთან შესაფარდებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას საეკლესიო ყმების შესახებ ცალკე რაიონების მიმართ შენახული ცნობები ერთი მხრივ მე-16 საუკუნის და მე-17 საუკ. პირველ ნახევრის დავთრებში და მეორეს მხრივ 1826 წელს შედგენილ კამერალურ აღწერაში იმერეთის ყველა საეკლესიო გლეხთა შესახებ (დაცულია მთავარარქივში). მაგ., საკათალიკოზო დიდი დავთარი (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს გამ., ტფ. 1914) მათხონჯში ანგარიშობს 30 კომლს საეკლესიო ყმას, 1825 წ. კი იქვე იყო 50 კომლი საეკლესიო ყმა, ბაკისუბანში პირველს შემთხვევაში იხსენიება 5 კ., მეორეში—11 კ., სოფ. ბარში 34 და 49 კომლი,

ნჯვენახევი (ბრეგადები) 1 და 3 კომლი, ჩხარში 9 და 15 კ., ბუეთში ბრეგადები 8 და 8 კომლი (შედ. კიდევ ილორის ყმები ხონს 1660 წ. 5 კომლი და 1785 წ. 13 კომლი, ხოლო 1819 წ. 9 კომლი — ზემოთ ამავე წიგნში, 161—175). სოფელ მესხეთში მე-1560 წლებში 11 კომლი ირიცხებოდა, 1825 წელს კი—23 კომლი. რადგანაც 1833 წ. იმერეთში (ლესხუმი სანგერელთა სამთავროში ითვლებოდა) სულ 21,783 კომლი ირიცხებოდა, ამიტომ თუნდაც ამ ზემოთ-მოსხენებული ცნობების მიხედვით, რომელიც ახსიათებს მოსახლეობის მოძრაობას ცალკე სოფლებში  $1\frac{1}{2}$ —2 საუკუნის სიგრძეზე, ვპოვებთ მე-1640 წლებისთვის იმერეთში მეკონსტანტინე ზემოდ მიღებული რიცხვის (16,280) საკმაოდ მტკიცე დადასტურებას.

1809 წლის ახლოს, როგორც ვნახეთ, სამეფო აზნაურთა რიცხვი იმერეთში დაახლოებით უნდა ყოფილიყო 509 კომლი. მე-1640 წლებში თეორიულად ეს რიცხვი კიდევ უფრო ნაკლები იქნებოდა ერთის მხრივ იმიტომ, რომ მეკონსტანტინე ზემოდ იმერეთში უფრო ნაკლები იყო და გარდა ამისა აზნაურობა მთელი მოსახლეობის ნაკლებ პროცენტს შეადგენდა (ნაცვლად 1850—1860 წლებში ნაჩვენებ 9,2% -ისა მხოლოდ 5 ან 5,2% -ის). ამისდა მიხედვით სათანადო ანგარიშის გაკეთების შემდეგ შეიძლება ნავარაუდები იქნას სამეფო აზნაურთა რიცხვი მე-1640 წლებში დაახლოებით 225 კომლი. როგორც ვნახეთ, ტოლოჩანოვი გადმოგვცემს, რომ სამეფო აზნაურთა რიცხვი იმერეთში სი ი თ 1100 არისო. თუ აქ იგულისხმება იარაღის მატარებელი მამაკაცთა რაოდენობა, მაშინ ეს ცნობა შეიძლება გამოყენებულ იქნას მე-17 საუკ. ნახევარში იმერეთში საშუალოდ კომლის მოცულობის გამოსარკვევად. ლამბერტის მიხედვით ცნობილია, რომ ამ დროს დას. საქართველოში ომში ძლიერ ახალგაზრდანიც მიდიოდნენ. „მეგრელებიო — სწერს ლამბერტი — როგორც ქვეყნიერების დანარჩენი ერნი, ჩვეულებრივ არიან ომსა, იმდენად ჩვეულებრივ, რომ მშობლებს სულ პატარები დაყავთ ლაშქარში და არ არიდებენ იმ გაჭირვებას, რომელიც იქ უნდა გადახდეთ. ისე აღიჭურვებიან იარაღით, დაიჭერენ ხელში ფარს და მიმართვენ წვილსა, თითქოს დაბადებიდან შეჩვეულნი იყვნენ ბრძოლას“ (სამეგრ. აღწერა, ქართ. თარგმანი ა. ჟუნიასი, გვ. 93). იარაღის მატარებლად აზნაირად მე-17 საუკ. პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოში, ლამბერტის მიხედვით, შეიძლება ჩაითვალოს ძლიერ ახალგაზრდაც. როგორც ხდებოდა იარაღის მატარებელ მოსახლეობის აღრიცხვა ამ დროს კერძოდ დას. საქართველოში, ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იმერეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ამ დროსაც ძლიერი უნდა ყოფილიყო ძველი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიცი-

ები, მაშინ შეიძლება მოგონებულ იქნას, რომ როდესაც 1254 წ. მონგოლებმა მოახდინეს საქართველოს საქვეფოს მოსახლეობის სალაშქრო ნაწილის აღრიცხვა, აღწერის დავთრებში შეიტანეს ყველანი მამობრივი სქესისა 10-დან 60 წლადის (ამის შესახებ ს. კაკაბ., მცხოვრებთა რიცხვი საქართველოში მე-13 საუკ. ნახევარს, — წერილები და მასალები საქართვე. ისტ., ტფ., 1914 წ., I, 26—27). მონგოლების ბატონობის დროს დამკვიდრებულ წესებს დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე შემდეგ საუკუნეების სიგრძეზე. ამ საკითხზე ჩვენ ვხლა აქ არ გავჩერდებით, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ლამბერტის ზემოდ მოხსენებულ ცნობის მიხედვით შესაძლებელია დაშვებულ იქმნას, რომ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში დას. საქართველოში იარაღის მატარებელ ელემენტად, რომელიც სახელმწიფოს მიერ აღრიცხვაზე იყო აღებული, შეიძლება 10—60 წლების ხნოვანების მამობრივი სქესის მოსახლეობა იქმნას მიღებული. ქვემოთ მოყვანილი ანგარიშები ამ გარემოებას რამოდენადმე თითქმის ადასტურებს.

ამ გარემოებას გათვალისწინებთ საქარა აღნიშნულ იქმნას, რომ საქართველოში მე-19 საუკ. მეორე ნახევრის სტატისტიკურ ცნობათა მიხედვით 10 წელზე უფრო ახალგაზრდა თაობა მამობრივი სქესისა შეადგენდა მამობრივი სქესის მოსახლეობის 27,63<sup>0</sup>/<sub>6</sub>-ს, ხოლო 60 წელზე უხუცესი მამობრივი სქესისა—11,24<sup>0</sup>/<sub>6</sub>-ს. 10—60 წლების ხნოვანების თაობა მამობრივი სქესის შეადგენდა მაშასადამე მოსახლეობის მამობრივი სქესის 61,13<sup>0</sup>/<sub>6</sub>-ს. 1864 წ., მაგ., კომლზე იმერეთში ითვლებოდა 4,17 მამობრ. და 3,7 დედ. სქესის სული. ამისა მიხედვით სათანადო ანგარიშის გაკეთებით მივიღებთ კომლზე იმერეთში მე-17 ს. ნახევარში 4,4 სულს მამობრივი სქესის 10—50 წლ. ხნოვანებისა, მაშინ კომლზე იმერეთში 1640—1650 წლებში მოდის მამრი 7,2 სული და მდედრი 6,2 სული, სულ 13,4 სული, ხოლო თუ ვიგულისხმებთ აღრიცხვაზე აღებული მამობრივი სქესის პირთა რაოდენობას მთლიანად 10 წლის ხნოვანებიდან, მაშინ მივიღებთ, პარალელური ანგარიშით, მე-1640—1650 წლებისთვის კომლზე იმერეთში 6,4 მამრს და 5,5 მდედრს, სულ კომლზე 11,9 სულს. უკანასკნელი ციფრი კი ჩვენ უფრო სამართლიანი გვეგონია, რადგან ერთის მხრივ ძნელი დასაჯერებელია, რომ აზნაურთა სიაში მოხუცნიც არ ყოფილიყვნენ შეტანილი და მეორეს მხრივ ჩვენ მიერ საცაიშლოს ყმების მიხედვით იმერეთის აზნაურთა შესახებ მე-1640 წლებისთვის აღებული პროცენტი (5,2) შესაძლებელია ოდნავ მომატებას საჭიროებდეს, რადგან აზნაურთა წოდება იმერეთში მე-17—18 ს-ში თანდათან მატებას განიცდიდა.

ამ ცნობის შესაჯერებლად საჭიროა მოგონებულ იქმნას, რომ ტოლოჩანოვი სწერს — სამეფო ყმები ქალაქად თუ სოფლად სულ 60 ათ.

არისო (იხ. ზემოდ, 191). ჩვენის აზრით აქ იმერეთის მთავრობის წარმომადგენელთ მიუწოდებით ტოლოჩანოვისთვის რვეალ ციფრად დაახლოვებით აღნიშნული რიცხვი სამეფო ყმების რაოდენობისა ორისავე სქესის სულთა ჩვენებით. მართლაც თუ კომლზე ორთაშუა რიცხვით ზემოდ მიაღებულ 11,9 სულს ჩავთვლით, მაშინ მივიღებთ სამეფო ყმათა რიცხვს 1651 წელს იმერეთში დაახლ. 5 ათ. კომლს. 1810 წლისთვის იმერეთის სამეფოში სამეფო და სადედოფლო ყმები (საკუთრივ სამეფო და სამეფო აზნაურთა) ირიცხებოდა 6626 კომლი სამეფო და 417 კომლი სადედოფლო, სულ 7043 კომლი (AKAK. IV, 258). სამეფო ყმათა რიცხვში შედის რაქაში მობინადრე 995 კომლი სამეფო და სადედოფლო ყმა (მათ შორის 955 კომლი საკუთრივ სამეფო და სამეფო აზნაურთა, 40 კ. სადედოფლო აზნაურთა). მე-17 საუკუნახევარში, საფიქრებელია, რაქაში სამეფო ყმები ან არ იქნებოდნენ, ან ძლიერ ცოტა, რადგანაც რაქა საერისთავოს წარმოადგენდა. ცნობილია, რომ რაქა სახსოვრად იქნა გამოცხადებული როსტომ რაქის ერისთავის შეპყრობის შემდეგ 1769 წ.. ამიტომ სამეფო ყმათა საერთო რიცხვიდან რაქის სამეფო ყმათა რაოდენობის გამოკლებით და მხედველობაში მიღებით იმ გარემოებისა, რომ 1546 წ. იმერეთის სამეფოში (ლენჩხუმიურთ) 16280 კ. ირიცხებოდა, ხოლო 1810 წლისთვის (ულენჩხუმიურთ) — 19,3 ათ. კ. მცხოვრებია, შესაძლებელია დაახლოვებით ნავარაუდები იქნას, სათანადო პროპორციის დაცვით, რომ მე-1640 წლებში სამეფო და სადედოფლო ყმათა რიცხვი იმერეთის სამეფოში უნდა ყოფილიყო დაახლოვებით 5180 კომლი, ე. ი. დაახლოვებით სწორედ 5 ათ. კომლი, ანუ ის რიცხვი, რომელიც ზემოდ მიღებულ იქნა დამოუკიდებელ ანგარიშის მიხედვით. მართალია აქ მხედველობაში არ შედის ლენჩხუმი, მაგრამ ვინაიდან ლენჩხუმს ყოველს შემთხვევაში მე-17 საუკუნის ნახევარში ყავდა თავი (მაგ., ხოსია ლაშხის შვილი ლენჩხუმის თავი მე-1660 წლებში), ამიტომ შესაძლებელია, რომ ლენჩხუმი არსებითად ისეთსავე მდგომარეობაში იყო როგორც რაქა და მაშინ ლენჩხუმის მხედველობაში არმიღება ადვილი გასაგები იქნებოდა: მეფის უშუალო მფლობელობაში არსებითად იქ ყმები არ იქნებოდნენ.

ერთ-ერთი ძირითადი დასკვნა რომელიც გამომდინარეობს ეველანოფერი ზემოთქმულიდან, არის კომლის მე-17 საუკუნახევარში მრავალსულიანობა შედარებით მე-19 საუკუნის შესახებ არსებულ ცნობებთან. უნდა ითქვას, რომ მე-19 საუკუნის შესახებაც ამ მხრივ ჩვენ გვაქვს დანამდილებით ცნობები მხოლოდ 1819 წლიდან, რომელ დროიდან ჩვენამდის მოაღწია საეკლესიო ცმების ნაწილობრივმა აღწერილობამ. საეკლესიო ყმათა 1819 წ. და 1825 წლის კამერალური აღწერილობა ამ საკითხისთვის გარდამწყვეტ ცნობას იძლევა. 1825 წლის კამერალურ



რი აღწერილობა უჩვენებს ყოფ. გელათის ეპარქიის ყმებს 582 კომლს და 2422 სულს მამობრივი სქესის, კომლზე მაშასადამე 4,16 მამრს, ქუთაისის ყოფილ ეპარქიის კუთვნილ ყმათა რიცხვი ამავე დროს იყო 566 კ. და 2389 ს. მამრ., კომლზე 4,2 ს. მამრ., ხონის ყოფილ ეპარქიის ყმების რიცხვი—210 კ., 869 მამრ., კომლზე 4,1 მამრ., ყოფილ ნიკორწმინდის ეპარქიისა—188 კ. და 815 მამრ., კომლზე 4,3 მამრ. (მთავარარქივის საქმე). 1864 წლის ცნობებით იმერეთში კომლზე (იგულისხმება გლეხობა) მოდიოდა 4,17 მამრი და 3,7 მდ.. 1886 წლის საყოველთაო აღწერილობით ქუთ. მაზ.—6,8 სული ორ. სქ., შორაპნის მაზრაში 6,8 ს. ორ. სქ., რაჭის მაზრაში—8,1 ს. ორ. სქ.. ამ ცნობებიდან ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ მე-19 საუკუნეში, 1825—1864 წლებში იმერეთში კომლის მოცულობა საშუალოდ ერთს და იმავე დონეზე იდგა, ხოლო მე-1860 წლებიდან, ბატონყობის გადაფარდნის შემდეგ, ახალ ეკონომიურ და სოციალურ პირობებში კომლის მოცულობა კლებას იწყებს. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ მე-1820 წლებში კომლის მოცულობა შედარებით სამეფოს არსებობის თუადაც უკანასკნელ ხანებთან, უკვე დაკლებული უნდა ყოფილიყო, რაც უნდა მიეწეროს 1811—1812 წლის მომსვრელ ჭამის შედეგებს. რუსთ ბატონობის დროს მშვიდობიანობის დამყარება და მებატონეთა გაძლიერებული ნივთიერი ინტერესი თავისი ყვებისადმი ამის შემდეგ ხელს უწყობდა დიდ კომლების დაშლას და საზოგადოდ კომლის მოცულობის შემცირებას. მართლაც საყურადღებოა, რომ 1810 წელს, მაშასადამე ჭამიანობამდის, რუს. მართებლობის წარმომადგენლები კომლზე იმერეთში 5 სულს მამობრივი სქესისას სთვლიდნენ (სახელდობრ 40 ათ. კომლს, რაც ცხადად გადამეტებულად ჩანს და 200 ათ. სულს მამობრ. სქ., AKAK. IV, 953). თუ იმერეთის მოსახლეობის სწორი რაოდენობის გაგება რუსის მართებლობას პირველ ხანებში უჭირდა, კომლის საშუალო მოცულობის წარმოდგენა ყოველს შემთხვევაში ძნელი არ უნდა ყოფილიყო. ამისდა მიხედვით გამოდის, რომ სამეფოს არსებობის უკანასკნელ ხანებში 1800—1810 წ.წ. იმერეთში საშუალოდ ირიცხებოდა კომლზე 5 მამრ. და, მე-18 საუკ. ცნობების დაგვარად სათანადო პროპორციის აღებით, 4,35 მდედ., სულ 9,35 სული ორ. სქ.. კომლის მოცულობა იმერეთში ამ დროს შედარებით 1825—1860 წლებთან უფრო მეტი ყოფილა. 1660—1760 წლებში იმერეთი განიცილიდა შინაურ ომების და გაძლიერებულ ტყვეთა ყიდვის საშინელებას. საფიქრებელია ამიტომ, რომ ამ გარემოებას კომლის წინანდელ (1670 წელზე ადრე) მოცულობაზე თავისი გავლენა ექნებოდა სულობრივ შემადგენლობის შემცირების პროცესის რამოდენადმე მაინც გაძლიერების მხრივ. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ მე-17 საუკ.

ნახევარშიც იმერეთში, როგორც ტოლოჩანოვის აღწერილობიდან სჩანს, არსებობდა მოსახლეობის ისეთივე გაფანტუბითი წესი ცხოვრებისა, რაც კოპლობრიკი მოცულობის დაცვას, საფიქრებელია, ხელს უწყობდა. ლამბერტის აქვს ერთი ცნობა, რომელიც რამოდენადმე მაინც საშუალებას გვაძლევს წარმოვდგინა ვიქონიოთ კომლის მოცულობის შესახებ ოდიში მე-17 ს. პირ. ნახევარში. ის ამბობს, რომ ოდიში სალაშქროდ, „თუმცა ჩვეულებრივ მთავარი თხაულობს კომლზე ერთი კაცი გამოვიდეს ლაშქრად, მაგრამ აზნაურობა უფრო თავისი სურვილით, ვიდრე კანონით სულ ერთიანად გამოდის, ისე რომ აზნაურს თუ 5 ან 6 ვაჟი ყავს, ესენი ყველანი გაყვებიან საომრად მთავარს, უკეთეს იმ ხანში არიან, რომ ცხენზე შეჯდომა შეუძლიათ. როცა მეტი გაჭირვება არის და მეტი ჯარი არის საჭირო, მაშინ ბრძანება გამოდის, რომ კომლზე ორი და სამი კაცი გამოვიდეს ლაშქრად. ზოგჯერ გამოდის ბრძანება, რომ სახლში დარჩეს მის დასაცველად მხოლოდ ერთი და დანარჩენები ვისაც შეუძლიან იარაღის ხელში დაქერა, გამოვიდნენ საომრად“ (ლამბერტი, ქართ. თარგ., 95). რადგანაც ამგვარად ლამბერტის მიხედვით ოდიში შესაძლებელი იყო კომლზე 3 მოლაშქრის და მეტის გამოთხოვაც, ცხადია, რომ იმერეთისთვის ზემოდ მიღებული რიცხვი კომლზე 11,9 სული ორ. სქ. დაახლოებით მართლაც უნდა გამოხატავდეს კომლის მოცულობას მე-17 საუკ. პირველ ნახევარში იმერეთსა და ოდიშში.

მოყვანილ ანგარიშებს დროს მხედველობაში არ იყო მიღებული ტოლოჩანოვის ცნობა, რომ იმერეთის მეფეს აღექსანდრეს 1651 წ. 100 თავადი ყავსო. ამავე მეფის ფიცის წერილში 1651 წელს დასახელებულია 51 თავადი და შინაყმა მათ შორის, დაახლოებით 39 მარტო თავადი. 1669 წლის სიაც აგრეთვე წარმოავიდეგენს 39 თავადს (ამის შესახებ ქვემოთ, გვ. 208). თუ ტოლოჩანოვის მიერ მოხსენებულ 100 თავადში იგულისხმება ამ წოდების წევრი სრულწლოვანი მამაკაცები რვეალი ციფრით, მაშინ მივიღებდით, მე-10 საუკ. მოსახლეობის შესახებ ცნობათა პროპორციით, რადგანაც 20 წელზე უფრო ახალგაზრდა მამობრივი სქ. შეადგენდა იმერეთში მთელი მამობრივი მოსახლეობის 46,29%-ს, რომ 1651 წ. თავადების წოდების იმერეთში ყოფილა დაახლოვ. 216 მამრი და 187 მდედრი, სულ 403 სული ორ. სქ.. თუ 1651 წლის სიაში მოხსენებულ 39—40 თავადს მეკომურთა თავებად მივიღებთ, გამოდის, რომ თითო მეკომურ თავადზე მოდიოდა ორთა შუა რიცხვით 10 სული ორ. სქ., ოდნავ ნაკლები იმაზე, რაც ზემოდ იყო ნაანგარიშევი საზოგადოდ მე-17 ს. ნახევრის იმერეთის მოსახლეობის შესახებ.

კველაფერის ზემოდ მოხსენებულის მიხედვით შესაძლებელია დაშვებ

ბულ იქმნას, რომ მე-1640 წლებში იმერეთის სამეფოში ითვლებოდა 16280 კ. მიმატებით დაახლ. 40 კ. თავადისა და კადევ ეპისკოპოზ-არქიმანდრიტებისა (დანარჩენი სამღვდელთა, საფაქრებელია, სახარა-ჯო ანგარიშში იქნებოდა ჩაგდებული). სულ მაშასადამე იმერეთის სამეფოს მოსახლეობა მე-1640 წლებში შეიძლება ჩათვალოს დაახლ. 16,3 ათ. კომლი და 194 ათ. სული ორ, სქ.. ხოლო 1805—1810 წლებში იმერეთის სამეფოში (ლენინოში უკვე ოდიშის სამთავროს ეკუთვნოდა და ვახანის მხარეც ქართლზე ირიცხებოდა) ითვლებოდა 19,3 ათ. კ. და კომლზე 9,35 სულის ჩათვლით 180,4 ათ. სული ორ, სქ.. თუ უკანასკნელ რიცხვს მივუმატებთ ლენინოშის მოსახლეობას, რომელიც აქ დროს 1800 კომლზე ცოტა მეტი უნდა ყოფილიყო (შეად. ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი, 47) და აგრეთვე ვახანის მხრის მოსახლეობას — რეინგესის სიტყვით 1 ათას კომლზე მეტს, სულ დაახლოვებით 3 ათ. კომლს, მაშინ მივიღებთ, რომ მე-1640 წლებთან შედარებით 1805—1810 წლისთვის იმერეთის სამეფოს მე-1640 წლებისთვის კუთვნილ ტერიტორიაზე კომლობრივ რაოდენობას მოსახლეობისას უმატნია  $37\frac{0}{10}$ -ით (16,3 ათ. კომლის მაგივრად 22,3 ათ. კ.), ხოლო ორივე სქესის სულთა რაოდენობას მხოლოდ  $7,4\frac{0}{10}$ -ით.

საყურადღებოა, რომ ტოლოჩანოვი 1651 წ. ამბობს, დიდ ლაშქრობის დროს იმერეთის სამეფოს შეუძლია გამოიყვანოს 40 ათ. კაცი და მეტიცო. თუ აქ მოლაშქრე ელემენტი მთლიანად იგულისხმება, მივიღებთ 194 ათ. ორ, სქესის სულის ანგარიშზე 20 წელზე უფროსი ჰასაკის და 60 წლამდის მამობრივი სქესის პირთა რაოდენობას, მე-19 საუკ. პრეპორციის მიხედვით, 46,9 ათასს. იმერეთის სამეფოს აქ დროს მაშასადამე მართლაც შეეძლო დიდი ლაშქრობის დროს 40 ათასი კაცის გამოყვანა. საყურადღებოა, რომ ლაშქერტიც სამეგრელოს სამთავროს შესახებ აქ დროს გადმოგვცემს, რომ დადიანს 30 ათ. მეომარის გამოყვანა შეუძლიაო.

ზემოდ მოხსენებულის მიხედვით, კიდევან თარიღებად 1650 და 1810 წლების ადებით, შეიძლება მიღებულ იქნას დასკვნა, რომ ამ ხნის განმავლობაში იმერეთში მოსახლეობა დაახლოვებით ერთსა და იმავე დონეზე ყოფილა. თავისთავად იგულისხმება, რომ შიგადა შიგ ამ ორ თარიღს შორის (მე-1640 და 1800—1810 წ.წ.) ადგილი ჰქონდა მოსახლეობის აწევ-დაწვევას სხვა და სხვა პოლიტიკურ და ეკონომიურ მიზეზების ზედგავლენით, მაგრამ კიდევან თარიღებს შორის ჩვენ ვხედავთ ზემოდ ნაჩვენებს სურათს. ლიხთ-იმერეთის ისტორიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოსმალურ წყაროებს, რომელიც ქართულ მეცნიერებისთვის ჯერჯერობით სრულებით უცნობია. პირადად

ჩვენი მისწრაფება ჩვენი მეცნიერების ამ ნაკლის რამოდენადმე მაინც შესავსებად, მიუხედავად პრაგმატიკულ ცდისა, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზნების გამო, განუხორციელებელი დარჩა. მომავალში, როდესაც ეს წყაროები მაინც ხელმისაწვდომი გახდება, შესაძლებელი იქნება საკირო დამატებათა შეტანაც. ჯერჯერობით კი დავკმაყოფილდებით მიღებულ დასკვნებით.

**იმერეთის სახელმწიფოებრივ სტრუქტურის შესახებ მე-17 საუკუნეში.** იმერეთის სახელმწიფო წყობილება საზოგადოდ და კერძოდ მე-17 საუკუნეში თხოულობს დაწვრილებით გამოკვლევას. მატრიანების არარსებობა, საზოგადოდ მასალებიც სიმცირეც, რომლის თვალსაჩინოდ გამარავლების იმედი ქუთაისის საგუბერნიო არქივში 276 წიგნად და-ცულ 31,174 ქართულ საბუთის პირების 1906 წ. ცეცხლში დაღუპვის და თვით ამ არქივის თითქმის მთლიანად 1919 წელს ხელისუფლების ნებდართვით ქალაქდათ გაყიდვის შემდეგ (არქივის საქმეებში დაცული უნდა ყოფილიყო ცალკე საბუთები წინანდელ საუკუნეებში-საც), მოსალოდნელი არ არის, საკითხის ძიებას ფრიად აფერხებს, მაგრამ არსებულ და უკვე ცნობილ ანდა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მასალების მიხედვით მაინც შესაძლებელია საზოგადო მოხაზულობის მხრივ ზოგიერთ ძირითად ხასიათის ფაქტების გამოკვლევა. საკითხის შესწავლის გაღრმავება ახალი მასალების მოპოვების შემდეგ უკვე მომავლის საქმეა.

ერთ-ერთს ჩვენს წერილში (აფხაზ-იმერეთის სამეფოს წეს-წყობილებისათვის მე-15—16 ს-ში—კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ტფ. 1920 წ., 68—78) ჩვენ შემთხვევა გვქონდა მოკლედ შევჩერებულიყავით ლიხთ-იმერეთის სახელმწიფო სტრუქტურის ზოგიერთ ნიშანდობლივ ფაქტებზე მე-15—16 საუკუნეში. მაშინ ჩვენ ვნახეთ, რომ შედარებით მე-14 საუკ. დასაწყისის საქართველოს სავეზიროსთან, მაგ. აფხაზ იმერეთის სამეფოს სავეზიროს უკვე მე-15 საუკუნეში წარმოადგენდა სხვა სურათს. ათაბაგ ამირ-სპასალარი, მანდატუოთ-უხუცესი დადიანი და გურიელი ამ სავეზიროს გარეთ არიან როგორც საკუთარ სამკვიდრო სამთავროთა მფლობელები, ხოლო სავეზიროს შედგენს 8 თანამდებობის პირი (მსახურთ-უხუცესი, ამირეჯიბი, ერისთავთ-ერისთავი ანუ ერისთავი, ამილახორი, ამირათ-ამირა, ციხისთავი, მდივანი და სახლთუხუცესი). მე-16 საუკუნეში ვეზირთა შემადგენლობაში კლება იწყო და 1554 წ. ნაცვლად ამ საუკუნის დასაწყისშივე აღნიშნულ 8 ვეზირისა ჩვენ ვხედავთ მხოლოდ 3 ვეზირს (ამირათ-ამირა, ამილახორი, ციხისთავი), თუმცა შესაძლებელია უკანასკნელი რიცხვი სავეზიროს სრული შემადგენლობის გამოშხატველი არ იყოს. სავეზიროს გარდა მე-15 საუკუნეში და მე-16 საუკ. პირვ.



ნახევარში აფხაზ იმერეთის სამეფოს მართველობის აპარატი და სამეფო კარი შეიკავდა სულ 9 უფროს მოხელეთა და 28—30 უმცროს მოხელეთა თანამდებობას (დასახელ. შრ.).

საყურადღებოა ამავე ეპოქაში დარბაზის შემადგენლობის გარკვევა. დარბაზი, როგორც სჩანს, წარმოადგენდა წარჩინებულ გვარების წარმომადგენელთა თუ თავი-კაცების კრებულს საკანონმდებლო უფლებებით, როელიც ამავე დროს ფეოდალურ სახელმწიფოში მიღებულ წესის მიხედვით ხშირად ადმინისტრატიულ ფუნქციებთან იყო არეულ ი. დარბაზის წევრთა რიცხვი 1490 წლ. ახლოს, გარდა ათაბაგისა\*), დადიანის და გურიელისა, უდრიდა 27 კაცს.

მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან ლიხთ-იმერეთის სახელმწიფო სტრუქტურაში თვალსაჩინო ცვლილება ხდება. შერგილაძეთა 1554 წლის სასისხლო სიგელში ავტონომიურ სამთავროთა მფლობელნი დადიანი და გურიელი ტიტულატურის მხრივ მაინც ჯერ კიდევ მტკიცედ დაკავშირებულად სჩანან იმერეთის სამეფო კართან: დადიანი ამ სიგელში მოხსენებულია მანდატურთ-უხუცესად და გურიელი ამირსპასალარად. ლევან I დადიანი (1533—1572) სხვა ცნობებიდანაც ცნობილია ერისთავთ-ერისთავის და მანდატურთ-უხუცესის ხარისხით (ილორის ხატის წარწერა—Brosset, Voyage archéol., VIII, 96). საყურადღებოა, რომ როგორც ლამბერტის ცნობიდან საგულისხმებელია, სწორედ ეს ლევან დადიანი იყო პირველი დამოუკიდებელი მთავარი ოდიშისა. ამ შემთხვევაში ილორის წარწერაში ლევანის ერისთავთ-ერისთავად და მანდატურთ-უხუცესად მოხსენება უნდა წინაუთქმობდეს ოდიშის მთავრის მაგრ იმერეთის მეფისაგან მეტი დამოუკიდებლობის მოპოვებას. ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ ლევან I-ის შემდეგ დადიანებუ მე-16—17 საუკუნეში უკვე აღარ ატარებენ იმერეთის სამეფო კარის რომელიმე ტიტულს და აღარც ერისთავთ-ერისთავებად იწოდებიან. მანუჩარ დადიანი (1590—1611) გარკვევით იწოდება ხელმწიფედ, ისე როგორც მისი შვილი დიდი ლევან II (1611—1657) დადიანი (მაგ., ილორის ხატის წარწერა 1651 წ., Brosset, Voyage arch., VIII, 100 და სხ., ს. კაკაბ., დასავლ. საეკლ. საბ. I, 40. დადიანის ელჩის გაბრიელის ჩვენება მოსკოვის

\*) ათაბაგის მოხსენება ლიხთ-იმერეთის საბუთებში შეიძლება გვიჩვენებდეს ათაბაგთა სახლის ერთი შტოს დამოკიდებულებას ლიხთ-იმერეთის სამეფოსაგან. ამ საკითხზე ჩვენ ცალკე შევჩერდებით. მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ათაბაგთა მოხსენება ლიხთ-იმერეთის საბუთებში წარმოადგენდეს საქართველოს ერთიანობის დროინდელ თეორიულ ნამოგონარს და განსაკუთრებით მე-15 საუკუნის დასასრულისთვის უკვე რეალურ მნიშვნელობას მოკლებული იყოს.

პრიკაზში 1639 წ.—Белокуров, Матер. для русс. ист., Москва 1888 г., 270) შეიძლება ამის მიხედვით მივიღოთ, რომ მე-16 საუკუნის დასასრულს და მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში დაღიანის დამოუკიდებლობა უკვე საკმაოდ განმტკიცებული იყო. მასვე მისდევდა ამ მხრივ, როგორც საგულისხმებელია, გურიელიც, თუმცა ჯერ კიდევ 1610 წლ. ახლო ხანებში გურიელი ხელმწიფის ტიტულს არ ატარებს (ს. კაკაბ., დასავლ. საქართ. საეკლ. საბ. I, 38). სვიმონ გურიელიც 1625 წლის ახლოს აქის წმ. გიორგის მონასტრისთვის მიცემულ სიგელში თავის თავს ჯერ ხელმწიფეს არ უწოდებს (ხემოდ, გვ. 184). ესევე შეიძლება ითქვას მაშინა გურულის შესახებაც 1605—1615 წ. ახალ. (ხემოდ, გვ. 183). გურიელი ვახტანგიც (†1640 წ.) შემოქმედის ზარზმის საყდრისადმი ბოძებულ სიგელში იხსენიება მხოლოდ პატრონად გურიელად (იხ. სიგელის ტექსტი Д. Бакрадзе, Археолог. путеш. по Гур. и Аишап., 130; ეს სიგელი ჩვენის აზრით ეკუთვნის ხსენებულ ვახტანგს გურიელს [1639—1640 წ.] და არა 1572 წ. იყოს მიცემული, როგორც ფიქრობდა დ. ბაქრაძე, ამის შესახებ ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი..., 59). შესაძლებელია, მე-17 საუკუნის პირველი ნახევარში გურიელის ხელმწიფედ მოუხსენებლობა მხოლოდ საბუთების სიმცირით აიხსნებოდეს, ფაქტიურად ყოველს შემთხვევაში საგულისხმებელია, რომ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში გურიელი მეფისაგან დაახლოვებით ისეთივე დამოუკიდებელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც დაღიანი.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამ შეცვლილ მდგომარეობისა, მიუხედავად ოდიშის და გურიის მთავრების მიერ ფაქტიურად იმერეთის მეფისაგან დამოუკიდებლობის მიღებისა, ოდიშის მთავარი, მაგ., ამის შემდეგაც არ უარყოფდა მეფის ერთგვარ უფროსობას. საყურადღებოა ამ მხრივ ლამბერტის ცნობა, რომ ლევან II დაღიანი იმერეთის მეფესთან ომის დროს ბრძოლის წინ მეფის პატივსაცემად ბუკს მანამდის არ დააკრვენიებდა, სანამდის იმერეთის ბუკს არ დაუკრავდნო (ლამბერტი, ქართ. თარგმ., 97). მართლაც იმერეთის მეფე ალექსანდრე III ლევან II დაღიანს თავის ყოფილ ყმას უწოდებდა (ალექსანდრე მეფის სიტყვები ტოლოჩანოვთან, ტოლოჩანოვის ელჩობის აღწერილობა, ნოვიკ. გამ., 169). თეორიულად ამგვარად იმერეთის მეფის უზენაესი უფლებები ოდიშსა და გურიაზე, ყოველს შემთხვევაში ასეთი პრეტენზიები იმერეთის მეფის მხრივ, კვლავ განაგრძობდა არსებობას. რეალურად კი ოდიში და გურიაც შიგნით უკვე სამეფოსაგან დამოუკიდებლივ ცხოვრებას ატარებდნენ. ყველა სამეფოსამთავროებს აერთებდა მხოლოდ ერთი რამ—დამოკიდებულება ოსმალეთისაგან.

რაღვანაც ამგვარად მე-16 საუკ, მეორე ნახევრიდან ჩვენ ვხედავთ ოდიშის (და საგულისხმებელია გურიისაც) სამთავროს ფაქტიურად იმეოეთისაგან დამოუკიდებლად გახდომას, ამიტომ იმერეთის უზენაეს მართველობის ორგანოებს უნდა საამისოდ შეგვცვალოთ თავისი სახეც. 1490 წლ. ახლოს დარბაზში აღრიცხულ 27 წარჩინებულ პირისაგან ოდიშ-აფხაზეიდან ითვლებოდა 10 პირი, გურიიდან 4 პირი, დანარჩენი საკუთრივ იმერეთიდან ქართლის დასავლეთ ნაწილითურთ (ს. კაკაბ. კვლევა-ძიებანი..., 77; ოდიშიდან აღრიცხულს რვა პირს უნდა მივმატოს ცალკე ნახსენები ორი გვარის წარმომადგენელი—ფარიჯანიანის და ქილაძის, რის შემდეგ ოდიშის წარჩინებულთა რიცხვი დარბაზში 1490 წლის ახლოს გამოდის 10 კაცი). მე-16 საუკ. მეორე ნახევრიდან იმერეთის სამეფო კარის დარბაზში უკვე არ იქნებოდენ ოდიშ-აფხაზეთის (და საგულისხმებელია გურიისაც) თავადების წარმომადგენლები. დარბაზის შემადგენლობა შეცვლილ იქნა, შეიცვალა აგრეთვე რამოდენადმე მართველობის აპარატიც.

იმერეთის სამეფოს სტრუქტურის გასაგებად მე-17 ს-ში მნიშვნელობა აქვს იმერეთის მოწინავე პირთა სრულს სიას, რომელიც დაცულია ორს ოფიციალურ საბუთში. ერთი მათგანი არის ალექსანდრე მეფის მიერ 1651 წ. რუსეთის მეფის სახელზე დადებულ ფიცის წერილში მოყვანილი სია იმერეთის სასულიერო და საერო წარჩინებულ პირთა (ზემოდ, М. Полневктов, Крестоцеловальная запись имперет. царя Александра III, 9 окт. 1651 г.) და მეორე ასეთივე სია, მოთავსებული ბაგრატი იმერთა მეფის წერილში რუსეთის მეფის ალექსის სახელზე 1669 წ. 6 დეკ. (Переписка груз. царей с российскими государями от 1639 г. по 1771 г. СПб. 1861 г. стр. 82—83). პირველი სია განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, რომ ის არის მოთავსებული სპეციალურ ხასიათის ოფიციალურ აქტში, მით უმეტეს რომ რუსეთის ელჩი ტოლოჩანოვი ვადმოგვცემს, იმერეთის მეფემ ფიცის მოცემის წინ (და ალბად რუსეთის ერთგულობაზე ფიცის მიცემის საკითხის გადასაწყვეტად) წერილობით მოიწვია ქუთაისში თავისი თავადები და აზნაურებიო (дояр и азнауров. Др. росе. ввѣлиошика, ნოვიკოვის მეორე გამ., V, 220). სიაში მაშასადამე უნდა იყვნენ მოხსენებულნი ყველა ის პირნი, რამელთაც 1651 წ. დიდ სახელმწიფო საკითხების გარდაწყვეტისას ბჭობაში მონაწილეობის ზილების უფლება ჰქონდათ. ეს რასაკვირველია არ ნიშნავს, რომ სია შეიცავს მხოლოდ ქუთაისში 9 სექტემბრისთვის 1651 წ. მეფის მოწვევის თანახმად გამოცხადებულ პირთა სახელებს. კონტექსტით უფრო საგულისხმებელია, რომ სია წარმოგვიდგენს ისეთ პირთა სიას, რომელთაც დარბაზობაში (ე. ი. საქმის ბჭობაში) მონაწილეობის უფლება ჰქონდათ დამოუკიდებ-

ლიე იმისა, დაესწრნენ ისინი რუსეთის ერაგულობის შესახებ ბჭობას თუ არა. ამის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს, სხვათა შორის, ის გარეგნობაც, რომ სიაში ჩამოთვლილია ყველა ეპისკოპოს-არქიმანდრიტები და ილუმენებიც, რომელთა ყველასი ერთად დასწრება კრებაზე ძნელი დასაჯერებელია (მართლაც ფიცის წერილზე ხელი უწეროა მხოლოდ რამოდენიმე სასულიერო პირს). მით უმეტეს მეტი მნიშვნელობა ეძლევა 1651 წლის ფიცის წერილში მოხსენებულ წარჩინებულ პირთა სიას.

სხენებულო სია 1651 წლ. 9 სექტ. ფიცის წერილისა საკუთარი სახელების სათანადოდ შესწორებით წარმოგიდგება შემდეგ ნაირად: კათალიკოსი მაქსიმე (მაჭუტაძე), მიტროპოლიტი სვიმონ (ქუთათელი ჩხეჭაძე), მიტროპოლიტი ზაქარია (გენაიელი, ქვარიანი), მთავარეპისკოპოსი გაბრიელ (უნდაიყოს ცაგერელი გაბრიელ ჩიქოვანი) მთავარეპისკოპოსი სვიმონ (ხონელი, ჩიჯაყაძე), მთავარეპისკოპოსი დავით (ნიკორწმინდელი), ეპისკოპოსი დომენტი, ეპისკოპოსი კოზმა, არქიმანდრიტი ბასილი, არქიმანდრიტი ანდრია, არქიმანდრიტი ევდემონ, არქიმანდრიტი დიმიტრი, არქიმანდრიტი გაბრიელ, არქიმანდრიტი სიმონ, არქიმანდრიტი გრიგოლი, ილუმენი დავით, ილუმენი სიმონ, ილუმენი სიმონ, ილუმენი იოსებ, ილუმენი სიმონ, ილუმენი ფილიპე, ილუმენი ნიკოლოზ, ილუმენი სიმონ, ილუმენი ზაქარია, ილუმენი თეოდოსი, თავადები და მეფის შინაყმები: ერისთავი პაპუნა<sup>1</sup>, ციხისთავი თეიმურაზ, სალთხუცესი ზურაბ, ჩიჯაყაძე საზვერელი, აბაშიძე პატა<sup>2</sup>, იაშვილი ქაიხოსრო<sup>3</sup>, ჭილაძე ბახუტა (Кяхута), ბოქალთუხუცესი ფარემუზი, მხეიძე (Хиизе) პაპუნა, ჩხეიძე ლევან, აბაშიძე ბაკა, ჩერქესი გიორგი, აბაშიძე ქაიხოსრო, ინჰსარიძე ქაიხოსრო, ლორთქიფანიძე ოტია, ჯაფარიძე ხოსია<sup>4</sup> (Кансеи), საყვარელიძე გიორგი, ჯაფარიძე ლომკაცი<sup>5</sup>, მხეიძე ფირანი, ჯაფარიძე ქველი,

<sup>1</sup>) ერისთავი პაპუნა—იგულისხმება რაქისა. ტოლოჩანოვი მას თავისი ელჩობის აღწერილობაში ასახელებს იმერეთის მეფის პირველ კაცად (ნოვიკ. გამ., გვ. 248).

<sup>2</sup>) პატა აბაშიძე არის ცნობილი ისტორიული პიროვნება. 1660 წლიდან ის იხსენიება როგორც ზემო-იმერეთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი. მოკვდა როკითის ომში 1684 წ. მიღებულ ჭრილობიდან. პატა იხსენიება როგორც დიდი ბაიარი ბაგრატ მეფის 1669 წლის სიაშიც.

<sup>3</sup>) ეს ქაიხოსრო იაშვილი უნდა იყოს ის თავადი ქაიხოსრო, რომელიც თავისი აზნაურებით ოქროსმკედის ტანისამოსში გამოწყობილი დიდის პატივით შეხვდა რუსეთისაკენ უკან მიმავალს რუს ელჩებს ტოლოჩანოვს და იველეუს (ტოლოჩანოვი. ელჩობის აღწ-ობა. ნოვიკ. გამ., 247).

<sup>4</sup>) ტექსტში მოხსენებულია ჯაფარიძე კანსა, რომელიც უნდა იყოს დამახინჯებული ხოსია. ხოსია ჯაფარიძე გაგზავნილი იყო ელჩად რუსეთში. მის ელჩობას მოყვა ტოლოჩანოვის და იველეუსის გამოგზავნა. საგულისხმებელია, რომ ხოსია ჯაფარიძე სიაში მოხსენებული იქნებოდა.

<sup>5</sup>) ლომკაცი ჯაფარიძე გიორგი არეშიძესთან ერთად მეფის ბრძანებით მიეგება ტოლოჩანოვს და იველეუს რაქაში (ვახუშტი).



წულუკიძე გიორგი, კვიციანი ბერუკა, იაშვილი კაცია, ჯაფარიძე გიორგი, კიდევ იაშვილი კაცია, ლოლაბერიძე ფაცია, ნიჭარაძე გიორგი, მხეიძე ხოსია, ნიჭარაძე ბაადური, აბაშიძე კაცია, მხეიძე იაპადა, საყვარელიძე გიორგი, მხეიძე ხოსია, ამილახორი ფარსადან, აბაშიძე გიორგი, ამირაჯიბი ქაიხოსრო, ლომინაძე ვახტანგ, ლალანიძე გიორგი, წერეთელი ზაალ, წერეთელი ქაიხოსრო, აბაშიძე ბერუკა, აბაშიძე გიორგი, ფალავანდიშვილი შიოშ, აბაშიძე შიოშ, აბაშიძე გოშია, საყვარელიძე გიორგი, ლაშხიშვილი ხოსია<sup>1</sup>, ჯაფარიძე მამუკა, მდივანბეგი (ДУМВОИ ДИЯК) ფეშენგი ამირასვილი.

სიაში მოხსენებულ პირთა განხილვა, რასაკვირველია, უფრო გაადვილებული იქნება, როდესაც გამოქვეყნებული იქნება ტოლოჩანოვის და იევლევის ელჩობის აღწერილობა, რომელიც მოსკოვის სახელმწიფო არქივში დაამუშავა გამოსაცემად გასულ წელს, საქართველოს ცენტრ-არქივის მინდობილობით, მიხ. პოლიევქოვიძე. ამჟამად ჩვენ ხელთ გვაქვს ტოლოჩანოვის ელჩობის აღწერილობის ნაკვეთის გამოცემიდან, მხოლოდ ზოგიერთი ადგილების ამონაწერები. მაგრამ ეს გარემოება დიდ დაბრკოლებას არ წარმოადგენს, რადგან ტოლოჩანოვის და იევლევს მათ დროინდელ იმერეთის წარჩინებულ პირთა შესახებ, რამდენადაც ვიცით, ცოტა ცნობები მოვპოვებთ.

სია ამ გვარად წარმოგვიდგენს კათალიკოზის გარდა 6 შლვდელთ-მთავარს და 7 არქიმანდრიტს, 10 ილუმენს, 51 თავადს და მეფის შინა-ყმას.

ხსენებულ სიასთან შესადარებლად მნიშვნელობა აქვს მეორე საბუთს, რომელიც მიეკუთვნება 1669 წელს. სახელდობრ 1669 წ. დათარიღებული ბაგრატი იმერთა მეფის წერილი-მიმართვა რუსეთის მეფის ალექსის სახელზე ასევე წარმოგვიდგენს იმერეთის სამეფოს წარჩინებულთა და სახელმწიფო საქმეების ბრკობაში მონაწილე პირთა სიას: „... მეფე ბაგრატი შევრდები ძლიერებათა შენთა, თაყვანს ვსცემ კელმწიფობასა თქვენსა, მოგვიდრეკია თავი ჩვენი და ვყმობთ უსწაროსა ტახტსა თქვენსა, ყოვლითურთ შემეიერთე და შექიძინე და ნუგეშინისმეც მე მონასა და მოსავსა შენსა ქრისტეს საწმუთოებისასა შენ კეისრისაგან უმაღლესო ბედნიერო კელმწიფევე, ჩვენ და ჩვენი ბაიარები, საქართველოს მაკურთხეველი კათალიკოზი ეფრაუმი, დიდისა დედაქალაქის ქუთათელ მიტროპოლიტი სვიმონ, დიდისა დავით აღმაშენებლისა დიდის საყდრის გაენათისა გაენათელ მიტროპოლიტი გედევან, ცა(გე)რელ მამათმთავარი გაბრიელ, ნიკოლოზწმინდელი დავით, მთავარებისკოპოზი სვიმონ, არქიმანდრიტი წინამძღვარი მალაქია, არქიმანდრიტი

1) ლახხიშვილი ხოსია—ცნობილი ისტორიული პიროვნება, ლეჩხუმის თავი.

წინამძღვარი მოწამეთა მთავრისა, არქიმანდრიტი წინამძღვარი მაცხოვრისა, არქიმანდრიტი სოხასტრისა, არქიმანდრიტი წინამძღვარი მთხილ(თა წ)ყარო სამებისა, არქიმანდრიტი მოწამეთა მთავრისა წმინდის გიორგისა, არქიმანდრიტი წმინდისა საბასის, არქიმანდრიტი წინამძღვარი წყალთაშუისა არქიმანდრიტი წინამძღვარი ვარძიისა, არქიმანდრიტი წინამძღვარი, წმინდის ნიკოლოაზისა, არქიმანდრიტი წინამძღვარი ვანისა, არქიმანდრიტი წინამძღვარი ტაბაკინისა, არქიმანდრიტი წინამძღვარი მაცხოვრისა ბასილ, დიდი ბაიარი ჩვენი სახლის უხუცესი სეხნია, დიდი ბაიარი ჩვენი შიოშ, დიდი ბაიარი ჩვენი სარდალი ხოსია<sup>2</sup>, დიდი ბაიარი ჩიჯავაძე საზვერელი, დიდი ბაიარი მოლარეთუხუცესი ბეჟან<sup>3</sup>, დიდი ბაიარი ციხისთავი, დიდი ბაიარი წულუკიძე მერაბ, დიდი ბაიარი აბაშიძე პაატა, დიდი ბაიარი და სარდალი წერეთელი ზაალ, დიდი ბაიარი იაშვილი მამუკა, ბაიარი წერეთელი ოტია, ბაიარი წერეთელი დავით, ბაიარი წერეთელი (ქაიხოსრო), ჩვენი სუფრაჯი ჩხეიძე ოტია, ბაიარი ბოქალთუხუცესი თამაზა, დედოფლის სუფრაჯი კვიციანი<sup>4</sup> დათუნა, დედოფლის სახლისუხუცესი ბაიარი პაპუნა, მესტუმრეთუხუცესი მხეიძე კაცია, კიდევ მესტუმრეთუხუცესი ფხეიძე ხოსია, ბაიარი მხეიძე ჟოჟუა, ბაიარი ჯაფარიძე გიორგი, ბაიარი ჯაფარიძე ავთანდილ, ბაიარი ჯაფარიძე ბეჟან, ბაიარი ჯაფარიძე ხოსია, ბაიარი წულუკიძე კაცია, ბაიარი იაშვილი კაცია, ბაიარი იაშვილი, ბაიარი ინსარიძე იესე, ბაიარი ინსარიძე გიორგი, ბაიარი ჩიჯავაძე როსტომ, ბაიარი ჩიჯავაძე ლიპარი, ბაიარი ნიჟარაძე პაატა, ბაიარი ლოლობერიძე ბეჟან, ბაიარი ნიჟარაძე ბადურ, ბაიარი ლოლობერიძე ზაალ, ბაიარი აბაშიძე ამილამბარ, ბაიარი აბაშიძე გიორგი, ბაიარი აბაშიძე იესე და სხვა ერთობლით ჩვენ(ი) თავადაზნაურიშვილი და ჩვენის კარის მდივნები ასლან, მდივანბეგი ბეჟან, მდივანბეგი ხუცია და მდივანბეგი პაატა“ (Переписка гвѣ. парей с росс. госуд., 82—83). ეს სია, როგორც ვხედავთ, წარმოგვიდგენს კათალიკოზის გარდა 5 მღვდელთ-მთავარს, 13 არქიმანდრიტს, 10 დიდი ბაიარს, მაშასადამე უფრო წარჩინებულ თავადს, 29 ბაიარს ანუ ჩვეულებრივ თავადს და კიდევ 4 მდივანს და მდივანბეგს.

1) სახლთუხუცესი სეხნია იყო ჩხეიძე, 1666 და 1669 წ. ოსმალთათვის ქუთაისის ციხის მიმცემი. ის მოკლულ იქნა 1669 წ.

2) სარდალი ხოსია შესაძლებელია იყოს ლეჩხუმის თავი ხოსია ლაშხისშვილი, რომელიც მე-1660 წლებში დიდს როლს ასრულებდა იმერეთში. ხოსიას შემდეგ ლეჩხუმის თავად ბრმა ბაგრატიისავე მეფობაში იხსენიება ხოსია ახვლედიანი (ს. კაკაბ., დასავლ. საქართ. საეკლ. საბ. I, 73).

3) მოლარეთ-უხუცესი ბეჟან შესაძლებელია იყოს მოურავი (იგულისხმება ალბად ქუთაისისა) ბეჟან ლორთქიფანიძე, რომელმაც 1667 წ. აიღო ქუთაისის ციხე ოსმალთაგან (ვახუშტი, ქ. ცხ. II, 204).

4) დაბეჭდილ ტექსტში ვკითხულობთ: ვ-ჩ-ვ-ი-ტ-ა-შ-ვ-ი-ლი.

ამ ორს სიას შორის არის ერთი მთავარი განსხვავება. სახელდობრ ორივე სია შეიცავს ეპისკოპოსების, არქიმანდრიტ-იგუმენების (მონასტრების წინამძღვრების) და თავადების სიას. მაგრამ 1651 წლის საფიცრის წიგნის სია წარმოგვიდგენს კიდევ წარჩინებულ აზნაურთა, სიასაც, მაშინ როდესაც 1669 წლის სიაში თითქმის მხოლოდ თავადებია აღნუსხული. ეს ცხადი ხდება საების გასინჯვით. ლომინაძე, ლალანიძე, საყვარელიძე, მოხსენებულნი 1651 წ. საფიცრის წიგნში, გარკვევით აზნაურთა წოდებისა იყვნენ. 1651 წლის სიაში მოხსენებულია ზოგი სხვა პირიც, მაგ., ზოგიერთი წარმომადგენელი აბაჯიძის, ჯაფარიძის, წერეთლის და ზოგი სხვა გვარის (ამ გვარების სახელის მატარებელნი, როგორც ცნობილია, თავადნიც იყვნენ და აზნაურნიც) აგრეთვე, საფიქრებელია, აზნაურთა წოდებიდან არიან. საერთოდ მაშასადამე 1651 წლის სიაში ჩვენ ვხედავთ აზნაურთაც, რომელნიც თითქოს არ არიან მოხსენებულნი 1669 წლის სიაში. მართალია 1669 წლის სიაში იხსენიება „დედოფლის სუფრაჯი კვიტაშვილი დაბუნა“ (ზემოდ, 208), მაგრამ ერთი რომ აქ ტექსტი ბროსეს ვამოცნემაში დაპახინჯებულად სჩანს და გარდა ამისა ჩვენ დანამდვილებით მაინც არ ვიცით ამ სუფრაჯის წოდებრივი ვითარება. ის გარემოება, რომ დედოფლის სუფრაჯი სიის პირველ ნაწილშია მოხსენებული, უნდა გვიჩვენებდეს რომ ის თავადების სწორად მიჩნეული უნდა ყოფილიყო. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ერთი ან ორი გამონაკლისი საერთო სურათს ვერ დაარღვევს. ის გარემოება, რომ 1651 წლის სიაში თავადებს გარდა აზნაურნიც არიან შეტანილნი, რამოდენადმე გასაგებად ხდის 1651 წ. და 1669 წ. სიებს შორის რიცხვობრივ განსხვავებას. 1651 წ. მოხსენებულია 51 თავადი და აზნაური, 1669 წ. კიდევ სულ 39 თავადი. ცალკე დგანან მდივნები ან მდივანბეგები. 1669 წლის სიაში ორივე ეს სახელი ერთად არის მოთავსებული და თუმცა მდივანს და მდივანბეგს შორის ამ დროს, მაგ., ქართლში, გარკვეული განსხვავება იყო—მდივანი იყო სამწიგნობრო საქმის თანამდებობა, მდივანბეგი კიდევ მსაჯულად იგულისხმებოდა,—მაგრამ შესაძლებელია იმერეთში ამ დროს ამ სახელწოდებების, ქართლის მაგალითით, შემოტანის გამო ადგილი ჰქონდა მათი მნიშვნელობის ერთგვარ არევას. ყოველს შემთხვევაში მდივნები (მდივანბეგები) წარმოდგენდნენ ბიუროკრატიულ აპარატის პატარა ჩანასახს და ამიტომაც ისინი სიებში გვარის მიხედვით მეფის დარბაზში მდგომარეობის მქონ პირთა შემდეგ არიან მოხსენებული. 1651 წ. სიაში მოხსენებულია ერთი მდივანი თუ მდივანბეგი (думной дьяк), 1669 წლის სიაში კიდევ—4 მდივანი და მდივანბეგი.

აღსანიშნავია ამასთანავე, რომ არც ერთს სიაში ჩვენ არ ვხედავთ, მაგ., ისეთი გვარის წარმომადგენელს, როგორიც იყო მიქელაძე და

გელოვანი. 1651 წ. სიაში კიდევ მოხსენებულია ჭილაძე, რომლის გვარის წარმომადგენელი არ სჩანს 1669 წ.. რეინეგსით, სამიქელაო (Mikelaο), სანავარდო და საჭილაო მის დროს (1785 წ. ახლოს) 1,400 კომლის შემცველი იყო, იწყებოდა გუბის წყალის შესართავთან და მისდევდა რიონის მარჯვენა ნაპირს (რეინეგსის Allgem. hisr.-top. Beschr. des Kauk. II, 36). შესაძლებელია, რომ სამიქელაოს პატრონი მე-17 საუკ. ნახევარში იმერეთის მეფეს არ ემორჩილებოდა. გელოვანს ვახუშტი სვანეთში იხსენიებს (გეოგრ., მ. ჯანაშვი. გამ., 28) და სვანების (თუნდაც ცხენის-წყლის სვანების) მფლობელი შესაძლებელია მეფის დარბაზში არ ირიცხებოდა.

1669 წლის სიაში ამასთანავე ყურადღებას იპყრობს თავადების გაყოფა „დიდ ბაიარებად“ და „ბაიარებად“, დიდებულ თავადად და თავადად. სიაში ამგვარად სულ 10 დიდი თავადი (დიდებულები) არის მოხსენებული. საყურადღებოა, რომ აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი გუჯარი, რომელიც მიცემული უნდა იყოს მე-16 ს. პირველ ნახევარში (დაახლ. 1525—1550 წლებში), გარკვევით განასხვავებს ერთმანეთისაგან დიდებულს, თავადს და აზნაურს („აწ ვინცა გინაჲ დიდებულმან ანუ თავადმან ანუ აზნაურმან კათალიკოსსა აგინოს“... ა. ხახანაშვი., გუჯარები, 131, შეად. იქვე 134). იმერეთის სოციალური სტრუქტურა მე-16 საუკუნეში ამის მიხედვით იცნობდა დიდებულს, თავადს და აზნაურს როგორც სხვა და სხვა სოციალურ ფენის წევრებს. ამ საკითხზე ჩვენ ამჟამად აქ ვრცლად არ გავჩერდებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მე-17 საუკ. ნახევარშიც, როგორც დარბაზის წევრთა 1669 წლის სიიდან სჩანს, იმერეთში კვლავინდებურად იყო განსხვავება დიდებულსა (დიდებულ თავადს) და თავადს შორის. ცნობილია, რომ ქართლში ვახტანგ მეფის სამართალში დაცულ ცნობის მიხედვით, დიდებულ თავადის, რომელიც გვარის თავი-ბატონი იყო, სისხლი მისი სახლის-კაცებზე ერთი ორად მეტი ღირდა და ერთი ოთხად მეტი ვიდრე ჩვეულებრივ თავადების სისხლი. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ იმერეთშიც, როგორც ეს აფხაზ. საკათალიკოზო დიდ გუჯარიდანაც სჩანს, დიდებულსა და თავადს შორის თვალსაჩინო განსხვავება იყო. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ 1669 წლის სიაში დიდი ბაიარები, როგორც სჩანს, განსაზღვრულ გვარების ბატონები არიან, მათი სხვა სახლის კაცები იქვე უბრალო ბაიარებად არიან დასახელებულნი (მაგ., აბაშიძეები, წერეთლები, იაშვილები). ეს ფაქტი ჩვენის აზრით უნდა ამტკიცებდეს, რომ იმერეთშიდაც, როგორც ეს ქართლში იყო, მე-17 ს-ში დიდებულად ითვლებოდა განსაზღვრულ სათავადო გვარეულობის თავი-ბატონი.

როგორც ნაჩვენები იყო (ზემოთ, 205 და ს. კაკაბ., კვლევა-ძიე-



ბანი... 77), 1490 წლ. ახლოს მეფის დარბაზს, ჯმალღეს სამართვე-  
ლოს ორგანოს საკანონმდებლო და იმავე დროს ნაწილობრივ ადმინი-  
სტრატიული ფუნქციებით, 27 პირი შეადგენდა, რომელნიც განსაზღვ-  
რულ გვარეულობათა ან ამ გვარეულობათა ცალკე შტოების წარმომად-  
გენლად სჩანან. სახლის ერთობა წარჩინებულ გვარეულობებში ჯერ  
კიდევ დაცული იყო და სახლის წარმომადგენლობასაც მეფის დარბაზ-  
ში ამ გვარიდან ერთი პირი (საფიქრებელია თავი-მატონი) კისრულობ-  
და. საფიქრებელია ამასთანავე, რომ დარბაზში თუმცა წარმოდგენი-  
ლი იყო თავადების გვარეულობათა უმეტესი ნაწილი, მაგრამ მაინც უვე-  
ლა არა. ყოველს შემთხვევაში 1490 წლ. ახლოს სიაში დარბაზში  
არ ვხედავთ ჯაფარიძეს, თუმცა თითონ ალექსანდრე იმერთა მეფე სვან-  
თა 1503 წლის ცნობილ სასისხლო სიგელში სწერს — „ჯაფარიძისთანა  
თავადი რაქს არა მყავსო“. სიფრთხილისთვის მაინც საჭიროა აღინი-  
შნოს, რომ 1490 წ. ახლო სიაში შესაძლებელია მხოლოდ სამეფოს კარ-  
ზე მყოფ დარბაზის წევრნი იყვნენ დასახელებულნი და შემთხვევით ან  
რაიმე მიზეზის გამო კარზე არ მყოფნი დარბაზის წევრნი გამოტოვე-  
ბულნი იყვნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ 1490 წლის ახლ. დროის  
სიაში თავადების გვართა წარმომადგენლებს შემდეგ მისდევს აფხაზეთის  
და ქართლის კათალიკოზის და ეპისკოპოსთა მოხსენება (ს. კაკაბ.,  
კვლევა-ძიებანი..., 74). ამ ეპისკოპოსთა შორის მაწყვერელი მოხსენე-  
ბულია როგორც სამცხის მაკურთხეველი გარეგან პატივისცემის აღსა-  
ნიშნავად, ისე როგორც ქართლის კათალიკოზიც. დანარჩენი ეპისკო-  
პოსნი (9) დას. საქართველოს მღვდელმთავარნი უნდა იყვნენ, 7 გარ-  
კვევით და ორი საეპოკოდ (ეს ორნი არიან დავით ცხეთელი და ევდე-  
მოს ცხეთელი; ცხადია აქ სიგელში, რომლის მხოლოდ მე-17 საუკუ-  
ნის პირი იყო მოწვეული, ტექსტა დამახინჯებული ყოფილა). მაგრამ  
მაშინ როდესაც სიგელში თავადები „მოწმებად“ არიან დასახელებულ-  
ნი, ეპისკოპოსნი, ისე როგორც ვაზირნი და ხელის მქონებელნი, ასეთ  
კვალიფიკაციას მოკლებულნი არიან. ჩვენ გვკონია, რომ ეს გარემოება  
შემთხვევით არ უნდა აიხსნას. დარბაზი შესდგებოდა მხოლოდ წარჩი-  
ნებულ გვარეულობათა წარმომადგენელთაგან, ხოლო „ხელის მქონე-  
ბელნი“ მოხელენი და ეპისკოპოსნიც დარბაზის წევრებად არ ითვლე-  
ბოდნენ.

ეხლა თუ დარბაზის ამ 1490 წლის ახლოდროინდელ სურათს შევა-  
დარებთ მე-17 საუკ. ნახევარში არსებულ დარბაზის სურათს, ვპოვებთ  
თვალსაჩინო ცვლილებას. შეცვლილ მდგომარეობის გამო (იხ. ზემოდ  
203—204) გურია ოდიშის და მით უმეტეს აფხაზეთის წარჩინებულნი აქ  
უკვე წარმოდგენილი არ არიან. დარბაზის შემადგენლობა მაინც დიდად გა-  
ზრდილია. მასში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს გარდა კათა-

ლიკოზისა, ყველა ეპისკოპოზებ, და მონასტრების წინამძღვრებს, დიდებულ თავადებს ყველას და დანარჩენ სათავადო სახლების ანუ ოჯახების (კომოლების) თავი-კაცებს (შეად. ზემოდ 200—201). დარბაზშივე მონაწილეობას ღებულობდა ზოგიერთი თანამდებობის პირიც არა თავადი (აზნაური), ყოველს შემთხვევაში ეს საგულისხმებელია 1651 წლის სიის მიხედვით. თანამდებობანი კიდევ უმეტესად გვარის ან სახლის საკუთრებად იყო მიჩნეული და ჩვეულებრივ ერთსა და იმავე გვარში რჩებოდა, რასაკვირველია მეფის დამტკიცებით. ეს ფრიად ცნობილი ფაქტებია, ასე რომ მაგალითების მოყვანა ზედმეტად უნდა ჩიოთვალოს\*). ის გარემოება, რომ 1669 წლის სიაში აზნაურნი დარბაზში

\*) საყურადღებოა ამ მხრივ ერთი საბუთი, რომელიც 1679 წ. მიეკუთვნება და რომელიც ჩვენ ვნახეთ ქუთ. ყოფ. სათავადაზნ. დევ. საკრებულოს არქივში (საქმე № 290). საბუთი, დაწერილი თეთრს ქაღალდზე, რამოდენადმე უკვე დაზიანებულია, ეხება საყვარელიძეთა გვარში მეჯინიბეთ-უხუცესობის თანამდებობის მკვიდრობას. ნიშნად ყოველ სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი, იშვითად ორი წერტილი.

---- ჯვრისათა რომელსა ზედან განიპყრნა უხრწნელი მქალაქნი თვისნი ხსნისა ჩვენისათა, ამათ ყოველთა წმინდათა თავდებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა დიდისა მხნისა მხედარისა შეიდ წილ უძლეველი---სნის წმინდის გიორგისათა, ამათა--- თავდებობითა მინდობითა და შუამ--- ვას დიდაა პატროსანს სვინაქსარს--- ერიით დ(ა) ან მოიხსენებინან, ამათა ყოველთა წმინდათა თავდებობითა მინდობითა და შუამდგომლობითა ესე აუარებელი საბოლოთ გ. სათავებელი სამკვიდრო ფიცი და პირი წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ მეფეთ მეფემან [კელძ]წიფემ ბატონმა ბავრატ და თანამეცხედრემ ჩვენმა ქართველის ბატონის ასულმა დედოფალთ: დედოფალმა პატრონმა თამარ და ძეთა ჩვენთა თქვენ საყვარელიძე მთავარებისკობოზს სვიმონს და შენს ძმისწულს პატას, თქვენთა შეილთა და მომავალთა ყოველთავე ასრე და ამა პირსა ზედა, რომე თაობითაც მიზღლეჩით თქვენის სახლის ყოფილიყო ჩვენი კარის მეჯინიბეთ უხუცესობა. მაგრამ მოხდა მაგვ[ა]რად საქმე, რომ გარდავარდით და ოღიშს წახვედით. მერმე რადენ მოხვედით და ჩვენი ერდგული შეიქენით, ისრევე თქვენ მოგეცით მეჯინიბეთ უხუცესობა ჩვენის სახლის, ასრე რომე როგორც შენს სახლსა და მამასა და პაპას ჰქონებოდეს ჩვენის სახლის მეჯინიბეთ უხუცესობა, ახლა ისრევე თქვენთვის მოგვიცემი (sic). ქონდეს და გიბენდიეროს ღთმ- ჩვენსა ერდგულობასა და სამსახურსა შიგნ, ასრე რომე თუ თქვენ ჩვენი ერდგული ჩვენის სიტყვისა და ბრძნების მორჩილი ყვანი იყოთ, ეს ჩვენგან მოცემული წიგნი და სიგელი აღაროდეს აღარ მოვიშალოთ. ამისად ვასათავებლად თავდებად მომიცემია თავად ღთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი ქვეყნისანი, ხორციელი და უხორცილი. დაიწერა ბრძანება წიგნი სიგელი ესე ქკს სამას სამოცდა შვიდსა მეფობისა (sic) ხელისა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობარისა თავქარასვილისა ბეიასათა.

აქ დასმულია ბეჰედი მხედრ. წარწერით: მონა ლთისა მეფე ბავრატ. იქვე ჯვარია დასმული ფრიად გაუბედავი ხელით (ეს ნიშანი დასმული იქნება თვით ბავრატ მეფის მიერ, რომელიც, როგორც ცნობილია, ბრმა იყო).

საბუთი ფრიად საყურადღებოა იმითაც, რომ სახლის უფროსად აქ გამოდის მთავარეპისკოპოზი სვიმონ საყვარელიძე, რომლის და აგრეთვე მეჯინიბეთუხუცესის პატას სახელზე არის მიცემული სიგელი.

მონაწილეობის მიღების უფლების მქონედ თითქოს არ სჩანან, უნდა გვიჩვენებდეს, რომ მე-17 საუკ. ნახევარში ამ მხრივ იმერეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრების პრაქტიკაში ერთგვარი მერყეობა უნდა ყოფილიყო. სჩანს აზნაურნი დარბაზში 1651 წლის ახლოს დროს ახალი შეყვანილი უნდა ყოფილიყვნენ და მე-1660 წლებში ამ მხრივ ვხედავთ ერთგვარ უკან დახევას, მაგრამ დროებით. ამ ფრიად საყურადღებო საკითხის საბოლოოდ გასარკვევად რასაკვირველია საჭირო იქნება ახალი მასალების მოპოვება.

ვახუშტის აქვს დაცული ფრიად საყურადღებო ცნობა, რომელიც ჯერ კიდევ ჯეროვნად შეფასებული არ არის: „ხოლო იმერეთს მეფის ალექსანდრეს გიორგის ძისამდე იყვნენ წესნი ეგრეთვე (ე. ი. იყვნენ ხელისუფალნი სამეფო კარზე) და შემდგომად მისა არღარა, არამედ მთავარნი თვს-თვსით სპითა შეკრებიან და არცაღა კელისუფალნი მეფისანი არიანღა“ (გეოგრ., მ. ჯანაშვი. გაზ., 22—23). ამ ცნობიდან ცხადი ხდება, რომ ალექსანდრეს მეფობამდე (1637—1660 წ.) და მის დროს იმერეთში თითქოს ჯერ შენარჩუნებული ყოფილა ხელისუფალთა (იგულისხმება მაღალ ხელისუფალთა) ძველი აპარატი. მე-15 საუკ. მეორე ნახევარში 1446 და 1501 წლების სიგელების მიხედვით აფხაზ-იმერეთის სამეფოში მეფის მართველობის აპარატი და სამეფო კარი შეიცავდა სულ 9 უფროს მოხელეთა და 28—30 უმცროს მოხელეთა თანამდებობას. ვეზირთა რიცხვი კიდევ 8 იყო. ვეზირები იყვნენ: მსახურთუხუცესი, ამირეჯიბი, ფრისთავთ-ფრისთავი (ანუ ფრისთავი), ამილახორი, ამირათამირა, ციხისთავი, მდივანი და სახლთუხუცესი. უფროს მოხელეთა თანამდებობა იყო: მეჯინბეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი, მეღვინეთუხუცესი, გამკეთუხუცესი, ბაზიერთუხუცესი, მებაჯრეთუხუცესი, მესტუმრეთუხუცესი, ახოსალარეთუხუცესი. ამათ მოყვებოდნენ მცირე ხელისუფალნი: მოლარე, მერიქიფე, მეჯინბე, მეღვინე, მესტუმრე, მზარეული, ბაზიერი, მემწერვე, მემსკოვარი (შემწერვე, შემსკოვარე?), მეჩანგე, მენალარე, მედაბდაბე, ხარკისა და ღალის მკრეფელი, გოქისა და ქათმის მკრეფელი, პურისა და ღვინის მკრეფელი, მებაჯრე, მესტვირე, მუქიფი, ახოსალარი, ბოქაული, მეძალღე-მემწევრე (ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი, 71). მე-16 საუკუნეში უკვე ჩვენ ვხედავთ, რამდენადაც ეს სიგელების მიხედვით შეიძლება დადასტურებულ იქნას, მართველობის აპარატში ზოგიერთ ცვლილებებს. 1512 წლის გაბელიძეთა სასისხლო სიგელი (დადიანის გურიელის და ათაბაგის გარდა) იხსენიებს (საისტ. მ-ე II, 24 წ., 35) 6 ვეზირს—მსახურთუხუცესს, ამირეჯიბს, ამილახორს, ციხისთავს, სახლისუხუცესს, ამირათამირას; ხელის მქონებელს 7-ს: მეჯინბეთუხ., მოლარეთუხ., მებაჯრეთუხ., ბოქაულთუხ., მეღვინეთუხ., გამკეთუხ., ბა-

ზიართუხ., შემდეგ მოხელენი (9 თანამდებობა) და კარის „მემუღმენი“ (4 თანამდებობა). 1544—1545 წლებში მიცემული სასისხლო სიგელი კალანდაძეთა (საისტ. მე-24 წ. II, 36—38) იხსენიებს შემდეგ კათალიკოზთა-ეპისკოპოსთა და დადიანის, გურიელის და ათაბაგისა „მოხელეთ“ — ერისთავს, ციხისთავს და ამირათ-ამირას. 1554 წლის შერგილაძეთა სიგელში (ქრონიკ. II, 397—398) ამირათ-ამირა, ამილახორი და ციხისთავი ვეზირებათ იხსენიებიან. ამ ცნობების შეფარდებით შეიძლება ვიკულისხმოთ, რომ მე-16 საუკუნეში იმერეთში ვეზირებათ ითვლებოდნენ ერისთავი (იკულისხმება ალპათ რაჭის ერისთავი), ციხისთავი, ამირათამირა, ამილახორი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კალანდაძეთა სიგელი ერისთავს, ციხისთავს და ამირათამირას ვეზირებს არ ეძახის, არამედ მოხელეთ. შესაძლებელია ვეზირთა ინსტიტუტი მე-16 საუკუნეში იმერეთში იმყოფებოდა. ამ მალაქა „მოხელეთ“ კალანდაძის სიგელში მიუბიძგის „კარისა მდგომნი“ — მებაჯრეთუხუცესნი და მებაჯრენი, მესტუმრეთუხუცესნი და მესტუმრენი, ბაზიართუხუცესნი და ბაზიარნი, მელვინეთუხუცესნი და მელვინენი; მოხელენი — მოხელეთუხუცესნი, სახლთუხუცესნი, საქურქლის უხუცესნი; შემდეგ კიდევ მოხელენი — ქალაქისა უხუცესნი, მოლარენი, მამასახლისნი, ხაბაზნი და პურისა და ღვინისა მკრებელნი, მამულისა (უნდა იყოს — მალისა) და ხარჯისა მკრებელნი, ულუფისა და ჯურუმისა მკრეფელნი, ძროხა-საკლავისა მკრეფელნი, გოჭ-ქათმისა მკრეფელნი (საისტ. მე-24 წ. II, 37). სიაში, ცხადად ეტყობა, მოხელენი უკვე ისე მკვეთრად არ არიან განაწილებულნი უფროს და უმცროს თანამდებობათა მიხედვით როგორც ამას, მაგ., 1446 წ. თულასძეთა და 1501 წ. ბაქრაძეთა სიგელებში ვხვდავთ. საყურადღებოა, რომ შერგილაძეთ 1554 წ. სიგელში სამი ვეზირის შემდეგ ჩამოთვლილი არიან „მოხელენი“: მებაჯრე, მეჯინიბე, ახოსალარი, მესტუმრე, მელვინე, მუქიფი, მზარეული, ბაზიერი, ბოქაული, მოლარე, მეჩანგე-მენალარე, მედადაბე, მეძალღე-მემწვერე, მალისა და ხარჯის მკრეფელნი, ძროხა-საკლავის მკრეფელნი. აქ მალაქა მოხელენი (მებაჯრეთუხუცესნი და სხ.) სრულებით არ არიან დასახელებულნი. ასევე არევიტ არიან ხელისუფალნი დასახელებულნი ტყავაძეთა 1601 წლის სასისხლო სიგელში: „აწე ერისთავთა ერისთავთა მანდატურთუხუცესო დადიანო, ამისპასალარო ათაბაგო, სევანთა ერისთავო გურიელო, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ. სხვანო კარისა ჩვენისა სახლისუხუცესო, ვაზირთა უხუცესო და ვაზირნო და კამყოლო, ბოქაულთაუხუცესო და ბოქაულენო, მესტუმრეთუხუცესო და მესტუმრენო, მოლარეთუხუცესო და მოლარენო, მეჯინიბეთუხუცესო და მეჯინიბენო, ახოსალართუხუცესო და ახოსალარო, ბაზიართუხუცესო და ბაზიარნო, მუქიფთაუხუცესო და მუქიფო, თქვენცა ასრე დაუმტკი-



ცეთ. სხვანო ხელისა ჩვენისა მქონებელნო, ამირმექურქლენო, პურისა და ღვინისა მკრებელნო და ძროხისა საკლავისა მკრებელნო, მალისა და ხარაჯისა მკრებელნო, მესტვირე მენალარენო, მენაფირენო, მეჩალხე მედაბდაბენო, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ“ (საისტ. მ-ე, 24 წ. II, 39), აქ უკვე ჩვენ ვხედავთ დეტალურად დაკვირვებისას მდგომარეობას თვალსაჩინოდ გამოჩვენებულად. ვეზირთა ინსტიტუტი უკვე აღარ არის, არის მხოლოდ ვეზირთაუხუცესი. მართალია სიგელი იხსენიებს „ვაზირთ“ და „კამყოლთ“, მაგრამ ეს უფრო, როგორც სჩანს, მშრალ ფორმულას უნდა წარმოადგენდეს. საყურადღებოა, რომ სიგელი თავში იხსენიებს სახლისუხუცესს. ეს უკვე ახალი ფაქტია, რომელიც ადასტურებს სახლისუხუცესის თანამდებობის პირველ რიგში მოქცევას, რასაც ალბად ჯერ კიდევ მე-16 საუკ. მეორე ნახევარში ექნებოდა ადგილი. სხვაფორივ ტყავაძეთა სიგელი გვიჩვენებს უფროს თანამდებობათა ისევე აღრევას, როგორც მე-16 საუკ. ნახევრის ზემოდ დასახელებულ სიგელებში ვხედავდით.

საყურადღებოა, რომ ვაზირთ-უხუცესის თანამდებობა დადასტურებულია 1611—1615 წლების ახლო ხანებში ოდიშში. სახელდობრ ამ წლების ახლო დროინდელ ერთ მინაწერში, რომელიც მოთავსებულია აფხ. დიდ საკათალიკოზო გუჯრის ბოლოს, დასახელებულნი არიან ოდიშის შემდეგი თანამდებობის პირნი (გიორგი ლიპარტიანის შემდეგ, რომელიც ოდიშის რეგენტად ითვლებოდა მთავრის ლევანის მცირეწლოვანობის გამო): ვაზირთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, მესტუმრეთუხ., სახლისუხ., ბაქაულთუხ., (ა. ხახანაშ., გუჯრები 138). ცნობილია, რომ დიდ ლევან დადიანის მრჩეველად შემდეგ იყო პაატა წულუკიძე, წუწკად წოდებული, იმერეთიდან მასთან გაქცეული, რომელიც ფაქტიური ვეზირი იყო, თუმცა ამ სახელწოდებით საბუთებში ჯერ ის ჩვენ არ შეგვხვედრია. რომ პაატა წულუკიძე ლევან დადიანის ფაქტიური ვეზირი იყო, ეს სჩანს თედოტ ელჩინის ელჩობის აღწერილობიდან 1640 წ.. რუსის ელჩების მიღების დროს სიტყვების მოსმენას დადიანთან და კათალიკოსთან ერთად მესამე პირად ესწრება პაატაც, რომელიც წოდებულია думной дьяк-ად (С. Белокуров, Матер. для рус. ист., Моск. 1888 г., 333, 373).

აღსანიშნავია, რომ კაცია ჩიქვანი თავისი გაძლიერების შემდეგ იმერეთის და ოდიშის ვეზირად იხსენიება. მარტვილის მხატვრობის წარწერაში ის თავის თავს უწოდებს: „ლენკომის და საინასარიძოს და სალიპარტიანოს პატრონს, დიდისა კელმწიფისა მეუისა და დადიანისა ვაზირს, იმერეთისა ოდიშისა თავს და სარდალს“ (ე. თაყაიშვილი, არქეოლ. მუხ. სამეგრ., ძვ. საქართვე. III, 121, შუად. ქრონიკ. II, 504). რომ ვეზირის თანამდებობა იმერეთში კერძოდ მე-17 საუკ. მე-

ორე ნახევარში შართლაც არსებობდა, ეს გარკვევით სჩანს სეხნია ჩხეიძის ერთი მოწმობიდან 1687 წლის ქვეშ: სახელდობრ ის იხსენიებს ქორიანს, როქელიც, გორს ჩამომდგარი, აიკლო ქართლში შემოსულმა გიორგიმ, ყოფილმა ქარაღლის მეფემ. ეს ქორიანო, ამბობს სეხნია; „იყო იმერეთიდან იმერელ მეფის ვეზირი“ (ქ. ცხ. II, 310). ქორიანის (იგივე ქვარაღის) გვარეულობის იყო 1657—1659 წლებში აფხაზ. კათალიკოზი ზაქარია. გვარის წევრის კათალიკოზად ვახდომამ, რასაკვირველია, აადვილებდა ამავე გვარის სხვა წევრთა დაწინაურებას. ცნობილია, მაგ., რომ გაბრიელ ჩიქვანის ქყონდილლად ვახდომამ ხელი შეუწყო მე-17 საუკ. მეორე ნახევარში კაცია ჩიქვანის დაწინაურებას.

ამგვარად შეიძლება მიღებულ იქმნას, რომ მე-17 საუკუნეში (საგულისხმებელია დაწყებული მე-16 ს. მეორე ნახევრიდან) იმერეთში ჩვენ ვხედავთ წინად არსებულ ვეზირთა ინსტიტუტის ნაშთად ვეზირთუხუცესის თანამდებობის. ვეზირთუხუცესი მარტივად პირდაპირ ვეზირადაც იწოდებოდა. ვეზირთუხუცესი (ვეზირი) დადასტურებულად სჩანს იმერეთში და ოდიშშიც. საფიქრებელია ეს თანამდებობა იყო გურიანშიც, რომლის შესახებ საერთოდ ჩვენ ძლიერ მცოცხა ცნობები მოგვეპოვება. როსტომ გურიელის (1552—1564) ერთს სიგელში (Д. Бакардзе, Археол. пут. по Гур. и Абх., 282—283) მოწმებულად ჯუმათელ ეპისკოპოსის გარდა დასახელებულნი არიან შემდეგი პირნი: სახლთუხუცესი, ერისთავი, ქალაქთუხუცესი, ამილახორი და მდივანი (სხვა იქვე დასახელებულნი პირნი თანამდებობის მხრივ ნაჩვენებნი არ არიან). ვეზირის თანამდებობა აქ ჯერ კიდევ არ სჩანს, მაგრამ შესაძლებელია მე-16 საუკ. მეორე ნახევარში და მე-17 საუკუნეში ეს თანამდებობა იმერეთის და ოდიშის მაგალითით აქაც შემოდებულ იქმნა.

ზემოთ უკვე მოხსენებული იყო, რომ 1651 წლის ახლო დროზე უწინარეს მეფის კარზე ძლიერდება აზნაურთა მნიშვნელობა და მეფის დარბაზში მონაწილეთა შორის აზნაურნიც ჩნდებიან. მე-1660 წლებში დროებით, როგორც ვნახეთ, ამ მხრივ თითქოს უკან დახევას ვხედავთ და 1669 წლის სიაში აზნაურნი ორიოდვე გამონაკლისის გარდა არ სჩანან. მაგრამ საერთოდ მე-17 საუკ. მეორე ნახევარი ლიხთ-იმერეთს აღინიშნება აზნაურთა წოდების განსაზღვრულ წრეების წარმატებით. კაცია ჩიქვანის არა-ჩვეულებრივი კარიერა მე-1660—1670 წლებში ამ მხრივ ფრიად სიმპტომატიურია. „ესე კაცია იყო გორდელი მდაბალი აზნაური, რომლისა მამა სვანეთს ტვირთითა თვისითა ზიდევა თაფლსა და გამოაზრდებოდა“. მას თავისი შვილისთვის ანდერძად დაეტოვებინა „არა დატევება ჩექვიანისა და კოხუნჯიანთა (ე. ი. ქალაქნიანთ) დაიპყრობს“ (ვახუშტი, ქ. ცხ. II, 209). ჩიქვანების ეს ბრძოლა ოდიშის წარჩინებულთა წინააღმდეგ, რასაც მოყვა ჩიქვანების გამარჯვებასა და დაწინა-

ურებასთან ერთად ზოგ დიდ შემძლე გვარის დაცემა ან მოსპობა, ექვს გარეშეა არის პოლიტიკურ ავანსცენაზე აზნაურთა გამოსვლის ყველაზე უფრო რელიეფური გამომხატვლი. აზნაურ ქვარიანის იმერეთის მეფის ვეზირად მოხსენება მე-1680 წლებში აგრეთვე შეიძლება სიპტომატიურად ჩაითვალოს. საყურადღებოა ისიც, რომ მე-17 საუკ. მეორე ნახევარში თვით აფხაზეთის საკათალიკოზო ტახტზე ჩვენ ვხედავთ აზნაურთა გვარების წარმომადგენლებს: 1657—1659 წ. ზაქარია ქვარიანს, 1666—1673 წ. ვეფემოს საყვარელიძეს, 1673—1696 წ. დავით ნემსაძეს. შესაძლებელია ვახუშტის მიერ დაცული ცნობა ალექსანდრე გიორგისძის მეფობის დროიდან იმერეთის სახელმწიფო აპარატში მომხდარ რაღაც ცვლილების შესახებ იმერეთის პოლიტიკურ ზედაფენებში მომხდარ ამ მცირეოდენ, მაგრამ მნიშვნელოვან გადაჯგუფების მაჩვენებელი იყოს. უნდა აღინიშნოს, რომ თანამდებობათა მხრივ მე-17 საუკუნესა და მე-18 საუკუნეშიც მნიშვნელოვან ცვლილებებს არ ვხედავთ. მართალია მე-17 საუკუნეში არ იხსენიება 1601 წლის ტყავაქეთა სასისხლო სიგელში დადასტურებული თანამდებობა ამირა-მეჭურჭლისა (ამირასა და მეჭურჭლესი), მე-17 საუკუნეში დადასტურებული ვეზირი (ვეზირთუხუცესი) მე-18 ს-ში უკვე აღარ იხსენიება, მაგრამ ცალკე თანამდებობათა ასეთი გაქრობა, ისიც იშვიათ შემთხვევაში, საერთო სურათს არ არღვევს და ამიტომაც ვახუშტის სიტყვები, რომ «ალექსანდრე გიორგისძის დროიდან» «არცაღა ხელისუფალნი მეფისანი არიან»-ო შესაძლებელია გაგებულ იქმნას იმაზრით, რომ კარის თანამდებობანი უკვე მარტო დიდებულთა და თავადების ხელში არ იყო, არამედ ამ თანამდებობებზე უკვე აზნაურნი ჩნდებოდნენ. ვეზირის თანამდებობის ბედი მე-17 საუკ. მეორე ნახევარში ამ მხრივ ფრიად საყურადღებოდ სჩანს. უფრო გვიან მაგრამ ასეთივე ბედი ეწია სახლთუხუცესის თანამდებობასაც, რომელიც მე-17 ს-ში ჩხეიძეების ხელში იყო. უკანასკნელად ჩხეიძე სახლთუხუცესად იხსენიება მე-18 საუკ. დასაწყისს. ერთი ჩხეიძე სახლთუხუცესი (შეიძლება ეს იყოს სახელით გიორგი, ცნობილი საბუთებში, საქართ. სიძვ. I, 47, 51) მოკლეს 1709 წ. (ვახუშტი, ქ. ცხ. II, 223). საყურადღებოა, რომ ალექსანდრე V-ს დროს (ალექსანდრე მოკვდა 1749 წ., ამის შესახებ იხ. ს. კაკაბ., წერილ. და მასალა საქართვ. ისტ. I, 97; მისი მეფობა მაშასადავე მოდის 1721—1749 წ.) სახლთუხუცესად ლომკაცი ჯაფარიძე იხსენიება (ს. კაკაბ., დას. საქ. საეკ. საბ. I, 131), რომელიც საგულისხმებელია აზნაურთა გვარიდან. 1754 და 1755 წ., სოლომონ დიდის დროს, სახლთუხუცესად როსტომ ჯაფარიძე იხსენიება (იქვე 3, 5), 1759 წლიდან უკვე პაატა მესხი (ს. კაკაბ., საეკლ. რეფორმებისათვის სოლ. I-ის დროს, 5 და შემდ.), შემდეგ დავით აბაშიძე (ახლად მოპოვებულ საარ-

ქივო მასალების მიხედვით—აზნაური) და მხოლოდ სოლომონ I-ის მეფობის უკანასკნელი წლებიდან სახლთუხუცესად ხდება თავადი ზურაბ წერეთელი, უკანასკნელი სახლთუხუცესი.

მე-18 ს-ნის შესახებ ფაქტების განხილვა და საზოგადოდ 18 ს-ნის იმერეთის სახელმწიფოებრივ სტრუქტურის გარკვევა ამ წერილის ფარგლებს გარეშე იმყოფება. ზემოთ მოხსენებულიდან ყოველს შემთხვევაში ირკვევა, ზოგადი მოხაზულობით მაინც, ის ძირითადი მიმართულება, რომელიც ახასიათებდა იმერეთის სახელმწიფოებრივ სტრუქტურის ევოლიუციას მე-17 საუკუნეში.

---



## გიორგი გომალისკვილი.

## ულუ-დავითის დროინდელი სამკლესიო კრების დადგენილება.

ცენტრარქივში ამ ემად მოიპოვება თვით დედანი ულუ-დავითის დროინდელ საეკლესიო კრების დადგენილებისა, რომელიც თავის დროზე დაბეჭდა თ. ჟორდანიამ მე-17 საუკუნის პირის მიხედვით (ქრონიკები და სხვა მასალები... II, გვ. 163—166). ძველი თავისთავად უაღრესად საინტერესოა და მისი დედანის მოპოვება ფრიად სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ ჩვენი დედანი უნდა წარმოდინარეობდეს საკათალიკოსო არქივიდან, მაშასადამე რადგანაც საბუთი წარმოადგენს საეკლესიო ყრილობის მიმართვას მეფისადმი, ამიტომ არსებითად ეს არ უნდა იყოს თვით ის საბუთი, რომელიც მეფეს წარედგინა, არამედ მისი პირი, საკათალიკოსო არქივში დაცული.

საბუთი დაწერილია ქალაქზე (ზომით  $4\frac{3}{4} \times 2\frac{1}{2}$  სანტიმ. მაქსიმ.) მე-XIII საუკუნის ლამაზი მხედრული ხელით. დასაწყისი დაზიანებულია და ზოგიერთი სიტყვა არ იკითხება, მაგრამ ალბად იგრევე უნდა წერებულყო, რაც ჟორდანიას მიერ დაბეჭდილში, რადგან ტექსტი სხვაში ერთმანეთს ეთანხმება. ამის მიუხედავად ჟორდანიას ტექსტი და ჩვენი საბუთი ბევრ რამეში განსხვავდებიან. წვრილმან ვანსხვავებათა გარდა, თვალსაჩინო განსხვავებაც საკმაოა.

ჟორდანიასეულ პირს განასხვავებს ჩვენი დედნისაგან მართლწერაც. ჟორდ. პირი ა-ს, სიტყვის შუაშიც და ბოლოშიც, ხმარობს იშვიათად, მაშინ როდესაც ჩვენი დედანი მას ყოველს ნაბიჯზე იმეორებს. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ მე-13 ს-ნის მხედრულში ა და ი ერთნაირად იწვრებოდა (უკეთ ა-სთვის ჯერ არ იყო ცალკე ნიშანი, ასე რომ ქვემოთ ტექსტში ა შეიძლება წაკითხულ იქმნას როგორც ი-ც. აგრეთვე სიტყვის ბოლოში ა-ს ხმარება, რაც ჩვეულებრივია ჩვენს დედანში, ჟორდანიას ტექსტში შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი. საყურადღებო განსხვავებას წარმოადგენს ზოგიერთი სიტყვების და ფრაზების წაკითხვა, მაგ.: ჟორდანიას უწერია: „რათა მართალთა თანა ეწესნეთ“. ჩვენს ძველშია: „რათა მართალთა თანა დაეწესნეთ“. შემდეგ, ჟორდანიას აქვს: „იტყვს წინასწარმეტყველის პირითა: „უფალი (ონი) საბაო, ღი წა იწლისა“. ჩვენს ძველში ეს ასე იკითხება: „იტყვის წინასწარმეტყველისა პირითა: უფალი (უფლი) საბაოთ ღმერთი

აღმართ) წიგნით (წგთ) ისრაილისაჲ“. ქვეით ჟორდანიას აქვს: „არა აღ-  
 თქმა, ვიდრე აღთქმა და არა აღსრულება“. დედანშია: „არა აღთქუმაჲ  
 ვიდრე აღთქუმაჲ და არა აღსრულებათა“. აგრეთვე ჟორდანიას აქვს:  
 „სრულ ყავთ წო (წმიდაო) და ქკ მოსილო მეფეო“ -- დედანში  
 არის: „სრულ ყავთ წმიდათა და ქრისტე (ქტე) მოსილო მეფეო.“ საინ-  
 ტერესოა აგრეთვე შემდეგი ფრაზა, რომელიც ჟორდანიას ასე აქვს:  
 „ჰასრე რამე (რომე?) ვაფრამირ დაჯდომილჲ, თფილის ქალქი სპარ-  
 სთა ჰქონებია“. ჩვენს ძეგლში ეს ასე იკითხება: „ჰასრე რომე ჯაფარ  
 ამირად ჯდომილა თფილის და ქალაქი სპარსთა ჰქონებია“.

ძეგლი მთლიანად ასე იკითხება:

[გზით და ვრცეთ კარსა მოწყალებისა თქვენისასა მოიწყინეთ ჰრტი-  
 ნეა] ჩუენი: და სიგლახაჲ და უქონებელი----და ობლად დასხმულნი  
 ეკლესიანი: ღვთისანი: შეიწყალენით განშიშულებანი [სამართ]ლით  
 შემოსენით იკსენით დაწუნებულნი: უსაჯეთ სამართალი მარ-  
 თალი: რაათა მართალთა თანა დაეწესნ---ებისაგან მწარ-  
 ისა: ვითარცა იტყუის წინაისწარმეტყუელისა პირითა: უფლი სა-  
 ბათ: ღთი წდაი. ისრაელისაჲ: რომელმან გამოიყვანოს: პატიო-  
 სანი უპატიოებისაგან: ვითარცა პირი ჩემი იყოსა: ოომელთა პირ-  
 ველი არის თავი სჯულისა და ეკლესიათაჲ: მცხეთა და უკუეთუ  
 თავსა ჯერეთცა: ნედლოს. ესრეთ ეყოს: კელ:ფერკ: თით: მწუ-  
 ვრვ(ა)ლებამან: რამცჲლა ინაყოფის:--ქდ იტყუის აღუთქუ  
 და აღუსრულე უფალსა ყული აღნათქუემიო და უმჯობეს  
 არს არა აღთქუმაჲ: ვიდრე აღთქუმაჲ და არა აღსრულებათა:  
 სრულ ყავთ წდაო: და ქტე მოსილო: მეფეო: ბბული: ესე  
 თქუენი სიტყუანი საქმით სრულ ცენით: მოაღებინეთ სიგლები  
 და ნაშნები: ყუელაჲ ყუელას ვისთვისცა გიბოძებია თუ ჩუენთუის  
 რასამე: და ჩუენისა შეძენისათუის ვიწყინებით: მაგრა სღთოდ  
 წერილსა: სღთოდვე კამს ქონებაჲ: და მიყენებაჲ: და თვით საყ-  
 დართა ქონებაჲ: ღღდ უფრო თქუნი ქონებაჲ:--აწ თუ ერთ-  
 ხელ საქურტლესა თქუენსა შინა შემოღებული: და ერთგზის:  
 თქუენთვის შემოძღუნებული: თუალთა და მარგალიტთა: და  
 ჰურტელთა ოქროს და ვერცხლისათა: თნაჲ რამე მცირე ანუ  
 გინა დიდი: საქურტლესა შინა: თქუნსა მდებარე: გამოიღოს  
 ვინმე: ანუ თქუნვე შემოგწიროს: ანუ წარაგოს სადმე: ნიქნიშცა  
 მიანიჭენით ანუ პატიენი და ქებანი: აღუვარენით: არამცა უფროს  
 რისხვეულ და პატიეულ ჰყავით: ღთისთვის შეწირულთა: აღ-  
 გილთა: გაცემის ვაზირი: მაწუეველი: მქნეველი: და მნებებელი:  
 გაცემისაი ვითამცა არა ღთისაგან: რისხვეულ იქმნა: და ვინც  
 იკადრებს და გაქნევს: ვითა კეთილის მამოქმედებელის კეთილი  
 ნიქნი მიენიჭების ღთისა მიერ: ვგრეთვე ბოროტისა მიზეზი ბო-

როტსა მოსთულებს: ვიცით როჲე მრავალნი კადრებენ ჟამისა ძნელ-  
ბედობასა: და საჭიროობასა: მაგრა აჲის უძნელბედესნიც ყოფილან:  
მაშინ ჟამნი ოდეს დიდი კათოლიკე ეკლესიაჲ: შენებულა: ჰასრტ  
რომე ჯაფარ: აპირად ჯუღოჲილა: თფილის: და ქალაქი სპარსთა-  
ჰქონებია და თვით რაჲმცა მიზეზი არაჲინ კადრა: საყდართა ქუე-  
ყნის ქონებას და დარღუევის მნებებელმან: ყელი დრკულ: შავა-  
ლი მიზეზობად მზაო: (sic) მაგრა ნუ მისცემთ გზასა: მეტყუელთა ესე  
ვითარისა მეტყუელებასათა: სამოცდამეთათმეტენი შვილნი ხართ:  
თქუნთა გუართანნი: და რომელი მეფე: თქუნთა ოდენთა ჰირთა  
ლუაწლთა და განსაცდელთაგან არა ესნილა: ვითა ლთსა თქუნსა  
მესნელსა თქუნ უკსნიხართ და არცა რომელსა მეფესა თქუნგან  
უფრო: ლთისა გზისა დაჰირვაჲ ჰმართებია: და ამ სამოცდა თხუთ-  
მეტთა: თქუნთა გარდასრულთა: მეფობასა შიგა: უფროჲსი და უმ-  
რავლესი ჟამი ამისაგან უძნელესი და უბოროტესი ყოფილა ვითა  
ქართლისა ცხორებაჲ გამოაჩენს რომელსა დიდებულსა: ანუ აზ-  
ნაურსა: ანუ დარბაზის ერსა: ანუ გლეხსა: სიგელი: თქუნთა  
გუართაგან ბოძებული: და თუ ვის აჲუს არაჲინ დაჰმალავს: რად  
არაჲინ გამოაჩინა: რომე საყდართა სოფელი: ვის ზედა: გაცეჲული  
იყოს: და ეწეროს თუნიერ ამისასა: რომე თქუნ გაგიცეჲიან:  
და გაგიბოძებინ: სიგლითა:— ესეც იუწყოს წნ მეფობამან: 20  
თქუნმან: აწ შეკრებულისა ამისა კრებისაგან: წესი სახლისა-  
და პალატისა თქუნისაჲ: ესე ყოფილა: ვინცა ვინ: (აჲ რადც  
სიტყუა არის დაწერილი და ისეჲ წაშდილი სახეების გასმით) დაკრულ-  
ვილა: რაჲათაჲ მიზეზითა და საქმითა: თქუნ მიერცა შერისხულა:  
მამული დასჰირვია: და ლაშქართა შიგან არ შეშუებულა: აწ თუ 25  
ვის დავჰკრულავთ გამოაჰქენებს თქუნს დარბაზსა და თქუნთა  
ვაზირთა მოჰმართებს: ბზასა: და კაცს უბოძებთ: ჯუარი დასწერეო:  
გაწყრომისა და ჰავად გაკდის ნაცვლად: ესე უწესიო წესი ნულა-  
როდეს იქნების: ნუც დაგუემართების: ვისაც დავჰკრულვიდეთ:  
თქუნცა შეჰრისხევდით: და კრმლითა თანა უდევით: სჯულთა და 30  
წესთა სამღდლოთა: საღთთა წერილთა მომღურებისაებრ: თუ  
თქუნსა მეფობასა შიგა: არ შეჰკაზმავთ: საყდართა: და მონასტერ-  
თა: და არა უბოძებთ კელთა: მათთა საქონებელთა: ვინმცლა  
დაუურვა: ანუ ვინმცლა ჰკადრა: თქუნთა სიგლებ: ნიშნებთა გა-  
ტეხაჲ:— ცოდვაჲ ეგრე ბრალი და ცოდვაჲ არ არის: ვითა ცოდ- 35  
ვისაჲ სახეჲ და იგავად დადებაჲ: მომავალთა და ყოფადთა  
ჟამთა და კაცთათუის: მისათხრობელ მოსაქსენებელად: არღარა-  
ვისგან გუაჲუს პატივი: არც სჯულსა და არც ებისკოპოსთა: არც  
მონაზონთა არც ხუცესთა: არც მღდელთა არც მიჰრონსა: არც

ქორებისკავსთა: ყუელია ყუელასა უპატიოდ: შეურაცხად გინე-  
 ბით და ბასრობით ვჰყავთ: რად დაჰქსნით წესსა საქებელსა: რად  
 3 უპატიო ჰყოფთ პატიოსნობასა: და საკრძალოვობასა ამის სახისა:  
 საქმისასა: რომელი მეფე იქნების უპატიო მყოფელი: შეურაც-  
 5 ხად მკსენებელი ებისკოპოსთა და მონაზონთა: (ამის შემდეგ და-  
 წერილია იმავე ხელით უფრო წვრილი ასოებით და სუფთად, ტექსტი  
 7 უფრო მქრავად სწანს) თქუნ: სიყრმითგან ღთივ სწავლულნი ხართ და  
 საღთონი წერილნი ზეპირათ უწყნით: რომელთა საქმეთ მოქმე-  
 დი მეფე იქნების ანუ რომელთა: იყუედრების: რანიც პატიენი  
 10 თქუნთა გუერთაგან ზედ სხმიან: ებისკოპოსთა: და მონაზონთა:  
 მასვე თქუნგან: ვიღირსებოდეთ: და თუ თქუნ უპატიოდ გყავთ:  
 ვინმცა არა შეურაცხგუყვნა: ვინმცა არა გუაგინნა: ვინმცა არა  
 13 უპატიოდ და ჰავად: დაგუყადნა: თუით პირად და ზედაით დაღმა  
 ამას გუეუბნებიან: მქონებელნი და მნებებელნი: საყდართა და  
 15 მონასტერთა საქონებელთა ქონებისანი: პატრონი არ დაგუადე-  
 ზინებს და არცა წაგუიღებს რომელს სიგლითა უბოძებია: და  
 თქუნ არ დაგიდებთ: და არც გუემართლებით დადებინებასა:  
 18 ქრთამსა მოგცემთო: ამა საქმესა თქუნვე სწამლეთ: და დასდევთ:  
 ეპლასტრომ: საკურნებელი: ნუცა ვინ ყალნობის მიზეზს შე-  
 20 მოიღებს: რააცა საყდართა საქონებელთა: ყალანი: ჰმართებს:  
 მისნიც მზღველნი ვართ: და არას უკუ ვადგებით: და თქუნსა  
 22 თქუნნი: თქუნთაგან: განაღამცა გამსახურებდით: ძალისაგებრ და  
 შეძლებისა ჩუენისა: ესე ამისა კრებისა: აწ შეკრებულის ძალი:  
 ყოველთა შორის საცნაურ იყავნ: წსა და თუით მპყრობელისა:  
 25 მეფეთა მეფობისა თქუნისა წე: რომელ თუ ღთი გურის-  
 ხავს: და მიუტრეველი და წდაა გონება თქუნნი: ცოდვითა  
 ჩუნთა სიმრავლისაგან: მიდრკების: და ესე რააც გუიკადრებია:  
 28 და მოგუიკსენებია: არ დაგუეურვების ჩუნითა წესითა და რაიცა  
 დაგუიპირებია: მისნი მქნელნი ვართ: არცა მიჰრონსა გავჰქსნით:  
 30 საქართველომსა ეკლესიათა: დავჰბეჭდავთ: ხუცესთა დავაყენებთ  
 წირვისა და ნათლვისა: და სამკუდროთა ზიარებისაგან: თუანიერ  
 ამისისა ქნისა: სხუისა ღონისა ყულისაგან უღონო ვართ: და ნუ-  
 33 თუ ამისითა ქნითა: სხუა სჯულთა: და სხუას სტოთაგან: მეფო-  
 ბასა თქუნსა საწყინო რაამე შემოუვიდეს და სჯულიცა ჩუნი  
 35 დაქინდეს: ეზომის კადნიერებისა და წყენა კადრებისათუის ვითა  
 საშინელისა ღთისა: საშინელებათაგან: ვძრწით და ვიშიშვით:  
 გარნა: სღთონი სჯულნი: მეფეთაცა ზედა მთავრობად: ბბულან  
 38 და სადა ღთი დაგუჰირდების მუნ ყოველსავე შეურაცხვყოფთ:  
 და მაუნებელი კაცთა: ქტესმცა მონა არ ვიყოვო: წდაა მოცი-  
 ქული პავლე ბბს: აწ აქა შეყრილნი და გაუყრელნი: და მომლო-



დენი ამისისა დაურევბისანი: ყწონივე აქა ვართ და ულოცავთ: წასა მეფეთ მეფობასა თქუნსა:

როგორც ძეგლის შინაარსიდან სჩანს მეფეს საეკლესიო ქონება ჩამოურთმევია და კერძო პირებისთვის გაუბოძებია, რისთვისაც აღელვებული სამღვდლოება კრების მოწვევითა და გაფიცვით უპასუხებს.

კრება უნდა მომხდარიყო, როგორც ამას თ. ჟორდანიაც აღნიშნავს, ულუ-დავითის დროს<sup>1)</sup>. ამის სავსებით დამადასტურებელი არის ქართლის ცხოვრების ცნობა, რომელიც ქვეით იქნება მოყვანილი, რომ მან (ულუ-დავითმა) საეპიკოპოსო საყდართა შლას მიჰყო კელი და გაასაჩუქრა მონასტერთა და ეკლესიათათვის მეფეთა მიერ მინიჭებული სოფლები. თუმცა ამგვარივე ცნობა, მთავართა მიერ ეკლესიის ქონების ხელის შეხების შესახებ, დიმიტრი თავდადებულის მეფობაშიც არის აღნიშნული, მაგრამ კრება რომ აქ უკანასკნელ შემთხვევასთან იყო დაკავშირებული, მაშინ იგი ისე კატეგორიულად ვეღარ განაცხადებდა, რომ დღემდის არც ერთს მეფეს მგზავსი რამ არ ჩაუდენიაო: კრებას შეუძლებელია არ ხსომებოდა არც თუ ისე შორეული ამბავი ულუ-დავითის მოქმედების შესახებ.

რასაკვირველია ამ გვარი მოქმედებისთვის მეფის ხელისუფლება იძულებული იქნებოდა სახელმწიფოს მძიმე ფინანსიური პირობებით. იგი იძულებული ყოფილა ეკლესიის ქონების სეკულიარიზაციისთვის მიემართნა, როგორც ამას შერებოდნენ დასავლეთ ევროპის მეფეები ანალოგიურს შემთხვევებში. რომ ამ დროს მართლაც მძიმე ეკონომიური პირობები ყოფილა, ამას თვით ძეგლისვე სიტყვები ადასტურებს: „ნუცა ვინ ყალნობის მიზეზს შემოიღებს“-ო. ცხადია, ბეგარა და ჟამის ძნელ ბედობა არის შედეგი დიდი ხარაჯიანობის, რომელიც თან სდევდა მტრის შემოსევას, ხოლო ხარკიანობას მოსდევდა ეკონომიური ცხოვრების დაცემა, დაქვეითება. მართლაც ამ დროს საქართველოს ეკონომიური ცხოვრება დაქვეითებული ყოფილა განცდილ უამრავ შემოსევათა წყალობით (ამის შესახებ ს. კაკაბაძე: „საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 ს-ში“ — „მნათობი“ № 2, 24 წ.).

ამ გვარად ჩვენ ხელთა გვაქვს საინტერესო ფაქტი სახელმწიფოს მიერ საეკლესიო ქონების სეკულიარიზაციის, სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობის გაართულების დროს, რასაც ადგილი ჰქონია საქართველოშიც საშულო საუკუნეებში, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა

<sup>1)</sup> თ. ჟორდანიას პირველად საბუთის თარიღი აღნიშნული ჰქონდა 1280 წ., საბუთიც მაშასადამე დიმიტრი მეფის დროსთვის იყო მიკუთვნებული (ქრონიკ. II, 162—163). მაგრამ იმავე წიგნში (გვ. 184) თ. ჟორდანიამ შეასწორა ეს თავისი შეცდომა და ცხად ჰყო, რომ საბუთი დაწერილია ულუ-დავითის დროს.

მგზავსად. ამას ამტკიცებს ქართული ცნობებიც. კერძოდ ულუ-დავითის შესახებ მატეანეში სწერია: „- „უამსა სიბერისა მისისასა (ულუ-დავით) არა მართლად ვიდოდა წინაშე ღვთისა, და მძლავრებისაგან თათართასა უცალო ქმნილმან, იწყო შლად საყდართა საეპისკოპოსოთა. რომელი სანატრელთა მეფეთა შესავალნი სოფელნი მიენიჭნეს, განსცემდა, ვგრთვე მონასტერთა“ („ქართლის ცხოვრება“ ნაწ. I, მ. ბროსეს გამოცემა, გვ. 402). ეს ციტატა, თავისთავად ეკლესიის მიმართ ულუ-დავითის პოლიტიკურ გეზის დამახასიათებელი, შესაძლებელია გამოყენებულ იქმნას ჩვენრ საბუთის უფრო მიახლოებებით დასათარიღებლად. თათქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მატეანის და ჩვენის საბუთის ცნობაში საეკლესიო მამულების მოტაცების და გაცემის შესახებ ფაქტიური შეხვედრა უნდა იყოს. მატეანის ცნობიდან საგულისხმებელია, რომ ულუ-დავითი იძულებული ყოფილა ამ ზომისთვის მიემართა „უამსა სიბერისა მისისა“, მისი შვილის გიორგის სიკვდილის წინ ახლო ხანებში (ქართ. ცხოვრება I, 402). ულუ-დავით გარდაიცვალა სტეფანოსით 1270 წელს (ვახუშტის ქრონიკით 1269 წ.). მისი შვილის გიორგის გარდაცვალება ამიტომ შეიძლება მიეკუთვნოს 1268 წელზე არა-უგვიანეს დროს. გიორგი მოკვდა 18 წლის და 1250 წ. ის უკვე დაბადებული იყო (ამის შესახებ ს. კაკაბაძე, ქებანი დავით მეფისა დავით მწირის მიერ, გვ. III). ამისდა მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ საეკლესიო (აღბათ კათოლიკოზთან) შეკრებილობა, რომელიც მეფეს განსაზღვრულს მოთხოვნილებას უდგენს, უნდა შემდგარიყო დაახლოებით 1266—1268 წლებში. ჩვენი საბუთიც ამ დროს უნდა იყოს დაწერილი.

სარგის კაკაბაძე.

ქალაქ ტფილისის მოსახლეობის აღწერის ნუსხა 1780—  
1781 წლ. ახლო დროისა.

მთავარარქივში დაცულია პოლ. კარბელა შვილის მიერ გად-  
მოცემული მოკლე ნუსხა ქალაქ ტფილისის მოსახლეობის აღწერისა,  
რომელიც 1781 წლის ახლო დროს უნდა ეკუთვნოდეს. ნუსხა დაწე-  
რილია მოლურჯო თაბახიან ქალაქში, რომელიც სიგრძეზე შუაშია  
გადაკეცილი. ნუსხას თარიღი არა აქვს, მაგრამ რადგანაც ნუსხა-  
ში მოხსენებულია ბატონის რძალი ქეთევან, გიორგი ბატონის შე-  
ლის მეორე ცოლი (გაახოვდა 1767 წ., გარდაიცვალა 1782 წ.  
ივნ., იხ. პლ. იოსელიანის ცხოვრება გიორგი XIII-ისა, ტფ. 1895  
წ., 10—12) და ამასთანავე დასახელებულია სოლომონ მსაჯული (უნ-  
და იგულისხმებოდეს ლიონიძე), რომლის დაწინაურება იწყება 1779  
წლიდან, ერევანზე ლაშქრობის შემდეგ, ამიტომ საფიქრებელია, რომ  
ხსენებული ნუსხა შედგენილი უნდა იყოს 1780—1781 წლის ახლოს.

ტფილისის მოსახლეობის შესახებ მე-18 საუკუნეში, როგორც  
ცნობილია, მოიპოვება საკმაოდ მტკიცე ცნობები (ტფილისის მოსახ-  
ლეობის შესახებ მე 13—18 საუკუნეებში ჯერჯერობით იხ. ს. კაკა-  
ბაძე, საქართვ. ეკონომ. ვითარების შესახებ მე-18 საუკ. მნათობი  
№ 2, 1924 წ. გვ. 225; შეად. ი. ჯავახიშვილი, ქალაქები... სა-  
ქართველოში მე-17—18 საუკ.—პრომეთე № 1, 1918 წ., 37—41).  
ტურნეფორის მიხედვით 1700 წ. (Voyage, I, 131), ტფილისში 20 ათ.  
სული ირიცხებოდა, რომელიც საფიქრებელია წინააღმდეგობით იყო  
2800 კომლად\*). ტურნეფორისავე სიტყვით ამავე დროს ტფილისში

\*) ეს უკანასკნელი ციფრი ნაანგარიშეა შემდეგ ნაირად: ტურნეფორის  
სიტყვით მალი სპარსეთის შაჰის სასარგებლოდ (იგულისხმება ტფილისში) იკრი-  
ბებოდა 300 თუმანი, (ოჯახის) თავზე 6 აბაზი. მალი შრომის უნარ დაკარგულ  
მოხუცთ აღარ გამოერთმეოდათ (დასტურ. § 181). მეკომურთა რიცხვი 1700 წ.  
ტფილისში გამოდის 2500 მიმატებით იმ ოჯახების რიცხვისა, სადაც თავი  
კაცი 60 წელზე მეტი ხნოვანებისა იყო. 60 წელზე უხუცესნი ჩვეულებრივ მე-  
19 საუკ. სტატისტიკურ ცნობების მიხედვით ტფილისში შეადგენდნენ მოსახლე-  
ობის 3,3%-ს. ტურნეფორის დროს მაშასადამე საერთო რიცხვს ემატება 80  
კომლი. ამას უნდა მიემატოს ვარაუდით 200-მდის კომლი მაღალ წოდებისა თუ  
სხვანი, რომელნიც მალს არ იხდიდნენ, სულ დაახლოვებით ამიტომ 1700 წლი-  
სათვის ტფილისის მოსახლეობის მეკომურთა რიცხვი გამოდის 2800 კომლი (ს.  
კაკაბაძე, საქართ. ეკონომ. ვითარ. შეს. მე-18 საუკ., მნათობი, № 2, 1924 წ.  
გვ. 225, შენ.).

20 ათ. სულისაგან 14 ათ. იყო სომხობა (70%), 3 ათ. თათრობა (15%) და 2 ათ. ქართველობა (10%). 1770 წ. 5 აპრილს რუსის მთავრობისთვის შედგენილ ნუსხაში ერეკლე II ტფილისის მოსახლეობას უჩვენებს 4 ათას კომლს (ს. კაკაბ, კვლევა-ძიებანი, ტფ. 1920 წ., 27). გვლდენშტედტი 1772 წ. ტფილისში უჩვენებს 20 ათ. სულს ორისავე სქესისას, მაგრამ ამბობს, რომ 1770 წელში ჟამს 4 ათ. სული უმსხვერპლაოა. ამის მიხედვით გამოდის, რომ ტფილისში 1770 წ. თათქოს 24 ათ. სული ირიცხებოდა. მოსახლეობა ნახევარზე მეტი სომხობა იყო, ხოლო მეორე ნახევრიდან უმეტესობას ქართველობა შეადგენდა და შემდეგ თათრობა (Reisen, I, 268—269). 1780—1781 წლის ახლოს კიდევ, როგორც ქვემოთ დაბეჭდილ მოკლე ნუსხიდან სჩანს, ტფილისში 3428 კომლი ირიცხებოდა.

ნუსხის მნიშვნელობა გამოიხატება სხვათა შორის იმაშიდაც, რომ მასში, მართალია მოკლედ, ნაჩვენებია ცნობები ტფილისის მოსახლეობის მფლობელების მხრე განკუთვებით. ნუსხა ამასთანავე შეიცავს ცნობებს მხოლოდ მებეგრე მეკომურთა და მოქალაქეთა რიცხვის შესახებ. თავადები და საფიქრებელია აზნაურებიც, ისე როგორც სამღვდელთადაც ნუსხაში შეტანილი არ არის. მთავარ-არქივში დატულია ფრიად საინტერესო დეტალური აღწერილობა ტფილისის მოსახლეობისა, რომელიც, როგორც სჩანს, 1803 წელს ჩატარებულია. ამ აღწერილობით ტფილისში 1803 წ. ითვლებოდა 72 კომლი თავადი და 122 კომლი აზნაური. საფიქრებელია, რომ 1780—1781 წლებში, სამეფოს არსებობის დროს, მაშინავე წოდების პირთა რიცხვი ტფილისში ამ რიცხვზე ოდნავ მაინც მეტი უნდა ყოფილაყო, მით უმეტეს, რომ 1803 წ. ტფილისში მოსახლეობა აღრიცხულია 2924 სახლად, დაახლოვებით მასასადამე, რადგანაც ზოგიერთ სახლში იგულისხმება რამდენიმე ოჯახი (განსაკუთრებით ზოგიერთ თავადის სახლში საგულისხმებელია მსახურების და ყმების რამდენიმე კომლი)—3000 კომლი, ხოლო მებეგრე მეკომურთა და მოქალაქეთა რიცხვი კომლეთადაც იქნებოდა დაახლ. 2800. რადგანაც 1780—1781 წ. ტფილისში მებეგრე მეკომურთა და მოქალაქეთა რიცხვი კომლეთადაც ნაჩვენებია 3428, გამოდის, რომ 1803 წლისთვის ტფილისის მოსახლეობა 1780—1781 წ. შედარებით დაკლებული ყოფილა 18,3% ით. აქ იგულისხმება კომლების რიცხვი, სულობრივი დაკლება აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად, შედარებით თვით 1780—1781 წლის ხანასთან, კიდევ უფრო მეტი იქნებოდა.

რადგანაც 1803 წ. თავდაზნაურთა რიცხვი კომლეთადაც ტფილისში 194-ს უდრიდა, ამიტომ ყველა შემოდმობსენებულის მიხედვით. გათვალისწინებით იმ გარეობებისა, რომ მებეგრე მეკომურთა და მოქა-



ლაქეთა რიცხვი 1780—1781 წ. 3428 კომლს შეიცავდა, სასულიერო პირთა კომლთა რაოდენობის შესახებ ცნობების უქონლობის მიუხედავადც ცხადია, რომ საერთო რიცხვი ტფილისის მოსახლეობის 1780—1781 წ. უნდა ყოფილიყო დაახლოვებით 3750 კომლამდის. 1770 წელთან შედარებით მოსახლეობას თითქოს ოდნავ დაუკლია თუმცა შესაძლებელია, რომ 4000 კომლი; 1770 წელს ტფილისის მოსახლეობის რიცხვად ნაჩვენებები, მოხსენებული იყოს რკვალ რიცხვად და ნამდვილად ტფილისში მეკომურთა რიცხვი 1770 წელსაც 4 ათასზე ცოტაოდნად ნაკლები ყოფილიყო. ყოველს შემთხვევაში საინტერესოა, რომ ტფილისის მოსახლეობის დაკლება მე-1780 წლების დასაწყისისთვის დადასტურებულია ერეკლე მეფის ბრძანებაში 1784 წელს, როდესაც მეფე აცხადებს, რომ ტფილისის და გორის მოქალაქეთ, ამ ქალაქიდან გადასახლებულთ, ქონება ჩამოერთმევათ და სხვაზე გაიყიდებაო (Д. Шурцеладзе, Крестьян. грам., 42).

ებექდავთ აღწერის ნუსხას უცვლელად. ნუსხა შესრულებულია ერთი ხელით, მხოლოდ ერთი შენიშვნა არშიაზე და შივადაშიგ ტექსტში ჩამატებული ცნობები შესრულებულია სხვა ხელით, რაც ქვემოთ თავისს ადგილას არის აღნიშნული.

ტფილისის აღწერის ნუსხა 1780—1781 წლისა.

ქ. მისის სიმაღლის ბრძანებით ქალაქი აიწერა ავლაბრით და გარეთ უბნით.

- 131 რლე ქ. გარეთ ავლაბარში კომლი
- 24 სით ქ. შიგნით ავლაბრის ციხეში
- 73 ოგ ქ. მეტეხში ხილამდინ
- 731 რვე ქ. ხილიდამ ციხეში
- 2314 ცტილ ქ. ქალაქი
- 157 ფნ ქ. გარეთ უბანი
- ქ. ჯამი |ქუეც|
- 248 სმც ქ. კემწითა დედაფუტისა კომლი
- 198 რეს ქ. პატრიარხისა
- 745 რმე ქ. გიორგი ბატონის შვილისა
- 46 მე ქ. იულონ ბატონის შვილისა
- 17 იზ ქ. ალმასხან ბატონი შვილისა
- 3 ვ ქ. მირიან ბატონის შვილისა
- 50 ნ ქ. ალექსანდრე ბატონის შვილისა
- ქ. ფარნაოზ ბატონი შვილისა

- 3 გ ქ. მარიამ ბატონის შვილისა
- 1 ა ქ. სოფიო ბატონის შვილისა
- 3 გ ქ. ქეთევან ბატონის რძლისა
- 1 ა ქ. ნინა ბატონის რძლისა
- ქ.

|ლნბ| 752

ანშაასე სხვა ხელით მიწერილია განმარტება სადედოფლო ემეების შესახებ: ქ. აქ ერთ ჯამათ. სმც კაცი კომლათ. სადედოფლო. რომ ეწერათ. ეს გაერჩიათ. ამწერთ. რომ. თავიანთ წერილიც მიეცათ რომ მოხარჯე დამდგარა, კომლი |პ| და აზნაური და მსახური კომლი |ლ| სხა. მოქალაქენი დაწერილიყვნენ. და ისინი ქალაქის მოქალაქეთ დავთარში სწერიან.

- 31 ლა ქ. მუხრანის ბატონისა
- 208 სც ქ. დავით სარდლისა
- 63 ძგ ქ. თამაზ ეშიკელასისა (ეს სხვა ხელით)
- 5 ე ქ. ამილახურისა
- 8 ც ქ. ყაფლანი შვილის ვახტანგისა
- 71 ზ ა ქ. ზაალ ყაფლანი შვილისა. ერთიც ლუარსაბისა
- 10 იც ქ. ზურაბ სუფრაჯისა
- 5 ზ ქ. აბაში შვილისა
- 8 ც ქ. სამი შვილი ზაალისა
- 2 ბ ქ. ბეციასი
- 5 ე ქ. იოსებ შინბაშისა ყაფლანის შვილი
- 2 დ ქ. იარალისა
- ი ქ. სოლომონ მსაჯულისა
- 11 ია ქ. თეიმურაზ მელიქი შვილისა
- 12 ბ ქ. ავთანდილ მელიქი შვილისა
- 7 დ ქ. სოლალა შვილი იორამისა
- 1 ა ქ. დავით გერმანოზი შვილისა
- 2 ბ ქ. ლარაძისა
- 1 ა ქ. ორბელისა
- 4 დ ქ. კიკოლა ბოქოულთ ხუცის შვილისა
- 3 თ ქ. სესია ბარათა შვილისა
- 2 ბ ქ. აფხაზი მხატურისა

უიგ 413

- 11 ა ქ. ისაკ საგინა შვილისა
- 3 გ ქ. ზაზა მანუჩრი შვილისა
- 1 ა ქ. ბეცია თურქისტნისა
- 4 დ ქ. პაატა შეითრისა

- 5 ე ქ. გლაზა ნაზირისა
  - ✓ 10 ა ქ. არლუთანთ სოლომონისა
  - 3 გ ქ. სისოასი
  - "  ქ. თარსადანასი
  - "  ქ. შერვაზანასი
  - ბ ქ. თაყასი
  - "  ქ. ისოასი
  - ✓ 10 თ ქ. შანშიანთ გოგია მოლარისა
  - "  ქ. პაპასი
  - "  ქ. პაპასი
  - ✓ 15 ი ქ. ყორღანანთ ოსეფა მილახურძისა
  - ბ ქ. აღიბეგასი
  - "  ქ. გაბრიელისა
  - გ ქ. გიორგისა
  - "  ქ. თარსადანასი
  - ბ ქ. ოსეფა ობლისა
  - "  ქ. ონანასი
  - გ ქ. დავით მუშრიბისა
  - 6 ვ ქ. პოია ზაალისა
  - "  ქ. ყათანდარ შაჰყულისი
  - "  ქ. ბაშ ბეუქიანთი
  - "  ქ. ტაინაშვილისა
  - "  ქ. არეში შვილისა
  - "  ქ. ზალის შვილისა
  - "  ქ. შულავერელი აღასიასი
  - დ ქ. ლალა შვილი ნაზირისა
  - "  ქ. თაქალთოიანთ ნინოსი
  - ე ქ. ზაზა გაბა შვილისა
  - ბ ქ. ნინიასი და სოლომონისა
  - "  ქ. იოსებისა
  - "  ქ. ფატრელისა
  - "  ქ. გოსტაშაბიანთი
  - ბ ქ. იოსებ მუშრიბი შვილისა
  - შვ ქ. მოქალაქის ყვები სულ
- რმგ. 146
- 21 კვ ქ. ქრისტეს საფლავისა
  - 3 მ ქ. მთა წისა ქართველთ მონასტრისა
  - 11 ი ქ. დავით გარესჯისა
  - 13 ივ ქ. ნათლის მცემლისა
  - 54 ნთ ქ. ტფილელისა

- ვ ქ. მანგლელისა
- ის ქ. რუსთველისა
- ბ ქ. მროველისა
- ა ქ. წის ნინოსი
- ბ ქ. ნინო წისა
- დ ქ. წის ევსტათისა
- გ ქ. ატოცის წის გიორგისა
- ბ ქ. წის შიოსი
- ე ქ. კარისა ღთის მშობლისა
- ა ქ. იკორთისა
- ა ქ. ხარებისა
- დ ქ. თავდებისა ღთის მშობლისა
- ა ქ. სამთავროსი
- ზ ქ. ქვაბთა ხევისა
- ქ.

რ.ფ. 966

- მთ ქ. ეჩმიაწისა
- ბ ქ. ახპატის ძელი ქტისა
- ზ ქ. ფეთხანისა
- ე ქ. მოლნინისა
- ბ ქ. სუფნიშნისა
- ა ქ. ვანჭისა
- ა ქ. კუსებისა
- ე ქ. პატრებისა

ობ. 72

ჩყია ქ. ზემო |ძუეც| ჯამისა. მის სიმაღლის ყმისა გარდა დადგა ჯამი ათას რვა ას თერთმეტი.

ჩფვთ ქ. ეს ჩყია რომ გამოვიდეთ საკუთრად მის სიმაღლის სახსო ყმა დადგება ქალაქში ავლაბარში და გარეთ უბანში. ათას ხუთას ოთხმოცდა ცხრა.

- ა ქ. ქისიყის მოურავისა
- ა ქ. აიდემურისა
- დ ქ. გარსევან ეშკალასისა
- ე ქ. გურამიანთი
- ა ქ. გურჯი გოგისა
- ქ.

- ა ქ. შანშე მილახურისა
- ბ ქ. ნიკოლოზ აბაშიძისა
- გ ქ. ვეგენისა
- დ ქ. იოვანე ქეშიკიბაშისა

- 
- ა ქ. ციციშვილი ზაზასი
  - ბ ქ. კიკოლასი
  - გ ქ. გივისა
  - ბ ქ. ზაქარიას შვილებისა
  - ა ქ. ამათი მონაზნისა
  - ა ქ. უთრუთისა

- 
- 3 ს ქ. გიორგი თაზნისა
  - ა ქ. მურვანი შვილისა
  - ა ქ. ფარსადან მანაბლისა
  - ა ქ. სოლომან მეითრისა
  - ა ქ. ფალევენი შვილი (sic) თეიმურაზის
  - ა ქ. გიორგი ხერხეულიძისა
  - ა ქ. ბეჟან ხერხეულიძისა
  - ა ქ. გარსევანა შვილისა
  - ა ქ. ფურცელაძისა
  - ა ქ. გედეონიანთი
  - ა ქ. გრიგოლ ელიოზის შვილისა
  - ა ქ. მცხეთის დეკანოზისა
  - ა ქ. ფავლევნი (sic) შვილი დათოასი
  - ა ქ. ფავლევნი შვილი არჩილისა
  - ა ქ. ბეცია ავალიშვილისა
  - ა ქ. კვალია შვილისა
  - ა ქ. იოთამ მგალობლისა
  - ქ.

- 1 თ ქ. თჳმანი შვილი სულხან მდივნისა
- ა ქ. პავსუსი
- ბ ქ. გიორგისა
- გ ქ. დიმიტრი მდივნისა
- ბ ქ. ბირთველისა

- 
- 1 თ ქ. შანშიან მარტიროზიან სოლომონ მდივნისა.
  - 1 გ ქ. ბეგთაბეგისა და ესავისა



- აჲ ქ. ავეტიქ მელიქისა
- ბ ქ. მეთოდისა
- ე ქ. ფრიდონ ბეგისა
- ბ ქ. ხერთვისის ბეგისა
- იბ ქ. მირზა რაპისა
- კბ ქ. მირზა აფრამასი
- ა ქ. ამის ბიძისა
- დ ქ. მელიქ მინასასი
- ე ქ. აშხარბეგისა (ეს სხვა ხელით).

რკ. -120

პატარა წერილები და შენიშვნები.

გარსევან ჭავჭავაძის მოხსენება ერეკლე მეფისადმი 1795 წ. 16 სექტ. ქუთაისის მუზეუმში მუშაობისას საბუთების გადარჩევის დროს ჩვენ წავაწყდით ფრიად საინტერესო, აქამდის უცნობ მოხსენებას გარსევან ჭავჭავაძისას ერეკლე მეფისადმი. მოხსენება, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფო არქივის შემთხვევით ნაშთს წარმოადგენს, შეეხება ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის საშიშროების ხანას და უაღრესად საყურადღებოა ქართლ-კახეთის მთავრობის ამ დროინდელ პოლიტიკის ცალკე ფაქტების და კერძოდ თვით გარსევან ჭავჭავაძის, როგორც ელჩის, როლის გასარკვევად. დაწერილია მოხსენება პეტერბურგში იმ დროს, როდესაც ალა-მაჰმად-ხანი უკვე ტფილისში იყო, თუმცა ამის შესახებ ჭავჭავაძეს, რასაკვირველია, არ შეეძლო ცოდნოდა.

საბუთი, მუზეუმის ნუსხით № 27, დაწერილია ლურჯ თაბახ ქაღალდზე, იბეჭდება უცვლელად.

ყლ მოწყალევე. კილმწიფევე.

თქვენის უმაღლესობისაგან. ბოძებულის. წიგნის. პასუხები. რომელიც. სტეფან პავლინსგან. მივიღე. ავვისტოს. ოცსა.

წიგნი პირველი. ივნის. ა. დაწერილი. რომელშიც. იწერებთ. ესრეთ.

1 უწყება პირველი) საშუალ თქვენსა. და რუსეთსა მყოფს. კავკასიის გაწყვეტისათვის.

პასუხის მოხსენება) აშისთვის. ჯერ არ ლაპარაკებულა. ისე მცირეს ლაპარაკს თუ გაუვლია როგორმე. აშისთვის. უნდა. ვილაპარაკოთ სრულის ჩვენის. საქმების. ბინის. დადების. ეამზე. ივან ვასილიჩ. და თქვენ რომ შეიყრებით. მაშინაც აღგილი აქვს. ამაზე. ლაპარაკს.

2 უწყება მეორე) ონიასზე. დარჩომილის ზარბაზნების თხოვნისათვის რომ. მოზღოვამდინ მოიტანონ. და იქილამ. თქვენ წააღებინებთ: პასუხი) თქვენი სიმაღლე. ნულარ გაირჯება. ამათი. ჯარი. რომ. გარდმოვა. ბძანება. აქვსთ. მოცემული. თითონ. ესენი გადმოიტანენ. და მოგართმევენ.

წიგნი. მეორე. ივნისს. ე. დაწერილი. რომელშიაც. იწერებთ. ესრეთ.

1 უწყება. პირველი.) თქვენის. სიმაღლის. შეუძლებლობის. მიზეზით. და საქმის სიმრავლის გამო მათის. დიდებულების. და სხვა. პირველს. გვაძებთან. მოწერილის. წიგნების დაგვიანებას. და დარჩომას. გვიბძანებთ. და ახლა. გამოსტუმრებას.

პასუხი.) თქვენის. სიმაღლის. შეუძლებლობა. თუმცა. დიდი მძიმე. მიზეზი არს. და ჩვენთვის. ეს. მძიმე. გასაგონი. ღთის მოწყალებით. ამავე თქვენმა. წერილმა. მშვიდობიანობის. მოწერილობით. გააძულებუქა. მაგრამ ნუ გამიწყობით. თქვენის სიმაღლისაგან. ამასთანა. ალაგს. ამ. თარიღის. წიგნის მოსვლა. ორისავე. მხრისათვის. უკადრისი არის. ჩემი. წიგნი. თუ უნდა. ამოფხეკილი. იყოს. თუ უნდა. ძველი და ახალი. არაფერი. მაგრამ. იანვრის. წიგნი ამისთანა. ალაგს. ამასთანა. საქირო საქმეზე. აგვისტოში. მოსვლა. სამი ათას ვერსზე. დიდი საუცხოვო. არს. აქა. და ახლა ეს. ოსებს. დავაბრალე. სხვა. ვერა. ვიპოვერა. და ამას იქით. ნუღარ იქნება.

2 უწყება მეორე) ყარაბალიდამ. და ერევნიდამ. აღამაჰპაღბანის. არდაველს მოსვლა. მოგხსენებიათ. და ესეც ზაგივონიათ. რომ. ჯავათხანს თქვენთან ერთობა დაუხსნია და იმასთან. კაცს თურმე. გზავნის და თქვენზე. ეპატიუება. და ხუდა ფიზინის. კიდზე მდგომ. ჯარს. იმისი კაცი მოუძღვის

პასუხი) ნუ. გამიწყობით. ჩემო კელმწიფე. ვ. ასეთს. ნივთებს. მაძღვეთ. რომ. სულ წინაღობი უნდა. ვილაპარაკო. ეგ. უწინვე უნდა. გკოდნოდათ. მე მანდავ ყოფნაშივე. ვიცოდდი. და აქ. ახლა. ესეც. შევიტყვევ რომ. თითონ. ჯავად. ხანცა. და მელიქი. მაჯუნც. აღამაჰპაო. ხანთან. წასულან. და თქვენ. უფრო სწორე მოხსენებული. გექნებათ. აქ. ასე. გავიგონე.

3 უწყება მესამე.) თქვენი სიმაღლე. მბძანებს. და მბეჯითებს. განვრცელებით. და გაუხესიტყვებულის. ბძანებით. გულს მოდგინებით. გარჯას. და ამისას. შეტყობას. რომ. მოკვეშელებიან. თუ. არა. რომ. თქვენც. თქვენი. საქმე. იმგვართ. დაიქიროთ. პასუხი) გავს. რომ თქმულა. ჩემო კელმწიფე. მანდ. მომსვლელი. მითვამ. აღარა. ვარ. და. მამულებიც. ხომ. ეკლესიაებისათვის. შემოწირავს. და რაღას. დავსდევ. ისემც. ეკლესიაების მადლი. შეეწევა. სულ პირველად ამ აზრის. მშობელსა. და მომგონებელს მაგრამ. მე. მე. (bis) აქ. დაბადებულს. ქართველის. კაცის. შვილებს ვხედავ. რომელთაც. არც. საქართველო თვალით უნახამსთ. არც. მამული. აქვს. მანდ. და ეგების არც ენა იციან რომ. ისინი. ჩემობენ. მაგ. ქვეყნის. ერთგულობასა და კარგის. გაგონებისათვის. მხიარულობენ. და უბედურობისათვის. სწუხან. იმათი.

მინც უნდა. შემრცხვის. და მაგ. ქვეყნის დაქცევისა. და გაურჯულ-  
ლოობისათვის. გული. მეტყინოს თუ. მე. თქვენის. სიმალლისა.  
და მაგ. ქვეყნისა. სრულის. გულით. და უშინაგანესის. გონებით.  
ერთგული. არა ვარ. ღთნ. მეც. შემარცხვინოს. და ჩემი. ფიციც.  
ალარც ჩემი. ფიცო. დაიჯერება. და ფიცით. რაღათ. გარწმუნოთ.  
ეს უნდა. კმაროდეს და საქმით. ეს არს. რომელიც. მიმოქმედე-  
ბი(ა). გარჩევით. წერილით. მომირთმევია. და ან. რაც. ამათ.  
უთქვასთ. ისიც. მიამხსენებია. და ახლა. ღრაფი. ბეზბოროტკამ.  
რაც. პასუხი. მიიხრა. თათონ ეს ფილიბეტ. იქ. დაგვეწრა. თუ.  
აქსაც. გვატყუებენ. მე აღარ. ვიც-რა. პირველის. კაცებისაგან.  
პირდაპირ. კელმწიფის მაგიერად. პასუხი. თვით. იმას. დიდებუ-  
ლებისაგან. თქვენგან. მორთმეულის. წიგნის. პასუხი. რომელიც.  
ახლა. მომირთმევია ამით. საბუთი. არის. რომ. თქვენი. წიგნი.  
მირთმევია. მათს. დიდებულობას. კელდაკელ მე ეს. წიგნი და სიტყვა.  
მომბარდა. რომელიც. სრულობით. მომირთმევია. და საქმით.  
მინდამ. უნდა. შესრულდეს. მე ხომ. იკვი. აღარ უნდა. მქონდეს.  
და თუ. ახლაც. აღარ. შესრულდება. საქმით. მე. მინც. ის თქვე-  
ნი. ბძანება. შემისრულებია. რამ. შემიტყვია. მოგვეშველებიან თუ.  
არა. უნდა. ჰსცნათ. და რაც. კიდევ. ამას. შდ მებძანება. მე  
ჩემს. ცდას. გრ დავაკლებ.

წიგნი. მესამე ივნისს. |ზ| დაწერილი. რომელშიაც. იწერებით ესრეთ.  
უწყება. პირველი) და ვიანის. გრიგოლის. უწყესს. ქცევაზე  
თავიანთ. ყდ სამღვდელთაგან და თავადთაგან. შესმენა. და ამის-  
თვის. დადიანობისაგან. გარდაყენება. და უმცროსის. ძმის. მანუ-  
ჩარის. გადადიანება. და ნამეფარის. დავითისა. და გრიგოლისაგან.  
თათრისა. და ლეკის. ჯარის. შოვნა. და იმერეთში შუოთი.  
და თქვენგან. თქვენის. შვილის. ალექსანდრეს. გასტუმრება. დამშვი-  
დებისათვის. და იქ. ომის მოხდომა. და ღთის მოწყალებით.  
თქვენის. შვილისაგან. გამარჯვება და ნამეფარის. ახალციხეს. ყოფ-  
ნა. და ახალციხის. ფაშისაგან. აშლილობის. ნიშნების. ჩვენება  
გებძანათ:

პასუხი) საეკლესიოს რჯულოზე თუ. დანაშაული. აქვს. რამე. იმისი მე  
რა მოგახსენო და საკელმწიფო რჯულს. ასე უჯობს. და ამათაც.  
ასე უნდათ იმერეთ(ი)ს. მხრიდამ. უფროსის. ოჯახისშვილი. ოსმალთ.  
მხარეს არავინ იშოვებოდეს. ამას. უნდა. სცდილობდეთ. ამას  
თქვენგან. სამსახურათ. მიიღებენ ღთნ. ერთისაგან კი. განათავი-  
სუფლა. იმერეთი. და მაგათს. შერიგებასაც. ეცადოთ. რომ. ის-  
წიგნი. მტკიცედ. ეგოს. არც. უფროსი. და არც. უმცროსი ოსმალთ.  
არ აპყვნენ. მაგათაც. ისე. უჯობსთ. ასე. გაშინჯეთ. ქაიხოსრო.

აბაშიძე. რომ. არის. ლევანის. შვილი. ილიც. რომ. აღარ. იყოს. იქ. ისი სჯობს. თუ. ენდობით. და თუ. ვერ. ენდობით. უნდო. კაცი. შორსა. სჯობს. ვინამ. ახლო. ყოფნას. თქვენის. შვილის. ალექსანდრეს. იმერეთში. გამარჯვება. თქვენ. არ მოგეწერათ. მე შევიტყვე. და წერილით. გამოვაცხადე. რომლისაც. კობია. მომირთმევია. და ამასთანა. წერილი. თუ. მსხვილი. გამარჯვება. საცა. მოხდეს. სჯობს. მოიწერებდეთ. ახალციხის. ფაშის. მხარის. აშლის. მიზეზს. ნუ მისცემთ. თქვენ. ეს. ჯარი. კელმწიფემ. აღამაჰმადხანზე. მოგაშველათ. ოსმალთ. ხომ. არ. ეშლებიან. ეს. არ უნდა. ფაშამ იწყინოს. და თქვენი. მეგობრობა. მოიშალოს. სწორე. ბოდიშები. არის. თუ. დაგვიჯერეს.

უწყება. მეორე.) იბრეიმხანისაგან. და ერევნის მაჰმადხანისაგან. თქვენთან ყოვლის თავიანთის. შეძლებით. შეერთებისა. მაგათგან ზვეწნა. რუსეთიდან. ჯარის. შოვნაზე დაგპირდებიან. რომ რუსეთის. ჯარს. ჩვენც. ვემსახურებითო. პასუხი) თქვენმა სიძალდემ. მაგათი. ვედრება. შეასრულა. და რუსეთის. ჯარი. მაგათის. სიტყვით. იშოვეთ. ახლა რადგან. ასე არს. ეგენი. ამათს. ყველას. ალერსში. უნდა. გაერივნენ. და თქვენც. გარიოთ. ღთით. როცა. ჯარი. გარდმოსასვლელი. იყოს. მაგათ. უფროსი კაცი. თუ. გახლდესთ. ვინმე. ახლო მახლო. მიაგებეთ. და ამათ. საქმეში. ყველაში. ეცადენით. რომ. გარიოთ. და როცა. ჯარი. გარდმოვიდეს. თქვენს. მეზობლებში. ვინც. დაგიჯეროსთ. თითო. კაცი. აქ. გამოაგზავნიეთ. მაღლობისათვისაც. და სხვა. ჯეროვანის. საქმეებისათვისაც. მე. კარგი. მგონია. და ნება. თქვენი.

წიგნი. მეოთხე იენისს. იე. დაწერილი რომელშიაც. იწერებით. ესრეთ უწყება. პირველი) ბძანებთ. რომ მისმა. დიდებულებამ. სენათზე. ინებო(ს) ჩვენი. მოკიდულობა.

პასუხი.) ამ. აზრის. ფურცელი მეც. მქონდა. გამოტანებული მაგრამ. თქვენმა. შვილმა. მირიანმა. და. მე. დავაყენეთ. ჯერ საქმის ყურება. უფრო ჯეროვნად. აღგვიჩნდა.

უწყება. მეორე.) ერთი. არტრელიის. (sic) გასწავლებული. აფიციარი. და ერთი. მაუდის. ოსტატი. გებძანათ.

პასუხი) არტირელის. აფიციარს. გააახლებენ. და მაუდის. ოსტატი. დავიდუმე. ჯერ. ამ. ქამს. არ. შეეფერებოდა.

ეს. ოთხი. წიგნი. და ერთი. საკუთარის. თქვენის. კელით. დაწერილი. იენისის. შვიდს. თქვენს შვილს. მირიანთ. (sic) და ჩემთან. სტეფან. პავლიჩსაგან. მივიღეით. ერთი. სხვა. პაკეთი. ოცდა. ექვს. აგვი-



სტოს. მომივიდა. თქვენგან. კელოწერილი. და პატარა ბეჭდით-  
 დაბეჭდილი. თარიღი. მწერალს. დავიწყებოდა. არ. ეწერა. და  
 იმაში. იღვა. სხვა. წიგნი. თქვენის. კელით. დაწერილი. ივნისს.  
 ოცს. იმით. ვცან. რომ. ის. წიგნიც. იმ თარიღისა. იქნებოდა.  
 რაც. გეძანათ. ს'დ. ვცან ისევ ბძანებები. არის. და რალა. თავი.  
 გაწყინო. ამისი. პასუხი. სხვა. წერილებითაც. მომიხსენებია. და  
 და ამის. პასუხად. ეს. მოიხსენეთ. რაც. შეიძლებოდა. მეზობ-  
 ლების. თანხმობას ეცადენით. და ეგების. ხოინ. ხანიდამაც. სი-  
 ტყვა. გამოიტანოთ. რამე. თუ მანდ. ძალა. ნახა. რამე. ძალიან.  
 უცხო. არ არის. და ვინც. მანდ. ჯარის. უფროსი. გარდმოვი-  
 დეს. ასე. გნაონ. და მაგასაც. თქვენით. ლაპარაკი დაუწყონ. ვან-  
 ჯის. ხანს. გარდა. არც. მანდ. ვიყავი. ერთგული და არც ახლა.  
 ვარ. მაგის. ამოდებას. ეცადენით. და როგორც. თქვენ და იბრემ  
 ხანს. გეჭირათ. ისევ ისე დაიჭირეთ. იქნება. ღ'თ(ი)ს მოწყალებით.  
 ასეთი. ჟამებიც. შეგზედესთ. რომ თითონ. იბრემხანმაც. თავაზა  
 დაგიწყოსთ. და კვაც. ვერ. ამოიღოს. განჯახე. მაგრამ. საბო-  
 ლოსათვის. მე ისევ ისე საერთოთ. მემჯობინება. თორემ. იბრემ.  
 ხანისაც. დიდი ერთგული. არა ვარ. ღ'თთ. თუ. ჟამი. მოგეცესთ.  
 ნურას გზით. განჯას აგრე. ნუ გაუშვებთ. ნურც. უკან დაიგდებთ.  
 ღ'თნ. ყოველი. თქვენი. საქმე. ბედნიერობით. და კეთილად-  
 წარმართოს. კაცის. გონება ბევრს. რასმე. ფიქრობს. და რო-  
 მელიც. ღ'თის ნება. არის. ის. იქნება.

სეკლ(ე)ბრის. 16 წელს. 1795.

გარსევან ჭავჭავაძე.

თულასძეთა სიგელი, დავითი ნარინის მიერ მიცემული.  
 ტფილ. ყოფილ სათავად-აზნაურო საკრებულოს არქივში დაცული  
 იყო (ამ ჟამად ეს საბუთი ტფ. საისტ.-საეონოკრ. მუზეუმშია).  
 თულასძეთა სიგელი, მიცემული დავით ნარინის მიერ მისი მეფობის  
 მე-56 წელს, მაშასადამე 1291—1292 წ.. სიგელი დაწერილია ტყავზე  
 ლამაზი გაკრული ხელით, თავში და ბოლოში ოდნავ დახიანებულია,  
 რის გამო მეორე ხელის მოწერა ბოლოში არ იკითხება. სიგელი იბე-  
 ჭდება უცვლელად მხოლოდ დედანთან შეუჯერებლივ. სიგელი, სხვათა-  
 შორის, საინტერესოა ტერმინის ჩაქი-ს მოხსენებით. ჩაქი სიგელის  
 აღსანიშნავად იხსენიება დავით ნარინის დროსვე 1250 წლის ახლოს  
 ან ცოტათი უფრო გვიან გელათისადმი მიცემულ ერთს საბუთში: იაკობ  
 დეკანოზის მიერ გელათისთვის, სხვათა შორის, შეწირულია „ზარათს  
 ღ'თისა სწორთაგან ჩაქითა ბოძებული ნასყიდი ხოელისძეული მამული“  
 (ქრონიკ. II, 128—129; თ. ყორდანიას ამ ადგილას დაბეჭდილი აქვს  
 ჩოქითა, მაგრამ 1909 წ. ჩვენ გვინახავს ამ სიგელის, ეხლა უკვე დაღუპუ-  
 ლის, დედანი, რომელშიდაც იკითხებოდა ჩაქით). ჩაქი, როგორც

სიგელის შესატყვისი ძველი ტერპინი ლიხთ-იმერეთში, მოხსენებულია 1463 წ. ორალელისძეთა-კვიტაშვილის სასისხლო სიგელში (საქ. სიძვ. III, 436). სიგელში მოხსენებული ცოლი დავითის მარიაში უნდა იყოს ჟამთააღმწერელის მიერ მოხსენებული „დედოფალი; დიდისა პალეოლოლოსის ასული კოსტანტინოპოლისა და საბერძნეთის მპყრობელისა“ (ქ. ცხ. I, 427).

-- ღთისაითა: დავითისგან: ბგტუნინისა: ძისა: რუ[სუდანისა: და  
 თანამცხედრისა. ჩუენისა] მაოიამისა: და: ძისა: ჩუენისა: ვახტანგ:  
 მეფისა: ნებითა: ღრისა[თა:] [აუხაზთა და ქართველთა: რანთა:  
 კახთა: და: სომეხთა: მეფეთაი: შარ[ვან]შა: და: შაჰანშა: და:  
 ყოვლისა: აღმოსავლეთისა: საქართველოსა: და ჩრდილოეთისა:  
 კელმწიფედ: მპყრობელთაი: -მოვიდეს: ჩუენს: წინშე: ზარადხანის  
 უხუცესი: ჩუენი: ვახტანგ: თულაისძე: და: გუეჰაჯა: და: მოგუა-  
 ესენა: რათამცა შევიწყალეთ: და: რმელ: ჩუენგან: ბოძებული:  
 შორაპნი: და: ღუერკი: მას ჰქონდა: მისად: სანაცვლოდ: რაქას:  
 ეკლესი[აი] პიპილეთი: მისითა: შესავლითა: ჟაშქუითა: და: ირი:  
 ღუერკისა: სანაცვლოდ: გუებოძა: მკუიდრად: და: სამამულოდ:  
 და: ვითა: მეფემენი: აზნაურნი: არიან: ეგრევემც: მეფობასა: ჩუენსა:  
 ჰმსახურებდა: ვითა: თუით: ჩამომავლადც: მეფემე: იყო: დაგუა-  
 ჯერა: ღრთ: და: ვისმინეთ: ჰაჯაა: და: მოკაცებთა: ზარადხანის  
 უხუცესისა: თულაისძისა: ვახტანგისი: და: მიუბოძეთ: სიგელი: ესე:  
 მას: და შვილთა: და მომავალთა: მისთჳ: და: სოგლითა: ამით:  
 რაქას: სოფელი: პიპილეთი: და მისი: შესავალი: ჟაშქუაი: შო-  
 რაპნისა: სანაცვლოდ: და ეგრევე: ირი: ღუერკისა: სანაცვლოდ:  
 მკუიდრად და: სამამულოდ: გუიბოძებია: და: უსარჩლივად: და:  
 უწყენრად: ყოვლისა: კაცისაგან: და: ვითა: სხუანი: მეთემენი:  
 აზნაურნი: არიან: ეგრევე: ესე: ჰმსახურებდეს: მეფობასა: ჩუენსა:  
 და: სხუაი: არაივისგან: ეწყინებოდეს: არცარაი ვის: საქმე: ყუც:  
 მასთან: ჰქონდეს: სიგელი: ესე: ზარადხანის უხუცესსა: ჩუენსა:  
 თულაისძესა: ვახტანგსა და: შვილთა: და: შვილისშვილთა: და:  
 ყოვლთა: მომავალთა: მათთა: ერდგულად: მსახურებასა: შინა:  
 მეფობისა: ჩუენისასა: და: სიგლითა: ამით: რაქას: ეკლესიაი:  
 პიპილეთ: წდისა: გრისი: და: მისი: შესავალი: პიპილეთი: რაქა:  
 არის: და: ჟაშქუაი: და: ირი: მკუიდრად: და სამამულოდ: და:  
 უსარჩლივად: და: მიუღვერად: გუიბოძებია: და: უწყენრად: და:  
 არაი ვისი რაი: კელი: შევიდოდეს: არცარაი: ვის: საქმე: ედვას: მას  
 თანა: მტკიკედ: და: შეუვალად: და: შეუცვალეებლად: გუიბოძებია:  
 მათითა: მთითა: ბარითა: ტყითა: ველითა: წყლითა: წისქუი-  
 ლითა: და: ყოვლითა: სამართლიანითა: მზღვრითა: და: მიმდგო-  
 მითა: მისითა: საკპრითა: და: უკპრითა: ყუელაითა: არცა: პური:

და: ღუინოი: მოეკრიბვოდეს: არცარაი: ვისგან: ეწყინებოდეს:  
 თუ რავის: ამათ: აღგილთაი: სიგელი: თუ რაი: ჩაქა: და: ნიშანი:  
 ჰქონდეს: ყუელიაი: სიგლითა: ამით: გაგუიტეხა: და: მტკიცე:  
 ესე ოდენ: და: არავინ: გუიბზა: მშლილი: და: მაქცეველი:  
 ბზულისა: ამის: ჩუენისაი: არცავინ: მეუნებლე: მაწყენელი: და:  
 დამაკლებელი: მათი: აწ: ვინცა: ჰნახოთ: ბზაი: და: სიგელი: ესე:  
 ჩუენი: შემდგომად: ჩუენსა: მოშავალთა: მეფეთა: კარისა: ჩუენისა:  
 ვაზირთა: და: მოურავთა: ეწვთა: ეწთა: დიდებულთა: აზნაურთა:  
 პურისა: და: ღუინისა: მკრებელთა: მეჯინებთა: მერეჟათა: მო-  
 ნადირეთა: და: ყოელთა: საქმის: მოქმედთა: ჩუენთა: და: კარით:  
 ჩუენით: გაგზავნილთა: მესამსახურეთა: (sic) დიდთა: და: მცირეთა:  
 დელთა: დაუმტკიცეთ: და: ნუვინ: უშლაოვთ: ბზასა და: სიგელსა:  
 ამას: ჩუენსა; და: ნურას ვინ: დააკლებთ: ნუ დიდსა: და: ნუ  
 მცირესა: თუნიერ: შეწვენისა: და: თანდგომისა: თქუნ: წმი-  
 დანო: მეუფენო: ა: და: ქ კზნო: უჯუარობითა: დაუმტ-  
 კიცეთ: დაიწერა: ბზაი: და: სიგელი: ესე: ჩუენი: ინდიკტიონსა  
 მეფობისა: ჩუენისასა: ორმოცდა: მეათექუსმეტესა: და: ძისა: ჩუე-  
 ნისა: ვახტანგ: მეფისასა: მეათესა: კელითა: ზარდახნის მწიგნობ-  
 რისა: ჩუენისა: გ: სოფრომისძისათა:

ღამაზი სვეულით: ქ: მტკიცეა: ნებითა: ღთისათა:

სვეულად: ქ: ჩემი-- კლსა-- მტკიცეა ნებითა ღთისათა

სვეულად: -- -- -- ვახტანგის --- მტკიცეა:

ნებითა: ღთისათა:

მეორე გვერდზე აკის შეათხე სვეული ხელისმწიქა.

**ზარზმის მხატვრობის ისტორიულ პირობების ვინაობის შესახებ.**  
 ზარზმის მხატვრობის ისტორიულ პირობების ვინაობასთან თვალსაზრისოდ  
 დამოკიდებულია თვით ზარზმის მხატვრობის დათარიღების საკითხი.  
 ისტორიულ მხატვრობა თვალსაზრისით ეს საკითხი ეხლა უკვე განხი-  
 ლულია და საკმაოდ ვრცლად კ დ. გორდევეის მიერ (Известия КИАИ  
 Росс. Ак. наук., Петроград 1923 г., 56—68). დ გორდევეი ზარზმის  
 მხატვრობის ანალიზის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 1) ზარზმის  
 მხატვრობა პალეოლოგთა ხანის ტიპის არის, 2) რომ მას ახასიათებს  
 ადგილობრივი სამხატვრო ტრადიციის ნიშნები, 3) საეჭვოა, რომ მხატ-  
 ვარი შემთხვევით მოსული თუ გამოწერილი ბერძენი ყოფილიყო,  
 4) მხატვარი ქართველი უნდა ყოს, 5) მხატვარი გაცნობილი უნდა  
 ყოფილიყო პალეოლოგთა ხანის ბიზანტიურ ხელოვნების ძეგლებს.

6) გუმბათის და ტრაპეზის მხატვრობის ადგილობრივი სქემა შეცვლილ იქმნა ბერძნულ კანონის მიხედვით, კათოლიკონის მხატვრობისთვის კი შესაძლებელია ნიმუშად აღებული იყო მინიატიურებიანი რომელიმე ბიზანტიური ხელნაწერი და 7) ასეთი თვალსაჩინო ძეგლი ხელოვნებისა შეიძლება წარმოშობილიყო კულტურულ აყვავების ხანაში უზე და განათლებულ ამშენებელთა დროს. ეს დრო უნდა ყოფილიყო პირველი ათაბაგების ხანა, გიორგი ბრწყინვალის დროს, როდესაც ცხოვრობდა ზარზმის მხატვრობაში წარმოდგენილი ეთთვიმე კათალიკოზი.

1923 წ. ჩვენ შემთხვევა გვქონდა ზარზმაში ვყოფილიყავით და ტაძრის ფრესკები გავვისინჯა. ჩვენ გვინტერესებდა საკითხი ამ მხატვრობაში წარმოდგენილ ისტორიულ პირთა ვინაობის შესახებ. როგორც ცნობილია, ე. თაყაიშვილი ზარზმის მხატვრობაში წარმოდგენილ ბაგრატ მეფეს მიაკუთვნებდა მე-11 საუკუნეს და მას ბაგრატ IV-დ სთვლიდა (Археологич. экскурсии. I, 30). კომპოზიციით ბაგრატ მეფე უბოძებს ენქერს და სიგელს მამა სერაპიონს, იგულისხმება წმიდა სერაპიონ ზარზმელი. ამავე ეპოქის პირებად სთვლიდა ე. თაყაიშვილი იქვე წარმოდგენილ ეთთვიმე კათალიკოზს, რომელსაც ის ხურციძის გვარს აკუთვნებდა ალბად იმიტომ, რომ წინამძღვარი გაბრიელ ხურციძე მოხსენებულთა ასომთავრულ წარწერაში სამხრეთ ეკვდერის შესავალში. ზარზმის კედელზედვე არის სურათი „ერისთავთ-ერისთავის, მსახურთ უხუცესის სუანთა ერისთავის სუიმიონ გურიელის“, რომელსაც ე. თაყაიშვილი მე-17 საუკუნეზე უწინარეს მცხოვრებ პიროვნებად სთვლიდა. ზარზმაში არის სურათები კიდევ ბექა მანდატურთ-უხუცესის, სარგის სამცხის სპასალარის, ამირსპასალარის ყუარყუარესი, რომელთა ცხოვრების დრო ცნობილია (ბექა † 1309 წ.; სარგის და ყვარყვარე ცხოვრობდნენ მე-14 საუკ. პირვ. ნახევარში) და ერისთავთ-ერისთავის გიორგი ჩანელი. ზარზმაშივე არის სამხრეთ კედელზე კიდევ წარმოდგენილი პიროვნება საქეფო ტანისამოსში, მაგრამ უგვირგვინოთ. ამ სურათის წარწერა, სამწუხაროდ, გადასულია.

რადგანაც ე. თაყაიშვილი ზარზმის მხატვრობის ისტორიულ პირებს სხვადასხვა ეპოქისად სთვლიდა, ამიტომ ჩვენ ნება მოვეცით ჩვენს თავს თვით მხატვრობის გაუსინჯავად ხსენებულ ისტორიულ პირების ვინაობის შესახებ ზოგიერთი მოსაზრებები გამოგვეთქვა (კვლევა-ძიებანი საქართ. ისტორ. საკითხების შესახებ, ტფ. 1920 წ., 58—61). ზარზმის მხატვრობაში წარმოდგენილია ევთ-ევთი ჩორჩანელი, ხოლო სამხრეთ ეკვდერის შესავლის წარწერაში მოხსენებულია მაწყვერელი სერაპიონ ხურციძე. ვინაიდან ხურციძის გვარი დანამდვილებით მოხსენებულთა (ხოლოდ მე-16 საუკუნეში შედგენილ მესხეთის თავდალთა სიაში (1356—1443 წლებში შედგენილ სიაში ხურციძის მა-



ვივრად ჩორჩანელია დასახელებული, იქვე, 7—8), ამიტომ ზარზმის სამხრეთ ეკვდრის წარწერა სხე ქორონიკონს დაწერილი მაწყვერელ სერაპიონ ხურციძის მოხსენებით ჩვენ მე-14 მოქცევას და მაშასადამე 1577 წელს მივაკუთნეთ, რის სამართლიანობა ეხლა ექვს გარეშე უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ამასთანავე ერთად ჩვენ იქვე გამოვთქვით მოსაზრება, რომ ზარზმის ფრესკებზე წარმოდგენილი ბაგრატი მეფე უნდა ყოფილიყო აფხაზ იმერეთის მეფე ბაგრატი ალექსანდრეს ძე, რომელიც 1535 — 1545 წ.წ. ფლობდა საქცხე-საათაბაგოს და ამავე დროს უნდა ყოფილიყო იმავე ფრესკებზე წარმოდგენილი მსახურთ-უხუცესი სვიმონ გურიელი.

ზარზმის მხატვრობის ადგილობრივ გასინჯვამ ჩვენ დაგვარწმუნა რომ ყველა ისტორიულ პიროვნებთა სურათები ერთს დროს და ერთი მხატვრის მიერ უნდა იყოს შესრულებული. სტილი, ფერადების საერთო ხასიათი ამას ცხად ყოფს. მაშასადამე ბაგრატი მეფე, ბექა მანდატურთ-უხუცესი, სარგის სამცხის სპასალარი, ყვარყვარე აპირსპასალარი, ეფთვიმე კ<sup>წ</sup>ი, გ<sup>წ</sup>ი ჩორჩანელი და სვიმონ გურიელი მსახურთ-უხუცესი დაახლოვებით ერთი ეპოქის, უკეთ ვსთქვათ ერთმანეთთან ახლო მდგარ თაობათა, პირები უნდა იყვნენ. მხატვრობის დასათარიღებლად მნიშვნელობა აქვს ბაგრატი მეფის და ყვარყვარე აპირსპასალარის მოხსენებას. ყვარყვარე, ცხადია, შეუღდა თავის უფროს ძმას სარგისს, რომელიც სამცხის სპასალარად არის მოხსენებული. ვახუშტის ხელში მყოფი იმერული გარიგების ქრონიკა იხსენიებს ყვარყვარეს 46 ქორონიკონს, მაგრამ რადგან ეს ქრონიკა ხშირად რამოდენიმე წლით ადრე უჩვენებს ფაქტებს (ს. კაკაბ., კვლევა-ძიებანი 12—21, კერძოდ გვ. 21), ამიტომ შესაძლებელია, რომ მეფის მიქელის ძის ბაგრატის მიერ ყვარყვარეს ქალის შერთვა, რის შესახებ გადმოგვცემს ქრონიკა, ნამდვილად 1360 წლის ახლოს მომხდარიყოს. ყვარყვარეს ცხოვრების დრო არ შეიძლება 1360 წელს თვალსაჩინოდ იყოს დაცოლებული, ყოველს შემთხვევაში მიხ. ფანარეტის ტრაპენზუნდის ქრონიკა 1373 წელს უკვე აღბუღას იხსენიებს, რომელიც მესხეთის მთავრად არის საგულისხმებელი. იგივე გარიგების ქრონიკა იხსენიებს დიდ ბაგრატი მეფის მიერ 49 ქორონიკონს ქუთაისის დამპყრობელ სვანთა ამოწყვეტას, რაც მაშასადამე ქრონიკაში რამდენიმე წლოვან შეცდომის დაშვებით შესაძლებელია მომხდარიყო 1363 წლის ახლოს და შეიძლება თვით 1361 წ. (49 ქნკს), ამ ნაირად ყვარყვარე და ბაგრატი თანადროულად სჩანან 1360 წლის ახლოხანებში, თუმცა ბაგრატი ამ დროს შედარებით ახალგაზრდა იქნებოდა, ხოლო ყვარყვარე კი მოხუცებული. ამ ფაქტების შესატყვისობის გამო ჩვენ გვგონია, რომ ზარზმის ისტორიულ პირთა მხატვრობა 1360



წლის ახლოს უნდა იყოს შესრულებული. ეფთვიმე კათალიკოზიც ამდროინდელი პიროვნება უნდა იყოს, რომელსაც, რასაკვირველია, არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს მე-14 საუკ. პირველ წლებში მცხეთის კათალიკოზად მყოფ ეფთვიმესთან, რომელიც 1310 წ. მკედრად არის მოხსენებული, და არც 1328—1335 წ.წ. ძეგლის-დადებაში მოხსენებულ ეფთვიმე კათალიკოზთან (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, კვლევა-ძიებანი, 63—64). როგორც ჩვენ ნაჩვენები გვქონდა (იქვე, 64), 1355 წ. კათალიკოზად უნდა ყოფილიყო ბასილი. ზარზმაში წარმოდგენილი ეფთვიმე, ბაგრატ დიდის თანამედროვე, ამ ბასილის მოადგილე იქნებოდა, ერისთავთ-ერისთავი გიორგი ჩორჩანელიც ამის მიხედვით მე-14 საუკუნის ნახევრის პიროვნებად სჩანს. ჩორჩანელთა მაგივრად მე-16 საუკ. პირვ. ნახევარში შედგენილ მესხ თავადების გვარეულობათა სიაში ხურციძე იხსენიება. შესაძლებელია რასაკვირველია, რომ ჩორჩანელი და ხურციძე ერთი და იგივე ფეოდალური გვარეულობა იყოს.

ამავე ხანებს, ე. ი. მე 1360 წლებს უნდა ეკუთვნოდეს სვიმონ გურიელის პიროვნება, რომელიც ზარზამში ბერის სამოსლით არის წარმოდგენილი. მსახურთ-უხუცესის თანამდებობაში აღბათ ის მე-1360 წლებზე უწინარეს იქმნებოდა, მე-1340—1350 წლებში. ამ ფაქტს აქვს თავისი მნიშვნელობა, რადგან სვანთა ერისთავის გურიელის მოხსენება მსახურთ-უხუცესის თანამდებობით თავის თავადაც არის საყურადღებო. ღიად რჩება მხოლოდ საკითხი იმის შესახებ, არის სვიმონ გურიელი მე-1340—1350 წლებში აფხაზეთის სამეფოს მსახურთ-უხუცესი, თუ ამ დროს საქართველო უკვე მთლიან სახელმწიფოდ იყო წარმოდგენილი და გურიელიც ამ ხანებში გაერთიანებულ საქართველოს თანამდებობის მქონე იყო. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მე-14 საუკ. მეორე ნახევარსა და მე-15 საუკ. პირველ ნახევარში საქართველოს სამეფოს მთლიანობის დროსაც ლიხთ-იმერეთი ცალკე სამეფოს აპარატის მქონე იყო, კვლავინდებურად საკუთარი დინასტიით, შესაძლებელია, რომ ზარზმაში წარმოდგენილი სვიმონ გურიელი აფხაზეთის სამეფოს მსახურთ-უხუცესად იყოს საგულისხმებელი.

ყოველ ზემოდ მოხსენებულის მიხედვით ზარზმის მხატვრობაში წარმოდგენილ ისტორიულ პიროვნებათა გაღივების მიხედვით შეიძლება ამ გაღივების მხატვრული წარმოშობა მიეკუთვნოს მე-1360 წლებს (ბეჟა და სარგისი ამ მხატვრობაში წარმოდგენილი არიან, როგორც მესხეთის მთავრის უფროსი ძმა და მამა). ამავე ხანებს, მაშასადამე, უნდა მიეკუთვნოს ზარზმის მხატვრობაც მთლიანად. როგორც ვნახეთ, დ. გორდეევი ამ მხატვრობას სთვლის მე-14 საუკ. პირველ ნახევრის წარმოშობისას, რაც მცირეოდენი კორექტივით ადასტურებს ზემოდ მოყვანილ მოსაზრებებსაც ამ მხატვრობაში წარმოდგენილ ისტორიულ პირობის შესახებ.

**მე-15 საუკუნის ვახტანგ გორგასალის ვინაობის გასარკვევად.**  
ამ უმად უკვე გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ 1432 წლიდან გარკვევით ლიხთ-იმერეთის მემკვიდრე მეფედ ცნობილი ვახტანგ, ზედსახელით გორგასალი, ისტორიული პიროვნებაა. ის უნდა გარდაცვლილიყო 1445 წ. (ს. კაკაბ., ვახტანგ, უკნობი მე-15 საუკ. აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი..., ბაგრატ მეფე—მე-15 საუკ. რაქა-არგვ. მფლობელთაგანი; სასისხლო სიგელების შესახ., ს.ო მ-ე, II, 2± წ. 15-16). ამ ვახტანგს ცოლად ყავდა თამარი, რომელიც შესაძლებელია იყოს 1432 წ. იაკობიძეთა სასისხლო სიგელში მეფის ხარისხით მოხსენებული თამარი (ს. ი. ს. ტ. მ-ე, II, 1924 წ. 15—16). თუ მართლაც ვახტანგის ცოლი თამარ იგივე 1432 წელს მოხსენებული თამარ მეფე არის, მაშინ შესაძლებელია ვახტანგის ზედმეტ სახელმა (გორგასალ, გურგასლანი) მისი წარმოშობის მხრივ, მონაგონარის სახით. ჰპოვოს სხვა გვარი განმარტებაც. ცნობილია, რომ თემურ-ლენგი ატარებდა გურგან-ის (گورگان) ხაოსხს, რაც სიძეს ნიშნავს. აქ იგულისხმება ის გარემოება, რომ თემურ-ლენგი, ჩინგიზ-ყაენის სახლთან ნათესაურ კავშირის მოტრფიალედ, თავისი წინამოადგილის ჰუსეინ-ხანის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ 1370 წ. ცოლად ირთავს ჰუსეინის ± ცოლს და მათ შორის ჩინგიზის ჩამომავლის ყაზან-ყაენის ქალს, რის გამო თემურ-ლენგს დაუმკვიდრდა გურგანი-ის, ე. ი. (ყაენის) სიძის ტიტული. ცნობილია, რომ თემური ამ ხარისხით იხსენიება მის მაერ მოქრილ ფულებზედაც. საყურადღებოა, რომ თემურის მესამე შვილი მირანშაჰა ჩინგიზიდის უზბეკხანის ქალის ცოლად შერთვის გამო ატარებს აგრეთვე გურგანის ხარისხს (В. Бартольд, Улугбек и его время, стр. 22, 29). შესაძლებელია თუ არა ვიფიქროთ, რომ ვახტანგ, აფხაზ-იმერეთის დინასტიის წარმომადგენელი, უწოდებს თავის თავს გორგასალს თუ გურგასლანს შუა-აზიაში მე-14 საუკ. უკანასკნელ მესამედში და მე-15 საუკ. დასაწყისში ფეხმოკიდებულ ტიტულის გურგანი-ის ანალოგიით, ამ ტიტულის ქართულ ნიადაგზე თავისებურ გადამახინჯვით ცნობილ ისტორიულ ნამოგონართან (მე-5 საუკ. გორგასალთან) დაკავშირების გამო? მაშინ ვახტანგის ცოლის თამარის მეფედ მოხსენებაც გამართლებას იპოვიდა, მით უმეტეს უკეთეს ეს თამარ იყო საქართველოს მეფის ასული. ამ შემთხვევაში ხსენებული თამარი საგულისხმებელი იქნებოდა კოსტანტინე მეფის ასულად და დიდ აღექსანდრე მეფის დედ. რასაკვირველია, ჯერჯერობით შეიძლება მხოლოდ საკითხის დასმა, მისი გამორკვევა კი მომავლის საქმეა. ხოლო ანალოგიურ საკითხების გარჩევას შეუძლია კერძოდ მე-15 საუკ. საქართველოს ისტორიაში ბევრი ახალი შუქი შეიტანოს როგორც პოლიტიკურ ფაქტების გარკვევის დროს, ისე აგრეთვე იმდროინდელ ქართულ სახელმწიფოებრიობის სტრუქტურის გასაგებად.

ქუთაისის საყდრის დავთრის უძველესი ნაწილი. ქუთაისის საყდრის 1578 წლის დავთარში, რომელიც გამოცემულია ე. თაყაი-შვილის მიერ (ძველი საქართვე. IV, 1—72), ყურადღებას იპყრობს ბოლო ნაწილი, რომელიც თვალსაჩინოდ განსხვავდება დავთრის დანარჩენ ნაწილისაგან. ეს ნაწილი, რომელიც იწყება დაბეჭდილი ტექსტის § 457-დან, შეიცავს სულ 62 მუხლს (457—518) და ყურადღებას იქცევს თავისი, შედარებით დავთრის დანარჩენ ტექსტთან, განსხვავებულ ტერმინოლოგიით, რომელიც უფრო ძველი ხანის მაჩვენებელი უნდა იყოს. ხსენებულ ნაწილის პირველი მუხლი, რომელიც ტიპიურია დანარჩენ მუხლებისთვისაც, იკითხება შემდეგ ნაირად: „მართებს ღომას და მის ძმებსა ანდღულაძეთა ჩითაზრი თორმეტი, საკლავი ერთი, ქათამი ერთი, ღომი ფსომიარე ერთი, ღვინო საწყავი ხუთი, ჰური სამი და სამსახური ოჩისა“ (§ 457). აქ ნახმარი ტერმინები დავთრის სხვა ნაწილებში არა სჩანს. ჩითაზური უნდა ფულის სახელი იყოს. ეს ზღბად თუ არ ეგვსაჯყვისება დავთრის სხვა ნაწილებში მოხსენებულს თეთრს, ყოველს შემთხვევაში ძლიერ ახლოს დგას მასთან. §§ 425—452-ში, მაგ., მოხსენებულია თითო კომლზე გარდასახადი თეთრი 6—24, ჩითაზურიც აგრეთვე ჩვენთვის საინტერესო ნაწილში (§ 457—518) მოხსენებულია თითო კომლზე გარდასახდელი 2<sup>1</sup>/<sub>2</sub>—30, ყველას კი ჯუმლად (სულ 62 კომლია) მართებს 675<sup>1</sup>/<sub>2</sub> ჩითაზური.

საინტერესოა აგრეთვე ტერმინი ფსომიარე, რომელიც ღომის საწყავად სხვაგან, თუ არ ვცდებით, არსად იხსენიება, არ იხსენიება ის თვით ქუთაისის დავთრის სხვა ნაწილებშიაც. ქუთაისის დავთრის სხვა ნაწილებში ანალოგიურ შემთხვევებში იხმარება ურემი და ნაოთხალი-ფსომიარე, როგორც სჩანს, ძალიან ძველი ტერმინი უნდა იყოს და უნდა უღრიდეს სომხურს სომარ ანუ სუმარ, რომელიც ეხლა 2—3 ფუტს უღრის. ნ. ადონცი სომხურ სომარ-ს უკავშირებს სასანიანთ სპარსეთში არსებულ წესს გარდასახადის შეტანის შესახებ სამი ვადის განმავლობაში, რასაც სპარსულად ეძახდნენ simarrak (si+hmar—სამი ვადა), საიდანაც შეიძლება წარმომდგარიყო წონის ერთეული სომარი, რომელიც ამ შემთხვევაში თითო სიმარაკში შესატან ხორბლეულობის ოდენობის მცნებიდან იქნებოდა წარმოებული (Н. А до н. э. Армения в эпоху Юстиниана, 485). მაგრამ ამის გარეშე ჩნდება საკითხი, აქვს თუ არა ამ ტერმინს კავშირი მონგოლურ საუკუნეთან, რომელიც იბნ-ბატუტას სიტყვით მე-14 საუკუნის დასაწყისში შლა-აზიაში ნ იყას იწონიდა? (ამის შესახებ ამავე წიგნში ს. კაკაბაძე, საფისის ისტორიისთვის საქართველოში, 9). როგორც უნდა იყოს, საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს ტერმინი აქამდის დატული ყოფილა ქანეთში, სადაც მსუმიარი უღრის ოსმალურ ქილას და

ათინაში შეიცავს 30 ოყას, ხოთაში—20 ოყას (Н. Марр, Граммат. чансваго яз., 186). ცხადია, რომ მე-16 საუკუნესთან არც თუ ძლიერ დაშორებულ ხანაში ეს ტერმინი ხმარებაში ყოფილა ქვემო-იმერეთში ილაღ.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს დავთრის დასახელებულ ნაწილში (§ 457—518) ტერმინი სამსახური ოჩისა, რომელიც მართებს დავთრის ამ ნაწილში მეკომურთა უმრავლესობას. მხოლოდ § 474—480-ში მოხსენებულია ამის ნაცვლად მეჯინიზობით სამსახური, § 488-ში—სამსახური ცხენით, § 501—ხელოვნობით სამსახური, § 502—სამსახური, § 512—სამსახური ცხენით § 513-ში—ცხენით სამსახური ოჩისაჲ, § 515-ში ცხენით სამსახური. ტექსტის ბოლოს საზოგადოდ ნათქვამია: „ამ შუა ხვეთაჲ(?) ვისცაჲ ცხენით სამსახური არ მართებს, მას სახლისა და ორჩის მუშაობაჲ მართებს.“ ოჩე და ორჩე ამგვარად ერთი და იგივე ტერმინია, რომელიც არსად სხვაგან არ იხსენიება და რასაკვირველია არ იხსენიება თვით ქუთაისის დავთრის სხვა ნაწილებშიც.

ჩვენის აზრით, ორჩე ანუ ოჩე უნდა იყოს ეხლაღ მეგრულში წარმოდგენილი სიტყვა ოჩე, რაც ყანას ნიშნავს, ოჩის სამსახური მაშასადამე უნდა ნიშნავდეს ყანის სამსახურს. მართლაღ ქუთაისის დავთრის სხვა ნაწილებში მოხსენებულია გლეხის ბევარად „მუშაობაჲ“, რაც უნდა გულისხმობდეს მიწის მუშაობას. ორჩე შესაძლებელია იყოს ქართ. სარჩო-ს შესატყვისი (შეად. მეგრ. ორჩინელი—სიმცხოვანე), რაც არსებითად იმავე მნიშვნელობას იძლევა. საყურადღებოა მხოლოდ, რომ ქუთაისის დავთარში მიწის მუშაობის ბევრა გამოხატულია მეგრული ტერმინით, რომელიც ქვემო-იმერეთში ამ დროს ჩვეულებრივად მიღებული ყოფილა. რადგანაც ასეთ ტერმინს ქვემო-იმერეთში ჩვენ ვერ ვპოულობთ მე-16 საუკუნის სიგრძებზე,—არ არის ის მოხსენებული ქუთაისის დავთრის სხვა ნაწილებშიც, ამიტომ მართა ამ ფაქტს შეუძლია ეჭვი დაბადოს ქუთ. დავთრის ამ ბოლო ნაწილის წარმოშობის შესახებ დავთრის დანარჩენ ნაწილების თანადროულ ხანაში. ტერმინი სამსახური ოჩისა და ფსომიარე თითქოს მაჩვენებელი არის იმ ხანისა, როდესაც მეგრულიზმები ქვემო-იმერულ კილოში უფრო მძლავრად იყო წარმოდგენილი, ვიდრე ამას მე-16 საუკუნეში ჰქონდა ადგილი და ეს გარემოება კი მიაკუთვნებს ძველის ამ ნაწილს უფრო ძველს ხანას. ცნობილია ძლიერ კარგად, რომ ქვემო-იმერეთში ქართულ ენას წინა-უსწრებდა ერთ-ერთი მეგრული კილო, რომელსაც არ შეეძლო თავისი კვალი არ დაემჩნია თუნდაც ცალკე ტერმინების დატოვებითაც. ქუთ. დავთრის ეს ნაწილი ცხადად ამტკიცებს, რომ ასეთი ტერმინები ქვემო-იმერეთში ძლიერ ფეხმოკიდებული ყოფილა მე-16 საუკუნესთან.



არც თუ დიდად დაშორებულ ხანაში. და რომ მართლაც ქუთ. დავ-  
თრის ეს ნაწილი, ძირითად ტექსტის ბოლოში მოთავსებული, მაინც  
არ შეიძლება ძლიერ ძველი იყოს, ამას ამტკიცებს ერთი მეკომპურის  
თავი-კაცის სახელი — ოზბეგი მახარაძე (§ 501). ოზბეგი (=უზბეგი)  
არის თურქული წარმოშობის სახელი და მისი მოხსენება უნდა უკავ-  
შირებდეს ძველს მონგოლების მძლავრობის შემდეგდროინდელ ხანას.

რომ ქუთ. დავთრის ხსენებული ნაწილი წარმოადგენს ძველი დავთ-  
რის დამოუკიდებელს ნაწყვეტს, ეს სხვათა შორის მტკიცდება იმით,  
რომ ქუთაისის დავთარში მეკომპურნი ჩვეულებრივ ნაჩვენები არიან  
ადგილის და სოფლის სახელის ჩვენებით (მაგ., ქუთაისი, ახალსოფელი, ...  
მალაკი, ფარცმანაყანევი და სხ.). აქ კი მეკომპურნი ჩამოთვლილი არიან  
ადგილის დაუახელებლად. ეს გარემოება, დაკავშირებით ტერმინოლო-  
გიის მხრივ ნაწყვეტის თავისებურობასთან და აგრეთვე იმ ფაქტთან,  
რომ ნაწყვეტი მოთავსებულია ძველის ბოლოს, უნდა გვიჩვენებდეს  
ნაწყვეტის წარმოშობას, ქუთაისის მთელ დავთართან შედარებით, მის-  
გან დამოუკიდებლივ და უფრო ადრინდელ ხანაში. ნაწყვეტის საერთო  
მოცულობის მიხედვით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქუთაისის დავთრის ეს  
უძველესი ნაწილი უნდა წარმოშობილიყო მე-14—15 საუკუნის სიგ-  
ძეზე, უფრო ახლოს მე-14 საუკუნესთან. მომავალში, იმედია, ამ საკით-  
ხის უფრო მიახლოებით გამოარკვევაც შესაძლებელი იქნება.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ საკითხის გამოარკვევა ჩითახუ-  
რის ვითარების გასაგებად. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ, რო-  
გორც მოვიხსენიეთ, ჩითახური მე-16 საუკ. ტრიალებულ თეთრთან ახლო  
მდგარ ერთეულად სჩანს, შეიძლება ჩითახური ყოფილიყო მე-14—15  
საუკ. ცხუმურთან ან კირპანელთან ახლო მდგარი ერთეული. საყუ-  
რადღებოა ისიც, რომ ქუთ. დავთრის გარჩეულ ნაწყვეტში იხსენიება  
როგორც სრული ჩითახური, ისე  $\frac{1}{2}$  და  $\frac{1}{4}$ . ფოიად საინტერესოა იქნებოდა  
ამ ტერმინის წარმოშობის გარკვევა. ყოველს შემთხვევაში ინტერესს  
არ არის მოკლებული ის გარემოება, რომ ზუგდიდის მაზრის მთიან  
ნაწილის მეგრულ კილოში, აკ. ქანტურიას მიერ მოწოდებულ ცნო-  
ბით, ეხლაც არის დარჩენილი ეს სიტყვა ცუდმადის, უბრალოს  
მნიშვნელობით. ლ. ქიაჩელის შეხსენებით სიტყვა ჩითახო გლახაკის,  
ცუდმადის მნიშვნელობით მოიპოვება ქვემო-იმერულ კალოშიც, კერ-  
ძოდ ეს სიტყვა ასეთი მნიშვნელობით დაცულია ქუთაისის ქართველ  
ისრაელებში. ჩვენ ნებას მივცემთ ჩვენს თავს ამ გარემოებასთან დაკავ-  
შირებით მოვიგონოთ გეოგრაფიული სახელი ჩათახი, ისტორიულ  
ქვემო-ქართლში რკინის მადნეულობის მქონი ადგილი. საყურადღებოა,  
რომ ამ ადგილს ვახუშტი უწოდებს სარკინეთს-ს: (გაჩიანის ახლოს)  
ქაბალის დასავალით არს კევი სარკინეთისა. სარკინეთს ითხრების



ლითონი რკინისა და სპილენძისა და იპოების მცირე ლაქვარდისა“ (გეოგრ., მ. ჯანაშვი. გამ., 45). ამ ცნობიდან სჩანს, რომ ქართულად ჩათახს სარკინეთი ერქვა. თუ აქ ჩვენ გვაქვს ტერმინის ჩათახი ქართული თარგმანი და ისიც ფრიალ ძველი დროიდან წარმომდინარე, მაშინ მივიღებდით, რომ ჩათახის ძირის სიტყვა სვანურის შესატყვისს ძველს მეზურ-ფოხურ კილოზე, რომელიც წარმოადგენს ისტორიულ ქვემო და შიდა ქართლის ტერიტორიაზე ხუნძურის შესატყვის ძველი კალოს შემდეგ ფენას, — ხოლო მეზურ-ფოხური ფენა ამ ტერიტორიაზე წინაუწრებდა ქართული ენის გავრცელებას (ამის შესახებ ს. კაკაბ., ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, ს-ო მ-ბე I, 24 წ.), — ნიშნავდა რკინას. თუმცა ამ საკითხს ჩვენ პრობლემატურად ვაყენებთ, მაგრამ საკითხის ასე დაყენება უღდება იმ რეალურ შესაძლებლობას, რომ ჩითახური შესაძლებელია არსებითად ნიშნავდა რკინის ფულს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიგონოთ, რომ, როგორც ნაჩვენები იყო (ს-ო მ-ბე II, 24 წ., 257—257), იმერეთში მე 15 საუკუნეში იხმარებოდა ტერმინი რკინა ალბად შავი საფასის აღსანიშნავად. შესაძლებელია, ტერმინი რკინა, როგორც განსაზღვრულ შავი საფასის აღმნიშვნელი, ეშესატყვისებოდეს ჩითახურ-ს. ჩითახური ამ შემთხვევაში იქნებოდა სვანურის შესატყვის ძველი კილოდან შერჩენილი სპეციალური ტერმინი, რომელიც საშუალო საუკუნეების საკაოდ გვიანდელ ხანაშიაც ქვემო-იმერეთის ტერიტორიაზე შენარჩუნებული ყოფილა.

როგორც უნდა იყოს, ზემოდ მოყვანილ მოსაზრებთა გამო, რომლის მიხედვით გარჩეულ ნაწყვეტის სიძველე საკმაოდ მტკიცედ უნდა სჩანდეს, საგულისხმებელია, რომ ქუთაისის საყდრის საბეგრო დავთრის შედგენისას 1578 წელს ბოლოში მოათავსეს ძველი დავთრის ეს ნაწყვეტიც (§ 457—518), რომელიც 14 საუკუნის ახლო ხანებში, დაახლოვებით მე-14—15 საუკ. მიჯნაზე უნდა იყოს შედგენილი.

ხაბუთი შერგელაიასთვის ქიაჩის ხატის კლიტის გადაცემის შესახებ. ლ. შერგელაიასთან (ლ. ქიაჩელთან) ამ ოთხი წლის წინაღ ჩვენ შევხედით ერთს საყურადღებო საბუთს, რომელიც შემდეგ პატრონმა ვერ იპოვა თავის ქალაქებში. რადგანაც საბუთი ჩვენ მაშინ გადმოწერილი გვქონდა, ამიტომ ტექსტის დაუკარგველობისათვის მას აქვე ვათავსებთ. საბუთი წარმოადგენდა მამაში შერგელაიასა და გამახალი კაკაჩის შორის ბრძობის განაჩენს, დაწერილი იყო თეთრს ქალაქზე, ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ იხმარებოდა ორი წვრტილი. კაკაჩის გაუპარავს შერგელაია და ზარალის ასანაზღაურებლად ხატის კლიტე არჩივი დაუღვია. სოფ. ობუჯში ზუგდ. მაზრაში, სადაც აქამდის ცხოვრო-

ბდენ შენგელაიები (აზნაურნი) და კაკაჩიები (გლენები), ბოლო დრომდის დაცული იყო ქიაჩის ხატი თავისი კლიტე არჩივით. ეს ხატი, რომელიც ამ ჟამად სამეგრელოს მუზეუმში ინახება, აწერილი აქვს ე. თაყაიშვილს თავის ნაშრომში „არქეოლ. მოგზაურ. სამეგრელოში“ („ძველი საქართვე.“ III, 239—240). ხატი, ე. თაყაიშვილის აზრით, მოჭედილი უნდა იყოს წარწერის მახედვით ერთ-ერთ გიორგი მეფის დროს მე-14 საუკუნეში. სახელი ქიაჩის ხატი უნდა უჩვენებდეს, რომ ხატი გადმოტანილია ობუჯში ქიაჩიდან. როგორც ქიაჩი, ისე ობუჯი მოხსენებული აქვს მე-17 ს. პირველ ნახევარში არქანჯელო ლაშვერტის როგორც ყოფილი საეპისკოპოსო კათედრის ადგილი, მის დროს ორივე უკვე ჩვეულებრივ მონასტრად მყოფი, ორივე სამეგრელოში, რომელიც მაშინ ჩრდილო-დასავლეთით მდ. კოდორამდის უწევდა. ობუჯის მონასტერი ეხლა წარმოდგენილია ნანგრევებით. ხალხის გადმოცემა სოფ. ობუჯში ეხლაც ამბობს, რომ ეს ქიაჩის ხატი მოუპარავს აფხაზეთში კაკაჩიას (იგულისხმება, როგორც სჩანს, ენგურის გაღმა მხარი ვიდრე კოდორამდის; ქიაჩის მონასტერი, საფიქრებელია, ენგურის გაღმა-მხარის ოდიშში მდებარეობდა). შემდეგ ერთს კაკაჩიას გაუპარავს შერგელაია, სახელდობრ წაუღია შერგელაიას რძალის მზითვეი, რის შედეგად ქურდი იძულებული იყო ხატი გადაეცა შერგელაიასთვის. ეს გადმოცემა: აქამდის ზვირად ხალხში დაცული, უდგება თვით საბუთის შინაარსს. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ შერგელაია არის იგივე შერგილაძე, რომლის სასახლო სიგელი, 1554 წ. ბაგრატ აფხაზ-იმერთა მეფის მიერ მიცემული, ცნობილია ლიტერატურაში. ჩვენი საბუთი მიცემული უნდა იყოს 1680 წ., როდესაც კაცია ჩიქვანი გახდა ლევან დადიანის სიკვდილის შემდეგ ოდიშის ფაქტიური გამგე. აქ მოხსენებული „ბატონის შვილი“ უნდა იყოს ლევან დადიანის შვილი მანუჩარ, ხოლო საუსტან შარვაშიძე — აფხაზეთის მულობელი (ვახუშტი, შეად. მ. თამარაშვილის ისტორ. კათოლ., 208).

---ოვანდ აღმატებულმან ჩიქვანმა ბატონმა კაციამ გაეპაჰვეთ მამაში შერგელაია და გამახადი კაკაჩია და ჩვენთან თვითონ ბატონის-შვილი და საუსტანი შარვაშიძე და მურზაყანი ამჩაბაძე დავისწარით, საჩივარს უყურეთ, უსამართლობით და გარდადგომით არა გაგვიჩენიათ რა. მამაშის თეთრი კაკაჩიას ბეური დაედუა თავს, ოთხი კარგი ვერცხლის თასები, ექვსი ოქროს ბეჭედი, ერთი მარგალიტის საყბოური, ორი ტყავი, სამი დარეის საგულე, ოთხი კაბა, სამი პერანგი, ერთი ზარბაზის სარტყელი, ერთი ტყავკაბა, ერთი ქათიბა, სამი ყორყლი, ორი კემუხთის მაშია, ორი ფოსთალი, ოთხი ჯორაბი, ორი თავსაკარი მუყაიშისა, ოთხი ლაჩქი, ათი ვერცხლის ქინძისთავი, სუფრა, ტაშტი და წურწუმა. ამას გარეთ ვერცხ-

ლის მოქედილი თვალნი კოლოფი, ორი კალის წალბაქი, ექვსი თეთრი საინი, ერთი თეთრი ხალიჩა, ერთი საბანი და ერთი ქუნთი, ერთი სადაფის სარკე, ამას გარეთ ერთი მტყვის ფარტალი, თავს კარგი ქაშა, ოცი ლაინი, ერთი ხანჯარი, ერთი კარგი მშვილდი, ერთი სახთანე, საში ასლანი ვერცხლი. ესენი ყველა კაკაჩია გამახადის დაატყდა, გავსინჯეთ, მაგრამ გარდასახადი ვერა იშოვნარა. მისი შვილი გაუზი, ორი სასახლე მევალესათვის მიეცა, სხვა ვერაფერი გარდიხადა. ამასობაში შემოკვებვეწა კაკაჩია, და ამას გარდასახადათ ხატის კლიტე არჩივი დავეიდვათ (sic) და დაგვანება. ეს კლიტე გამახადის არ არი. მანაში შერგელაისათვის მიგვიცემია. სხვა შერგელაის ამაშიდ არა ურევიარა. მანაშის და მის შვილებს ასე მკვიდრათ ქონდეს. ვინც ეს მოშალოს და წაართვას, მას მეორედ მოსვლას ჩვენი ცოდვის მუქათი ქრისტეს მეუფის წინაშე ისიმც გაიკიჯხვის. ამის მოწამე მდივანი ქაიხოსრო არის და ეს წიგნი მე დამიწერია.

ბეჭედი წაწერიით: ჩიქვანი კაცია

**1840 წლის საბუთი ბატონ-ყმობის დასახასიათებლად სამეგრელოში.** ქუთ. ყოფ. სათავადაზნაურო დეპუტ. საკრებულოს არქივში ამ სამი წლის წინად მუშაობის დროს ჩვენ წავაწყდით (საქმე № 1699) ერთს საბუთს, რომელიც ეხება ოდიშში ბატონყმობის დამახასიათებელ ერთს საყურადღებო ფაქტს. საბუთი დაწერილია თეთრს ქაღალდზე და წარმოადგენს სამეგრელოს სამთავროს მეპკვიდრის დავითის განცხადებას სამეგრელოს თავად-აზნაურთადმი 1840 წელს. როგორც ცნობილია, ამ დროს დავითი უკვე ითვლებოდა ოდიშის სამთავროს ფაქტიურ მართველად მისი მამისავე ლევან დადიანის სურვილით და რუსეთის მთავრობის დადასტურებით. საბუთი მოკვყავს უცვლელად:

გამოცხადება ჩუტნს მენგრელიის სამთავროშიდ № 133 იანვრის 31 დღესა 1840 წელსა.

ბრძანებითა მისის უგანათლებულესობისა მშობლისა ჩემისათა მე ამითა განუცხადებ ყოველთა კნიაზთა და აზნაურთა რომელ მშობლისა მიერ ჩემისა და ჩემ მიერ მრავალგზას არს შენიშნულ, რომელ რომელნიმე უფლებნი კნიაზ და აზნაურნი ექცევიან თვისთა ყმათა სასტიკად და უწყალოდ თუმცა მშობლისაგან ჩემისა მრავალგზის დამტკიცებულ არს რომელთამე და თითქოს მრავალთა კნიაზთა და აზნაურთადმი თვით უფლებით არა მოქცევა თვისთა გოგებებთადმი ესრედ უწყალოდ, გარნა ყოვლითა მით არა დაუტყებენ ჩას ვითარცა ახლა ამ ეჭად შეუდგა, რომელ კნიაზმან თემურყვა ანჩაბაძემ მოიგონა თვით დასჯა ქორას გაქცევისათვის მისის გლეხის ბახუტა აფშილავას მიერ გააკეთა.

ზანდუკი შზგავსად კუბოსა და მას შინა ყავდა დამყვივებული იგი აფშილაფა რაოდენსავე დროშიდ და აპურებდა მას გამოქრილ მას შინა თანჯრიდგან, ესრეთი იმა ანჩაბაძისა ქცევა წინააღმდეგ არს საზოგადო ცხოვრებისა და არს არა კაცობრივობა, რომელიც მიყვანილ არს მმართველობის სმენადმდე. მე ვასრულებ რა ნებასა მისის უგანათლებულესობისა მშობლისა ჩემისა ფიცხლად დაუმტკიცებ უფლებთ კნიაზთ და კეთილშობილთა ამიერთგან აწ კულავ არავინ გაბედოს ქმნა თავისთა გლებთა ზედა სასტიკი და უწყალო დასჯა და უკეთუ შემდგომ ამა გამოცხადებისა ცა ვინმე გაბედავს ქმნასა ესრეთის დასჯისასა თვით თავისი ნებით, მაშინ ისრეთი მოქცეულ იქმნების, დაუხედველად ვითარიცა პირი იქმნების ყოვლითა სიფიცხლითა, გარნა რათამცა არა მიეცეს მიზეზი უსმენლობასა ანუ უმორჩილებასა გლებთა თვისთა მებატონოებთადმი, ძალუცსთ დასაჯვად მცირეს დამნაშაულობისათვის, კაცობრიულად და არა სასტიკად დიდსა დამნაშაულობასა შინა ყოველნი თანამდებ არიან წარმოდგენად ისრეთისა მისის უგანათლებულესობისა მშობლისადმი ჩემისა : ნუ ჩემდაში მოსაპყრობლად დადებულ კანონისამებრ.

მემკვიდრე მენგრელიისა დავით.

შემდეგ განცხადების მოსმენის დასადასტურებლად ხელს აწერენ აავად-აზნაურნი (სულ არის 15 ხელის მოწერა).

ხსენებული საბუთი, როგორც ბატონყმობის დამახასიათებელ ფრიად საყურადღებო ცნობის გადმომცემი, საინტერესოა იმით, რომ ამ ერთი კერძო შემთხვევითაც გვისურათებს გლებთა მდგომარეობას ოდიში მე-1840 წლებში, რამაც შემდეგ სამეგრელოში გამოიწვია გლებთა ცნობილი აჯანყება 1857 წ..

**გადმოცემა იმერეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ დროის შესახებ.** მთავარ არქივში დაცულია ილ. ქყონიას მიერ გადმოცემული, თავისს დროზე ნიკ. ბეს. ლაღობერძის მიერ ჩაწერილი ზეპირგადმოცემანი. გადმოცემა დაწერილია თვით ნ. ლაღობერძის ხელით და შეიცავს მეტად საყურადღებო ცნობებს იმერეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელი დროის შესახებ. ვბეჭდავთ სამს ცნობას, როგორც საისტორიო მასალას.

— გიორგი იუნეს ძის აბაშიძისაგან, ღენერალ მაიორისაგან, გამიგონია მარამ დედოფლის, კაცია დალიანის ქალისა, უკანასკნელი იმერეთის მეფის სოლომონ II მეუღლისა, რომელიც მიიცვალა ს.პეტერბურღს 1841 წ., ნაამბობი. „ახლა რომ დავუიქრდები, მიკვირს რა ცხოვრება გვქონდაო და ან რა იყოო ჩვენი მეფობა. ჩვენს სადგომს, ქუთაისს,



ოქროს ჩარდაყს, თანჯრები არა ჰქონდა, ზამთარში ფარდაებს ვა-  
ფარებდითო. საქმელ-სასმელს ჩვენ თვითონ არ ვიმზადებდითო შინა,  
სულ ძღვნის იმედით ვიყავითო. ხან და ხან ჩვენთვის სამოახლოში გა-  
ვაკეთებინებდითო საქმელს. ფული მაშინ ძვირი იყო. ჩემს ქმარს სა-  
ლომონს ახალციხის უაშისთვის უნდა გაეკზავნაო წლიური ხარკი 800  
მანეთი. რამოდენჯერმე მოგვეხოვია, მაგრამ ვერ გაუგზავნეთო. მერ-  
მე შემოთავალა, თუ ერთს თვეში არ გამომიგზავნითო, ლაშქრით მო-  
ვალო. ყოველი ჩემი სამკაული დავაგირავეო, მთელი იმერეთი შევანძრიე-  
თო და აქა-იქ ფული მოვხიკეთო და როგორც იქმნა 4 თვეს შემდეგ  
მოვაგროვეთო 800 მან. და გაუგზავნეთო ფაშას“.

— ლევან ბერძენის ლოლობერიძისაგან გამიგონია შემდეგი. ბერი წუ-  
ლუკიძე, წინაპარი გიგო სიმონის შვილისა, დათა და კოსტანტინე ქაიხოს-  
როს შვილებისა, იყო კაცი ძლიერი, სასტიკი და მესისხლე. ის ესახლა, სა-  
დაც ახლა ხონს მისი შთამომავალნი სახლობენ. როცა მის ეზოს წინ  
გაიარდა ცხენოსანი, არა თუ გლეხი, არამედ თავადნი და აზნაურნი,  
უნდა ჩამომბარჩიყვნენ და ისე გაეფლოთ მის ეზოს წინ. ერთხელ ბე-  
რი ზემო იმერეთში ახლდა მეფეს და აზნაურმა ცქიტიშვილმა შესაფერი  
პატივი არა სცა მისს მხლებელებს. უკანასკნელთ ამაზედ ბერს შეჩვილეს.  
რამოდენიმე წლის შემდეგ ბერმა გაიარა იმ ცქიტიშვილის კარზედ, გაი-  
ხსენა ზეპოაღნიშნული შემთხვევა და შევიდა მისას. ცქიტიშვილი მიე-  
გება მხიარულათ, დალოცა მისი მიბრძანება და უნდოდა მუხლოზედ ეკო-  
ცა. ამ დროს ბერმა ჰკრა თოფი და შოკლა. ასე დაემართება, ვინც  
ბერ წულუკიძეს პატივს არ სცემსო. რასაკვირველია, ცქიტიშვილის  
მოკვლის გამკითხველი არავინ იქნებოდა.

— მამი ჩემის, ბესარიონ ლოლობერიძისაგან გამიგონია, რომ ის ჟა-  
მობის დროს დახიზნებული ყოფილა თავის სიძის სიკო მიქელაძის ოჯახ-  
ში. სიკოს მამა რევაზ მიქელაძე შეძლებული თავადიშვილი ყოფილა.  
ამ სიკოს ერთი ღერი ქონის სანთელი მოაჩუვეს. ეს სანთელი კანკელ-  
სავით ჩამოკიდეს თურმე სახლში და ჩამოუშვებდენ მხოლოდ ვახშობის-  
დროს გასანათლებლათ საქმლის დროს და ნავახშმევს მაშინვე ასწევ-  
დენ. ქონის სანთელი მაშინ სულ არ ყოფილა ხმარებაში.

ხსენებული ცნობები თავისი მთავარი ხაზებით უდგება იმ სხვა  
ფაქტიურ ცნობებს, რომელიც მოიპოვება იმერეთის სამეფოს საერთო  
ეკონომიურ და კულტურულ ვითარების შესახებ მე-18 საუკ. დასასრულს  
და მე-19 საუკ. დასაწყისს.

საბუთი შერმაზან აფხაზის მოკვლის შესახებ 1782 წ. ჩვენ  
ხელთ გვქონდა დროებით სიღნაღიდან ილია მოსაშვილის მიერ ჩამო-  
ტანილი საყურადღებო საბუთი, რომელიც შეიცავს მსაჯულთა და-



დგენილებას 1782 წ. გლეხების მიერ მოკლულ თავად შერმაზან აფხაზის საქმის შესახებ. ეს ფაქტი, თავის თავადაც საყურადღებო, როგორც ყვების მიერ თავადიშვილს მოკვლის დაჰადასტურებელი, საინტერესოა იმითაც, რომ შეიკავს ზოგიერთ დეტალებს ერეკლე II-ის ცნობილ შვილის ლევან ბატონიშვილის უღროოდ სიკვდილის შესახებ. როგორც ალ. ორბელიანის გადმოცემით ცნობილია (ს. კაკაბ., წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, 11—20), ლევან ბატონიშვილის მოწამლვა პირველად ბრალად დაედო შერმაზან აფხაზს. „ლუარსაბ ონანაშვილმა ვაჩნაძემ თ-ღი შერმაზან აფხაზი დააბეზლა მეფე ირაკლისთან, სწერს ალ. ორბელიანი (დასახელ. ადგ., 19), რომ შერმაზან აფხაზმა ბატონიშვილი ლევან მოწამლაო. მოწამლაჳო და სულდგომიან მისი ოჯახი აიკლო მეფე ირაკლიმ, ყმა და მამულიც სულდგომიან ჩამოართო და ამასაც სიკვდილს უპირობდნენ, მაგრამ შერმაზანი შეევედრა მეფის: უბრალოების სისხლს ნუ დაიდებ, სწორეთ გამოიკითხე და ისე მაქალიო. ამაზედ მეფე ირაკლი დამშვიდდა, მაშინვე საიდუმლოთ გამოიკითხვაში შევიდა, ნახა, რომ ის დაბეზლება სულ სიკრულე იყო. თვისი ყმა და მამული ისევ დაუბრუნეს, ის აკლებულიც სულ ერთიან და შდგომ პატივითაც მოეპყრა მეფე“. გამოძიების შემდეგ, გადმოგვცემს ალ. ორბელიანი, ლევან ბატონიშვილის ქვრივი „ზრდილობიანის ნაქცევით სასახლედგან გაიყვანეს და ცალკე მისცეს ცხოვრება“. ცხადია, გამოძიებას ლევანის სიკვდილში აღმოუჩენია მისი ქვრივის რაღაც, თუნდაც არა პირდაპირი, ბრალი.

ჩვენი საბუთი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ შერმაზან აფხაზისთვის მართლაც შეუწამებიათ ლევანის მოწამვლა, მაგრამ არა სიცოცხლეში, ამაზედ მისი მოკვლის შემდეგ და შეუწამებიათ ამასთანავე თავის გასამართლებლად მისი მკვლელთ. ამგვარად ალ. ორბელიანის ცნობა, გადმოცემის მიხედვით ჩაწერილი, არსებითად არ არის გაპართლებული.

თავისთავად ქვემოდ დაბეჭდილი საბუთი საყურადღებოა როგორც მე-18 საუკ. მეორე ნახევრის ქართულ კანცელარიის ერთი კარგი ნიმუში. დაწერილია საბუთი კარგს თეთრს ქაღალდზე დიდი ფორმატისას, მისი გადაწერაში მონაწილეობა მიიღო ცენტრარქივის თანამშრომელმა გ. ჩაჩანიძემ, ხოლო ტექსტი შეჯერებულია დედანთან ჩვენ მიერ.

ქ: აფხაზის შვილის შერმაზანის მკუთლენი თავიანთგან, მოკოულს თავის ბატონს შერმაზანს, ამ საშინელს კვას რომ შესწამებდნენ რომ სანატრელი ბატონიშვილი ამჩუბნმა ბატონმა შერმაზანმა მოწამლით მოკლაო: და ჩუბნც ამ ჩვენის კელმწიფის შვილის სიკუთლილისათვის. და ჩუბნზედაც დიდი დანაშაული ჰქონდა. და ჩუბნც ამისთვის ის ჩუბნი ბატონი შერმაზან მოვკალითო. ეს საშინელი შეწამება მათს უმაღლესობას მეფეს მოხსენდა. მათმა უმაღლესობამ. ამ აფხაზის

შვილს შერმაზანის მკულელნი. და ამ კმის შემწამებელნი მოასხმე-  
ვინა და მრავალ-გვარის ფრთხილად გამოძიებით გამოიკითხა. და  
მერე ამათი სამართალი. და კიდევ ბევრ გვარად. ამ საქმის გა-  
მოხსრეკა. ჩუპნ საქართველოს მსასჯულთ (sic) შეკრებულებას გვიბ-  
რძანა: ჩუპნ მოსამართლეობის თანამდებობისაგებრ. როგორც ამ  
საშინელის კმის. სიმძიმესა და სიდიდეს შეეფერებოდა: იმისთანას  
დიდის სიფთხილით მრავალფერად გამოვიძიეთ და მრავლის  
ჭტად აღმოჩენილის საბუთებისაგან ვიუწყეთ, რომ ამ თავისის  
მკულელებისაგან აფხაზის შვილის შერმაზანისა ამ საშინელის კმის  
შეწამება ყოვლის მკრიდამ სიცრუე იყო. და მკულელობის შეცო-  
დებით ბრალეულის თავიანთ თავის წამლად წარმომდგარი ტყუი-  
ლი: და რამდენისაც ჭტის საბუთებით. მკულელთაგან შეწამებული  
ეს კმა სიცრუედ არმოჩნდა. აღწერასა და კალამში გრძლად შეგო-  
ვიდოდა. და ამისთვის მრავალთაგან ეს მოკლედ მოვიხსენეთ. პირვე-  
ლად ესე რომ სანატრელის ბატონის შვილის სიკუდილს უკან ორ-  
მოცს დღემდის ის აფხაზის შვილი შერმაზანც ცოცხალი იყო. და  
იმისი მკულელებიც აქ იყუნენ, თუ ეს შეწამება ჭტი იყო და ერთ-  
გულობისათვის შესჭირდათ. რატომ მათს უმაღლესობას მეფეს არ  
მოახსენეს. ხომ ის ამათი ბატონიც მოკუდებოდა სამართლით და  
იმისი სხელიც იავარ იქმნებოდა. და ეს შემწამებელნიც წყალო-  
ბას მიიღებდენ. რადგან ამ საშინელს საქმეს მათის უმაღლესობისა  
და ქვეყნის ერთგულობით გამოაცხადებდენ. მეორედ ესე შერმაზა-  
ნის მკულელნი რომ შერმაზანისაგან სანატრელის ბატონის შვი-  
ლის მოწამლით სიკუდილს რასაც ღამეს და რომლისაც სახით  
ამბობდენ. ამაზედ ჩუპნ ბატონის შვილის მახლობელნი შინა-  
ყვანი მოვასხით. და თითოეულად ფიცით იმათგან მოხსენებულის  
აზრების სიმართლე გამოვკითხეთ. და ერთობით დაამტკიცეს, რომ-  
არც იმათგან მოხსენებულს ღამეს, სანატრელს ბატონის შვილს  
ვახშამი ებძანოს. და არც იმათგან მოხსენებული ნიშნები მარ-  
თალი ყოფილიყოს და ამათაც მკულელნი და შემწამებელნი  
შერმაზანისანი ცრუ იყუნენ. მესამედ ესე მკულელნი იყუნენ: და  
თავიანთ ბატონის მკულელობით ბრალეულის თავის ვასამართ-  
ლებლად. და წამლად ამბობდენ ამისთვის ყოვლის მკრიდამ შე-  
ხედვით ეს უსაბუთო დიდი შეწამება სამართალია არ შეიწყნარა.  
და თუ ამ შერმაზანის მკულელებისაგან. თავიანთ წამლად შეწა-  
მებას ვარდა სხვას ჭტებრის მცირეს. რისამე საბუთიდამ. ან წე-  
რილით და ან სიტყვით ცოტა რამ ნიშანიც არის გუპზოვნა:  
რადგან მეტად მძიმე საქმე იყო. აფხაზიშვილს ფიცით გავაწმედინე-  
ბდით, მაგრამ რადგან ყოვლის გამოძიებისაგან. აღმოჩენილს ჭტებად

აღმოჩნდა. შერმაზანის მკულელები სიცრუე. და აფხაზის შვილის სიმართლე. ამისთვის ეს ქტად განმართლების განაჩენი, მივეციტ რომ აფხაზის შვილისა ამ საქმეში ყოვლითურთ უბრალოება. და სიმართლე. შვილითი შვილადმდე საზოგადოდ ილაღადებოდეს. და აფხაზის შვილი რომ ასათს შესწამებდა. ეს საშინელი შეწამება. ამ ჩემის შვილის მკულელებს მტერობით შენ ასწავლეო ამ სიტყვით რომ თქუბნ ესე თქვიო. და აღარა გიშავთრაო. ამათმა ლაპარაკმა სამართალში ბევრჯელ გაიარა. და ამისი სამართალი სხვის განაჩენით გარდასწყდა: აღიწერა ივნისის (კბ) ქკს უო.

ბეჭდები წარწერით: 1) ასმთავრულ წარწერით გაურჩეველი; 2) მეფემანბრძენძან ესრეთ განავო ძე ერისთვისა მსაჯულად მაგო (ასომთ:) ბეჟან 3) მონა ლთისა მდივანბეგი თეიმურაზ; 4) მონა ლთისა თუმანი-შვილი მდივანი სულხან; 5) მონა ლთისასულხან; 6) მონა ლთისა მდივანი იოსებ; 7) მხედრული წარწერით გაურჩეველი; 8) მონა ლთისა მდივანბეგი ოტია; 9) მიწა ვარ დავათრგუნები (ასომთ:) დავით. საბუთის თავში მინაწერი: ქ. ჩვენ მეფე სრულიად საქართუბლოძსა. მეორე ირაკლი ვამტიცებთ. მსაჯულთა მიერ. განჩინებასა ამას. შაიბთავს. კგ, ქკს უო. ბეჭედი წარწერით: მე ფეხთ განბანილთა მიერ ყკლესია ზადიდე (ასომთ:) ერეკლე

არშაზე: ქ. ჩვენ საქართუბლოს დედოფალი დადიანის ასული დარეჯან. ვამტიცებთ. ამ მსაჯულთა მიერ განჩინებასა, ივლისის დ ქკს უო ბეჭედი: დღული დარეჯან

ქ. ჩუბნ ყოვლისა საქართუბლოს. კზ ბატრიარხი. მეფის ძე ანტონი მსაჯულთა მიერ განჩინებასა ამას ვამტიცებთ: იტლისს, 12. წელსა. ჩღპბ. ზეგუჯად: კზი

ქ ჩვენ. საქართველოს უფლის წული მეფის. ძე. გიორგი. ვამტიცებთ. შააჯულთ მიერ განჩინებას. ამას. ივლისის: ზ: ქკს: უო: ბეჭედი: მეფის ძე გიორგი

ქ. ჩვენ საქართველოს. მეფის. ძე ბატონიშვილი შვილი. (sic) იულონ. ვამტიცებთ. მსაჯულთა მიერ განჩინებასა ამას. ივლისის ო. ქკს. უო

ბეჭედი: ლთის მშობლის სასოიანი იულონ დავითიანი.

ქ. ჩვენ საქართველოს. მეფის. ძე. ბატონიშვილი ანტონი ამ მსაჯულთ. მიერ. განჩინებას. ვამტიცებთ. ივლისის :ზ: ქკს უო მეფის ძე ანტონი

ქ. ჩვენ საქართველოს მეფის ძე ბატონიშვილი ვანტან (sic.) ვამტიცებთ მსაჯულთა მიერ განჩინებასა ამას იანვრის ო ქკს უო (ბეჭედი).

ქ. ჩვენ საქართველოს: მეფის. ძე: მირიან. ვამტიცებთ: მსაჯულთ განჩინებასა: ამას ივლისის: იგ: ქკს უო

ბეჭედი: დავითის ტომთა სქესისა ძე ვარ ირაკლი მეფისა მირიან-  
ქ: ჩუენ უდ სამლუდელი მთავარეპისკოპოსი. ბესარიონ. თანა-  
მოწამე ვართ. მსაჯულთა მიერისა განჩინებისა. იულისს . ი. ე.  
წელსა ჩღვბ. ხვეუჯად: ბესარიონ.

ქ: ჩუენ უდ სამლუდელი მდაბალი მიტროპოლიტი ტფილისისა  
გერმანე. თანამოწამე ვართ, მსაჯულთა მიერისა განჩინებისა ამის.  
ბეჭედი ასომთ.: გერმანე.

ქ ჩვენ უდ სამლუდელი. მდაბალი მიტროპოლიტი. ნინოწისა  
და ათორთა უდაბნოთა. თანამოწამე ვართ მსაჯულთა მიერისა  
განჩინებისა ამის. ბეჭედი ასომთ.: საბა.

ქ ჩვენ მუხრანისბატონი იოანე. ამ განჩინების თანა მოწამე ვართ.  
ბეჭედი ასომთ.: იოანე.

ქ. ჩვენ ორბელიანი სარდალ სახლთუხუცესი. დავით. ამ განჩინე-  
ბისა თანა მოწამენი ვართ. ბეჭედი.

საბუთი ზემო-ქართლის სასარდლოს შესახებ. საისტ.-საეთნო-  
გრაფიო მუზეუმის ქალაქდებში ტფილისის დატულია ერთი საყუ-  
რადღებო საბუთის პირი, დაწერილი ღერბის ქალაქდზე მე-1860 წლე-  
ბის ახლო ხანებში. საბუთი მიეკუთვნება როსტომ მეფის ხანას და შე-  
იცავს საინტერესო ცნობებს შიდა-ქართლის სარდლის თანამდებობის  
შესახებ. საბუთი პირველად დაწერილი ყოფილა 1656 წ. და მიცემული  
როსტომ მეფის მიერ ანდუყაფარ ამილახორის სახელზე, ხოლო  
შემდეგ დამტკიცებული მის მიერვე გივი ამილახორის სახელზე. რო-  
გორც საბუთიდან სჩანს, ამილახორობასთან (არაბ.-სპარს. ამირ-ახურ,  
იგივე ქართული მეჯანიბეთ-უხუცესი) დაკავშირებული ყოფილა საამი-  
ლახორის მამულების მფლობელობა „აზნაურშილიან-გლეხიანად“. სარ-  
დალი, მაშასადამე, იყო იმავე დროს გვარის უფროსიც ანუ გვარის  
თავი-ბატონი. ამილახორობის მიცემა ეს ნიშნავდა ამიტომ სარდლო-  
ბის და იმავე დროს მთელი გვარის უფროსობის მიცემას. ეს ცხადად  
სჩანს კერძოდ მე-17 საუკ. სიგრძეზე ვახუშტის ისტორიაში მოთავსე-  
ბულ ცნობებიდანაც ამილახორების გვარის სხვა და სხვა პირზე ვადა-  
სვლის შესახებ. ცნობილია თვით ამ საბუთში მოხსენებულ გივი ამი-  
ლახორის შესახებ, რომ 1696 წ. ნაზარალი-ხანმა ამილახორად მის მა-  
გივრად იოთამ ამილახორისშვილი დააყენა, რადგანაც გივი, როგორც  
სჩანს, ნაზარალი-ხანის მოწინააღმდეგის გიორგი XII-ის მომხრე იყო (ქ.  
ცხ. II, 67). გივის [ამილახორობა მაშასადამე მოდის 1656 წლიდან  
თითქმის 40 წლის სიგრძეზე.

სარდლის უფროსობის შესახებ გვარში საინტერესო ცნობებია  
დატულია საორბელიშვილოს გვარის-ერთ საბუთში. საყურადღებოა,  
რომ საორბელიშვილოს სახლის უფროსიც იმავე დროს მეწინავე სა-

დროშოს სარდალი იყო. სათანადო საბუთის პირი დატულია მთავარ არქივში (ძველი ქართულ საბუთების პირები, წ. 18, საბუთი № 121). ამ საბუთში თეიმურაზ II 1744 წ. სწერს შემდეგს:

ჩვენ მეფეთმეფემან პატრონმან თეიმურაზ და ჩუენთანა მსხდომა-  
რემან ბატონიშვილმან ბატონმან არჩილ გვერდ ვიახელით ბატონი-  
მუხრანის ბატონი კოსტანტინე, ბატონი ამილახორი ამირინდო,  
ბატონი აბაშიძე ვახუშტი, ციციშვილი მერალიბეგ, თარხანი ლუ-  
არსაბ, ჯავახიშვილი ავთანდილ და სხვანი დარბაზისერნი და მდი-  
ვანი და ორბელის შვილების ძმობასა და სახლისკაცობის საქმე  
10 ასე ვავარიგეთ. ანის დროს გამოისათ ამათი ძმობისა და სახლის-  
კაცობის რიგი მოშლილიყო და ერთმანერთში სამდურავი მოხ-  
ლომოდათ და გაყრა მოინდომეს და რადგან ამათი ოჯახი ძველი  
და მოუშლელი იყო, გაყრა აღარც ჩვენ ვამჯობინეთ და ერთმა-  
ნერთის ნება ვყოფლობით ისევ ძმობასა და სახლის კაცობაზედ  
15 გავარიგეთ ამ წესითა, რომ სარდალი ქაიხოსრო სახლის უფროსი  
და ბატონი და ამათი წინამძღოლი იყოს და სახლის კაცნი ამისი  
ასე მორჩილი რყენენ, რომ მამულში ამის შეუკითხავს ვერას იქ-  
20 მოდენ. ქაიხოსროს სარდლის და სახლის კაცების ნება დართვით  
პაპუნა ნიგეზბატუკის შვილი მამულში დაგვიყენებია, დორათაშვილს  
ბეჟანს თავეთის სახლის სახლთუხუცობა მისცეს და ესეც პაპუნას  
მიუყენეთ, ამის შეუკითხავს ნურასა იქს. ამათს მეტს არც სახლის  
კაცს და არც სხვას ამათს მოსაქმეს მამულში ხელი არა ქონ-  
დესთ, ქაიხოსრო სარდლის შეკითხვით რაც ჩვენ რიგი მიგვიცემია  
ამ წესით იქცეოდენ. რაც საერთო სოფელი და მამული აქვსთ,  
25 მთასა თუ ბარს, შენი თუ უშენი, რაც რამ ფერი მოსა-  
ვალი იყოს მიწისა კაცისა ანუ საქონლისა, ყოვლის ნივთისაგან  
რაც რამ გამოსავალი იყოს, ყუელა ამათ უნდა აიღონ და რაც  
30 სახელმწიფო ხარჯი აწერიათ, უფროსის სიტყუით და სახლის კა-  
ცების შეკითხვით სახელმწიფო მიეცეს და თუ რამ გარდარჩეს,  
ხუთ წილად გაიყონ. ორი წილი უფროსმან აიღოს და თვითო  
წილი სხვათ ძმათ შვილებმან, როგორც ძველადგან ქონიათ იმ  
წესით და თუ სახელმწიფოს ხარჯს დააკლდეს და გლეხის გამოსა-  
40 ლებიდამ არ აღდგეს, სახლის კაცები უფროსს იახლენ და როგორც  
კულავ გაერიგებინოსთ, საერთო მამულიდამ ისევ ისე გაარიგონ-  
აგრევე ზერებისა და სათემოს ხოდაბუნისა მოსავალიც ხუთათ  
გაიყონ. უფროსი ვითაც წესი იყოს სტუმარსა და ბედნიერს დღე-  
ში და ქირსა და ლხინში გაირჯებოდეს. რაც მამაბიძათ ნახლი-  
მსახური და აზნაურშვილი ყუანდესთ, ყუელამ თავთავისი იახლოს-  
ერთმანერთს ნურავინ შეეცილება. რაც საუფლისწულო სოფლე-



ბი და მამული აქუსთ, ისევ თავთავისი საუფლისწულო თვითონ-ვე ექიროსთ და რაც საუფლისწულოებს სახელმწიფო ხარჯი აწერია, ყველას თავთავისი პატრონები მისცემდნენ ხოლმე, სხვას იხსაულის ამათს საუფლისწულოში ზელი არა ქონდეს. რაც საუფლისწულოს გლეხი ან საერთოს სოფელში და ან ერთმანერთის საუფლისწულოში ესახლოს, თავთავის პატრონს დანებონ და თავთავის საუფლისწულოში დასახლონ. რასაც სოფელში საერთო კაცმა თუ საუფლისწულომ მოხნას, ღალას მიწის პატრონს მისცემდნენ, საერთოს სოფლების სახელოებიც ხუთათ გაიყონ, სამეზროები და მეზრები როგორათაც ძველადგან გარიგებული ქონდესთ, ისევ ყუელას მოუშლელი ქონდესთ. უწინ რომ მეზრები თარხანი ყოლიათ, ახლა რადგან ავი დრო არის და ქვეყანას სახელმწიფო ხარჯი აძეს, მეზრებმაც თავთავის შეძლებით ხარჯი მისცენ. ზოდაბუნის ღალას სახელმწიფოთ ნუ ჩაადებენ, ყველამ თავთავისის ხოდაბუნის ღალა თვითონ აილოს, როგორც რომ გვიბძანებია და გაგვირგებია ამ წესითა და რიგით იქცეოდენ და ნურცა ვინ ამ გარიგებას გარდავა. დაიწერა ხელითა კარისა ჩვენისა მდივან მწიგნობრის თუმანიშვილის გორჯასპისათა მარიამობის კვ ქკს უღბ (ადგილი ბეჭდის).

შემდეგ სიგელს ამტკიცებენ კათალიკოზი ანტონ I, ბატონი-შვილი არჩილ, კოსტანტინე მუხრან-ბატონი, ამირინდო ამილახორი, ვახუშტი აბაშიძე, თარხანი ლუარსაბ, ხოლო ემიკაღასბაში დიმიტრი, პაპუნა და ყაფლან ორბელიშვილები ყაბულობის დასტურს იძლევიან.

ეს საბუთი საკმაოდ ვრცლად გვიხატავს დიდ-თავადის გვარის უფროსის როლს. და დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს მე-18 საუკუნის პირველ ნახევარზე უწინარეს ხანისთვისაც. მაგრამ თუ ორბელიშვილის ეს საბუთი გვიხასიათებს გვარის უფროსის უფლებრივ მდგომარეობას, ამილახორთა საბუთი, რომელსაც ეხება ჩვენი შენიშვნა, იძლევა საინტერესო ცნობებს თვით სარდლის პრეროგატივების შესახებ. საყურადღებოა ამ საბუთის ცნობა, რომ სარდლის ინვესტიტურის ნიშნები ყოფილა დროშა და ხმალი, ასევე საყურადღებოა ცნობა სარდლის უფლების შესახებ ადგილობრივ მართველობის სფეროში, როგორც, მაგ., სამართლის საქმის წარმოებაში, მისი კონტროლის უფლება ხმარებულ საზომებზე, ბაჟის აღების უფლება და სხვა. ამილახორი ამავე დროს, როგორც მტკიცდება, გორის მოურავადაც ითვლებოდა.

როგორც საბუთიდან სჩანს, გარიგება სარდალის ამილახორის უფლებათა შესახებ თვალსაჩინოდ წინაუხსწრებდა როსტომ მეფის ხანას, რადგანაც როსტომი იხსენიებს სიგელში ამილახორის უფლებათა ძველს

გარიგებას მისი მამა-პაპის დროს (როსტომის პაპა იყო ლუარსაბ I). ზვედგინიძეთა გვარის ერთი საბუთიდან, რომლის გადმოწერილი პირი ჩვენ გვიჩვენა ამ 15 წლის წინად პოლ. კარბელაშვილმა (დედნის ნახვა ჩვენ ვერ მოვახერხეთ, ეხლა ეს საბუთი ტფილ. საისტ. საეთნოგრ. მუზეუმში უნდა იყოს), სჩანს, რომ ზვედგინიძის გვარის ერთი წევრი ამილახორი დიდ ალექსანდრე მეფის შვილის ვახტანგ მეფის (+ 1447 წ.) ქვისლი იყო. ამ დროს მამასადამე ზვედგინიძეთა გვარის ერთ წევრს უკვე ჰქონდა დამტკიცებული ამილახორობა. ალექსანდრე I-ის დროს ზვედგინიძეთა გვარის უფროსი თაყა მოლარეთ-უხუცესი იყო. ამავე გვარში იყო დამკვიდრებული გორის მოურაობა. გორის მოურაობა შემდეგ ხანებში, როგორც როსტომ მეფის ხსენებულ ქვემოდ დაბეჭდილ სიგელიდან სჩანს, ამილახორის პრეროგატივას შეადგენდა. შესაძლებელია ამიტომ ვიფიქროთ რომ ამილახორის თანამდებობის ზვედგინიძეთა გვარში გამკვიდრება პირველად მე-1440 წლების ახლო ხანებში დაიწყო. საბუთი იბეჭდება უცვლელად. ნიშნები დასმულია ჩვენ მიერ.

ნებითა და შეწევნითა ღთისა ჩვენ ღთივ აღმართებულმან ღთივ დამყარებულმან და ღთივ გვირგვინოსანმან ორისავე საბატონოსა მპყრობელმან მეფეთ მეფემან პატრონმან როსტომ და თანა მეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან მარიამ ესე ამიერთ უკუნისამდის ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და შეუცვალეზელი მოუშლელი წიგნი და სიგელი შეგიწყალებთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენთა ერდგულთა იმედთა და მისანდოთა და მრავალგულარად თავდადებით ერდგულად ნამსახურთა ყმათ ამილახორს ანდუყათარს, ძმასა თქვენსა გივსა და დემეტრეს და შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე, მას ჟამსა ოდეს ამილახორნი სულკურთხეულნი მამაბიძანა თქვენი წესისაებრ ამიერ სოფლით გარდაკდეს თქვენ ჩვენგან და მამაპაპათა ნათესავთა ჩვენთაგან ნაბოძები დროშა და კმალის მოგუართვი და აზნაურშვილები მოგვისხიოთ, ჩვენ შეგიწყალებთ და გიბოძეთ მკვიდრი ნათესავთა თქვენთა ნაქონი დროშა ამილახორობისა საამილახორს მამულთან აზნაურშვილიან გლახიანად და შემოგარტყით კმალის მებრძოლთა ჩვენთა დასაჩაგრავათ და გაგიახლეთ სიგელი სამოთხეშიგან მსხდომარისა მამა პაპ ძმა ნათესავთა ჩვენისა ნაბოძები. გიბოძეთ და დაგიმტკიცეთ მოურაობა გორისა და სამართალი მათი არა იკითხოვდეს უთქვენოდ, ვერც ვის გაჰყრიდეს თქვენად შეუკითხავად მამასახლისი და ვერცა ვის გაჰყრიდეს, ვერცა ვის მამულს მისცემდეს და ვერცავის გამოართმევდეს, არც ჰქონდეს მამასახლის ქალის გათხოვების საჩქმოსთან კელი და არც თევზის ბაჟთანა, სათქვენოდ იყოს როგორცა ძველს სიგელში გეწეროს, ჯურუმისა-

ცა და ყოვლის ფერის იქიურის მოსავლის ათისთავის სათაო და რაც სამოვრო წესი ყოფილიყოს, უკლებელად გვიბოძებია, აგრევე ზემოქართლის თქვენის დროშის სარდლობა, ლაშქრობა, ნადირობა, კაცის დაყენება, სამართალი და ან გარიგება ქველის სიგლით გაგვერიგებინოს, იმავე წესითა დაგვიმკვიდრებია და დაგვიმტკიცებია თქვენ ანდუყაფარ ამილახორისათვის, შვილისა თქვენისა იოთამისა და ავთანდილისათვის, ძმისა თქვენისა გვიისა, დემეტრესა, ბარძი(ი)სა და პატასთვინ, შვილთა და შვილიშვილთა მომავალთა სახლისა თქვენისათვის. გქონდეთ და გიბედნიეროს ღთნ ორგულთა და მებრძოლთა ჩვენთა ჩვენსა ფებთა ქვეშე მოსაქცევრად და ჩვენსა ერდგულებასა და სამსახურსა შიგან არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა მფუფეთა და მებატონეთაგან. აგრევე თქვენად უკიხხავად ვერც დადგან კოკა, ვერა ლტრა და ვერც აღლი. დაიწერა მტკიცე და მოუშლელი ბზა ესე ჩვენი ქკს ტმდ კელითა კარის ჩვენისა ვაყია (sic) ფეშქაშ ნივისის შდიენისშვილის სულხანისათა. ვერცავინ მებაჟე დაყენო(ს) უთქვენოდ და სომხის ყმებმა რომ დააშავოს რამე, იმისი ჯურუმიც თქვენ გამოართვით.

სანამდის გვიის უფროსი ძმა ანდუყაფარ მიიცვალებოდა, ესე სიგელი მანამდის გვებოძებინა მისთვის, ანდუყაფარ უფროსად თავათ დავსწერეთ და სანამდის გათავების ბეჭედს სიმტკიცისას დავსვემდით, სულკურთხეული ანდუყაფარ ამიერ სოფლით მიიცვალა და ამგვარად დავბეჭდეთ სიგელი საბოლოოდ გასათავებელი, ესე რომე უფროსად ამილახორად დროშისა მქონებელად და ჯარის გამძლოლად გვიბძანებია და გაუთაოს ღთნ ჩვენსა ერდგულებასა და სამსახურშიგან.

რასტომის ბეჭედი. ხეკუდად: მარიამ.

საანღლახვროს სარდლის პრივილეგიები, საფიქრებელია, ტიპიურ უნდა ყოფილიყო თავისი ნიშანდობლივი თვისების მხრივ მაინც სხვაი სარდლებისათვისაც კერძოდ ქართლში. ამ მხრივ ზემოდ მოყვანილ სიგლის ცნობებს ეძლევა განსაკუთრებითი მნიშვნელობა. ქართულ სახელმწიფოებრივ წყობილების ნორმების შესასწავლად მე-16—17 საუკუნეში. კერძოდ ამილახორის შესახებ დამატებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ვახტანგის დასტურლამალი იხსენიებს ცალკე ამილახორის გარიგების წიგნს: „გორილამ ამილახორის ჯარიმა საკომლო თავის გასამტეხლო ან სხუა რაც დებულეა არის, იმისი გარიგების წიგნში უწერია“ (დასტურ., 20). გორშივე დასტურლამალით „ნაეროხს უკან სამი დღე ბაჟი ამილახორისა და მამასახლისისა არის“ (იქვე). ზემო და-

ბეჭდილი სიგელით თევზის ბაჟი გორში ძველიდგანვე ამილახორის ყოფილა. დასტურლამალით კი თევზის ბაჟი გორში (საფიქრებელია სხვა ბაჟებთან ერთად) იყოფოდა სამ წილად—ორი წილი მეფის იყო და ერთი წილი კათალიკოზის. სჩანს, მე-17 საუკ. მეორე ნახევარში ამილახორს გორში თევზის ბაჟის აღების უფლება დაუკარგავს. სიგელში მოხსენებული ათისთავი გორის შემოსავლისა ამილახორის სასარგებლოდ დადასტურებულია დასტურლამალშიც (დასახ. ადგ.).

### სარგის კაკაბაძე.

მე-7—8 საუკუნის ჯვარის კვარცხლბეკი. ატენის ხეობაში თვით ატენის სიონის სამხრეთით ოთხი ვერსტის დაშორებით მიყრუებულ ადგილას არის იოანე ნათლისმცელის სახელობაზე აგებული ეკლესია, რომელიც საუკუნეების სიგრძეზე ოთხჯერ მაინც უნდა იყოს გადაკეთებული. ეკლესია მოხატულია, მხატვრობა უნდა იყოს არა უადრეს მე-XVI—XVII საუკ. თვით უძველეს ეკლესიას, რომელშიაც შეიძლება აღმართული იყო ჯვარი, დასავლეთის კედლის ნაწილი—და შერჩენია. ეს ეკლესია იმავე ქვითაა ნაშენი, რისაგანაც თვით ჯვარის კვარცხლბეკია გაკეთებული. კვარცხლბეკი შემკულია თაღოვან ურთიერთ შეკავშირებულ რკალებით, კვარცხლბეკის ზომა უდრის  $10\frac{1}{2} \times 10$  სანტიმ. კვარცხლბეკს აქვს წარწერა მრგვალი ასომთავრული რვა სტრიქონად:

ესე ჯი ქტსა მე ვეჟან ატნლ მხლნ აღვმართე შესავედრებელად და სასრად სოკლისა ჩემისა და ყლთათვს თავყოვანის მცემელთა ქტასთა ქტე ყლნი შეგვწყალენ ძთა ჯია შნათა ან იყნ: და რთა აღმოიკითხოთ მე ვე--- ა--- ალი ლოცვასა მე---სენე---

წარწერის ტექსტი სრულად უნდა იკითხებოდეს:

ესე ჯუარი. ქრისტისაჲ, მე ვეჟან ატენელ მამასახლისმან აღვმართე შესავედრებელად სოკლივასა ჩემისა და ყოველთათვის თავყოვანის მცემელთა ქრისტესათა ქრისტე ყოველნი შეგვწყალენ ძალითა ჯუარისა შენისაჲთა ამინ იყავნ. და რომელთა აღმოიკითხოთ მე ვე[ქ]ს[ნ] ---ალი ლოცვასა მ[ომი]კსენე[თ].

ზურგზე შემდეგი წარწერაა. ნუსხა ხუცურით უფრო გვიანი ხელით

1) მე ციხისა: 2) ქვეფ...

რომ ეს ძველი ჯვარის კვარცხლბეკია, ეს სჩანს თვით წარწერიდან: „ჯვარი ესე აღვმართე“... ასოების გამოხატულება არის უსწორ მასწორო მეტად არქაული. ასოები ყ, ვ თავშეკრულია. ლ ზოგან გახსნილია და ზოგან კი შეკრული და ზოგიერთი სიტყვის მარცვლები შეერთებულია ზევიდან ხაზით, თვით წარწერა წარმოადგენს ასოთა გადასვლითი ხანის ერთ-ერთ არქაულ სახეს.



ძველში მოხსენებული სახელიც „ვეჟან“ ძველია და გვხვდება „მარტვილობაჲ და მოთმინებაჲ წმიდისა ევსტათი მცხეთელისაჲ“-აში. (ვეჟან ბუზმილ ქართლისა მარზპანი)<sup>1</sup>. თვით ძველი<sup>2</sup> უნდა იყოს, არქაულ ასოების და თვით ამ სახელის (ვეჟანის) ხმარების მიხედვით, მე-VII—VIII საუკუნისა.

**გრიგოლ ჯაბატოსის ძეგლი.** სოფ. კავთის-ხევში (გორის მაზრა) მდინ. კავთურის მარცხენა მხარეზე სახელდობრ „კატაულაზე“ არის წმ. გიორგის ბაზილიკური ტიპის პატარა ეკლესია, რომელსაც სამხრეთით და ჩრდილოეთით ჰქონია მინაშენები. ეკლესია უნდა იყოს აგებული არა უადრესს მე-XIV—XV საუკუნისა. თვით ეკლესია, რომლის სიდიდე დაახლოებით  $4 \times 2 \times 3$  საყენს უდრის, ნახევრად მიწაშია. მხატვრობის ნიშნებიც არის შენახული. სწორედ ამ მიყრუებულ და გარეგნულად, ყურადღების არ მიმზიდავ ეკლესიაში აღმოჩნდა „გრიგოლ ჯაბატოსის ძეგლი“. ეს ძეგლი იდგა საშხრეთ კედლიდან  $1\frac{1}{2}$  მეტრის მანძილზე კანკელის ადგილას. ის აფარებული იყო უბრალო ფიცრის კანკელით. ფრთხილად გათხრის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ძეგლი თითქმის ნახევარზედ მეტად დულაბით იყო მიწაში ჩადგმული. ძეგლის საერთო სიგრძეა  $39\frac{1}{2}$  სანტ.; მიწის ზემოთ 21 სანტ., მიწაში  $18\frac{1}{2}$  სანტ.. ეს ძეგლი წარმოადგენს ოთხ ფერდოვან სვეტს, რომელიც თანდათან ვიწროვდება ქვევიდან ზევით (თავშია  $6\frac{1}{2}$  სანტ. და ბოლოში კი 8 სანტიმ.) და მთლად შემკულია წმინდანებისა და ისტორიულ პირების ქანდაკებებით, რომელთა რიცხვი დაახლოევებით ოც ცალს უდრის. წინა ე. ი. დასავლეთ ფერდზედ გამოქანდაკებულია წყვილ წყვილად, ზევიდან ქვევით ოთხ წყვილად მღვდომი წმინდანი. პირველ რიგის წმინდანებს ხელები აქვთ აპყრობილი ზეცისაკენ; ხოლო მეორე და მესამე რიგში მყოფთ თვითეულს ცალცალკე მარცხენა ხელით უჭირავს წიგნი და მარჯვენა ხელით კი ეყრდნობა წიგნს. ყველას კვართი აცვია ტანზე. შემდეგ მათ მოსდევს მზე, შარავანდელით გაბრწყინვებული და თალისებრივი რკალი, რომელიც შესდგება მახვილი კუთხეთა წყების მინაჯრისაგან.

შეოთხე წყება ქანდაკების სურათებისა, თუმც მნიშაში ყოფნის გამო კარგად არ შენახულა, მაგრამ მკრთალად მაინც ირკვევა, რომ აქ უნდა ყოფილიყო გამოქანდაკებული ჯვართამაღლება: შუაში ჯვარი და აქეთ იქით აღმათ მგფე კოსტანტინე და დედოფალი ელენე. ზურგზედ გამოქანდაკებულია ვაზი მტევენებით და ფოთლებით და ოსტატი ხელში ჩაქუჩით. ხოლო დანარჩენ (სამხრეთ და ჩრდილოეთ)

<sup>1</sup>) საქართველოს სამოთხე საბინისა გვ. 316.

<sup>2</sup>) უკვე ჩამოტანილია ჩემ მიერ და ინახება ქართული ხელოვნების მუზეუმში



ფერდებზე, გამოქანდაკებულაა ქალები და კაცები; კაცები გრძელ სახელოებიან ტანსაცმელში, ქალები წამოსასხამებით. ზოგიერთ ქანდაკებას როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მხარეზე აქვს წარწერები ასომთავრული ხუცური ასოებით. მარცხენა ფერდის პირველ რიგში არის გამოქანდაკებული კაცი, რომელსაც გრძელი ტანისამოსი აცვია, ქოშებშია, ხელები მალა აქვს. აპყრობილი. წარწერა იკითხება ასე:

წმიდ		და გ
გო		რი
ქვდ		ან
რე		შნს
ბრ		
იბ		
ილ		
კმა		
ტო		
სი		

დაახლოებით ეს წარწერა ასე უნდა იკითხებოდეს:

წმიდ [აო] გიორგი ევ[ე]ლრე გრიგოლ ჯბატოსი და გიორგი (?) [მ]ონ[ათა] შეუნდოს.

მეორე ქანდაკების წარწერა:

მონ || ილ.

ორი დანარჩენები მიწაში ყოფნის გამო გადასულია.

მარჯვენა ფერდზედ გამოქანდაკებულია ექვსი სურათი.

პირველი ქალის სურათია, — წარწერიდან სჩანს შემდეგი ასოები:

გო		
რი მკ		
ი მენი		შწლე.

ანუ სრულად: [წმიდაო] გიორგი მხევალი შენი--- შეიწყალე.

მეორე ქანდაკებაც ქალია, წარწერა იკითხება ასე:

ჯო ნ		ატი
ანს		ნო
მამ		მე
ვადი		
შწე.		

ანუ სრულად:

ჯვარო პატროსანო მარიამ მხევალი შეიწყალე.

მესამე ქანდაკება მამაკაცია (სჩანს ნახევარი მარცხენა ვკერდი) ასო მთავრული წარწერით: ისკ.

დანარჩენი ქანდაკებანი დაზიანებულია, წარწერა არ იკითხება.

ახლად აღმოჩენილ ძეგლის შესახებ გ. ჩუბინაშვილი სწერდა: „Столб этот является примером древнейшего типа надгробных памятников в Грузии и Армении. Правда, наш экземпляр не сохранился полностью—обломаны верх и кусок низа. Но всётаки основная, можно сказать, часть дошла до нас. Этот памятник войдет в общие руководства, настолько он интересен и типичен<sup>1)</sup>...“

გ. ჩუბინაშვილის მიერ გამოთქმული აზრი, რომ ეს ძეგლი საფლავის ქვა-ძეგლი უნდა იყოს ეწინააღმდეგება თვით ძეგლის წარწერების შინაარსს: „შმ. გიორგი... ჯვარო პატროსანო შეიწყალე“, ვკითხულობთ წარწერაში. შეიძლება ეს ძეგლი იყოს, ჯვარის ფუძე—კვარცხლბეკი, რომელიც ამ ეკლესიაში უნდა იყოს მოტანილი სხვა რომელიმე ეკლესიიდან.

ძეგლი დროის მხრივ უნდა ეკუთვნოდეს მე-7—8 საუკუნეს. ტიტული ვპატოსი უნდა გვიჩვენებდეს პოლიტიკურ სფეროში ბიზანტიის ვავლენის დაწყების ხანას (მე-7 საუკ.), ასოების მოხაზულობაც ძეგლს აქვს ფრიალ არქაული. ეს ძეგლი უკვე ჩამოტანილია ჩვენ მიერ ტფილისში და ამჟამად დაცულია ქართულ ხელოვნების მუზეუმში.

გაბრ. ჩაჩანიძე.

<sup>1)</sup> Вновь открытый памятник древнейшей скульптуры.—габ. „Рабочая Правда“ № 181 12—IV, 1924 год.

## საინფორმაციო ნაწილი.

სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების მოქმედების შესახებ. განათლების კომისარიატთან სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობის ხელქვეით არსებული სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილება მოქმედობს ს. ს. ს. რ. ცაკის 4 ივნ. 1924 წ. თარიღით № 95 დადგენილების ფარგლებში.

განყოფილების მოქმედება დაწყებული მისი დაარსებიდან (20 სექტ. 1924 წ.). მოკლედ და სქემატიურად შეიძლება წარმოდგენილ იქნას იმ მოხსენების მიხედვით, რომელიც განყოფილების გამგის ს. კაკაბაძის მიერ წარდგინა განათლების სახალხო კომისარს 15 ივნისს 1925 წ.. მოხსენებაში აგრეთვე მოთავსებულია ცნობები განყოფილების სტრუქტურის ცვლებადობის შესახებ. აქვე მოგვყავს მოხსენების ტექსტი.

„სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილების მოქმედება (განყოფილება დაარსდა 20 სექტემბერს 1924 წ. ბრძანებით № 141), რომელსაც ბრძანებით 8 აპრ. 1925 წ. № 47 თანდაერთო ბუნების ძეგლთა დაცვის საქმეც, თავის უპირველეს ყურადღებას აქცევდა: 1) ძეგლების და საერთოდ სიძველეთა დარგების ინტერესების თვალყურის სადევნებლად პროვინციაში სათანადო აპარატის მოწყობას, 2) ძეგლების აღრიცხვაზე აღებას, 3) უფრო მნიშვნელოვან ძეგლთა დაცვის უშუალოდ ტფილისიდან მოწყობას და 4) შეძლების დაგვარად საფრთხეში მყოფ ძეგლების შეკეთებას. ამ მიზნების განსახორციელებლად განყოფილებამ უკვე შესძლო ზოგიერთი შედეგების მიღწევა. განყოფილებას უკვე აქვს მოწყობილი სამაზრო აღმასკომებთან შეთანხმებით პროვინციაში ძეგლების და საზოგადოდ სიძველეთ საქმის თვალყურის მდევნებელი აპარატი. სამაზრო რწმუნებულები ამჟამად მოიპოვებინ ყველა მაზრაში. გარდა ამისა თვით მაზრებში სამაზრო რწმუნებულების ხელ ქვეით და მის ხელმძღვანელობის ქვეშ მოიპოვება მთელი რიგი რწმუნებულებისა ადგილებზე. ასეთი რწმუნებულების აპარატი შიგნით მაზრებში ადგილებზე მოწყობილია უკვე: სიღნაღის, ბორჩალოს, თელავის, დუშეთის, ახალციხის, ქუთაისის, რაჭის, ლეჩხუმის, ოზურგეთის მაზრებში. ასეთი აპარატი, მიუხედავად აღმასკომებისადმი რამოდენიმე ჯერ მიმართვისა, ჯერ არ არის მოწყობილი (თუმცა მაზრის რწმუნებულები დანიშნული არიან) გორის, ახალქალ., სენაკის, ზუგდი. და შორაპ. მაზრებში. ტფილისის მაზრას ამ მხრივ ჯერჯერობით თვით განყოფი-

ლება ადევნებს თვალყურს. თელავის მაზრის და ბორჩალოს მაზრის რწმუნებულნი ღებულობენ მცირე გასამრჯელოს განყოფილებიდან, პირველი—20 მან. თვეში და მეორე—15 მან. თვეში. თელავში და აგრეთვე ახალციხეში საფუძველი ჩაყრილი აქვს ადგილობრივ პატარა სამუზეუმო ფონდებს. ყველა რწმუნებულებს, როგორც მაზრისას, ისე ადგილებზე მაზრებში გაგზავნილი აქვთ განყოფილების მიერ ვრცელი ინსტრუქციები.

„განყოფილებას აქვს აღებული აღრიცხვაზე ძეგლთა შემდეგი რაოდენობა: ტფილისში—18, ტფილისის მაზრაში—27, გორის მაზრაში—154, დუშეთის მაზრაში—80, ბორჩალოს მაზრაში—7, ახალქალაქის მაზრაში—40, ახალციხის—64, რაჭის—20, ქუთაისის—10, შორაპნის—20, სენაკის—21, ზუგდიდის—19, ლეჩხუმის—9, ოზურგეთის—14, კახეთში თელავის და სიღნაღის მაზრებში—74. მეტნაკლებობა აღრიცხვაზე აღებულ ძეგლების რიცხვისა მაზრებში აიხსნება იმით, რომ აღრიცხვის მუშაობა განყოფილებას ჯერ დამთავრებული არ აქვს.

„განყოფილებამ ამასთანავე გადადგა სათანადო ნაბიჯები აჭარასა და სამხრეთ-ოსეთში განათლების სახალხო კომისარიატებთან ადგილობრივ სიძველეთა დაცვის საქმის მოსაწყობად. კერძოდ სამხრეთ-ოსეთის განათლების კომისარიატს განყოფილებამ გაუგზავნა შემუშავებული სია სამხრეთ-ოსეთში აღრიცხვაზე აღებულ ძეგლებისა. სიაში მოხსენებულია 104 ძეგლი.

„განყოფილება ამასთანავე თავის თავზე ღებულობდა ზოგიერთ მაინც პირველ ხარისხოვან ძეგლის მოვლის მოწყობას. ამ მიზნით ძეგლების მცველებს განყოფილების მიერ ეძლევათ პატარა გასამრჯელოც. გელათის მცველი ღებულობს თვეში 18 მან., ზარზმის მცველი (ახალციხის მაზრა) ღებულობს განყოფილებიდან 2 მან. თვეში, პოლნისისა—5 მან. თვეში, ბეთანიისა—3<sup>1</sup>/<sub>2</sub> მან.

„აღსანიშნავია ამასთანავე ზოგიერთი დაბრკოლებანი, რომელიც განყოფილებას ხვდებოდა წინ ადგილებზე ს. ს. ს. რ. ცაქის სათანადო დადგენილების (№ 95, 4 ივნ. 1924 წ.) აშკარად დარღვევის გამო. ასე, მაგ., თელავის აღმასკომის განკარგულებით, მიუხედავად ტფილისიდან მიღებულ ზომებისა, კერძოდ აღმოს. საქ. საოლქო სასამართლოს პროკურორის მიერ განათლების კომისარიატის შუამდგომლობით გაგზავნილ სათანადო აღკრძალებისა, მაინც დანგრეულ იქნა ისტორიული მნიშვნელობის მქონე თელეთის ტაძარი და ისიც ისე სწრაფად, რომ განყოფილებამ ვერ მოასწრო შენობის გეგმის გადაღებაც.

„ძეგლების შეკეთების მხრივ ჯერჯერობით აღსანიშნავია ჯვარის (მცხეთის პირდაპირ) გუმბათის შეკეთება (ეს მუშაობა დაწყებული იყო განყოფილების დაარსებამდის).

განყოფილებას აგრეთვე მიღებული ქონდა ზომები ბეთანიის ისტორიულ პირველხარისხოვანი ძეგლის სახურავის (ტაძრის) შესაკეთებლად. მასალა უკვე მიტანილია ბეთანიაში.

„სამწუხაროდ განყოფილების მუშაობა ამ მიმართულებით საზოგადოდ ძლიერ შეფერხებულია უსახსრობის გამო. ძეგლები იღუპება ჩვენს თვალ წინ, ფრესკები ირეცხება წვიმისაგან და ხშირად სულ ცოტა თანხა საკმარისი პირველ ხარისხოვან ძეგლის გადასარჩენად, მაგრამ განყოფილებას არა აქვს საშუალება სათანადო ზომები მიიღოს.

განყოფილებას ჰყავს მუდმივი ინსპექტორის თანამდებობის როლში ცენტრარქივის თანამშრომელი გიორგი ბოჭორიძე, რომელიც თითქმის მუდმივ მგზავრობაშია, კრებს ნივთებს (უმთავრესად ჯერჯერობით საეკლესიოს, მაგრამ ამასთანავე საერთოდ ისტორიულ-არქეოლოგიურ მნიშვნელობის სხვა ნივთებსაც), რომელთაც შემდეგ განყოფილება ათავსებს ერთ-ერთ მუზეუმში, ღებულობს ადგილობრივ ზომებს ძეგლების დაცვის მოსაწყობად და აგრეთვე ახდენს ძეგლების აღრიცხვას.

„განყოფილების საქმიანობის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს, რასაკვირველია, განყოფილების სტრუქტურას. 20 სექტემბრის 1924 წ. ბრძანებით განყოფილებასთან დაარსდა განყოფილების წევრთა კოლეგიუმი, პირველად ხუთი პირის შემადგენლობით განყოფილების გამგის თავმჯდომარეობით. 8 აპრ. 1925 წ. № 47 ბრძანებით, კოლეგიუმის შემადგენლობა გაიზარდა და განყოფილების წევრთა რიცხვი ავიდა 13-დის გამგის თავმჯდომარეობით. განყოფილების წევრების ასე მრავალ რიცხოვანობის მიზანშეწონილობა პრაქტიკამ არ გაამართლა. ამის მაჩვენებელია ის, რომ ახალი შემადგენლობის განყოფილებამ აარჩია პირველსავე სხდომაზე კომისია, რომელიც შეკრებისას აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგა აზრს განყოფილების შემადგენლობის თვალსაჩინოდ შეკვეცის საჭიროების შესახებ. აღსინიშნავია ამასთანავე, რომ განყოფილების წევრებს ფაქტიურად შეიძლება ჰქონდეს უფრო საჭირო შემთხვევებში მცოდნე მჩხველთა როლის მნიშვნელობა, რადგანაც სხვა ყოველდღიური საქმიანობა წარმოებს სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარგამგვესთან მუდმივი კონტაქტით, განყოფილების გამგის და განყოფილების მდივნის მიერ. ამიტომაც მიღებულ პრაქტიკის მიხედვით, და აგრეთვე რუსეთის ს. ფ. ს. რ-ში არსებულ წესების მაგალითით სასურველად უნდა ჩაითვალოს—სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის განყოფილების სტრუქტურა საბოლოოდ დადასტურდეს ისე, როგორც ის ნამდვილად არის, ე. ი. როგორც განათლების სახალხო კომისარიატის სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობის ერთ-ერთ მუდმივი საკანცელარიო ორგანო ჯერჯერობით შემდეგი შე-



მადგენლობით: განყოფილების გამგე, მდივანი და განყოფილების ინსპექტორი, ამ უკანასკნელ თანამდებობაზე დროებით ცენტრარქივის თანამშრომლის გ. ბოჭორიძის დანიშვნით. განყოფილებასთან სასურველია არსებობდეს საბჭო, სათანადო შემთხვევებში სპეციალურ რჩევითი ხასიათის თათბირების მოსახდენად განყოფილების გამგის თავმჯდომარეობით“.

ხსენებულ მოხსენების შედეგად განათლების სახალხო კომისარის ბრძანებით 19 ივნისს 1925 წ. № 80 მოხდა განყოფილების სტრუქტურის გადახალისება იმგვარად, რომ გარდა გამგისა და მდივნისა დაარსდა განყოფილების ინსპექტორის თანამდებობა, რომლის შესრულება კვლავ დევალა ცენტრარქივის თანამშრომელს გ. ბოჭორიძეს. განყოფილების გამგეს ამასთანავე უფლება მიეცა, სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმართველობის გამგესთან შეთანხმებით, მოიწვიოს ცალკე შემთხვევებში სპეციალისტები სათანადო თათბირების და რჩევების მოსახდენად.

#### Работы по охране памятников архитектуры. მცხეთის ჯვარი.

Среди исторических памятников грузинской архитектуры, как известно, одно из виднейших мест занимает церковь Креста мцхетского (მცხეთის ჯვარი). Железная крыша, сделанная лет тридцать тому назад над более старыми перекрытиями, уже несколько лет как пришла в негодность. Незащищенные своды и, главным образом, купол, имевший значительные трещины, пропитались дождевой водой и угрожали обрушением.

НКПрос решил спасти от разрушения этот драгоценный памятник (конца VI века), и осенью минувшего года было приступлено к ремонтным работам, помощь в которых была оказана соседом Джвари—Загэсом.

В первую очередь, по возведении самых необходимых подмостей, был произведен тщательный осмотр внешней поверхности купола. Наблюдаемая изнутри церкви развиза в матерьяле купола (юго-восточная половина сделана из зеленого камня, из которого сделаны все починки внутри церкви, а северо-Западная из лиловато-красного камня—основного матерьяла постройки) с внешней стороны обнаруживается в форме свода. Силует древней части более спокойный; начинающая от карниза, выровненная забуткой, внешняя поверхность свода идет почти прямой линией, круто заварачивая у самой вершины свода, обнаруживая сферичность его формы. Часть свода обрушившаяся и вновь сделанная из зеленого камня имеет в разрезе более выгнутую линию, более приближающуюся к конструктивной линии купола.

Таким образом, при обзоре сверху, купол представляется в значительной мере кривым. Снизу же эта кривизна почти незаметна.

Что касается кровельного материала купола, то видимо во время последнего ремонта, купол был очищен и черепица, покрывавшая его, снята. Остатки этой черепицы имеются в изобилии, а общий ансамбль закреплен произведенными Ермаковым до ремонта фотографическими снимками. Эта черепица, как по размерам, так и по устройству фальцев, а также и форме резко отличается от той черепицы, которая была обнаружена на куполе, почти у вершины. Несколько черепиц, тщательно замеренных, видимо представляли остаток более древнего покрова.

Производя ремонт, Отдел по охране памятников искусства и старины, решил реставрировать древнюю форму купола и покрыть его черепицей.

В минувший строительный сезон удалось залить цементом все трещины, укрепить свод заделкой бетоном многочисленных выбоин, восстановить переход от купола к карнизу, в значительной мере разрушенный видимо при установке 30 лет тому назад железной крыши, и, наконец, покрыть выровненную поверхность свода толстым слоем цементного раствора, приготовленного на цементе.

На очереди работа по покрытию купола черепицей, а также реставрация первоначальных уклонов на нижних крышах.

Железная крыша над апсидами и угловыми комнатами в значительной части (юго-восток) сохранилась и требует лишь ремонта и окраски. На ближайшее время предполагается ее сохранить, хотя она своими крутыми уклонами не гармонирует с древним купольным покрытием. Под железной крышей в некоторых местах сохранилось более старое покрытие каменными плитами по сводам. Хотя вероятно первоначальное покрытие и здесь было черепичное, но возможно, что уклоны на камне сохранены первоначальные. Во всяком случае эти каменные крыши, замеренные и показанные на чертежах, вполне сливаются в одно художественное целое с силуэтом купола.

Считаю долгом указать на неотложность еще одной крайне важной работы. Северо-западная комната своим углом свешивается над обрывом. Угол этот скошен и укреплен подпорной стеной. Очевидно первоначально этот угол опирался непосредственно на скалу, которая, в период заброшенности храма, выветрилась и обрушилась вместе с углом указанной комнаты. В дальнейшем, при ремонте храма, восстановленный угол был тщательно укреплен. Камни были схвачены

железными скобами с заливкой свинцом (прием, неизвестный в других грузинских памятниках). Обвалившаяся часть скалы была заменена каменной кладкой из правильных камней, в которую были включены фрагменты обрушившихся частей, между прочим карнизов с арочками.

В настоящее время эта подпорная стена висит в воздухе. В течении столетий выветрилось и обрушилось основание этой стены, и она держится лишь сцеплением со скалой, к которой была прислонена.

Сравнительно нетрудная работа по укреплению подпорной стены может предотвратить неминуемую катастрофу.

В связи с ремонтными работами были предприняты работы по фиксации и исследованию памятника. Отчет об этих работах был представлен на специальной выставке, посвященной Джвари, в здании академии художеств и в докладе сделанном там же Г. Н. Чубнишвили. Как это видно из прилагаемого перечня экспонатов выставки, работы посвященные фиксации частью законченны — (обмеры), частью нет (эстампажи и фотографии). Между тем разрушение барельефов, редчайших образцов грузинской пластики, идет гигантскими шагами. Поэтому необходимо в ближайшее время закончить начатое дело.

*Архитектор Н. Северов.*

Перечень работ, бывших на выставке, посвященной ц. Мцхетского креста, (с 4-го по 11-ое янв. 1925 г.).

- |   |   |
|---|---|
| Г. Гриневский. 1. Общий вид Крестового монастыря с ю.-в. (акварель);  | элемента, венчающего карниз с барабана. |
| 2. Южн. портик храма (акварель).  | Н. Северов. 10 а. Основной план         |
| Е. Лансере. 3. Широкий вид из Афмазского ущелья в сторону Мцхета (обмер с натуры); 10 б. Тоже (чистовой лист); 11 а. План барабана (обмер с натуры); 11 б. то же (чистойовой лист); 12 а. Разрез по продольной оси со взглядом на юг (обмер с натуры); 12 б. Тоже (чистойовой лист); 13 а. Разрез по поперечной оси со взглядом на восток (обмер с натуры); 13 б. Тоже (чистойовой лист); 14 а. Восточный фасад (обмер с натуры); 14 б. Тоже (чистойовой лист); 15 а. Южный фасад (обмер с натуры); 15 б. Тоже (чистойовой лист); 16 а. Се- |   |
| 4. Храмы с с.-в. (темпера).   |   |
| А. Олинкевич. 5. Гипсовая отливка с барельефа на юж. грани барабана; 6. Гипсовая отливка с центрального ктиторского барельефа на вост. апсиде (эристав Степаноз), 7. Гипсовые отливки (три) с архивольтов над алтарными окнами; 8. Гипсовая отливка с капителю южного входа малой церкви; 9. Гипсовая отливка   |   |

верный фасад (обмер с натуры); 16 б. Тоже (чистовой лист); 17. Диагональный разрез; 18. Перспектива Джвари с птичьего полета (архитект. рисунок в два тона); 19. Вид на Джвари с Курь. с ю.-з. (акварель); 20. Внутренняя перспектива (акварель и перо); 21. Вид с ю.-в.

*Н. Северов и Р. Шмерлин.* 22. Детали храма: барельефы, орнаменты, профиля.

*В. Циლოსани.* 23. Звонница. 24. Южный вход; 25. Вид с северо-востока (перо).

*М. Чхиквадзе.* 26. Копия надписи в юго-зап. комнате; 27. копия надписи на барельефе с Деметрием; 28. Рисунок с обрывка надписи на барабане.

*Р. Шмерлин.* 29. Два карандашных рисунка общих видов.

30. Фотографии (семь витрин).

რუსეთიდან საქართველოს განძეულობათა რეევაკუაციის შე-  
სახებ \*). ცარისტულ ხელისუფლების მიერ სხვა და სხვა დროს საქარ-  
თველოდან რუსეთში გატანილ განძეულობათა რეევაკუაციის საკითხი  
განათლების სახ. კომისარიატის მიერ აღძრულ იქმნა სრულიად რუსე-  
თის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე ჯერ კიდევ 1922  
წ.. რუსეთის ცაკ-მა, როგორც მოსალოდნელი იყო, ეს საკითხი მა-  
შინათვე დადებითად გადაჭრა და სათანადო დადგენილებაც გამოსცა,  
რომლის მიხედვით საქართველოს უნდა დაჰბრუნებოდა ყველა მისი  
კუთვნილი და იმ ხანად რუსეთის სხვა და სხვა საგანძურებში მოთავსე-  
ბული ისტორიულ მნიშვნელობის ნივთები. რუსეთის ცაკ-ის ამ დადგე-  
ნილების სისრულეში მოყვანისა და საკითხის პრაქტიკულად მოგვარე-  
ბის მიზნით 1922 წ. დასასრულს დანიშნულ იქმნა სრულ უფლებიანი  
შერეული (რუსულ-ქართული) კომისია, რომელიც მაშინათვე შეუდგა  
სათანადო მუშაობას. 1923 წლისათვის ხსენებულმა კომისიამ კიდევაც  
დაასრულა თავისი მუშაობა და რუსეთის საგანძურებიდან, ცაკ-ის აღ-  
ნიშნულ დადგენილების თანახმად, გამოჰყო ყველა ის ნივთები, რომე-  
ლიც მის მიერ საქართველოს კუთვნილებად იყო ცნობილი. კომისიის  
დადგენილების თანახმად, გამოყოფილი ნივთების ნაწილი, რომელიც  
დავას არ იწვევდა კომისიაში, უნდა გადასცემოდა საქართველოს მაშინ-  
ათვე, ხოლო ნაწილი კი დროებით უნდა დაჩვენებულიყო რუსეთის სა-  
განძურებში. დატოვება გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ რუსეთის  
სამეცნიერო აკადემია და სხვა სათანადო დაწესებულებებიც გადასაცემად  
განკუთვნილ საისტორიო ძეგლებისა და ხელთნაწერების ნაცვლად  
მოითხოვდნენ საქართველოს გადაეცა მათთვის, რეპროდუქციების სა-  
სახით, საბადლო ნივთები და ხელთნაწერები. მეორეს მხრივ ნაწილი

\*) ეს წერილი წარმოადგენს ვრცელს ექსცერპტს იმ მოხსენების, რომე-  
ლიც წარედგინა 10 ივნ. 1925 წ. თარიღით განათლების სახალხო კომისარს.

ქართული ძეგლებისა, განსაკუთრებით ხელთნაწერებისა, სჭირდებოდათ განსაზღვრული ვადით რუს მეცნიერთ სამეცნიერო გამოკვლევების მიზნით.

ამ მოსაზრებათა გამო ქართულ განძეულობათა მიღების დროს 1923 წ. მოსკოვსა და ლენინგრადში დატოვებულ იქმნა ნაწილი ქართულ სიძველეებსა. ეს სიძველენი მოთავსებული იყვნენ მოსკოვისა და ლენინგრადის შემდეგ საგანძურებში: რუსეთის საისტორიო მუზეუმში, ყოფ. რუმინცევის მუზეუმში, საჯარო წიგნთსაცავში და სამეცნიერო აკადემიის სააზიო მუზეუმში. ნაწილი ამ ნივთებისა დატოვებული იყო განსაზღვრული ვადით, სახელდობრ 1924 წლის აპრილის 1-მდე, ხოლო ნაწილი განუსაზღვრელი ვადით და გადაეცემოდა საქართველოს მაშინ, როდესაც ის, კომისიის დადგენილების თანახმად, გადასცემდა რუსეთს მისაღებ ნივთების საბადლო მასალას.

მაგრამ ზემოხსენებულ განძეულობათა გარდა მთელი რიგი ქართულ ძეგლ ხელთნაწერებისა, მათ შორის ფრიად მნიშვნელოვან სიგელ-გუჯრებისა, იმყოფებოდა მოსკოვში ყოფილ ლაზარევის ინსტიტუტში, რომელიც ამ ჟამად სომხეთის კულტურის სახლად იყო გადაკეთებული. მცირე ნაწილი ქართული ნივთებისა მოთავსებული იყო აგრეთვე უკრაინის სხვა და სხვა ქალაქებში, განსაკუთრებით კიევში—კიევი-ჰეჩორის ლავრაში. ლაზარევის ინსტიტუტში მყოფი ხელთნაწერების მცირე ნაწილი თვით ამ ინსტიტუტს ეკუთვნოდა, ხოლო უმეტესი ნაწილი კი პროფესორ ხახანაშვილს, რომელიც თავის სიცოცხლის დროს ამ ინსტიტუტში მუშაობდა. ხახანაშვილს თავის მხრივ ამ ხელთნაწერების ნაწილი (უმთავრესად სიგელები) თავის დროზე მიღებული ჰქონდა განსაზღვრული ვადით დროებით სამუშაოდ. დანარჩენი კიდევ შეძენილი იყო კერძო პირთაგან და მის პირად საკუთრებას შეადგენდა. ხახანაშვილის სიკვდილის შემდეგ მთელი მისი წიგნთსაცავი და მასში მოთავსებული ქართული ხელთნაწერები დარჩა ხსენებულ ლაზარევის ინსტიტუტში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც ლაზარევის ინსტიტუტი სომხეთის კულტურის სახლად გადაკეთდა და სომხეთის განათლების კომისარიატის გამგებლობაში გადავიდა, ეს ხელთნაწერებიც მექანიკურად უკანასკნელის განკარგულებაში გადავიდა.

სომხეთის კულტურის სახლში მოთავსებული ქართული ხელთნაწერები ქართული ისტორიოგრაფიისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან საისტორიო მასალებსა და საბუთებს წარმოადგენდნენ. ამავ დროს ამ ხელთნაწერებს არავითარი კავშირი და დამოკიდებულობა არ ჰქონდათ სომხეთისა ან რუსეთის საისტორიო საკითხებთან, და რაკი სომხეთის კულტურის სახლში აღმოსავლეთისა და კერძოდ საქართველოს შესწავლა უკვე აღარ სწარმოებდა, ამიტომ ამ ხელთნაწერების ხსენებულ



სახლში ყოფნა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა. ამიტომ სრულიად მართებული იყო, რომ ეს ხელთნაწერები კუთვნილებისამებრ საქართველოს გადასცემოდა.

1923 წ. საქართველოს განათლების სახ. კომისარიატის მძვრ განძეულობათა ჩამოსატანად წარგზავნილ პირების მოსკოვში ყოფნის დროს საკითხი ამ ხელთნაწერების დაბრუნების შესახებ არ აღძრულა. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 1923 წ. მეორე ნახევარში ცენტრარქივის შუამდგომლობით საქართველოს განათ. სახ. კომისარიატის მიერ სომხეთის განათლების კომისარიატის წინაშე აღძრულ იქმნა ეს საკითხი. სომხეთის განათლების სახ. კომისარიატმა მაშინ შესაძლებლათ ვერ დანიხა ამ საკითხის დადებითად გადაჭრა და ამ რიგად ხსენებულ ხელთნაწერების მიღება მაშინ მოუხერხებელი შეიქმნა. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად უარის თქმისა სომხეთის განათ. სახ. კომისარიატი ასახელებდა რუსეთის კომპარტიის ცეკას დადგენილებას, რომლის თანახმად ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტიდან აღკრძალული იყო რაიმე ისტორიულ ნივთის გატანა. ამის შემდეგ იმავე წელს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოსკოვში წარვლენილ პროფ. პოლიევქტოვს, საქართველოს ცენტრარქივის ინიციატივით, დაევალა სომხეთის კულტურის სახლში დაცულ ქართულ საბუთებიდან (სიგელებიდან) ფოტოგრაფიული პირის გადაღება. რამდენად ვიცით, პროფ. პოლიევქტოვმა მოსკოვში ყოფნის დროს სცადა დაკისრებულ საქმის გაკეთება, მაგრამ სომხეთის კულტურის სახლის გამგისაგან შესაფერ ნებართვის მიუღებლობის გამო, იძულებული იყო ხელი აეღო დავალებულ საქმის შესრულებაზე.

სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა ყრილობაზე დასასწრებლად მოსკოვში ჩემი გამგზავრების წინ საქართველოს ცენტრარქივში დაისვა საკითხი საერთოდ რუსეთში დარჩენილ სიძველეთა მიღების შესაძლებლობის შესახებ. ინიციატივა ამ საკითხის წამოყენებისა ეკუთვნის განათლების სახალხო კომისარიატის სიძველეთა დაცვის განყოფილებისა და ცენტრარქივის სამმართველოს გამგეს სარგის კაკაბაძეს. რაკი მე, როგორც საქართველოს დელეგატი, ყრილობაზე დასასწრებლად მოსკოვს მივემგზავრებოდი და ამ მიზნისათვის სათანადო თანხა უკვე გადადებული იყო, — ამიტომ ზედმეტ ხარჯების თავიდან ასაცილებლად, სამმართველოს მიერ სასურველად იყო ცნობილი სიძველეთა რევეაკუაციის საქმე მე მიმეღო ჩემს თავზე. ეს აზრი სავსებით გაიზიარა სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამართველოს გამგემ ვ. ბერიძემ, ამისი თანახმა იყო განათლების სახალხო კომისარი ამხ. დავით კანდელაკიც და ამ რიგად გადაწყდა ამ საქმის მოგვარება მე დამკისრებოდა.

ამის თანახმად, მოსკოვში ყრილობისა და თათბირის დამთავრების

უმალ, მე შეუდექი ამ საქმეს. პირველად ვინახულე რუსეთის გან. სახ. კომისიის მოადგილე ამხ. მ. პოკროვსკი, რომელიც თავის დროზე საქართველოს განძეულობათა რევეაკუაციის საკითხის მომგვარებელ კომისიის თავმჯდომარე იყო და ამ საკითხს კარგად იცნობდა. ამხ. პოკროვსკის რჩევის თანახმად, რუსეთის სამეცნიერო დაწეს. მთავარ სამართველოს გამგეს ამხ. პეტროვის წარუდგინე შესაფერი მოხსენება, სადაც ვსთხოვდი მას მოეხდინა სათანადო განკარგულება საქართველოს კუთვნილ განძეულობათა ჩემთვის გადმოცემის შესახებ. პეტროვმა თავისი მხრივ მაშინვე განკარგულება გასცა, რათა კომისიის დადგენილების თანახმად, გამოთხოვილი ნივთები საქართველოს გადასცემოდა.

ამის თანახმად, მარტის 27-სა და 28-ს მოსკოვში ჩავიბარე რუსეთის საისტორიო მუზეუმისა და ლენინის სახელობის საჯარო წიგნთსაცავიდან მისაღები ნივთები და ხელთნაწერები. რამდენიმე დღის შემდეგ მოხერხდა გან. სახ. კომისარიატიდან ლენინგრადის საგანძურებში მოთავსებულ საქართველოს სიძველეთა შესახებ განკარგულების მიღებაც. მაგრამ ლენინგრადში გამგზავრებამდე საჭირო იყო მომეგვარებია საკითხი ყოფილ ლაზარევის ინსტიტუტში დაცულ ქართულ ხელთნაწერების შესახებ და მეც შეუდექი ამ საქმეს.

ეს ხელთნაწერები, როგორც ზევით აღნიშნული იყო, უკვე სომხეთის კულტურის სახლის ფუნდამენტალურ წიგნთსაცავში იყო მოთავსებული და უკანასკნელის საკუთრებად ქცეული. საკითხი პირდაპირ რუსეთის კომპარტიის ცეკაში უნდა დასმულიყო, რადგან სომხეთის კულტურის სახლის გამგის მიერ ხელთნაწერების გადმოცემაზე ჩემთვის წინასწარ მოლაპარაკების დროს თანხმობის განცხადების შემდეგ ერთადერთ დებრკოლებას მხოლოდ კომპარტიის ცეკას დადგენილება წარმოადგენდა. ცეკას მდივანმა ამხ. მოლოტოვმა, რომელსაც წარედგინა შესაფერი წერილობითი მოხსენება, არსებითად გაიზიარა წარმოდგენილ მოთხოვნების სამართლიანობა და დამპირდა საკითხის დადებითად გადაჭრას, მაგრამ ფორმალურ მხარეების შესრულების მიზნით ჩემი მოხსენება გადასცა ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებას დასკვნისა და საჭირო ცნობების წარმოსადგენად, რის შემდეგ საკითხი დაისვა ისევ ცეკაში, რომელმაც საკითხი გარდასწყვიტა დადებითად.

ცეკას დადგენილება გადაეგზავნა საბოლოო განკარგულებისათვის სრულიად საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს, რომელმაც გასცა სათანადო განკარგულება ქართულ ხელთნაწერების გადმოცემის შესახებ.

ამ განკარგულებას თანახმად მე მეორე დღესვე გავმგზავრე სომხეთის კულტურის სახლში და გამგესთან შესაფერ მოლაპარაკების შემ-

დევ შევუდევნი იქ დაცულ ქართულ ხელნაწერების ჩაბარებას უნდა აღინიშნოს, რომ ეს მუშაობა მეტად მძიმე იყო, ვინაიდან ხსენებულ სახლის მიმდინარე კაპიტალურ რემონტის გამო ფუნდამენტალურ წიგნთსაცავში მოთავსებული წიგნები და სხვა საგნებიც (ავეჯულობა) უწესრიგოდ ორ ოთახში იყო თავმოყრილი. კერძოდ ხახანაშვილის წიგნთსაცავი, რომელიც მთლიანად ამ ჟამად სომხეთის კულტურის სახლში იმყოფება და რომელშიც მოთავსებული იყო ლმეტესი ნაწილი ქართული ხელნაწერებისა, მეტად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ამისდა მიუხედავად მე გადავათკალიერე მრელი წიგნთსაცავი და ყველა ქართული ხელნაწერები და სიგელები (სულ 85 ეკვ.), რომელიც ყოფ. ლაზარევის ინსტიტუტში იყო მოთავსებული, ჩავიბარე სათანადო ფორმალურ მხარეების შესრულებით. ლაზარევის ინსტიტუტიდან ქართულ ხელნაწერების მიღებით გათავდა ჩემი მისია მოსკოვში და ამის შემდეგ უნდა გავმგზავრებულვიყავი ლენინგრადში იქ დაცულ ხელნაწერების მისაღებად.

მაისის 5-ს უკვე ვიყავი ლენინგრადში, სადაც მეორე დღესვე ვინახულე რუსეთის სამეცნიერო აკადემიის აუცილებელი მდივანი აკად. ს. ოლდენბურგი და საჯარო წიგნთსაცავის დირექტორი აკად. ნ. მარტი, რომელთაც გადავეცი რუსეთის გან. სახ. კომისარიატის სათანადო განკარგულება. გამოიჩინა, რომ მისაღებ ხელნაწერებიდან ოთხი ხელნაწერი, სახელდობრ: სააზიო მუზეუმიდან № № 24 და 27 და საჯარო წიგნსაცავიდან № № 188ა 188ბ დროებით საქირო იყო სამეცნიერო აკადემიისათვის.

მაისის 11-ს ჩავიბარე სათანადო, აქტის შედგენით სააზიო მუზეუმისა და საჯარო წიგნთსაცავიდან ყველა ის ხელნაწერები, რომლებზედაც თანხმობა მქონდა მიღებული, ხოლო ხსენებული 4 ხელნაწერი, თანახმად ტფილისიდან მიღებულ ნებართვისა, დატოვებულ იქნა აქტის შედგენით რუსეთის სამეცნიერო აკადემიის განკარგულებაში ექვსი თვის ვადით. სამწუხაროდ საზარჯო ფუნდის უქონლობისა და სხვა ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, უკრაინაში გამგზავრება ამ ჟამად არ მოხერხდა და ამიტომ იქ დაცულ ქართულ სიძველეთა საკითხი ჯერჯერობით მოუგვარებელი დარჩა.

განათლების სახალხო კომისარიატის

არწმუნებული შალვა ჩხეტიძე.

სრულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა პირველ ყრილობისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრ-არქივების წარმომადგენელთა თათბირის შესახებ \*). მიპდინარე 1925 წლის იანვრის 1-ლ რიცხვებში საქართველოს ცენტრარქივის სამმართველომ რუსეთის ს. ფ. ს. რ. ცენტრარქივის სამმართველოსაგან მიიღო ოფიციალური მომართვა, რომლითაც უკანასკნელი იწვევდა საქართველოს ცენტრარქივის წარმომადგენელს თებერვლის 10-თვის მოსკოვში განზრახულს რულიად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა პირველ ყრილობაზე. თუმცა ხსენებული ყრილობა რუსეთის ს. ფ. ს. რ. მასშტაბით იყო მოწვეული და საქართველოს წარმომადგენლის დასწრება იქ ფორმალურად სავალდებულო არ იყო, მაგრამ განათლების სახალხო კომისარიატისა და თვით ცენტრარქივის სამმართველოს მიერ ყრილობაზე საქართველოს ცენტრარქივის წარმომადგენლის წარგზავნა, რუსეთში საარქივო საქმის გაცნობის მიზნით, საჭიროდ იქმნა ცნობილი; ყრილობაზე საქართველოს დელეგატის დასწრება საჭირო იყო მით უფრო, რომ ყრილობის მუშაობისა და საერთოდ რუსეთის საარქივო აღმაშენებლობის ძირითად პრინციპების გაცნობა, საქ. ცენტრარქივის სამმართველოს გაუადვილებდა ახლო მომავალში მის მიერ თავის დარგში განზრახულ ზოგიერთ აუცილებელ ცვლილებების უფრო ადვილად და უმტკივნეოდ ჩატარებას. ამასთანავე, რაც უმთავრესი იყო, ყრილობისათვის წინასწარ შედგენილ სამუშაო გეგმაში, რომელიც მოსკოვიდან რუსეთის ცენტრარქივის მიერ იყო გამოგზავნილი, შეტანილი იყო მრავალი ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხი, როლის გაშუქება და შესწავლა, საქართველოში საარქივო საქმის მერმისში უფრო მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისა და ორგანიზაციის მხრივ უფრო რაციონალურად მოწყობისათვის, აქტუალური მნიშვნელობისა და მასთან სავსებით დროული იქნებოდა. ყრილობის დიდი მნიშვნელობა რომელიმე დარგში მუშაობის გაცხოველებისა და აღმშენებლობაში სწორ გეზის აღებისათვის საერთოთ ცნობილი ფაქტია, მაგრამ რუსეთის საარქივო მოღვაწეთა ყრილობას, რომელიც ამასთანავე პირველი ყრილობა იყო ამ დარგში მომუშავეთა, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმ მხრივ, რომ საარქივო საქმეს, როგორც სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს, რომელსაც წინანდელი სახელმწიფოებრივი სისტემა ამ მნიშვნელობით არ იცნობდა და მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ საბჭოთა ზეელისუფლებამ შემოიღო, კოლექტიურ მუშაობის შედეგად პირველად ამ ყრილობაზე უნდა ჩაჰყროდა მტკიცე საფუძველი. კერძოდ საქართველოსათვის ამ ყრილობას განსაკუთრებული მნიშვნე-

\*) ეს წერილი მოხსენების სახით წარედგინა განათლების სახკომისარიატსა და ცენტრარქივის კოლეგიას. იბეჭდება საგრძნობლად შემოკლებული.



ლობა უნდა ჰქონოდა, რადგან საარქივო აღმშენებლობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკაში საერთოდ ახალ დარგათ ითვლება, ჩვენში სრულიად ნორჩი საქმე იყო, რომელიც არსებითად ჯერ კიდევ ორგანიზაციისა და მოწყობის სტადიაში იმყოფებოდა. ამ მხრივ რუსეთის ცენტრარქივის მიერ საარქივო აღმშენებლობის დარგში შვიდი წლის განმავლობაში გადადგმული ნაბიჯები და გაკეთებული საქმე, რომელიც უფრო აშკარად ყრილობაზე გამოჩნდებოდა, და თვით ყრილობის მუშაობაც საქართველოსათვის მეტად სასარგებლოდ და გამოსადგვად უნდა ჩათვლილიყო.

რუსეთის ცენტრარქივისაგან მიღებულ მომართვის თანახმად, როგორც ზევით იყო აღნიშნული, მოსკოვში ყრილობა უნდა გახსნილიყო თებერვლის 10-ს და ამიტომ სათანადო დირექტივების მიღებისა და ცენტრარქივის მუშაობა-მოქმედების შესახებ საჭირო მასალების მომარაგების შემდეგ, მარტის 7-ს, განათლების სახ. კომისარიატიდან მიღებულ მანდატის თანახმად, მე გავემზავრე ტფილისიდან იმ ანგარიშით, რომ ყრილობის გახსნის წინა დღით მოსკოვში ვყოფილიყავი. მოსკოვში ჩასვლისას რუსეთის ცენტრარქივის № 1 ბიულეტენიდან და აგრეთვე ყრილობის მომწყობ კომისიის წევრ მორიგ თანამშრომლისაგან, რომელიც საერთოდ დელეგატებს ხდებოდა და ცნობებს აწვდიდა, გამოიჩინა, რომ რუსეთის ცენტრარქივის ინიციატივით სრულიად საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მარტის 10-თვის მოსკოვში დანიშნული ყოფილიყო საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შემავალ რესპუბლიკათა (რუსეთისა, უკრაინისა, ბელორუსიისა, ამიერ-კავკასიისა, თურქმენთა და უზბეკისტანის) წარმომადგენელთა თათბირი, რომელზედაც უნდა განხილულიყო საკითხი საკავშირო ცენტრარქივის სამმართველოს დაარსების შესახებ. ამისდა მიხედვით ყველა მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისათვის საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს, აშხ. კ ი ს ე ლ ე ვ ი ს მიერ ხელ-მოწერილ დებეშით, თავის დროზე უცნობებია განზრახული თათბირის შესახებ, რათა მათ დანიშნულ დროზე გამოეგზავნათ თავიანთი სრულუფლებიანი წამომადგენლები თათბირზე მონაწილეობის მისაღებად. რაც შეეხება საარქივო მოღვაწეთა ყრილობას, ამ ყრილობაზე მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლები, როგორც მოსალოდნელი იყო კონსტიტუციის მიხედვით, მოწვეული იყვნენ მხოლოდ სათათბირო ხმით სტუმრებად და მათი დასწრება იქ ფორმალურად სავალდებულოც არ იყო.

მაგრამ საკავშირო რესპუბლიკების წარმომადგენლების თათბირიც, რომელიც, როგორც ეს ცენტრარქივის № 1 ბიულეტენიდან სჩანდა, მარტის 10-ში უნდა გახსნილიყო, ნამდვილად გადაეტანათ მარტის 13-თვის.



ხოლო ყრილობა, ამასთან დაკავშირებით, უნდა გახსნილიყო ერთი დღის დაგვიანებით, ე. ი. 14 მარტს.

მარტის 13-ს, საღამოს 6 საათზე. როგორც დანიშნული იყო, ცენტრარქივის შენობაში გაიხსნა თათბირი. თათბირს დაესწრენ შემდეგი პირები: 1) რუსეთის ს. ფ. ს. რ.-დან განათლების სახალხო კომისარის მოადგილე და ცენტრარქივის გამგე პროფ. მიხეილ პოკროვსკი, ცენტრარქივის გამგის მოადგილე ამხ. ადორატსკი და კოლეგიის წევრი ამხ. მაქსაკოვი, 2) უკრაინის ს. ს. რ.-დან ცენტრარქივის გამგე ამხ. ტეტინი და მისი მოადგილე აკადემიკოსი დიმიტრი ბაგალეი, 3) ბელორუსიის ს. ს. რ.-დან ცენტრარქივის გამგე ამხ. მელეშკო, 4) საქართველოს ს. ს. რ.-დან მე, შალვა ჩხეტია, 5) უზბეკისტანის ს. ს. რ.-დან ცენტრარქივის გამგე ამხ. ივანოვი და 6) თურქმენთა ს. ს. რ.-დან დიპლომატიურ წარმომადგენლობის რწმუნებული ამხ. ნეჩაი. აზერბაიჯანისა და სომხეთის ს. ს. რესპუბლიკების წარმომადგენლები თათბირზე არ გამოცხადებულან.

ფორმალურ დაბრკოლებისდა მიუხედავად, რომელიც თათბირის ზოგიერთ მონაწილეთა მიერ მანდატის უქონლობით იყო გამოწვეული, თათბირი მაინც კანონიერად იქნა ჩატვლილი და განსახილველ საკითხის გარშემო გაიხსნა მსჯელობა. რუსეთის ცენტრარქივის წარმომადგენლებმა წამოაყენეს წინასწარ შემუშავებული პროექტი მოძავალ საკავშირო ცენტრარქივის სამმართველოს დებულებისა—გასარჩევად და, უკეთეს მისაღები აღმოჩნდებოდა, დასამტკიცებლად. რუსეთის წარმომადგენელთა განცხადების თანახმად, წამოყენებული პროექტი არსებითად განსხვავდებოდა იმ პროექტისაგან, რომელიც რუსეთის ცენტრარქივის მიერ შემუშავებული იყო 1924 წელს. ამასთანავე პროექტის მიხედვით, მოძავალი ცენტრარქივის სამართველო, როგორც ზერელეთ გაცნობის საშუალებით გამოირკვა, საკმაოდ რთულ სტრუქტურისა აღმოჩნდა და ამიტომ დებულების ჯეროვანად გარჩევისათვის საჭირო იყო მისი წინასწარ კარგად გაცნობა და შესწავლა, რასაც სჭირდებოდა ერთგვარი დრო. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ თათბირზე დამსწრე დელეგატები, გარდა რუსეთის წარმომადგენლებისა, ამ პროექტს გაცნობილი არ იყვნენ. ამავე დროს ცხადი შეიქმნა იმ თვითვე, რომ საკითხის მართებულად გადაჭრისათვის საჭირო იყო მისი დეტალურად შესწავლა და სათანადო რესპუბლიკათა ცენტრების აზრის გაგება, რაც შესაძლებელი იყო მხოლოდ რამოდენიმე დღის განმავლობაში. ყველა ამ მოსაზრებათა გამო საჭირო გახდა თათბირი გადადებულყო ყრილობის დამთავრებამდე, რომელიც ნავარაუდევია იყო მარტის 19-თვის.

თათბირის დახურვის მეორე დღეს, ე. ი. მარტის 14-ს, დილის 10 საათზე მეორე საბჭოთა სახლის დარბაზში გაიხსნა სრულად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა პირველი ყრილობა. ყრილობა გახსნა ცენტრარქივის გამგემ ა. მ. პოკროვსკიმ, რომელმაც მოკლედ დაახასიათა არქივების მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის და საარქივო ორგანოების დანიშნულება საბჭოთა რესპუბლიკებში

ყრილობაზე წარმოყენებული იყო შემდეგი დებულებები: 1) არქივები კლასიკურ ბრძოლის იარაღია, პროლეტარიატი უნდა დაეუფლოს არქივებს, 2) წითელი არქივისტი—მარქსისტი-ისტორიკოსის თანამშრომელია, 3) დაცავით არქივები—ისინი შეიცავენ ჩვენი შეცდომათა და მიხწევათა ისტორიას, 4) ცარისტულ დიპლომატიის საიდუმლოებათა გამომჟღავნება—საერთაშორისო კაპიტალის პოლიტიკისათვის მახვილის ჩაცემაა. ყრილობაზე მოწყობილი იყო საკმაოდ მდიდარი გამოფენა. საარქივო საქმის შესახები მასალებისა, ლიტერატურისა, ცენტრარქივის გამოცემათა და სხვა. გამოფენაზევე მოწყობილი იყო დიაგრამები და სხვა გვაჩი ცნობები ცენტრარქივის მუშაობა-მოქმედების შესახებ.

ყრილობას დაესწრო საერთოდ დაახლოვებით 250 კაცამდე, რომელთაგან 137 დელეგატი იყო (107 გარდამწყვეტი ხმით და 30 თათბირო ხმით), ხოლო დანარჩენი—სტუმრები.

ყრილობაზე წარმოდგენილი იყო: 1) ორმოცდა ოთხი გუბერნია, 2) სამი ავტონომიური ოლქი, 3) ექვსი ოლქი, 4) ერთი მხარე, 5) შეიდი რესპუბლიკა რ. ს. ფ. ს. რ.-ში შემავალი და 6) ექვსი რესპუბლიკა ს. ს. რ. კ.-ში შემავალი.

დელეგატების გარდა ყრილობას დაესწრენ შემდეგი დაწესებულებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები: 1) რ. ს. ფ. ს. რ. განათლების სახ. კომისარიატისა, 2) ს. ს. რ. კ. მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატისა, 3) ს. ს. რ. კ. იუსტიციის სახ. კომისარიატისა, 4) რ. ს. ფ. ს. რ. შინაგან ვაჭრობის სახ. კომისარიატისა, 5) რ. ს. ფ. ს. რ. შინაგან საქ. სახ. კომისარიატისა, 6) რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, 7) ლენინის სახელობის ინსტიტუტისა, 8) სვერდლოვის სახელობის უნივერსიტეტისა, 9) ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, 10) რესეთის სამეცნიერო აკადემიისა, 11) რუსეთის კომპარტიის ცეკას პარტიისა, 12) სრულად რუსეთის პროფკავშირთა საბჭოსი, 13) რევოლიუციის მუზეუმისა, 14) ისტპროფისა და სხვათა.

ყრილობის გადამწყვეტ ხმის მქონე დელეგატთა შემადგენლობა, სამანდატო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ ცნობის თანახმად, შემდეგ სურათს წარმოადგენდა:

1) საარქივო მუშაობის სტაჟის მიხედვით: 45 წლის სტაჟით ერთი კაცი, 40—25 წლ.—ექვსი კაცი. 25—8 წლ.—თერთმეტი 7—4 წ.წ. ცხრაშეტი, 4—2 წ.წ. ცხრა კაცი, 2—1 წ.წ. ორმოცდა ცამეტი კაცი, 1 წელზე ნაკლები სტაჟით—რვა.

2) ეროვნებათა მიხედვით: ველიკოროსები—74, უკრაინელები—5, ბელორუსები—1, ქართველები—1, ებრაელები—7, ლატიშები—4, ზირიანები, ვოტაკები, ჩუვაშები, კალმიკები, კარელები და თათრები—თითო, დანარჩენი—9.

3) განათლების მიხედვით: მაღალი სწავლა-განათლებით 39, საშუალო სწავლა-განათლებით 50, დაბალი სწავლა-განათლებით 13, შინაური სწავლა-განათლებით—5 და სპეკიალური სწავლა-განათლებით—11.

4) პარტიულობის მიხედვით: კომპარტიის წევრები—58, კანდიდატები—5, და უპარტიო—44.

5) სქესის მიხედვით: მამაკაცები—102, და დედაკაცები—5, დღეგატა შორის საკუთარი ნაბეჭდი შრომის მქონე აღმოჩნდა საერთოდ—70 კაცამდე.

ყრილობამ თითქმის უცვლელად დაამტკიცა ყრილობის მომწვევ სპორგანიზაციო კომისიის მიერ წინასწარ შედგენილი დღიური წესრიგი და მუშაობის რეგლამენტი. დღის წესრიგში შეტანილი იყო შემდეგი საკითხები: 1) ცენტრარქივის კოლეგიის მოხსენება, 2) ცენტრარქივის მორიგი სპორგანიზაციო ამოცანები, 3) საარქივო აღმშენებლობა ადგილებზე, 4) ურთიერთობა ცენტრარქივსა და სამეცნიერო დაწესებულებათა შორის, 5) სამეცნიერო კვლევა-ძიება და საარქივო საქმის მდგომარეობა დასავლეთ-ვეროპაში, 6) პარტისის მოხსენება, 7) ლენინის სახელობის ინსტიტუტის მოხსენება, 8) ს. ს. რ. კ. რევოლიუციის მუზეუმის მოხსენება, 9) საინფორმაციო მოხსენება მოკავშირე რესპუბლიკათა წარმომადგენლებისა, 10) საარქივო მასალების გამოცემის მეთოდები, 11) საარქივო მასალებისათვის კატალოგისა, საძიებელთა და მაჩვენებელთა შედგენისა და გამოქვეყნების წესი, 12) ფონდების აღრიცხვა და ტოპოგრაფიული მაჩვენებელი, 13) საარქივო ტერმინოლოგიის დამუშავება, 14) საარქივო სწავლა-განათლება, 15) გადამრჩევ კომისიებისა და გადამსინჯავ კომისიების ამოცანები და 16) ცენტრარქივი და მომკმედ დაწესებულებათა არქივები.

პირველი 9 საკითხის შესახებ მოხსენება და კამათი მოხსენილ იქმნა პლენუმის სხდომაზე, რომელმაც გასტანა საერთოდ 3 დღე—14/111-დან 17/111-დღე; პლენუმის სხდომაზევე მოხსენილ იქმნა მოკავშირე რესპუბლიკათა საინფორმაციო მოხსენებანი, მათ შორის ჩემი მოხსენებაც საქართველოს ცენტრარქივის მუშაობა-მოქმედების შესახებ. შემდეგი 5

საკითხი დამუშავდა საარქივო-ტექნიკურ სექციაში, ხოლო უკანასკნელი 2 საკითხი—საორგანიზაციო სექციაში. სექციების მუშაობა გაგრძელდა 2 დღე—17/11-დან 18/11-დე. მარტის 19-ს რეზოლუციების მიღების შემდეგ ყრილობა დაიხურა.

ყრილობის დახურვის მეორე დღეს, ე. ი. მარტის 20-ს, დილის 10 1/2 საათზე ცენტრარქივის შენობაში განახლებულ იქმნა მარტის 13-ს გადაღებული საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრარქივთა წარმომადგენლების თათბირი იმავე შემადგენლობით. პირველი თათბირის გადაღების შემდეგ, როგორც ნათქვამი იყო, მე დებუშით გამოვგზავნე შეკითხვა განათლების სახ. კომისარიატის სახელზე, რწმუნებისა და დირექტივების შესახებ. შეკითხვის პასუხად მარტის 18-ს, ე. ი. ჯერ კიდევ ყრილობის დამთავრებამდე, მივიღე კომისარის მიერ ხელმოწერილი დებუშა, რომლითაც გარკვეული დირექტივები შეძლეოდა. გადმოგზავნილი დირექტივებისა და მიხედვით საქართველოს განათლების სახ. კომისარიატს სასურველად მიაჩნდა საარქივო აღმშენებლობაში რუსეთსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ახლო კონტაქტის დაჭერა და საერთო გეგმის შემუშავება, მაგრამ ცენტრარქივების გაერთიანება და საერთო საკავშირო სამმართველოს დაარსება, საარქივო საქმას ინტერესების თვალსაზრისით, საჭიროდ და მიზანშეწონილად არ იყო ცნობილი. უკრაინისა და უზბეკისტანის ცენტრარქივთა წარმომადგენლებმაც, რომელთაც პირველ თათბირზე მანდატი და დირექტივები არ ჰქონდათ, თავიანთ ცენტრებიდან შეკითხვის პასუხად გარკვეული დირექტივები უკვე მიიღეს. ამასთანავე ყრილობის მუშაობის სიგრძეზე ყველა თათბირში მონაწილეს საშუალება ჰქონდა გაცნობილიყო რუსეთის ცენტრარქივის მიერ წარმოდგენილ პროექტს, რომელსაც როგორც აღნიშნული იყო, პირველ თათბირზე დელეგატები გაცნობილი არ იყვნენ, ასე რომ ამ ჟამად არავითარი დაბრკოლება არ არსებობდა თათბირზე წამოყენებულ საკითხის ჯეროვნად გარჩევისა და მართებულად გადაჭრისათვის.

თუმცა ცენტრარქივის ბიულეტენის პირველ ნომერში ნათქვამი იყო, რომ ახალი პროექტი ძარითადად განსხვავდებოდა რუსეთის ცენტრარქივის მიერ 1924 წ. წარმოდგენილ პროექტისაგან, რომელიც თავის დროზე უარყოფილ იქმნა საქართველოს განათლების კომისარიატისა და საქართველოს ცენტრარქივის სამმართველოს მიერ, მაგრამ ახალი პროექტის გაცნობამ და მის შინაარსის შესწავლამ ცხად ჰყო, რომ არსებითად ორივე პროექტი ერთ მეორესაგან პრინციპში არაფრით არ განსხვავდებოდა. ამის გამო თათბირზე საკითხის განხილვის დროს მე



მოცემულ დირექტივების თანხმად პროექტის წინააღმდეგ წავედი და მის მაგიერ პერიოდულად მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრარქივების წარმომადგენელთა თათბირის აუცილებლობას დაუჭირე მხარი. ამ წინადადების თანახმად წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, ან კიდევ უფრო ხშირადაც, საჭიროებისდა მიხედვით, უნდა მომხდარიყო საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრარქივების წარმომადგენელთა თათბირი, სადაც გაირჩეოდა ყველა ის საკითხები, რომლებიც რუსეთის პროექტის მიხედვით მომავალ საკავშირო ცენტრარქივის სამმართველოს კომპეტენციაში შედიოდა, ე. ი. უმთავრესად საკითხი საერთო საკავშირო მნიშვნელობის საარქივო ფონდების შესახებ, და ამ თათბირის დადგენილება ყველა რესპუბლიკებისათვის სავალდებულო უნდა ყოფილიყო. რუსეთის წარმომადგენლებმა ახლაც თავიანთ მიერ წამოყენებულ პროექტს დაუჭირეს მხარი და ამტკიცებდნენ მის მიღების მიზანშეწონილობას. კენჭის ყრისა და კამათის დროს უკრაინის წარმომადგენლებმა გადაჭრით გაილაშქრეს რუსეთის პროექტის წინააღმდეგ და არსებითად პერიოდულ თათბირის მოწვევას დაუჭირეს მხარი. ამავე აზრისა იყვნენ ბელორუსიისა და თურქმენთა რესპუბლიკების წარმომადგენლებიც. უზბეკისტანის რესპუბლიკის წარმომადგენელმა კი რამოდენიმედ ორჭოფული პოზიცია დაიჭირა: „თუ საერთო საკავშირო ცენტრარქივის სამმართველოს დაარსება ხარჯებს არ გამოიწვევს უზბეკისტანის მხრივ და მის დაარსებას უკანასკნელისათვის საარქივო მასალების ჩამორთმევა არ მოყვება, მე რუსეთის პროექტს მხარს დაუჭერო“, განაცხადა მან.

ამ რიგად ხმები გაიყო შემდეგნაირად: რუსეთის მიერ წარმოდგენილ პროექტს მხარი დაუჭირეს მხოლოდ რუსეთის წარმომადგენლებმა და ნახევრად, თუ შეიძლება ასე ითქვას, უზბეკისტანის წარმომადგენელმაც. დანარჩენებმა-კი, ე. ი. უკრაინისა, ბელორუსიისა, თურქმენთა და საქართველოს რესპუბლიკების წარმომადგენლებმა პროექტის წინააღმდეგ მისცეს ხმა. ცხადია, რომ ამის შემდეგ შეთანხმებაზე და საერთო მოდუსის გამოწახვაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო და თათბირი დაიხურა ისე, რომ საკითხი საერთო საკავშირო ცენტრარქივის სამმართველოს დაარსების შესახებ აბსოლუტური ხმის უმრავლესობით უარყოფილ იქმნა. თათბირი დასრულდა იმავე დღეს, ე. ი. მარტის 20-ს.

ამ გვარად ყრილობის მუშაობამ და თათბირმა გასტანა სულ 7 დღე, აქედან თათბირს მოუწდა 2 დღე, ხოლო დანარჩენი 5 დღე ყრილობას. უნდა ითქვას, რომ ყრილობის მუშაობა მეტად ნაყოფიერი და საგულისხმო იყო, როგორც თავის შინაარსისა, ისე მრავალფეროვანობის მხრივ. ყრილობაზე დელეგატების მიერ წამოყენებული იყო მრავალი



საქირ-ბოროტო პრაქტიკული და თეორიული საკითხი და ეს საკითხები ყრილობამ სავსებით ამოსწურა და ჯეროვანად გააშუქა. ყრილობაზე უკლებლივ გამოაშკარავდა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე საარქივო დარგში რუსეთის ცენტრარქივის მიერ გადაღებულ ნაბიჯებისა, და ყრილობამ საარქივო მოღვაწეთ უჩვენა სწორი გზა მობავალში მუშაობა-მოქმედებისა. ამასთანავე ყრილობამ ყველა პრინციპიალურ საკითხების შესახებ რეზოლიუციების სახით გამოასტქვა თავისი მკვეთრა და კათევორიული აზრი, რომელიც ამიერიდან საარქივო აღმშენებლობაში მომუშავეებისათვის სახელმძღვანელოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული.

ამ მხრივ ყრილობამ სავსებით გაამართლა ის იმედები, რომლებიც მასზე იყო დამყარებული. ყრილობაზე მართლაც საკმაოდ გამოიჩვენა მთავარი მანძე მომენტები საარქივო აღმშენებლობისა არა მარტო რუსეთში, არამედ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიც მაგ., ბელორუსიასა და უკრაინაში, სადაც საარქივო საქმე, როგორც მათ წარმომადგენლების მიერ ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებებიდან სჩანდა, მშვენივრად ყოფილა დაყენებული.

ყრილობაზე გაპორკაეულ ფაქტების მიხედვით და აგრეთვე იმ უშუალო დაკვირვებით, რომელსაც იძლეოდა საარქივო საქმის ვითარებასთან ახლო გაცნობა მოსკოვსა და ლენინგრადში, შესაძლებელია საარქივო აღმშენებლობაში იმ ძირითად განსხვავებათა აღნუსხვა, რომელიც ამ ჟამად ახასიათებს რუსეთის ს. ფ. ს. რ. და საქართველოს ს. ს. რესპუბლიკას. ეს განსხვავება შეიცავს დაახლოვებით შემდეგ მთავარ მომენტებს:

1) საარქივო აღმშენებლობას საბჭოთა რესპუბლიკებში ხელისუფლების მიერ მიქცეული აქვს განსაკუთრებული ყურადღება და ამ დარგის სათანადო ნიადაგზე დაყენებისათვის მუშაობაში ჩაბმულია მეტად მომზადებული ნაწილი სახელმწიფოებრივ მუშაკთა აქტივისა. ამასთანავე ხელისუფლება ენერგიულად სკდილობს შექმნას ახალი კადრი საარქივო მოღვაწეთა, რომელთაც ზედმიწევნით შესწავლილი ექნებათ საარქივო საქმე. ამ მიზნით რუსეთსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებშიც არსებობენ საარქივო საქმის შესასწავლად სპეციალური სასწავლებლები, კურსები და პრაქტიკულად სავარჯიშო ლაბორატორიები, ხოლო ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებობს სპეციალური ფაკულტეტი, სადაც შეისწავლებიან საარქივო საქმესთან დაკავშირებული ყველა საგნები.

2) რუსეთსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, მათ შორის განსაკუთრებით უკრაინასა და ბელორუსიაში, საარქივო საქმე მიჩნეულია სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის ერთერთ აუცილებელ დარგად.

ამასთან დაკავშირებით იქ ცენტრარქივი თავის დანიშნულებისა და ფუნქციების მიხედვით მარტო სამეცნიერო-საზოგადოებრივი დაწესებულება კი არ არის, არამედ იგი წარმოადგენს მთლიან საბჭოთა აპარატის ერთ-ერთ ნაწილს, სახელმწიფოებრივ დაწესებულების ყველა ატრიბუტებით. ცენტრარქივი თავის სტრუქტურისა და აგრეთვე უფლებამოსილების მიხედვით ცალკე უწყებაა, რომელიც იმყოფება ცაკ-ის პრეზიდიუმის გამგებლობაში და რომელიც არც ერთ სხვა უწყებას არ ექვემდებარება არც აღმინისტრაციულად და არც თანანსების მხრივ.

3) ცენტრარქივი, როგორც მართველი აპარატი მოწყობილია ცენტრალისტურ პრინციპზე და მისი — დადგენილება-განკარგულებანი დაუბრკოლებრივ ტარდება რესპუბლიკას მთელს ტერიტორიაზე ავტონომიურ ეროვნულ ერთეულების ჩათვლით.

4) ცენტრარქივი თავის მოქმედებაში ემყარება უმაღლეს მთავრობის მიერ გამოცემულ კანონდებულობითი აქტებს, რომლითაც ბას მინიჭებული აქვს გარკვეული უფლებები. მთავრობის მიერ გამოცემულ კანონების მიხედვით ცენტრარქივის სამმართველო საარქივო საქმეში ერთად ერთი რეგულიატორია მთელს რესპუბლიკაში და ამ დარგში მას ემოჩილებიან ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და პროფესიონალური დაწესებულებანი თუ ორგანიზაციები, დაწყებული სახალხო კომისარიატებიდან და გათავებული კოოპერატიულ დაწესებულებებით: ცენტრარქივის სამმართველო საარქივო ნაწილში ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევს ყველა მომქმედ დაწესებულებას. არსებობს აგრეთვე უმაღლეს მთავრობის მიერ გამოცემული დებულება, რომლის მიხედვით ყველა საგუბერნიო და სამაზრო აღმასკომებთან, უკანასკნელთა განყოფილებების სახით, არსებობს საგუბერნიო და სამაზრო საარქივო ბიურო. ეს ბიუროები იმავე დებულების თანახმად, იმყოფებიან სათანადო აღმასკომების ბიუჯეტზე, ხოლო საარქივო საქმეში უშუალოდ ემორჩილებიან ცენტრარქივის სამმართველოს.

5) საარქივო დარგში მომუშავენი საბჭოთა რესპუბლიკებში შრომის კომპენსაციის მხრივ იმყოფებიან უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე სხვა რომელიმე უწყების მუშაკნი: მათი ჯამაგირი შედარებით მეტია სხვებზე ამჟამად. ხოლო ახალი პროექტს მიხედვით, რომელიც ყრილობის მიერ იქმნა დადასტურებული. საარქივო დარგში მომუშავეთა პირობები ახლო მომავალში კიდევ უნდა გაუმჯობესდეს ჯამაგირების გადიდებისა და სხვაგვარ შეღავათების მინიჭების საშუალებით.

ასეთი იყო ზოგადად რუსეთის საარქივო მოღვაწეთა პირველ ყრილობის მუშაობა და საბჭოთა რესპუბლიკების ცენტრარქივთა წარმომადგენლების თათბირის შინაარსი.

საქართველოს ს. ს. რ. ცენტრარქივის რწმუნებული შ. ჩხეტია.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ივ. ჯავახიშვილი. ქართული საზომების მცოდნეობა ანუ მეტროლოგია. ჩვენი მეცნიერება № 2 1924 წ., № 3-4 1925 წ.

ხსენებული ნაშრომი ივ. ჯავახიშვილისა წარმოადგენს მეორე ნაწილს მისი ნაშრომისას, რომელიც საერთო სათაურით—ქართული საფას-საზომების მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია—იბეჭდებოდა ჟურნ. ჩვენს მეცნიერებაში და რომლის პირველი ნაწილი საფას-მცოდნეობის ანუ ნუმისმატიკის შესახებ უკვე იყო გარჩეული საისტ. მოამბის 1924 წ. მე-II წიგნში. ამ ნაშრომის ზემოდ დასახელებულ მეორე ნაწილის (ქართულ საზომების მცოდნეობის) შესახებ არსებითად შეიძლება ითქვას დახლოვებით იგივე, რაც პირველი ნაწილის შესახებ, ნაოლოდ ამ ნაწილს აქვს, შეიძლება ითქვას, მეტი ნედლი მასალის დაგროვების მნიშვნელობა. მთელი ნაშრომი წარმოადგენს ვრცელს ამონაწერებს სხვადასხვა ბეჭდვით ცნობილ საბუთებიდან და ნაწერებიდან. ასეთი წინასწარი მუშაობა, როგორც თითონ ავტორიც აღნიშნავს (ჩვ. მეცნ. № 2, გვ. 34), მეტად დამქანცველი და მომბეზრებელია, მაგრამ ასეთი მუშაობის ჩატარება, რასაკვირველია, აუცილებელია და საქართვევ. ეკონომიურ ისტორიის თუნდაც კერძო საკითხებზე ყოველ მომუშავეს ასეთი მუშაობა წინასწარ ნაწილობრივ უნდა ჩატარებული ქონოდა. უნდა ითქვას ამასთანავე, რომ ცნობები ივ. ჯ—ლს მაინც სრული ამოწურვით ამოკრებილი არა აქვს. მაგ., ცალ-ს ავტორი ვაჰანის მონასტრის ძეგლის მიხედვით ღვინის საზომად იხსენიებს, თუმცა იქვე უმატებს, რომ „უქველია საპალნეცა და ცალიც მარტო ღვინისთვის კი არა, არამედ ყოველგვარი საქონლისთვის უნდა ყოფილიყო საზომად მიღებული“-ო (№ 2, გვ. 44). ეს შენიშვნა სამართლიანია და თუ ამისთვის დოკუმენტალური ცნობის მოყვანა იყო საჭირო, შეიძლებოდა ამ მიზნით, სხვათა შორის, 1441 წელს დიდ ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთისადმი მიცემულ სიგელის გამოყენება, სადაც მოხსენებულია ცალი ჰური (ისტორ. საბ. III, 23; ქრონიკ. II, 250). დას. საქართველოში შარჩილის ხპარება წონის საზომად (ჩვ. მეცნ. №2, გვ. 59) შეიძლება კიდევ დადასტურებულიყო შეპოქმიდის ზარზმის ბარძიმის წარწერით, რომელიც, საფიქრებელია, მე-18 საუკ. ეკუთვნოდა, ყოველს შემთხვევაში არა უადრეს მე-17 საუკ. მეორე ნახევრისა, როგორც ეს საგულისხმებელია წარწერის შე-

მოქმედის ზარზმის ბარძიმზე და ისიც მხედრული ასოებით წარმოჩენის გამო (Д. Бакрадзе, Путеш. по Гур. и Алч., 137). ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ არსებითად ცნობების ამოკრფის ნაკლებუღვენებას მნიშვნელობა მაშინ ექნებოდა, თუ იქმას ქართული მეტროლოგიის შესახებ ჩვენ ისე გავიგებდით, როგორც ეს ივ. ჯავახიშვილს ესმის. სახელდობრ ქართული საზომების მცოდნეობა ანუ მეტროლოგია წარმოგვედგინა მხოლოდ როგორც ნედლი ცნობების საკმაოდ სრულად ამოკრფვის მისწრაფება და არა როგორც ამ საზომების ერთეულების და თვით სისტემათა გენეტიური განვითარების წამოყენების ცდა. თავის თავად იგულისხმება, რომ საკითხის ასე დაყენება ნიშნავს დასახულ თემის ვერ-გაგებას, რაც სამწუხაროდ ივ. ჯავახიშვილისთვის, როგორც ცნობილია, ძლიერ ხშირ მოვლენას წარმოადგენს. უკვე საინსტ. მოამბეში წ. II, 1925 წ. გარჩეულ მისს „ქართველი ერის ისტორიის მე-15 საუკუნეში“ რომ თავი დავანებოთ, საკმარისია ამისთვის დასახელებულ იქმნას მისივე „ქართული სამართლის ისტორია“, რომელიც სამართლის სწორედ ისტორიას არ წარმოადგენს, მისივე აღრინდელი ნაშრომი „საქართველოს ეკონომიური ისტორია“, რომელსაც აგრეთვე ძლიერ ძნელია ისტორია ეწოდოს და სხ. უნდა აღიიშნოს, რომ ავტორს საზომების მცოდნეობის საკითხში თითქოს ესმის თემის სწორად დაყენების საჭიროება, როდესაც ის ამბობს— „ჩემი ყურადღება უმთავრესად საზომების თავგადასავალის შესწავლასა და ოდენობის განსაზღვრაზე იყო მიპყრობილი“—ო (ჩვ. მეცნ. № 2, 34), მაგრამ ცდება, როდესაც თავის ნაშრომს თვითონვე უყვეთებს რეკომენდაციას— „მკითხველი იმედია დარწმუნდება, რომ ამ მხრივ ბევრი საყურადღებო და საგულისხმო გარემოება ირკვევა“ (იქვე), რადგან მართალია ავტორი, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ცდილობს გამოვიდეს წყაროებიდან ამონაწერების აპარგლებიდან და მოგვცეს მასალების განმარტების ცდა, მაგრამ მეთოდოლოგიურ დეფექტების გამო და აგრეთვე იმიტომ რომ ავტორს არ აქვს თავისთვის შედგენილი პერსპექტიული წარმოდგენა მეტროლოგიის განვითარების შესახებ საქართველოში, ეს ცდა რჩება უნაყოფოდ. დავასახელებთ მაგალითებს.

ავტორმა, მაგ., იცის, რომ სტილი ვახტანგის სამართალით 28 მისხალი იყო, ხოლო საბას ცნობით 33½ მისხალს შეიცავდა, იცის ისიც, რომ გვლდენშტედტის დროს სტილში უკვე 36 მისხალი ითვლებოდა, მაგრამ ქიზიყის გარიგების წიგნს, რომელსაც ე. თაყაიშვილი დაახლოვებით 1750—1760 წლებს აკუთვნებდა, ხოლო დ. ფურცელაძე 1798 წლით ათარიღებდა და რომელშიაც მოხსენებულია „ქალაქური სტილი ოცდაცამეტ მისხლიანი,“ მაინც მიაკუთვნებს 1798 წელს. მართალია ივ. ჯ—ლი იქვე განმარტავს, რომ ეს „ეს გარიგების წიგნი



ძველ დავთრებზეა დამყარებული და უეჭველია საზომთ ოდნობა წინან-  
დელად უცვლელად ექმნებოდა დატოვებული-თ“ (ჩვ. მეცნ. № 3—4,  
33), მაგრამ სწორედ ეს უკანასკნელი განმარტება ყოველად შეუძლე-  
ბელია მიღებულ იქნას, რადგან გამოსავლის გარიგების წიგნებს პრაქ-  
ტიკული მნიშვნელობა ჰქონდა და საზომებიც რასაკვირველია ცხოვ-  
რებაში ხმარებულ ერთეულებთან იყო შეფარდებული. 33 მისხლიან  
ქალაქური სტილის მოხსენება ცხადად ამტკიცებს, რომ ქიზიყის გამო-  
სავლის გარიგების წიგნი მიეკუთვნება დაახლოვ. 1720—1750 წ. და  
არა 1798 წ., როგორც ამას უსაფუძვლოდ ფიქრობს ივ. ჯ—ლი. ეს  
ფაქტი გვიჩვენებს, რომ ავტორს, სამწუხაროდ, არა აქვს შეთვისე-  
ბული საჭიროება ამა თუ იმ საკითხის დროის მიხედვით პერსპექტი-  
ულად დაყენების შესახებ. და ეს იმ იშვიათ შემთხვევაშიც, როდესაც  
ავტორი ცდილობს ამა თუ იმ საკითხის განმარტებას მისი რეალური  
შინაარსის და მოცულობის თანდათან განვითარების მხრივ. ასეთი შემ-  
თხვევებიც, უნდა აღნიშნოს, ცოტაა, რადგან, ვიმეორებთ, ავტორის  
წაშრომი წარმოადგენს საბუთებიდან მხოლოდ ნედლი მასალის ამო-  
კრების ცდას.

საზოგადოდ საბუთებიდან ამოკრებილ და დაგროვილ ცნობე-  
ბის ჯეროვანად გამოუყენებლობა, მასალების სათანადოდ ვერ გაგების  
გამო, ივ. ჯ—ლს ახასიათებს სხვა შემთხვევებშიდაც. მაგ., ავტორი  
ცდილობს გამოარკვიოს საპალნის ოდენობა და მოყავს საბას ცნობა,  
რომელიც დატულია საბასავე ევროპაში მოგზაურობის აღწერილობა-  
ში: „ყათარი ოცდაათი სტამბოლის ბათმანი იქნებოდა, თითო ბა-  
მანი ორმოცდარვა თუხტი რომ ხუთი ცხენის საპალნე უფრო  
მოვა“-ო (ცისკ. 1852 წ. № 4, გვ. 62). ამ ცნობათგან ცხადი ხდე-  
ბაო, განაგრძობს ივ. ჯ—ლი, რომ თუ 30 სტამბოლის ბათმანი=5  
ცხენის საპალნეს, 1 ცხენის საპალნე 6 სტამბოლის ბათმანის ოდენა  
ყოფილაო და რადგან სტამბოლის ბათმანი ქართულ 2 ლიტრას 1 ჩა-  
რექს და 3 სტილს უდრიდა, ამიტომ ცხენის საპალნე 14 ლიტრის 1  
ჩარექის და 3 სტილის წონა უნდა ყოფილიყოო (ჩვ. მეცნ. № 3—4  
გვ. 35). როგორც მოსალოდნელი იყო, ეს დასკვნა ივ. ჯ—ლს საეჭვოდ  
სჩვენებია, რადგან შარდენს აღნიშნული აქვსო, ამბობს ავტორი, რომ  
საქართველოში საპალნე ღვინო 300 ლიტრას იწონიდაო. ხოლო ხსე-  
ნებული ცნობა იმდენად დაშორებულია შარდენისაგან აღნიშნულ 300  
ლიტრიან ცხენის საპალნეს (21 ჯერ), რომ უეჭველია აქ რაიმე შეცუ-  
დომა უნდა იყოსო (იქვე). შეცდომა რასაკვირველია არის, მაგრამ ეს  
შეცდომა მოსდის თვით ივ. ჯ—ლს, როდესაც შარდენის სრულიად  
მარტივ ცნობას, რომ ცხენის საპალნე მის დროს ქართლში (და იმე-  
რეთშიდაც) 300 ლივრს (ფრანგულ გირვანქას) იწონიდა, გებულობს ისე,



თითქოს აქ შესაძლებელია 300 ქართულ ლიტრაზე ლაპარაკი. ამ ვითარებაში 300 ქართულ ლიტრიან საპალნეს შესახებ ქვემოთ იქნება ლაპარაკი, აქ კი საჭიროა აღინიშნოს, რომ ივ. ჯ—ლის ვაკვირება 14 ლიტრის 1 ჩარ. და 3 სტილის ოდენა საპალნეს შესახებ სრულს გაუგებრობაზეა დამყარებული, სახელდობრ ივ. ჯ—ლს ვერ გაუგია საბას ტექსტის სათანადო ადგილი. საბა სწერს: „30 ლვინობისთვის ერთმა მალთისელმა უფროსმა კაცმა გვაწვია... წაგვიყვანა, სადაც თოფის წამალს ნაყვენ... თორმეტს ადგილს წამალი ინაყებოდა, ერთს დღეს ხუთი ყანთარი დაინაყებოდა, თვით ყანთარი 30 სტამბოლის ბათმანი იქნებოდა, თვით ბათმანი 48 თუხტი რომ ხუთი ცხენის საპალნე უფრო მოვა“ (ცისკ. 1852 წ. № 4, გვ. 22). კონტექსტით ცხადია, რომ საბა ლაპარაკობს ხუთი ყანთარის შესახებ, რომ ეს ხუთი ყანთარი თოფის წამალი ხუთი ცხენის საპალნე უფრო მოვაო. ერთი ყანთარი მაშასადამე ერთი ცხენის საპალნეს უდრიდა, ყანთარში კიდევ სამს უჩვენებს 30 სტამბოლის ბათმანს, თითო ბათმანს 48 თუხტიანს. საპალნე ამის მიხედვით გამოდის საბას დროს დაახლ. 48240 მისლის წონის.

ახლა შარდენის მიერ მოხსენებულ საპალნეს რომ დავუბრუნდეთ, ცხადია, რომ როდესაც შარდენი საპალნეს ოდენობას 300 ლიტრად უჩვენებს, ეს რასაკვირველია გულისხმობს 300 ფრანგულ გირვანქას. გასაკვირველია ამიტომ, რომ ივ. ჯ—ლი მსჯელობას მართავს ამ 300 ქართულ ლიტრიან საპალნეს შესახებ და დასკვნის — ქართულ საპალნე ამის მიხედვით 836 კილოგრამის ან 51,64 რუს. ფუთის წონის გამოდის და ასეთი სიმძიმის დაძლევა არც ერთს ცხენს არ შეუძლიაო. მხოლოდ ასეთ უცნაურ დასკვნის გამო ავტორი შესაძლებლად სთვლის შარდენის ცნობაში ფრანგული გირვანქა იგულისხმოს (გვ. 35, № 3—4). მთელი ეს მსჯელობა სრულიად ზედმეტად უნდა ჩაითვალოს. თავისთავად იგულისხმება, რომ შარდენი გულისხმობდა ფრანგულ გირვანქას, როდესაც საპალნეს 300 ლიტრის წონისად სთვლიდა. ამისდა მიხედვით საპალნე ქართლსა და იტალიაში მე-1670 წლებში იწონიდა 34260 მისხალს ანუ 8,9 ფუთს. საბას მიერ მოხსენებული საპალნე კი 48240 მისხალი უნდა ყოფილიყო დაახლოვებით ორმოციოდე წლის სიგრძეზე საპალნე ამგვარად გაზრდილა 41%—ით. შემდეგ დროებში საპალნე განიცდიდა კიდევ ახალს ზრდას და მე-19 საუკ. ნახევარში საპალნე ქართლში (იხ. კავკ. კალენდარი მე-1850 წლ.) შეიცავდა 27 რუს. ფუთს ანუ 102,680 მისხალს. ამ სრულიად ცხად ფაქტებში ივ. ჯავახიშვილი სამწუხაროდ ვერ გარკვეულა.

ასევე უცნაურად სჩანს, მაგ., ივ. ჯ—ლის ვაკვირება ქუთ. საყდრის 1578 წლის დავთარში 24 სანაოთხლოს შემცველ ურე-

მის მოხსენების შესახებ («ლომი ურემი ერთი ოცდაათი სანაოთხლო», ქუთ. საყდრ. დავთ., ე. თაყაიშვი. გამ., § 256—267). ივ. ჯ—ლი ფიქრობს, რომ ნაოთხალი ერთს ჩარეკს უდრის ანუ ლიტრის მეოთხედს (ჩვ. მეცნ. № 3—4, გვ. 37, 30—31) და დაასკვნის, რომ რადგანაც „დას. საქართველოში ჩარეკს რუსულ 2 გირვანქიანის წონა 3ქანდა, 24 ნაოთხალანი ღოჯის ურემი 48 გირვანქის ანუ ნახევარი კოდის ტვირთის დამტევი ურემი გამოდის“-ო (იქვე გვ. 37, შეადკიდევ გვ. 31). ეს დასკვნა სრულებით მიუღებელია. ურემის ზომა, თავისთავად იგულისხმება, გამომდინარეობს თავით მისი დამტევი ტვირთის დაახლოვებით მაინც ოდენობიდან. რა საბუთით ფიქრობს ივ. ჯ—ლი, რომ ურემი თუნდაც დას. საქართველოში მე-16 საუკ. მხოლოდ 48 გირვანქის ტვირთის დამტევი ყოფილიყო, ეს სავესები გაუგებარია. ივ. ჯ—ლის შეცდომა ამ შემთხვევაშიც აიხსნება იმ ძირითად მეთოდოლოგიური დეფექტით, რომ ავტორი არ აყენებს საკითხს დროისა და ტერიტორიალურ სივრცის პერსპექტივის მიხედვით. მართლაც, საბას მიხედვით ნაოთხალი ლიტრის მეოთხედია და უდრის ერთს ჩარეკს, ჩარეკი კიდევ გვლდენშტედტით იმერეთშიც ლიტრის მეოთხედია, ლიტრა კიდევ იქ მაშინ 8 რუს. გირვანქას უდრიდა (Reisen I, 354, 383), მაშასადამე ჩარეკი იმერეთში მე-1770 წლებში 2 რუს. გირვანქას შეადგენდა, მაგრამ მე-18 საუკუნის ერთის მხრივ ქართლის და მეორეს მხრივ იმერეთის შესახები ცნობების აღება და მათი შეფარდება მე-16 საუკ. შესახებ იმერეთის ცნობებთან მეთოდოლოგიურად ყოველად მიუღებლად უნდა ჩაითვალოს. მართლაც ნაოთხალი, მეგრული წარმოშობის ტერმინი (მეგრ. ნაანთხალი-ქართ. მეოთხედს), უნდა იყოს საზოგადოდ ერთ-ერთ მკვიდრად მიღებულ ერთეულის მეოთხედი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ რაქაში მე-19 საუკ. ნახევარში ნაოთხალი შეადგენდა კოდის  $\frac{1}{4}$ -ს (Кавк. кал. 1859 г.). კოდის და ნაოთხალის ასეთი შეფარდება საფიქრებელია მე-19 საუკუნეზე წინანდელ დროისთვისაც იქნებოდა მიღებული და საგულისხმებელია არა მარტო რაქაში, არამედ იმერეთის სხვა მხარეებშიც. საყურადღებოა, რომ რაქაშივე მე-19 საუკ. ნახევარში ნაოთხალი 2 ფოხალს შეიცავდა (იქვე) და რადგან ფოხალი ჩვეულებრივ შემდეგ კოდის ნახევრად იყო მიღებული, გამოდის, რომ ნაოთხალი არსებითად, ყოველ შემთხვევაში ერთი მიმართულების ცნობის მიხედვით, კოდს უდრიდა. როგორც ზემოდ მოხსენებული იყო (ქართ. მეტროლოგია, გვ. 67 ამავე წიგნში), კოდი საფიქრებელია იწყებს საქართველოში გაბატონებას მე-14 საუკ. დასაწყისიდან. საყურადღებოა, რომ ქუთაისის 1578 წლის დავთარში კოდი სრულიად არ იხსენიება, ღომის ერთეულად ჩვენ ვხედავთ ნაოთხალს. კოდი მე-16 ს-ში იმერეთში უკვე

ცნობილი იყო. ამას ამტკიცებს 1540 წლ. ახლოს მხეციძეების მიერ გელათისადმი მიცემული საბუთი (დას. საქ. საეკლ. საბ. I, 12), სადაც ფქვილის საზომად კოდიც იხსენიება და ნაოთხალიც\*), მაგრამ საერთოდ მე-16 საუკ. იმერეთში ჯერ კიდევ თითქოს გაბატონებულათ არა სჩანს. ნაოთხალი მე-16 საუკუნეშივე იმერეთში თითქოს იწყებს ადგილის დათმობას კოდისთვის, რომელიც ამ თვალსაზრისით დაახლოვებით მართლაც ნაოთხალის ზომის გამოდის (ეს შეფარდება შესაძლებელია მხოლოდ დაახლოვებითი ყოფილიყო). ამისდა მიხედვით ნაოთხალი გამოდის უფრო მსხვილი ერთეულის (ჩვენის აზრით გრივი-ს) მეოთხედი (ამის შესახებ ზემოთ ს. კაკაბ., ქართ. მეტრ., 69). ყველა ამ მოსაზრებების გამო შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მე-1570 წლებში ქვემო-იმერეთში 24 სანაოთხლოს შემცველი ურემი ფაქტიურად დახლოვებით იგივე 24 კოდის შემცველი იქნებოდა, კოდზე საშუალოდ 9 ლიტრის ანგარიშით (ქუთ. დავთარი კოკას უმეტესად 9 ლიტრისას ანგარიშობს) სულ 216 ლიტრის წონისა. თუნდაც რომ ლიტრაზე ამ დროს იმერეთისათვის 1525 წლის გორულ 400 მლტულიან ლიტრის მაგალითით 400 მისხალი ვიანგარიშოთ, მივიღებთ ურემის ზომას დახლ. 86,4 ათ. მისხალს (1770 წ. ურემი ქართლში 40 ფუტს ანუ 153,6 ათ. მისხ. იწონიდა).

ასეთივე შეცდომა მოსდის ივ. ჯ—ლს, როდესაც წყრთის და ადლის შეფარდებითი ოდენობას არკვევს. ავტორს სამართლიანად ყურადღება მიუქცევია საცაიშლოს გამოსავლის დავთარში ჯგალი გამოსავალში ამის შესახებ დაცულ ცნობისთვის. სახელდობრ ამ ცნობაში მოხსენებულია რომ ორს კომლს ფათხაებს მართებს წელიწადში თითო 300 წყრთა ტილო ცაიშელის სასარგებლოდ, საერთო ჯუშა-ლის შესატყვისად კი მოხსენებულია 300 ადლი ტილო. ცხადია 300 ადლი აქ უდრის (300×2=) 600 წყრთას, ადლში მაშასადამე 2 წყრთა ითვლებოდა (ამის შესახებ ზემოთ, ს. კაკაბ., ცნობ. ელორ. ყმათ შესახებ ხონს და კუხს, 174). ივ. ჯ—ლს ეს ცნობა გადაურე-ვია და ამიტომ ეს ადგილი მას გამოუყენებია ადლის და წყრთას ექვი-ვალენტობის დასამტკიცებლად (ჩე. მეცნ. № 3—4, გვ. 54), რაც რა-საკვირველია ცხად შეცდომის წარმოადგენს. ამის მიხედვით ივ. ჯ—ლი სჩადის სხვა შეცდომასაც, როდესაც მოყავს საბას ლექსიკონიდან ცი-ტატა: „მილი ფრანგულად ათასი ბიჯი გინა ორი ათასი წყრთა“ არი-სო და დაასკვნის—რომაული მილი მართლაც ათას passus უდრიდა, წყრთის ოდენობა კი სწორე არ არისო (იქვე, 55). ავტორი აქაც

\*) კოდი იხსენიება კიდევ ვახუშტი აბაშიძის მიერ მიცემულ ერთ შეწი-რულობის წიგნში, რომელიც ჩვენ დათარიღებული გვეჩნდა 1550—1570 წლე-ბით (ს. კაკაბ., დას. საქ. საეკლ. საბ. I, 21), მაგრამ ამ თარიღს კიდევ სკირდება შეჯერება.

სწორ მსჯელობას არის გადაცილებული, რადგან საბას ცნობიდან გარკვევით სჩანს, რომ ბიჯი ორს წყრთას შეიცავდა და რადგანაც აღლში აგრეთვე ორი წყრთა იყო, ამიტომ ბიჯი და აღლი ერთი და იმავე ზომისა უნდა იქმნეს მიღებული (ზემოთ, ქართ. მეტროლ., 55).

ივ. ჯ—ლის ნაშრომის დიდ ნაკლს წარმოადგენს აგრეთვე წყაროებზე არა-სისწორით დამყარება. რამოდენიმე ამისი მაგალითი ჩვენ ზემოთაც მოვიხსენიეთ. დავასახელებთ კიდევ რამოდენიმე ფაქტს. ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ დაბადებაში იქ, სადაც კოკაა მოსალოდნელი, ამ სიტყვის მაგიერ სარწყული არის მოხსენებული (ჩვ. მეცნ. № 2, გვ. 21). ნამდვილად კი შესატყვის ადგილებში ტერმინი საწყაული არის მოხსენებული. სახარებაში (იწე 26) აგრეთვე საწყაული იხსენიება. მართალია სახარებაში გვხვდება სარწყულიც, მაგრამ მხოლოდ ბერძნულად შეთანხმებულ უძველეს თარგმანში (ჯრუჟ. პარხ.) და ისიც სულ სხვა მნიშვნელობით. სომხურიდან თარგმანში (ადიშ.) სარწყულის ადგილას გვხვდება ტაკუკი („მუნ დგეს ტაკუკნი მარმარილოჲსანი ექუსნი... შთაისხის თითოეულმან მათგანმან ორ ანუ თუ სამ საწყაულ“. ამის შესახებ ს. კაკაბ., საისტ. ძიებანი, 22—23). სარწყული და ტაკუკი აქ ქვის აუხსა ნიშნავს, ხოლო უძველესი საზომის ერთეულად, რომელიც ლიტერატურულად არის დადასტურებული, საწყაული უნდა მივიღოთ და არა სარწყული.

ასეთივე შეცდომით მოყავს ივ. ჯ—ლს დაბადების ერთი ციტატა თითქოს ტერმინის ნაოთხალის, როგორც საზომის ერთეულის, დამადასტურებელი. სახელდობრ ლევ. 23<sub>13</sub> მოხსენებულია ნაოთხალი მოორისა ღვნო,“ მაგრამ ნაოთხალი აქ მეოთხედს ნიშნავს და არა საზომის ტერმინს, როგორც ამას ფიქრობს ივ. ჯ—ლი (ჩვ. მეც. № 2, გვ. 51).

საწყაულის შემდგენლობის დროს იყო საწყაო. აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით კიდევ ერთი შეცდომის გასანსწორებლად, რომელიც მოსდის ივ. ჯ—ლს ასევე წყაროების თავისებურად გაგების და გადაკეთების ვამო. გვლდენშტედტს აქვს ერთი ცნობა „ein Doki hält 4 Maass (Reisen I, 393). გერმანული ტერმინი Maass ივ. ჯ—ლს სრულიად მოულოდნელად ქართულ ერთეულად საწყაოდ გადაუთარგმნია და აქედან მიუღია დასკვნა—გვლდენშტედტს საწყაო დოქის შემადგენელ ერთეულად აქვს მოხსენებული (ჩვ. მეცნ. № 2, გვ. 61). ნამდვილად კი გვლდენშტედტს მოხსენებული აქვს „ein Doki hält 4 Maass oder 1/2 russischen Eimer,“ საიდანაც ცხადად სჩანს, რომ გვლდენშტედტს გერმანული მაასი აქვს სახეში (გვრმ. მაასი დაახლოვ. 1/3 რუს. ვედროს შეადგენდა). აშკარა შეცდომაა ამიტომ, როდესაც ივ. ჯ—ლი საწყაოს დოქის მეოთხედად სთვლის (ჩვ. მეცნ. № 3—4, გვ. 42). ნამდვილად კი საწყაოში 6 დოქი ითვლებოდა.



ყოველს შემთხვევაში ასე იყო მე-19 საუკ. ნახევარს გურიაში (Кавк. კაღ. 1859 г.).

იმავე საწყავის შესახებ ივ. ჯ-ლს კიდევ მოყავს ქუთ. საყდრის დავთრიდან (წ 301) ცნობა— „საწყავი ხუთი თოახმეტ ჯამ შემავალი“— და დასკვნის, საწყავი 14 ჯამიანიც არსებობდაო (ჩვ. მეცნ. № 3—4, გვ. 42). თავისთავად რასაკვირველია საწყავის ეს 14 ჯამიანობა არაფერს ლაპარაკობს, რადგან ივ. ჯ-ლი მაინც ვერ არკვევს ამ ერთეულების წონას დახლოვებით მაინც. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც ჩვენ გვაქვს შემთხვევა ივ. ჯ-ლის მიერ პირველ-წყაროს ტექსტის ვერ-გაგების კიდევ ერთ მაგალითთან. „საწყავი ხუთი 14 ჯამ შემავალი“ უნდა ნიშნავდეს, რომ ხუთ საწყავში 14 ჯამი ითვლებოდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, გათვალისწინებით იმ გარემოებისა, რომ საწყავი ამ დროს იმერეთში დახლოვებით კოკას ოდენა არის საგულისხმებელი. კოკა კიდევ ქუთაისის საყდრის დავთრით ორთაშუა-რიცხვით 9 ლიტრიანი იგულისხმება (ს. კაკაბ., ქართ. მეტროლოგია, ზემოდ, 64), ჯამი გამოვიდოდა ძლიერ პატარა წონის, რაც არ შეეუფრება ჯამსა, ატარსა და ლიჯს შორის ოდიში მე-17 ს-ნეში დადსტურებულ ურთიერთობას (ამაზე ზემოდ, ქართ. მეტროლო., 64).

ასეთივე შეცდომა მოხდის ივ. ჯ-ლს, მაგ., გოდორის ზომის გამორკვევისას. ავტორს მოყავს აფხაზ. საკათალიკოზო დავთრიდან ნავენახელთა ღომის გამოსავლის ჯუშალი—134 წონა. რადგანაც შეწერილ ღომის საერთო ჯამი კომლეულად იანგარიშება 128 წონა და 18 გოდორი ღომი, ამიტომ, დასკვნის ი. ჯ-ლი, 6 წონა 18 გოდორი ყოფილა, 1 წონაში—3 გოდორიაო (ჩვ. მეცნ. 3—4, გვ. 36). აქაც ი. ჯ-ლს მოხდის შეცდომა ტექსტის სათანადოდ ვერ შეფასების გამო. ერთი რომ ი. ჯ-ლს არა აქვს გარკვეული, რომ აფხაზეთის საკათალიკოზო დავთარში ნავენახელთა გამოსავლის ნუსხა შეტანილია გელათის წმ. გიორგის 1545 წლის ცნობილ სიგელიდან (შეად. აფხაზ. საკათლ. დავთ., გვ. 4—6 და იქვე დამატებაში გვ. 64—65), ამას კი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნავენახელთა შესახებ ნუსხა ამგვარად მე-16 ს-ნის პირველ ნახევრის გამოდის. მაგრამ გარდა ამისა საკათალიკოზო დავთარში გადამწერს შეცდომით ერთი მეკომურთი ორჯერ აქვს ჩაწერილი ერთი და იმავე გამოსავლით (ნინია ხაჭუბერიძე, გვ. 5, შეად. გვ. 64). ამისდა მიხედვით ცალკე მეკომურთა ღომის გამოსავლის ანგარიში გამოდის 116 წონა და 18 გოდორი. რადგანაც ჯუშლად თვით ტექსტი 134 წონას უჩვენებს, გამოდის, რომ 18 გოდორი 18 წონა ყოფილა. გოდორი და წონა მაშასადამე ერთი ზომის იგულისხმება.

ასევე ივ. ჯ-ლს მოყავს საბას ცნობა, ქსანი ოთხი თუხტის ნაოთხალი უნდა ყოფილიყო, თუხტი საბათი 33,5 მისხალია და რადგანაც საბას სიტყვით ლიტრა 661 მისხალს შეიცავდა (აქაც შეცდომაა,



უნდა იყოს 670 მისხ.), ამიტომ გამოდისო, რომ ქსანი ლიტრის  $\frac{1}{4}$ -ზე ცოტა მეტი ყოფილა, რაც სრულებით ეწინააღმდეგება საბასავე ცნობას ქსან-ჩარეკ-ლიტრის ურთიერთშორისი დამოკიდებულების შესახებ; სახელოდობრ რომ ქსანი ლიტრის მეოთხედის მეოთხედი ( $\frac{1}{16}$ ) იყოო, — ამბობს ივ. ჯ—ლი (ჩვ. მეცნ. № 3—4, გვ. 32). ავტორის გაკვირვება აქ სრულებით ზედმეტია. ივ. ჯ—ლს პირდაპირი დაუმახინჯებია საბას ცნობა. საბა ამბობს—„ქსანი (არის) ორი თუხტი და თუხტის ნაოთხალი“ (ლექსიკ., 330). აქედან ქსანი საბათი უდრიდა 75,37 მისხალს. მაგრამ აქ საბას დაბეჭდილ ტექსტში შეცდომა უნდა იყოს უნდა იყოს: „ქსანი არის თუხტი და თუხტის ნაოთხალი.“ მაშინ ქსანი გამოვა 41,775 მისხ. წონის, ანუ მართლაც ლიტრის  $\frac{1}{16}$ .

ჩვენ რასაკვირველია არ გავჩერდებით ივ. ჯავახიშვილის ნაშრომის ყველა ასეთ დეფექტებზე. საჭიროა კიდევ მხოლოდ აღნიშნოს, რომ ავტორი უყურადღებოდ ეპყრობა რიცხვობრივ ანგარიშებს, რის გამო ხშირად იქმნება უხერხული მდგომარეობა. ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა (საისტ. მე II, 24 წ., 291—292) ავტორის შეცდომა რიცხვობრივ ანგარიშში, როდესაც მან ამ მის მიერვე დაშვებულ შეცდომაზე ააგო მთელი დასკვნა ვახტანგ VI-ის დროინდელ ქართულ ვერცხლის საფასის შინჯადობის შესახებ. ასეთსავე რიცხვობრივ შეცდომებს სჩადის ივ. ჯ—ლი თავის მეტროლოგიაშიც. სტილში საბათი  $33\frac{1}{2}$  მიტყალი იყო. რადგანაც ლიტრაში 20 სტილი ითვლებოდა, ამიტომ, დასკვნის ივ. ჯ—ლი, ლიტრა 661 მისხალი გამოდისო (ჩვ. მეცნ. № 3—4, გვ. 20) და შემდეგ სათანადო ადგილებში ამ 661 მისხლის შემცველ ლიტრაზე აქვს ლაპარაკი (იქვე, 21, 22). ნამდვილად კი საბას დროინდელი ლიტრა შეიცავდა  $33,5 \times 20 = 670$  მისხალს.

უფრო მნიშვნელოვანია მეორე შეცდომა, რომელიც მოხდის ივ. ჯ—ლს, როდესაც სტამბოლის ბათმანში (მე-18 საუკ. დასაწყ.) 2948 მისხალს ანგარიშობს და ეს ციფრი გაპოყავს საბას ცნობიდან, რომ თითო ბათმანში 48 თუხტი ითვლებოდა, თუხტში კიდევ  $33\frac{1}{2}$  მისხალი ირიცხებოდა. ნამდვილად კი უნდა იყოს არა 2448, არამედ  $(33\frac{1}{2} \times 48 =) 1608$  მისხალი.

სხვა წვრილ ფაქტებზე ჩვენ არ გავჩერდებით, მით უმეტეს რომ ავტორი დაკმაყოფილებულა უმთავრესად მხოლოდ ისტორიულ საბუთებში დაცულ ცნობების ამოკრებით და მათი აღნუსხვით, თუმცა წყაროები ავტორს ყველა არა აქვს გამოყენებული (მაგ., სრულებით არაა გამოყენებული საცაგ. გამოს. დავთარი და ზოგი სხვა მასალაც).

ი. ჯავახიშვილის საფას-მცოდნეობა და საზომთ-მცოდნეობა (ნუ მიზმატიკა-მეტროლოგია) გამოვიდა ცალკე წიგნადაც (ტფ. 1925 წ.). ცალკე გამოცემა განსხვავდება იმით, რომ მას დართული აქვს თ. ლო

შოურის მიერ კარგად და ვრცლად შედგენილი საძიებლები. ცალკე გამოცემას დართული აქვს მ გვერდიანი ბოლოსიტყვაობა, რომელიც არსებითად ივ. ჯ—ლის ნაშრომის ზოგიერთ ფაქტის შესწორების ცდას წარმოადგენს. მაგრამ აქაც ვხვდებით შეცდომებს. ცხადი შეცდომა უნდა იყოს, მაგ., ტერმინის ფსომიარეს დაკავშირება ბერძნულ ψαμίν-სთან, რადგან ეს სიტყვა ბერძნულად ლუკმა პურს ნიშნავს და ცხადია მას არაფერი საერთო არ უნდა ქონდეს საზომის საკმაოდ მსხვილ ერთეულ ფსომიარეს-თან (თვით ფსომიარეს შესახებ იხ. ს. კაკაბ., პატარა წერილები და შენიშვნები, 244—245, ამავე წიგნში). ძლიერ უცნაურია აგრეთვე უკვე ქართულათაც სხვა არა იყოს რა დაბეჭდილ მოსაზრებების შემდეგ (საისტ. მ-ე II, 24 წ., გვ. 86, და 101 და სხ., კიდევ გვ. 279), რადგანაც ივ. ჯ—ლის ნაშრომის ბოლო ნაწილი საისტ. მ-ბის ხსენებულ წიგნის გამოსვლის შემდეგ იბეჭდებოდა, რომ ანტიკური თუმნის დეგრადაციის პროცესის საჩვენებლად შარდენის ცნობას ეყრდნობა და ამბობს: „შარდენის ცნობისაგან ირკვევა მაინც, რომ მონღოლური 10 ათ. ოქროს დინარიდან თუმნის ამომცრობა სპარსეთშიაც უცნობი არ ყოფილა და პირველად იქნება სპარსეთში იყოს მომხდარი“-ო (ცალკე გამ., 132—143). ნამდვილად კი თუმნის დეგრადაცია დასტურდება სრულიათ გააკვევით ლიტერატურულად შარდენზე ბევრათ უფრო ადრე (ამის შესახებ საისტ. მ-ე II, 24 წ. დასახელ. ადგილ. და საისტ. მ-ე I, 25 წ. საფასის ისტორიისათვის საქართველოში, 11—14).

პრ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორ., II ტომი, საერო მწერლობა მე-11—18 საუკ. ტვ. 1924 წ. (გამოვიდა 1925 წ. დასაწყ.).

დასახელებული, წელს გამოსული წიგნი კ. კეკელიძისა წარმოადგენს გაგრძელებას მის მიერ შედგენილ ქართულ ლიტერატურის ისტორიის I ტომი, ძველი (იგულისხმება საეკლესიო) მწერლობა, რომელიც გამოვიდა 1924 წლის დასაწყისს და შეიცავს, როგორც სათაურიდანაც სჩანს, ქართული საერო ლიტერატურის ისტორიის ცდას. ამ წიგნის გამოსვლა თავისთავად რასაკვირველია წარმოადგენს დადებით მოვლენას, მით უმეტეს რომ აქამდის გარდა ალ. ხახანაშვილის ეხლა უკვე მოძველებულ ნაშრომისა სხვა სათანადო წიგნი ქართულად არ მოიპოვებოდა. წიგნის ღირსებას შეადგენს მასალების სისტემატიურად დალაგების ცდა, თუმცა ამ დალაგების ცდაში შესაძლებელია სხვანაირი გაგებაც არსებობდეს. მით უმეტეს ზედმეტად და სამწუხაროდაც უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გარდა საგაზეთო რეკლამისა, რომელიც წინაუხსწრებდა წიგნის გამოსვლას, თვით

წიგნს არსებითად ახასიათებს იგივე რეკლამური მედიდურობა, რომელიც სამწუხაროდ ძლიერ ხშირად გამოსქვივის არა მარტო წვრილმანებში, არამედ უმთავრესად იმ მკვლევართა მიმართ მოპყრობაში, რომელთაც ქართული ლიტერატურის ისტორიის როგორც კერძო საკითხების გარკვევაში, ისე განსაკუთრებით ქართულ მწერლობითი მასალების დაგროვებასა და შეიძლება ითქვას პირველ მეცნიერულ სისტემატიზაციაში (ეს ითქმის კერძოდ ალ. ხახანაშვილის შესახებ) დიდი ღვაწლი მიუძღვის. უნდა ითქვას, რომ ავტორის ამგვარი პოზიცია, თავისთავადაც შეუწყნარებელი, გაუგებარი ხდება განსაკუთრებით ამ შემთხვევაში, რადგანაც წარმოდგენილი წიგნი თავისი შინაგანი თვისებებით მაინც სუსტ არგუმენტად სჩანს ამგვარი პოზიციის გასამართლებად. დავიწყით მე-თოდოლოგიური მომენტებით.

ავტორს, როგორც სჩანს, თავისი ამოცანა ესმის, როგორც მშრალი მასალის დაგროვების ცდა, და ამიტომაც ესა თუ ის ლიტერატურული ნაწარმოები მას აღებული აქვს არა როგორც ქართველი ხალხის განსაზღვრულ ეპოქათა შემოქმედების მიღწევა, არამედ როგორც თვითმყონაწარმოები, დროსა და კულტურულ ქარგას გარეშე. თავის თავად იგულისხმება, რომ ასეთ პირობებში ავტორის ამოცანა თვალსაჩინოდ იცვლება და წიგნიც არსებითად კარგავს ლიტერატურის ისტორიის ხასიათს და დებულობს ლიტერატურის ისტორიისთვის მასალების დაგროვების ცდას. მაგრამ რადგანაც მასალების ჯეროვნად შესწავლა და დაგროვება შეუძლებელია ერთგვარ მთლიან ისტორიულ კონცეპციის შეუმუშავებლად, ყოველს შემთხვევაში გენეტიურად ცალკე ლიტერატურულ მოვლენაზე ერთმანერთს შორის დაუკავშირებლად, ამიტომ ამ შემთხვევაშიც კ. კეკელიძის წიგნი შეიძლება დადებითად მიღებულ იქმნას მხოლოდ პირობით. ეს ძირითადი მეთოდოლოგიური დეფექტი ახასიათებს კ. კეკელიძის ორივე წიგნს, მხოლოდ მას შეიძლება ნაკლები მნიშვნელობა ჰქონოდა პირველი წიგნის შეფასების დროს, რადგან პირველი წიგნი („ძველი მწერლობა“, როგორც კ. კეკელიძე არამართებულად უწოდებს) შეიცავდა თითქმის მთლად ქართულ საეკლესიო მწერლობის ისტორიას და წარმოგვიდგენდა მასალებს ქართულ სალიტერატურო მუშაობის იმ დარგიდან, რომელსაც ჩვენში გარდა კ. კეკელიძისა ჯერჯერობით სპეციალისტი არა ყავს. ამიტომ, როგორც უნდა ყოფილიყო, სასულიერო მწერლობის ისტორიის შესახებ მოლიანი მასალების წარმოდგენა თავისთავად თვალსაჩინოდ დამახურებს წარმოდგენს — ამ დარგში მუშაობისთვის ამ ჟამად ინტერესის მქონე პირთა არ-ყოლის გამო. მაგრამ საერო მწერლობის ისტორიის შესწავლის საქმე, რაც უნდა იყოს, ასეთ უმწეო მდგომარეობაში არ იმყოფება და მიუხედავად იმისა, რომ აქაც ჩვენი მეცნიერება დიდ ჩამორჩენი-

ლობას განიცდის, მაინც ეს ჩამორჩენილობა არც ისე დიდია, რომ კ. კეკელიძის წიგნის წინამდებარე სახით გამოსვლამ გამართლება პოვოს.

აღსანიშნავია უპარველეს ყოვლისა, რომ ავტორი ქართულ საერო ლიტერატურას მე-11 საუკუნიდან იწყებს და ამ შემთხვევაში, ცხადია, ის ემყარება ძველი ქართულ მატრიანეების შედგენის შესახებ იმ, ეხლა უკვე მოძველებულ დებულებას, რომ თითქოს ძველი მატრიანეები—ეს უფრო ეპიური, ვიდრე ისტორიული ნაწარმოებნი—დაწერილი იყოს ლეონტი მროველისა და ჯუანშერის მიერ მე-11 საუკუნეში. ეს აზრი, პირველად თვით ჩვენ მიერ წამოყენებული, ამ ჟამად უკვე შეუძლებელია მიღებულ იქმნას და თუნდაც რომ ძველი მატრიანეების ცალკე შემადგენელ ნაწილების ამა თუ იმ ეპოქისთვის მიკუთვნებაში ბევრი რამ იყოს საცილობელი, მაინც ექვს გარეშე უნდა ჩაითვალოს ამ ნაწარმოების ცალკე ნაწილების არსებობა მე-11 საუკუნეზე უფრო ადრე. ამას ცხად ყოფს არა მარტო ამ ნაწარმოებების დეტალური გარჩევა (ამის შესახებ ს. კაკაბ., საისტორიო ძიებანი, ტფ. 1924 წ., 93—191), არამედ ის ცოცხალი ფაქტიც, რომ ქართველი ტომი კულტურულ ცხოვრების საფეხურზე ასვლისთანავე საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობაში იყო როგორც ბერძნულ, ისე აგრეთვე სომხურ და სპარსულ კულტურულ სამყაროსთან. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ამ მხრივ ქართველების ურთიერთობა უძველეს დროიდანვე სპარსეთთან, რომელთანაც ქართველ ტომს აერთებდა უხსოვარ დროიდანვე როგორც კულტურულ ისე სოციალურ განვითარების ძირითადი ნიშანდობლივი ხაზები (ამის შესახებ ს. კაკაბ., ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტ. მ-ე I, 24 წ.). გასაკვირველია ამიტომ, როდესაც კ. კეკელიძე თავის წიგნში კამათობს (არაა მხოლოდ მოხსენებული—ვისთან), რომ „არც ისაა სავსებით მართალი და შესაწყნარებელი, ვითომც სპარსეთან ურთიერთობა და მისვლა-მოსვლა მხოლოდ შეთორმეტე საუკუნიდან დაიწყა. ექვს გარეშეა, ასეთი ურთიერთობა და მისვლა-მოსვლა, პოლიტიკურ-დიპლომატიური, თუ აღებ-მიცემითი ხასიათისა, წინათაც იქნებოდა“-ო (გვ. 13). ამის დასამტკიცებლად ავტორს მოყავს გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებიდან ერთი ფაქტი, სახელდობრ რომ გიორგის მამა იაკობი გურგენ მეფის მიერ გაგზავნილი იყო მოციქულად სპარსეთს და დაასკვნის: „ამნაირად ჯერ კიდევ მე-11 საუკუნის დამდეგს და უფრო ადრეც გამტკიცებული ყოფილა ქართველის და სპარსელების პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა, მაშასადამე სპარსული ლიტერატურის გავლენა ჩვენში და აქედან კი დასაწყისი ქართული საერო მწერლობისა შესაძლებელი იქნება თუ უფრო ადრე არა მეთერთმეტე საუკუნის დამდეგიდანაც“ (იქვე). ეს



არგუმენტაცია, გასაკვირველი თავისი გულუბრყვილობით, შეუძლებელია მიღებულ იქმნას, რადგან ძველი ქართლის და სპარსეთის კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობა რასაკვირველია არ თარიღდება გიორგი მთაწმინდელის მამის სპარსეთში მოციქულად წარგზავნის ფაქტით. ქართულ ლიტერატურის ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს, სხვა არა იყოს რა, შუშანიკის და ევსტათი მცხეთელის ცხოვრების ფაქტები, საიდანაც ცხადად სჩანს, რომ უკვე მე-5—6 საუკ. ქართულ-სპარსულ ინტერესების შეხვედრა ქართლისავე ტერიტორიაზე რეალური ფაქტი იყო და ამ ინტერესების შეხვედრის შედეგად, თავისთავად იგულისხმება, ნებისთ თუ უნებლიეთ წაკულტურულ ღირებულებათა ზედგავლენასაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა. ვარსკენ პიტიაშხის ცეცხლთაყვანისმცემლობაში გადასვლა შეუძლებელია შეფასებულ იქმნას როგორც მხოლოდ სპარსეთის მთავრობის ძალადობის აქტი. ექვს გარეშეა აქ ადგილი ჰქონდა არსებულ მდგომარეობაში თუნდაც იძულებით შექმნილ განსაზღვრულ სპარსულ ორიენტაციის შეგნებასაც. ევსტათე მცხეთელის ცხოვრებაში მოხსენებულ ფაქტებს—თფილისში სპარსელების მარზვანის მუდმივად ყოფნის შესახებ, მცხეთაში სპარსელების ახალშენის არსებობის შესახებ და სხ.—რომ თავი დავანებოთ, საკმარისია მოვიხსენოთ მე-6 საუკ. და მე-7 საუკ. დასაწყისის ქართული სიქის ფულები, რომელიც სპარსულ რელიგიურ ემბლემებს შეიცავენ, რომ ცხად გახდეს, თუ რა მძლავრი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ძაფები აერთებდა ძველს ქართლს ძველი სპარსეთის კულტურულ სამყაროსთან ჯერ კიდევ მე-5—7 საუკუნეში. სომეხ ისტორიკოსნი ფაუსტი, ელიშე და სხ. საკმაოდ ცნობებს გვაწვდიან კერძოდ ქართველებსა და სპარსელებს შორის არსებულ პოლიტიკურ განწყობილებისა და ქართველ მთავრების სპარსელებთან ამ განწყობილებით გამაწვეულ პირად ურთიერთობის შესახებ. ამიტომ თუ შეიძლება ისტ.-ლიტ. ხასიათის ფაქტების თანადროულ პოლიტ. ურთიერთობასთან დაკავშირება, მაშინ ცხადია, თუ რამდენად შეუწყნარებლად სჩანს კ. კეკელიძის დებულება, თითქოა ქართველებსა და სპარსელებს შორის არსებულ ამ პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობის ფაქტებზე დაყრდნობით ქართული საერო მწერლობის დასაწყისი შეიძლება მე-11 საუკ. დამდეგიდან იქმნას დათარიღებული (მე-11 ს-ში გადათარგმნილად სთვლის კ. კეკელიძე შანამესა და ამირან-დარეჯანიანს). ნამდვილად კი ძველი ქართველების მე-5—6 ს-ში, უფრო ადრინდელ ხანას რომ თავი დავანებოთ, მჭიდრო ურთიერთობა სპარსელებთან—კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიურიც—ცხადად უნდა გვიჩვენებდეს, თვით კ. კეკელიძისავე არგუმენტაციით რომ ვილაპარაკოთ, რომ ამ ადრინდელ ხანაშიდაც მაშინ არსებულ მდიდარ ძველ-სპარსულ ლიტერატურას ფაქლათურ ენაზე არ შე-



იძლება ამოძახილი არ მოეპოვოს ქართულ სამწერლობო აზროვნებაში-  
დაც. მართლაც ეხლა შეიძლება საკმაოდ დაბეჯითებით ითქვას, რომ  
თავიდანვე ქართული საერო მწერლობის განვითარება მიდიოდა პარალელ-  
ურად საეკლესიო მწერლობის განვითარების საფეხურებისა. ფრიად  
დამახასიათებელია ქართული სამწერლობო შემოქმედების დასათარიღებ-  
ლად ის, რომ უკანასკნელ ძიებათა მიხედვით „მოქც. ქართლ.-ში ჩვენ  
უკვე მოგვეპოვება პირველ საუკუნეში შედგენილი და ქართულადვე გა-  
დათარგმნილი ქართლის პირველ მეფეთა შესახებ ქრონიკული ხასიათის  
ამბები (ს. კაკაბ., საისტ. ძიებ., 80). ასევე საყურადღებოა ფაქტი  
მე-4 საუკ-ში ქართულად შედგენილ ქართლის ადმინისტრაციულ-კეოგ-  
რაფიულ აღწერილობის წარმოჩენისა სომხურ უსახელო გეოგრაფიაში  
(ს. კაკაბ., ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზ. საკათხ., ს. ა. ი. ს. ტ.  
მ. ე 24 წ. I). მე-5 საუკ. მეორე ნახევარსა ან ნახევარში ჩვენ გვაქვს  
უკვე „მამათა და ნათესავთა ცხოვრება,“ რომელთაგან უკანასკნელი  
წარმოადგენს უკვე მთლიანს, ეპიური ელემენტებით შეზავებულს მხატ-  
ვრულ ნაწარმოებს. მე-7 ს-ის ნახევარში უნდა იყოს შედგენილი „მე-  
ფეთა ცხოვრება,“ ფართო გეგმით შედგენილი ეპიური ხასიათის ნაწარ-  
მოები, რომელიც ისტორიულ ქარგაზე არის აგებული. დაახლ. მე-8  
ს-ის მესამე მეოთხედში უნდა იყოს შედგენილი ჯუან შერის მიერ  
ვახტანგ გორგასალის ცხოვრება (ს. კაკაბ., საისტ. ძიებ., 93—191).  
თუნდაც რომ ზემოღმონსენებულ თხზულებათა დათარიღების საკითხი  
მომავალში ვადასინჯვას საჭიროებდეს, ერთი ყოველს შემთხვევაში  
ცხადია, სახელდობრ—რომ საერო მწერლობის დასაწყისის დათარიღება  
მე-11 საუკუნიდან ეხლა უკვე მოძველებულად უნდა ჩაითვალოს.

უნდა ითქვას, რომ კ. კეკელიძე თითქოს თითონაც გრძნობს ამ  
საკითხში ერთგვარ უზერხულობას და სათანადო ბოლოდროინდელ ძი-  
ებათათვის ყრულ ანგარიშის გაწევით ამბობს: „ჩვენში ძველიდანვე იყო  
ტრადიციები საერო მხატვრული ლიტერატურისა... ერთ ერთს ჩვენს  
შრომაში ჩვენ გამოვაქვეყნეთ, რომ ჯერ კიდევ მე-7—8 ს-ში ქართუ-  
ლად დაუწერიათ ნახევრად ისტორიული, ნახევრად პოეტური ნაწარ-  
მოები, რომელშიაც უხვად ყოფილა ელემენტები აღმოსავლური ირა-  
ნული ეპოსისა, სომხურ პრიზმაში გადატეხილი“ (გვ. 4). ავტორი გულის-  
ხმობს „მამათა და ნათესავთა ცხოვრებას“ და „ფარნავაზის ცხოვრებას“,  
მხოლოდ სამწუხაროა, რომ ავტორი აქ მიმართავს რამდენადაც მაულე-  
ბელ, იმდენად უსარგებლო საშუალებას სხვისი აზრის თავისად გასა-  
ღებისას, რადგანაც ავტორმა ყოველთვის ძლიერ კარგად იცოდა, რომ  
ძველი ქართული მატრიანების გასარკვევად ეს მნიშვნელოვანი საკითხი  
წამოყენებული იყო ჯერ კიდევ 1915 წ. და ისიც არა კ. კეკელიძის  
მიერ (ამის შესახებ ს. კაკაბ., საისტ. ძიებ., 95). საზოგადოდ კ. კე-

კელიძის მიერ სხვების აზრებისადმი არა-ჯეროვანად მოპყრობაზე, ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაში ჩვეულებრივი ეთიკის დამყარების მიზნით, ჩვენ იძულებული ვიქნებით ქვემოთაც შევჩერდეთ. მაგრამ თვით ფაქტი, რომ კ. კეკელიძე იძულებული იყო წამოყენებული დებულება მათიანების უძველესი ნაწილის თუნდაც მე-7—8 ს-ში შედგენის შესახებ აღეარებინა, ცხადად ამტკიცებს, რომ საკითხი ქართული საერო ლიტერატურის დასაწყისის შესახებ ეხლა უკვე შეუძლებელია განსჯილი იქნას კ. კეკელიძის მიერ ნაჩვენებ მიმართულებით. ამ ძირითადი შეცდომით აიხსნება, რომ მთელი სქემა, კ. კეკელიძის მიერ წარმოდგენილი, ქართულ საერო ლიტერატ. განვითარების შესახებ უძველეს ხანაში თხოულობს საფუძვლიან გადაკეთებას. ამ გადაკეთების და გადამუშავების მიზნით ავტორი, მაგ., იძულებულია შეაჩინოს პროტოტიპის ფაქტობრივი ხოლად ნამეს ქართული თარგმანის არსებობა მე-8 საუკუნეში დაუსაბუთებელ ჰიპოთეზად (გვ. 4, შენ. 2) აღიაროს, თუმცა რომ ქართულ მათიანებში სათანადო ადგილებში ემყარებინა სწორედ ხოლად ნამეს და არა შეაჩინოს, ამ აზრს ამჟამად იზიარებენ თითქმის ყველა სპეციალისტი.

ისტორიული მოვლენების თანდათანობით განვითარების შესახებ სწორი პერსპექტივის უქონლობა, რამაც გამოიწვია ავტორის მიერ ჩადენილი კარდინალური შეცდომა ქართულ საერო ლიტერატურის დაწყების საკითხში, კ. კეკელიძეს სამწუხაროდ ახასიათებს სხვა შემთხვევებშიც. ავტორი, მაგ., იძლევა თავისებურ (და იმავე დროს არსებითად შემცდარ) ახსნას მონგოლების ბატონობის მნიშვნელობის შესახებ სპარსეთ-ქართველების ურთიერთობისათვის. „მონღოლთა ბატონობამ, ამბობს ის (გვ. 17), სხვაგვარადაც შეუშალა ხელი ჩვენი საერო მწერლობის განვითარებას. საქმე ისაა, რომ ისინი შუაკედლად აღემართნენ ქართველებსა და სპარსელებს შორის, იმით გააცალკევეს ისინი. მონღოლთა ბატონობამ, რომელმაც ქართველები გამოიწვია მოქმედების ფართო ასპარეზზე და შორეულს ლაშქრობა-ომიანობაში ჩააბა, გააბატონა ჩვენში სხვა, ახალი და უცნო, მონღოლური კულტურა, შეასუსტა სპარსული გავლენა ჩვენს ცხოვრებაში და სპარსულ ენას ნიადაგი გამოაცალა. ცხადია აქედან, რომ ამასთანავე ნიადაგი უნდა გამოსცლოდა სპარსულ ლიტერატურულ გავლენასაც ჩვენში“. ეს ტირად ცხადად ამტკიცებს, რომ ავტორს ძლიერ სუსტი და შეიძლება ითქვას იმავე დროს ფრიად ყალბი წარმოდგენა ჰქონია წინა-აზრის ისტორიაზე საშუალო საუკუნეებში. ფრიად ცნობილი ფაქტია, რომ წინა-აზრის ტერიტორიაზე მოსული მონღოლები, უკეთ მათი გაბატონებული წრეები, თავისი კულტურულ განვითარებით დაბალ დონეზე დგომის გამო მოყვეს სპარსულ კულტურის გავლენის ქვეშ და თუ სპარსეთში მ

დროს (მე-13—14 ს-ში) შეიძლება მონღოლების ზედგავლენაზე ლაპარაკი, ეს უმთავრესად სახელმწიფოებრივ სისტემის ზოგიერთ თვისებებზე, რადგან თავისთავად იგულისხმება, გაბატონებული თუნდაც ბოგანო ცხოვრების დონეზე მყოფი წრეები (მონღოლები) თავისს გავლენას აწარმოებდნენ მანამდის სპარსეთში არსებულ სახელმწიფოებრივ სისტემაზე და ამ სისტემაში ერთგვარ ნაწილობრივ გარდაქმნასაც ახდენდნენ. მაგრამ სპარსეთში ამ დროს მონღოლურ კულტურაზე, როგორც თვითმყოფელ დამოუკიდებელ ძალაზე, ლაპარაკი რაღაც დიდ გაუგებრობას უნდა წარმოადგენდეს. პირიქით ცნობილია ფრიად გარკვევით, რომ არათუ თვით ილხანები დამორჩილენ სპარსულ კულტურის ზედგავლენას (ყაზან-ყაენი მაჰმადიანობაშიც გადავიდა და მის შემდეგი ილხანები მაჰმადიანები იყვნენ), აჯამედ ახალი სახელმწიფოებრივი სისტემა ყოველის მხრივ ხელს უწყობდა სპარსულ ლიტერატურის, ხელოვნების და საზოგადოდ სპარსულ კულტურის განვითარებას. ამიტომ აიხსნება, რომ სპარსული შემოქმედება მე-13—14 ს-ში არ შეწყვეტილა, ზოგიერთ დარგებში მან პოვა ახალი განვითარებაც და ყველაფერს ამას ხელს უწყობდნენ სპარსული კულტურის სიდიადით განიარაღებულნი ახალი ბატონები—მონღოლები. მონღოლური კულტურის ზედგავლენა სპარსეთშიდაც, ვარდა სახელმწიფოებრივ სისტემისა და ისიც მხოლოდ რამოდენადმე, ძლიერ სუსტი იყო, ლიტერატურულ და სულიერ კულტურის დარგებში ის თითქმის სრულებით არ ჩანდა და როგორ შეიძლება ასეთს პირობებში ჩვენში ამ დროს მონღოლურ კულტურის გაბატონებაზე ლაპარაკი, როგორც ამას კ. კეკელიძე ბრძანებს, ეს სრულებით გაუგებარია. ამ შემცდარ დებულებით ავტორი ფიქრობს გაამართლოს ის ჩვეულებრივ მიღებული, მაგრამ შემცდარი აზრი, თითქოს მე-13—14 ს-ში ქართული შემოქმედებითი ძალა შეწყვეტილი ყოფილიყო. ამ შემცდარ დებულების ზედგავლენის ქვეშ ყოფნამ ავტორს ჩაადენია ფაქტიურ მასალის გარჩევის დროს მთელი რიგი შეცდომათა და კერძოთ, როგორც დავინახავთ, შეცდომა როსტომიანის ვერსიების დროის მხრივ წარმოშობის შესახებ.

ჩვენ, რასაკვირველია, არ შეგუდებით კ. კეკელიძეს წიგნის დეტალურად გარჩევას, რადგან ასეთი გარჩევა დიდს ადგილს დაიჭერდა, შევჩერდებით აპიტომ მხოლოდ როგორც მეთოდოლოგიურად, ისე აგრეთვე მასალების ფაქტიურად გამოყენების მხრივ ზოგიერთ დამახასიათებელ ადგილებზე. ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგ., ის არგუმენტაცია, რომლითაც ავტორი ცდილობს გაარკვიოს დილარაინის ავტორის სარგის თმოგველის ვინაობა. ვეფხის-ტყაოსნის ბოლოსიტყვაობის ცნობილი ადგილი—„დილარგეთ (უქია) სარგის თმოგველსა“—ავტორი ფიქრობს გადააკეთოს ამგვარად: „დილარ ერთს სარგის თმოგველსა“, რაც ნიშნა-

ვსო: დილარი უქია პირველს სარგის თმოგელს, ვინაიდგან ერთი ნი-  
შნავს პირველსო. ხოლო რადგანაც თმოგველობა, კ. კეკელიძის  
სიტყვით, დაწესდა 1190—1191 წლებში, როდესაც ვარამ მხარგრძე-  
ლის ერთერთ შვილს სარგისს უბოძეს თმოგვი, ამიტომ სწორედ ეს  
სარგისი უნდა იყოს პირველი თმოგველიო (გვ. 36). მთელი ეს არგუ-  
მენტაცია ყურადღებას იპყრობს თავისი გულუბრყვილობით. ავტორმა  
კარგად იცის, რომ ეს აზრი—დილარიანის სარგის ვარამისძე თმო-  
გველის მიერ დაწერის შესახებ—გკუთვნის პ. ინგოროყვას (იხ.  
„კავკასიონი“ № 1-2, 1924 წ. წერილი—ჩახრუხაძისძე, პოეტი, მოგ-  
ზაური, 285), მაგრამ რადგანაც სხვისი აზრის მოუხსენებლობა და თავისად  
გამოცხადება განსაზღვრულს ჩვენს სამეცნიერო წრეში სამწუხაროდ ჩვეუ-  
ლებრივ მოვლენად ითვლება (იხ. ამისი მაგალითი საისტ. მ-ე  
II, 24 წ., რეცენზია ივ. ჯავახიშვილის საფასმცოდნეობაზე, 290),  
ამიტომ ამ გარემოებას კ. კეკელიძე არ იხსენიებს. არსებითად კი კ.  
კეკელიძის წკითხვა შეუძლებელია გამართლებულ იქმნას, რადგან  
სახელი დილარგეთი დადასტურებულია ჩახრუხაძის შესხმაში,  
მაშასადამე სარგის თმოგველის რომანის მთავარი გმირის სახელი  
ბართლაც დილარგეთი უნდა ყოფილიყო. ავტორის ისტორიულ  
შემეცნებისათვის კი ფრიად დაშახსიათებელია გამოთქმა „თმოგველობა  
დაწესდა 1190—1191 წლებშიო“, თითქოს თმოგველობა იყოს რაიმე  
თანამდებობა ან სახელო. ნამდვილად კი თმოგველად იწოდებოდა თმო-  
გვის პატრონი. ცნობილია, რომ გიორგი II-ის დროს მე-1070 წლებში  
თმოგვი მიეცა ნიანია ქვაბულისძეს, რომლის შვილი კახაბერი აგრეთვე  
თმოგვს ფლობდა (ქ. ცხ. I, 235, 239). თუმცა ამ დროს სახელი თმო-  
გველი წყაროებში დადასტურებული არ არის, მაგრამ სხვა ფაქტების  
ანალოგიით საფიქრებელია, რომ ამ დროსაც თმოგვის პატრონობა  
თმოგველობას ნიშნავდა. თავისთავად იგულისხმება, ადვილად შე-  
საძლებელია დილარგეთის რომანის ავტორი თუ გადმომკეთებელი სარ-  
გის ვარამისძე თმოგველი იყოს, როგორც ამას ფიქრობდა პ. ინგო-  
როყვა და მის აზრის განმეორებით კ. კეკელიძეც, მაგრამ ეს იმ  
შემთხვევაში, თუ საბოლოოდ დამტკიცდა ვეფხის-ტყაოსნის მიკუთვნე-  
ბა თამარ მეფის ეპოქასთან, რადგან ვ.-ტყაოსნის ბოლოსიტყვაობის მი-  
ხედვით დილარგეთიანი ვ.-ტყაოსანზე ადრე უნდა იყოს დაწერილი.  
ჩვენ პირადად გვგონია, რომ დილარგეთიანის გადამკეთებელი თუ შე-  
მდგენელი შეიძლება ყოფილიყო მეორე სარგის თმოგველი, „კაცი  
რიტორი და ფილოსოფოსი“, რომელიც 1210—1262 წლებში ცხოვ-  
რობდა. ხოლო როდესაც ჩახრუხაძე თავის შესხმაში დილარგეთს იხსე-  
ნიებს, შეიძლება ის აქ გულისხმობდეს თვით სპარსულ რომანს და არა  
ქართულად გადმოკეთებულს თუ ახლად დაწერილს ამავე გმირის მქონ  
რომანს.



სრულიად ყალბად აქვს აგრეთვე ავტორს გაგებული შესხმა დავითიანი, რომელსაც ის დავით აღმშენებლის და თამარ დედოფლის ქებად თვლის (გვ. 154—164). ამ დებულების მიღება შეუძლებელია, იმდენად ცხადია მისი შეუწყნარებლობა. საყურადღებოა მხოლოდ, რომ კ. კეკელიძე ხოტბის ავტორს სთვლის თამარის თანამედროვედ და შესხმა უნდა იყოს დაწერილი თამარის სიცოცხლეში 1210—1212 წლებში (გვ. 163), ე. ი. მაშინ, როდესაც თამარი უკვე ცოცხალი აღარ იყო (თამარი გარდაიცვალა 1207 წელს 18 იანვარს, ამის შესახებ იხ. საისტ. მ-ე, I, 24 წ., გვ. 289). ასეთ უცნაურ დასკვნამდის მივყვართ ავტორს მხოლოდ იმიტომ, რომ ის ანგარიშს არ უწევს ისტორიულ მეცნიერების მიღწევათ თუნდაც კერძო საკითხებში და წმინდა ისტორიულ საკითხების გარკვევაშიდაც ფრიად მოძველებული შეხედულებებით ხელმძღვანელობს.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ავტორის მიერ წარმოდგენილი ვრცელი გარჩევა ვეფხის-ტყაოსნისა (გვ. 76—164). ეს გარჩევა თავისი გულუბრყვილობით, პოეტურ ადგილების ვერგაგებით და ვერ შეფასებით და საზოგადოდ კრიტიკულ აღღოს უქონლობით შეიძლება სამწუხარო მოვლენად ჩაითვალოს თვით ჩვენს ლიტერატურაში, სადაც ვეფხის-ტყაოსანზე წერა, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივს და ფრიად ხშირ მოვლენას წარმოადგენს. ფრიად დამახასიათებელია, მაგ., ავტორის გარჩევა პოემის პროლოგისა, რომლითაც კ. კეკელიძე იწყებს ვ.-ტყაოსნის პრობლემის გარკვევას. ავტორს „სრულ გაუგებრობაზე და ადამიანის სულის უცოდინარობაზე დამყარებულად“ მიაჩნია, მაგ., პროლოგის ცნობილი ტაეპი — „მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს მართ ვითა მზეობა, სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა, ენა, გონება, დათმობა“... ყველა ეს ზნეობანი ტარიელს აკლიაო, ამბობს კ. კეკელიძე, აკლია მას ენა, დათმობა, სიბრძნე და გონებაო (გვ. 90—91). ასეთი მსჯელობა მართლაც სრულს და გასაოცარ გაუგებრობაზე არის დამყარებული. ნამდვილად კი პროლოგის თუნდაც ხსენებულ ადგილსა და პოეტისთვის მიჯნურობის დამახასიათებელ გაგებას შორის, რამდენადაც ეს მთავარი გმირების ფსიქოლოგიურ ანალიზიდან სჩანს, სრული თანხმობა არსებობს. ამ რამდენადაც ყალბ, იმდენად მიუტყვეებელ ტლანქ დაპირდაპირებისაგან ავტორს გამოყავს დასკვნა პროლოგის სიყალბის შესახებ. ფრიად დამახასიათებელია თავისი კუროიზობით კ. კეკელიძის შემდეგი სიტყვები, მისი აზრით პროლოგის სიყალბის დამამტკიცებელი: „პროლოგში ნათქვამიაო ამბობს ის, რომ მიჯნური «ხამს თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამელაენებდეს» და «არსით უჩნდეს მიჯნურობა». ამ სიტყვების ავტორს არ სცოდნიაო, რომ აღმოსავლეთის საუკეთესო სატრფიალო რომანებში მიჯნურთ,

თითქმის ყველას, ჰყავთ დაახლოვებული პირი, გამდელი თუ ძიძა, რომელთაც უმეტადად თავის ხედავდას“-ო, ბრძანებს კ. კეკელიძე (გვ. 91). ამ სიტყვების განმარტება ზედმეტია, იმდენად ცხადია, რომ პოეტურ ნაწარმოებთა ამგვარი შეფასების უნარი ყოველად შეუძლებელია გამართლებულ იქნეს.

ასევე გასაოცარია ავტორის შემდეგი გაკვირვებაც. პროლოგში ერთს ადგილას ნათქვამია — «გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგია», მეორე ადგილას კი — «მოშაირე არა ქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად-ო», რომელ ერთს უნდა დაუჯეროს კაცმაო, ბრძანებს კ. კეკელიძე (გვ. 91). ნამდვილად კი პოეტი აქ მოქნილად უპირდაპირებს შაირს, როგორც მოკლედ თქმის უპირატესობის მქონეს, პროზას და იმავე დროს მკითხვეს ნამდვილ მოშაირესაგან რთულ სიტყვებებს მხატვრულად და პოეტურად «გრძელად» დამუშავების უნარს. ყოველად შეუძლებელია ეპათიოს ავტორს, რომელიც საერო ლიტერატურის ისტორიას სწერს და კერძოდ ვ.-ტყაოსნის ვარჩევას 90 გვერდს ანდომებს, პოეტურ ადგილების ასეთი გულუბრყვილო და კურიოზული გაგება. ჩვენი დებულების წინააღმდეგ-ო (პროლოგის სიყალბის შესახებ), ამბობს კ. კეკელიძე, საბუთად არ შეიძლება გამოდგეს მსჯელობა რუსთველის ნიჭიერების შესახებ და აგრეთვე ნ. მარტის სიტყვები, რომელ ეპოქაში თამარის შემდეგ უნდა შესძლებოდათ, თუ პროლოგი ვ.-ტყაოსნის ავტორს არ ეკუთვნის, პროლოგის ერთ და ლექსით წერაო. „ნიჭიერებაზე ამ შემთხვევაში, ამბობს კ. კეკელიძე ზედმეტია ლაპარაკი, ვინაიდან რა გვარ ნიჭიერებას შეიცავს პროლოგი, რამოდენადმე ზვეითაც დავინახეთ“-ო (გვ. 92). ავტორი აქ გულისხმობს თავისი ყოველად დაუშვებელ დაპირდაპირებათ, რომელთაგან ორი სანიშნოდ ზემოთ იყო მოყვანილი. ცხადია, რომ ავტორს პოეტურ ნიჭიერების შეფასებაზედაც ფრიად თავისებური, სრულიად ყალბი და იმავე დროს კურიოზული წარმოდგენა ჰქონია.

ავტორის შეცდომა კერძოდ პროლოგის საკითხში აიხსნება არა მარტო კრიტიკული აპარატის პრიმიტივიზმით, არამედ იმითაც, რომ ავტორი გამოდის ვ.-ტყაოსნის ჩვეულებრივ ტექსტიდან და სრულებით ანგარიშს არ უწევს თუნდაც იმ მასალას, რომელიც უკვე წარმოდგენილია ლიტერატურაში ვ.-ტყაოსნის რედაქციების შესახებ ხელნაწერების მიხედვით (ვ.-ტყ., ს. კაკაბაძის პირველი გამ., შემდეგ კიდევ მისივე — ვ.-ტყაოსნის პრობლემის გარეშემო,“ საისტ. მე, I, 24 წ. 121—160). მართალია ვ.-ტყაოსნის მეცნიერული გამოცემა ჯერ არ არსებობს, მაგრამ არსებულ მასალებიდანაც ყოველს შემთხვევაში ცხადია, რომ პროლოგი, როგორც ასეთი, ზოგიერთ ტაეპების გამოკლებათ შეუძლებელია პოემის ძირითად ტექსტს ჩამოშორებულ იქმნას. ეს ძი-

რითადი მეთოდოლოგიურ დეფექტი — პოემის ვახტანგისეულ რედაქციაზე დაყრდნობა ხელთნაწერების მიერ წარმოდგენილ ფაქტებისთვის ანგარიშგაუწევლად — მით უმეტეს უცნაურია, რომ ავტორი თავისი თავის, როგორც ქვემოთ დავინახავთ უსამართლოდ, ალ. ხახანაშვილთან დაპირდაპირებით ირწმუნება — „წინამდებარე შრომა დამყარებულია ძეგლების, გამოცემულის თუ გამოუცემელის, უშუალოდ შესწავლაზე“ (გვ. 28). როგორც სჩანს, ძეგლების უშუალოდ შესწავლა ავტორს ძლიერ თავისებურად ესმის.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე, თუ როგორ ათარიღებს კ. კეკელიძე პოემის დაწერის ეპოქას. პოემაში მოხსენებულია ხვარაზმმა და რადგანაც ხვარაზმელთა დინასტიას ბოლო მოუღეს მონღოლებმა 1219 წელს, ამიტომ პოემა 1219 წელზე გვიან ვერ დაიწერებოდაო (გვ. 110). ჩვენ არას ვიტყვიტ იმის შესახებ, რომ ავტორი ელემენტარულ ისტორიულ ფაქტების არცოდნას იჩენს, როდესაც ამბობს, რომ მონღოლებმა ხვარაზმელთა დინასტიას ბოლო მოუღეს 1219 წელს. ვგულაყდდინ ხვარაზმელს 1226—1231 წლებში საქართველოს უდიდესი ნაწილიც ეპყრა, მაგრამ ამასაც რომ თავი დაფანებოთ, ნუ თუ ავტორი უარყოფს პოეტურ ნაწარმოებში ისტორიულ ქარგის ან ისტორიულ მონაგონართა მოხსენების შესაძლებლობას. ვ.-ტყაოსანში ხვარაზმის მოხსენება მხოლოდ შეიძლება გამოდგეს პოემის დაწერის დროის ante quem non გამოსარკვევად და მხოლოდ ამისთვის.

თავისთავად იგულისხმება, ვ.-ტ.-ს პოლოგის ზემოდ მოხსენებული მეთოდით შეფასების შემდეგ, რის მხოლოდ რამოდენიმე ნიმუში ზემოდ იყო მოყვანილი, შეუძლებელია კ. კეკელიძის აზრს პოემის ავტორის ვინაობის შესახებ სერიოზულად ანგარიში გაეწიოს, რადგან პოლოგის ასეთი კურიოზული მოტივებით უარყოფის შემდეგ, თავისთავად იგულისხმება კ. კეკელიძეს თვით შოთა რუსთველის ავტორობაც უნდა უარყყო. როგორც ცნობილია, ჩვენც აგრეთვე არა გვგონია, რომ ვ.-ტყაოსანი, თვით პოემა თავისი პირვანდელი მოცულობით, შოთა რუსთველის დაწერილი იყოს, მაგრამ საკითხი იმის შესახებ, არის თუ არა შოთა ვ.-ტყაოსნის ავტორი, უნდა დაკავშირებულ იქმნას პოემის ტექსტის, მისი შემადგენლობის მხრივ, აღდგენის ცდასთან, რომელი ცდაც უნდა წარმოებელი იყოს ხელთნაწერების შედარებით შესწავლაზე. სხვა ყოველგვარი ცდა, თუნდაც რომ ის ინტუიტიურად მომავალში სწორ გზაზე დამდგარად აღმოჩნდეს, როგორც მეთოდოლოგიურად ყალბი, ამჟამად შეუძლებელია დამაჯერებელი აღმოჩნდეს.

ავტორი ამასთანავე ეხება ვ.-ტყაოსნის სიუჟეტის საკითხს, მოყავს სხვადასხვა მუშაკთა და მკვლევართა აზრები ამის შესახებ, კერძოდ ეხება იმ პირთა აზრებს, რომელნიც პოემის სიუჟეტში ხედავდნენ თამარის

(თუ ულუ-დავითის) მეფობის ისტორიულ ქარგის გამოხატულებას მთლიანად თუ ნაწილობრივ და ზარყოფით ეპყრობა აქ აზრებს. გაუგებარია მხოლოდ, თუ რატომ გონია ავტორს, რომ ვ.-ტყაოსნის სიუჟეტში თამარის (თუ ულუ-დავითის) დროინდელი ისტორიულ ქარგის ანარეკლის გაგება „ნაციონალისტურ თვალსაზრისს“ წარმოადგენდეს (გვ. 119). ავტორი ალბად გულისხმობს პატრიოტულ თვალსაზრისს, რადკან ცდა ვ.-ტ.-ში წინადადებულ აზრის მიხედვით აუცილებლად ქართულ ისტორიულ ცხოვრების ანარეკლის გამოძებნისა იმ დროს, როდესაც ნ. მარჩის მიერ წამოყენებული იყო დებულება პოემის სიუჟეტის სპარსულიდან წარმომავლობის შესახებ, შეიძლება წოდებულ იქმნას მხოლოდ პატრიოტულ თვალსაზრისად, მაგრამ ესეც იმ მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევებში, როდესაც ლაპარაკია წინადადებულ აზრით პოემისთვის განსაზღვრულ ელფერის მიცემაზე. არსებითად კი უნდა ითქვას, რომ კ. კეკელიძე თუმცა ასახელებს სხვადასხვა ავტორების აზრს ვ.-ტყაოსნის სიუჟეტის შესახებ, მაგრამ არ აბამს მათ შორის გენეტიურ ძაფს. ეს კი აუცილებელი იყო, რადგან პოემის სიუჟეტის შესახებ საკითხის განვითარებას თავისი საკმაოდ საყურადღებო ისტორია ჰქონდა. ავტორი იხსენიებს, მაგრამ არა სათანადო შეფასებით, ნ. მარჩის უკანასკნელ შრომასაც ვ.-ტყაოსნის შესახებ, რომელიც სათაურით *Грузинская поэма „Витязь в барсовой шкуре“ Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема* დაიბეჭდა 1917 წელს (*Изв. Акад. Наук*). ნ. მარჩის ამ შრომას კი სწორედ პოემის სიუჟეტის საკითხისთვის ქონდა თავისი მნიშვნელობა, რადგან პირველადვე ისევ ნ. მარჩმა ხსენებულ შრომაში ხელი შეუწყო საკითხის შეტრიალებას და წამოაყენა ისეთი მოსაზრებები (კერძოდ პოემის გმირთა საკუთარ სახელების შესახებ), რომელთა შემდეგ შესაძლებელი იყო დასმულიყო კითხვა პოემის სიუჟეტის ორიგინალობის შესახებ ახალი მიმართულებით (ს. კაკაბ., ვ.-ტყაოსნის პრობლ. გარეშემო, საისტ. მ-ე I, 24 წ. გვ. 121). სახელდობრ ნ. მარჩმა ხსენებულ შრომაში ერთხელ კიდევ უჩვენა, რომ გმირების სახელები შოთას შეცვლილი აქვს ქართულ ნიადაგზე ან აღებული პირდაპირ ქართულ ნიადაგიდან (ტარიელი, ავთანდილი, თინათინი; უკანასკნელს სახელს მარჩი ქართულ სახელად სთვლის; მეორეს — პირობით), ამიტომაც თუმცა ნ. მარჩი ჯერ კიდევ დასაშვებად სთვლიდა შოთამდის კარგახნობით ქართულად სპარსული მოთხრობის გადაკეთებულ პროზაიკულ ვერსიის არსებობას, მაგრამ არსებითად ის ამასთანავე უმატებდა, რომ უფრო და უფრო საჭირო ხდება ანგარიში გაეწიოს შოთას ნაწარმოებში ხალხური (იგულადგილობრივი) წარმოშობის ელემენტებსო (დასახელ. შრ., გვ. 427—428). ესლა კ. კეკელიძეც შესაძლებლად სთვლის პოემის



სიუჟეტი და ზღაპარიც ადგილობრივ და ორიგინალურად წარმოშობილად აღიაროს, მაგრამ თავისთავად ცხადია საკითხის ასეთი დასმად ძნელი იქნებოდა, რომ ნიადაგი ამისთვის წინასწარ არ ყოფილიყო მომზადებული.

ავტორი ვ.-ტყაოსნის სიუჟეტის გარჩევისას ვრცლად ადარებს პოემას ზოგიერთ შინაგან ნიშანდობლივ ხაზების მხრივ ვის-რამიანს, ამირან-დარეჯანიანს, შაჰნამეს, ბარამ-გურიაანს და ამტკიცებს მათ გავლენას ვ.-ტყაოსნის სიუჟეტის და შინაარსის დეტალების შექმნაზე. იმეორებს აგრეთვე ნ. მარტის მიერ თავის დროზე გამოთქმულ დებულებას თამარიანის ზედგავლენის შესახებ ვ.-ტყაოსანზე გარეგან მხარის, ფორმის მხრივ და საერთოდ დასკვნის ვ.-ტყაოსნის ორიგინალობასთან ერთად მის ერთგვარ მიმბაძველობასაც. ნამდვილად კი მიმბაძველობაზე ლაპარაკი აქ ზედმეტად უნდა ჩაითვალოს. ვ.-ტყაოსანი არის განსაზღვრულ ლიტერატურულ ნორმების წიაღში წარმოშობილი ნაწარმოები. ეს ლიტერატურული ნორმები არის იგივე სპარსული ეპოსისთვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი თვისებები. აქ შეიძლება მაშასადამე ლაპარაკი არა მიმბაძველობაზე, არამედ განსაზღვრულ ლიტერატურული არეს — რომელიც სპარსული იყო — ზედგავლენაზე. თავისთავად იგულისხმება ასეთი ზედგავლენა, მცირე იყო ის თუ თვალსაჩინო, სრულებით არ ეწინააღმდეგება პოემის ორგინალობის საკითხს და არც პოეტის შემოქმედების სიძლიერეს ამკირებს. მაგრამ რადგან ამ საკითხებში თავისუფლად გარკვევა ავტორისთვის საძნელო ყოფილა, ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ის ათავეებს თავის დასკვნას შემდეგნაირად: „პოემა არის მართლაც დიდი ნაწარმოები არა მარტო ქართულის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით, მაგრამ არა იმდენად გენიალური, როგორც ზოგიერთებს გაზვიადებულად წარმოუდგენიათ“-ო (გვ. 141). ეს კურონოზული შეფასება გენიალობისა იმდენობით ფრიად დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს.

ასევე სუსტად და შეუწყნარებლად არის წარმოდგენილი კ. კეკელიძის წიგნში შაჰნამეს ქართული ვერსიების გარჩევა. აქ ავტორი ძირითად საკითხებში იჩენს კრიტიკულ აპარატის გასაოცარ პრიმიტივობას. ავტორი, მაგ., ეხება ზაქიანის ავტორად მოხსენებულის მამუკა მდივნის ვინაობას (გვ. 172—173) და სრულიად მოულოდნელად აცხადებს, ეს მამუკა მდივანი არ შეიძლება ყოფილიყო იმერეთის ბატონი-შვილი მამუკა, ალექსანდრე მეფის ძმა, რომელიც 1647 წ. დააჩუყვეს ლევან დადიანმა. ლიტერატურის ისტორიკოსმა უნდა იცოდეს, რომ ბატონი-შვილსა და მდივანს შორის, მდგომარეობის მხრივ, მე-17 ს-ში დიდი განსხვავება იყო. ასევე გაუგებარია, როგორ შეიძლება მამუკა მდივნის მამუკა ბოქალთ-უხუცესის პიროვნებასთან დაკავშირების აზ-

რის არა თუ წამოყენება, როგორც ამას კ. კეკელიძე სჩადის პირველ შემთხვევაში, არამედ მით უმეტეს ასეთი აზრის მიღება. ბოქალთუხუცესი და მდივანი, რასაკვირველია, სულ სხვადასხვა პირობა იყვნენ. რაც შეხება ზაქიანის ავტორს მამუკას, ის ცნობილია განჩინების ერთს საბუთში, რომელიც ეხება გაბუნების მიერ ხონის ტაძრის გაცარცვას და რომელიც მიცემულია ლევან დადიანის მიერ მისი ცოლის ნესტან-დარეჯანის სიცოცხლეში, მაშასადამე დახლ. 1628—1639 წლებში (ს. კაკაბ., დას. საქ. საეკლ. საბ. I, 51—52). აქ მოხსენებული მეფის მდივანი მამუკა სწორედ ზაქიანის მომავალი ავტორი უნდა იყოს იმიტომ, რომ ხსენებულ საბუთში მამუკა მდივანი იხსენიება წარმომადგენლად იმერეთის მეფის მხრივ, ზაქიანი კი მას დაწერილი აქვს ლევან დადიანის შეკვეთით, ცხადია დადიანთან ტყვეობაში ყოფნის დროს. ამ მამუკას გადაწერილია „ტყვეობაში“, მაშასადამე ოდიშში, ვ. ტყაოსნის ცნობილი ხელნაწევი 1646 წლისა. ცხადია, რომ ზაქიანიც დახლ. 1646 წლის ახლო ხანებში იქნებოდა დაწერილი ოდიშში.

ასეთივე მაგალითს ისტორიულ ფაქტების ჯგროვანად ვერ შევასებისას ვხედავთ კ. კეკელიძის ცდაში როსტომიანის ავტორის ვინაობის და ცხოვრების დროის გაკვევის შესახებ. ცნობილია თვით როსტომიანივე მოხსენებულ გლოსიდან, რომ როსტომიანის ავტორი იყო სოკრატისძე საბაშვილი. ამ საბაშვილის ცხოვრების დროის გასარკვევად დიდი მიწვენილობა აქვს როსტომიანისავე ცნობილ ნართაულ ტაეპებს რუსთველის და ბაგრატის გაბაასების შესახებ, რომელი ტაეპები თვით პოემის ავტორს ეკუთვნის. კ. კეკელიძე ფიქრობს და ამ მხრივ ის იმეორებს სხვების აზრს, რომ ამ ნართაულ ტაეპებში უნდა იგულისხმებოდეს ბაგრატი პირველი მუხრან-ბატონი და როსტომიანიც მაშასადამე მე-16 ს-ნის პირველ ნახევარში უნდა იყოს დაწერილი (გვ. 178 და სხ). მაგრამ ასეთი ინტერპრეტაცია აიხსნება იმით, რომ კ. კეკელიძეს ვერ გაუგია ნართაულ ტაეპების სათანადო ადგილები. კ. კეკელიძე, მაგ., ამბობს, — ბაგრატი ხსენებულ ტაეპში მოხსენებულია კოსტანტინესთან ერთად, როგორც გამგრძელებელი მასი მოღვაწეობისაო“ (გვ. 178). ნაძღვილად კი ტექსტში იგულისხმება არა ბაგრატი კოსტანტინეს მოღვაწეობის გამგრძელებლად, არამედ წინაუკმოდ — კოსტანტინე ბაგრატის მოღვაწეობის გამგრძელებლად („კოსტანტინე გაყმაწვილდა, მათმან გვარჰან გიხარნა, ... აწე ბაგრატი ღოიცალოს“ და სხ...). როგორ მოუვიდა ეს კარდინალური მნიშვნელობის შეცდომა კ. კეკელიძეს, ჩვენთვის გაუგებარია. მით უმეტეს ზედმეტად უნდა ჩათვალოს ის გამგებლობა, რომლითაც ავტორი თავის წიგნში კამათობს ამავე საკითხის შესახებ\*). ყოველად შე-

\* ავტორი, მაგ., ბრძანებს (გვ. 179, შენ.): „ტაეპებში ბაგრატი მისდევს კოსტანტინეს როგორც მემკვიდრე და არა კოსტანტინე ბაგ-

უძღვებელია ამისდა მიხედვით ნართაულ ტაეპებში მოხსენებული ბაგრატ კოსტანტინესძე მუხრანბატონი იყოს. გარდა ამისა ამ ბაგრატს იმავე როსტომიანის ტექსტის ძველ მინაწერების მიხედვით აუღია იენგი-ყალა. იენგი-ყალა (=ახალი ციხე) თურქული სახელია. სოფ. ენგიჯა ეხლა ნაჩვენებია რამოდენიმე ადგილას ეხლანდელ ერევნის და ყაზანდღის რაიონებში. საფიქრებელია ენგი-ყალაც საპხრეთ კავკასიის ცენტრალურ რაიონში იქნებოდა. მე-16 ს-ში ქართველების დაპყრობითი ამპლიტუდა, როგორც ცნობილია, ამ მხარეს ვერ სწვდებოდა. ეს ცნობა კი ძლიერ კარგად უდგება მე-14 ს-ნის მეორე ნახევარს, როდესაც საქართველოში

რატს, როგორც ს. კაკაბაძეს წარმოუდგენია-ო“. ნამდვილად სხვანაირად წარმოდგენა მართლაც შეუძლებელი იყო. „ს. კაკაბაძეს მიერ ნაგულისხმევი კოსტანტინე ვერ ჩაითვლება „გვარის გამგრძელებლად“, ვინაიდან ის 1413 წელს თურქების მიერ დატყვევებულ იქნა და დაიღუპა პარბუდაკის ხელით“-ო. ნამდვილად კი ჩვენ ვიხსენიებდით (ვ.-ტყაოსნის პრობლემის გარეშემო, ს ა ი ს ტ. მ-ე I, 24 წ., 162) თვით ტაეპის სიტყვეს, სადაც კოსტანტინე გვარის გამხარებლად არის ნახსენები. გამხარებელი და გამგრძელებელი, — ეს რასაკვირველია დიდი განსხვავებაა. რისთვის დასჭირდა კ. კეკელიძეს სხვისი აზრის ასეთი არსებითად გადამახინჯება, გაუგებარია. იქვე ავტორი ბრძანებს: „ფიქრობთ, რომ ყველა ამის შემდეგ კატეგორიულად უნდა უარყოფილ იქნეს ს. კაკაბაძის ჰიპოთეზა, რომლის დასამტკიცებლად მას არც ერთი საბუთი არ მოჰყავს, ვითომც აქ იგულისხმებოდეს დიდი ბაგრატ მეფე და სერაპიონი იყოს მეთოთხმეტე საუკუნის მოღვაწე“. ჰიპოთეზას მომავალში შესაძლებელია დასჭირდეს გადასინჯვა, მაგრამ ეს ჰიპოთეზა დამყარებულია სწორედ იმავე ისტორიულ ხასიათების მასალების გამოყენებაზე, რომელიც გამოყენებული აქვს, როგორც დავინახეთ მათი შინაარსის გადამახინჯებით და ან ვერ-გაგებით, კ. კეკელიძეს. არც ერთი ახალი მოსაზრება ან საბუთიანობა კ. კეკელიძეს არ აქვს წამოყენებული მიუხედავად იმისა. რომ ის სპეციალურ გვერდებს უძღვნის შაჰნამეს ქართულ ვერსიებს, ჩვენ კი ამ საკითხს შევვებით სრულიად გაკვირვებით წეროდა „ვ.-ტყაოსნის პრობლემის გარეშემო“.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ სხვების აზრების გადამახინჯება და გარდათქმა ავტორისთვის თითქოს ხშირ მოვლენად სჩანს, რაც სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს. ავტორი, მაგ., ვ.-ტყაოსნის გაჩვენის დროს ამბობს: „ს. კაკაბაძის გაბედულმა ჰიპოთეზამ (პირვანდელი სახით, სახელდობრ შოთა რუსთველის ცხოვრების შესახებ მე-15 ს-ნის დასაწყისში ს. კ.) თავის დროს ნ. მარბუდაც მოახდინა ერთგვარი შთაბეჭდილება და იმანაც გადასწია პოემის დაწერის დრო მართალია არც ისე შორს როგორც ს. კაკაბაძემ, მაგრამ მე-14 საუკუნეში მანც-“ო (გვ. 109). აქ არის აზრის ერთი არსებითი დამახინჯება, რადგან ვ.-ტყაოსნის ჩვენს პირველ გამოცემაში ლაპარაკი იყო მე-15 ს-ნის დასაწყისში არა პოემის დაწერაზე, არამედ შოთას ცხოვრების დროზე. თვით პოემის ძირითადი ნაწილის დაწერის დროთ მე-13 ს-ნის ნახევარი იყო ნაჩვენები. მაგრამ უფრო საყურადღებოა კ. კეკელიძის ამ ტირადის გაგრძელება: „თავის მხრივ ნ. მარბუდაც ჰიპოთეზამ მერე მოახდინა გავლენა ს. კაკაბაძეზე, რომელმაც პირადად ნ. მარბუდაც აზრის გაზიარების გამო პოემის საბოლოოდ ჩამოყა-

მეფობდა დიდი ბაგრატი მეფე, რომელსაც ყავდა უმცროსი ძმა კოსტანტინე. მაგრამ საკითხი როსტომიანის შესახებ შეუძლებელია გარდაწყდეს მართო ისტორიულ ხასიათის ცხოვრების თუნდაც სწორად გამოყენებით. საჭიროა თვით ნაწარმოების განხილვა ენის, სტილის და შემადგენელ ნაწილების მხრივ და დიდად სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს, რომ ლიტერატურის ისტორიკოსი კმაყოფილდება ამ ქართული ძველი მწერლობის მნიშვნელოვან ნაწარმოების მხოლოდ გარეგანი ზერელე განხილვით. სამწუხაროდ ასეთი ზერელევე განხილვა ახასიათებს კ. კეკელიძის წიგნს თითქმის ყველა ნაწარმოებების მიმართ, მაგრამ როდესაც ამას თან ერთვის ისტორიულ ცნობებში სრულებით თავის ვერ-გარ-

ლიბება მე-15 ს-ნიდან მეოთხმეტეში გადმოიტანა; იხ. მისი „ვ.-ტყაოსნის პრობლემის გარეშე“, საისტ. მე-1, 32 წ. გვ. 122.“ ნამდვილად კი დასახელებულ ადგილას სწერია: „მთაფლიო ომის წარმოების დროს აკად. ნ. მარჩმა გამოაქვეყნა თავისი ახალი გამოკვლევა Грux. поема «Витязь в брaцовой шкyре» ИАН. 1917 г. ამ გამოკვლევაში, რომელშიდაც ჩემი (ს. კაკაბაძის) მოსაზრება შოთა რუსთველის ცხოვრების დროის შესახებ, შემდეგ წარმოებულ ძიებათა მიხედვით რამოდენადმე შეცვლილი, — ალბად პირადად ნ. მარჩთან აზრის გაზიარების გამო გამოხატულია როგორც მე-14 საუკუნესთან დაკავშირებით, ცნობილი მეცნიერი ანვითარებს თუმცა არა გადაჭრით ორს დებულებას: ერთი რომ შოთა მართლაც შეიძლება იყოს მე-14 ს-ნის ავტორი და მეორე რომ ის უნდა დაკავშირებული იყოს მუსულმანურ კულტურულ სამყაროსთან“ (საისტ. მე-1, 24 წ., 122). საქმე ის არის, რომ ნ. მარჩს ხსენებულ თავის ნაშრომში ჩვენი დებულება მოხსენებული ჰქონდა ფორმულით. — შოთა როგორც მე-14 ს-ნის მწერალი, მაშინ როდესაც ბეკდვით ჩვენ ეს შესწორება ჯერ გამოქვეყნებული არ გვქონდა. ნ. მარჩმა ამგვარად მოიხსენია ჩვენი აზრი სათანადო შესწორებით და ეს შესწორება ჩვენ მიერვე ბეკდვით გამოთქმულ აზრისა ნ. მარჩს შეეძლო მოეხდინა მხოლოდ პირველად ჩვენთან აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ. ამგვარად ნ. მარჩი 1917 წ. შოთა დროის შესახებ თუმცა თავისი საკუთარი საბუთიანობით, ადგა იმავე აზრს, რომელსაც მაშინ ჩვენც ვადექით. ცხადია კ. კეკელიძეს აქ საქმის ვითარება ძირიანად გადამახინჯებულად აქვს გადმოცემული.

ასევე გადამახინჯებით აქვს ავტორს მოყვანილი, ივ. ჯავახიშვილის სქემის განმეორებით, დებულება ვ.-ტყაოსნის რეალიების შეფასების შესახებ (გვ. 108; შეად. ამ საკითხის შესახებ ს. კაკაბ. ვ.-ტყ. პრობლ. გარეშე, საისტ. მე-1, 24 წ., 149). ასევე დამახინჯებით მოყავს კ. კეკელიძეს სახელების ტარიელის და ავთანდილის ქართულ ნიადაგზე განვითარების შესახებ ნ. მარჩის აზრი (გვ. 118). ნამდვილად კი ნ. მარჩი თავისს უკანასკნელ ნაშრომში ვ.-ტყაოსნის შესახებ (Грux поема „Вит. в брaц. шк. ИАН., 1917 г. 428) სახელს ტარიელს სთვლის ქართულ ხალხური ფორმის მქონედ, ავთანდილს კიდევ ან ქართულ ხალხურ სახელად ანდა, თუ ის სპარსულია, ქართულ ხალხურ ნიადაგზე შეცვლილად.

გარდათქმათა ასეთი მაგალითები კ. კეკელიძის წიგნში სხვებიც არის. სიმოკლისათვის მათზე არ ვჭერდებით.



თობა, მაშინ გარეგან გარჩევაც ბევრს შემთხვევებში საეკუო ღირსებისად  
სჩანს. მაგ., შაჰნამეს მიბაძვათა განხილვის დროს ავტორი კერძოდ  
სააჰიანის შესახებ იხსენიებს ამ პოემის ბარძიმ ვაჩნაძის მიერ გაღე-  
ქვის ცნობას და ამბობს: „უნდა ვიფიქროთ, ბარძიმიც ერთ-ერთ იმ  
ტყვეთაგანი იყო, რომელნიც ხელთ ჩაუვარდა მეფის მდივან მამუკას,  
თან ერთად სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს 1623—1624  
წელს-ო“ (გვ. 168). საიდან მიიღო კ. კეკელიძემ ეს თარიღი,  
1623—1624 წ., სრულიად გაუგებარია. ჩვენ გვეგონა, რომ ზაქ. ჭიჭი-  
ნაძის მეთოდი ძარილებს პირდაპირ შეთხზვის შესახებ ჩვენს მეცნიე-  
რებაში მიტოვებელი იყო, მაგრამ სამწუხაროდ ზ. ჭიჭინაძეს ამ მხრივ  
ჯერ კიდევ ყალიბი მიმბაძველნი. არსებთან რასაკვირველია ბარძიმ  
ვაჩნაძე შეიძლება ლევან დადიანს ტყვედ ჩაუვარდნოდა უფრო იმ შემ-  
თხვევაში, როდესაც იმერეთის მეფის მხარეზე დადიანთან ბრძოლაში კახ-  
ბატონი თეიმურაზი მონაწილეობას ღებულობდა. ეს იყო 1634 წ.,  
როცა ლევან დადიანს, თავისი დის მარიაპის რუსტომ მფუფხე-საქარწილოდ  
მიმყვანს, ბაღდადს გადაეღობნენ ალექსანდრე იმერთა მეფე და მასთან  
შეხიზნული თეიმურაზ კახ-ბატონი. დადიანმა გაიმარჯვა, მას ტყვედ  
დარჩა თვით იმერეთის მეფე და „იმერელი და კახნი დარბაისელნიც“  
(ქრონ. II, 450—451). ამ დარბაისელთ შორის იქნებოდა ბარძიმ  
ვაჩნაძეც. რასაკვირველია, ეს თარიღიც უხლოდ პარობით შეიძლება  
მიღებულ იქნას, მაგრამ ყოველს შემთხვევაში მას აქვს რეალური სა-  
ფუძველი, როდესაც კ. კეკელიძის ნაჩვენები თარიღი პირდაპირ შეთ-  
ხზულს წარმოადგენს. სამწუხაროდ ასეთი ისტორიულ ხასიათის ფაქ-  
ტიური შეცდომები ავტორს ხშირად მოსდის, მაგრამ სიპოკლისთვის  
ჩვენ მათ აქ არ შევხვებით. როგორც სჩანს, ავტორი საქართველოს  
ისტორიის ფაქტიურ მხარეს სუსტად იცნობს.

შედარებით გვარიანად აქვს კ. კეკელიძეს დალაგებული აღორძი-  
ნების პერიოდის სალიტერატურო მასალები, რომელთა შესახებ ა. ხა-  
ხანაშვილის და სხვების შემდეგ, როგორც ცნობილია, საფუძვლიანი  
წინასწარი მუშაობა აქვს წარმოებული ე. თაყაიშვილსაც თავისს Опис-  
сание рукописей общества распростран. грамотности და აკრეფე სხვა პი-  
რებსაც. მაინც, მაგ., თეიმურაზ I-ის ლიტერატურული მოღვაწეობის დახა-  
სიათება საჭიროებს გაღრმავებას და მეტს რეალურ შეფასებასაც. უფრო  
მოიკოჭლებს თეიმურაზის სპარსულიდან გადმოკეთებულ ნაწარმოებთა  
განხილვა, რაც ადვილი გასაგებია, რადგან ავტორმა არ იცის სპარსუ-  
ლი ენა და (პირველ წყაროთი) სპარსული ლიტერატურაც, რაც ექვს  
გარეშეა უარყოფით გაველენას ახდენს, ქართულ საწარო ლიტერატურის  
საერთოდ სპარსულ ლიტერატურულ ნორმებზე დამოკიდებულების გამო,  
კ. კეკელიძის მთელს შრომაზე.

საზოგადოდ სპარსულის ელემენტარულად მაინც უცოდინარობა-  
ავტორს ხშირად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. აღნიშნავთ, მაგ.,  
ერთს კურობულ შეცდომას. ვის-რამიანის გარჩევისას და სხვაგანაც ავ-  
ტორს ამ რომანის გმირის სახელი მოჰყავს ვის-ო-ს ფორმით (გვ.  
64—76, კიდევ 121—123 და სხ.). ნამდვილად კი ამ სახელის ქართუ-  
ლი ფორმა არის ვისი (იხ. ქართული ვერსია). თუ საიდან მიი-  
ღო ავტორმა ფორმა ვისო, ადვილი მისახვედრია. სპარსულად ამ  
რომანს სახელად ქვია ვის-ო-რამინ (ويس و رامین), სადაც ო-  
არის კავშირი და (ვისი და რამინი). რადგანაც რუსულად (და სხვა  
ენებზედაც) ამ რომანის სახელს ხშირად ხსენებული სპარსული ფორ-  
მით იხსენიებენ, ამიტომ კ. კეკელიძეს ვისის სახელიც თავი-  
სებურად და სრულიად შეუწყნარებლად გადაუკეთებია:

ავტორის მიერ სხვადასხვა მწერლების გარჩევა ჯეროვან დონეზე  
არ დგას, მაგალითად, დავით გურაჩიშვილი ღირსია უფრო ღრმა  
შეფასების, ვიდრე ეს კ. კეკელიძეს აქვს. ასევე ბესიკის გარ-  
ჩევა სათანადოდ არაა წარმოდგენილი. სხვათა შორის ავტორი ვრცლად  
არკვევს საკითხს ბესიკის ტრფობის საგნის ვინაობის შესახებ,  
სამართლიანად უარყოფს ს. გორგაძის მიერ წინად ბეჭდვით  
(მისი გამოცემა ბესიკისა, ტყ. 1912 წ.) გამოთქმულ აზრს,  
რომ ამ ტრფობის საგანი არ შეიძლება ყოფილიყო ანნა ბატონი-  
შვილი, ერეკლე II-ის დაი, მაგრამ ვერაფერს დასკვნამდის ვერ მი-  
დის, მაშინ როდესაც ცხადია, რომ თუ ამ ტრფობის საგანი ანნა  
დედოფალი იყო, ისტორიულ ფაქტების გათვალისწინებით შეიძლე-  
ბა მივიღოთ, რომ ეს ანა ყოფილა იმერეთის დედოფალი ანნა, ორბე-  
ლიანის ქალი, მეფე დავით II-ის ცოლი.

რეცენზია ისედაც ვრცელი გამოვიდა და ამიტომ კ. კეკელიძის  
წიგნის გარჩევას ამაზე შევამჩნებთ. საქიროა მხოლოდ ლიტერატურულ  
ეთიკის თვალსაზრისით აღინიშნოს ქართულ ლიტერატურის პირველი  
დაწერის ალ. ხახანაშვილის შეუწყნარებელი და უმადური მოხსენება,  
რომელიც კ. კეკელიძის წიგნს ახასიათებს ბევრს აღგილას (იხ. კერ-  
ძოდ გვ. 27—28 და სხვაგან შენიშვნებშიც): ნამდვილად კი ალ. ხა-  
ხანაშვილის დეაწლი ქართულ ლიტერატურის ისტორიის წინაშე  
ძლიერ დიდია და ეს დეაწლი განსაკუთრებით ცხადი და ნათელი  
ხდება კ. კეკელიძის წიგნის შემდეგ. მართლაც ა. ხახანა-  
შვილმა დაიწყო ზუშაობა თითქმის ცარიელ ადგილიდან, კ. კე-  
კელიძეს კი ყავდა მთელი რიგი წინამორბედ მკვლევართა და მუშაკ-  
თა (დაწყებული ნ. მარტიანი), რომელნიც ქართულ ძველ მწერ-  
ლობის ცალკე საკითხების შესწავლაზე მუშაობდნენ. მიუხედავად ამი-  
სამან მაინც ვერ შესძლო ქართულ ლიტერატურას ისტორიისთვის სათა-

ნადოდ დაეძლია, იმდენად მაინც, რამდენადაც ეს თავის დროზე (მისი Очерки по ист. груз. слов. გამოცემისას) შესძლო ალ. ხახანაშვილმა. მართლაც, თუ მივიღებთ მხედველობაში ა. ხახანაშვილის შრომის რუსულ გამოცემასა და კ. კეკელიძის წიგნს შორის გავლილ მანძილს (25 წელიწადი) და ამ დროს განმავლობაში სხვადასხვა პირთა მიერ წარმოებულ რთულ მუშაობას და კვლევა-ძიებას, თავმად შეიძლება, მუშაობის მნიშვნელობის და სიღრმის მხრივ, უპირატესობა ალ. ხახანაშვილის ნაშრომს მიეცეს, რასაკვირვლია განვილილ დროსთან შედარებით. მაგრამ უამისოდაც ავტორის უმადურობა მით უმეტეს გასაკვირველია, რომ ზოგიერთ ადგილებს ცხადად ეტყობა ალ. ხახანაშვილის წიგნით პირწმინდად სარგებლობა, იმდენად რომ ზოგან კ. კეკელიძე გაცვლინება ა. ხახანაშვილის წიგნის პირდაპირ გარდამტკმელად. მაგ., შინაარსი ვის-აპიანისა, ბარამ-გულიჯანიანის და ლეილ-მაჯუნნიანისა ავტორს, ცხადად ეტყობა; თუ მთლად არა, თვალსაჩინოდ მაინც ამოღებული აქვს ა. ხახანაშვილის წიგნიდან ზოგიერთ იმ შეცდომისავე განმეორებით, რომელიც ხახანაშვილის წიგნს ახასიათებდა: მაგ., ლეილ-მაჯუნნიანის შინაარსის გადმოცემისას კ. კეკელიძე იმეორებს (გვ. 229) ალ. ხახანაშვილის მიერ თავის დროზე (Очерки по ист. груз. слов. III, 75) დაშვებულ შეცდომას, სახელდობრ ყაიხ თითქოს გადღებულ იქნა სახლიდან იმისთვის, რომ ქების კითხვის დროს ლეილას დაუწყო კოცნაო. ნამდვილად კი ხელნაწერები გადმოგვცემენ, რომ ყაიხმა ლეილას გოშის დაუწყო კოცნაო (შეად. გ. ჯაკობია, ლეილ-მაჯუნნიანის ქართული ვერსიისთვის, არილი, 160, შენ.). ა. ხახანაშვილის ნაშრომის ზედგავლენა კ. კეკელიძის წიგნს ეტყობა სხვა ადგილებშიდაც, რაც რამოდენადმე გასაგებია, რადგან, თავისთავად იგულისხმება, კ. კეკელიძე სარგებლობდა ა. ხახანაშვილის ნაშრომით. ზენ მხოლოდ შეუწყნარებლად მიგვაჩნია თავისი დროისთვის სრულიად პატივსადებ შრომის ისე მოხსენება, როგორც ამას ავტორი სჩადის. საზოგადოდ ძლიერ სამწუხაროა ის პოლემიკური და იმავე დროს იმპერატიული კილო, რომელიც ახასიათებს კ. კეკელიძის წიგნს სხვა მკვლევართა აზრების გადმოცემისას, მით უმეტეს, რომ იმპერატიულ კილოსთვის წიგნი, როგორც ზემოდ მოყვანილ ზოგიერთ ნიმუშებიდანაც ვნახეთ, სათანადო მეცნიერულ საფუძველს არ იძლევა. სხვების აზრების გადმოცემისას კიდევ ხშირია, როგორც ვნახეთ, ან აზრების გარდატქმა, ასე რომ კ. კეკელიძე ფაქტიურად ხშირად მკვლევარებს კი არ ეკამათება, არამედ მის მიერვე გადაკეთებულ აზრს, რომელსაც სხვას აწერს (იხ. ზემ., სხვა მაგალითებს ადგილის უქონლობის გამო არ ვასახელებთ). საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქართულ საერო მწერლობის ისტორიაზე სპეციალური მუშაობა ეხლა უკვე შეუძლებელი ხდება იმ აპა-

რატით, რომელიც ახასიათებდა თუნდაც ალ. ხახანაშვილს და ეხლა ახასიათებს კ. კეკელიძეს. ძველი ქართული საერო მწერლობის ნიშანდობლივი ხაზები და თვისებები მკვლევარისთვის აუცილებელ საჭიროებად ხდიან სპარსულ ლიტერატურასთან თვით პირველ წყაროების მიხედვით გაცნობას. უამპირობოდ ქართული მეცნიერება ვერ შესძლებს ამ დარგში თავი დაახწიოს რაც დრო გადის მით უფრო შეუწყნარებელ და საშიშ დილექტანტიზმის ფარგლებს.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ავტორი აქამდის ცნობილი იყო როგორც ქართულ საეკლესიო მწერლობის სპეციალისტი, კერძოდ როგორც ლიტურდისტი და ჰაგიოლოგი და სათანადო ტექსტების გამომცემი. საქმისთვის ექვს გარეშეა უმჯობესი იქნებოდა, უკეთუ კ. კეკელიძე თავის სპეციალობას დაუბრუნდებოდა, მით უმეტეს რომ ხსენებულ დარგებში ჯერჯერობით ახალი მომუშავე არ სჩანს.

**Тексты и разыскания по кавкаской филологии, том. I, изд. Российской Академии Наук, Ленинград 1925 г.**

დასაიღებელი წიგნი, რომელიც წარმოადგენს, როგორც აკად. ნ. მარრის წინასიტყვაობიდან სჩანს (გვ. I - III), რევოლიუციის შემდეგ შეცვლილ პირობებში, როდესაც ფილოლოგიურ ძიებათა საგნად ხდებოდა ახლად შექმნილი კავკასიური სალიტერატურო ენები, გაგრძელებას წინადასრებულ სერიისას *Тексты и разыскания по армяно-грузин. филологии* და შეიცავს შემდეგ წერილებს: 1) ნ. მარრის, — შესავალი ლექცია ლაზარევის სახელობის წინა-აზიის ინსტიტუტში; 2) კ. დონდუასი, მერჩულის შრომა ბელგიელ ორიენტალისტის ლათინურ თარგმანის სახით; 3) მისივე, ანაქრონიზში კავკასიის იაფეტურ ენების ურთიერთობის საკითხის გარდაწყვეტისას; 4) ა. ჰენკოსი, ივ. ჯავახიშვილის ნაშრომზე დაბადების ტექსტების შემცველ ქართულ პალიმპსესტების შესახებ; 5) ნ. მარრისა, დაბადების კავკასიური ვერსია ქართულ პალიმპსესტურ ფრაგმენტების მიხედვით და 6) მისივე, რუსული სიტყვა სალო. მოხსენებულდი ხაზართა ნადიმის მე-7 ს-ნის ძველ-სომხურ აღწერილობაში.

პირველი წერილი, შესავალ ლექციად აკად. ნ. მარრის მიერ ჯერ კიდევ 1919 წ. მოსკოვს ლაზარევის სახელობის ყოფ. ინსტიტუტში წაკითხული, წარმოადგენს საზოგადო მიმოხილვას, რომელშიდაც ავტორი აწვითარებს კავკასიის კულტურულ სამყაროს შესწავლის საკითხში ფართო მეცნიერულ ჰორიზონტების დამყარების საჭიროებას მეზობელ ქვეყნების მკოდნეობის და მეზობელ ფილოლოგიურ დისციპლინების გამოყენებით, ნაცვლად იმ განკერძოებითი მუშაობისა, რომელიც აქამდისაც რამოდენადმე ახასიათებს ქართულ და სომხურ ფილოლოგიას.



კ. დონდუას წერილი ეხება Peeters-ის ლათინურ თარგმანს მერჩულის თხზულებისას, რომელიც დაბეჭდილია, სამ სხვა ძველ-ქართულ ნაწარმოების თარგმანთან ერთად (იოანეს და ექვთიმეს ც-ბა, გიორგი მთაწმინდელის ც-ბა, სერაპიონ ზარზველის ც-ბა) წიგნში *Histoires monastiques Géorgiennes*. თარგმანს საფუძვლად უდევს ნ. მარრის ცნობილი გამოცემა მერჩულის თხზულებისა. თავისს წერილში კ. დონდუა იძლევა Peeters-ის თავისთავად ფრიად სასარგებლო ნაშრომის-თარგმანის საფუძვლიან და დაკვირვებულ გარჩევას და აღნიშნავს თარგმანის ზოგიერთ დეფექტს.

შემდეგი სამი წერილი კ. დონდუასი, ა. ჰენკოსი და აკად. ნ. მარრისა წარმოადგენს ივ. ჯავახიშვილის და მცირედ ა. შანიძის მიერ ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტების აღმოჩენასთან დაკავშირებით ტფილისის უნივერსიტეტის მოაზრებაში წ. II მოთავსებულ წერილების და მათ დებულების საფუძვლიან გარჩევას. როგორც ცნობილია, ხანმეტი ტექსტებს პირველად მიაქცია ყურადღება რ. ბლუეკმა ოქსფორდში და შემდეგ ივ. ჯავახიშვილმაც ტფილისში, სადაც მოიპოვება ქართული ხელნაწერების უმდიდრესი კოლექციები. კ. დონდუა ადასტურებს ძირითად მეთოდოლოგიურ დეფექტებს ივ. ჯავახიშვილის წერილისას— ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (ტფ. უნივ. მე II, 313—370)—სახელდობრ დეფექტებს ქართული ენების ერთმანეთთან ურთიერთობის საკითხში, რაც კონკრეტულად გამოიხატა ივ. ჯ-ლის მიერ ტერმინის—საერთო ქართული ენის—წამოყენებასა და თვით ისეთი ნარევი ენის როგორიც სიანურია ქართულის კილოკავად გამოცხადებაში.

ა. ჰენკო თავისი წერილში აღნიშნავს, ივ. ჯ-ლის სხვა შეცდომათა და გარდათქმათა დადასტურებასთან ერთად, მსხვილ ფაქტიურ და მეთოდოლოგიურ შეცდომას, რომელიც მოუვიდა ივ. ჯ-ლს, როდესაც ბან, ვ და ყარ-ის თავშეკრულობით ის ცდილობდა ხანმეტიან პალიმპსესტების დათარიღებას მე-5—6 საუკუნით. მოკლედ და საქმის ცოდნით ახალგაზრდა მეცნიერი ცხად ყოფს საკითხის იმ გვარად დაყენების, როგორ ეს ივ. ჯ-ლს ჰქონდა, მეთოდოლოგიურ შეუძლებლობას.

უკანასკნელ, თვით აკად. ნ. მარრი თავისს წერილში დაბადების კავკასიურ ვერსიების შესახებ ეხება იმ ფრიად მნიშვნელოვან კითხვას, რომელზედაც ავტორი წინადაც შეჩერებულა და ღრმა ერუდიციით და დაკვირვების დიდი უნარიანობით არკვევს პალიმპსესტებში დაცულ დაბადების ქართული ვერსიის ვითარებას. სათანადო საბუთების მოყვანით ავტორი მიდის იმ დასკვნამდის, რომ დაბადების ქართული პალიმპსესტური ვერსია ყოველთვის არ მისდევდა LXX-ს და 1) შეიცავდა

არმენიზმებს ანუ სომხურთან საერთო ლექსიურ და საზოგადოდ სტილი-სტურ თვისებებს, 2) უფრო უდგებოდა სირიულ და ებრაულ ვერსიების წაკითხვას, 3) წარმოადგენდა თარგმანს შემოკლებით, თარგმანში კიდევ ყურადღებას იპყრობს ცოცხალი კილოს გამოთქმებით სარგებლობა. იგივე პალიმპსესტურ ტექსტებში წარმოდგენილ ნაწყვეტებს ახალი აღთქმისას ავტორი არ ეხება, აღენიშნავთ მხოლოდ, რომ გაცვრით ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება, თითქოს აღიშის სახარების და პალიმპსესტებში დაცულ აღიშის სახარების თანმიმყოფი ტექსტების ენა ეულგარულ და შედარებით სიახლის მაჩვენებელ თვისებისა იყოს, შესაძლებელია საქიროებდეს სერიოზულ გადასინჯვას არამიტომ, რომ საკითხი ჩვენ წერილში სათაურით—ქართულ სახარების თარგმანთა შესახებ მე-5—6 ს-ში ხანკეტ ტექსტებთან დაკავშირებით (საისტორიო ძიებანი, 1—37)—საბოლოოდ გამორკვეულად მიგვაჩნდეს, არამედ იმიტომ, რომ, როგორც ნ. მარრი თვითვე სამართლიანად ბრძანებს (გვ. 61), „კითხვა ახალი აღთქმის ტექსტების შესახებ სხვაა, ვიდრე ძველი აღთქმისა და თხოულობს სათანადო განსაკუთრებულ, სრულიადაც არა უფრო ადვილს მოპყრობას“.

გზადაგზა აკად. ნ. მარრი არჩევს ტფილისში ხანკეტ ტექსტებთან დაკავშირებით გაქოსულ ნაშრომებს (ივ. ჯავახიშვილისა და ა. შანიძისას) და ფაქტების განხილვით ადასტურებს ტფილისში მეცნიერულ მუშაობის თვალსაზრისად უკან დახევას, საზოგადოდ მეთოდოლოგიურად უკან ჩაპორჩენილობას. მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს ამ მხრივ ტფილისში ქართულ ფილოლოგიის დარგებში წარპოებულ მუშაობის ნაკლი, რაც უნდა სამწუხარო იყოს ამასთანავე მეცნიერულ ერთის მხრივ და მეორე მხრივ თავისებურად (ჩვენის აზრით ამასთანავე შემკდარად) გაგებულ ეროვნულ-კულტურულ ინტერესების ერთმანეთში აღრევა, მაინც მეტად მკაცრად და გადამეტებულად სჩანს აკად. ნ. მარრის კვალიფიკაცია, რომ „შექმნილ პირობებში პეტროგრადის სამეცნიერო შკოლამ უმჯობესია პირდაპირ განაცხადოს «გამზარ და უნაყოფო ლელვის ხის ამოკვეთის და ცეცხლში ჩაგდების» საქიროების შესახებ, ვიდრე პირობითედ შეუდგეს განწირულ ხის ძიოების მორწყვას-ო“ (გვ. 65). პატარა ერს, მცირეოიცხოვან ძალების მქონეს, არ შეუძლია ასეთ გზას მიყვას. ძალთა გაერთიანება და ამ გაერთიანების წყალობით და სადი ხელმძღვანელობით ნამდვილი მეცნიერულ შემეცნებისაკენ გზის გაკაფვა—ეს უნდა შეადგენდეს უახლოვეს პრაქტიკულ მიზნებს, ქართული მეცნიერებისა და ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის მომავლის უზრუნველსაყოფად.

უკანასკნელ, კრებულში მოთავსებულია ნ. მარრის ვრცელი გამოკვლევა—По поводу русского слова „сало“ в древне-армянском

описании хазарской трапезы VII века. ეს სიტყვა, რომელიც მოხსენებული აქვს მოსე კალანკათუელს (ანუ უტიელს) თავის „აღბანელების ისტორიაში“, საბაბს აძლევს ნ. მარჩის წარმოადგინოს ვრცელი და ფრიად ღრმად ჩაწვდენილი ენათმეცნიერული და კულტურული ისტორიული ექსკურსი ცალკე საკითხების შესახებ, რომლის ქარვაზე და იაფეტურ ენათმეცნიერების საფუძველზე ავტორი ადასტურებს კავკასიელებსა და რუსებს შორის ძველადვე, ყოფა-ცხოვრების ზოგიერთ ფაქტების მხრივ, კავშირის არსებობას. თვით სიტყვა „სალო“, ამბობს ავტორი, არის რუსული და ამ ქამად არ არის შესაძლებლობა ამ სიტყვის არსებობა ძველ სომეხ ისტორიკოსის ნაწარმოებში მე-7 საუკუნის თხრობის შესახებ ახსნილ იქმნას აღბანურ სომხურ კილოს მიერ ამ სიტყვას რუსულიდან მარტივ შეთვისების გარეშე. მაგრამ შესაძლებელია, ამბობს ავტორი დიდის თავდაქრით, რომ ეს სიტყვა, თავისთავად რუსული, შეთვისებული იყოს სლავების და მათ შორის რუსების მიერ სამხრეთ-რუსეთის ტერიტორიაზე წინად მობინადრე იაფეტურ ტომებისაგან (გვ. 122). ავტორი მხოლოდ აყენებს საკითხს დაკავშირებით სხვა ანალოგიურ ძიებებთან, რომელიც მის მიერვე არის წარმოებული (მაგ., პარალელური ვერსიები, რუსული და სომხური, სკითურ გადმოცემისა კუარ-ზე სომხეთში და კუიების ანუ კიევის შესახებ რუსეთში და სხ.) და აგრეთვე დაკავშირებით ბოლოს დროს წამოყენებულ კითხვასთან სამხრეთ-რუსეთის და კავკასიის ძველ კულტურულ სამყაროს ზოგიერთ ხაზების ერთობის შესახებ, მაგ., ქართულ და სამხრეთ-რუსულ (უკრაინულ) ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში და სხ.

**აკად. ნ. მარჩი. ქართველ ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით. უფრნ. „მნათობი“ 1925 წ. № 4. 5—6.**

ხსენებული სათაურით უფრნ. მნათობში დაბეჭდილი წერილი აკად. ნ. მარჩისა წარმოადგენს, როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს, 1922 წ. პარიზში და ბერლინში ქართულ კოლონიისთვის ქართულად წაკითხულ ლექციას. მასში ავტორი ეხება ქართველი ხალხის, მისი ისტორიულ კულტურის და მისი ენის მეცნიერულ მნიშვნელობას უმთავრესად იმ მიღწევათა მიხედვით, რომელიც ახასიათებს იაფეტურ ენათმეცნიერებას. სხარტულად და მოჭრით დიდი მეცნიერი არკვევს იაფეტურ ენათმეცნიერების ზოგიერთ ახალ წარმოჩენათ ქართულ კულტურულ სამყაროს მეცნიერულ მნიშვნელობასთან დაკავშირებით იმ სახით, როგორც ეს იაფეტური ენათმეცნიერებაში წარმოდგენილი იყო ამ სამი წლის წინად. სათანადო მასალა მოყვანილია ნ. მარჩისთვის ჩვეულ დიდი ერუდაციით და შემოქმედების დიდი უნარიანობით. ამ მასალებთან დაკავშირებით ავტორი გზადაგზა არკვევს ქართულ ძველ კულ-

ლტურულ შემოქმედების დიდ სიძლიერის დამახასიათებელ ფაქტებს, კერძოდ უჩვენებს ქართული სულის მსოფლიო მნიშვნელობას, რამდენადაც ეს ქართული ენის სიღრმესა და, იაფეტურ ენათმეცნიერების თვალსაზრისით, ქართული ენის მეცნიერულ მნიშვნელობაში გამოიხატება. ფრიად საყურადღებოა აგრეთვე ავტორის მიერ წამოყენებული დებულება ცნობილ ფრანგულ საშუალო საუკუნეებრივ პოემის ტრიქსტან და ისოლდეს შესახებ, რომლის სიუჟეტის და რომანის ნიშანდობლივ ხაზების ჩასახვას, ვეფხის-ტყაოსანთან და ვის-რამიანთან დაკავშირებით, ავტორი უკავშირებს იაფეტურ ტომთა უძველეს ხანის ეპოსს. მთელი წერილი გათბარია ქართული ძველი კულტურის დრმა სიყვარულით და მომავალის იმედითაც. «ქართველი გრის კულტურული შობილი ფართოდება, ამბობს ის, და კიდევაც სხივიოსება. მსოფლიო მნიშვნელობის ძალი რომ შეუკრება ძველათ, მის ამოკითხვას მეცნიერება ძღებულობს ჯერ ასოთაგან მარცვალთ და მარცვალთ სიტყვათ აწყობით კითხვას... (მაგრამ) როგორც ცხოვრების, ეგრე მეცნიერების ზღაპრის რწმენით ვიკადრებ თქმას, განაგრძობს ავტორი, რომ დღეს იქნება თუ ხვალ ქართული ენის შეუსწავლელათ, და მის აღმოჩენილ საშუალებათ გაუცნობლათ ვერც ერთი კაცობრიობის კულტურულ სიძველეთ საკითხი ვერ გადაიჭრება, ვერც ერთი უნივერსიტეტი კუთვენულ დარგში უქართულ საგნოთ წარმოსადგენი ვერ იქნება» (მნათობი, 25 წ. № 6, გვ.). ეგ იმედი, რასაკვირველია, შეიძლება დაკავშირებულ იქმნას იაფეტურ ენათმეცნიერების მოპოვებათა და გამარჯვებების ზრდასთან ერთად.

**ა რ ი ლ ი, ტფილ. უნივერს. რექტორის პროფ. ჯავახიშვილისადმი მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლის თავზე (1905 - 1925 წ.) მიძღვნილი კრებული.**

ხსენებული კრებული ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლის თავზე, როგორც სჩანს უნივერსიტეტის ხარჯზე გამოცემული, გარეგნულად სტოვებს კარგ შთაბეჭდილებას. კრებულში მოთავსებულია წერილები ქართულოლოგიის სხვა და სხვა დარგებიდან (დიალექტოლოგია და ქართული ენათმეცნიერება, ქართული ხელოვნების ისტორია, ლიტერატურის ისტორია, ისტორიაც). მხოლოდ სამწუხაროა, რომ კრებულში ძლიერ სუსტად წარმოდგენილია სწორედ საისტორიო დარგი. ისტორიკოს ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებულში ამას ადგილი არ უნდა ქონოდა. მთელს კრებულში მოიპოვება მხოლოდ ერთად ერთი (9 წერილიდან) საისტორიო დარგის პატარა წერილი თ. ლომოურისა, — სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერჩულის ცნობები მე-9 — 10 ს. ს. ქართველ ბაგ-



რატონიანთა შესახებ (გვ. 47—57), მაგრამ ისიც რომ არ დაბეჭდილიყო, კრებული უსათუოდ მოიგებდა. ავტორი ადარებს მერჩულის და სუმბატის ცნობებს ბაგრატიონიანების შესახებ და რადგან ამ ცნობებში თანხმობას პოვებს, ამიტომ ორივე წყაროს მალალი ღირსებისად სთვლის. მალალი ღირსება ორივე წყაროსი საერთოდ თავისთავად ცხადია. მხოლოდ ავტორის ძირითად მეთოდოლოგიურ შეცდომას წარმოადგენს ორივე წყაროს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელივ წარმოშობილად მიღება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მერჩული მე-10 სპუკ. მოღვაწეა, ხოლო სუმბატი მე-11 ს-ში ცხოვრობდა და იმავე ტაო-კლარჯეთის და მისი მიმდგამ მხარეების რაიონში, შეიძლება ვიგულისხმობთ, რომ სუმბატი გაცნობილი იქნებოდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას, განსაკუთრებით გრიგოლ ხანძთელის დიად ისტორიულ როლის გამო ტაო-კლარჯეთის კულტურულ აღორძინებაში. ამიტომაც მერჩულის და სუმბატის ცნობების თანხმობა ბაგრატიონიანების შესახებ სხვა მიმართულებით უნდა იქნას დასმული. ასევე შეიძლება ახსნილ იქნას მერჩულის და სუმბატის ცნობების თანხმობა, მაგალითად, შავშეთის უშენებლობისა და არტანუჯის ციხის დაფუძნების შესახებ, რომელსაც ყურადღებას აქცევს ავტორი (გვ. 49). ამიტომაც მეთოდოლოგიურ შეცდომად უნდა ჩაითვალოს ამ ფაქტების გამოყენება მერჩულის და სუმბატის ნაწარმოებთა ღირსების შესაფასებლად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელივ. საზოგადოდ კი თ. ლომოურის მიერ აღებული თემა, თავის თავადაც უმნიშვნელო, იმდენად პრიმიტიულად არის დამუშავებული, რომ მისი გამართლება კარგად დაყენებულ სასტუდენტო სემინარიუმშიც არ შეიძლება.

დიდს უხერხულობას წარმოადგენს აგრეთვე ის გარემოება, რომ კრებული იწყება ივ. ჯავახიშვილის ავე მიერ გადაცემული ტექსტით „ცხოვრებაჲ საბა ასურისაჲ“ (ტექსტი გადაულია ივ. ჯ—ლს 1902 წ. სინას მთაზე ნ. მარრის ექსპედიციაში მონაწილეობის მიღებისას, ხოლო ეხლა გამოცემულია ს. ჯანაშიას მიერ).

კრებულში მოთავსებულია (გვ. 25—46) შ. ამირანაშვილის წერილი—ქართული კედლის მხატვრობის დასურათებული დედნის ფრაგმენტები. ავტორი არჩევს ჩვენამდის მოღწეულ ოთხ ეტრატის მინიატიურებიან ფურცელს (დატულია საისტ.-საეთნ. მუზეუმში) და ამტკიცებს, რომ ფრაგმენტები სურათებისა წამოადგენს კედლის მხატვრობის სანიმუშო დედანს, რომელსაც საფუძვლად უდევს გუმბათოვანი კედლის მხატვრობა მე-11—12 ს-ნისა და შესრულებული უნდა იყოს არა უადრეს მე-16 და არა უგვიანეს მე-17 ს-ნისა. წერილი აყენებს საინტერესო საკითხს.

გიორგი ჩუბინაშვილის წერილი—ქართული ხუროთმოძ-

ღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი (გვ. 107—126) არკვევს საშუალო საუკუნეების (მე-9—16 ს). ქართულ ხუროთმოძღვრების გავნითარების ნიშანდობლივ დამახასიათებელ ხაზებს და ამასთანავე ცდილობს ქართული ხელოვნების განვითარებაში თავისი ადგილი მიუჩინოს სამ დიდ კათედრალს—ალავერდს, მცხეთას და ქუთაისს, რომელთაგან ორი უკანასკნელი მიეკუთვნება მე-11 საუკუნას დასაწყისს და ალავერდისა კი, ავტორის აზრით, თავისი პირვანდელი სახით უნდა წინაუსწრებდეს მცხეთა-ქუთაისის კათედრალებს.

გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს წერილი—ლეილ-მაჯნუნიანის ქართ. ვერსიისთვის (გვ. 153—170)—შეიცავს ამ პოემის თეიმურაზ I-ის მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანის ლიტერატურული გარჩევას, მის ღირსებათა და ნაკლულევენებათა ჩვენებით.

კრებულში გარდა ამისა მოთავსებულია წერილები ქართულ ენათმცოდნეობასა და ლინგვისტიკოლოგიიდან (სულ 4 წერილი).

ს ა ზ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე

A d d e n d a.

1) ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საფასის ისტორიისთვის საქართველოში, გვ. 27: თუმცა მე-17 ს-ნის დასასრულიდან ლიხთ-იმერ იწყებს გაბატონებას ოსმალურ საფასე, მაგრამ ამასთანავე იმერეთში იხმარებოდა სპარსული და ქართული (ტფილური) სიქის საფასეც. ბეჟან დადიანის ძის გრიგოლ ცაგერულ მიტროპოლიტის ერთი საბუთიდან, რომელიც მიცემულია მთავარეპისკოპოს ნიკოლოზის და ამის ძმისწულის თეიმურაზ აგიაშვილის სახელზე, დაწერილია მაშასადამე სათანადო ჯერ დაუბეჭდავ საბუთების განხალივთ დაახლოვებით 1720—1728 წლებში, ამ დროს იმერეთში იხმარებოდა აბაზიანიც. სახელდობრ, ამ საბუთით გაბრიელი უთმობა აგიაშვილს ერთს პარტახტს ძვერში მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ პარტახტიდან ერთი აბაზის სანთელი ყოველს წელიწადს ხახულის ღვთასშობელს შიერაშვილესა (აგიაშვილების საბუთების პირები, გვ. 42, დატულია ცენტრარქიეში). გვლდენ შტედტის დროს, როგორც მოხსენებულია (ზემოდ, გვ. 28) იმერეთში სხვათა შორის მსვლელობაში იყო ტფილური აბაზიც. საზოგადოდ სპარსული (და ტფილური) სიქის ფულის მსვლელობა ლიხთ-იმერეთს მე-17—18 ს-ნეში (მე-17 ს-ნის დასასრულიდან თვალსაჩინოდ შემცირებდა) ცხადად უჩვენებს ლიხთ-იმერეთის ეკონომიურ კავშირს ქართლთან. საჭიროა ამასთანავე აღინიშნოს, რომ როდესაც ლაპარაკია ლიხთ-იმერეთში მე-17 ს-ნეში გავრცელებულ სპარსულ სიქის საფასეზე, აქ უმთავრესად შეიძლება იგულისხმებოდეს ტფილასში მოჭრილი საფასე.

2) ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართულ მეტროლოგია, გვ 56: ფრიად საყურადღებოა, რომ მაშინ როდესაც აღვ. საქართველოში მე-13 ს-ნიდან ამგვარად საბუთების მიხედვით დადასტურებულია მიწის სივრცის საზომად დღე (ამდენი და ამდენი დღის მიწა), შემდეგი გამოთქმით იგივე დღიური და აგრეთვე ვუთანი (იმავე დღის ან დღიურის ექვივალენტი), იმერეთში მე-15—16 საუკ. მიჯნაზე დადასტურებულად სჩანს ტერმინი ყ ა ნ ა ერთისა უ რ მ ის (საისტ. მ-ე, 24 წ. II, 257). უ რ მ ის ყ ა ნ ა ალბად უნდა ნიშნავდეს ერთი ურმის სათეს ყანას. ანალოგიისთვის უფრო ძველი დროისთვის შეიძლება მოგონებულ იქნას ნიკორწმინდის მე-11 საუკუნის სიგელში მოხსენებული „ყანაჲ გრივისა ერთისა სათესავი“ და იქვე „ყანაჲ ექუსისა კაბიწისა სათესავი“ (ქრონიკ. II, 45). ცნობილია, რომ სპარსეთშიც გ ა რ ი ბ ი, მიწის სივრცის ერთეული, წარმოსდგა წონის ერთეულის გ ა რ ი ბ ი დ ა ნ (გრაფიდან) და ალბად წარმოადგენდა 1 გარბ სათესლე ხორბლეულობას შეცველ მიწის ზომას (ზემოდ, გვ. 69).

მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ზემოდ ნაჩვენები ზომა — უ რ მ ის

ღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი (გვ. 107—126) არკვევს საშუალო საუკუნეების (მე-9—16 ს). ქართულ ხეროთმოდგობის გავნითარების ნიშანდობლივ დამახასიათებელ ხაზებს და ამასთანავე ცდილობს ქართული ხელოვნების განვითარებაში თავისი ადგილი მიუჩინოს სამ დიდ კათედრალს—ალავერდს, მცხეთას და ქუთაისს, რომელთაგან ორი უკანასკნელი მიეკუთვნება მე-11 საუკ. დასაწყისს და ალავერდისა კი, ავტორის აზრით, თავისი პირვანდელი სახით უნდა წინაუსწრებდეს მცხეთა-ქუთაისის კათედრალებს.

გ. ჯ ა კ ო ბ ი ა ს წერილი—ლეილ-მაჯუნუნიანის ქართ. ვერსიისთვის (გვ. 153—170)—შეიცავს ამ პოემის თეიმურაზ I-ის მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანის ლიტერატურული გარჩევას, მის ღირსებათა და ნაკლულევენებათა ჩვენებით.

კრებულში გარდა ამისა მოთავსებულია წერილები ქართულ ენათმცოდნეობასა და დიალექტოლოგიიდან (სულ 4 წერილი).

ს ა რ გ ი ს კ ა კ ა ბ ა ძ ე



Addenda.

1) ს. კაკაბაძე, საფასის ისტორიისთვის საქართველოში, გვ. 27: თუმცა მე-17 ს-ნის დასასრულიდან ლიხთ-იმერ იწყებს გაბატონებას ოსმალურა საფასე, მაგრამ ამასთანავე იმერეთში იხმარებოდა სპარსული და ქართული (ტფილურა) სიქის საფასეც. ბეჟან დადიანის ძის გრიგოლი ცაგერელ მიტროპოლიტის ერთა საბუთადან, რომელიც მიცემულია მთავარებისკაპოს ნიკოლოზის და ამის ძმისწულის თეიმურაზ აგიაშვილის სახელზე, დაწერილია მაშასადამე სათანადო ჯერ დაუმეჭიდავ საბუთების განხალვით დაახლოვებით 1720—1728 წლებში, ამ დროს იმერეთში იხმარებოდა აბაზიანიც. სახელდობრ, ამ საბუთით გაბრიელი უთმობა აგიაშვილს ერთს პარტახტს ძვერში მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ პარტახტიდან ერთი აბაზის სანთელი ყოველს წელიწადს ხახულის ღვთისმშობელს შიერაშეოდესო (აგიაშვილებს საბუთების პირები, გვ. 42, დაცულია ცენტრარქივში). გვლდენშუედტის დროს, როგორც მოხსენებულია (ზემოდ, გვ. 28) იმერეთში სხვათა შორის მსკლელობაში იყო ტფილური აბაზიც. საზოგადოდ სპარსული (და ტფილური) სიქის ფულის მსკლელობა ლიხთ-იმერეთს მე-17—18 ს-ნეში (მე-17 ს-ნის დასასრულიდან თვალსაჩინოდ შემცირებით) ცხადად უჩვენებს ლიხთ-იმერეთის ეკონომიურ კავშირს ქართლთან. საქაროა ამასთანავე აღინიშნოს, რომ როდესაც ლაპარაკია ლიხთ-იმერეთში მე-17 ს-ნეში გავრცელებულ სპარსულ სიქის საფასეზე, აქ უმთავრესად შეიძლება იგულისხმებოდეს ტვილასში მოჭრილი საფასე.

2) ს. კაკაბაძე, ქართულ. მეტროლოგია, გვ 58: ფრიად საყურადღებოა, რომ მაშან როდესაც აღმ. საქარაველოში მე-13 ს-ნიდან ამგვარად საბუთების მიხედვით დადასტურებულია მიწის სივრცის საზომად დღე (ამდენი და ამდენი დღის მიწა), შემდეგი გამოთქმით იგივე დღიური და აგრეთვე ვუთანი (იმვე დღის ან დღიურის ექვივალენტი), იმერეთში მე-15—16 საუკ. მიჯნაზე დადასტურებულად სჩანს ტერმინი ყანა ერთისა ურმის (საისტ. მე, 24 წ. II, 257). ურმის ყანა აღბად უნდა ნიშნავდეს ერთი ურმის სათეს ყანას. ანალოგიისთვის უფრო ძველი დროისთვის შეიძლება მოგონებულ იქნას ნიკორწმინდის მე-11 საუკუნის სიგელში მოხსენებული „ყანა გრივისა ერთისა სათესავი“ და იქვე „ყანა ექუსისა კაბიწისა სათესავი“ (ქრონიკ. II, 45). ცნობილია, რომ სპარსეთშიც გარიბი, მიწის სივრცის ერთეული, წარმოსდგა წონის ერთეულის გარიბიდან (გრივიდან) და აღბად წარმოადგენდა 1 გარიბ სათესლე ხორბლეულობას შემცველ მიწის ზომას (ზემოდ, გვ. 69).

მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ზემოდ ნაჩვენები ზომა — ურმის

ყანა — ნამდვილად ნიშნავდეს არა ერთი ურმის მარცვლეულობის სათეს ყანა, არამედ ერთი ურმის მარცვლეულობის მომწვე სახნავ მიწას. ამას გვაფიქრებინებს ერთი ტერმინი, აგრეთვე მე-15—16 საჯკ. მიჯნაზე იმერეთში დადასტურებული და ისიც იმავე რაიონში, სადაც ურემი მწის საზომად არის ნაჩვენები, სახელიდობრ — ვენახი ერთი სასაპალნისა (საისტ. მე, 24 წ. II, 256). ერთი საპალნის ვენახი ექვს გარეშეა ერთი საპალნის ღვინოს მომწვე ვენახს უნდა წარმოადგენდეს. ამისდა მიხედვით შესაძლებელია დაშვებულ იქმნას, რომ ურემი ყანაც ერთი ურმის მარცვლეულობის მომწვე ყანას ნიშნავდა.

მ) ს. კ ა კ ბ ა ძ ე, ქართ. მეტროლოგია, 82: საზომის ადგილობრივ და ასე ვთქვათ ბუნებრივ წარმოშობის ტერმინთაგან, რომელიც თვით ამა თუ იმ მარცვლეულობის თუ სითხეულობის შემცველ ერთეულიდან იყო წარმომდგარი, აღსანიშნავია ჯერ კიდევ მე-15—16 ს-ნის მიჯნაზე იმერეთში დადასტურებული ტერმინი ზრომა პური (საისტ. მე, 24 წ. II, 257: „ერთისა ზრომისა პური“): ეს ეოთეული წარმომდგარია თვით ტერმინის ზრომისაგან, მარცვლეულობის შემცველ განსაზღვრულ ერთეულიდან (როგორც, მაგ., კალათი, გოდორი და სხ.). ზრომის ზომა არ სჩანს. აფხაზ. საკათალიკოზო დავთარში ოდიშს სოფ. ნაგვაზაუს გამოსავალში მოხსენებულია ღვინოსთვის ტერმინი ძარა („ამოკერული ძარა ღვინო“, „დიდი ძარა ღვინო“, გვ. 18). საბა განმარტავს: ძარი — „დიდი ურემი ბზის მოსატანად ლასტებ მოკრული“ (ლექსიკ., 370). ხარი, რომელიც იგივე ძარა უნდა იყოს, იხსენიება ვახტანგ მეფის დასტურლავალშიც სპეციალურად ბზისთვის (გვ. 44: ბზე „საკომლოზედ ხარი ერთი“). შეიძლება ამის მიხედვით ვიფიქროთ, რომ ოდიშში მე-17 ს-ნის დასაწყისს მოხსენებული ამოკერული ძარა იგივე ლასტებ მოკრული ძარი იყოს რომელსაც საბა იხსენიებს. ნაგვაზაუს გამოსავლის ერთი ცნობიდან საგულისხმებელია, რომ ძარა ოდიშში მე-17 ს. დასაწყისს რამოდენიმე კოდს შეიცავდა. სახელდობრ იქ ვკითხულობთ (აფხ. საკათ. დავთ., 18): „ახლა ბატონმა ლიპარტიანმა და ბატონმა კზმან დავსდევით ნაგვაზაურებსა... (კომლზე) ათ ათი კოდი ღვინო, ექს ექსი კოკა ღვინო, 3 დ რომ ბეგარაჲ ემართა იმას გარეთ, ეს სახასო იქნების“. პირველ ბეგარაში (თავი ბეგარა) კომლზე ნაჩვენებია 13 კოკა ღვინო, 12 კოდი ღვინო, ხოლო ერას კომლზე 13 კოკა ღვინო და ერთი ამოკერული ძარა ღვინო (თუმცა იქვე მეორე კომლზე დადებულია ძარა ღვინო და მხოლოდ 5 კოკა ღვინო ბეგარა). ამის მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ძარა ამ დროს ოდიშში უახლოვდებოდა 12 კოდს; მე-16 ს-ნის მეორე ნახევარში იმე-

რებში ურემი 24 სანაოთხლოს ანუ, როგორც შესაძლებელია დაშვებული იქმნას, 24 კოდის დამტვევი იყო (ზემოდ, გვ. 82). ძარა მაშასადამე ყოფილა ურემის დავარი, მხოლოდ უფრო მომცრო ერთეული.

საზოგადოდ თვით მარცვლეულობის თუ სითხეულობის შემცველ ერთეულთაგან წარმოშობილ საზომების მოცულობის გარკვევა წინასაუკუნეებში დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ასეთი ტერმინები კი დადასტურებულია საბუთებში: მაგ., ზუნი თივის საზომად ქართლში (1454 წ. სამთავნელის სარგოს გარიგება, ქრონიკ. II, 273), ასევე თივის საზომად ზურგი როგორც ქართლში (1459 წ. სამთავნელის სარგოს გარიგება, იქვე), ისე იმერეთში (დას. საქ. საეკლ. საბ. I, 22, ვახუშტი აბაშიძის შეწირულობის წიგნში:—კომლზე ათ-ათი ზურგი თივა-ო). თივის საზომად იმერეთში იხსენიება კიდევ მარხილი (აბაშიძის დასახელებული საბუთი, იქვე, გვ. 23, შეად. კადევ აფხ. საკათ. დავთ. ჩხარის გამოსავალში, გვ. 3 - 4).

ადგილობრივი ბუნებრივ წარმოშობის არის აგრეთვე ტერმინი მკლავი, ფეტვის საზომად დადასტურებული ქვთ. საყდრ. დავთარში 1578 წ. გვ. 24—30: „ფეტვი (ანუ მქადი) მკლავი ოცდათი“. ასეთივე წარმოშობისა არის მტკაველი, სიგრძის საზომი, იმავე ვახუშტი აბაშიძის შეწირულობის წიგნში დადასტურებული იმერეთს (დას. საქ. საეკლ. საბ. I, 22). მტკაველი ტკუს სახით ეხლაც იხმარება სამეგრელოში, სადაც ის, მაგ., მე-1880 წლებში უღრიდა მ ვერშოკს (კავკ კალენდრები). აფხ. საკათ. დავთარში (გვ. 18) ოდიშში მე-17 ს-ნის დასაწყისისთვის შავალითად დადასტურებულია ღვინის საზომად ტაკი. როგორც მოხსენებული იყო (გვ. 85). ხალხში აქაჟლის უნდა იყოს დარჩენილი ადგილობრივი ბუნებრივ წარმოშობის საზომის ერთეულები, მაგ., ლომკაცის კოდი რაქაში (2 ფუთ., კავკ. კალ. მე-1880 წლ.), კოთხო ოდიშში (10 გირვ.), ფხარი და სხ., რომელთაგან ყველა არ არის დადასტურებული წინასაუკუნეების საუბრებში, თუმცა მათი ხმარება წინა ხანებშიდაც ექვს გარეშე უნდა ითვალოს. ამ მასალების შეკრება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

4) ს. კაკაბაძე, მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივ მდგომარეობის შესახებ მე-17 ს-ნეში, გვ. 189, შენ.: მალი, აღმ. საქართველოში 16 ს-ნეში ხმარებული, ამ დროს იხმარებოდა დას. საქართველოშიც. ლი, მაგ., მოხსენებულია 1512 წლის სასისხლო სიგელში გაბელიძეთა ისტ. მ-ე II, 24 წ., 35: „მალის «და ხარკისა» და ყალანისა მალილნი“), 1554 წლის სიგელში შერგილაძეთა (ქრონ. II, 398: „მალილ და ხარაჯის მკრეფელნი“), ტყავაძეთა 1601 წლის სასისხლო სიგელ-ისტ. მ-ე II, 24 წ.: „მალისა და ხარაჯისა მკრეხელნი“) და სხ. ვიჭრებელთა, რომ მალი და ხარაჯა აქ ერთმანეთის ეჭვივალდნდნარის ნახსენები სხვადასხვა ხასიათის ტერმინების ერთად შეთავსებით.